შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ტომი

თბილისი
2018

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XVI (2)

რუსულიდან თარგმნილი
პუბლიცისტური წერილები

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემა

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე

ანდრო ბედუკაძე

როსტომ ჩხეიძე

ზურაბ ჭუმბურიძე

რუსულიდან თარგმანი: სალომე ბედუკაძე

© შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-9620-1-1

რუსულიდან თარგმნილი პუბლიცისტური წერილები

თბილისის გუბერნიიის მიწათმფლობელთა მიწებზე დასახლებული გლეხების საადგილმამულო მოწყობის შესახებ ადგილობრივი დებულების წინასწარი პროექტის პარაგრაფის კრიტიკული შეფასებები

& 4

იმისათვის, რომ სიზუსტე იქნას დაცული, გლეხთა ყოფის უზრუნველყოფისა და მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებაზე უნდა ვისაუბროთ, და არა ზოგადად მათი მოვალეობების შესრულებაზე. ამასთანავე, ამ მუხლში ნათქვამია, რომ ნადელები მუდმივ სარგებლობაში გადადის, ამდენად არ შეიძლება გლეხებს დროებითვალდებული ვუწოდოთ; ამ კანონის მიხედვით, ისინი უნდა გახდნენ მუდმივადვალდებულნი. გარდა ამისა, არც იმის მტკიცებაა სამართლიანი, რომ გლეხების საკუთრებას უნდა შეადგენდეს მხოლოდ ის „საველე მიწები, რომლებიც მათ სარგებლობაში იქნება ამ დებულების დამტკიცებამდე“. დებულების დამტკიცებამდე გლეხის სარგებლობაში ვერავითარი მიწა ვერ იქნება, ვინაიდან მემამულეები, რომელთაც საკუთრების უფლება აქვთ მიწაზე, სხვადასხვა მიზეზით იძულებულს გახდიან გლეხებს, უარი თქვან ამ მიწაზე, ან კიდევ არც კი ჰკითხავენ, ისე ჩამოართმევენ, რათა დებულების დამტკიცების დღისთვის გლეხებს სარგებლობაში მიწის ნაგლეჯიც კი არ ჰქონდეთ, რომ ნადელისაგან გათავისუფლდნენ.

ეს უდავოდ ასე იქნება. მემამულენი მხოლოდ ახლა

რუსულიდან თარგმნა სალომე ბედუკაძემ

როდი იქცევიან ასე. ისინი გლეხთა რეფორმის გამოცხადებამდე გაცილებით ადრეც იგივეს აკეთებდნენ. თუკი ძალიან ბევრგან მემამულეებმა გლეხებს მიწები და ადგილ-მამულები ჩამოართვეს იმის შიშით, რომ ამ უკანასკნელთათვის არ მიენიჭებინათ მათ მფლობელობაში შემავალი მიწებისა და ადგილ-მამულების განკარგვის უფლება, მაშინ რატომღა იქნებოდა სამართლიანი იმ მიწებისა და ადგილ-მამულების გლეხთა ნადელად აღიარება, რომლებიც მათ უშუალო მფლობელობაში იყო ვიდრე რუსეთში გლეხთა გათავისუფლების შესახებ დებულება გამოიცემოდა, კერძოდ 1861 წლის 19 თებერვლამდე, ზოგადად კი – რუსეთში გლეხთა რეფორმის გამოცხადებამდე.

& 5

ამ პარაგრაფის მუხლების შესრულება შეუძლებელია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ ნახევრით სარგებლობა არც მემამულეს შეუძლია და არც გლეხს, განსაკუთრებით იქ, სადაც მსგავსი ტიპის მიწები დიდი მანძილით არის დაშორებული მემამულეთა კარ-მიდამოდან; მეორე იმიტომ, რომ ძნელი წარმოსადგენია, გლეხები დასთანხმდნენ, შეამცირონ თავიანთი ნადელები, რომლებიც ისედაც ძლივს ჰყოფნით საარსებოდ; მესამეც, ვგონებ, საშიშიცაა გლეხთა ნადელების ამგვარი ხელახალი გადანაწილება იმ მემამულეთა სასარგებლოდ, რომლებიც, სინამდვილეში, ვეღარ ისარგებლებენ კანონის მოჩვენებითი წყალობით; მეოთხე, ამის გაკეთება არ შეიძლება იმიტომაც, რომ გამიჯვნისას არ არის მითითებული გლეხთა მფლობელობაში არსებული მიწებისა და ადგილ-მამულების რაოდენობა, რაც შესაძლებელს გახდიდა მემამულეებსა და გლეხებს შორის მიწის ამგვარად გაყოფას ამ უკანასკნელთა სარგებლობაში არსებული ნადელიდან. თანაც, იმისათვის, რომ ამ კანონის საფუძველზე ორივე მხარეს შორის გადანაწილდეს კუთვ-

ნილი მიწა, ყველა შემთხვევაში აუცილებელია აგეგმვა. და როდის იქნება ეს? ამდენად, ამაზე ფიქრიც კი არ ღირს. დაბოლოს, მსგავსი სახის გაყოფა კიდევ იმიტომ არის შეუძლებელი, რომ მიწებისა და ადგილ-მამულების ზოლმიწიანობა იმდენად დიდი და სხვადასხვაგვარია, რომ ვეჭვობ, ამან სასიკეთო შედეგი გამოიღოს. რომც არ შეუშალოს ხელი მიწის დაყოფას, ეს პროცესი მინც ზრდის და ართულებს ზოლმიწიანობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ზოლმიწიანობა მოქცეულია მემამულეებისა და სხვა მფლობელების მიწებს შორის. რა სარგებლობის მომტანია უმნიშვნელო მიწის ნაგლეჯები, რომლებიც აქა-იქაა მიმოფანტული და შეუძლებელია მათზე ხეირიანი მეურნეობის გაშენება. ვფიქრობ, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ არ დაუქუცმაცდეთ მიწები და ადგილ-მამულები არც მემამულეებს და არც გლეხებს. თუკი გლეხების მემამულეებთან სავალდებულო პირობებში დარჩენა სარგებელს მოიტანს, მაშინ აღარცაა აუცილებელი გლეხთა ნადელიდან რაიმეს მოკლება; ისარგებლონ და მემამულის სასარგებლოდ იხადონ ბეგარა იმ ადგილ-მამულისთვის, რომელიც მოცემული დროისათვის მათ განკარგულებაში იქნება. ამით არც მემამულე დარჩება წაგებული, ვინაიდან მას ექნება მუდმივი შემოსავალი თავისი მიწებიდან და ადგილ-მამულებიდან, რომლებიც გლეხთა სარგებლობაში იქნება გაცემული. ამდენად, უწინდელ ნადელს არაფერი ჩამოეჭრება, რაც გლეხთა საკითხის გადაწყვეტისას უმთავრესია.

&6

გლეხებისათვის სულ მცირე მიწის ჩამოჭრაც არ შეიძლება, მათ ამის გარეშეც არაფერი აქვთ. საეჭვოა ადგილი ჰქონდეს ნებაყოფლობით თანხმობას მაშინ, როდესაც გლეხი აღიარებს საკუთარ უფლებას მიწაზე, მას კი ამ უფლებას ართმევენ არა აუცილებლობის ძალით,

არამედ იმისათვის, რომ იგი პასიური გახდეს მემამულის მიმართ, რომელზეც, კანონის ვარაუდით, დამოკიდებული უნდა იყოს გლეხის მომავალი კეთილდღეობა. არ შეიძლება ხალხისათვის მთავრობის ამგვარი წყალობის თავს მოხვევა, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავის ჭკუაზე ცხოვრებასაა მიჩვეული და არა – სხვების, მათ შორის, არც კეთილისმყოფელი მემამულეებისა. ამის გაკეთება (ე.ი. ჩამოჭრა) შესაძლებელი იქნებოდა ისეთ სოფლებში, სადაც ცხოვრობენ და მეურნეობაც იქვე აქვთ. მაგრამ, თუკი მემამულეებს მიწები აქვთ არა იმ სოფელში, სადაც ცხოვრობენ, არამედ სხვა ადგილებში, მაშინ, ვეჭვობ ეს მათთვის ხელაყრელი იყოს, ვინაიდან ვერ შეძლებენ საცხოვრებლიდან მოშორებით მდებარე დამატებითი მიწების მოვლას და იქიდან მუდმივი შემოსავლის მიღებას. ვგონებ, ამგვარ ზომებს არც გლეხები დასთანხმდებიან მღელვარების გარეშე. დაბოლოს, ვერც ეს მოხერხდება გამიჯვნის გარეშე.

& 8

მეტი სიცხადისათვის უკეთესია ითქვას: მრავალმიწიან მამულებში დგინდება საველე კომლობრივი ნაკვეთის ყველაზე დიდი ზომა.

& 9

ნუთუ ეს მუხლი კამათსა და გაუგებრობას არ გამოიწვევს? უკეთესი იქნება, თუ ახლავე აღინიშნება კანონში, სად და როგორ უნდა იქნას გათანაბრებული მსგავსი ტიპის მიწები სარწყავ მინდვრებთან. კომიტეტი, რომელსაც ხელთ არავითარი მონაცემი არ აქვს, რასაკვირველია, ვერ შეძლებდა, წინასწარ ზუსტად გაეთანაბრებინა სარწყავი და არასარწყავი მინდვრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სავსებით მართებული იქნება დაწვრილებით იქნას დადგენილი წესები იმის შესახებ,

თუ სად და როგორ მოხდეს სარწყავი და არასარწყავი მიწების მსგავსი სახის გათანაბრება.

& 11

საძოვრით სარგებლობის უფლება უნდა დადგინდეს არსებული ჩვეულების და არა ამ წესების საფუძველზე, მხოლოდ საძოვრით სარგებლობის და არა საბალახო ადგილებით, რომელთაც სრულიად სხვა დანიშნულება აქვს. ამის შესახებ ვრცლად კეთდება საწინააღმდეგო შენიშვნა გვ. 30,31 და 32.

& 14

ერთგვარ ეჭვს ხომ არ გამოიწვევს და წინააღმდეგობაში ხომ არ მოვა ეს მუხლი მე-13 მუხლთან? თუ მიწა ბუჩქნარით იქნება დაფარული და მოუხერხებელი იქნება მოსახმარად, მაშინ როგორ ჩავთვალოთ იგი ნადელად? სწორედ ამიტომ არ იქნებოდა ზედმეტი იქვე, სადაც ნათქვამია – „ითვლება გლეხთა ნადელად“, ჩაემატოს: „თუკი ამ მიწის ნიადაგი დასამუშავებლად ვარგისიანია და გამოდგება ხვნა-თესვისა და სხვა სამეურნეო საჭიროებებისათვის“.

& 15

რატომ უნდა გავაწვალოთ გლეხი, მას უნდა ჰქონდეს სარწყავით სარგებლობის უფლება ძველ, ჩვეულებრივ საფუძველზე. ამის შესახებ შემდგომ შენიშვნებშიცაა ნათქვამი.

&16

ყოველივე ეს შესაძლოა თვითნებურად იქნას ახსნა-განმარტებული და გამოიწვიოს ორივე მხარის სრულიად გაუმართლებელი შევიწროება. ამის დატოვება შესაძლოა აუცილებელიცაა, თუკი ამაზე ორივე მხარის ნებაყოფლობითი თანხმობა არსებობს, მაგრამ მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ გარდაუვალია სარწყავის გამოყენების ჩვეული უფლებიდან გადახვევა. ხელისუფლების ჩარევა საქმეს მხოლოდ გააფუჭებს და ვერავის მოუტანს სარგებელს.

& 18 მეორე შენიშვნის წინააღმდეგ

მიმაჩნია, რომ თუ გაიცემა საძოვრებზე მწყემსვის უფლება, ამ შემთხვევაში აუცილებელია დროებითი ფარეხების მოწყობის უფლების გაცემაც. ეს ორი უფლება ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. თუმცა, ჩემი შემდგომი შენიშვნები საბალახო ადგილებს შეეხება.

& 19

ამ მუხლის მიხედვით, დღიური სახნავი მიწა საკმარისად ითვლება კარ-მიდამოსთვის. ამაზე მეტი გათვალისწინებული არ არის; მაგრამ იქნებ კარ-მიდამო ორი, სამი ან მეტი დღის სახნავ მიწაზე მდებარეობს? ამ შემთხვევაში კარ-მიდამოები უნდა განადგურდეს, თუ მიწა უნდა შემცირდეს დადგენილ ოდენობამდე? არ მგონია, ეს სამართლიანი იყოს. ასეთი დიდი ზომის კარ-მიდამოები განსაკუთრებით კახეთში გვხვდება, სადაც მათ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გლეხთა მთელ ნადელს. ამრიგად, უკეთესი იქნება, ითქვას: კარ-მიდამოები დარჩება იმ ზომის მიწაზე, რა ზომისაც ისინი იყო 1861 წლის 19 თებერვლამდე, ანუ ჩვენში საგლეხო რეფორმის გამოცხადებამდე. შემდეგ, აუცილებელია, განისაზღვროს ამგვარი ცარიელი ადგილების ზომა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს იჩენს თვითნებობა, რაც თავის მხრივ კამათსა და შეხლა-შემოხლას გამოიწვიოს. ამას კი ყველაზე მეტად უნდა ვუფრთხილდეთ. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მიწის ოდენობა ერთ დღიურ სახნავს არ უნდა აღემატებოდეს, მეეჭვება, ვინმემ თავის კარ-მიდამოსთან არსებული მიწის ჩამოჭრა დაუშვას. ან კი ვის რაში სჭირდება ეს? ღმერთმა შეარგოთ ცოტა ზედ-

მეტი მიწა გლეხებს, რომელთა წინაშეც ვალში ვართ, ვინაიდან მათ შეძლეს ჩვენი მონაპოვარის დაცვა; მით უფრო, რომ ეს არც მემამულეთა ინტერესებს ეწინააღმდეგება. პროექტის მიხედვით, ისინი კარ-მიდამოსთან არსებული მიწის სანაცვლოდ გარკვეულ ბეგარას მიიღებენ.

& 20

ეს მუხლი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის მე-19 მუხლთან. თუკი ბოსტნებს და აქ ჩამოთვლილ სხვა ადგილებს გლეხის კარ-მიდამოს მივაკუთვნებთ, მაშინ მის შემადგენლობაში დღიურ სახნავ მიწაზე გაცილებით დიდი ადგილი შევა. ამ შემთხვევაში რა უნდა მოუხერხდეს ზედმეტ მიწას? მემამულეს დაუბრუნდეს უკან? მეეჭვება, მან ამ მიწიდან რაიმე სარგებელი ნახოს. თუ გლეხს დარჩეს? დასთანხმდება კი მემამულე ამაზე? თუ დასთანხმდა, ალბათ – ახალი ბეგარის საფასურად. უფრო მოსალოდნელია, რომ მემამულე არ დასთანხმდება ამ ზედმეტი მიწის გლეხისთვის დათმობას და სხვისთვს გადაცემას მოისურვებს. აქ კი მუდმივად მცხოვრებ გლეხსა და ახლახან დასახლებულ გადამთიელს შორის საშინელი არეულობა იჩენს თავს.

შენიშვნა. რატომ არ შეიძლება ბოსტნები კარ-მიდამოს სამკვიდროს მივაკუთვნოთ? ხომ არ შეიძლება გლეხი ვაიძულოთ გააშენოს ვენახი, როცა მას ბოსტნები უნდა, რომ ჰქონდეს. უკეთესი არ იქნება საბოსტნე ადგილებისათვის ერთი საერთო წესის დადგენა, რომელიც არ შეუშლის ხელს დაინტერესებულ მხარეებს, თავად გაანაგონ თავიანთი საკუთრება? ამგვარად მემამულეები საბოსტნე ადგილებისათვის გარკვეულ ბეგარას მიიღებდნენ, ხოლო გლეხები ამ მიწას გამოიყენებდნენ ისე, როგორც ეს მათთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

& 21

აქ აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ სიტყვები: დაწესებულება და შენობა. მე-20 მუხლის თანახმად, სამრეწველო შენობები მიეკუთვნება კარ-მიდამოს სამკვიდროს, რომც არ იყოს ისინი კარ-მიდამოზე მიმაგრებული (ამ შენობებში, რა თქმა უნდა, განთავსებულია დაწესებულებები, რომელთა გარეშეც არც ეს შენობები იქნებოდა). აქ კი სამრეწველო შენობები კარ-მიდამოს არ მიეწერება, რაც სრულიად ეწინააღმდეგება წინა მუხლს. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა აღირიცხოს გლეხის ყველა ფერმა, ქარხანა თუ სხვა სამრეწველო დაწესებულება, რომლებიც არც კარ-მიდამოზეა მიმაგრებული და არც საკარმიდამო სამკვიდროზე და მემამულის სასარგებლოდ დაიბეგროს მხოლოდ ამ დაწესებულებების მიმდებარე მიწა, რამდენადაც მიწა, რა სახითაც უნდა იყოს გლეხის სარგებლობაში, დებულების თანახმად, მემამულის კუთვნილებას შეადგენს.

& 22

თუკი დავუშვებთ ამ წესს, მაშინ არ გაგვაჩნდა არავითარი საფუძველი იმისა, რომ იგივე არ დავუშვათ 21-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებულ საკითხთა მიმართაც.

& 25

მიმაჩნია, რომ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა იქნას გლეხის საკუთრებად აღიარებული მთელი შემოღობილი ბაღის ნაკვეთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკვეთში ცარიელი სივრცეც იქნება. ვეჭვობ, გლეხმა მოინდომოს ბაღის ნაკვეთის მემამულისათვის დათმობა და თუ დაუთმობს, ასევე საეჭვოა მემამულემ იგი რამეში გამოიყენოს. ცარიელი სივრცეები შეიძლება იყოს შემოღობილი ბაღების შუაში, გვერდით ან სხვა ადგილებში. ამდენად, როგორ იქნება შესაძლებელი მათი მემამ-

ულისთვის დაბრუნება? განა არ სჯობს, რომ ისინიც გლეხის სარგებლობაში დარჩეს და დაიბეგროს (თუკი შეუძლებელი იქნება ამის თავიდან აცილება) იმ ოდენობის ბეგარით, რაც საველე და საკარმიდამო ადგილებისათვისაა დადგენილი?

& 27

თუ ამ ადგილებს მემამულეები მოხნავენ ან რაიმეს მოაწყობენ, სადღა ექნება გლეხს საძოვარი და სამწყემსო საქონლისათვის, ვინ ან რა უზრუნველყოფს მას ამით? რამდენი გაუგებრობა და დავა შეიძლება გამოიწვევს ყოველივე ამან, რისი თავიდან აცილებაც, არ მგონია, სამომრიგებლო დაწესებულებებმა მოახერხონ. გარდა ამისა, აქ უადგილოა საბალახოებზე ლაპარაკი, ვინაიდან მათ სრულიად სხვა დანიშნულება აქვთ და ამასთანავე, სოფლის იმ ადგილებში არაა, სადაც საქონლისათვის განკუთვნილი საძოვარია. საბალახოები, რომლებიც განსაკუთრებული სახის საკუთრებას წარმოადგენენ, როგორც სავარგულები, საძოვრებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და ისინი არც გლეხებს, და არც ვინმე სხვას, არასდროს გამოუყენებია მუქთად. ამდენად, საძოვარსა და საბალახოს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. სიტყვა საძოვარი სრულიად უადგილოა კანონის ამ მუხლში და აუცილებლად უნდა იქნას ამოღებული. თუკი ეს სიტყვა აღარ იქნება ამ მუხლში, მაშინ ფარეხების საკითხიც თავისთავად გადაწყდება, რამდენადაც აღარ იქნება მათი საჭიროება. თუმცა, შესაძლოა, საჭირო გახდეს დროებითი სადგომების მოწყობა მუშა საქონლის შესანახად იმ შემთხვევაში, თუ საძოვარი სოფლიდან ძალიან შორს იქნება. ამგვარი სადგომების მოწყობისთვის ხელის შეშლის არავითარი საფუძველი არ არსებობს და მათი გამართვის უფლება პირდაპირ გამომდინარეობს საძოვრის ქონის უფლებიდან. მიმაჩნია, რომ ყველა იმ გაუგებრობის თავიდან აცილების

მიზნით, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ კამათი და თვითნებობა სამომრიგებლო დაწესებულებათა მხრიდან, სჯობს, საერთოდ არ შევეხოთ საძოვრების საკითხს და დავტოვოთ ეს უფლება ისე, როგორც არის ჩვეულების მიხედვით. ეს ჩვეულება კი, რომელიც დებულებაში არ იქნა გათვალისწინებული, მშვენიერია და არაა საჭირო მისი უგულებელყოფა. ამგვარად, ეს მუხლი ნახევრად შემცირდებოდა და მიიღებდა შემდეგ სახეს: „გარკვეულ ადგილას მცხოვრები გლეხები თუ სხვა პირები საძოვრით სარგებლობენ იმ წესრიგით, რომელიც არსებულ ჩვეულებათა მიხედვითაა დადგენილი“.

& 28

არავითარ გაყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ მაინც იქნა შესაძლებელი გაყოფა, ეს უნდა მოხდეს ნებაყოფლობით იმ პირთა შორის, ვინც საძოვრის უფლებით სარგებლობს, ყოველგვარი სამომრიგებლო ძალის ჩარევის გარეშე. ნებაყოფლობითი თანხმობისას მომრიგებელი შუამავლის ყოველგვარი მტკიცება მნიშვნელობას კარგავს და სრულიად უადგილო ხდება.

& 29

კავკასიის მთავარ მმართველობას ეს არასდროს გამოუვა. არცაა საჭიროა ამისკენ სწრაფვა. ანკი რის მომცემია ვარაუდების გამოთქმა, როცა ყოველგვარი ვარაუდი მნიშვნელობას კარგავს ჩვეულებით სამართალში. ეს სამართალი ხალხის აზროვნებაშია ფესვგადგმული. ოღონდაც ნუ შეცვლით საძოვრით სარგებლობის ამ წესს.

&& 30, 31, 32 და 33

გლეხებმა უფასოდ უნდა მიიღონ ხე-ტყე საშენ მასალად და საწვავად იქ, სადაც ისინი მემამულისაგან იღებდნენ დებულების გამოცემამდე. ამას მოითხოვს სამართლიანობა და მოვალეობის გრძნობა იმ ადამიანთა მიმართ,

რომელთაც უმთავრესი წვლილი მიუძღვოდათ მემამულეთა ქონების დაზოგვაში. მემამულეები, საკუთარი თავის პატივისცემიდან გამომდინარე, ზნეობრივი კანონის ძალით, ვალდებულნი არიან ტყით სარგებლობის ნება მისცენ გლეხებს, რომელთაც საუკუნეების მანძილზე მძიმე ვალდებულებები ეკისრათ მათ წინაშე. ამის გარეშე გლეხებს ვეღარ ექნებათ მემამულეთა ხე-ტყით სარგებლობის უფლება. თუკი გლეხები კვლავაც ვალდებულ მხარედ დარჩებიან და დაეკისრებათ უზარმაზარი ბეგარა მიწითა თუ მემამულის სხვა საკუთრებით სარგებლობისათვის, მაშინ გლეხობას სრულიად სამართლიანად აქვს შეწყალების უფლება მიწათმფლობელების და ასევე ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლება ვალდებულია ყველანაირად შეეცადოს, არსებობა შეუმსუბუქოს ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი ქონებრივი უფლება ან უპირატესობა და გლეხთა საერთო რეფორმის განხორციელების შემთხვევაში კვლავაც მემამულეზე დამოკიდებულნი რჩებიან, თუ უფრო მეტადაც არა. კანონმდებელი, რომელიც აღიარებს, რომ ამ ორი წოდების ინტერესთა საბოლოო გამიჯვნა შეუძლებელია და ამ ინტერესებს ვალდებულების ბორკილებით აკავშირებს ერთმანეთთან, საშინელ შეცდომას დაუშვებს, თუ ამ ურთიერთობათა სიმძიმის შემსუბუქებას ვერ შეძლებს.

ჩვენში საკუთარი საჭიროებისათვის ხე-ტყის მოხმარების უფლებას ისეთივე ძალა აქვს, როგორიც მუშა საქონლის საძოვრებით და სარწყავით სარგებლობის უფლებას. ხოლო თუ ამ უფლების გამოვლენის ორ შემთხვევაში მას საძოვრებითა და სარწყავით სარგებლობის უფლებად ვაღიარებთ, მაშინ დიდი უსამართლობა იქნებოდა მესამე, მსგავს შემთხვევაში დადგინდეს განსაკუთრებული წესები, რომელთაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ არსებულ წეს-ჩვეულებებში და არ გამომდინარეობენ ხალხის ცნობიერებიდან. ხალხის ცნო-

ბიერებამ უკვე გამოიმუშავა ამა თუ იმ სარგებლობის თავისი საწყისები და ამ საწყისების უპატივცემულობა, ვეჭვობ, სახიფათო არ იყოს იმ მხარის კეთილდღეობისთვის, რომელიც ელის არა განადგურებას, არამედ იმის განმტკიცებას, რაც კარგი და პატივსაცემი იყო. ვინაიდან არც ერთ წოდებას წარმოდგენა არ აქვს ხეტყის მეურნეობის სწორ მოწყობაზე, რასაკვირველია, იმ საფუძვლების გარდა, რაც, საბედნიეროდ, უკვე დადგენილია ჩვეულებებით, ახალს ვერ შეიმუშავებდნენ. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში პატივი უნდა ვცეთ ამ ჩვეულებებს, ვინაიდან უკეთესი ვერ იქმნება და ვერც შეიქმნება. თუ ამ საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად დაედება ჩემ მიერ შემოთავაზებული საწყისები, ე.ი. ხალხის ცნობიერებიდან გამომდინარე ჩვეული წესი, მაშინ თავიდან ავიცილებთ ყოველგვარ გაუგებრობას და დავას, რამაც შეიძლება თავი იჩინოს ზემოთმოყვანილი კანონმდებლობის გამოყენებისას. კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ კანონის გამოცხადებამ კამათი და გაუგებრობა კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ პირიქით, უნდა აღმოფხვრას ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი შედეგს ვერ გამოიღებს, მით უფრო ისეთი კანონი, როგორიცა ამ დებულების 32-ე მუხლია. მისი ყველა პუნქტი გაუთავებელ კამათსა და უკმაყოფილებას იწვევს. სადამდე შეიძლება მიიყვანოს ამ კინკლაობამ და უთანხმოებამ მთავრობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მემამულეებსა და გლეხებზე; მთავრობა, რომელსაც ვერც ერთი წოდების დაცვის შესაძლებლობა ვერ ექნება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანად მიმაჩნია, რომ საერთოდ გაუქმდეს პროექტში მოცემული კანონდებულება ხე-ტყით სარგებლობის შესახებ, დადგინდეს წესი, რომლითაც განისაზღვრება შემდეგი: გლეხები იქ, სადაც ისინი კანონდებულების გამოცემამდე ტყის მიწებს მოიხმარდნენ საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისათვის, ინარჩუნებენ ამ უფლებას მუდმივი

დროით და დებულების დამტკიცების შემდეგ ამ მიწებით სარგებლობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ აუცილებელი საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით. ამ აუცილებლობის გარეშე გლეხები მემამულეების ტყით სარგებლობის უფლებას კარგავენ. ამგვარი დებულება გამართლებულია იმით, რომ ჩვენთან საქართველოს იმ ერთი გარკვეული მხარის ყველა ტყე, სადაც ცხოვრობენ მემამულეებიც და მათი გლეხებიც, სახაზინო, საეკლესიო თუ სხვა,მთლიანი მოსახლეობის საერთო მონაპოვარს წარმოადგენს და თითოეული მათგანი მოიხმარს მას საკუთარი საჭიროებებისათვის, მაგრამ არა გასაყიდად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება მუშა საქონლის საძოვრებითა და სარწყავით სარგებლობის შემთხვევაში. არასდროს არც საძოვრის, არც სარწყავის და არც ტყის დაბეგვრა არ მომხდარა ჩვენში არანაირი სახით, რაც გამართლებულია ხალხური ჩვეულებით, რომელიც, თუ არ ვცდები, გამოთქმულია ვახტანგ მეფის კანონში. მასში ნათქვამია, რომ არ შეიძლება ვინმეს აეკრძალოს ტყით, საძოვრითა და სარწყავით სარგებლობა.

თუმცა შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევებიც, როცა ტყე მხოლოდ მემამულეს ეკუთვნის. ეს სწორედ იმ მხარეში, სადაც, მემამულის გარდა, არავის აქვს ტყეზე საკუთრების უფლება. მაგრამ აქაც გლეხები, თუკი ამჟამად ცხოვრობენ და სარგებლობენ ამ ტყით, ვალდებულნი არიან, შეინარჩუნონ ტყის მიწების უსასყიდლოდ, მხოლოდ საჭიროებებისათვის მოხმარების უფლება. ხოლო თუ გლეხები არ ცხოვრობენ და არ სარგებლობენ ტყით, მაშინ, რა თქმა უნდა, მემამულე მას უსასყიდლოდ ვერ მოიხმარს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. პირველ შემთხვევაში (თუ გლეხები სარგებლობენ ტყით, რომელიც მხოლოდ მემამულეს ეკუთვნის) მემამულეზე იქნება დამოკიდებული, ხე-ტყის მეურნეობის მოწყობის შემდეგ გლეხებისაგან მოითხოვოს, რომ მათ ხე-ტყე იმ მონაკვეთ-

ებიდან მოიხმარონ, რომლებიც გარკვეული პერიოდი მოჭრისთვის იქნება განკუთვნილი და არ შეეხონ სხვა ადგილებს, რომლებიც მომავალში მომზადდება მოსაჭრელად. ამით თავიდან ავიცილებდით ტყეების სრულიად გაჩეხვასა და განადგურებას, რასაც განსაკუთრებით ერიდებიან მემამულეები და რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის კეთილდღეობისათვის.

& 32

კერძოდ, ამ მუხლის განხილვისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაშვებული იქნება ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები, გლეხობა აღარც კი უნდა ელოდოს ოდესმე თუნდაც ფულით ან ბეგარით მისთვის აუცილებელი ხე-ტყის მიღებას მასალად ან საწვავად. გარდა ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, რაიმე წარმატება მოჰყვეს მომრიგებელი შუამავლის გადაწყვეტილებებსა თუ ნებაყოფლობით თანხმობებს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება შუამავლის პიროვნებაზე, რომელიც, ალბათ, არჩეული იქნება არა გლეხთა, არამედ მემამულეთა ფენიდან.

& 33

ჩემი აზრით, განსაკუთრებული გადასახადის ან ბეგარის საფასურად, მემამულის თანხმობის შემთხვევაში, მისგან არა მარტო იმ უფლებების შეძენაა შესაძლებელი, რომლებიც ამ კანონით იგულისხმება, არამედ ყველაფრის, რაც მას ეკუთვნის. ამიტომ ამის შეხსენება ზედმეტად მიმაჩნია.

& 34

ამ დებულების დამტკიცებამდე კი არა, არამედ რუსეთში 1861 წლის 19 თებერვლის დებულების გამოცემამდე, ან იქ საგლეხო რეფორმის გამოცხადებამდე. უკვე მქონდა შემთხვევა, მესაუბრა ამგვარი მითითების მიზეზებზე მე-

2 პარაგრაფის შენიშვნებში. ამასთან, ყველა ეს პარაგრაფი 34, 35, 36 და 37 ისე არის შედგენილი, რომ ვერაფერს გაუგებ. გაუგებარია, რას ნიშნავს სიტყვები „ძირეული“ და „დამატებითი“ ნადელები. ამ დებულების მიხედვით „ძირეულად“ იწოდება ის ნადელი, რომელიც მე-8 პარაგრაფითაა ნავარაუდები მრავალმიწიან მამულებში. თუმცა არ მგონია, სამართლიანი იყოს, რომ მხოლოდ ასეთ ნადელს ვუწოდოთ ძირეული, ხოლო ყველა დანარჩენს – არაძირეული. თუ სიტყვა „ძირეული“, ზოგადად, იმ ნადელს აღნიშნავს, რომელიც გლეხს ეძლევა, მაშინ აქ სამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: როცა გლეხს რჩება ის მიწები და ადგილ-მამულები, რომელთაც აღნიშნული დებულების (მუხლი 4. ბ.) დამტკიცებამდე მოიხმარდა; როცა გლეხის სარგებლობაში რჩება მთელ რიგ სიძნელეებთან დაკავშირებული მიწების ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ჩამოეჭრება და მემამულის საკუთრებაა; და, როცა მრავალმიწიანობის შემთხვევაში იღებს ნადელს. მაშ რატომ არის ნადელი „ძირეულად“ მოხსენიებული მხოლოდ ერთ, და არა ყველა ამ შემთხვევაში? ვგონებ, არავითარი განსაკუთრებული აუცილებლობა არ არსებობს იმისა, რომ კანონში შეტანილ იქნას ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არაფრის განსაზღვრებას არ ემსახურება და მხოლოდ თავგზას აურევენ იმ ადამიანს, ვისაც შეხება ექნება ამ კანონთან. ან კიდევ, ზოგადად, ნადელის ყველა ზემოთმოყვანილი შემთხვევა აღინიშნოს საერთო სახელწოდებით – „ძირეული ნადელი“, ან მოსცილდეს ზედმეტი სიტყვა ძირეული და დარჩეს მხოლოდ „ნადელი“, რაც ყველასათვის უფრო ადვილად გასაგებია. ამგვარად თავიდან ავიცილებთ ზედმეტ გამონათქვამებს, რომლებიც სრულიად გაუგებარია, რას აღნიშნავენ. ნადელის გარეშე ხომ გლეხს არაფერი ეძლევა, ხოლო თუ მემამულე მაინც მისცემს რამეს, მაშინ გლეხის ნებაა, რას უწოდებს მას.

& 38

გლეხი ამ ზომას არასოდეს დასთანხმდება. ჩვენთან არ არსებობს სათემო, და ხელახლა დავადგინოთ იგი. მაშ, რა სახით შეიძლება მოხდეს ამგვარი გადანაწილება? თანაც, საეჭვოა, ამ გადანაწილებამ არ გამოიწვიოს მღელვარება იმ გლეხებს შორის, რომელთაც მოუწევთ საკუთარი წილიდან დაუთმონ მიწა სხვა გლეხებს. გლეხი იმას უფრო დასთანხმდება, მემამულეს დაუთმოს ან გაუნაწილოს თავისი ნადელი, ვიდრე – გლეხს. პირველ შემთხვევაში გლეხის თანხმობა, შესაძლოა, გამოიწვიოს იმის გაცნობიერებამ, რომ მიწა, რომელიც მან მემამულისაგან მიიღო ნადელად, მაინც ამ უკანასკნელს ეკუთვნის, მაგრამ მეორე შემთხვევაში თანხმობის მიღწევა შეუძლებელია. გლეხს, უბრალოდ, უცნაურად მოეჩვენება, რატომ უნდა დაუთმოს სხვას თავისი ნადელის ნაწილი, როდესაც ამ უკანასკნელს არავითარი უპირატესობა არ აქვს იმ ნადელის ფლობის თვალსაზრისით, რომელითაც იგი უხსოვარი დროიდან სარგებლობდა ამ სრულიად უცხო პირის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. ამ მუხლის მეორე ნაწილით რთულია იმის გაგება, რა ჯილდოზეა საუბარი ან რომელი დამატებითი ნაკვეთებიდან უნდა მოხდეს დაჯილდოება ან კონკრეტულად რომელ გლეხებს შორის ხდება სოფლის საზოგადოებისათვის გადასაცემი მიწების გადანაწილება? რა სოფლის საზოგადოებაზეა ლაპარაკი და ვინ შედიან მასში: მხოლოდ მემამულეები თუ კიდევ სხვა გლეხები სხვადასხვა უწყებებიდან? ჩემი აზრით, როდესაც სიმართლე სიმართლეს არ ჰგავს, იქ შეცდომა გარდაუვალია. ამგვარი დაყოფა შეცდომაა, რასაც საფუძვლად უდევს საქმის მიზანმიმართული ჩახლართვა სიმართლის დასამალად. ეს მუხლი ნათლად ადასტურებს ჩვენს აზრს იმის თაობაზე, რომ გლეხს ჩამოსაჭრელი მიწა აღარ დარჩა. როგორც კი თქვენ ამგვარ დაყოფას დაუშვებთ, ყოველ ნაბიჯზე მსგავს გაუგებრობას გადააწყდებით. ეს გლეხებს საარსე-

ბო წყაროს აკარგვინებს, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ შეუძლებელს ხდის მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. საქართველოში ნამდვილად შეუძლებელია ამგვარი გადანაწილებების განხორციელება. ორიდან ერთია: ან ყველაფერი, რასაც ფლობს და რითაც სარგებლობს გლეხი ამჟამად, მასვე უნდა დარჩეს განსაზღვრული ბეგარის საფასურად, ან ჩამოერთვას ყველაფერი და გადაეცეს მემამულეს, გლეხი კი ღვთის ანაბარა დარჩეს, მოჰყვეს ხეტიალს და რაიმე საშუალებით იშოვოს ლუკმა-პური. ჩვენ კი კარგად მოგვეხსენება, ამას როგორც მიაღწევს. ამგვარი გადანაწილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე მემამულის მამულში. ასეთია, მაგალითად, თავად ივანე მუხრანელის მამული.

& 40

საიდან მოიტანეს აქ ურთიერთნებაყოფლობითი შეთანხმება? თუ კანონი განსაზღვრავს გარკვეული ნადელის ოდენობასა და ხარისხს, რა შუაშია ურთიერთნებაყოფლობითი შეთანხმება? ნადელის დამტკიცების დრო პირდაპირ უნდა იყოს დათქმული კანონში, არ არის საჭირო მისი გადადება ორი წლით. დებულების გამოქვეყნებისთანავე თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს ის, რაც ერგება. გარდა ამისა, რა მოხდება ამ ორ წელში? რა დარჩება ერთ ან მეორე მხარეს და რა ვალდებულებები დაეკისრება გლეხს, ან რით ისარგებლებენ მემამულეები? თუ ამ ორი წლის განმავლობაში ბატონყმური ქონებრივი უფლება შეინარჩუნებს თავის ძალას, მაშინ, ვეჭვობ, ამაზე შესაძლებელი იყოს დათანხმება. იქნება კი ასეთი დებულება ხელსაყრელი ორივე წოდებისათვის, რომლებიც დაღალა ბატონყმობის საკითხის დროულად გადაწყვეტის მოლოდინმა? ეს და შემდგომი მუხლები, რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმით, რომ ცენტრალურმა

კომიტეტმა მხედველობაში არ იქონია ყველა მონაცემი, რათა საქმე ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა და არ გადაედო კიდევ ორი წლით. ეს ორი წელი სულაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საბოლოოდ გაიმიჯნოს გლეხის მიერ ნადელითა და მემამულის საკუთრებით სარგებლობის უფლების საზღვრები.

& 43

თუმცა, ისურვებს კი მემამულე იმ მიწების მიღებას, რომელთა დათმობაზეც ამ შემთხვევაში თანხმობას განაცხადებს? ამას შეიძლება მოჰყვეს გაუთავებელი დავა, რომლის გადაწყვეტაც სამომრიგებლო ხელისუფლებას უამრავ დროს წაართმევს.

ვინ იქნება თავდები იმისა, რომ ამ და სხვა შემთხვევაში გადანაწილება სამართლიანად მოხდება? გარდა ამისა, იქნება კი შესაძლებელი ამგვარი მიწების გადანაწილება საველე და სხვა ადგილ-მამულების ძლიერი ზოლმიწიანობის შემთხვევაში? ან იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობია იმ მიწებისა და ადგილ-მამულების საერთო რაოდენობა, რომლებიც გაყოფას ექვემდებარება? ხომ არაა საჭირო სამიჯნო ქმედებები და თუ საჭიროა, მაშინ რამდენად სწრაფად შეიძლება ამის მოსწრება?

შენიშვნა: ჩემთვის გაუგებარია, რისთვის იყო საჭირო ამ შენიშვნის მეორე ნახევარი. გლეხები ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულნი არიან, შეამცირონ თავიანთი მიწები და მათი მხოლოდ ნახევარი დაიტოვონ. თუ შენიშვნა გულისხმობს გლეხის ნახევრის მემამულისათვის დაბრუნებას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნახევრის სანაცვლოდ გლეხები მიიღებენ მემამულის მიწებს, რომლებსაც მფლობელი არ იყენებს, თუმცა ვარგისია. და თუ ამას არ გულისხმობს, აბა რაღა საჭირო ამ გამოუყენებელი მიწების ხსენება? მიმაჩნია, რომ ამ შენიშვნის მეორე ნახევარი, რომელიც სრულიად ზედმეტია, პროექტიდან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული.

& 45

ეს როგორ? რატომ არის დაშვებული აქ გამონაკლისი? ნუთუ ბოსტნები, რომლებიც არ შედის საადგილმამულო მიწების შემადგენლობაში, ნადელს ექვემდებარება? სად არის ამის შესახებ ნათქვამი? ან კიდევ, რას ნიშნავს გამონათქვამი: ნადელის თავდაპირველი დადგენისას? ნუთუ კიდევ იქნება შემდგომი დადგენილება და თუ იქნება, მაშინ, მსგავს შემთხვევაში შესაძლოა ნადელები გლეხების თანხმობის გარეშეც ჩამოიჭრას? რაღაც ვერ გავიგე. რა საჭიროა მსგავსი ორაზროვანება კანონში?

& 46

ეს მუხლი პირდაპირ წინააღმდეგობაშია ყველა წინამდებარე მუხლთან. ან კი, ან არა. ან დადგინდეს გლეხთა ნადელის ნაწილის ჩამოჭრის უფლება მემამულის სასარგებლოდ, ან – არ დამტკიცდეს. ხოლო თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ამგვარი უფლების აღიარება, მაშინ რაღაში სჭირდებათ სამწლიანი შეღავათი ან ერთ და ან მეორე მხარეს. ისინი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სრულ გაურკვევლობაში იქნებიან, არ ეცოდინებათ საკუთარი მდგომარეობა. გარდა ამისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გასამრჯელო, რომელიც ამ მუხლის მიხედვით გლეხს უნდა გადაუხადოს მემამულემ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი გლეხებისაგან ვადაზე ადრე მოითხოვს მათ განკარგულებაში არსებული მიწების ჩამოჭრას, უნდა იყოს დროებითი, არა უმეტეს სამი წლისა. ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩამოჭრილი მიწა აუცილებლად უნდა გადაეცეს მემამულეს. ცუდი არ იქნება, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამის შესახებ რამე ითქვას კანონში, და ზოგადად, განიმარტოს ეს მუხლები, კონკრეტულად რისთვის და რომელ ნახევარზე ივარაუდება ეს გასამრჯელო.

& 47

არ მგონია, ეს ადვილად შესასრულებელი იყოს ისეთი ნაკვეთების პირობებში, რომლებიც მიმოფანტულია, ძლიერი ზოლმიწიანობით ხასიათდება და შეადგენს როგორც მემამულის, ისე საგლეხო კომლების საკუთრებას.

& 48

ამ მუხლის მიხედვით, მის ბოლო პერიოდში, გასამრჯელო თითქმის სავალდებულო ხდება, რაც წინააღმდეგობაში მოდის 48-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც მემამულეების მხრიდან ამგვარი ვალდებულება დაუშვებელია. გარკვევით უნდა იქნას ნათქვამი, რისთვის ივარაუდება გასამრჯელო: იმისთვის ხომ არა, რომ გლეხთა ნადელის ნახევარიც, ჩამოჭრის შემდეგ, უნდა გადაეცეს მემამულეს, თუ ეს უკანასკნელი ამ ნახევრის სანაცვლოდ მიუთითებს მოხერხებულ ადგილებს. ან იქნებ იმისთვის, რომ გლეხს საერთოდ ეჭრება მიწის ნახევარი, რაც ვერ მოხდება განსაკუთრებული ანაზღაურების გარეშე? ამ და წინა პარაგრაფებიდან ამის გამორკვევა შეუძლებელია.

& 49

სავარგულებისა და სარწყავი მიწების გამიჯვნა უნდა მოხდეს ახლავე, საგლეხო რეფორმის გატარების დასაწყისშივე. წინააღმდეგ შემთხვევაში საშინელ, დაუსრულებელ არეულობასა და დავას ექნება ადგილი.

& 50

მას შეუძლია მოითხოვოს, თუმცა ვინ მისცემს გარანტიას, რომ მისი უფლება შეწყნარებულ იქნება?

შენიშვნა: რატომ? ვფიქრობ, ორივე მხარეს ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეთ. საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე წოდება საუკეთესოდ იქნას უზრუნ-

ველყოფილი. ხოლო უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს აქვს დამოუკიდებელი უფლება განკარგონ კუთვნილი ქონება, რათა ერთ ფენას ჰქონდეს შესაძლებლობა, შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ხოლო მეორემ ისე გამოიყენოს საკუთარი უფლებები, როგორც მოესურვება. თუკი მემამულეს მინიჭებული აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი მიწების გამოყოფა, მაშინ იგივე უფლება უნდა მიენიჭოს გლეხსაც. სხვა შემთხვევაში იგი არაა უზრუნველყოფილი და მისი ბედი დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, რომელსაც ძნელად თუ გაექცევა. ვინაიდან იგი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მიწა, რომელიც მას ნადელად ერგო და კიდევ სხვა სავარგულები მომავალში მასვე დარჩება, არ შეუძლია თავისი ყოფის გაუმჯობესება. იგი იძულებულია ელოდოს, სანამ მემამულე არ დასთანხმდება, რომ მისცეს მას ამის იმედი. ამ იმედების ხორცშესხმის მოლოდინში გლეხი და მისი მეურნეობა ისეთ გაურკვევლობაში აღმოჩნდებიან, რომ საეჭვოა, მისთვის არსებობდეს ამგვარი უბედურების თავიდან აცილების შესაძლებლობა, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი უკვე გვიანი იქნება ხელისუფლების ჩარევა, თუკი საერთოდ ჩაერია.

& 51

მალე კი ეღირსებათ ეს ზომა! არადა ძალზედ მნიშვნელოვანი ზომაა. საჭირო იყო მასზე მეტი დაფიქრება და გარჯა.

&52

ურიგო არ იქნება, გამიჯვნა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ზოლმიწიანობას არ აქვს ადგილი. მიმაჩნია, რომ სიტყვა გამიჯვნაში უნდა იგულისხმებოდეს იმგვარი გამიჯვნა, რომელიც, ერთი მხრივ, გლეხის სარგებლობაში მყოფ მთელს ნადელს განსაზღვრავდა, ხოლო,

მეორე მხრივ მემამულის საკუთრებაში დარჩენილ ყველა მიწასა თუ სავარგულს, რათა ამგვარი გამიჯვნით თითოეულ მხარეს მიეცეს უფლება, სურვილისამებრ განკარგოს საკუთარი წილი. თუკი გამიჯვნას გავიგებთ ისე, როგორც ზემოთ ავხსენი, მაშინ ორმხრივი სარგებლისათვის აუცილებელია, რომ იგი იყოს საყოველთაო და არ მოხდეს ნაწილ-ნაწილ; ახლავე უნდა გაირკვეს, რა რჩება ერთ მხარეს და რა ეთმობა მეორეს; თითოეულ მხარეს რა ვალდებულება ეკისრება მეორის სასარგებლოდ, რათა, გვეცოდინება რა წინასწარ ეს უფლებები და მოვალეობები, მოგვეცეს შესაძლებლობა, მათი შესრულება არ მივანდოთ შემთხვევითობას, დროს ან ამა თუ იმ წოდების ახირებას, არამედ რეალურად მოვიყვანოთ სისრულეში. გამიჯვნის ამგვარი განსაზღვრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ, სადაც ვალდებულებითი ურთიერთობები აღიარებულია აუცილებელ პირობად გლეხთა საკითხის გადაწყვეტაში. ამის გარეშე აღნიშნული საკითხის ნებისმიერი სახის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ მხარის თვითნებობაზე, ასევე ხელისუფლების თვითნებურ ჩარევაზე, სამომრიგებლო დაწესებულებების სახით.

&53

დაუშვებელია საბალახო ადგილების ყოველგვარი გამიჯვნა. ეს ადგილები, როგორც უკვე ავხსენი, უნდა დარჩეს ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა საერთო სარგებლობაში.

&55

რამდენი კამათი და გაუგებრობა უნდა გამოიწვიოს ამ უმნიშვნელო წესმა! ძნელია ზუსტად განსაზღვრო ამა თუ იმ მიწის ან სავარგულის ღირებულება, ხოლო ამის შეძლებისდაგვარად განსაზღვრაც, ვფიქრობ, არაფრისმომცემია. ნუთუ არ შეიძლება, რომ ეს გაკეთდეს

ნებაყოფლობითი თანხმობით, ხელისუფლების ჩარევის გარეშე? ამ დებულების თითოეული მუხლი ითვალისწინებს ყველა კამათსა და გაუგებრობას. ვეჭვობ, შესაძლებელი იყოს ამ გაუგებრობებსა და განხეთქილებებზე დავაფუძნოთ საკითხის გადაწყვეტა, საკითხისა, რომელზეც მთელი მხარის კეთილდღეობაა დამოკიდებული.

& 56

ეს ყველაზე საშინელი და თვითნებური კანონია. ამ მუხლის დაშვებით გლეხს სულ მოუსპობთ ოდესმე მშვიდად ყოფნის საშუალებას. ვფიქრობ, რომ ამაზე ოცნების საფუძველიც კი არ არსებობს. ან კი რისთვის? მაინც შეუძლებელია გლეხის მხრიდან საკუთარი ბაღის დათმობის მიღწევა. იგი სიცოცხლეს უფრო შეელევა, ვიდრე ბაღს, რომელშიც ჩაფლა მთელი თავისი ქონება, დრო, ჯაფა, უკანასკნელი კაპიკები. აუცილებლად მიმაჩნია, ეს მუხლი ამოღებულ იქნას პროექტიდან, თუკი, რა თქმა უნდა, არ გსურთ გამოიწვიოთ მღელვარება ხალხში, რომელიც ბატონყმობის უღელიდან თავისუფლდება.

&57

ეს მუხლი ყოველგვარ ძალას უკარგავს 56 მუხლს. კმაყოფილნი არ დარჩებიან არც მემამულენი და არც გლეხები. მემამულეები იმიტომ, რომ მათ მაშინვე არ დაუბრუნდებათ ის, რაც კანონით ეკუთვნით, ხოლო გლეხები იმიტომ, რომ მათ ჩამოერთმევათ ის, რისი ჩამორთმევაც არაფრის დიდებით არ შეიძლება. დაბოლოს, თუ გლეხის სარგებლობაში დარჩება ბაღი, რომელიც 9 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ მემამულეს უნდა დაუბრუნდეს, გლეხი მას ისე გაავერანებს, რომ მემამულისთვის კაპიკის ფასი აღარ ექნება. გასაოცარი საშუალებაა იმ წოდებათა ინტერესების უზრუნველსაყოფად, რომელთა შორისაც ძალით ღვივდება დაუძინე-

ბელი მტრობა და სიძულვილი. 56-ე და 57-ე მუხლები დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებულ პროექტიდან და საერთოდაც, ბაღებთან მიმართებაში არ უნდა იქნას დაშვებული სავალდებულო შენაცვლება სხვა სავარგულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას მოჰყვება საშინელი მღელვარება.

& 59

ნუთუ შეიძლება ვინმე ნადელის გარეშე დარჩეს? რაც უნდა იყოს, ნადელი ყველამ უნდა მიიღოს. ამდენად, აღნიშნულ პარაგრაფში გათვალისწინებულ შემთხვევას ვერ ექნება ადგილი იქ, სადაც ნადელი დასაშვებია ნებისმიერისათვის. გარდა ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, თუნდაც ჰქონდეს ადგილი ასეთ შემთხვევას, რომ ჩვენთან ნადელები გაიცეს სოფლის საზოგადოების განაჩენის მიხედვით. ჩვენში წარმოდგენა არ აქვთ სათემო მოწყობისა და მსგავსი განაჩენების შესახებ; ჩვენში ყველა თავად არის საკუთარი ნადელის ბატონ-პატრონი, და, ამდენად, აუცილებელია საქმის ქონა თითოეულ კომლთან ცალ-ცალკე და არა თემთან, რომელიც არ არსებობს და რომლის შექმნაც რთულია. არ შეიძლება ხალხს თავს მოვახვიოთ ისეთი წეს-წყობილება, რომელიც მათი ცნობიერებისათვის უცხოა, და კიდევ საკითხავია, რა სჯობს: თავსმოხვეული წეს-წყობილება თუ ის, რაც უკვე გამოიმუშავა ხალხმა ცხოვრებისეულად?

& 60

ეს მუხლი ძალზე ბუნდოვანია. რა უფლება აქვს სათემო საზოგადოებას დაადგინოს მემამულისათვის განკუთვნილი განაჩენები, რომლითაც მას ეკისრება გარკვეული ვალდებულებები. იგი არ მიეკუთვნება საზოგადოებას და ამ ვალდებულების შესრულება თავადაც არ სურს. გარდა ამისა, თუკი გამიჯვნა მოხდება ნადელის შემდეგ,

ნუთუ მემამულე ვალდებულია კვლავ გამოუყოს მიწა? ასე ბოლო აღარ ექნება მსგავსი სახის ნადელებს და ცვლილებებს საკუთრების სრული უფლებით სარგებლობისას.

& 62

გასაგებია სავარგულების გადატანა ნებაყოფლობითი თანხმობით, მაგრამ დაუშვებელია, ამის რაიმე მიზეზით იძულებით გაკეთება. ამასთანავე, იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებიც ამავე პარაგრაფშია განხილული, არ შეიძლება არ ითქვას, რომ არც ერთ მათგანს არ აქვს სწორი საფუძველი, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ყველა კარ-მიდამო, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა მაინც, ერთმანეთისაგან იმ მანძილითაა დაშორებული, რაც კანონშია მითითებული. განა შეიძლება დავუშვათ მათი გადატანა?ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, ვინ იქნება იმის თავდები, რომ გლეხები ახალ ადგილას ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი იქნებიან? მეორეც, ამგვარი მიზეზი ვერასდროს იჩენს თავს და თუ იჩინა, რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი გლეხისთვის ნადელი აქვე შევათანხმოთ, რათა აღარ იყოს საცხოვრებელი ადგილიდან მისი გაგდებისა მიზეზი. საცხოვრებელი ადგილი უმთავარესია გლეხისათვის. სწორედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა მიეცეს გლეხს ნადელი და არა ნადელის მიხედვით – საცხოვრებელი. და მესამე, არც ეს მიზეზი იარსებებს, ვინაიდან საველე მიწების გამიჯვნას არავითარი კავშირი არ აქვს კარ-მიდამოების გადატანასთან; რა საერთო შეიძლება ჰქონდეს საველე ნაკვეთებსა და კარ-მიდამოებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა ადგილას მდებარეობს? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ნებისმიერი ასეთ ქმედებას საფუძვლად უნდა ედოს ნებაყოფლობითი თანხმობა გლეხებსა და მემამულეებს შორის; განსაკუთრებით აუცილებელია გლეხების თანხმობა, ვინაიდან მათ მეტი უფლება

აქვთ, დარჩნენ ძველ საცხოვრებელ ადგილას, ვიდრე მემამულეებს, რომელთაც მათი გასახლება სურთ.

შენიშვნა: პირველ ყოვლისა, ეს შეუძლებელია. გლეხებს საკუთრივ კარ-მიდამოებთან აქვთ მთელი თავიანთი საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა. ამდენად, როგორ შეიძლება ეს აღჭურვილობა უშუალოდ არ იყოს დაკავშირებული კარ-მიდამოსთან? და რამდენადაც არის კიდეც დაკავშირებული, განა ზიანს არ მიაყენებს ამგვარი გადატანა კარ-მიდამოებს და, ზოგადად, გლეხთა ყოფას? ამასთანავე, გადატანის შემთხვევაში ვინ იქნება იმის თავდები, რომ მითითებული მანძილის დაშორებით იქნება ისეთი მოსახერხებელი ადგილები, სადაც ზარალის გარეშე მოეწყობიან გლეხები? და ბოლოს, იქნება კი ყოველთვის შესაძლებელი ამ დაშორებით ასეთი ხელსაყრელი ადგილების მონახვა?

ვფიქრობ, ყველა ეს მუხლი კარ-მიდამოს იძულებით გადატანის შესახებ, გლეხთა ყოველდღიურ ცხოვრებაში საყოველთაო არეულობას გამოიწვევს და ვერც მემამულეებს უზრუნველყოფს. ერთადერთი გამოსავალი ნებაყოფლობითი შეთანხმებაა,ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი იძულებისა და ჩარევის გარეშე.

&& 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77 და 78

ყველა ეს პარაგრაფი გაუთავებელ კამათსა და უკმაყოფილებას იწვევს, რისი თავიდან აცილებაც აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ზიანს მიაყენებთ გლეხთა გათავისუფლების საქმეს. ვფიქრობ, არ უნდა არსებობდეს არანაირი მიზეზი საიმისოდ, რომ შევაწუხოთ ხალხი, ავყაროთ ისინი საცხოვრებელი ადგილიდან და გადავასახლოთ ახალ ადგილებზე, სადაც მათ ექნებათ ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველა პირობა (თუმცა, ჯერჯერობით ამის არავითარი გარანტია არ არსებობს). ეს სახიფათო და არაფრისმომცემია თავად მემამულეე-

ბისთვისაც, რომელთა მიმართაც გლეხები საშინელი სიძულვილით განიმსჭვალებიან. ეს სახიფათოა სახელმწიფოსთვისაც, რომელიც ვერ დაიცავს მხარეს უწესრიგობისა და ძარცვისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ხალხის იძულებით განდევნას საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან. ამასთან დაკავშირებით, მქონდა შესაძლებლობა, დაწვრილებით მესაუბრა ჩემს წერილში, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს გადავეცი. ცენტრალურმა კომიტეტმა კი, როგორც ჩანს, ამ პარაგრაფებში ნავარაუდები საკითხების გადაწყვეტისას ეს წერილი მხედველობაში არ იქონია. ამასთანავე, არ არსებობს არავითარი საჭიროება იმისა, რომ განადგურდეს გლეხების კუთვნილი ესა თუ ის შენობა, ვინაიდან განადგურების (რაც ძალზე ადვილია) შემდეგ მათი ხელახლა მოწყობა მეტისმეტად რთულია. თუ თქვენ გსურთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში დაშვებული იქნას კარ-მიდამოს გადატანა და მიგაჩნიათ, რომ ეს გარდაუვალია, მაშინ დაუშვით, მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელისუფლების ყოველგვარი მონაწილეობისა და ჩარევის გარეშე; საერთოდ ნუ იქნება დებულებაში სიტყვა **იძულებითი**.

&79

რატომ ახლავე არ შევეცდებით, მივცეთ ისეთი ნაკვეთი, რომელსაც ვერც ერთი გაცვლის და ვერც მეორე? გაცვლა მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა მოხდეს, ხელისუფლების ჩარევის გარეშე; წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე გამოვა, რაც გლეხთა კარ-მიდამოს გადატანისას იყო.

&& 80, 81, 82

მემამულისათვის მინიჭებული ეს უფლება ყოველმხრივ გაუმართლებელია. მეურნეობისა თუ კარ-მიდამოს გაფართოებისა და მოწყობის მიზეზით მემამულე მუდმივად შეაწუხებს გლეხს, რომ როგორმე მიაღწიოს ან

მის განდევნას საცხოვრებელი ადგილიდან ან ბეგარის გაზრდას, რომელსაც იგი ამა თუ იმ სავარგულის ნებისმიერი უმნიშვნელო მოხმარებისათვისაც კი აკისრებს გლეხს. მიწის ან კარ-მიდამოს სავალდებულო გაცვლის ვერც ერთი მიზეზი, რომელიც 81-ე პარაგრაფშია მითითებული, ვერ იქნება შეწყნარებული, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ სწორი საფუძველი. მით უფრო არ შეიძლება ამ წესების დაშვება ვენახებთან მიმართებით, სადაც გლეხებმა მთელი თავიანთი ჯაფა და სახსრები ჩადეს და უფრო მეტი უფლება აქვთ ვენახების გაშენებისა, ვიდრე უბრალოდ მფლობელ მემამულეს. თავად მიწას არ აქვს იმხელა ფასი და ღირებულება, რამხელაც – გლეხის მიერ ჩადებულ შრომას და კაპიტალს. ბოლოს და ბოლოს, თუ აძლევთ რამეს გლეხს, დაანებეთ თავი, დაე, მოიხმაროს ბოძებული ისე, როგორც მას მოესურვება. ნუ აიძულებთ გადასახლებას, ნურც საკუთარი ნადელის იძულებით გაცვლას. მიეცით მას მშვიდად, ყოველგვარი შიშისა და იძულების გარეშე ცხოვრების იმედი. ამ იმედის გარეშე იგი ვერ იქნება ბედნიერი, არ ექნება საკუთარი ყოფისა და მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა. მთელი მისი ცხოვრება, დამოკიდებული იქნება შემთხვევითობაზე, ახირებაზე, თვითნებობაზე, რითაც თქვენ ისინი სამუდამოდ დაუკავშირეთ სავალდებულო პირობებს. ეს კი საერთო ჯამში არავითარ სიკეთეს არ უქადის გლეხს, გარდა არამყარი მდგომარეობისა; მისი ბედი, მიუხედავად მონობიდან გათავისუფლებისა, მაინც იმათ ხელში რჩება, ვისაც საუკუნეების მანძილზე შებორკილი ჰყავდა გლეხის მდგომარეობით. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ამგვარი წესების შედგენა მაშინ, როცა ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ გლეხკაცი უზრუნველყოფილ იყოს საარსებო საშუალებებით და მშვიდი მდგომარეობით მთელი სავალდებულო ურთიერთობის (რომელიც მხოლოდ მემამულეს მოუტანს სარგებელს)

განმავლობაში და ისიც (ღმერთმა უწყის) გლეხისათვის ნებისმიერ შემთხვევაში სახიფათოა. პიროვნების თავისუფლებისადმი პატივისცემის გამო, იმის გამო, რომ გლეხთა ბედის ამგვარმა განსაზღვრამ არ გამოიწვიოს არეულობა და მიეცეს ამ ხალხს იმის იმედი, რომ მათი ბედი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება, მოუღეთ ბოლო ყველა ამ სავალდებულო და იძულებით გადაადგილებებს, მიწისა და ადგილ-მამულების გაცვლებს და ამით, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით მაინც მიუახლოვდებით ჭეშმარიტებას. თუმცა გლეხთა საკითხის ამგვარი გადაწყვეტით სრულსამართლიანობას მაინც ვერ მიაღწევთ.

& 83 1-ლი პუნქტი

ვინ ან როგორ განსაზღვრავს ამას? თუკი არ არის მომიჯნავედ ასეთი ნაკვეთი, მაშინ? რამხელა თვითნებობა შეიძლება გამოიწვიოს შემდეგმა სიტყვებმა „თანაბარი ღირებულების მქონე მიჯნები“.

& 84

ამ კანონის მიხედვით, ისაა მართალი, ვინც უფრო ძლიერია. სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია ამ წესების დაშვება იძულების გზით, ისინი დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ ნებაყოფლობით თანხმობაზე.

& 85 და 86

ეს მუდმივი მოხმარება მაშინაა კარგი, როდესაც გლეხს ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოერთვას მიწა და ბაღები იძულებითი გადაადგილებისა ან მათი სხვა მიწებსა და ადგილ-მამულებზე იძულებითი გაცვლის ძალით.

& 87

ეს ძალზე ბუნდოვანია. უნდა დადგინდეს ამ ნაკვეთების მემკვიდრეობით გადაცემის კანონიერი წესები, მხოლოდ იმ მითითებით შემოფარგვლა, რომ ყველა ამგ-

ვარი გადაცემა ხორციელდება არსებული ადგილობრივი ჩვეულებების მიხედვით, ვფიქრობ, საკმარისი არ არის. საჭიროა, კანონში მითითებული იყოს ყველა ზემოხსენებული წესი და, მათ შორის, თავად გადაცემის წესიც, რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი კამათი და უთანხმოება, რაც შესაძლოა გამოიწვიოს კანონის გაურკვევლობამ და ბუნდოვანებამ.

& 88

ცუდი არ იქნებოდა გარკვეული თავდებობის დაშვება საზოგადოებისა თუ კერძო პირების მხრიდან, რასაც შესაძლოა დასთანხმდეს მემამულე. რატომაა მხოლოდ ბაღებისა და წისქვილების გადაცემა შესაძლებელი ნებისმიერი წოდების გარეშე პირისათვის, და არა ყველაფრისა ან იმის ნაწილისა, რასაც გლეხი ფლობს? რა საჭიროა ასეთი შეზღუდვა? ვფიქრობ, საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ უკლებლივ ყველა წოდებას უნდა მიენიჭოს სოფლის მიწების, ბაღებისა თუ სხვა ადგილმამულების მუდმივი ან დროებითი შეძენისა უფლება.

& 89

რატომ, როდესაც მას შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება და ამგვარი მფლობელობა არც არავის უშლის ხელს?

& 91

არ მგონია, აუცილებელი იყოს გლეხის შევიწროება ამგვარი წესებით. მიეცით მას უფლება, შეასრულოს თავისი მოვალეობები და საკუთარი ნადელი სურვილისამებრ განკარგოს. მის ხელთ ხომ, ნადელის გარდა, სხვა არც არაფერია. რაღა შეზღუდვებზეა აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, აქ თავისთავად იგულისხმება ის, რომ ნადელის განკარგვით მან ზიანი არავის არ უნდა მიაყენოს. ხოლო თუ ეს მოხდება, მაშინ მიეცით საშუალება

დაზარალებულს, რომ თავისი უფლებები კანონიერი გზით დაიცვას, განსაკუთრებით, იმ წესებისაგან, რომლებიც არსებითად არაფერს განსაზღვრავს და დარწმუნებული ვარ, რომ არავინ დაზარალდება. ამდენად, ამის შესახებ არც არაფერია დასაწერი დებულებაში, რომელშიც გადმოცემული უნდა იყოს მხოლოდ გლეხთა საქმის საუკეთესო გზით გადაწყვეტის წესები და შესაძლოა ორივე წოდების უკეთ უზრუნველყოფისაც.

& 92

კვლავაც ზედმეტი მუხლი; ეს ხომ თავისთავად გამომდინარეობს მიწისა და სხვა ადგილ-მამულების მფლობელობის წესიდან, – ეს წესიღა აკლდათ გლეხებს! ზედმეტია, ასევე ამ მუხლის შენიშვნაც, იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც უადგილოა თავად მუხლი; შენიშვნა, რომელიც მას მხოლოდ მემამულეთა მიმართ იღებს მხედველობაში.

& 93

ამ მუხლის საპირისპიროდ შემიძლია გავიმეორო იგივე შენიშვნები, რომლებიც გამოვთქვი იმ მუხლების საწინააღმდეგოდ, სადაც საუბარი იყო წყლით სარგებლობის უფლებაზე. წყლითა და სარწყავით სარგებლობა უნდა ეფუძნებოდეს ჩვეულებას, რომელსაც სრული უპირატესობა აქვს სხვა წესებთან შედარებით. თუმცა ზედმეტი არ იქნებოდა ამ ჩვეულებების შესახებ ცნობების შეგროვება მათ წესრიგში მოსაყვანად და ახალ კანონმდებლობაში შესატანად.

შენიშვნა: და სანამ გლეხებს ნებას დართავენ, მანამდე ისინი წყლის გარეშე უნდა იყვნენ და წყურვილითა და შიმშილით დაიხოცონ? ნუთუ არ შეიძლება, რომ ამ დავის გადაწყვეტამდე გლეხებს წყლით სარგებლობის უფლება მიეცეთ და როდესაც მას მიუთითებენ ამ უფლებით სარგებლობის სხვა საშუალებას, მხოლოდ ამის შემდეგ აეკრძალოს წყლით სარგებლობა?

&& 93, 94 და 95

ამ და სხვა დანარჩენი პარაგრაფის მიხედვით, ყველა უფლება ენიჭებათ მემამულეებს, ხოლო ყველა ვალდებულება ეკისრებათ გლეხებს, რომელთაც, ამ დებულების მიხედვით, უფრო მძიმე ტვირთი აწვებათ, ვიდრე ძველი წესრიგის დროს. ამის შედეგად გლეხს დაენანება დაკარგული მონობა, რომელიც უფრო მეტ უფლებასა და შემოსავალს აძლევდა, ვიდრე ამ მონობიდან გათავისუფლების შემდეგ იღებს. ნუთუ ამგვარ გადაწყვეტილებას მოითხოვდა საგლეხო რეფორმა და ბატონყმური მდგომარეობის განადგურება? შემდგომ, 95-ე პარაგრაფში, სადაც ნადირობის უფლებაზეა საუბარი, წარმოდგენილია ძალზე სასაცილო წესები, რომლებიც იწვევენ არამარტო სიცილს, არამედ გლეხთა შორის საშინელ გაუგებრობასაც. მათთვის სრულიად გაუგებარი იქნება, რატომ არ ექნებათ ნადირობის უფლება იმ მიწებზე, რომლებიც მათ სარგებლობაშია. ისინი ხომ ბატონყმობის პერიოდში ყოველთვის სარგებლობდნენ აღნიშნული უფლებით არამარტო ამ მიწებზე, არამედ სხვა ადგილებშიც, რომლებიც ამა თუ იმ დასახლების შემადგენლობაში შედიოდა. ასევე, არ შეიძლება გლეხებს ჩამოვართვათ თევზაობის უფლება და ყოველივე იმისა, რასაც ზემოთმოყვანილი პარაგრაფი ითვალისწინებს. ახალმა დებულებამ შემცირების ნაცვლად უნდა გაზარდოს ბატონყმობით შევიწროებული გლეხების უფლებები და ამის შედეგად სრულიად სხვა სახე მიიღოს.

& 96 შენიშვნა

ვფიქრობ, აღნიშნულ დებულებაში ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. თავად პირობაში, ალბათ, წინასწარ იქნება განსაზღვრული ორმხრივი ხელშეკრულების ყველა შედეგი. რა თქმა უნდა, ეს მხარეები უკეთ მოახერხებენ საკუთარი ინტერესების დაცვას, ვიდრე ეს არაფრისმომცემი შეზღუდვები.

& 97

საიდან უნდა იცოდნენ მათ წესები და სამშენებლო წესდების დადგენილებები. ცუდი არ იქნებოდა მოკლედ მაინც გასცნობოდნენ ამ დადგენილებებს, რათა თავიდან ავიცილოთ ბრალდებები მემამულეების, საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან.

პუნქტი 1-ლი. რა საჭიროა ეს წესები, როცა თქვენ არა მხოლოდ ხელახლა გაშენებაში უშლით გლეხს ხელს, არამედ ანადგურებთ ძველ შენობებსაც გარკვეულ ტერიტორიაზე? კვლავაც ვიმეორებ ჩემს სურვილს იმასთან დაკავშირებით, რომ გლეხებს მიეცეთ ნება, ისე განკარგონ საკუთარი ნადელი, როგორც მათთვის იქნება ხელსაყრელი და სასურველი და არ შეავიწროვონ ისინი არანაირი შეზღუდვებით.

& 100

სადღაა მუდმივი სარგებლობა და კაბალა მემამულეთა მიწაზე? ეს ეწინააღმდეგება იმ ძირითად საწყისებს, რომლებიც მიღებულია გლეხთა მიერ საკუთარი ნადელით მუდმივი სარგებლობის გათვალისწინებით ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ბეგარის საფასურად. მერედა, როგორ შეძლებთ დაავალდებულოთ თავისუფალი ადამიანი, იქონიოს სარგებლობაში ის, რისი გამოყენებაც მას არ სურს? ამგვარი წესი ეწინააღმდეგება ყველა იმ ძირეულ საწყისს, რომელიც გამომდინარეობს სიტყვის თავისუფლებიდან. თავისუფლება და სავალდებულო კაბალა ერთმანეთთან შეუთავსებელია. ერთის არსებობის შემთხვევაში მეორის არსებობა შეუძლებელია, და პირიქით. ნამდვილად არ მესმის, რას შეიძლებოდა ეიძულებინა კომიტეტი, შეედგინა ასეთი არაფრისმომცემი კანონი. ნუთუ იმის შიშს, რომ გლეხები თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან გადავიდოდნენ იქ, სადაც მათ შესაძლოა არსებობის საშუალებები გამოსჩენოდათ? თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ შეუქმნიან გათა-

ვისუფლებულებს ისეთ პირობებს, რომ ისინი აღარ გადასახლდნენ და აღარ დატოვონ საკუთარი საცხოვრებლები და ყოველივე ის, რაც ამ ადგილებსა და საცხოვრისებთან აკავშირებთ? ხოლო თუ ეს სხვა განზრახვით ხდება, მაშინ ამ განზრახვებს არავითარი გამართლება არ აქვს. თავისუფალი ადამიანი, რომელსაც ავიწროვებენ, უკმაყოფილოა, მუდმივ ჩხუბსა და დაძაბულობაში იმყოფება იქ, სადაც ცხოვრობს, რა თქმა უნდა, გაექცევა ამ უსიამოვნებებს და შეეცდება იპოვოს ისეთი თავშესაფარი, სადაც შეძლებს მშვიდად და უჭირველად ცხოვრებას. როგორ შეიძლება ხელი შევუშალოთ ასეთ ადამიანს, რომელიც სწორედ ამ მოსაზრებით მონახავს შემთხვევას თავისი საცხოვრებლიდან სხვა ადგილას გადასასვლელად. რასაკვირველია, თუკი მისთვის უფრო ხელსაყრელი მემამულის მიწაზე დარჩენა და ვალდებულებათა შესრულება იქნება, იგი არსად წავა. ხოლო თუ არა და იგი ნებისმიერ შემთხვევაში წავა, რაც უნდა მკაცრი იყოს ახალი დადგენილება. ან კი რა საჭიროა მისი იძულებით დაკავება? ვინ რას მოიგებს ამით? ვფიქრობ, არც არავინ, მით უფრო მემამულე, რომლის სასიკეთოდაცაა შედგენილი ეს კანონდებულება. მიეცით გლეხს თავისუფლება, ნუ ავალდებულებთ იცხოვროს იქ, სადაც არ სურს, მიეცით საშუალება იქონიოს უკეთესი თავშესაფარი, სადაც მიეცემა შესაძლებლობა შეიძინოს რაიმე საკუთრება, ვინაიდან ამის გარეშე, სადაც უნდა იცხოვროს, ყველგან ყმა იქნება. როგორ უნდა დავუკარგოთ მას იმის უფლება, რომ თავი დააღწიოს მონობას დაუყოვნებლივ, როგორც კი მისი პიროვნული თავისუფლების შესახებ გამოცხადდება? რაღა საჭიროა ეს პიროვნული თავისუფლება, თუკი გლეხი ვალდებულია კიდევ 9 წელი მონობაში დარჩეს? საინტერესოა, რა განცდას გამოიწვევდა მასში ეს გადაწყვეტილება პიროვნულ თავისუფლებასთან დაკავშირებით? სიცილს და სიძულვილის გრძნობას როგორც მისი ბედის გან-

მგებელთა მიმართ, ისე იმათ მიმართ, ვინც მას ხელს უშლის დაუყოვნებლივ მიიღოს საკუთარი თავისუფლების განკარგვის უფლება. დაბოლოს, არ მესმის, როგორ შეძლებთ აიძულოთ გლეხი სავალდებულო პირობით აიღოს მემამულისგან რაიმე, თუნდაც ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას არავითარი საკუთრება არ ექნება? გლეხს, რომელმაც მიიღო თავისუფლება, უნდა ჰქონდეს იმდენი უფლება, რომ თავად განაგოს ეს თავისუფლება ისე,როგორც მას სურს, სრულიად დამოუკიდებლად. მაშასადამე, მას უნდა ჰქონდეს უფლება, დაივალდებულოს თავი მემამულის წინაშე ან უარი თქვას მასთან სავალდებულო ურთიერთობაზე, თუ ეს არ მიაჩნია მომგებიანად; უნდა ჰქონდეს ასევე უფლება, რომ თუ არ ისურვებს მემამულისგან მიწებში ან სხვა ადგილ-მამულებში მიიღოს ნადელი, ეძებოს არსებობის საშუალება იქ, სადაც უკეთესად მოეწყობა. მას უნდა ჰქონდეს მემამულისა და მისი მიწების დატოვების უფლება ბატონყმობიდან გათავისუფლებისთანავე და წავიდეს იქ, სადაც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება. აქედან გამომდინარე, რაღა საფუძველი გააჩნია გლეხის 9-წლიან სავალდებულო მიმაგრებას მემამულის მიწაზე, რომელთანაც მას დიდი ხანია სურდა გაესწორებინა ყველა ანგარიში და გათავისუფლებულიყო მის წინაშე დაკისრებული ყოველგვარი ვალდებულებისაგან. ეს ვალდებულებები არავითარ სიკეთეს არ მოასწავებს მომავალში, გარდა მემამულის მეურნეობის და გლეხის კეთილდღეობის ნგრევისა. ვფიქრობ, რომ გლეხთა ასეთი უსაფუძვლო მიმაგრებით ვერც მემამულეები ნახავენ რაიმე სარგებელს თავიანთი საკუთრებიდან, რომელიც გლეხების განკარგულებაში დარჩება. ამასთან დაკავშირებითაც მქონდა შემთხვევა, ჩემს წერილში დაწვრილებით შემომეთავაზებინა ის წესები, რომელთა საშუალებითაც თავიდან ავიცილებდით სახალხო საქმის ასე გადაწყვეტით მოსალოდნელ ყველა სავალალო შედეგებს. ამიტომ იმედი

მაქვს, ამჯერად მაინც დაუთმობს ცენტრალური კომიტეტი სათანადო ყურადღებას ამ წერილს. საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს*, რათა თავიდან ავიცილოთ საშინელი გაუგებრობები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს გლეხთა საკითხის გადაწყვეტისას უმთავრეს საფუძვლად სავალდებულო პირობების მიჩნევამ.

& 104

რატომ საზოგადოებას და არა მემამულეს? მემამულეს საკუთრების უფლება აქვს გლეხის მთელ ნადელზე და თუკი ეს ნადელი რაიმე შემთხვევის გამო თავისუფალი რჩება, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, ამგვარი თავისუფალი ნადელები გადავიდეს მიწის მესაკუთრეების და არა სხვა პირის ან საზოგადოების მფლობელობაში. მემამულეთა მხრიდან ამ მიწების საზოგადოებისთვის დათმობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ზოგადად, სავალდებულო მოხმარებისა და ამ მოხმარების შეწყვეტის შესახებ დებულების ყველა პარაგრაფი ისე ბუნდოვნად არის გადმოცემული, რომ ვეჭვობ მათი საქმეში გამოყენება მოხერხდეს. გარდა ამისა, მათში გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები და შემთხვევები, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ორმხრივ ნებაყოფლობით თანხმობას და არა იმას, რომ ამა თუ იმ მხარემ იძულებით აღასრულოს გლეხებისათვის დათმობილი ნადელების განკარგვის წესები.

&& 108, 109 და 110

რამდენადაც, ზემოთ უკვე მივუთითე, რომ მემამულის მიწაზე გლეხთა 9-წლიანი მიმაგრება არ არის პრაქტიკული, ასევე ზედმეტად მიმაჩნია ამ პარაგრაფებ-

---

* წინადადება – „საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს“-ჩამატებულია სხვა ხელით, მელანიც განსხვავებულია (ლ.შ.).

ის დებულებაში შეტანა, ვინაიდან მასში არ შეიძლება იყოს ნახსენები ისეთი რამ, რაც ვერ შესრულდება პრაქტიკაში.

&& 111, 112, 113, 114, 115 და ა. შ. 121-მდე, ჩათვლით

ის, რაზეც აღნიშნულ პარაგრაფებშია საუბარი, კარგი იქნებოდა და ადვილად შესასრულებელი, თუ საქმე გვექნებოდა ისეთ მიწებთან, რომლებიც მთლიანად სოფლის საზოგადოების საერთო ქონებას შეადგენენ. მაგრამ რამდენადაც საქმე ეხება მხოლოდ მემამულეთა საკუთრებაში არსებულ მიწებს, საეჭვოა ამ მუხლების ქმედითობა და მართებულობა იმ დებულებაში, რომელიც მიწის მესაკუთრეთა უფლებებს არ უარყოფს არამარტო გაუქმებულ ნაკვეთებზე, არამედ გლეხის მთელ ნადელზეც.

ვფიქრობ, არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, რომ სოფლის საზოგადოებას მიეცეს მემამულეთა საკუთრების განკარგვის უფლება და ისეთი განჩინებების შედგენა, რომლებიც არ უნდა იყოს სავალდებულო მემამულეებისათვის. მოყვანილ პარაგრაფებში გათვალისწინებული წესების მიღება გასაგებია იმ შემთხვევაში, როცა გლეხები საკუთრებაში მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებულ ნადელს. მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლება ამის გაკეთება მაშინ, როდესაც ეს ნადელები ჯერ კიდევ მემამულეთა საკუთრებაშია; მემამულეებისა, რომელთაც აქვთ უფლება დააბრუნონ თავიანთ უშუალო განმგებლობაში ის, რაც კანონით მათი საკუთრებაა. აქ, ვფიქრობ, სოფლის საზოგადოებას უფრო ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე მემამულეს, რათა განკარგოს გლეხთა ნადელების თავისუფალი თუ გაუქმებული ნაკვეთები.

& 121

ეს სრულ წინააღმდეგობაში მოდის იმ პარაგრაფთან, რომელშიც მემამულის მიწაზე გლეხის 9-წლიან სავალ-

დებულო მიმაგრებაზეა საუბარი. როგორ შეუძლიათ გლეხებს ან საზოგადოებას ნადელზე უარის თქმა, როდესაც მათ 9 წლის განმავლობაში არ აქვთ საცხოვრებელი ადგილების დატოვებისა და ნადელზე უარის თქმის უფლება? თუ აქ იგულისხმება ამ 9 წლის შემდეგ უარის თქმა, მაშინ ამის მითითება არცაა საჭირო, ვინაიდან დრო გვიჩვენებს, რისი გაკეთება იქნება აუცილებელი ამ ცხრა წლის შემდეგ; ან პირდაპირ რომ ვთქვათ, ყველაფერი, რისი გაკეთებაც ამ მუხლებით ივარაუდება, უნდა გაკეთდეს ცხრა წლის შემდეგ.

& 125

ეს როგორ? რატომ არა სამუდამოდ? თუ მემამულეს საკუთარი მიწა შემოსავალს არ აძლევს, ამ შემთხვევაში კანონი იმით იცავს მის უფლებას, რომ გამოუსწორებელ გლეხს ართმევს ნადელს, მაგრამ არ უბრუნებს მემამულეს. ეს ძალზე გაუგებარია. ამავე პარაგრაფში ნათქვამია, რომ ამ საზოგადოების თითოეულ გლეხს „აქვს უფლება“ დადგენილი ბეგარის საფასურად თავის სარგებლობაში მიიღოს ასეთი ნაკვეთები. თუკი გლეხს ენიჭება აღნიშნული უფლება, ე.ი. შესაბამისად, მემამულეს ეკისრება ვალდებულება, დაუყოვნებლივ დაუთმოს ნაკვეთები იმას, ვისაც მათზე უფლება აქვს, – და თუ ეს ასეა, განა არ ირღვევა, მემამულის ასევე, კანონით აღიარებული საკუთრების უფლება? – რასაკვირველია, ირღვევა და იმისათვის, რომ ეს თავიდან ავიცილოთ, გლეხთა გამოუსწორებლობის გამო მათთვის ჩამორთმეული ნაკვეთები მაშინვე უნდა დაუბრუნდეს მემამულეს.

& 126

ეს პარაგრაფი კი ამ სახით არაფრის დიდებით არ უნდა ყოფილიყო მიღებული. აქ მითითებული შემთხვევის დროს მემამულეს საველე ნადელებზე უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე ბაღებსა და ნაგებობებზე. საველე

ნადელი დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს მემამულეს, ხოლო ბაღები და ნაგებობები გარკვეული თანხის საფასურად უთუოდ უნდა მიეცეს დაუდევარ გლეხს გაწეული შრომისა და ხარჯისათვის. შეიძლება მე ვალების დაუდევარი გადამხდელი ვიყო, მაგრამ ჩემს საკუთრებაზე უფლებას ვერავინ წამართმევს. შესაძლოა ეს საკუთრება ვალების გამო გაიყიდოს, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ მისი ღირებულება ვალების თანხას აღემატება, არავის აქვს უფლება წაართვას იგი მეპატრონეს სასყიდლის გარეშე; ასეთ შემთხვევაში ზედმეტად აღებული თანხა საკუთრების მეპატრონეს უბრუნდება. სწორედ ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდება ხოლმე გლეხთა ბაღები და ნაგებობები, როდესაც ეს უკანასკნელნი ვეღარ ართმევენ თავს მემამულეთა წინაშე დაკისრებულ სავალდებულო პირობებს. მემამულეს შეუძლია მოითხოვოს თავისი პრეტენზიების დაკმაყოფილება, მას ამის სრული უფლება აქვს.მაგრამ არანაირად არ უნდა ელოდოს ბაღებისა და შენობების მიღებას ისე, რომ ზედმეტისთვის (რა თქმა უნდა, თუკი ასეთს ექნება ადგილი) არ გადაუხდის გლეხს. მისი პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ არსებული უფლებები ამ პარაგრაფში ნათლადაა აღნიშნული და სრულიად გაუმართლებელი საშუალებით ირღვევა მათგან უმთავრესი, ძირეული პრინციპი,რომლის მიხედვითაც აღიარებულია შრომაზე გლეხის უფლება. ვფიქრობ, ეს მუხლი დაწვრილებით განმარტებასა და ჩასწორებას მოითხოვს. ნუთუ არ შეიძლება, ამ შემთხვევისთვის მაინც იქნას გამოყენებული ამ დებულების 86-ე ან 132-ე მუხლით გათვალისწინებული წესი? საერთოდაც, მე თუ მკითხავთ, ამ შემთხვევაში აუცილებელია შრომის ანაზღაურება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაანადგურებთ ყველაფერს, თუკი არ უღიარებთ გლეხს შრომის უფლებას, რომელიც გლეხთა გათავისუფლების შესახებ დამტკიცებული დადგენილების ძალით რუსეთში უმაღლეს უფლებად გამოაცხადეთ, ამავე სა-

კითხის ჩვენთან, საქართველოში, გადაწყვეტის საფუძვლად.

& 129

რომელი მონაცემების საფუძველზეა დაშვებული ეს კანონი? ვთქვათ, გლეხმა მოინდომა, რომ გათავისუფლებისთანავე დატოვოს მემამულე და ის საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის და გადავიდეს სხვა ადგილას, სხვა საზოგადოებას მიეკუთვნოს, უარი თქვას ნადელზე და ყველა იმ სარგებელზე, რაც მას ძველ საცხოვრებელ ადგილას ჰქონდა. ნუთუ ასეთ დროს ხელი უნდა შევუშალოთ გლეხს, აისრულოს გულითადი სურვილი? ნუთუ შეიძლება ვაიძულოთ, რომ ამისათვის ვინმეს რამეგადაუხადოს? ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა გაკეთდეს ეს; რაღაში გამოიხატება გათავისუფლება, ან სად გვაქვს აქ გლეხის, როგორც თავისუფალი ადამიანის, უფლება, უზრუნველყოფა? ალბათ, სხვა რამის თქმა სურდათ.

& 130

ცალკეული გლეხი, რომელიც კომლის შემადგენლობაში შედის – ცოტა გაუგებარია. ვინ შეიძლება იყოს ასეთი ცალკეული გლეხი? აქაც ეროგვარ შევიწროებას ვხედავ. ვის შეუძლია ხელი შეუშალოს ასეთ გლეხს, ან ზოგადად ნებისმიერ პიროვნებას, გადავიდეს იქ, სადაც მას მოესურვება და სადაც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება? რა საჭიროა ამისათვის სახლის მეპატრონის თანხმობა? ვფიქრობ, დაუშვებელია ასეთი გლეხის ძალით დაკავება იქ, სადაც არ სურს დარჩენა, თუ, რა თქმა უნდა, მას ამ ადგილთან რაიმე ვალდებულებები არ აკავშირებს, რომლებიც ნებაყოფლობით დააკისრა საკუთარ თავს. დაე, გათავისუფლებულმა გლეხმა საარსებო საშუალება ისეთი კანონიერი ხერხებით ეძებოს, რომლებიც თავისთვის მომგებიანად მი-

აჩნია. დარწმუნებული ვარ, თუ იგი კარგად იქნება ძველ საცხოვრებელ ადგილზე, არც არასდროს იფიქრებს მის დატოვებას, ხოლო თუ არ იქნება კმაყოფილი, მაშინ ნუთუ თქვენ ისევ იმ აზრზე ხართ, რომ ძალით უნდა დავტოვოთ იმ მდგომარეობაში, რომელიც არ აძლევს საკუთარი ყოფის გაუმჯობესების საშუალებას.

& 132

ამ მუხლში არაფერია ნათქვამი ბაღების ანაზღაურებაზე, თუმცა დამოწმებულია 122-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბაღის გაუქმებული ნაკვეთები მემამულეს უბრუნდება. თუმცა ეს საკმარისი არ არის: საჭიროა ამის შესახებ უფრო ნათლად და დაწვრილებით იქნას მოხსენებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს თვითნებობას. ვინაიდან ანაზღაურება ნაგებობებისათვის ძალზე მართებულია, საჭიროა ასეთი წესი დაშვებული იქნას ბაღების მიმართაც, რომელთა სანაცვლოდაც გლეხებს აქვთ უფლება მიიღონ ანაზღაურება, თუკი სხვაგან გადავლენ. თუმცა უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ ამ ბაღების მოწყობისათვის დახარჯული შრომა და კაპიტალი. შესაბამისად, ანაზღაურების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ამ შრომის ღირებულება და დახარჯული კაპიტალის რაოდენობა. ცუდი არ იქნებოდა აქვე ისაც მიგვეთითებინა, თუ როდის რჩება მიწის ნაკვეთები და სხვა მსგავსი ადგილ-მამულები მემამულეს და როდის-საზოგადოებას. ვფიქრობ, არ არის სამართლიანი მათი საზოგადოებისათვის მიკუთვნება მაშინ, როდესაც მათზე გაცილებით მეტი უფლება მემამულეს აქვს. ყოველ შემთხვევაში, გლეხის ნადელის დაბრუნებაზე უპირატესი უფლება მემამულეს უნდა ჰქონდეს და მხოლოდ მისი უარის შემდეგ უნდა გადავიდეს ეს ნადელი საზოგადოების ან იმის საკუთრებაში, ვისთვის მიცემასაც თავად ნადელის პატრონი მოისურვებს.

&& 133 და 134

საინტერესოა, გათავისუფლების შემდეგ გლეხები ერთი, ცალკე საზოგადოების წარმომადგენლები იქნებიან, თუ სოფლის სხვა თავისუფალ მკვიდრებთან ერთად – ერთი საერთო ფენისა, რომლისთვისაც, დიდი ალბათობით, განსაკუთრებული, ამათგან დამოუკიდებელი, წესები იარსებებს; ხოლო თუკი ამ უკანასკნელ ვარაუდს აქვს საფუძველი, მაშინ რიღასთვის არის საჭირო ამ საზოგადოებაში გარეშე პირების მიღების წესების გადმოცემა? ჩემის აზრით, ამ საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს ზოგადად სოფლის მართვისა და სოფლის საზოგადოებების მოწყობის საკითხთან. ამიტომაც, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელ საკითხთან ერთად უნდა იქნას განხილული.

& 136

ვფიქრობ, შეუძლებელია ამგვარი შეთანხმების მიღწევა, და თუ შესაძლებელია, მაშინ აღარაა საჭირო ამის შესახებ წერა, რამდენადაც ნებისმიერს აქვს უფლება გაყიდოს და იყიდოს, რაც მოესურვება. არ არის საჭირო შეზღუდვა ისეთი წესებით, რომელთაც ნებაყოფლობითი თანხმობის შემთხვევაში არ გააჩნიათ პრაქტიკული დანიშნულება. ნებაყოფლობითი თანხმობა აბათილებს ნებისმიერ კანონიერ წესებს და ლაპარაკი კანონში იმის შესაახებ, რომ ამისა და ამის გაკეთება შესაძლებელია ორმხრივი თანხმობით, ვფიქრობ, უადგილოა.

& 139

უნდა დადგინდეს გლეხთა მიერ მემამულისათვის ნადელის სავალდებულო დათმობა და არა სავალდებულო გამოსასყიდი გლეხებისათვის. თუკი ვამტკიცებთ, რომ არ შეიძლება მემამულეები ვაიძულოთ ამა თუ იმ საკუთრებაზე თავიანთი უფლების ნაწილი გაყიდონ, მაშინ ასევე პატივი უნდა ვცეთ გლეხის უფლებასაც და არ

ვაიძულოთ იყიდოს ის, რისი ყიდვაც არ სურს. თუ ამის გაკეთება დაუშვებელია ერთი პირის მიმართ, მაშინ მითუმეტეს არ უნდა დავუშვათ მთელი საზოგადოების მიმართ. უფრო სავარაუდოა, მემამულე დავავალდებულოთ გასაყიდად დაუთმოს გლეხს ის, რაც ამ უკანასკნელს ნადელად მიეცა, ვიდრე გლეხისაგან მოვითხოვოთ ამ ნადელის დაუყოვნებლივ შეძენა. ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთრების სავალდებულო დათმობა და შეძენა უნდა დაადგინოს კანონმდებელმა ორივე მხარისათვის გლეხთა საკითხის გადასაწყვეტად. სხვაგვარად შეუძლებელია იმ სავალდებულო პირობებით შექმნილი რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევა, რომლებიც ვერც ვერავის უზრუნველყოფს და ვერც გაკოტრებისგან დაიცავს. თუ ვერ ხერხდება გლეხისათვის საკუთრების ახალავე მიცემა, მაშინ იმის იმედი მაინც მიეცით, რომ მომავალში შეძლებს საკუთრების შეძენას იქ, სადაც ცხოვრობს და სადაც უხსოვარი დროიდან ფლობდა და სარგებლობდა მიწითა და სხვა საკარგავებით. თუ გლეხს არ ექნება იმედი და რწმენა, რომ მემამულისაგან აუცილებლად მიიღებს იმას, რაც მისთვის აუცილებელია და ნადელად აქვს მიცემული, იგი ვერ იქნება დაცული შემთხვევითობისაგან, თვითნებობისაგან, ისეთ გარემოებებისაგან, რომლებიც ხელს შეუშლის მისი ყოფის გაუმჯობესებასა და წესიერად ცხოვრებას. ჩემს წერილში, რომელზეც ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ვითხოვ ყურადღების გამახვილებას, დაწვრილებით ვილაპარაკე იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს სავალდებულო ურთიერთობებმა, საველე თუ სხვა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვამ ან დათმობამ. თუ თქვენ სავალდებულო გამოსყიდვას მხოლოდ გლეხებისათვის დაუშვებთ, ხოლო მემამულეს სავალდებულო გაყიდვისაგან გაათავისუფლებთ, დიდ შეცდომას დაუშვებთ, ვინაიდან ამით კიდევ ერთხელ მისცემთ გასაქანს გლეხთა ჩაგვრას და მემამულესაც ვერაფრით უზრუნ-

ველყოფთ. ჩემი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ უკვე შეუძლებელი იქნება სავალდებულო გაყიდვის დაშვება, უნდა გააუქმოთ სავალდებულო შესყიდვაც გლეხთა მხრიდან, რომლებიც, როგორც სოფლის თავისუფალი მკვიდრები, ამ მხრივ, ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორითაც მემამულეები. უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ორივე წოდებისათვის ერთი და იმავე განზრახვითაა მიღებული, ერთნაირი უნდა იყოს მათთვის. სხვაგვარად თქვენ ხელყოფთ პიროვნების თავისუფლებას და ერთ პიროვნებას მეორეზე დამოკიდებულს გახდით. როგორც მემამულეებს აქვთ უფლება, მოითხოვონ გლეხებისაგან ნადელის შესყიდვა, ასევე აქვთ ამ უკანასკნელთ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვონ ნადელის დათმობა, რომლის გარეშეც, როგორც კანონითაა აღიარებული, გლეხი ვერ იარსებებს. ამდენად, აუცილებლად მიმაჩნია ახალი, ამ მუხლის თანასწორი კანონის შედგენა, რომლითაც განისაზღვრება შემდეგი: გლეხებს აქვთ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვონ მემამულისაგან ნადელის შესყიდვა. ხოლო მემამულეები ვალდებულნი არიან დაუთმონ მათ შესასყიდად ეს ნადელი ისე, რომ შესყიდვა მოხდეს ერთდროულად, ყველა გლეხის თუ არაგანსაკუთრებით, ათი კომლის მიერ მაინც. უკანასკნელი პირობა, რომელსაც მაინცდამაინც დიდი დაჟინებით არ მოვითხოვ, ჩემ მიერ არის მიღებული იმ მოსაზრებით, რომ გამოსასყიდი შეადგენდეს საკმარის თანხას, რაც მემამულეს უფრო მეტ მოგებას მისცემდა მნიშვნელოვანი თანხის განკარგვისას, ვიდრე ცალკეული კომლიდან სხვადასხვა დროს მიღებული უმნიშვნელო კაპიტალი. გარდა ამისა, რატომ არის ამ პარაგრაფში მიღებული წესი, რომლის მიხედვითაც ნადელები უნდა შეისყიდოს საზოგადოებამ და არა ცალკეულმა კომლმა? რადგანაც არ ვიცი, რა გახდა მიზეზი კანონში ასეთი უადგილო წესის შეტანისა, იძულებული ვარ მივუთითო მხოლოდ წესი იმ მოლოდინით, რომ მას გააუქმე-

ბენ, ვინაიდან, ჩემი აზრით, ამგვარი ვალდებულების საზოგადოებისათვის თავს მოხვევა ნიშნავს – გლეხთა კომლი დავუმორჩილოთ მიწის ახალ მფლობელს, რომელზეც შემდგომში დამოკიდებული უნდა იყოს ამ ადამიანების ბედი და რომელსაც ისინი, ადრე თუ გვიან, უნდა გამოეყონ ახალი გამოსასყიდის ფასად. ვფიქრობ, რომ დაშვებული უნდა იქნას ნადელის გამოსყიდვის ვალდებულება გლეხთა ცალკეული კომლებისთვისაც, არ შევიწროვდეს სოფლის საზოგადოების არავითარი წესებით და უზრუნველყოფილი იქნას, რა თქმა უნდა, შესყიდვის უფლებითაც. ასევე, ორივე მხარისათვის უნდა იქნას დაშვებული სავალდებულო შესყიდვის უფლება როგორც ბაღების, ისე, ზოგადად, მთელი საგლეხო ნადელის შემთხვევაში.

& 140

სავსებით ზედმეტად მიმაჩნია ეს პარაგრაფი, ვინაიდან იქ, სადაც ყველაფერი ნებაყოფლობით თანხმობაზეა დაფუძნებული, როგორც უკვე აღვნიშნე, ადგილი ვერ ექნება კანონს. ამგვარი თანხმობა ძალიან კარგად განსაზღვრავს ხელშეკრულების ყველა შედეგსა და ნორმას.

& 145

ცუდი არ იქნებოდა იმის მითითება, თუ რა ბედი ელით ამ შემთხვევაში გლეხებს, რომელთაც ართმევენ მთელ მიწებსა და ადგილ-მამულებს და ვინ ან რა უზრუნველყოფს მათ?

& 152

მხოლოდ წლიური და მეტი არა? კარგად შეუფასებიათ ასეთ შემთხვევებში ნადელის ღირებულება. I. ვაღიარებ, რომ ასეთი მემამულეები დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება ძვირად შეფასდეს ნადელი. წინააღმდეგ შემთხვევაში უსამართლობა იქნება მცირემიწიან

მფლობელთა მიმართ, რომელთაც ამის გარეშეც არ გააჩნიათ არავითარი საარსებო საშუალება, გარდა ამ გასამრჯელოსი. თუ ეს გასამრჯელო არ გამომდინარეობს ნადელის ღირებულებიდან და ემსახურება მხოლოდ იმას, რომ საარსებო სახსრები გაიზარდოს, რის შემთხვევაშიც ნადელების გამოსასყიდი განსაკუთრებით გაძვირდება, მაშინ ამ შემთხვევაში უსამართლობა იქნება გავცეთ რაიმე ანაზღაურება, გარდა იმისა, რაც ეღირება ეს ნადელები, მით უფრო მაშინ, როცა ასეთი უსასყიდლო ჯილდო ტვირთად დააწვება გლეხს. ზედმეტი არ იქნებოდა ამ მუხლით დადგენილი ანაზღაურების ოდენობისა და მნიშვნელობის განმარტება და განსაზღვრა, ვინაიდან ამის გარეშე შეიძლება თავი იჩინოს გაუგებრობამ და თვითნებურმა განმარტებებმა.

& 156 შენიშვნა მე-2

კი მაგრამ რატომ? ვინ შეუშლის ხელს, ასეთ ბეგარაზე უფრო მეტი დროით გაიცეს ნებაყოფლობითი თანხმობა? ვფიქრობ, აქ არანაირ შეზღუდვას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მით უფრო, რომ ამ მუხლით ნავარაუდები შეთანხმება ნებაყოფლობით უნდა დაიდოს მხარეებს შორის, ხოლო სადაც არის ნებაყოფლობითი თანხმობა, იქ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ შეიძლება და არ უნდა იყოს რაიმე სახის შეზღუდვა.

& 158 შენიშვნა 1-ლი

ვეჭვობ, შეიძლებოდეს ორი წლის განმავლობაში მემამულეზე გლეხის ამგვარი სავალდებულო მიმაგრების დაშვება. გათავისუფლებული გლეხი არ შეიძლება კიდევ ორი წელი მემამულეზე იყოს დამოკიდებული, მან მაშინვე უნდა მიიღოს თავისუფლება და ამ მუხლში გადმოცემული წესის მიღება სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, აქაც მხოლოდ ნებაყოფლობითი თანხმობა უნდა იყოს, რის გარეშეც ვერაფერს დავუშვებთ სავალდებულოდ.

შენიშვნა 2 და 3

არ მგონია, შესაძლებელი იყოს ვინმესთვის მორალური ვალდებულებების თავს მოხვევა, და თუ შესაძლებელია, მაშინ რა აძლევს მემამულეს იმის გარანტიას, რომ ეს ვალდებულებები პირნათლად იქნება შესრულებული იმათ მიერ, ვისაც ისინი ძალით მოახვიეს თავს? ამ მხრივ, დებულება ვერავითარ გარანტიას ვერ იძლევა იმიტომ, რომ შეუძლებელია ვინმე აიძულო, შეასრულოს მორალური ვალდებულებები. ისინი თავისთავად, ნებაყოფლობით, სინდისის კარნახით სრულდება. შესაბამისად, არ არის საჭირო ამის შესახებ კანონში წერა, ვინაიდან კანონით ვერ იქნება უზრუნველყოფილი ამგვარი მოვალეობების შესრულება.

&& 160 და 161

ღალა არ არის და ვერც იქნება საკარმიდამო მიწების ბეგარა. იგი არის ბეგარა საველე მიწებზე. თუ მუხლს ამგვარად წარმოადგენთ, მიიღებთ ბეგარას არა საკარმიდამო, არამედ საველე მიწებისათვის, რომლებიც მთლიანად გლეხებს აქვთ ნადელად მიცემული. თუ საკარმიდამო მიწის ღალას საველე მიწების მიხედვით განვსაზღვრავთ, არ იქნება ეს სწორი, ვინაიდან საველე მიწისათვის ღალის გადახდა წარმოებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოიხმარება მიწა მოსახნავად. კარმიდამოსთან არსებული მიწები კი ვერ მოიხვნება. ამდენად, რატომ უნდა იხადოს გლეხმა ღალა საკარმიდამო მიწისათვის, როცა იგი ასეთი მიწისაგან ვერ იღებს ვერავითარ სარგებელს? უმჯობესია, სხვაგვარად განისაზღვროს ბეგარა ამგვარი მიწიდან, თუნდაც ისე, როგორც ეს ხდება საკარმიდამო მიწების შემთხვევაში სამრეწველო ადგილებში, რომელთა შესახებაც საუბარია ამ დებულების 162-ე პარაგრაფში, რასაკვირველია, ფასისა და ღირებულების ორი მესამედით შემცირებით.

& 165

ჩემის აზრით, ბეგარა ბაღებისათვის ძალიან დიდია, აუცილებელია მისი შემცირება. ჩვენთან, ფაქტობრივად, ბაღის მოსავალი არასდროს არავის მიუღია, თუმცა კი ყველა ამტკიცებს, რომ ერთ მეორედს იღებდნენ. ჩვენმა წეს-ჩვეულებებმა განსაზღვრა ამგვარი ბეგარის ოდენობა, – ცუდი არ იქნებოდა მათი გათვალისწინება ბაღების ბეგარის განსაზღვრის დროს. ნებისმიერ შემთხვევაში, საკმარისია, შემოვიფარგლოთ მოსავლის ერთი მეექვსედით მაშინ, როცა გლეხები იღებენ ბაღისათვის საჭირო მასალებს და 1/8 ნაწილით, როცა არ იყენებენ საკუთარ მასალებს.

& 167

სათიბი ადგილები ჩვენთან საერთოდ არ არის, ხოლო თუ სადმე არის, იმ ადგილებში ღალას კი არ იღებენ, რომელიც განისაზღვრება კოდის პურის რაოდენობის მიხედვით, არამედ – სათიბი და დასაზვინი ადგილის გარკვეულ ნაწილს, ან, როგორც ჩვენში ამბობენ, ძირს. ამდენად, არ იქნება სამართლიანი, სათიბი ადგილების ბეგარა განვსაზღვროთ ღალით კოდების მიხედვით, რომლებიც ჩვენში მიღებულია ბეგარად მხოლოდ საველე მიწებზე, სადაც სახნავია.

& 170

თუ ბეგარით მუდმივი სარგებლობა და მისი აკრეფვა არის გლეხთა საკითხის გადაწყვეტის საფუძველი, მაშინ აღარაა საჭირო ამ მუხლის მიღება. მან შეიძლება მხოლოდ გაუთავებელი კამათი და უკმაყოფილება გამოიწვიოს. მაგრამ იგი განსაკუთრებით საშინელ იარაღად იქნება გამოყენებული გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც იმის იმედიც კი აღარ ექნებათ, რომ მათი მოვალეობები ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვრება და აღარ შეიცვლება. ხოლო თუ ამ იმედს მოვუსპობთ,

აღარ უნდა ველოდოთ მათგან საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას, ვინაიდან როგორც კი ისინი დაიწყებენ მიწის გაუმჯობესებას და მეტ მოგებას ნახავენ, ამ მუხლის ძალით, მემამულეები მაშინვე გაზრდიან მიწების ფასს. გლეხს კი აღარაფერი დარჩება, მთელი მისი შრომა და მცდელობა, მთელი მისი საქმიანობა წყალში ჩაიყრება. სრულიად უსარგებლოდ მიმაჩნია ისეთი წესების შედგენა, რომლებიც ანადგურებენ სახალხო საკითხის გადაჭრისას მიღებულ ძირეულ საფუძველს. ორიდან ერთია: ან მუდმივ ბეგარათა მუდმივი გამოყენება და გადახდა, ან დროებითი ზომები და ბეგარით სარგებლობა და ვალად აღება.

ხომ ხერხდებოდა სახალხო წეს-ჩვეულებების მეშვეობით მიწების მოხმარებისათვის მუდმივ ბეგართა დადგენა და რატომ არ უნდა დასდოს პატივი კანონმა ხალხის ცნობიერებას, მით უფრო მაშინ, როცა ეს კანონი გლეხთა საქმის დასრულების პრინციპად თავადვე აღიარებს ნადელის მუდმივ მფლობელობასა და მასზე ბეგარის აღებას. რა საჭიროა გამონაკლისები საერთო წესიდან, როდესაც ეს მხოლოდ ხალხის შევიწროვებას იწვევს და არ იცავს იმათ, ვის სასარგებლოდაც ხდება ამ გამონაკლისების დაშვება?

& 171

ასევე, არ შეიძლება მსგავს ადგილებსა და შემთხვევებში ბეგარის აღება იმ ნორმით, რა ნორმით გადახდევინებაც იგულისხმება უფრო ხელსაყრელ ადგილებში და მიწის განკარგვის უკეთეს პირობებში. აქ სრულიად სხვაგვარად უნდა მოხდეს ბეგარის განსაზღვრა, თანაც ერთხელ და სამუდამოდ მთელი თავისი სიზუსტით, რათა აღარ მოხდეს მათი შეცვლა ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით. მაგრამ იმისათვის, რომ ახლავე განისაზღვროს ბეგარა, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ ზუსტად რომელ ადგილებს გულისხმობს აღნიშნული მუხლი. როდესაც

ეს გაირკვევა, განისაზღვრება თვითონ ბეგარაც. მაგრამ ვინაიდან ძალიან შორს წაგვიყვანს და თან არც ისე სწრაფად მოხერხდება ამ ადგილების მითითება, ვფიქრობ, უმჯობესია მოცემულ შემთხვევაში დაახლოებით განისაზღვროს ბეგარა საერთო ნორმით, რომელიც მეტნაკლებად შესაბამისი იქნებოდა ორივე მხარისათვის. აქ შეიძლებოდა საველე მიწებისა და სავარგულებისათვის განკუთვნილი საყოველთაოდ განსაზღვრული ბეგარის ნახევრამდე შემცირება და ამ ნახევრის შენახვა იმ დრომდე, სანამ გლეხს ვალდებულებითი ურთიერთობა დააკავშირებდა მემამულესთან. ამით თავიდან ავიცილებდით გართულებებს, თან რომ ახლავს ბეგარათა მუდმივი მოხმარებისა და აკრეფის იმ პრინციპის მიღებას, რომელიც ამ დებულების მიხედვით საფუძვლად უდევს გლეხთა საკითხის გადაწყვეტას.

& 172

თუ მუდმივი ბეგარებით მუდმივად სარგებლობისა და აკრეფის პრინციპს უარვყოფთ და მივიღებთ ამ მუხლში მითითებულ ზომებს, სადამდე მიგვიყვანს ბეგარათა ეს აწევ-დაწევები? რა თქმა უნდა, არაშეთანხმებამდე, არამედ საშინელ უწესრიგობამდე, რომლის აღკვეთა მთავრობასაც კი გაუჭირდება, რაც უნდა ბევრი ეცადოს.

&& 178-193

ბეგარათა დროული გადახდის უზრუნველყოფის წესებს მივყავართ საშინელ უკმაყოფილებამდე, რომლის თავიდან აცილებაც, ვეჭვობ, შესაძლებელი იყოს. რამდენადაც წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ვალდებულებითი ურთიერთობისა, რომლებიც მხოლოდ ამგვარ უსიამოვნებებს იწვევენ, მიმაჩნია, რომ გლეხთა საკითხის გადაჭრა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად სხვა საწყისებს, კერძოდ, გლეხთა და მემამულეთა ინტერესების საბოლოო

გამიჯვნას. მათი იძულებით დამაკავშირებელი ყველანაირი ძაფი უნდა გაწყდეს. ერთადერთი გამოსავალი ეს არის. სხვა საწყისებზე დაყრდნობით გლეხთა საკითხის ნებისმიერი გადაწყვეტა იქნება არა საბოლოო, არამედ ბატონყმური მდგომარეობის გაგრძელება, მხოლოდ სხვა ფორმით, რომელიც დროთა განმავლობაში ისევე განადგურდება, როგორც ძველი ბატონყმური უფლება. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გლეხთა საკითხის ხელახალი წამოჭრა და მისი ხელახლა გადაწყვეტა, ახლავე უნდა მოხდეს მისი საბოლოოდ გადაჭრა და გამათავისუფლებელ და გასათავისუფლებელ წოდებებს შორის ნებისმიერი სადავო საკითხის მოგვარების შემდეგ მემამულეებისაგან გლეხთა საბოლოო გამოყოფა მათი კუთვნილი ნადელიანად. ხოლო ამ ნადელში უნდა გადაიხადონ გამოსასყიდი, რაც უნდა მოხდეს მთავრობის დახმარებით და გლეხების ხარჯებით. ამის შესახებ დაწვრილებით მივუთითე ჩემს წერილში და სასურველია კომიტეტმა მოცემულ შემთხვევაში მიაქციოს მას ყურადღება.

[1864 წ. 6 მაისამდე]

სანოტარო დებულების 168-ე მუხლი და მისი გამოყენება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ

I

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც დათარიღებულია 1875 წლის 7 აპრილით და დაბეჭდილია „თბილისის მოამბის“ N 47-ში, ისეთი მოვლენაა ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში, რომ შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს. იგი მრავალი მიზეზის გამო იქცევს ყურადღებას. განსაკუთრებით საყურადღებო კი არის მასში წამოჭრილი და გადაწყვეტილი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი.

საკითხი, რომელიც ამ გადაწყვეტილების გამო წამოიჭრა, მთლიანად შეეხება იმას, თუ რომელ, კანონით ნებადართულ და მისაღებ პირობებში, შეუძლია უძრავი ქონების მფლობელს მისი, როგორც გაცვლითი და საკრედიტო მიმოქცევის საგნის განკარგვა; ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რა პირობებში შეუძლია მფლობელს წამოაყენოს თავისი განკარგვის უფლება – საკუთრების უფლების ეს არსებითი ნაწილი, იმ შემთხვევაში, თუ იგი მოინდომებს კანონიერი გზით გაასხვისოს უძრავი ქონება ან შეზღუდოს მასზე თავისი უფლება. საქალაქო სასამართლომ ეს საკითხი, ასეთი მნიშვნელოვანი ერთ-ერთ უმთავრეს სამოქალაქო უფლებასთან, კერძოდ, საკუთრების უფლებასთან მიმართებით, რასაც, მოქმედი კანონებიდან გამომდინარე, ეფუძნება საზოგადოებრივი წესრიგი და ეკონომიკური კეთილდღეობა, ისე გადაწყვიტა, რომ მფლობელისთვის კიდევ უფრო შემავიწროვებელი და დამამძიმებელი გახადა, რაც გაუმართლებელია როგორც კანონმდებლობის საერთო სულის-

კვეთებით, ისე სახელმძღვანელო იურიდიული საწყისით და ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილი კერძო ხასიათის კანონებითაც.

საოლქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საკითხი, მართალია, მხოლოდ ცალკეულ, ერთეულ შემთხვევებს შეეხება, მაგრამ არ ვართ დაზღვეულნი იმისაგან, რომ მსგავსი საკითხი მომავალშიც ასე არ გადაწყდება რიგ ასეთ შემთხვევაში.

მიწის კრედიტი – რომელიც ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის მამოძრავებელი ძალაა და უკიდურესად ესაჭიროება თბილისის გუბერნიას, ამ გუბერნიის თავადაზნაურობა კი მცდელობას არ აკლებს უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა – აუცილებლად იქნება შესაძლებელი მითითებული საკითხის გამოყენების შემთხვევაში. თუ, თავის მხრივ, მესაკუთრე ეცდება ხელმისაწვდომი გახადოს კრედიტი, მაგრამ ამას ვერ შეძლებს საკუთრების უფლების ერთ-ერთ არსებით ნაწილთან დაკავშირებული კანონების არასწორი გამოყენებისა და ახსნა-განმარტების გამო, მაშინ კრედიტის თავისუფალი მიმოქცევა, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს ყოველგვარი შევიწროვება, მისი შეუცვლელი დახმარება მთავრობისა და ხალხის ეკონომიკურ საქმიანობაში მხოლოდ სანუკვარ, მიუღწეველ, ოცნებად დარჩება.

აი, არსებითად, რატომ გავამახვილეთ ყურადღება თბილისის საოლქო სასამართლოს 7 აპრილის გადაწყვეტილებაზე და რატომ აღვნიშნეთ ჩვენი სტატიის დასაწყისშივე, რომ ეს გადაწყვეტილება ისეთი მოვლენა გახლავთ ჩვენს იურიდიულ პრაქტიკაში, რომელიც შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს. საოლქო სასამართლო, რომელმაც ზემოაღნიშნული საკითხი ისე გადაწყვიტა, რომ ამით მესაკუთრე კიდევ უფრო შეავიწროვა, თანაც სრულიად უკანონოდ, თავისი გადაწყვეტილების ძირითად პუნქტად გამოყოფს სანოტარო დებულების

167-ე და 168-ე მუხლებს. ასევე, ტ. X, I ნაწ.-ის მთელ რიგ მუხლებს დაყოველივე ამის საფუძველზე გამოაქვს ასეთი კატეგორიული დასკვნა[1]. უძრავი ქონების გადაცემის ან დაგირავების შესახებ რაიმე აქტის შესრულებამდე ან დამტკიცებამდე უფროსი ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, რომ გადასაცემ თუ დასაგირავებელ ქონებას ნამდვილად ფლობს გამსხვისებელი თუ დამგირავებელი. ამაში დარწმუნება კი მას შეუძლია მხოლოდ უფლებათა განმტკიცების აქტებით, ბატონყმური წყობით, ასევე, სამიჯნო აქტებით, რომლებიც მითითებულია დებულების 229-ე, ამიერკავკასიის მხარის დაყოფის შესახებ, მუხლში.

ამ დებულების დასამტკიცებლად, საოლქო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია დაემოწმებინა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, X ტ. I ნაწ.-ის მთელი რიგი მუხლები, რომლებსაც საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვთ და სრულიად გაუგებარია, რატომაა ისინი გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი.

II

ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვაცხადებთ, რომ ამ დასკვნას არ გააჩნია არავითარი კანონიერი საფუძველი, ამიტომაც არაა იგი სარწმუნო. ამაში ადვილად დარწმუნდება ნებისმიერი, ვისაც კი ზედაპირული იურიდიული განათლება მაინც აქვს, გააჩნია უნარი, ერთმანეთს დაუკავშიროს წანამძღვრები და მიხვდეს კანონის მნიშვნელობას სიტყვებისა და გამონათქვამების გრამატიკული კავშირის განსაზღვრის, კანონში გამოთქმულ ცნებათა და აზრთა ლოგიკური შეპირისპირების გზით. აღარაფერს ვამბობ იმათზე, ვისაც სერიოზული იურიდიული განათლების

1. იგი, სხვათა შორის, ძალზე საინტერესოა მრავალმხრივ. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელი აზრით განვიხილოთ ეს გადაწყვეტილება, თუმცა ეს იქნება არა ამ, არამედ ცალკე, სპეციალური სტატიისგანხილვის საგანი.

წყალობით აქვთ უნარი, განსაზღვრონ კანონის მნიშვნელობა კანონმდებლობის სხვა დადგენილებებთან მისი იმ შინაგანი კავშირის მიხედვით, რომელიც ერთ მთლიანობად აერთიანებს ყველა სამართლებრივ ინსტიტუტსა თუ მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ ყველა წესს.

ჩვენდა სამწუხაროდ, საოლქო სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევას მიუსადაგა კანონის მთელი რიგი მუხლები მათი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და, რასაკვირველია, მთელი წყება X ტ. I ნაწ. მუხლებისა, რომლებიც ერთ რიგშია მთლიანად თავმოყრილი, თუმცა ისინი საქმეს სრულიად არ უკავშირდება და ვერ შეავსებენ ამ მნიშვნელოვან ხარვეზს, ახსნა-განმარტების არარსებობას. ამდენად, არ გვაქვს იმის ბედნიერება, თვალყური მივადევნოთ, აზრთა დინებას, რომელსაც საოლქო სასამართლო ამ კატეგორიულ დასკვნამდე მიჰყავს. იმისათვის, რომ კანონი გამოყენებულ იქნას კანონმდებლის ნება-სურვილის შესაბამისად, საჭიროა მისი გაგება; ეს კი შეუძლებელია კანონის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების გარეშე. სწორედ ეს ახსნა-განმარტება უზრუნველყოფს სწორი მართლმსაჯულების აღსრულებას.

შევეცდებით, შევავსოთ ის, რაც ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას აკლია და მაშინ, ვიმედოვნებთ, ყველა დარწმუნდება, რომ საოლქო სასამართლოც ასე რომ მოქცეულიყო, ესოდენ კატეგორიულ დასკვნამდე არ მივიდოდა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვრავთ სამოქალაქო გარიგების ზოგად სამართლებრივ მნიშვნელობას, ასევე მასთან დაკავშირებული ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოს, მნიშვნელობას.

სამოქალაქო გარიგება სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული, კანონით ნებადართული ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ხელახლა მყარდება კერძო პირების ნებით. სამოქალაქო გარიგების მნიშვნელობის ამგვარი

განსაზღვრებით ირკვევა საკუთრივ ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ორგანოს, მნიშვნელობა და მისი ძალაუფლების საზღვრები. ნოტარიუსი უფებამოსილია, დაადატუროს კანონით ნებადართული ნებისმიერი სამოქალაქო გარიგება, რომელიც წარმოიშვება და ხორციელდება მხოლოდ კერძო პირთა ნება-სურვილით. შესაბამისად, ნოტარიუსის უფლებები და მოვალეობები უნდა გამოვლინდეს მხოლოდ იმ პირობებთან მიმართებით, რომელთა თანხმობითაც ჩნდება გარიგების დადების შესაძლებლობა, ე.ი. იმასთან მიმართებით, დასადგენი გეგმა არის თუ არა კანონით ნებადართული და იქმნება თუ არა იგი დამდგენ პირთა ნება-სურვილით.

სამოქალაქო გარიგების აქტის შედგენისა და დამოწმების დროს ნოტარიუსის ნებისმიერი სხვა ქმედება ან საკუთარი უფლებების გადაჭარბება იქნება, რაც ტოლფასია ძალაუფლების გადამეტებისა, ან კიდევ საკუთარი მოვალეობების შესრულებისათვის თავის არიდებისა, რაც, თავის მხრივ, ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებში უკანონო შეჭრის ტოლფასია. კანონით დაუშვებელია ერთის ან მეორის არამხოლოდ წახალისება, არამედ შეწყნარებაც კი.

თუმცა სამოქალაქო გარიგების აქტით დადგენილი ურთიერთობების არსებობას თავისი მიზეზი აქვს.

და აი, სწორედ იმ საკითხთა ხასიათის მიხედვით, რომელთა გამოც იდება გარიგება, განსხვავდება, ზოგადად, ნოტარიუსის უფლებები და მოვალეობები უფროსი ნოტარიუსის უფლებებისა და მოვალეობებისაგან. სხვა დანარჩენი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, ეს ორი ინსტიტუტი სრულიად ერთანაირია. იმ სამოქალაქო გარიგების დამოწმება და დამტკიცება, რომელიც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემასა თუ შეზღუდვას შეეხება, უფროსი სანოტარო უწყების განსაკუთრებულ საკითხს წარმოადგენს. უფროსი ნოტარიუსის საქმიანობის არსი მისი უწყების ამ განსაკუთრე-

ბული საკითხის მიმართ, სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლებში არის გადმოცემული. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ უფროსი ნოტარიუსი, ვიდრე დაასრულებდეს ან დაამტკიცებდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის ან შეზღუდვის შესახებ აქტს, ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ ქონება ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ან უფლებების შემზღუდველს. თუმცა მსგავსი დადგენილება თითქოს ზღუდავს სამოქალაქო გარიგებათა თავისუფების ზოგად სამართლებრივ საწყისს, ვინაიდან, არსებითად, კანონს რა საქმე აქვს რამე ეჭვი აღძრას გასაყიდი მამულის კუთვნილებასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ერთი მხარე დასთანხმდა მის გაყიდვას, მეორე კი თანახმაა იყიდოს იგი და პრეტენზიასაც არავინ აცხადებს გასაყიდ ქონებაზე. თუმცა ეს კანონი მაინც არსებობს და ჩვენ ვალდებულნი ვართ მას დავემორჩილოთ, მაგრამ დავემორჩილოთ მხოლოდ კანონმდებლის კანონში გამოხატული ნების შესაბამისად და არა იმ აზრის შესაბამისად, რომელიც შესაძლოა კაზუისტიკურად აქვს კანონს მიწერილი გაუგებრობის გამო. სხვაგვარი მორჩილების მოთხოვნის უფლება არავის აქვს.

III

აი, რას ამბობს ამ დებულების 167-ე და 168-ე მუხლებში კანონმდებლის მიერ გამოთქმული ნების თაობაზე ერთ-ერთი ცნობილი იურისტი-მწერალი პობედონოსცევი, რომელსაც, რასაკვირველია, ვერავინ შეგვედავება, რომ ძალიან კარგად ესმის კანონები. „აუცილებელია, ამ მუხლებში (სანოტარო დებულების 167-ე და 168-ე მუხლები) გამოყენებული გამონათქვამები გავიგოთ ნოტარიუსის მიერ ჩადენილი ქმედების არსის და ასევე, სამოქალაქო კანონთა ზოგადი წესების შესაბამისად. კუთვნილებაში დარწმუნება სულაც არ ნიშნავს, რომ დარწმუნდე საკუთრების უფლებაში საკუთრების მიმაგ-

რებისა და მოწმობის თვალსაზრისით; აქტის შესრულების გამო საკუთრებაში დარწმუნება ვერ გადაიზრდება სამემკვიდრეო მამულის უფლების შემოწმებაში. სასამართლოს მიერ წარმოებული ასეთი შემოწმება დადებითი მოვლენაა. როდესაც ორი პირი აცხადებს სამემკვიდრეო უფლებას ერთი და იმავე ქონებაზე, სასამართლოს მოუწევს დაადგინოს, ვისი უფლებაა ჭეშმარიტი და შესაბამისად რომელ მხარეს აქვს უპირატესობა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება არასადავო წესით აქტის შესრულებას, გადამცემის უფლებების შემოწმებას ქონებაზე მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს და სხვაგვარად ვერც იქნება. ნოტარიუსი მხოლოდ იმაში უნდა დარწმუნდეს, რომ გადამცემი საკუთარ ქონებას გადასცემს და არა სხვისას; კანონიერი გზით მიიღო თუ არა მან ქონება. აქვს თუ არა სწორად შედგენილი მას მიმაგრების აქტი, ეს ნოტარიუსს არ ეხება. მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ, გავიაზროთ ქონებათა კუთვნილების დადასტურება და სამოქალაქო კანონების თანახმად ამასთან დაკავშირებით საკუთრების დამადასტურებელი საბუთის მოთხოვნა. დადასტურებას ექვემდებარება არა მთლად უფლება, არამედ ფაქტი ქონების საკუთრებისა; ამგვარი დადასტურებისათვის გამოდგება მიმაგრების აქტები, თუმცა, ისინი სხვა წერილობით მტკიცებულებებს შორისაცაა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია იმაში დარწმუნება, რომ გადამცემი საკუთარ ქონებას გადასცემს და არა სხვისას“.

ამგვარად, ბ-ნი პობედონოსცევის სიტყვებიდან გამომდინარეობს: პირველი ის, რომ სანოტ. დებულების 167-ე და 168-ე მუხლების მიხედვით, საკმარისია, ნოტარიუსი დარწმუნდეს ქონების კუთვნილების ფაქტში, რათა შეადგინოს და დაამტკიცოს აქტი ამ ქონების შესახებ; მეორე, ამავე მუხლების მიხედვით, აღნიშნულ ფაქტში დასარწმუნებლად, გარდა მიმაგრების აქტებისა, სხვა წერილობითი მტკიცებულებებიც გამოგვადგება, და მესამე, ნო-

ტარიუსის მიერ უძრავი ქონების აქტების შედგენასა და დამტკიცებას საცნობარო ხასიათი აქვს და არა სარევიზიო, როგორიცაა სასამართლოს მიერ უფლებათა შემოწმება. ჩვენი აზრით, ეს სამი თეზისი მყარია. ამის დასამტკიცებლად, ჯერ პირველ თეზისთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ იმ შინაგან კავშირზე, რომელიც არსებობს სანოტარო დებულების მოყვანილ მუხლებსა და საერთო სამოქალაქო კანონებს შორის.

X ტ. ნაწ. 2 მუხ. 2 გვეუბნება: „უძრავი ქონების ნებისმიერი რეალური მფლობელობა, მიუხედავად იმისა, რომ უკანონოა მისი არასადავოდ მიჩნევა და კანონით დაცულია ძალადობისა და თვითნებობისაგან, სანამ მასზე დავა არ გამოცხადდება, ქონება სხვას ვერ მიეკუთვნება“. რით შეიძლება ამ კანონის არსებობის ახსნა და გამართლება?

მხოლოდ იმით, რომ ამა თუ იმ პირის მიერ ქონების მფლობელობის ფაქტთან ერთად ივარაუდება ამ საგანზე მისი ბატონობის ფაქტიც, ანუ კუთვნილების ფაქტი. ამ ვარაუდის გარეშე მფლობელობის დაცვას არ ექნებოდა არავითარი გონივრული, სამართლებრივი საფუძველი. მფლობელობის ფაქტის ამგვარ დამთხვევას კუთვნილების ფაქტის შესახებ ვარაუდთან, ასევე, თავისი ისტორიული საფუძველი აქვს, ვინაიდან თავდაპირველად მოქალაქეობრიობის ჩანასახები, ყველა საზოგადოების ხალხთა ცნობიერება მფლობელობის ფაქტსა და საკუთრების ცნებას შეერწყა. ეს ცნობიერება აისახა სწორედ კანონის მოყვანილ მუხლში, და არა მარტო ამ მუხლში, არამედ ჩვენი კანონმდებლობის ენაშიც, რომელიც ძალიან ხშირად სიტყვა საკუთრების ნაცვლად ხმარობს მფლობელობას და პირიქით.

X ტ. მე-2 ნაწ. მოყვანილ მე-2 მუხლის მნიშვნელობას თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ კანონი, რომელიც კუთვნილების ფაქტის ვარაუდსა და მფლო-

ბელობის ფაქტს აერთიანებს, ამ უკანასკნელს მხოლოდ ორი ნიშნით განსაზღვრავს, კერძოდ კი: ნამდვილი მფლობელობის ფაქტით და იმით, რომ მასზე სხვას არ გააჩნია პრეტენზია ან უფლება. აი, არსებითად რა განასხვავებს სიტყვა მფლობელობას, საკუთრების გაგებით, კუთვნილების უფლებისაგან. საკუთრებაში, კუთვნილებაში უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების ძალაუფლება, ბატონობა რაიმეზე არა უპირობოდ და ერთპიროვნულად, არამედ იმ მხრივ, რომ ამ რაღაცაზე სხვას არ გააჩნია პრეტენზია თუ უფლება; საკუთრების, კუთვნილების უფლება გულისხმობს პიროვნების სრულ, ერთპიროვნულ ბატონობას. (სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილება 1869 წ., 583). იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი არა თუ არ კრძალავს ნამდვილი მფლობელობის ცნებასთან საკუთრების ცნების გაერთიანებას, არამედ უშვებს კიდეც, ნათლად ცხადყოფს X ტომის I ნაწილის 1381-ე და 1389-ე მუხლების შედარება. 1389-ე მუხლში

ნათქვამია: ნებადართულია მხოლოდ იმ მამულის გაყიდვა[1] (შესაბამისად დაგირავებაც, 1627-ე მუხლის ძალით), რომელიც ნამდვილ მფლობელობაში შედის, ან რომელზეც გამყიდველს აქვს საკუთრების უფლება. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მამული ნამდვილ მფლობელობაში, საკმარისია ნებისმიერმა გაყიდოს ან დააგირავოს და ვერავინ ეტყვის მას უარს გაყიდვის ან დაგირავების აქტის შედგენაზე იმ მიზეზით, რომ არ არსებობს მტკიცებულებები საკუთრების უფლებაზე. 1381-ე მუხლში კი ნათქვამია: „მხოლოდ იმ მამულის გაყიდვაა შესაძლებელი, რომლის განკარგვაც მფლობელს შეუძლია საკუთრების უფლებით (ე.ი. სახით). ამ მუხლს 1389-ე მუხლთან ერთად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ

1. ეს კი ნიშნავს განკარგვის უფლების განცხადებას – არამხოლოდ კუთვნილების ფაქტის, არამედ თავად საკუთრების უფლების ერთ-ერთ ყველაზე არსებით ნაწილს.

ნამდვილ მფლობელობას, რომელზეც საკუთრების უფლებაც კი არ არსებობს, კანონი ანიჭებს საკუთრების, კუთვნილების მნიშვნელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი აზრი არ ექნებოდა ერთ მუხლში ნებადართული ყოფილიყო ის, რაც პირდაპირ იკრძალება მეორეთი. კანონის განმარტებისას კი მისი უმთავრესი მოთხოვნა არის ის, რომ ყოველთვის უნდა ჰქონდეს აზრი. თუ სადმე წინააღმდეგობა შეგვხვდება, უნდა შევურიგდეთ მას და არ გავაზვიადოთ იმ მარტივი მიზეზით, რომ კანონმდებელი განზრახ ვერ და არ შეეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს. 1389-ე მუხლიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა X ტომის მე-2 ნაწილის მე-2 მუხლის პირდაპირი შედეგი და ანარეკლი, კარგად ჩანს, რომ ის, რაშიც ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს მიწის გაყიდვის ან დაგირავების ბატონყმობის აქტის შედგენისას,შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობის ფაქტიც, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული კანონი, ცნება კუთვნილების, საკუთრების ფაქტის შესახებ, როგორც ეს უკვე ვნახეთ.

თუ რა ძალასა და მნივნელობას ანიჭებს კანონი მოცემულ შემთხვევაში ნამდვილ მფლობელობას, ეს კარგად ჩანს X ტომის I ნაწილის 1392-ე და 1631-ე მუხლებიდან, რომელთა ძალითაც ნებადართულია სადავო ქონების გაყიდვა და დაგირავებაც კი, რასაკვირველია, მხოლოდ იმ პირობით, თუ გასასხვისებელი მამული გამსხვისებლის ნამდვილ მფლობელობაშია. მაშასადამე, მაშინაც კი, როდესაც ვიღაცას პრეტენზია აქვს ქონებაზე, კანონს არ სურს კუთვნილების ცნება ნამდვილი მფლობელობის ფაქტისაგან გამოყოს[1].

1. ვთავაზობ ჩვენს იურისტ-პრაქტიკოსებს, გადაწყვიტონ საერთო ყოფა-ცხოვრებაში შესაძლებელი ამგვარი შემთხვევა: ბატონი ა მიდის ნოტარიუსთან, მიაქვს კანონიერი ნასყიდობის სიგელი და განმარტებითი ბარათი და ითხოვს მის სახელზე არსებული მამულის ბატონ ბ-თვის გადაცემას, მამულისა, რომელიც მიტაცების ან ზეწო-

IV

მაშასადამე, კანონმდებლის მიერ X ტომის მე-2 ნაწილის მე-2 გვერდზე გამოთქმული ძირითადი თვალსაზრისი ნამდვილ მფლობელობასთან დაკავშირებით გულისხმობს არა უპირობო და განსაკუთრებულ კუთვნილებას, არამედ იმას, რომ ნამდვილი მფლობელობის ფაქტზე უცხო პირის პრეტენზიაც არ არსებობს. ეს ძირითადი თვალსაზრისი მთლიანობაში აისახა X ტომის I ნაწილის 1389-ე მუხლზე, რამდენადაც მასში საუბარია იმ მამულზე, რომელიც ან ნამდვილ მფლობელობაშია, ან კიდევ მასზე არსებობს საკუთრების უფლება. ხოლო საკუთრების უფლება, მმართველი სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის სანდო განმარტებით (1869 წ. N 1583), გულისხმობს საგანზე პირის სრულ ბატონობას. ამდენად, 1398-ე მუხლში ხსენებული ნამდვილი მფლობელობა, საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით, უარყოფითი მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული საკუთრების უფლების ცნების განმასხვავებელ ნიშნებთან მიმართებით; კერძოდ კი იმ მნიშვნელობით, რომ ნამდვილი მფლობელობის ფაქტზე უცხო პირის პრეტენზია არ არსებობს. იგივე 1389-ე მუხლი აისახა X ტომის I ნაწილის ყველა იმ მუხლში, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ საკითხს შეეხება, კერძოდ:

ა) 781-ე მუხლში, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო გლეხები გაყიდვის, გაცვლის, დაგირავებისა თუ სხვა სახის გადაცემის აქტის შედგენისას ვალდებულნი არიან: 1)ნასყიდობის (ე.ი. საკუთრების უფლების) შემთხვევაში წარმოადგინონ საბუთები (ე.ი. დამატებითი გა-

---

ლის შედეგად, ბ-ნი გ-ს მფლობელობაშია. ამავე დროს მოდის ბ-ნი გ. და ითხოვს, იმავე მამულის ბ-ნ დ-თვის გადაცემას იმის საფუძველზე, რომ მამული მის ნამდვილ მფლობელობაშია და ამას ადასტურებს კანონიერი მტკიცებულებებით. ისმის კითხვა: ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა: ნამდვილ მფლობელობას მიმაგრების აქტების გარეშე, თუ მიმაგრების აქტებს ნამდვილი მფლობელობის გარეშე.

რანტიების აქტები), რომელთა მიხედვითაც მათ ან მათ წინაპრებს ერგოთ მიწები კერძო საკუთრებაში; 2) საბუთების არქონის შემთხვევაში წარადგინონ სახელმწიფო ქონების პალატის მოწმობები, რომ მიწა, რომელსაც ყიდიან, თმობენ ან აგირავებენ, არ არის სახაზინო და არ წარმოადგენს საჯარო ქონებას“. (მითითება იმის შესახებ, რომ არ არსებობს უცხო პირის უფლება, პრეტენზია).

ბ) 779-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „ეკლესიის მსახურთა სახელით უძრავი ქონების გაყიდვაზე (შესაბამისად, დაგირავებაზეც 1627მუხ.) აქტის შედგენის დროს წინასწარ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს ქონება არის არა ეკლესიის (ისევ მითითება უცხო პირის პრეტენზიის არარსებობაზე), არამედ იმ პირის საკუთრებაა, ვინც ყიდის (რა თქმა უნდა, მითითება ნამდვილ მფლობელობაზე).

გ) 782-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „ამიერკავკასიაში მცხოვრებთა მიერ 1801 წლამდე შეძენილი მიწის გაყიდვა ან გასხვისება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მიწის კუთვნილების დამადასტურებლად წარმოდგენილი იქნება ან კანონიერი აქტები, ან მათი არარსებობის შემთხვევაში ნამდვილი მფლობელობის მოწმობა კერძო საკუთრების უფლებაზე“ და ა.შ.

სხვა მუხლების მოხმობაც შეიძლებოდა, თუმცა, ვფიქრობთ, საკმარისია მითითებული მუხლები, რათა ნებისმიერი დარწმუნდეს იმაში, რაშიც გვსურს, რომ დავარწმუნოთ. 779-ე, 781-ე, 782-ე და კიდევ სხვა მუხლებშიც პირდაპირაა აღნიშნული, რომ შესაძლებელია მამულის გასხვისება როგორც საკუთრების უფლებით, ისე ნამდვილი მფლობელობის საფუძველზეც და ნათქვამია, რომ როდესაც გასხვისება ხდება საკუთრების დამატებითი გარანტიებით, აუცილებელია მიმაგრების კანონიერი აქტები, ხოლო როდესაც სხვისდება ნამდვილი მფლობელობით, მაშინ საჭიროა იმის მოწმობაც, რომ სხვა პირს არ გააჩნია პრეტენზია (780 მუხ.) (რაც, ჩვენი განმარტებით,

კუთვნილების ფაქტის მანიშნებელია) და ნამდვილი მფლობელობის მოწმობაც (782 მუხ.) (მეორე ნიშანი კუთვნილების ფაქტისა)“.

V

ახლა ვნახოთ, ეს ყოველივე როგორ აისახა ნოტარიული დებულების 168-ე მუხლში, როგორც ზოგადი ფორმით გამოხატულ კანონში, რომლის მიზანიცაა გაითვალისწინოს არა ცალკეული შემთხვევა, არამედ მთელი რიგი შემთხვევებისა. ამ მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ ქონების კუთვნილებაში დასარწმუნებლად ნოტარიუსი ვალდებულია ცნობები მოიძიოს ნასყიდობის წიგნებში. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც უძრავი ქონება სხვისდება ან გირავდება ნასყიდობის აქტებით საკუთრების დამატებითი გარანტიებით, ვინაიდან ნასყიდობის წიგნებში (ნოტ. დებულ. 169-ე მუხ.) უძრავი ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით სხვა მოწმობა ვერ იქნება, გარდა საკუთრების უფლების შესახებ მოწმობისა. 168-ე მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია, რომ კუთვნილების უფლებაში დასარწმუნებლად ნოტარიუსი ვალდებულია, მოითხოვოს კუთვნილების დამადასტურებელი სხვა საბუთების წარმოდგენა, სამოქალაქო კანონებში დადგენილი წესების თანახმად“. რადგანაც ნათქვამია სხვა საბუთები, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ არა ისინი, რომლებიც პირველ ნაწილშია მითითებული. ეს კი ნიშნავს, რომ რაშიც ნოტარიუსი უძრავი ქონების აქტის შედგენისას უნდა დარწმუნდეს, შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობის, როგორც საკუთრების, ფაქტიც, იმიტომ რომ, თუ ეს იქნებოდა მხოლოდ საკუთრების უფლება, მაშინ მისი დამტკიცება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ნასყიდობის წესით შესრულებული მიმაგრების აქტით. ამასთანავე, ნამდვილი მფლობელობის, როგორც საკუთრების, კუთვნილების ფაქტი, მიმაგრების აქტის გარდა, სხვა საბუთებითაც შეიძლება დამტკიცდეს,

როგორც ეს X ტომის I ნაწილის ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან ჩანს.

ნუთუ ამის შემდეგ არ არის ნათელი, რომ ნოტარიული დებულების 168-ე მუხ. 1389-ე მუხლის პირდაპირი ანარეკლია და იგი ზოგადი სახით გამოხატავს სამოქალაქო კანონების 779-ე, 780-ე, 781-ე, 782-ე და ა.შ. მუხლებში მითითებულ ცალკეულ შემთხვევებს. იგი აშკარად გულისხმობს უძრავი ქონების გასხვისებას ან დაგირავებას იმავე ორი შემთხვევისას, რომლებიც 1389-ე მუხლშია განხილული, ე.ი.: 1) მაშინ, როცა მამული ნამდვილ მფლობელობაშია ან 2) როდესაც მამულზე არსებობს საკუთრების უფლება. ნათელი არ არის, რომ სათანადო მტკიცებულებების მოთხოვნა 168-ე მუხ. სწორედ ამ ორი შემთხვევის მიმართაა ძალაში, ზუსტად ისევე, როგორც – X ტომის I ნაწილის 779-ე,780-ე, 781-ე და სხვა მუხლებში მითითებული ცალკეული შემთხვევების მიმართ. საკმარისია, X ტომის I ნაწილის 1389-ე და ნოტარიული დებულების 168-ე მუხლები გვერდიგვერდ ამოვწეროთ და შევადაროთ ერთმანეთს, რათა დავრწმუნდეთ, თუ როგორი გასაოცარი სიცხადით აისახება ერთი მუხლი მეორეში[1].

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთი მუხლის დასაწყისი მეორის ბოლოშია აღბეჭდილი და პირიქით. საკმა-

---

[1] 4) აი, მაგალითისა და თვალსაჩინოებისათვის:

1389-ე მუხ.: „მხოლოდ იმ მამულის გაყიდვაა ნებადართული, ან მასზე საკუთრების უფლება აქვს იმას, ვინც ყიდის“.

168-ე მუხ.: „რათა დარწმუნდეს უფროსი ნოტარიუსი, რომ, ქონება ნამდვილად გამსხვისებელი მხარის მფლობელობაშია, იგი ვალდებულია გადაამოწმოს ნასყიდობის (და ა.შ.) წიგნებში, ან მოითხოვოს საკუთრების დამადასტურებელი სხვა საბუთების წარდგენა სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად“.

რისია, იგივენაირად შევადაროთ თუნდაც 781-ე, 782-ე და სხვა მუხლები ნოტ. დებულების 168-ე მუხლს, რათა დავრწმუნდეთ, თუ როგორ აშკარად აისახებიან პირველები, როგორც ცალკეული შემთხვევები, მეორეში, როგორც კანონში, რომელიც ზოგადად გამოხატავს ამ ცალკეულ შემთხვევებს.

შეიძლება შემედავონ, რომ სხვა მტკიცებულებებში შესაძლებელია იგულისხმებოდეს გამიჯვნის აქტებიც, რომლებიც საკუთრების უფლების დამატასტურებელ მთავარ საბუთთა რიცხვს მიეკუთვნება (ტ. X ნაწ. მე-2 683-ე მუხ.) და ამიტომ სიტყვები „სხვა მტკიცებულებები“, რომლებიც არ ეხება ნასყიდობის აქტებს, შეიძლება მიემართებოდეს გამიჯვნის აქტებს. ამ შემთხვევაში კი, გვეუბნებიან, რომ თქვენი დასკვნა არასწორია და ის, რაშიც ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს აქტის შედგენისას, ვერ იქნება ნამდვილი მფლობელობა-კუთვნილების ფაქტის თვალსაზრისითო. ესაა ერთადერთი მოსაზრება, რაც შეიძლება გამოითქვას ჩვენი დასკვნის საწინააღმდეგოდ.

თუკი შევძლებთ ამ საწინააღმდეგო მოსაზრების უკუგდებას, აღარავითარი საფუძველი არ იქნება ჩვენი დასკვნის უტყუარობაში ეჭვის შეტანისა. ხოლო ამას რომ სრული წარმატებით მოვახერხებთ და კანონის მეშვეობით დავამტკიცებთ, რომ 168-ე მუხლში ნახსენებ „სხვა მტკიცებულებებში“ იგულისხმება ყველა წერილობითი მტკიცებულება, გარდა ნასყიდობისა და გამიჯვნის აქტებისა, ამას ახლავე ვნახავთ, როდესაც 168-ე მუხლის გრამატიკულ და ლოგიკურ მნიშვნელობას განვმარტავთ, და, ამასთანავე, მას შევადარებთ ამავე ნოტარიული დებულების სხვა მუხლებს, რომლებიც მოცემულ საკითხს უკავშირდება. სწორედ ამას ვიწყებთ ახლა.

VI

ამ მიზნით თავს უფლება მივეცით სრულად მოგვეხმო ნოტ. დებულების 167-ე და 168-ე მუხლების ტექსტე-

ბი.

167-ე მუხლში ნათქვამია: „ამონაწერის დამტკიცებისას უფროსი ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, პირველ რიგში, იმაში, რომ სამოქალაქო კანონები (X ტ. I ნაწ.) არ კრძალავს აქტის შედგენასა და დამტკიცებას, ხოლო შემდეგ იმაში, რომ ამონაწერში მითითებული ქონება ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ან იმას, ვინც საკუთრების უფლების შეზღუდვაზე თანახმაა“. ხოლო თუ რა წესით უნდა მოხდეს დარწმუნება ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს 168-ე მუხლით ირკვევა, სადაც ნათქვამია: „რათა დარწმუნდეს უფროსი ნოტარიუსი, რომ ქონება ნამდვიად გამსხვისებელ მხარეს ეკუთვნის, მან უნდა შეამოწმოს ნასყიდობის, აკრძალვისა და ნებართვის წიგნები, ასევე ნასყიდობის საქმეთა რეესტრები და ამ წიგნებისა და რეესტრების ცნობარები, ან სამოქალაქო კანონებში დადგენილი წესების თანახმად, მოითხოვოს სხვა დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა“. თუკი კანონმდებლის მიერ 168-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში გამოთქმულ მოსაზრებებს ლოგიკურად შევუპირისპირებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ „სხვა მტკიცებულებები“ ტექსტის მეორე ნაწილში გამოყენებულია იმ მტკიცებულებებისაგან განსხვავებული მნიშვნელობით, რომლებზეც პირველ ნაწილშია საუბარი. ხოლო პირველ ნაწილში მხოლოდ ნასყიდობის აქტების შესახებაა ნათქვამი, რამდენადაც ნასყიდობის წიგნებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა აქტები ვერ იქნება (169 მუხ.). აზრთა ლოგიკური და სიტყვათა გრამატიკული ფორმების კავშირით გამოთქმა „სამოქალაქო კანონებში დადგენილი წესების თანახმად“ მთლიანად მიემართება სიტყვა „მოთხოვნას“ და არა „მტკიცებულებებს“, ხოლო – „სამოქალაქო კანონებში დადგენილი“ მიემართება „წესებს“ და არა „მტკიცებულებებს“.

ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ როდესაც ვერ ხერხდება ქონების კუთვნილების შესახებ ცნობების მიღება

ნასყიდობის წიგნებიდან და ეს შესაძლებელია იმ გამონაკლის შემთხვევაში, თუ მასზე ნასყიდობის აქტი არ არსებობს, ვინაიდან ნებისმიერი ნასყიდობის აქტი იმიტომ იწოდება ნასყიდობის აქტად, რომ უცილობლად და უპირობოდ უნდა იყოს შეტანილი ნასყიდობის წიგნში, – ამდენად, როდესაც ნასყიდობის წიგნიდან 168-ე მუხლით მოთხოვნილი ცნობების მოპოვება შეუძლებელია, ნოტარიუსმა სამოქალაქო კანონებში დადგენილი წესების თანახმად[1], უნდა მოითხოვოს კუთვნილების დამადასტურებელი სხვა საბუთები.

აი, ჩვენი აზრით, როგორ უნდა იქნას წაკითხული 168-ე მუხლის პირველი ნაწილი და შესაბამისად, აქ ნახსენები „სხვა მტკიცებულებები“[2]; მეორე ნაწილში კი ეს სიტყვები გაგებული უნდა იქნას, როგორც პირველ ნაწილში მოხსენიებული ნასყიდობის აქტებისაგან განსხვავებული რამ.

ხოლო ის, რომ ეს ნამდვილად „სხვა მტკიცებულებებია“ და არა ნასყიდობის აქტები, ამაში კიდევ უფრო ნათლად გვარწმუნებს სანოტარო ნაწილის წესების 77-ე მუხ. ამ მუხლში ნათქვამია, რომ ქონების კუთვნილების დამადასტურებელი საბუთების წარსადგენად (ტექსტში მითითებულია სწორედ 168-ე მუხლი), უფროსი ნოტარიუსი, 452-ე მუხლის თანახმად, გასცემს სამქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ მოწმობას საბუთის ან ცნობების მისაღებად სათანადო დაწესებულებიდან. ნუთუ კანონმდებელი დადგა აუცილებლობის წინაშე, გამოეცა ეს კანონი იმ განზრახვით, რომ ნოტარიუსის მიერ 168-ე მუხლის მიხედვით აქტების შედგენისას უძრავი ქონების

[1]. ხოლო ეს წესები მითითებულია X ტ., Iნაწილის 1382, 1381, 779, 780, 781 და სხვ. მუხლებში.

[2]. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ სამოლქო სასამართლოს 168-ე მუხლის მიღებისას გამორჩა სიტყვა „სხვა“, რომელიც ტექსტში გამოყენებულია სიტყვა „მტკიცებულებებთან“ ერთად და საკუთარი დასკვნის გასამართლებლად მოიხმეს 168-ე მუხ., სადაც გამოტოვებულია სიტყვა „სხვა“, რომელიც ხსნის მოცემული საკითხის მთელ არსსა და დანიშნულებას.

საკუთრების დამამტკიცებელ საბუთად უპირობოდ და უცილობლად საჭირო უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნასყიდლობის აქტები? ასეთ შემთხვევაში აქტის ნახვა ხომ შესაძლებელი იქნებოდა ნოტარიული არქივის ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნში. ამდენად, რატომღა უნდა წარგზავნილიყო მოსარჩლე სხვადასხვა დაწესებულებაში იმის მისაღებად, რაც უკვე იყო ნოტარიულ არქივში. თუმცა კვლავაც შეიძლება შემედავონ, რომ არსებობს გამოჯვნის აქტები, რომელთა ძალასა და მნიშვნელობას მოცემული შემთხვევაში ვერ უარყოფს თბილისის საოლქო სასამართლოდა რომლებიც, თუ გავითვალისწინებთ მათ წარმოშობასა და შედგენის პრინციპს, არ უნდა ირიცხებოდნენ ნოტარიუსის ნასყიდობის წიგნებში.

ხოლო ის, რომ 168-ე მუხლში გამოყენებულ გამოთქმაში „სხვა მტკიცებულებები“, აუცილებლად „სხვა“ უნდა ვიგულისხმოთ და არა მაინდამაინც ნასყიდობის და გამოჯვნის აქტები, ამას ნოტ. დებულების 156-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადასტურებს, სადაც ნათქვამია, რომ იმ მიწის რაოდენობის, ხარისხისა თუ ზოლმიწიანობის შესახებ ცნობების მისაღებად, რომელზეც ნოტარიუსისაგან საგირავნო მოწმობის გაცემის უფლებას გამოითხოვენ, ნოტარიუსი უშუალოდ უკავშირდება სათანადო დაწესებულებებს. როგორ შეიძლება კანონს რომელიმე მტკიცებულებაში დაეშვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ არ არსებობს მითითება თუნდაც მიწის რაოდენობის შესახებ, აღარაფერი რომ არ ვთქვათ სხვა ცნობების არარსებობაზე? ნუთუ უფლებათა განმტკიცების ნასყიდობის აქტებში და განსაკუთრებით, გამოჯვნის აქტებში, სადაც მიწის ოდენობის ზუსტი მითითება ერთ-ერთი არსებითი და აუცილებელი პირობაა?

ამგვარად, თუკი ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, სადამდეც მიგვიყვანა ბ-ნი პობედონოსცევის მსჯელობამ, რომელიც ჩვენ მიერ არის მოყვანილი ამ სტატიაში, კერძოდ კი:

1. ნოტ. დებულების 167-ე და 168-ე მუხლების ძალით, საკმარისია, ნოტარიუსი დარწმუნდეს მხოლოდ ქონების

კუთვნილების (ნამდვილი მფლობელობის თვალსაზრისით) ფაქტში იმისათვის, რომ შეადგინოს და დაამტკიცოს აქტი ამ ქონების გასხვისებისა ან მასზე უფლების შეზღუდვის შესახებ, 2) ამავე მუხლების მიხედვით, აღნიშნულში დასარწმუნებლად, ნასყიდობისა და გამიჯვნის აქტების გარდა, შეიძლება გამოდგეს საკუთრების დამადასტურებელი სხვა წერილობითი მტკიცებულებანიც, რომლებიც კანონითაა დაშვებული ნამდვილი მფლობელობის[1] ფაქტის დასამტკიცებლად, 3) ნოტარიუსის ქმედების არსი, როგორც ზოგადად, ისე, კერძოდ აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმაში, რომ ესქმედება არის საცნობო ხასიათის და არა სარევიზიო, უფლებათა სამართლებრივი შემოწმების თვალსაზრისით.

არც სასამართლომ და არც ნოტარიუსმა, მამულზე დამატებითი უფლების არარსებობის გამო, არ უნდა იხელმძღვანელოს საქალაქო გარიგების, გაყიდვის ან დაგირავების ამა თუ იმ მხარისათვის სარფიანობა-არასარფიანობის შესახებ დასკვნებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება თავისუფალი საქალაქო გარიგების იმ ზოგადსამართლებრივი საწყისის ხელყოფა, რომლის ძალითაც ნებისმიერს ენიჭება იმის უფლება და შესაძლებლობა, რომ ყველა მოცემულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს, ესა თუ ის გარიგება რამდენად შეესაბამება მის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ძალაუფლების გადაჭარბება, მოქალაქეთა უფლებებში შეჭრა, რისი წახალისება კი არა, შეწყნარებაც დაუშვებელია კანონით.

[1875 წ. 16 სექტემბრამდე]

---

[1]. ჩვენი აზრით, წერილობითად მიცემული მოწმის წარდგენაც კი შეიძლება გამოდგეს მსგავს მტკიცებულებად (სამქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი 409 მუხ.).მხოლოდ, მსგავსი ჩვენებების, ისევე როგორც მოწმეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იქნას დადგენილი წესრიგის მიხედვით.

რისთვის და რატომ
(პასუხი „მიწის კრედიტის პრაქტიკის“ ავტორს)

I

„ტიფლისკი ვესტნიკის“ 103-ე ნომერში დაბეჭდილია სტატია სათაურით „მიწის კრედიტის პრაქტიკა“. ჩვენ მივყვებით ამ სტატიის თითოეულ დებულებას ცალ-ცალკე, რათა მკითხველებს მივაწოდოთ უტყუარი მონაცემები, რომელთა საფუძველზეც მათ შეეძლებათ გამოიტანონ დასკვნა, თუ კონკრეტულად რა პრაქტიკას გულისხმობს ავტორი, როდესაც მიწის კრედიტის პრაქტიკაზე საუბრობს.

აი, პრაქტიკის ავტორის პირველი დებულება: „თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდებით, მმართველობის არჩევა ხდება თავადაზნაურთა პირველი მორიგი და არა თავადაზნაურ-დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ, როგორც ეს ქუთაისის წესდებაშია დადგენილი“.

აი, როგორ განსაზღვრავს თავადაზნაურთა საბანკო საქმეების საერთო კრებას თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების სპეციალური მუხლი, რომელიც ამ საკითხს შეეხება.

&83. პირველი პარაგრაფის შენიშვნაში მოხსენიებული არიან საბანკო საქმეთა საერთო კრების შემადგენლობაში მყოფი პირები, რომელთაც თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე.

ამ შენიშვნაში საუბარია არა ზოგადად თავადაზნაურების ან თავადაზნაურობის, არამედ თავადაზნაურ-დამფუძნებელთა შესახებ, რომელთაც ამა თუ იმ სახით

მონაწილეობა მიიღეს ძირითადი კაპიტალის შექმნაში.

&84. საერთო კრება წარმართავს:

ა) მმართველობის წევრთა და ა. შ. არჩევას.

შესაბამისად, თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების მიხედვით, მმართველობის არჩევა ხდება სწორედ თავადაზნაურ-დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ, როგორც ეს დადგენილია ქუთაისის წესდებითაც და არა თავადაზნაურობის საერთო კრების მიერ, რომლის ორი მესამედი საერთოდაც არ მონაწილეობს ბანკის ძირითადი კაპიტალის შექმნაში.

ისმის კითხვა: რატომ და რისთვის ამბობს პრაქტიკის ავტორი იმას, რასაც სინამდვილეში არ აქვს ადგილი?

ხმის გავრცელება იმის შესახებ, რომ საერთო კრება, საბანკო მართვის ეს უმაღლესი ინსტანცია, შედგება პირებისაგან, რომელთა ორი მესამედიც ბანკის ძირითადი კაპიტალის შექმნაში მონაწილეობითაც კი არ არის დაინტერესებული, საზოგადოებას უკარგავს იმის რწმენას, რომ სწორად მიდის საქმის წარმოება. ეს კი ასუსტებს ნდობას, რომელიც ასე სჭირდება ნებისმიერ საკრედიტო დაწესებულებას და ძალზე მნიშვნელოვანია მისი არსებობისათვის.

ჩვენ შორს ვართ იმ ვარაუდისაგან, რომ პრაქტიკის ავტორს, ავრცელებდა რა უსამართლოდ ამგვარ ხმებს, ჩვენი ბანკისადმი საზოგადოების ნდობის შერყევა ჰქონდა მიზნად.

ჩვენ იმას უფრო ვუშვებთ, რომ სიჩქარეში ვეღარ მოასწრო ჩვენი წესდების ბოლომდე წაკითხვა, ხოლო მხოლოდ &67-ით კი მცდარი დასკვნები გამოიტანა. თუ რატომ იჩქარა ასე, ეს ჩვენთვის გაუგებარია.

II

პრაქტიკის ავტორის მე-2 დებულება.

„რაღა თქმა უნდა, 1876 წელს თბილისელ ამომრჩევლებს ექნებათ შესაძლებლობა, 1874 წელთან შედარე-

ბით, არჩევნებს უფრო მეტი კომპეტენტურობით მოეკიდონ და უკეთ იყვნენ საქმეში ჩახედულები. დროებითი მმართველობის პირველ არჩევნებზე, ისევე, როგორც გასული თვის ქუთაისის არჩევნებზე, ბატონობდა მოხიბვლის ილუზია. გადამეტებული და ფუქსავატური დაპირების წყალობით ადგილობრივი თავადაზნაურობა დარწმუნებული იყო, რომ საადგილმამულო ბანკი არის უნივერსალური პანაცეა ჩვენი მხარის ყველა საზოგადოებრივი ბოროტებისა და სნეულებების წინააღმდე. ბანკის გახსნით კი ჩვენში დოვლათის მდინარეები იწყებს შემოდინებას. თითოეული ამომრჩეველი დარწმუნებული იყო, რომ ბანკი მასაც გაამდიდრებდა, მისი ოჯახის ყველა წევრსაც, ნათესავებსაც და მისი შთამომავლობის არა მხოლოდ მეშვიდე, არამედ მეშვიდასე თაობასაც“.

აი, ჯერ კიდევ 1872 წელს თავადაზნაურობისათვის წესდების დასამტკიცებლად წარდგენის წინ რა ილუზიები იყო გავრცელებული მასაში ამავე ბანკის ერთერთი მხარდამჭერის მიერ.

„კრედიტს, მისი ზოგადი გაგებით, აქვს ორპირი იარაღის ყველა თვისება, იმისდა მიხედვით, იყენებენ მას არასაწარმოო ან საწარმოო მოხმარებისათვის თუ არა. პირველ შემთხვევაში იგი დამღუპველია კერძო პირისათვის და მავნებელია საზოგადოებისათვის იმიტომ, რომ კერძო პირთან მიმართებით იგი მხოლოდ მის ვალებით ავსებას ემსახურება, ხოლო საზოგადოებისათვის მავნეა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის დანაზოგი, რომელიც კაპიტალის (მეცნიერული გაგებით) სახით არის წარმოდგენილი, არ იხარჯება წარმოების გაძლიერებისათვის, რითაც მხოლოდ იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრე. ეს ზიანს აყენებს კრედიტს, რომელიც არ მოიხმარება წარმოებისთვის და ამდენად იგი დაკარგულია და მთელი ეს თანხა აკლდება საზოგადოებას“.

შემდეგ: „ჩვენ გვჭირდება კრედიტი, რომლის განვი-

თარებაც განპირობებულია სამიწათმოქმედო წარმოებით, როგორც საკრედიტო გარიგების შესრულების ერთადერთი ეკონომიკური საშუალებით და ასევე მიწით, როგორც ერთადერთი ქონებით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კრედიტი“.

შემდეგ: ,,მიწის კრედიტის განვითარებისათვის საჭიროა, სამიწათმოქმედო წარმოებამ გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს და მიწა მყარ და საიმედო გარანტიას წარმოადგენდეს“.

ყოველივე ამის დასტურად ვიმოწმებთ იმ კრებაზე მყოფ ყველა პირს და თავად „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორს.

და აი, ამ სიტყვის ბოლოც, რომელიც 1872 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ქართულად და წარმოითქვა კრებაზე იმ მიზნით, რომ გაექარწყლებინა მოსაზრება ბანკის თითოეული დამფუძნებლის ერთპიროვნული კეთილდღეობის შესახებ.

„ამაზე (ბანკის დაარსების საქმეში ერთსულოვნებაზე) უარის თქმა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ისე არიან მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით მორალურად გაუკუღმართებულნი, რომ საერთო სარგებელზე ზრუნვა მხოლოდ მოცლილი წარმოსახვის ოცნებად მიაჩნიათ. ვიმეორებ, ასეთი ადამიანები არასდროს ამაღლებულან პირად ინტერესებზე, მათ სავსებით დაკარგეს ღვთისაგან მომადლებული მორალური იდეით განმსჭვალვის ნიჭი და საზოგადო კეთილდღეობისათვის პირადი სარგებლის დამორჩილება ახალგაზრდობის შეცდომად და გაზვიადებად მიაჩნიათ და არა ადამიანის მორალური ბუნების დღესასწაულად.

თავადაზნაურ-დამფუძნებელთა მიერ ბანკის გახსნის წინ წარმოთქმული და გაზეთ „დროების“ მე-16 ნომერში დაბეჭდილი სიტყვის მეშვეობით კი, აი, როგორი მომხიბვლელი ილუზიები, გაზვიადებული და ფუქსავატური

დაპირებები იქნა გავრცელებული ხალხში:

„ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ჩვენი ბანკი ყველას გაამდიდრებს. სწორედ ამიტომ ყოველი პარაგრაფი განვიხილეთ პიროვნების ინტერესებისა და კეთილდღეობის გათვალისწინებით, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი პარაგრაფი ხელს შეგვიშლის მე ან ჩემს ძმას, თეოდორეს, რამე სარგებელი ვნახოთ ბანკიდან“.

შემდეგ: ,,არა, მ.გ. ,ჩვენი ბანკი ვერ გააძღობს გაუმაძღარს, ვერ მოუკლავს მწყურვალს წყურვილს და მიმაგრების ზუსტი აქტების გარეშე ვერავის დააჯერებს, რომ ის მესაკუთრეა“.

შემდეგ: „კვლავ ვიმეორებ, ვინც მოგვმართავს კითხვით: პირადად მე რა სარგებელს მომცემს ბანკიო – ჩვენ ღიად ვპასუხობთ, რომ ბანკი მას სესხად მისცემს ფულს, თანაც დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით, რათა მან არ დაკარგოს გასესხებული თანხა. ვიცი, ეს პასუხი ძალზე გაგანაწყენებთ და გაბრაზებულნი მომიგებთ: აბა, რაღა საჭიროა თქვენი ბანკიო? ამის პასუხად მოგიგებთ შემდეგს. თავადაზნაურობამ ბანკი დააარსა იმ მიზნით, რომ შემოწირული ფული სესხის სახით მოხმარებოდა ჩვენს ქვეყანას, იმ პირობით, რომ არა მხოლოდ დაცული ყოფილიყო თითოეული კაპიკი დაკარგვისაგან, არამედ ამ სესხებს მოგებაც მოეტანა. თავადაზნაურობამ გადაწყვიტა, რომ ამ მოგების დიდი ნაწილი მოხმარებოდა ჩვენი მხარის საერთო საჭიროებებს, ხოლო ნაწილი იმათ, ვინც გაჭირვებაში ჩავარდა რაიმე უბედურების შედეგად, და არა იმათ, ვინც მხართეძოზე წამოწოლილან, გულზე ხელი დაუკრეფიათ, დაუღიათ პირი და გაიძახიან: გვაჭამეთო“.

შემდეგ: „თავადაზნაურობის მიერ ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ბანკს მოეტანა მუდმივი სარგებელი და ამ გზით შეექმნა ჩვენი მხარის ზოგადი საჭიროებების დასაკმაყოფილებელი მუდმივი წყარო“.

შემდეგ: „მხოლოდ მოგების მიღების შემდეგ ჩნდება

ბანკის ის მოვალეობა, რომლის შესრულებითაც უნდა დაკმაყოფილდეს ჩვენი ზოგადი საჭიროებები“ და ა.შ.

პრაქტიკის ავტორის მეორე დებულება, რომელსაც განვიხილავთ, ეჭვის ჩრდილს აყენებს ბანკის მმართველობის ამჟამინდელ წევრებს იმ მხრივ, რომ სწორედ მათ გაავრცელეს საკუთარ ამომრჩევლებში „გაზვიადებული და ფუქსავატური დაპირებები“ და ა.შ. აღნიშნულის შესახებ ვსაუბრობთ იმის საფუძველზე, რომ იმ პირთა გარდა, ვისაც სურდა ყოფილიყო მმართველობის წევრად არჩეული, არავის ექნებოდა წამაქეზებელი მიზეზი „გაზვიადებული და ფუქსავატური დაპირებები“ მიეცა ოქროს მთებზე, დოვლათის მდინარეებზე.

უნებლიედ და იძულებით საზოგადოებას წარმოვუდგინეთ ძალზედ მოსაწყენი, თუმცა უტყუარი ფაქტები იმის შესახებ, თუ რა დაპირებებს აძლევდა საკუთარ ამომრჩეველს ბანკის ამჟამინდელი მმართველობა თავისი ერთ-ერთი წევრის პირით. ამის განსჯა საზოგადოებისათვის მიგვინდვია. ჩვენ, თავის მხრივ, შორს ვართ იმ ვარაუდისგან, რომ პრაქტიკის ავტორი როდესაც, უვიცობის გამო, ავრცელებდა, რასაკვირველია, უსამართლო ჭორებს და მათ საფუძველზე, რა თქმა უნდა, გაუაზრებლად აკეთებდა ნათელ მინიშნებებს, მას არ ჰქონია განზრახული, ჩრდილი მიეყენებინა ბანკის მმართველობის ამჟამინდელი წევრებისათვის იმ მიზნით, რომ ამ გზით საზოგადოების ნდობა შეერყია ბანკისადმი, რომელსაც ასეთი მმართველობა ჰყავს.

III

პრაქტიკის ავტორის მე-3 დებულება:

„ამგვარად, სოფლის მამულების ფარგლებში გაცემული ყველა სესხის საერთო რაოდენობა საანგარიშო პერიოდშიარ აღემატებოდა 152,475 მანეთს, მაშინ, როცა ამავე პერიოდში ქალაქის შენობების ფარგლებში ბანკის მიერ გაიცა 360.600 მანეთი“.

& 27. ბანკის წესდება: ვადიანი სესხი გაიცემა:

1) სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწების და ა. შ. უზრუნველყოფით.

2) ქალაქის უძრავ ქონებათა და ა. შ. უზრუნველყოფით.

მაშასადამე, ბანკი, გასცემდა რა სესხებს ამ და სხვა სახის ქონებათა უზრუნველყოფით, იოტისოდენადაც არ დაურღვევია არც წესდება, არც მიწის კრედიტის პრაქტიკის ძირითადი საწყისები. და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ მიუთითებს პრაქტიკის ავტორი ზემოაღნიშნულ მოვლენაზე, რომელიც თავისი არსით არავითარ დანაშაულს არ შეიცავს? თუკი გავითვალისწინებთ ამ ფაქტს, რომელიც ადვილად აიხსნება სოფლის მამულების მიმაგრების აქტების არარსებობით და ავტორის მსგავსად ზედმეტად გავამახვილებთ მასზე ყურადღებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი ამას აკეთებს იმიტომ, რომ სურს კვლავ ფრთა შეასხას თავადაზნაურთა ბანკით უკმაყოფილების მიზეზს, რომელსაც, საბედნიეროდ, თანდათან ურიგდება თავადაზნაურობა. ეს უკანასკნელი დარწმუნდა, რომ ამ მიზეზის აღმოფხვრას ვერ შევძლებთ, თუ არ მოვიპოვეთ მიმაგრების აქტები, ან ზიანი არ მიადგა მიწის კრედიტის მთელ არსს.

ჩვენ შორს ვართ იმ ვარაუდისაგან, რომ პრაქტიკის ავტორს სწორედ ეს მიზანი ჰქონდა მხედველობაში.

ამის საწინააღმდეგოდ ვუშვებთ, რომ პრაქტიკის ავტორი როდესაც ამ ფაქტზე მიუთითებს და, რასაკვირველია, იცის მისი ჭეშმარიტი მიზეზი, სურს უთხრას თავადაზნაურებს: აი, როგორ უშიშრად იცავს მმართველობა ბანკის ინტერესებს, რომ თქვენც კი, თავადაზნაურებს, მიმაგრების აქტების არქონის გამო, არ გეძლევათ სესხები, მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის არსებობა თავისი ამ შემადგენლობით პირდაპირ და უშუალოდ არის დამოკიდებული თქვენს კეთილგანწყობაზეო.

ამგვარად, ქალაქის ქონების უზრუნველყოფით გაცე-

მულია ორჯერ მეტი სესხი, ვიდრე სოფლის მამულებით. ეს მართლაც ასეა. მერედა რა გამომდინარეობს აქედან? ნუთუ ის, რომ წყალში არ უნდა ჩაგვეყარა ისეთი სოლიდური კაპიტალის ბრუნვა, როგორიცაა 360.000 მანეთი. არა, ამბობს პრაქტიკის მოხერხებული ავტორი. აქედან გამომდინარეობს ის, განმარტავს იგი, რომ თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკს ორჯერ მეტი საფუძველი აქვს იწოდებოდეს თბილისის მუნიციპალურ საკრედიტო საზოგადოებად, ვიდრე ერქვას ის სახელი, რომელიც უწოდეს მას დამფუძნებლებმა.

მართალია, ფორთოხალიც ყვითელია, თუმცა აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ ბრინჯაოს, რომელიც ფორთოხალზე ორჯერ ყვითელია, ორჯერ მეტი საფუძველი აქვს, იწოდებოდეს ფორთოხლად. მაგრამ საქმე ამაში არ არის.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი დაფუძნებულია ურთიერთთავდებობის გარეშე და იმ უფლებით, რომ სესხები გაიცეს სოფლის მამულებით უზრუნველყოფით.

არის კი სადმე, განსაკუთრებით კი რუსეთში, ისეთი საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ატარებს მუნიციპალური საკრედიტო საზოგადოების სახელს ურთიერთთავდებობის გარეშე და, რაც მთავარია, აქვს უფლება გასცეს სესხები სოფლის მამულების უზრუნველყოფით? არა, ასეთი რამე არ არსებობს. თუ არსებობს, მაშინ მიგვითითეთ.

და ისმის კითხვა: რისთვის იყო საჭირო სახელწოდებათა არევა? იმის თქმა, რომ ბანკის დამფუძნებლებს, რომელთაგან ზოგიერთებს მოწინავე ადგილები უკავიათ ბანკის ამჟამინდელ მმართველობაში, არ შეეძლოთ დაერქმიათ შესაფერისი სახელი იმისათვის, რაც თავად შექმნეს, ეს იმავეს ნიშნავს, გაავრცელო ჭორი, რომ ბანკის საქმე უვიცი ადამიანების ხელში მოხვდა.

ჩვენ შორს ვართ იმ ვარაუდისაგან, რომ ავტორს,

რომელიც მსგავს ჭორებს ავრცელებს, სურს შეასუსტოს ბანკისადმი ნდობა, მიუთითებს რა იმ ფაქტზე, რომ ბანკის საქმე უვიცი ადამიანების ხელშია. პირიქით, ჩვენი აზრით, ავტორს სურს დაამტკიცოს, რომ სახელთა დამახინჯების მცდელობით შეუძლებელია შეიცვალოს თვად საგნის არსი.

IV

პრაქტიკის ავტორის მე-4 დებულება:

„ცნობილია, რომ ქალაქის ქონების უზრუნველყოფით გაცემული სესხები სარგებელს მოუტანს არა მიწათმოქმედსა და თავადაზნაურობას, არამედ მხოლოდ ვაჭრებს, რომლებიც საადგილმამულო ბანკისაგან სესხის მიღებისთანავე ამ თანხას ასპროცენტიან სესხად გასცემენ წვრილ თავადაზნაურობაზე“.

ეს ცნობილია „პრაქტიკის“ ავტორისათვის, ჩვენთვის კი ბანკის საქმეებიდან სრულიად სხვა რამ არის ცნობილი, კერძოდ კი ის, რომ სესხების უმეტესი ნაწილი ქალაქის ქონების უზრუნველყოფით აღებულია ბანკიდან არა ვაჭრების, არამედ თავადაზნაურთა მიერ. აი, ციფრებიც ამის დასადასტურებლად. ქალაქის ქონების გარანტიით გაცემული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების მთელი თანხიდან, რაც 360,440 მანეთს შეადგენს, 300,000 მანათზე მეტი თავადაზნაურობაზე მოდის, ხოლო დანარჩენი – სხვა წოდების წარმომადგენლებზე.

თუმცა კიდეც რომ ყოფილიყო ისე, როგორც ეს პრაქტიკის ავტორს სურს, რა მერე? ბანკის თერთმეტთვიანი პრაქტიკის გათვალისწინებით ნუთუ შეიძლება ვიმსჯელოთ მის მომავალ შედეგებზე? ნუთუ ბანკის არსებობა გათვლილია დროის ასეთ მოკლე პერიოდზე? ნუთუ ბანკი, რომელმაც, დავუშვათ, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო სოფლის მამულებისათვის თერთმეტი თვის განმავლობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერც თავისი არსებობის შემდგომ პერიოდში შეძლებს რაიმეს გა-

კეთებას? ხოლო ის, რომ ბანკმა ამ მიმართულებით ძალზე დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, სამჯერ უფრო დიდი ადრინდელთან შედარებით, ეს იმითაც დასტურდება, რომ ამა წლის პირველი იანვრიდან 15 მარტამდე მან მოასწრო გაეცა სოფლის მამულების უზრუნველყოფით 134,700 მანეთი, ე.ი. მიმდინარე წლის 4 S თვის განმავლობაში ამ მხრივ თითქმის იმდენი გაკეთდა, რამდენიც გასული წლის თერთმეტი თვის განმავლობაში.

და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ ეწევა ამგვარ პრაქტიკას პრაქტიკის ავტორი?

ჭორის გავრცელება იმის თაობაზე, რომ სათავადაზნაურო ბანკი მხოლოდ ვაჭრებს ეხმარება, ეს უკანასკნელნი კი მისი დახმარებით სულს ხდიან წვრილ თავადაზნაურობას ასპროცენტიანი ვალებით, გავლენას მოახდენს თავადაზნაურ-დამფუძნებლებზე, რომლებიც ნდობას დაკარგავენ საკუთარი ქმნილებისადმი და მოითხოვენ ბანკის განადგურებას, ვინაიდან ჩათვლიან, რომ ბანკი შეიქმნა ვაჭრების გასამდიდრებლად და თავადაზნაურობისათვის სულის ამოსახდელად.

ჩვენ არ ვუშვებთ ვარაუდს, რომ პრაქტიკის ავტორს მხედველობაში ჰქონდა თავადაზნაურობაში ამგვარი აზრის გაჩენა და ამით ბანკისადმი საზოგადოების ნდობის შერყევა, ვინაიდან ისეთი ბანკის დაფუძნება, რომლის განადგურების აზრიც თავად დამფუძნებლებს დაებადათ, არ შეიძლება გათვლილი იყოს რაიმე სახის ნდობაზე. უფრო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ პრაქტიკის ავტორს,შემთხვევით გახარებულს, სურს თავადაზნაურების დაცვა ვაჭართა განზრახვისაგან, დაამძიმონ ისინი ასპროცენტიანი ვალებით.

V

პრაქტიკის ავტორის მე-5 დებულება:

„და მოულოდნელად ჩვენს საადგილმამულო ბანკს უჩნდება, ამ ბანკების გარდა (ე. ი. რომლებიც მითითე-

ბულია 1876 წლის 1იანვრის ბალანსში), ვიღაც საიდუმლო კორესპონდენტები, რომლებზეც ირიცხება ჩვენი ბანკის აქტივის 132,911 მანეთი და 82 კაპიკი. ამ თანხიდან, ანგარიშის თანახმად, 20,389 მანეთი და 23 კაპიკი უზრუნველყოფილია პროცენტიანი ქაღალდებით, თუმცა უცნობია, როგორია ეს ფურცლები (ცნობილია, რომ სახელმწიფოა: მიაქციეთ ყურადღება ანგარიშის მე-6 გვერდს რუბრიკით „მიმდინარე ანგარიშები“), გარანტიანია თუ არა, და ისიც 20,340 მანეთის ოდენობით, როგორც ბალანსის პასივი გვიჩვენებს. ხოლო დანარჩენი 112,522 მანეთი და 59 კაპიკი არის თუ არა რამით უზრუნველყოფილი, ამის შესახებ ანგარიშში არაფერია ნათქვამი, ხოლო ბალანსის პასივი პირდაპირ გვარწმუნებს, რომ ბანკი ვერაფრით უზრუნველყოფს ამ სოლიდურ თანხას“.

კორესპონდენტები, რომელთაც, რასაკვირველია, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, ავტორი საიდუმლოს უწოდებს, ჩვენს ბალანსში ორჯერ არიან ნაჩვენები აქტივის სხვადასხვა ნაწილში. თუმცა, პრაქტიკის ავტორმა, მიუხედავად ამისა, აურია ისინი, გააერთიანა და მათგან მიიღო მხოლოდ ერთი, საიდუმლო კორესპონდენტები; ის კერძო პირები, რომელთაც გასული წლის ნოემბერში გავუხსენით მიმდინარე ანგარიში ჩვენთვის გადასახდელი, ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებთან შედარებით მაღალი პროცენტის სახით. თუმცა ჩვენ ეს გავაკეთეთ ისე, რომ მათგან მოვითხოვეთ მხოლოდ სახელმწიფო საპროცენტო ქაღალდებით უზრუნველყოფა. ბალანსის აქტივის მხარეს ისინი მითითებულიცაა რუბრიკაში „ბატონი კორესპონდენტების მიმდინარე ანგარიშები საპროცენტო ქაღალდების უზრუნველყოფით“, ბანკის წესდების &86-ის მე-7 დებულების თანახმად. ანგარიშის მე-6 ფურცელზე მიმდინარე ანგარიშების რუბრიკაში მივუთითეთ, თუ როგორია ეს საპროცენტო ქაღალდები და ბალანსშიც იმავეს

გამეორება აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ. და, აი, რატომ: წესდების 50-ე პარაგრაფზე დართული შენიშვნის საფუძველზე, ძირითადი კაპიტალის მხოლოდ ნაწილი, რომელიც საგირავნო ფურცლების მიმოქცევაში არსებული თანხის ერთ მეოცედს შეადგენს, უნდა ინახებოდეს გარკვეული სახის საპროცენტო ქაღალდებში. ხოლო დანარჩენი კაპიტალი, ყველა ბანკში არსებული ზოგადი წესის მიხედვით, მმართველობას გადაეცემა შესანახად ისე, როგორც ეს ბანკისთვის იქნება სარფიანი და ხელსაყრელი. ამის დასტურად ვიმოწმებთ, პირველ რიგში, ჩვენს წესდებას, სადაც საუბარია ჩვენს უფლებაზე, გავცეთ ესა თუ ის ფართი თავისუფალ კაპიტალად სადამდეც საჭიროა, იქამდე შენახვის მიზნით, შეუზღუდავად; მეორე- დადგენილების 71-ე პარაგრაფს, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ მმართველობა განაგებს ბანკის კაპიტალს; და მესამე – &86-ის 1 და 7 პუნქტებს, რომელთა შედარებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბანკის მმართველობას არა თუ არ ეკრძალება, არამედ ნება ეძლევა, არა მხოლოდ კაპიტალის სესხით სარგებლობისა, არამედ კიდევ სხვა სარგებლობისაც თავისთავად ნაგულისხმევი მიზნით, რომ ეს კაპიტალები, ერთი მხრივ, არ დაიკარგოს, ხოლო მეორე მხრივ, მატება იყოს პროცენტებით. მიმდინარე ანგარიშის გახსნა კერძო პირების მიერ, რომლებიც ყველა ბანკში კორესპონდენტების სახელით იწოდებიან, სულ სხვა რამ არის, არ ჰგავს თითქმის არც ერთი ბანკის პრაქტიკაში არსებულ თავისუფალ კაპიტალთა მოხმარების ნებადართულ საშუალებას. ამის დასტურად მივუთითებთ ხარკოვის საადგილმამულო ბანკის 1843 წლის ნაბეჭდი ანგარიშის 26-ე გვერდზე, ასევე, ვიმოწმებთ პოლტავის საადგილმამულო ბანკის 1874 და 1845 წლების ნაბეჭდი ანგარიშების მე-20 გვერდს, სადაც მიმდინარე ანგარიშების რუბრიკაში მითითებულია, ბანკების გარდა, კერძო პირებიც, ე.წ. კორესპონდენტები.

მაგრამ განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მიმდინარე ანგარიშს ჩვენი კორესპონდენტები უზრუნველგვიყოფენ პროცენტიანი ფასიანი ქაღალდებით, რაც მითითებულიც არის ჩვენს ბალანსში, მაშინ როცა სხვა საადგილმამულო ბანკების ბალანსებში ამგვარი მითითება არ არის. ნუთუ ჩვენს ამ დიდ სიფრთხილეს, წინდახედულობას, რაც ემსახურება ჩვენი კაპიტალების დაცვას ნებისმიერი შემთხვევითობისაგან, პრაქტიკის ავტორის გარდა, ვინმე სხვა, დანაშაულად ჩაგვითვლის?!

„ტიფლისკი ვესტნიკის“ N 106-ში, „ადგილობრივი ქრონიკის“ განყოფილებაში ნათქვამია: „მოცემულ შემთხვევაშიც ჩვენთვის (ე.ი., სამწუხაროდ, „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციისათვის) მხოლოდ ის მიზეზიც საკმარისი იყო, რომ ბანკის კაპიტალიდან 20.389 მან. სესხად გაიცა კერძო პირებზე, პროცენტიანი ქაღალდების უზრუნველყოფით, ხოლო ბანკის წესდება მისი ქმედების არეალს ზღუდავს სესხთა გაცემით უძრავი ქონების გარანტიით. ამ გარემოებას ჩვენ (ე. ი. ნუთუ თქვენ, „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქცია?) უფრო მეტად იმიტომ ვთვლით სერიოზულად, რომ სესხები გაცემულია შენიღბვის ხერხით, პროცენტიანი ქაღალდების უზრუნველყოფით მიმდინარე ანგარიშების გახსნის აქამდე გაუგონარი ხერხით“.

ჩვენ ამ ამონაწერზე ვამახვილებთ ყურადღებას რათა, ვაჩვენოთ, თუ რაოდენ, მსუბუქად რომ ვთქვათ, კადნიერი და ქედმაღლური შეიძლება იყოს ხალხის შენიღბული უვიცობა.

ჩვენი ბანკის მოქმედების არეალი, თავისი პირდაპირი ოპერაციის მიხედვით, მართლაც შემოიფარგლება სესხის გაცემით უძრავი ქონების გარანტიით. ნუთუ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ბანკის მმართველობა, რომელიც ვალდებულია (&71) განაგებდეს კაპიტალს და იძლეოდეს ანგარიშს (&71, მუხლი 1, 7) მათი მოხმარების შესახებ, თავისი კაპიტალები უმოქმედოდ უნდა ჰქონდეს

მაშინაც, როცა, რატომღაც, ამ კაპიტალებს პირდაპირი ოპერაციები აღარ შეეხება? ნუთუ საკუთარი კაპიტალის სარფიან შენახვაზე ზრუნვა თავისთავად არ შედის ბანკის მმართველობის მოვალეობებში? შეხედეთ არა მხოლოდ საადგილმამულო ბანკის ზემოთმოყვანილ ანგარიშებს, არამედ ყველა არსებული საკრედიტო დაწესებულების ანგარიშებს და დაინახავთ, რომ კაპიტალთა შენახვის საყოველთაოდ მიღებული ხერხი, უმთავრესად, არის მიმდინარე ანგარიშები.

თუმცა ყველაზე მეტად ჩვენ ის გვაკვირვებს, რომ „ადგილობრივი ქრონიკის“ („ტიფლისკი ვესტნიკის“ N106) ავტორი იწყებს მსჯელობას საბანკო ბალანსზე ისე, რომ საყოველთაოდ ხმარებული მარტივი ტერმინების გაგებაც კი არ შეუძლია. იგი მიმდინარე ანგარიშს, თუდაც პროცენტიანი ქაღალდების გარანტიით, სესხებად მოიხსენიებს. მიმდინარე ანუ კონტოკორენტული ანგარიში, როგორც მას ყველა ევროპულ ენაზე უწოდებენ, არის ფულის შენახვის ისეთი საშუალება, ისეთი ანგარიში, რომელიც მუდმივად ექვემდებარება შეცვლას დებეტში და კრედიტში ფულის გამცემი პირის ნებისამებრ. ხოლო სესხი არის ისეთი სახის საკრედიტო გარიგება, რომლის დებეტი და კრედიტი ვადამდე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ფულის მიმღები პირის სურვილისამებრ. სესხის სახეობათაგან მხოლოდ ერთი უახლოვდება თავისი ბუნებით მიმდინარე ანგარიშის საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებას, თუმცა აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ მიმდინარე ანგარიში, რომელიც ახლოს დგას სესხთან, მიმდინარე ანგარიში აღარ არის. მას ვერ ვუწოდებთ სესხს ზუსტად ისევე, როგორც ადამიანი, რომელიც სხვას ჰგავს, ამის გამო არ წყვეტს იმად ყოფნას, ვინც არის. თუმცა „ადგილობრივი ქრონიკის“ (N106) ავტორი ამ შემთხვევაში ოჩოფეხებზე დგება მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენს ბალანსში კორესპონდენტთა მიმდინარე ანგარიში ნაჩვენებია, როგორც პროცენ-

ტიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი და ასეთი ფრთხილი და ყოველ შემთხვევაში ყველაზე საიმედო ბანკის მიმდინარე ანგარიშის უზრუნველყოფის საშუალებას უწოდებს გაუგონარს, ხოლო აქედან გამომდინარე, თვითონ მიმდინარე ანგარიშს – შენიღბულ სესხს. გაუგონარი კი ის არის, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა ესაუბრა ისეთ საკითხზე, რომლის შესახებაც სრულიად არაფერი იცის, თანაც ბეჭდურად სახელმძღვანელო სტატიის სახით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქრონიკის ავტორს არ ჰქონდა უფლება დაეწერა ის, რაც დაწერა.

მიმდინარე ანგარიშის ბუნება სულაც არ იცვლება იმის გამო, რომ მისი გახსნა შეიძლება პროცენტიანი ქაღალდების გარანტიითაც. საკრედიტო გარიგებების სფეროში არსებობს პირდაპირი და ირიბი გარანტია. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება გარანტია, რომელიც წარმოდგენილია ისეთი იურიდიული პირის მიერ, როგორიცაა საკრედიტო დაწესებულება. მისდამი ნდობა ეფუძნება ფართო და საყოველთაოდ აღიარებულ საწყისებს. ამავეს ვერ ვიტყვით კერძო პირთან დაკავშირებით, რომელსაც ვერ ვანდეთ ჩვენი ფული მიმდინარე ანგარიშის სახით პროცენტიანი ქაღალდების პირდაპირი და უშუალო უზრუნველყოფის გარეშე.

თავისუფალი კრედიტის შენახვისა და გამოყენების ამ საშუალების შესახებ საკრედიტო კანცელარიას შევატყობინეთ ყოველთვიური ბალანსებით. მასვე მიეცა ახსნა-განმარტება ცალკეული მიმართვებით, გამოქვეყნდა ჩვენს 1845 წლის დაბეჭდილ ანგარიშში და 1876 წლის 1 იანვრის ბალანსში ჩვენ მიერ იქნა განმარტებული პირადად პრაქტიკის ავტორისათვის. თუმცა ამ უკანასკნელმა მაინც მისცა თავს უფლება ჩვენი კორესპონდენტებისათვის, რომელთაც მიმდინარე ანგარიში აქვთ ბანკში, ეწოდებინა იდუმალნი.

და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ აკეთებს ამას პრაქტიკის ავტორი? ნუთუ იმისათვის, რომ უჩვენოს სა-

ზოგადოებას მთელი უსარგებლობა უვიცობისა, რომელიც მით უფრო არასასიამოვნოა, თუ ქედმაღლობა და კადნიერება ახლავს თან.

პრაქტიკის ავტორის მითითების მიხედვით, მეორე სახის იდუმალი კორესპონდენტები არიან ჩვენი ბანკის ის მსესხებელნი, რომლებიც საგირავნო ფურცლების გაცემამდე, რის შეფერხებაც გარკვეული ფორმალობების გამო ხდება და ეს არ არის დამოკიდებული ბანკის მმართველობაზე, ბანკის კრედიტების ხარჯზე იღებენ ნაღდ ფულს საგირავნო ფურცლების ანგარიშში, რომლებიც გაცემას ექვემდებარება და ჩვენ მიერ წარმოდგენილია კომისიაზე &28-ის დადგენილებით ნებადართული განსაკუთრებული პირობით გასაყიდად.

ჩვენი ბანკის 1876 წლის 1 იანვრის ბალანსიდან, რომელიც აღნიშნულია ჩვენი 1875 წლის ნაბეჭდი ანგარიშის მე-14 გვერდზე, მსგავს კორესპონდენტთა ანგარიში გვიჩვენებს 112,522 მანეთს და კაპიკებს. ეს თანხა უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, რომელიც მიღებულია გირაოში ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილი ყველა ფორმალობის დაცვით. ეს უზრუნველყოფაც მიუთითებს აქტივზე რუბრიკით გრძელვადიანი სესხები, რომლებიც უნდა გაიცეს 187,500 მანეთის ოდენობით. ამით კი აქტივის ანგარიში ბალანსირდება პასივის ანგარიშებით რუბრიკით საგირავნო ფურცლები, რომლებიც ექვემდებარება იმავე 187,500 მანეთის გაცემას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დამზადების ექსპედიციიდან საგირავნო ფურცლები გამოშვების შესახებ, ხოლო ვალის დაფარვის კომისიიდან – მათზე გრიფის დადების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, ამ ანგარიშის თანხა გადადის აქტივის ანგარიშზე რუბრიკით გრძელვადიანი სესხები და ხდება გაცვლა შესაბამის ანგარიშებში.

და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ მოიხსენიებს პრაქტიკის ავტორი ჩვენს კორესპონდენტებს ვიღაც საი-

დუმლო კორესპონდენტებად.

ბანკის კორესპონდენტთა იდუმალებაზე ამგვარმა ქარაგმამ შეიძლება ნებისმიერს დაუფრთხოს წარმოსახვა, განსაკუთრებით კი იმას, ვინც არ არის მიჩვეული ჩაუღრმავდეს სიტყვებს და გადაამოწმოს ისინი. ხოლო რამდენადაც შიშს დიდი თვალები აქვს, ასეთმა დაფრთხობამ შესაძლოა ავნოს იმ ბანკისადმი ნდობას, რომელიც თითქოს იმართება ვიღაც საიდუმლო კორესპონდენტების მიერ.

ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ ვარაუდისგან, რომ პრაქტიკის ავტორი სწორედ ამ მიზნით იწრთობოდა მსგავს ქარაგმებში. უფრო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იგი ამას აკეთებს კეთილი მიზნით, მიაჩვიოს საზოგადოების, განსაკუთრებით კი ჩვენი, თავადაზნაურობის, მშიშარა ყური შიშის მიმანიშნებელ სიტყვებს.

ისმის კითხვა: რისთვის და რატომ დასჭირდა პრაქტიკის ავტორს გაევრცელებინა ხმები იმის შესახებ, რომ ისეთი სოლიდური თანხა, როგორიცაა 112,522 მანეთი, არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, თანაც გვარწმუნებს, რომ ანგარიში ამ თანხის უზრუნველყოფის შესახებ არაფრისმთქმელია. პასივი კი პირდაპირ გვიჩვენებს, რომ ბანკი ვერაფრით უზრუნველყოფს ამ ფულს.

აქ, ასევე, წარმოდგენილია ნათელი მაგალითი აშკარა უვიცობისა. საქმე ისაა, რომ პასივი, მისი საყოველთაოდ მიღებული გაგებით, სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა- წყაროს, საიდანაც აქტივი მოიპოვებს მთელ თავის სახსრებს. ახლა კი ისმის კითხვა: ამ ორიდან რომელია უზრუნველმყოფი მხარე? ვინც გასცემს? თუ ის, ვინც იღებს? ამიტომაც არის აქტივი პასივის უზრუნველყოფა, და არა პირიქით, როგორც ამას პრაქტიკის ავტორი ფიქრობს.

ბუხჰალტერიის ყველა სახელმძღვანელოს შეუძლია ამაში ნებისმიერის დარწმუნება. ამდენად, რატომ აკვირვებს ავტორს ის, რომ მან ვერ იპოვა 112,522 მანე-

თის აქტივის უზრუნველყოფა პასივში? ეს ხომ მაშინ ხდება, როდესაც ადამიანები იქ ეძებენ, სადაც არა მარტო არ არის იგი, რასაც ეძებენ, არამედ, არც შეიძლება იყოს.

ყოველივე ამის განსჯა საზოგადოებისათვის მიგვინდვია. მისთვის ჩვენი ბანკის წიგნაკები ბანკის მმართველობის წევრთა მიერ მიღებული კეთილგონივრული, თუმცა, სამწუხაროდ, იშვიათად გამოყენებული წესის მიხედვით, მუდამ ღიაა. აღნიშნული წესი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულების კრედიტი მით უფრო ძლიერი და მტკიცეა, რაც უფრო დიდია სივრცე ნებისმიერისათვის, შეამოწმოს მისი ქმედებები თუ წიგნაკები.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, შორს ვართ იმ ვარაუდისაგან, თითქოს პრაქტიკის ავტორი იმიტომ ავრცელებდა ხმებს ჩვენი ბანკის სოლიდური თანხების შესახებ, რომ სურდა სავსებით შეერყია ჩვენი ბანკი. უფრო დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ იგი ამას სჩადის ერთადერთი მიზნით, დათრგუნოს ადამიანებში უღირსი გრძნობა შიშისა და ამ მიზნით ხშირად მიუთითებს შიშისმომგვრელ საგნებზე. თუმცა, სამწუხაროდ, მას ავიწყდება, რომ ამ მეთოდს მიმართავენ არა ადამიანების, არამედ ცხენების შემთხვევაში, რომლებსაც ასე მკურნალობენ: ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ძალით უბიძგებენ იმ საგანზე, რომელიც მათ აშინებს.

VI

პრაქტიკის ავტორის მე-6 დებულება:

„ამ მიზნით (ე.ი. საგირავნო ფურცლების რეალიზაციის მიზნით) მან (ე.ი. ბანკის მმართველობა) საგარეო ვაჭრობისათვის რუსულ ბანკთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საადგილმამულო ბანკის 6%-იანი საგირავნო ფურცლები უნდა ყოფილიყო რეალიზებული 80-80 მანეთი 100 მინიმუმზე. ეს ხელშეკრულება დაიდო იმ

დროს, როცა რუსეთის საადგილმამულო ბანკების 5 S % და 6%-იანი საგირავნო ფურცლები გადიოდა 92 და 93 მან. ნამატი, ე.ი. განსხვავება ამ 80 მანეთსა და რეალურად გაყიდულის ფასს შორის უნდა გაყოფილიყო შუაზე; ერთი ნახევარი მიდიოდა მსესხებლის, ხოლო მეორე-რუსული ბანკის სასარგებლოდ“.

ხელშეკრულება რუსულ ბანკთან დადებულია 1874 წლის 26 დეკემბერს. აი, რა კურსით გადიოდა რუსული საადგილმამულო ბანკის 6%-იანი საგირავნო ფურცლები ამ წლის განმავლობაში.

ჩვენ ამ ციფრებს ვიღებთ 1874 წლით დათარიღებული იმ გაზეთიდან, რომელიც პირველი მოგვხვდა ხელში.

1874 წლის იანვარში რუსული საადგილმამულო ბანკების 6%-იანი საგირავნო ფურცლების ყველაზე დაბალი კურსი იყო: თვის დასაწყისში 79 j მანეთი (გაყიდული), ხოლო თვის ბოლოს 78 S (მყიდველი); ყველაზე მაღალი კი – 83 S (გაყიდული) თვის დასაწყისში და 82 j – თვის ბოლოს (გაყიდული).

ამის დასტურად ვიმოწმებთ 1874 წლის „საბირჟო უწყებანის“ მე-2 და 31-ე ნომრებს.

შემდეგ საგირავნო ფურცლების კურსმა, მართალია, სწრაფად არა, მაგრამ ნელ-ნელა აიწია, ისე, რომ 1874 წლის დეკემბერში, ე.ი. იმ თვეში, როდესაც ხელშეკრულება დავდეთ რუსულ ბანკთან, მათი კურსი იყო: ყველაზე დაბალი ამ თვის დასაწყისში 85 მანეთი (გაყიდული), თვის ბოლოს კი – 84 s (მყიდველები), ხოლო ყველაზე მაღალი – ამ თვის დასაწყისში 85 s (მყიდველები), თვის ბოლოს კი 86 (გაყიდული) და 87 S (მყიდველები).

ამის დასტურად ვიმოწმებთ 1874 წლის „საბირჟო უწყებანის“ 340-ე და 354-ე ნომრებს.

მიუხედავად ამ უტყუარი ციფრებისა, პრაქტიკის ავტორი ურცხვად ამბობს, რომ რუსულ ბანკთან ხელშეკრულების დადებისას რუსული საადგილმამულო ბანკე-

ბის 6%-იანი საგირავნო ფურცლები გადიოდა 92 და 93, და სწორედ აქედან გამომდინარე კეთდება ასეთი დასკვნა.

„ცხადია, რუსული ბანკი ვერ შეიქმნიდა ამაზე უფრო ხესაყრელ პირობებს და მისი პირდაპირი სარგებელი მოითხოვდა საგირავნო ფურცლების რაც შეიძლება წარმატებით დაბანდებას.იღებდა რა რუსული ბანკი 100 მანეთის ღირებულების ყოველ საგირავნო ფურცელზე სუფთა მოგებას 6-7 მანეთის ოდენობით, რასაკვირველია, გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რათა სწრაფად მოეხდინა ჩვენი საგირავნო ფურცლების რეალიზება“.

დასკვნა სწორია, თუმცა ფაქტი, საიდანაც იგი გამომდინარეობს, არასწორზე მეტია, როგორც ამას თავადვე ხედავს მკითხველი. თუმცა ასეა თუ ისე, ჩვენმა მსესხებლებმა ჩვენი ამგვარი ხელშეკრულების მეშვეობით მოახდინეს თავიანთი საგირავნო ფურცლების რეალიზება 86 მანეთზე მეტი ასზე, ვინაიდან ჩვენი ფურცლები გაიყიდა 92, 93, 94 და 95 მანეთად. ამის დასტურად ვიმოწმებთ პეტერბურგის ბირჟის საბირჟო ბიულეტენებსა და ჩვენს წიგნაკებს. ვინც თვალყურს ადევნებს საგირავნო ფურცლების კურსის განვითარებას, მისთვის, რასაკვირველია, ნათელია, რომ საკუთარი ობლიგაციების ასეთი მოთავსება საადგილმამულო ბანკისათვის, რომელიც სულ ახლახან ამოქმედდა, უფრო მეტია, ვიდრე მოულოდნელობა. ასეთი მოულოდნელი წარმატების გამო, ჩვენ წინა ხელშეკრულების ვადის დამთავრებისთანავე დავდეთ ახალი ხელშეკრულება რუსულ ბანკთან იმ აუცილებელი პირობით, რომ ნამატი მინიმუმსა და გასაყიდ ფასს შორის გაიყოფა შუაზე მსესხებელსა და რუსულ ბანკს შორის არა 80 მანეთიდან, არამედ – 82-დან ასზე.

და ისმის კითხვა: პრაქტიკის ავტორი ფაქტების არასწორად დადგენისას რისთვის და რატომ აზვიადებს 6 და 7%-ით უფრო მეტად, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

ჭორების გავრცელება იმის შესახებ, რომ ბანკის

მმართველობამ დაადგინა თავისი 6%-იანი საგირავნო ფურცლების გასაყიდ ფასად 80 100 მანეთზე, მაშინ, როცა მეტის მოლოდინი სიგიჟე იქნებოდა, ნიშნავს ბანკის იმ უწყინარი საიდუმლოს გამჟღავნებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ვაჭრობის წარმატების უზრუნველყოფა; ეს ნიშნავს იმის გამოცხადებას, რომ „აი, უკიდურეს შემთხვევაში, რაზე შეუძლია შეჩერდეს საგირავნო ფურცლების გამყიდველი. შესაბამისად, მყიდველი, თუკი სურს კიდეც მათი მაღალ ფასად შესყიდვა, გამაგრდი, დათმობენ“. ეს ყოველივე კი ნიშნავს, არამარტო ბანკისთვის საგირავნო ფურცლების სარფიანად გაყიდვაში ხელის შეშლას, არამედ მსესხებელთა ჯიბეებიდან ათი ათასობით მანეთის გადაყრას.

ხოლო ჭორების გავრცელება იმის შესახებ, რომ ბანკის მმართველობამ დაადგინა ასეთი მინიმუმი, მაშინ, როცა სხვა ბანკთა საგირავნო ფურცლები თითქოს გადიოდა 92 და 93 მან., ნიშნავს ბანკის მმართველობისათვის ჩრდილის მიყენებას სრულიად დაუმსახურებლად, იმ მხრივ, რომ მან, გააფორმა რა ხელშეკრულება, თითქოსდა, რუსული ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ შეძლო გაეგო და გაეცნობიერებინა ნამდვილი ვითარება.

შეეფერება თუ არა სიმართლეს ყოველივე ზემოაღნიშნული, ეს, დაე, საზოგადოებამ განსაჯოს. უტყუარი ფაქტები აშკარაა. ჩვენ, ჩვენი მხრივ, შორს ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ პრაქტიკის ავტორს, რომელიც ავრცელებს ამგვარ ჭორებს და ამჟღავნებს ბანკის ანგარიშგასაწევ საიდუმლოებებს, სურდა რაიმე ზიანი მიეყენებინა ბანკისთვის, დამქირავებლებისათვის ან ჩვენთვის. პირიქით, სიხარულით დავუშვებთ იმ აზრს, რომ პრაქტიკის ავტორს ჰქონდა კეთილი განზრახვა, ეჩვენებინა საზოგადოებისათვის განსაცვიფრებელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ზოგჯერ ბეჭდური სიტყვა „შეითხზას“. სწორედ ამიტომ აფრთხილებს საზოგადოებას, რომ ყოველთვის არ ენდონ ამ სიტყვას.

VII

პრაქტიკის ავტორის მე-7 დებულება:

„მთავარი ღირსება საადგილმამულო ბანკისა, მოგებასთან მიმართებით, მდგომარეობდა სესხების იმ 15 %-ის მიღებაში, რომელიც, წესდების მიხედვით, უნდა მოხმარებოდა კაპიტალთა ფონდის შექმნას და ბანკის ხარჯების დაფარვას. საანგარიშო პერიოდში, როცა გაცემული სესხების მთელ რაოდენობაზე სარგებელი იყო 6,982 მან. და 50 კაპ., ბანკის გასავალი ორჯერ მეტ თანხას – 14,977 მანეთსა და 96 კაპიკს შეადგენდა“.

თუკი ავტორის პრაქტიკას მივყვებით, რომელიც მხოლოდ ერთ შესაკრებს იღებს ჩვენი ანგარიშის მე-13 გვერდზე ნაჩვენები ბანკის მთლიანი შემოსავლის საერთო თანხიდან, რაც 29,530 მანეთს შეადგენს, არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს ავტორის სწორი დასკვნების გამოტანის უნარმა.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მას ჰქონდა ამის ფიზიკური შესაძლებლობა და არ აიღო შესაკრებთა შორის უმცირესი, თუნდაც, მაგალითად, „ვადის გასვლისთვის დაწესებული საურავის ანგარიში“, რომელიც იძლევა 75 მანეთისა და 18 კაპიკის ოდენობის შემოსავალს, და არ დაასახელა ეს თანხა ბნაკის მოგების ერთადერთ საიმედო წყაროდ.

მაშინ ავტორის მიერ ამ ერთადერთი შემოსავლის, 75 მანეთისა და 18 კაპიკის, შედარება გასავლების რაოდენობასთან, 14,977 მანეთსა და 96 კაპიკთან, უფრო მეტად ემსახურებოდა მის მიზანს, რომელიც მიმართულია არა ჭეშმარიტების გამოაშკარავებისაკენ, არამედ პირიქით. მაშინ ამგვარი შედარება უფრო მეტად მოჰგვრიდა შიშს საზოგადოებას, განსაკუთრებით კი აზნაურ-დამფუძნებელთ.

საქმე ის არის, რომ: ჩვენი ანგარიშის მე-13 გვერდი აჩვენებს ექვს შესაკრებს, რომლებიც შედის მთლიანი

შემოსავლის საერთო თანხაში. ეს თანხა კი 29,430 მან. და 81 კაპიკამდე აღწევს. პრაქტიკის ავტორმა გასავლის მუხლს, 14,976 მანეთს შეუპირისპირა მთელი თანხის მხოლოდ ერთი შესაკრები, კერძოდ კი 6,982 მან. და 50 კაპ.

პრაქტიკის ავტორი თავს უფლებას აძლევს, უცერემონიოდ და თვითნებურად მოეპყრას უტყუარ მონაცემებს და ამბობს:

„საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამიერკავკასიის უწყება მისცემდა თავად-აზნაურობას ამ თანხაზე (ე.ი. ძირითად კაპიტალზე) 15,500 მანეთის ოდენობის პროცენტს მაშინ, როცა, განაგრძობს იგი, ბანკის გასავლები იქნებოდა ორჯერ მეტი, 14,977 მან. 96 კაპ.“ ერთადერთი (თითქოს) ზუსტი შემოსავლის, 6.982 მან. 50 კაპ. მაგივრად.

ეს უკანასკნელი თუ რამდენად ზუსტია, ამას ვხედავთ. ახლა მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმაზე, რაც ნათქვამია უწყებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი ბანკი იძლეოდა სუფთა მოგებას 13.979 მან. 56 კაპ. ოდენობით, ამდენად, უწყების პროცენტები ვერავის აცდუნებს, როგორც ეს ავტორს სურს. ხოლო ის, რომ ჩვენს ბანკს შეუძლია იმის მოცემა, რასაც ვერასდროს ვერცერთი საკრედიტო დაწესებულება ვერ მოგვცემს პროცენტების სახით ძირითად კაპიტალზე, ამას ახლავე ვნახავთ.

მთავარი, თუმცა არა ერთადერთი, წყარო ჩვენი ბანკის შემოსავლებისა ნამდვილად შეადგენს სესხთა 1 S %-ს. მაგრამ სესხთა ამ 1 S %-მა შესაძლოა ახლო მომავალში 15 % შეადგინოს ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილის მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება გრძელვადიანი სესხების გაცემის უმაღლესი ზღვარი და რომელიც 160.000 მანეთამდე აღწევს.

წესდების &50-ის მიხედვით, ჩვენ გვაქვს უფლება გავცეთ გრძელვადიანი სესხები გასაცემ თანხაზე ათჯერ

მეტი საგირავნო ფურცლების გამოშვებით. მაშასადამე, ჩვენი სესხების ოდენობა შესაძლოა და ახლო მომავალში კიდეც გაუტოლდება 1.600.000 მანეთს. ხოლო ამ კეთილდღეობის დიდხანს ლოდინი რომ არ მოგვიწევს, ამაში გვარწმუნებს ის გარემოება, რომ წელიწადსა და სამ თვეში, ე.ი. 1874 წლის 13 თებერვლიდან მიმდინარე წლის 17 მაისამდე მოვასწარით გაგვეცა 795.400 მან. ოდენობის გრძელვადიანი სესხები. სულ ერთია, როგორ გამოვითვლით, 1 S % 1.600.000-ზე თუ 15 % 600.00-ზე, ჩვენს ბანკს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მხოლოდ ამ ერთი წყაროდან 24.000. შემდეგ, ძირითად და სხვა კაპიტალებს, რაც 261.000 მანეთზე მეტია, შეუძლია მათ მიმდინარე ანგარიშებზე ყველაზე მცირე მოთავსების შემთხვევაში, სულ ცოტა 4%-ს მოგვცენ, რაც 10.440 მანეთს შეადგენს.

ამგვარად, მხოლოდ ამ ორი უეჭველი წყაროდან ბანკის წლიური შემოსავალი შესაძლოა და გაუტოლდება კიდეც 34.440 მანეთს. არ ვლაპარაკობთ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან წყაროებზე, მოკლევადიან სესხთა ბრუნვაზე, სხვადასხვა პროცენტის ანგარიშებზე, რომლებიც საგირავნო ფურცლებზეა გაბრილი კომისიაზე, ერთდროულ 1% და j % გადასახადზე საგირავნო ფურცლების შესაფასებლად და მოსამზადებლად, საკომისიო j % გადასახადზე, ვადიანი ფულადი გადასახადების პროცენტებზე, რომლებიც ექვსი თვით ადრეა შესატანი და ა.შ.

და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ მისცა თავს უფლება პრაქტიკის ავტორმა, ესარგებლა მხოლოდ ფიზიკური შესაძლებლობით და აეღო ექვსიდან მხოლოდ ერთი შესაკრები 6.982 მან. 50 კაპ., ხოლო მისი გასავლის ციფრთან 14.977 შედარების შემდეგ, განეცხადებინა, რომ ბანკის გასავალი შეადგენდა ორჯერ მეტს, ვიდრე ასეთი მოგება, რომელიც, როგორც მას მიაჩნია, მომდინარეობს ერთადერთი ჭეშმარიტი წყაროდან.

და ისმის კითხვა: რისთვის და რატომ მიუთითებს

პრაქტიკის ავტორი იმაზე, რომ უწყება, თურმე, ჩვენს ძირითად კაპიტალზე იძლეოდა მოგებას 15.500 მანეთს პროცენტების სახით?

ჩვენ შორს ვართ იმ ვარაუდისგან, რომ პრაქტიკის ავტორს სურდა ამით თავად-აზნაურობისთვის ეთქვა, რომ „ყველასათვის უკეთესი ხომ არ იქნებოდა, დაეტოვებინათ თქვენი ბანკი და გაეცათ ფული უწყებაში პროცენტებზე. იგი, 15.500 მანეთს მაინც მოგცემთ, მაშინ როცა თქვენს ბანკს გასავალი ორჯერ მეტი აქვს, ვიდრე შემოსავალი“.

არ გვგონია, რომ პრაქტიკის ავტორს ეს მიზანი ჰქონოდა. პირიქით, ვუშვებთ იმ აზრს, რომ მას, ისევ და ისევ, სურდა რჩევა მიეცა საზოგადოებისა და თავად-აზნაურობისათვის (ამჯერად უკვე თვალსაჩინო სწავლების სისტემით), რომ უაღრესად პატივცემულ ბეჭდურ სიტყვას შეუძლია იხუმროს ისეთ რაღაცებზეც, როგორიცაა ციფრები, ამიტომაც ავტორი აფრთხილებს მათ, ყოველი შემთხვევისთვის.

VIII

პრაქტიკის ავტორის მე-8 და უკანასკნელი დებულება:

„მოგების სხვა მუხლები მიეკუთვნება არაპირდაპირი შემოსავლების რიცხვს: – მოგება ქონების შეფასებიდან (4,184), პროცენტები, რომლებიც ნაანგარიშებია საგირავნო ფურცლებით კომისიაზე (3,126 მან. 55 კაპ.) და ვაზის ფოთლებით დაფარული მიმდინარე ხარჯების (ე.ი., კორესპონდენტების) პროცენტები 6.395 მან. 47კაპ. ოდენობით“.

მიმდინარე ანგარიშების პროცენტები არამარტო დაფარულია, არამედ გამოფენილია ჩვენი დაბეჭდილი ანგარიშის მე-6 გვერდზე რუბრიკით „III მიმდინარე ანგარიში“, და თავად ბალანსზეც.

აი, როგორია ეს პროცენტები. ზემოთ ვისაუბრეთ, რომ

ჩვენი თავისუფალი თანხები უმოქმედოდ რომ არ იდოს, ჩვენ არა მარტო უფლება გვაქვს, არამედ ვალდებულნიც ვართ, ისე შევინახოთ, რომ ისინი არ დაიკარგოს და გაიზარდოს. ამ მიზნით ჩვენ მათ ვინახავდით, სანამ საჭირო იყო, მიმდინარე ანგარიშებით ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებში და კერძო პირებთან, ე.ი. კორესპონდენტებთან პროცენტიანი სახელმწიფო ქაღალდების უზრუნველყოფით, და ჩვენს თანხაზე ვიღებდით პროცენტებს.

ამგვარად, საანგარიშო დროში ჩვენ მივიღეთ:

კომერციული ბანკიდან 1.714 მან. –

თბილისის ურთიერთშეთანხმებული კრედიტისსაზოგადოებიდან..... 4.445 მან. –

სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან 186 მან.

და კრედიტორებისაგან – 49 მან.23 კაპ*

ამ ყოველივეს დასადასტურებლად ვიმოწმებთ ჩვენი ბანკის წიგნაკებს და იმ დაწესებულებათა და პირთა კონტოკორენტულ ანგარიშებს, ვისაც ეკუთვნის მიმდინარე ანგარიშები.

ისმის კითხვა: რისთვის და რატომ აყენებს პრაქტიკის ავტორი ჩრდილს ამ შემოსავლებს, როდესაც ამბობს, რომ ისინი „ვაზის ფურცლებით არის დაფარული“ და კარგი დღე არ ელის ამ შემოსავლებს?

ამგვარი საქციელით, რასაც, რა თქმა უნდა, უვიცობა განაპირობებს, პრაქტიკის ავტორმა შეიძლება საბაბი

---

*თავიდან რომ ავიცილოთ გაუგებრობანი, რომელთაც შესაძლოა თავი იჩინოს პრაქტიკის ავტორის წყალობით, გთხოვთ დაუკვირდეთ, რომ ეს 49 მან. 23კაპ. არის 1876 წ. 1იანვრისთვის მიღებული 8.000მანეთის პროცენტი, 1875წლის 5 დეკემბრიდან, 6.000 მან. 16 დეკემბრიდან და 2.000 მან. 30 დეკემბრიდან. ამდენად, ვინაიდან ეს პროცენტები არ იყო გადახდილი წიგნაკების დამტკიცებამდე, ე.ი. 1876 წლის 1 იანვრამდე, კორესპომდენტთა ანგარიში გაკეთებულია მევალეების მიერ 49მან.23 კაპ- ზეარაც ნაჩვენებიცაა ბალანსში იქ, სადაც საჭიროა. ხოლო ყველა გასტუმრებული პროცენტი შევიდა ანგარიშში „სხვადასხვა პროცენტები“.

მისცეს თავის ავისმოსურნეებს იფიქრონ, რომ მას სურდა ამით საბოლოოდ შეერყია ყოველგვარი ნდობა ბანკისა და მისი მმართველობისადმი. თუმცა ჩვენ შორს ვართ ამგვარი მოსაზრებისაგან. პირიქით, დიდი სიხარულით ვუშვებთ იმ ვარაუდს, რომ პრაქტიკის ავტორს, იწყებდა რა თავის პრაქტიკას, კეთილი მიზანი ამოძრავებდა, გამოეფხიზლებინა, და, რაც მთავარია, ეიძულებინა ბანკის აზნაურ-დამფუძნებლები დიდი კომპეტენტურობით, საქმეში მეტად გარკვევით მისდგომოდნენ საკუთარ მოვალეობებს მომავალი საერთო კრების დროს.

ჩვენ ვჯერდებით ამ უკანასკნელ მოსაზრებას და ვამშვიდებთ სხვებსაც. იმის გამო, რომ ამ ვარაუდს შეუძლია დაფაროს ნებისმიერი სიშიშვლე ორჯერ უკეთ, ვიდრე ვაზის ფოთოლმა, ავტორის მიერვე შემოთავაზებული თეორიის მიხედვით, მას ორჯერ უფრო მყარი საფუძველი აქვს იწოდებოდეს ვაზის ფოთლად. ამიტომაც აღნიშნულ ვარაუდს ასეც ვუწოდებთ და მისი საშუალებით დავფარავთ სამუდამოდ იმ დაქანებას, რომლითაც ჩვენს წინ მიექანება, სამწუხაროდ, ბეჭდური სიტყვის პრაქტიკა მთელი თავისი სტრიქონთშორისებისა თუ სტრიქონთა სწრაფვის უსირცხვილო სიშიშვლით.

[1876 წ. 27 მაისამდე]

თბილისის საადგილმამულო ბანკის წარმომადგენლის, ი. გ. ჭავჭავაძის ცალკე მოსაზრება მიწის ქონებათა შეფასებისათვის მაქსიმალური ნორმის დადგენის საკითხთან დაკავშირებით

საკრედიტო კანცელარიის შემოთავაზებებში იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ქონებათა მაქსიმალური ფასის ზღვარი დადგინდეს სუფთა წლიური შემოსავლიანობის გამრავლებით კანცელარიის მიერ მითითებულ ციფრზე, ხოლო მიწის ქონებისა – ამა თუ იმ მაქსიმუმით ფასის შეზღუდვით, ვხედავ სუფთა მეცნიერულ საფუძვლებს, გამომდინარეს იპოთეკური კრედიტის იმ თავისებურებებიდან, რომლებიც მოითხოვს სწრაფი გადასახადების საერთო თანხის თანაფარდობას მსესხებლის წილის მინიმუმთან. ეს წილი უნდა დარჩეს მსესხებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სუფთა წლიური შემოსავლიდან იპოთეკური სესხის ყველა გადასახადის გამოკლებით.

შევძლებდი ზემოაღნიშნულის დამტკიცებას, თუ ამის აუცილებლობა იქნებოდა და, რაც მთავარია, თუკი დრო მომცემდა ამის საშუალებას. მიუხედავად შემფასებელი განყოფილების მოსაზრებისა, რომელსაც თავადაც ვიზიარებ მთელი თავისი მოტივებით და რაც მდგომარეობს იმაში, რომ დღეისათვის (და, ვფიქრობ, მომავალშიც) არ არსებობს არავითარი საშუალება, მოხდეს ამ მაქსიმუმის ნორმირება, გავბედავ და ვიტყვი, რომ თუ მივუახლოვდებით საბოლოო მიზანს, რომლისკენაც ისწრაფვის საკრედიტო კანცელარია, სხვა მხრივ, ე.ი. არა მიწის

ქონების ღირებულების მაქსიმუმის დადგენის მცდელობის მხრივ, მიზანს მივაღწევთ. საუბარი მაქვს საკითხის იმ მხარეზე, რომელიც კანცელარიის მცდელობას განსახორციელებლად შეუძლებელს ხდის და რომელიც მხედველობიდან გამორჩა განყოფილებას. კაცმა რომ თქვას, რაში მდგომარეობს იმ წინადადების საბოლოო მიზანი, რომელსაც საკრედიტო კანცელარია განიხილავს? ისევ და ისევ, იპოთეკური კრედიტის საბოლოო მიზანში – სესხთა ოდენობის განსაზღვრისას არ გადასცდეს იმ მაქსიმუმის ზღვარს, რომლის ერთადერთი მარეგულირებელი უნდა იყოს იპოთეკურო სესხის სწრაფი გადასახადები. ამას მოითხოვს იპოთეკური კრედიტის არსებითი თავისებურება და ამ მოთხოვნისაგან თავის არიდება, შეცდომის დაშვების რისკის გარეშე, შეუძლებელია. იპოთეკური კრედიტი თავის მოთხოვნებს ფარავს სწრაფი ფულადი გადასახადების საერთო თანხით. სწორედ ამიტომ აღნიშნული თანხის დადგენა ხდება არა შემთხვევით, არამედ იმ მოსაზრებით, რომ იგი შეძლებისდაგვარად ახლოს იყოს იმ საშუალო ციფრთან, რომელიც მიწის ქონების, როგორც მამცირის, სუფთა წლიური შემოსავლის მთელ თანხასთან მიმართებით მსესხებელს დაუტოვებს ასევე საშუალო სიდიდის ნარჩენს, რაც მოხმარდება როგორც მის პირად, ისე მეურნეობის წლიური ბრუნვის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

სწორედ ეს დებულება, აუცილებლად გამომდინარე იპოთეკური კრედიტის თავისებურებებიდან, მიგვანიშნებს, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, მოცემულ შემთხვევაში, იმ წინადადების საბოლოო მიზნის მიღწევისას, რომელსაც განიხილავს საკრედიტო კანცელარია.

ახლა, იმ სესხის სწრაფი ფულადი გადასახადიდან მთელი თანხის 7% არსებობისას, თანხისა, რომელიც ისაზღვრება მამულის ღირებულების 60%, იპოთეკური სესხი სუფთა შემოსავლის 6%-დან, საიდანაც ხდება მა-

მულის ღირებულების კაპიტალიზაცია, შთანთქავს 4%-ს ისე, რომ მსესხებელს წილად ხვდება 1%. აი, სუფთა წლიური შემოსავლის ორი შემადგენელი ნაწილი, რომელთაც საკითხის გადასაწყვეტისათვის თითოეულს ცალ-ცალკე აქვს მიმოქცევის უნარი. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ განვსაზღვრავთ (რაც, ჩემი აზრით, არ არის რთული) სწრაფი გადასახადების იმ ნაწილის მაქსიმუმს, რომელიც უნდა მოვიდეს მამულიდან მიღებულ სუფთა შემოსავლის წილზე იპოთეკური სესხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ან თუ დავადგენთ მაქსიმუმს, რომელიც საჭიროა იპოთეკური სესხის დასაფარად და რომელიც მსესხებლის წილზე მოვა, მაშინ გავბედავ ფიქრს იმის თაობაზე, რომ მყარ ფუნდამენტს მოვამზადებთ ჩვენთვის საინტერესო კრედიტის სიძლიერისათვის.

ერთ-ერთი ამ ნაწილის ნორმირებაში სუფთა წლიური შემოსავლის სხვა საერთო თანხის ხარჯზე დროსივრცის პირობების შესაბამისად შეიძლება მხოლოდ საკითხის გადაწყვეტის ძიება იპოთეკური კრედიტის თავისებურებების გამო. ვინაიდან იპოთეკური კრედიტი, სხვა სახის კრედიტებისაგან განსხვავებით, იფარება არა კაპიტალისა და პროცენტების მაშინვე, ერთბაშად, არამედ თანდათანობით დაბრუნებით სწრაფი გადასახადების სახით. ხოლო თუ იპოთეკური კრედიტი ზოგჯერ საჭიროებს კაპიტალისა და პროცენტების ერთბაშად დაბრუნებას დაგირავებული მამულის იძულებითი გაყიდვის გზით, ეს აიხსნება უკიდურესობითა და სამწუხარო აუცილებლობით.

ამ მიმართულებით ნორმირება კიდევ იმით არის კარგი და მიზანშეწონილი, რომ ძირში აღმოფხვრის მიზეზთა მიზეზს, რომლის არსებობის პირობებშიც ბანკისათვის შეიძლება გაჩნდეს დაკარგვის შიში იძულებითი გაყიდვის სამწუხარო, მკაცრი, თუმცა კი გარდაუვალი აუცილებლობის გამო. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია არა მარტო

შევასუსტოთ, არამედ სავსებით მოვსპოთ მსესხებლის განზრახვა, მიიყვანოს ბანკი ამ სავალალო აუცილებლობამდე, რომლის შემდეგაც ჩნდება დანაკარგის შიში.

საკმარისია, მსესხებლის მოგების გაზრდა, შეინარჩუნოს მამული ან წმინდა შემოსავლიდან წილის შემცირების გზით, რომელიც შესაძლოა სწრაფი იპოთეკური სესხის დაფარვას მოხმარდეს, ან კიდევ იმ წილის გაზრდით, რომელიც უნდა დარჩეს ამ დაფარვის შემდგომ მსესხებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, და ჩვენ აღმოვჩნდებით იმ ცხოვრებისეული მოთხოვნის სიმაღლეზე, რომელიც წამოგვიყენა ბეჭდურმა სიტყვამ და საზოგადოებამ საჩივრების სახით იპოთეკური სესხის სიძვირესთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ საკითხი იპოთეკური კრედიტის სიძვირესა თუ სიიაფეზე, ზოგადად, შეიძლება გადაყვანილ იქნას მხოლოდ ამა თუ იმ ხარისხის სიმძიმის სწრაფ გადასახადებზე წარმოების საგადასახადო ძალებთან მიმართებით, რომელზეც მიმართულია კრედიტი. ამის გამო, აღნიშნული საჩივრები შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ მიწათმოქმედების ამჟამინდელი მდგომარეობა და სესხთა არსებული ოდენობა ცოტა სარგებელს უტოვებს მსესხებელს. ვიმეორებ, საკმარისია მსესხებლის სასარგებლოდ გავზარდოთ ეს დარჩენილი ნაწილი და ის, რომ მსესხებელი სარგებელს ნახავს მამულის შენარჩუნებით, ეჭვგარეშეა. ეს ის სარგებელია, რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისას უმთავრეს როლს თამაშობს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თავიდან გვაცილებს იძულებით გაყიდვის ყველასათვის არასასიამოვნო აუცილებლობას. ხოლო მამულის მაქსიმალური ღირებულების დადგენა ამავე მიზნისათვის, მით უფრო გამოუსადეგარია, რომ აღარაფერი ვთქვათ მის შეუძლებლობაზე, რომ იგი, ვიმეორებ, არ არის გათვლილი იმაზე, რაზეც მიუთითებს მეცნიერება, როგორც იპოთეკური სესხის არსებულ თავისებურებაზე. მეცნიერული მითითება კი

მოცემულ შემთხვევაში ასეთია: იპოთეკურმა კრედიტმა დასაფარად სახსრები უნდა მოიპოვოს არა დაგირავებული ქონების ღირებულების რეალიზაციიდან, რაც პროცენტებისა და კაპიტალის ერთდროულად და დაუყოვნებლივ გაზრდის მოთხოვნის ტოლფასი იქნებოდა, არამედ თანდათან დაფარვაში ისეთი წარმოების წმინდა წლიური შემოსავლიდან, რომელიც უშუალო კავშირშია მიწასთან და მიწათმოქმედებასთან და რომელსაც სწორედ ამით შეუძლია დააბრუნოს დახარჯული კაპიტალი %-ით არა მაშინვე, არამედ თანდათანობით. მაშასადამე, საფრთხე მდგომარეობს არა ფასის ოდენობაში, არამედ იმაში, თუ რა რაოდენობის სესხი გაიცემა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, გთავაზობთ, ავიღოთ წმინდა წლიური შემოსავლის საერთო თანხა და საკითხის გადაწყვეტა ვეძიოთ იპოთეკურ სესხში გადახდილ თანხასა და მსესხებლის წილს შორის სხვაობის ცვლილებაში. სწრაფი გადასახადები სუფთა წლიურ შემოსავალთან მიმართებაში – ეს არის იპოთეკურ კრედიტთან დაკავშირებული ყველა მოსაზრების მთავარი პუნქტი დაიცვას ბანკები ზარალისაგან, ხოლო მსესხებლები ქონების დაკარგვისაგან. ერთიც და მეორეც არ შეძლება არ იყოს მთავრობისა თუ საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

ჩემ მიერ მითითებულმა მდგომარეობამ შეიძლება გააჩინოს საშიშროება იმასთან დაკავშირებით, რომ სუფთა შემოსავლიდან დარჩენილი ნაწილის მსესხებლის სასარგებლოდ გაზრდასთან ერთად მეტისმეტად შემცირდება სესხთა რაოდენობა, რაც, როგორც იპოთეკური კრედიტის ერთიანი სარგებლის თვალსაზრისით, ისე მსესხებლისა და საკუთრივ მიწათმოქმედების ინტერესების გათვალისწინებით, არასასურველია. თუმცა ეს საფრთხე სესხთა რაოდენობის შემცირების გადამეტებაში არც ისე საშიშია. ამის დასატურია შემდეგი არით-

მეტიკული ფორმულა. თუ სუფთა შემოსავლიდან მიღებული სწრაფი გადასახადების ერთობლიობის მოცემულ ნაწილს აღვნიშნავთ ასოთი A, დასაფარად ნავარაუდებ წილს – ასოთი B, სესხის არსებულ რაოდენობას – ასოთი C, ხოლო სესხის საძიებელ რაოდენობას – ასოთი X, მაშინ ფორმულა იმის გასარკვევად, რამდენით შემცირდება არსებულთან შედარებით სესხის რაოდენობა დაფარვის წილის შემცირებისას, გამოიხატება

ასე: $$\frac{B \times C}{A} = X$$

ამ ფორმულის მიხედვით აღმოჩნდება, რომ თუკი იპოთეკურობას, რომელიც იფარება სესხით, სუფთა შემოსავლის 6%-დან მიღებული წილით, რაც ახლა 4%-ს უდრის, შევამცირებთ 1%-ით და დარჩენილ ნაწილს იმავე ოდენობით ორჯერ გავზრდით მსესხებლის სასარგებლოდ, მაშინ სესხის რაოდენობა ნაცვლად ახლანდელი 60% 100-ზე შეფასება დაიწევს მხოლოდ 1/3-ით, ჩამოვა შეფასებითითანხის 40%-ზე; თუ ამ გაზრდით მივაღწევთ 4 %-მდე და ყველა სწრაფი ფულადი გადასახადის წილზე დავტოვებთ მხოლოდ 1%-ს, მაშინ სესხის რაოდენობა შემცირდება სულ რაღაც 2/3-ით ახლანდელთან შედარებით, ე.ი. გაუტოლდება შეფასებითითანხის 20%-ს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სხვაობა სესხის ოდენობაში არც ისე დიდია, პირველ შემთხვევაში 1/3-ია, ხოლო მეორეში – 2/3, მაშინ, როცა სხვაობა, რომელიც განსაზღვრავს მსესხებლის მოგებას, პირველ შემთხვევაში გაიზარდა ორჯერ, ხოლო მეორე შემთხვევაში – სამჯერ. სესხის ოდენობის უმაღლესი ნორმის განმსაზღვრელი ეს საშუალება კიდევ იმიტომ იმსახურებს მეტ ყურადღებას, რომ იგი ყოველთვის მარტივი, დამოუკიდებელი და სწორია, გარდა იმ მოსაზრებებისა, რომლებიც შეეხება ფასის მაქსიმუმსა ან მინიმუმს. თუკი პროცენტი (მოცემულ შემთხვევაში 6), რომლის 16 2/3-ზე გამრავ-

ლებით კაპიტალიზდება მამულის ღირებულება, კეთილსინდისიერადაა დადგენილი, რაც ერთნაირად უნდა ვივარაუდოთ ყველა სხვა შემთხვევაში, მაშინ ეღირება მამული მილიონი, თუ არა, ეს სულ ერთია მისი უზრუნველყოფით სესხის გაცემის რისკის მხრივ, იქნება ეს 200 000, 400 000 თუ 600 000, გააჩნია, თუ რამდენია აღებული მსესხებლის სასარგებლოდ, როგორც ნარჩენი სუფთა წლიური შემოსავლის საერთო თანხიდან იმის გამოკლებით,რაც საჭიროა იპოთეკური სესხის სწრაფი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ე. ი. 4, 3 ან 1 6-დან.

ამდენად, მთელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ნაშთი იყოს შეძლებისდაგვარად სწორი და იმდენად მაღალი, რომ წარმოადგენდეს წმინდა ეკონომიკურ გათვლას, ან უკეთ რომ ვთქვათ, მფლობელის სარგებელს, შეინარჩუნოს მამული სწრაფი გადასახადების მაღალი პროცენტის პირობებშიც კი. გამიზნულად ვახსენებ ამ პირობას, რათა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ სწრაფი ფულადი გადასახადების პროცენტის დონის ცვლა კრედიტის გაიაფების მიზნით მოსაწონი სურვილია, თუმცა- განუხორციელებელი. ამ პროცენტის დაწევა ან აწევა მთლიანად დამოკიდებულია ზოგად ეკონომიკურ პირობებზე. ეს არა მარტო ჩვენს ძალებს აღემატება, არამედ შეუძლებელია ისეთი ძლევამოსილი საკრედიტო დაწესებულებისთვისაც, როგორიც შეიძლება იყოს, ვთქვათ, იპოთეკური კრედიტის სახელმწიფო სესხების ბანკი. საჭიროა, მხედველობაში ვიქონიოთ, რომ პოლიტიკური ეკონომიკის რკინის კანონი, გამოხატული წარმოებისაგან თავისუფალ კაპიტალთა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ურთიერთობის სიდიდით, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალზე ინტერესის პროცენტულ სიმაღლეს, არ ემორჩილება არანაირ სხვა პირობას, გარდა გარკვეული წყობის ზოგადი ეკონომიკური პირობების ძალასა და გავლენას მოცემულ დროსა და სივრცეში.

[1884 წ. 29 იანვრამდე]

თბილისის ბანკის წარმომადგენლის თავად ი. გ. ჭავჭავაძის ცალკე მოსაზრება შეღავათების დაშვების საკითხთან დაკავშირებით

მსესხებლის სასარგებლოდ შეღავათების დაშვებისას იპოთეკური სესხის სწრაფი გადასახადების შეტანის ვადის გასაგრძელებლად ორი პირობა უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რომელთა მხედველობიდან გამორჩენამ შესაძლოა შეცდომა გამოიწვიოს. ერთი მათგანი იურიდიული ხასიათისაა, ხოლო მეორე – საკრედიტო, თუ შეიძლება ასე ითქვას. იმდენად, რამდენადაც არც ერთი და არც მეორე არ არის გათვალისწინებული განმკარგველი განყოფილების მოხსენებაში, თავს უფლებას მივცემ, ყურადღება გავამახვილო მხედველობიდან გამორჩენილ ამ პირობებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვა შეღავათში, როგორც წესი, სხვა არაფერი მოიაზრება, თუ არა სრული ან ნაწილობრივი დათმობა უფლებებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც ფლობს, რასაკვირველია, მოცემულ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: წესდებით დადგენილ ვადებში მსესხებლისგან გადასახადის შეტანის მოთხოვნის უფლება, რომელიც ჩვენი უფლებაა მსესხებლებთან მიმართებით, ხომ არ არის, ამავე დროს, ჩვენი მოვალეობაც მესამე პირების წინაშე, კერძოდ კი, საგირავნო ფურცლების მფლობელთა წინაშე? მე მიმაჩნია, რომ არის, ვინაიდან ამ მოვალეობიდან გადახვევის გამო განყოფილების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილების თვალსაზრისით, იზრდება შანსები მამულზე წარუმატებელი საჯარო ვაჭრობისა, რასაც შეუ-

ძლია ამა თუ იმ მიზეზით მიგვიყვანოს იძულებით გაყიდვამდე არაუადრეს მეორე ნახევარწლის ბოლოს, ე.ი. როდესაც მამულზე დაგროვებულია ორი ნახევარწლის გადასახადი, პლუს მესამე ნახევარწლის გადასახადის ახლო პერსპექტივა.

საჯარო ვაჭრობის წარმატებისათვის არ არის სულერთი, თუ რამდენი ნახევარწლის სწრაფი გადასახადის დავალიანებით გავა მამული გასაყიდად. ამიტომ, ვაჭრობის წარმატების პირობების დაცვას არ შეიძლება არ ჰქონდეს ერთობ არსებითი მნიშვნელობა იმ რიგ ვალდებულებებს შორის, რომლებიც არსებობს წესდების ძალით ბანკსა და საგირავნო ფურცლების მფლობელთა შორის.

აი, ძირითადად, იურიდიული ნაწილი ჩვენ მიერ ამჟამად განსახილველი საკითხისა. შეიძლება შემედავონ, რომ შეღავათების მიცემა ივარაუდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ხოლო გამონაკლისი შემთხვევები ძალზე იშვიათია. ამდენად, საგირავნო ფურცლების მფლობელთა უფლებები იშვიათად დაირღვევა შეღავათების დაშვების ფაქტით. თავად ამ დარღვევის ალბათობა იმდენად უმნიშვნელოა,რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს იმ კეთილი მიზნით, რომ, უბედურების შემთხვევაში, მსესხებელს შეუმსუბუქოს მდგომარეობა. შესაძლოა, ეს ასეც მოხდეს.

მაგრამ სამოქალაქო სამართლის ზოგადი საწყისის მიხედვით, არ შეიძლება უფლება თავის თავში გულისხმობდეს დარღვევის პრეცედენტს არამარტო იშვიათ შემთხვევებში, არამედ ოდესმე მაინც, ან მარტივად რომ ვთქვათ, უფლება იმიტომაა უფლება, რომ არასდროს არ უნდა დაირღვეს. ეს, პირველ რიგში, ხოლო, მეორე რიგში, ხელშეკრულებით ერთხელ დადგენილი უფლების დანიშნულება და ძალა განისაზღვრება იმ მოსაზრებისაგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა დარღვევის შედეგი ესა თუ ის ზარალი, ან საერთოდ თუ ჰქონდა ადგილი დარ-

ღვევას. ამ შემთხვევაში საქმეს მივყავართ იქამდე, რომ აღიარებულ იქნას თავად უფლება ვალდებული პირისაგან თავის თავზე ნებაყოფლობით აღებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის ძალით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვალდებულებებისაგან გადახვევას არ სდევს არანაირი მატერიალური ზარალი.

ამ საკითხის საკრედიტო მხარე კი მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო ვაჭრობის წარუმატებლად დასრულების შესაძლებლობების ზრდასთან ერთად იზრდება ალბათობა ბანკის დანაკარგებთან დაკავშირებით. ეს დანაკარგი კი მით უფრო ბევრი იქნება, რაც უფრო მეტი ნახევარწლის გადასახადი დაგროვდება საჯარო ვაჭრობის დღისთვის. ბანკის დანაკარგის შანსების ზრდაში ვხედავ სწორედ საკრედიტო გათვლის ძირითადი საწყისების ერთგვარ შერყევას. საგირავნო ფურცლების საბაზრო ღირებულება ხომ იმასაც ითვალისწინებს, რომ ბანკის დანაკარგის ეს შანსი არ არის დიდი მოცემულ დროსა და სივრცეში. გარდა ამისა, ვაჭრობის წარუმატებლობის ამ შესაძლებლობის ზრდამ შეიძლება წარმოშვას ვარაუდი, რომ შეფასებებისას არ გამოიჩინეს სიფრთხილე, რაც შეასუსტებს ნდობას საკრედიტო საქმიანობისადმი და შეამცირებს იმ მამულების რიცხვს, რომლებიც შესაძლოა, საჯარო ვაჭრობის წარუმატებლობის შემთხვევაში, ბანკს დარჩეს. ნუთუ ეს პირდაპირ და უშუალო გავლენას, თანაც არა სასარგებლოს, არ იქონიებს საგირავნო ფურცლების კურსზე?

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რაც უნდა იშვიათი იყოს პრაქტიკაში შეღავათის გამოყენების შემთხვევა განყოფილების მიერ შემოთავაზებული ფორმით და შესაბამისად, საკითხის ჩემ მიერ მითითებული მხარეების უგულებელყოფის შემთხვევა, რაც არ უნდა უმნიშვნელო ჩანდეს ამ უგულებელყოფის შედეგები, მაინც თუნდაც ერთი, უბრალოდ შიშველი შესაძლებლობა ამგვარი იგნორირებისა იწვევს საკრედიტო საქმისადმი

ნდობის ხარისხის ცვლას. იმადმი თითოეული პირობის სიმყარისა და უცვლელობის ნდობა, რომელთაც ეყრდნობა კრედიტის ანგარიში და რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საკრედიტო გარიგება, საკრედიტო საქმეში უდავოდ ერთადერთ როლს თამაშობს. ამიტომაც საჭიროა მკაცრად თავის შეკავება ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელსაც შეიძლება თან სდევდეს ამ პირობათა თუნდაც სულ მცირე ცვლილება.

ამდენად, თუკი შეღავათი, განმკარგავი განყოფილების მიერ შეთავაზებული, იძენს არა მხოლოდ უფლებათა დათმობის მნიშვნელობას, არამედ ნაწილობრივ მოვალეობებზე უარის თქმასაც გულისხმობს, თუ იგი რამდენადმე მაინც შეარყევს კრედიტის გათვლებს მის საწინააღმდეგოდ, მაშინ საკითხი მსესხებელთათვის განყოფილების მიერ შემოთავაზებული ფორმით შეღავათების შესახებ სრულიად უნდა იქნას თავიდან აცილებული, მიუხედავად ყოველგვარი თანაგრძნობისა, რაც შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს მსგავსი საკითხის წამოჭრის შესანიშნავმა მოტივმა.

სწორედ ამ მოსაზრებათა საფუძველზე, სავსებით ვიზიარებ დიდად პატივცემული ლ. ნ. ვოლკოვის შეხედულებას, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, კატეგორიული იყო, როდესაც განყოფილებაში ამ საკითხის სრულიად მოხსნის შესახებ საუბრობდა.

თუმცა, ასეა თუ ისე, ვიმეორებ, არ შეიძლება განსაკუთრებული თანაგრძნობით არ შევეხვდეთ საკრედიტო კანცელარიის შემოთავაზების იმ ერთადერთ მთავარ მიზანს, რომელიც ასეთი სანაქებო ენერგიით განმარტა ა. კ. ალჩევსკიმ განყოფილებაში და რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ რამდენადაც შეიძლება შეუმსუბუქოს მსესხებელს სიმძიმე, რომელიც მას დააწვა უბედურების შემთხვევაში. განყოფილების მიერ შემოთავაზებული შეღავათი, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გარდა, ამ მხრივაც უსაფუძვლოა. ვინაიდან, თუკი

სოფლის მეურნეობის თუნდაც წლიური ბრუნვის ნაყოფი ამა თუ იმ უბედურების გამო განადგურდა, მსესხებელმა, სოფლის მეურნემ, საეჭვოა ისე მოიმჯობინოს, რომ წლის ბოლოსთვის მაინც, მეორე ნახევარწლის ვაჭრობების დაწყებამდე, შეძლოს, იტვირთოს ორ ნახევარწელში დაგროვილი დავალიანებების მთელი სიმძიმე. ვინც რამდენადმე მაინც იცის სოფლის მეურნის პირობები და მიწასთან და მიწათმოქმედებასთნ უშუალოდ დაკავშირებული წარმოების არც ისე სწრაფი ბრუნვები, რა თქმა უნდა, დამეთანხმება.

სწორედ ეს შეუძლებლობა იმისა, რომ მსესხებელმა მეურნემ სწრაფად მოიმჯობინოს თავსდამტყდარი უბედურებისაგან, დოვლათის განადგურებისაგან, გვაძლევს სხვაგვარ შეღავათს, შემსუბუქებას, კერძოდ კი, დახმარებას ამ სიტყვის ფართო გაგებით. იგი მთლიანად ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება და არაფერი აქვს საერთო კერძო გაგებით საკრედიტო ოპერაციებთან, მათი შედეგების აღმოჩენამდე, ე.ი. იმ წუთამდე, ვიდრე არ განისაზღვრება მოგება ამ ოპერაციებიდან. მაგრამ თუ ეს მოგება განისაზღვრება, კრედიტის ინტერესები, საგირავნო ფურცლების მფლობელთა ინტერესებთან ერთად, დარჩება ხელშეუხებელი დროშის მეორე მხარეს, ხოლო აქეთ მხარეს ბანკებისათვის გაჩნდება საკმაოდ უხვი და დაუშრობელი წყარო, საიდანაც ამ ბანკებს შეეძლებათ მოიპოვონ სახსრები ქველმოქმედებისათვის. ეს უდავოდ აუცილებელია იმ კეთილი მიზნით, რომ ფეხზე დავაყენოთ თავსდამტყდარი უბედურებებისაგან დაზარალებული მსესხებელი, რომელთა თავიდან აცილებაც ვერ შეძლო.

აი, რატომ შევეგებე სიამოვნებით ვილენსკის მიერ განყოფილებაში წარმოდგენილ საადგილმამულო ბანკის პროექტს კონკრეტულად იმ ნაწილში, რომელიც ემსახურება აზრის განმტკიცებას იმის თაობაზე, რომ ბანკის მოგებიდან ამგვარი წყაროს შექმნა უდავოდ აუცილებე-

ლია, თუკი ნამდვილად გვსურს დავეხმაროთ დაზარალებულ მსესხებელს, პირველ რიგში, სხვათა უფლებების დარღვევის, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტის ინტერესების დაზიანების გარეშე. ხარკოვის საადგილმამულო ბანკის დამოწმება იმასთან დაკავშირებით, რომ ხარკოვის ბანკის წესდების მიხედვით, დასაშვებია სხვადასხვა სახის შეღავათები და რომ ეს გარემოება სავსებით არ ახდენს გავლენას ამ ბანკის საგირავნო ფურცლების კურსზე, ვერ გამოდგება ჩემი მოსაზრებების უარსაყოფად. ხარკოვის ბანკის წესდების თავისებურებები, როგორიცაა, მაგალითად, ყველა დაგირავებული მამულის ერთობლივი პასუხისმგებლობა, შეფასებაში უშუალოდ მმართველობის წევრთა მონაწილეობა და ა.შ., იმგვარია, რომ ჩემი აზრით, აქვს უნარი შეღავათის დაშვების რისკთან დაკავშირებით ნებისმიერი ვარაუდის დაბალანსებისა.

თავს უფლებას მივცემ, აღვნიშნო, რომ მაქვს პატივი, ვიყო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის სხდომის თავმჯდომარე, ე. ი. იმ ბანკისა, რომელიც მთელ თავის წლიურ მოგებას, გარდა ყველა ბანკისათვის სავალდებულო გადარიცხვებისა ბანკის სხვადასხვა კაპიტალის სასარგებლოდ, მოახმარს თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედი და მიწათმფლობელი მოსახლეობის საერთო სარგებლობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ეს ბანკი დაფუძნების დღიდან წლიური მოგების საერთო თანხიდან გამოყოფს 5%-ს ექსტრაორდინალური კაპიტალის, როგორც ეს მას წესდებაში ეწოდა, შესაძენად. მისი საშუალებით ბანკი ეხმარება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ თავადაზნაურობის წარმომადგენელთ, საჩუქრის სახით აძლევს უპროცენტო სესხს, ხოლო ზოგჯერ – პროცენტიანსაც, იმის მიხედვით, თუ როგორია უბედურებისაგან მიყენებული ქონების ზარალი.

ამის შესახებ ვსაუბრობ არა იმიტომ, რომ ყველას ვურჩევ ასე მოიქცნენ, არამედ მივუთითებ ამაზე იმის

გამო, რომ მხოლოდ ამგვარი კაპიტალის შეძენაში უნდა ვეძებოთ წყარო ამა თუ იმ უბედურების გამო დაზარალებული მსესხებლებისათვის ყოველგვარი შეღავათის დასადგენად.

მესმის, რომ სააქციო ბანკებისა და მათი წარმომადგენლების თვალსაზრისით, რომლებიც ვალდებულნი არიან იზრუნონ აქციონერთა სრულიად კანონიერ და სამართლიან ინტერესებზეც, მოგების რამდენიმე ნაწილად გაყოფა მსგავსი კაპიტალის შესაძენად ქმნის იურიდიული და, ნაწილობრივ, საკრედიტო ხასიათის სირთულეებს აქციონერებთან მიმართებით.

გასაგებია, რომ არავის აქვს უფლება დაავალდებულოს ისინი, აქციონერები, ან ბანკები, დაეხმარონ მსესხებელს; მესმის, რომ აქციონერებსაც და ბანკებსაც აქვთ უფლება, უარი თქვან ამ ქველმოქმედებაზე, მაგრამ თუ ჩვენ, ჩვენივე კეთილი ნებით, სავალდებულოს გავხდით, რასაკვირველია, საერთო კრების თანხმობით, შეიქმნას მოგებიდან სრულიად დამოუკიდებელი წყარო, რომელიც მოგვცემს დახმარების შესაძლებლობას ამ სიტყვის ფართო გაგებით, მაშინ ეს ვალდებულება- გახდეს შესაძლებელი ყოველმხრივ მშვენიერი სურვილის ასრულება, განა უფრო დიდებული და მოსაწონი არ იქნება, ვიდრე ამის არგაკეთების უფლება.

[1884 წ. 3 თებერვალი]

წერილი ქ. ვლადიკავკაზში ქართველი ბავშვებისათვის გასახსნელ სასწავლებელში სავარაუდო საგნების კურსის სწავლების მეთოდების შესახებ

სასწავლო გეგმაში მითითებულ საგნებს, მთავრობასთან შეთანხმებით, გაივლიან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამტკიცებული წესდებით და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სასწავლო გეგმით, სწორედ ისე, როგორც საზოგადოებისთვის ნებადართულ ყველა სხვა სკოლაში გადიან ე.ი. თანამედროვე დიდაქტიკურ-მეთოდური საშუალებების მკაცრი დაცვით, კერძოდ კი: საღმრთო რჯულს თავდაპირველად ასწავლიან სურათებით, თვალსაჩინოებისა და ევრისტიკული მეთოდით, შემდგომ სისტემატურ კურსს კი – დოგმატური მეთოდით, ამასთანავე, ბავშვებისათვის ლოცვების გაცნობასთან ერთად, მასწავლებელი თითოეულ ლოცვას წაუმძღვარებს ბიბლიურ მოთხრობას, რომლის საშუალებითაც ნაჩვენები იქნება ლოცვის შინაარსი.

როგორც რუსულ, ისე ქართულ წერა-კითხვას შეისწავლიან ანალიტიკურ-სინთეტური ხმოვანის საშუალებით, ამასთან, დიდი ყურადღება დაეთმობა განმარტებით კითხვას, როგორც ენის დამუშავების და ბავშვთა განვითარების საშუალებას.

არითმეტიკის შესწავლა წარიმართება იმ მეთოდებითა და ხერხებით, რომლებიც გადმოცემულია ევტუშევსკის სახელმძღვანელოში „არითმეტიკის მეთოდიკა“.

1884 წ., აგვისტო.

ცალკეული სოფლის საზოგადოების საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების ნორმული წესები

I
საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების მიზანი

&1. ყოველ სოფლის საზოგადოებაში ქალიბდება საერთო სარგებლობის კაპიტალი, ნაწილობრივ მარცვლეულის, ხოლო ნაწილობრივ ფულის სახით. იგი შეადგენს სოფლის საზოგადოების საკუთრებას და მისი მიზანია საზოგადოების საერთო საჭიროებების დაკმაყოფილება იმ წესების საფუძველზე, რომლებიც ქვემოთ არის გადმოცემული.

II
საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების სახსრები და საშუალებები

&2. საერთო სარგებლობის კაპიტალი შედგება სოფლის საზოგადოების განაჩენით დადგენილი ხორბლის მარცვლის მოსაკრებელიდან.

&3. იქ, სადაც ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატის გამო, სოფლის მეურნეობის უმთავრეს პროდუქტს სხვა სახის პურის მარცვლეული შეადგენს, როგორიც არის: სიმინდი, ქერი, ჭვავი, ფეტვი და ა. შ., სოფლის საზოგადოებას შეუძლია საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოებისათვის აწარმოოს მოსაკრებელი იმ

სახის მარცვლეულით, რომელიც, უმთავრესად, მოდის იმ მხარეში.

შენიშვნა. სოფლის საზოგადოების ყველა კაპიტალი ფულის თუ მარცვლის სახით, შექმნილი ახლანდელი წესების ამოქმედებამდე, დანიშნულებისამებრ შედის საერთო სარგებლობის კაპიტალში, რომელიც ახლა არსდება.

&4. მოსაკრებლით დაბეგვრის ერთეულად ითვლება მამრობითი სქესის თითოეული სული კომლში, რომელიც შედის სოფლის საზოგადოების შემადგენლობაში.

&5. ამ დაბეგვრისაგან თავისუფლდებიან 12 წლამდე მცირეწლოვნები, ქვრივები და ობლები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი მეურნეობა. ხოლო ის ქვრივები და ობლები, რომელთაც აქვთ საკუთარი მეურნეობა, დაიბეგრებიან მოსაკრებლით, რომელიც დადგენილია მამრობითი სქესის ერთი სულისათვის, რამდენი სულიც არ უნდა იყოს ოჯახში.

შენიშვნა. იმ ოჯახების ქვრივები და ობლები, რომელთაც აქვთ მეტნაკლებად ფართო მეურნეობა, შესაძლოა დაიბეგრონ დიდი ოდენობის ბეგრით, ოღონდ მხოლოდ სოფლის საზოგადოების განაჩენის მიხედვით და იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დადგენილია მამრობითი სქესის სამი სულისათვის, თუკი ოჯახში ამ რიცხვზე მეტი სული ცხოვრობს.

&6. ყველაცე მცირე მოსაკრებლად დგინდება მარცვლეულის ფუთის 1/2 მამრობითი სქესის თითო სულზე, რომლის ასაკი 12 წელს ზემოთაა. სასოფლო ყრილობას აქვს უფლება მოსაკრებლის ოდენობა დაადგინოს სულზე ფუთის 1/2-ზე მეტიც, თუკი ამგვარ განაჩენს თავად გამოიტანს.

III

საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოებისათვის მარცვლეულის მოსაკრებლის წესი

&7. ყოველ სულზე განკუთვნილი მოსაკრებლის აკრეფის სწორი და ზუსტი წესისათვის, სასოფლო ყრილობა ყოველი წლის დასაწყისში ადგენს დაბეგვრის სიას, იმ სულთა ზუსტი ციფრის მითითებით, რომლებიც კომლობრივად იბეგრებიან. ეს სია მტკიცდება სასოფლო ყრილობის მიერ და ინახება საწყობის ხაზინადართან, რომელსაც ირჩევს და ათავისუფლებს სასოფლო ყრილობა. ცნობისათვის, სიის ასლი იგზავნება გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოში.

& 8. დაბეგვრიის ზუსტი სიის საფუძველზე მარცვლეულის მოსაკრებელი წარმოებს აუცილებლად კალოობის პერიოდში, კალოდან მარცვლეულის აკრეფამდე.

&9. ყველა მამრობითი სქესის სული, რომელიც იბეგრება, ვალდებულია კალოდან მარცვლეულის აკრეფამდე საწყობში მიიტანოს კუთვნილი მოსაკრებელი.

&10. შესატანი მარცვლეული უნდა იყოს წინასწარ გასუფთავებული ცხავის მეშვეობით და ამ სახით ჩაბარდეს წონის მიხედვით, რისთვისაც ყოველი სოფლის საზოგადოება საკუთარი ხარჯით შეიძენს მოძრავ სასწორს და გირებს სახაზინო ბეჭდით.

&11. მარცვლეულის მოკრება და მიღება წარმოებს მიმღებების მიერ, რომლებიც შედგებიან სოფლის მამასახლისისაგან და საზოგადოების მიერ არჩეული ხაზინადრისა და დეპუტატისაგან. მარცვლეულის მიღებისათვის არჩეული დეპუტატების სახელები და გვარები შეტანილია სარევიზიო წიგნაკში.

&12. კალოობის პერიოდის დადგომისას, კალოდან მარცვლეულის აკრეფამდე, მიმღებები დამტარებლის მეშვეობით აუწყებენ თითოეული სახლის პატრონს, საკუთარი სახსრებით საწყობში მიიტანოს სულადობის

მიხედვით მისი კუთვნილი მარცვლეული. ამასთანავე, ინიშნება, საკუთრივ, ნებაყოფლობითი მიტანის ვადაც.

&13. დანიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმღებები მიმართავენ მოსაკრებლის იძულებით გადახდევინების საშუალებას. ამ მიზნით, ისინი სრული შემადგენლობით მიდიან იმ სახლის პატრონის კალოზე, რომელმაც დროზე არ მიიტანა მარცვლეული. აღმოჩენილ მარცვლეულს, ცხავის მეშვეობით წინასწარი გაწმენდის შემდეგ, კუთვნილი ოდენობით და სახლის პატრონის ხარჯით აგზავნიან საწყობში.

&14. მარცვლის მიღებისა თუ იძულებითი გადახდევინების ყველა შემთხვევაში მიმღებები მამასახლისისა და ხაზინადრის ბეჭდით დადგენილი ფორმის მიხედვით გასცემენ ქვითარს, ტალონს, რომელიც რჩება საქვითრო წიგნაკში.

&15. &6-ით განსაზღვრული ოდენობით მარცვლეულის მოკრება და მიღება მთავრდება კალოებიდან მარცვლეულის აკრეფით, დავალიანების გარეშე და ამ სახით შეგროვილი მარცვლეულის საერთო რაოდენობა აღინუსხება სარევიზიო წიგნში.

&16. როგორც სარევიზიო, ისე საქვითრო წიგნაკი, დაბეგვრის სიასთან ერთად ინახება მარცვლეულის საწყობში.

&17. სარევიზიო წიგნაკში შეგროვებული მარცვლეულის რაოდენობის შესახებ აღნიშვნის შეტანისას, მიმღებები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ მოახსენონ მაზრის უფროსს, თუ რა რაოდენობის მარცვალია შეგროვებული. თავის მხრივ, მაზრის უფროსი ამ ყოველივეს შესახებ აცნობებს გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს.

IV
მარცვლეულის შენახვის წესის შესახებ მის ფულად კაპიტალად გადაქცევამდე

&18. მამასახლისი, ხაზინადარი და დეპუტატი, მარცვლეულის მიღების შემდეგ, მას ყრიან საგანგებოდ მოწყობილ საწყობში.

&19. ყველა სოფლის საზოგადოებაში თითო საწყობია მოწყობილი, თავისი მეთვალყურეობით: ერთი მხრივ, რათა ისინი დაცული იყოს, შესაძლებლობის შემთხვევაში, ცეცხლისა და სხვა დაზიანებებისაგან და, მეორე მხრივ, რათა მათში ბეღლის თვლები იყოს მწყობრი, ბეღლის თვლის ერთ-ერთ კედელზე უნდა იყოს ხაზიანი აღნიშვნა, რათა ხაზებს შორის მარცვლით შევსებული სივრცის მიხედვით შესაძლებელი იყოს მარცვლეულის რაოდენობის გაგება.

&20. საწყობები უნდა იყოს ქვის ან ხის, რკინის ან კრამიტის მჭიდრო სახურავით.

&21. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საწყობის ქონა შეუძლებელია, მარცვლეულის შენახვა ნებადართულია დოქებშიც, არსებული ადგილობრივი ჩვეულებისამებრ; ამასთანავე დოქები წინასწარ უნდა ამოირეცხოს და დაინომროს.

&22. დოქის ტევადობისა და ბეღლის თვალში ხაზებსშორისი სივრცის მოცულობა მათზევე აღინიშნება, ხოლო შემდეგ – სარევიზიო წიგნშიც.

&23. საწყობი იკეტება ორი სხვადასხვა მექანიზმის საკეტით. ერთის გასაღები ინახება მამასახლისთან, ხოლო მეორისა – ხაზინადართან.

&24. საწყობი იღება მხოლოდ და მხოლოდ მამასახლისის, ხაზინადრისა და დეპუტატის თანდასწრებით.

&25. საწყობს აქვს ბეჭედი წარწერით: ამა და ამ სოფლის საზოგადოების საწყობის ხაზინადარი.

V
მარცვლეულით წარმოდგენილი საერთო სარგებლობის კაპიტალის შესახებ

&26. საერთო სარგებლობის კაპიტალი, წარმოდგენილი მარცვლეულის სახით, შედგება მარცვლეულის ორწლიანი მოსაკრებლისაგან, რომელიც ბარდება ზემოთ მითითებული პარაგრაფების საფუძველზე.

&27. ამ სახის კაპიტალი ინახება საწყობში და მისი მიზანია, დააკმაყოფილოს სოფლის საზოგადოების საჭიროებანი მოუსავლიანობის შემთხვევაში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს ფულად კაპიტალად იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომლებიც &28-ში არის მითითებული.

&28. სოფლის საზოგადოების ფარგლებში საერთო მოუსავლიანობის შემთხვევაში, რასაც აღიარებს სასოფლო ყრილობა და დაამოწმებს ადგილობრივი მაზრის უფროსი, უფლება მიეცემა საზოგადოების წევრს, ასეთი საწყობიდან მარცვლეული გაყიდოს საბაზრო ფასზე 30%-ით ნაკლებად და სულზე ორწლიანი შენატანის ოდენობით.

შენიშვნა. მარცვლეულის გაყიდვის ნება ეძლევა გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს, რომელიც, ასევე, ადგენს ფასს ამ პარაგრაფის თანახმად.

&29. წევრს, რომელმაც ისარგებლა წინა პარაგრაფებით მინიჭებული უპირატესობებით, საკუთარი პურის გაყიდვაც კი ეკრძალება შემდეგ მოსავლამდე.

&30. საზოგადოების ფარგლებში არსებული საყოველთაო მოუსავლიანობის შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივ საჭიროებათა დროს სასოფლო ყრილობა ირჩევს სამ დეპუტატს. ისინი, მამასახლისთან ერთად, ესწრებიან ხაზინადრის მიერ გაცემას საზოგადოების იმ წევრებზე, ვისაც იგი ესაჭიროება და აცხადებს, რომ

მარცვლეულს იყიდის &28-ის საფუძველზე.

შენიშვნა. ამ დეპუტატების არჩევის დრო, მათი სახელები, მამის სახელები და გვარები აღირიცხება სარევიზიო წიგნში.

&31. მარცვლეული აუცილებლად გაიყიდება წონის მიხედვით, ნაღდ ფულზე.

&32. გაყიდვიდან მოგება აღირიცხება სარევიზიო წიგნში გაყიდული მარცვლისა და ნარჩენის რაოდენობის აღნიშვნით.

&33. გაყიდვიდან მოგებული ფულის ჩაბარება და მისი შემდგომი განკარგვა უნდა მოხდეს ამ წესების 41-ე და 42-ე პარაგრაფების თანახმად.

&34. გაყიდვიდან დარჩენილი მარცვლეული აიწონება მამასახლისის, ხაზინადრისა და სამი დეპუტატის თანხლებით და აღინიშნება სარევიზიო წიგნში, მისი ასლი მამასახლისის, ხაზინადრისა და დეპუტატების ხელმოწერით ან ბეჭდით გადაიგზავნება მაზრის უფროსთან, რათა ეცნობოს გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს.

VI
საერთო სარგებლის ფულადი კაპიტალი

&35. საერთო სარგებლის ფულადი კაპიტალი შედგება, პირველ რიგში, აღნიშნული წესების საფუძველზე შეგროვებული მარცვლეულის გაყიდვიდან მიღებული თანხისაგან, ხოლო შემდეგ, იმ თანხისაგან, რომელიც სოფლის საზოგადოებას ამ წესების შემოღებამდე ჰქონდა.

&36. ფულადი კაპიტალი იყოფა საკუთრივ საერთო სარგებლობის კაპიტალად და ხელშეუხებელ კაპიტალად. თითოეულს აქვს თავისი განსაკუთრებული დანიშნულება, რომელიც ამ წესებით განისაზღვრება.

&37. საერთო სარგებლობის ორივე სახის კაპიტალის წარმოებისათვის დასაშვებია საწყობში არსებული

მარცვლეულის ყოველ ჯერზე გაყიდვა ორი წლის მოსაკრებლის იმ საბაზრო ფასზე უფრო ძვირად, რომელსაც გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო ადგენს სოფლის საზოგადოების წარდგენით.

&38. მარცვლეულის გასაყიდ ფასს, წინასწარ, საბაზრო ფასის შესაბამისად, ადგენენ მამასახლისი, ხაზინადარი და სამი დეპუტატი, რომლებიც საგანგებოდ ამისთვის არიან არჩეულნი სასოფლო ყრილობის მიერ. დეპუტატების სახელები და გვარები იწერება სარევიზიო წიგნაკში.

შენიშვნა 1. ამ შემთხვევისათვის არჩეულ დეპუტატებთან დაკავშირებით საჭიროა 30-ე პარაგრფზე დართული შენიშვნის თანახმად მოქცევა.

შენიშვნა 2. ამ პარაგრაფით დადგენილი ფასის შესახებ ეცნობება გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს, რომელსაც აქვს უფლება აკრძალოს დადგენილი ფასით გაყიდვა, თუკი ეს არ მიაჩნია მომგებიანად.

&39. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან, იზრუნონ ხელსაყრელი ფასების დადგენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასების დადგენის ბოროტად გამოყენებისათვის პასუხს აგებენ პირადად და ქონებრივად.

&40. მარცვლეულის გასაყიდად ინიშნება კვირაში ერთი დღე, სასოფლო ყრილობის სურვილისამებრ, უმეტესწილად კვირა დღე.

&41. მარცვლეული იყიდება და საწყობიდან გაიცემა წონის მიხედვით, ნაღდ ფულზე მამასახლისის, ხაზინადრისა და სამი დეპუტატის თანხლებით. ყოველი ასეთი გაცემა, გაყიდვიდან მიღებული მოგების თანხისა და გაყიდული მარცვლეულის რაოდენობის მითითებით, აღინიშნება სარევიზიო წიგნში, რომელსაც ახლავს ზემოთ დასახელებულ პირთა ხელმოწერები ან ბეჭდი. მისი ასლი ხაზინადრისა და მამასახლისის ხელმოწერით ან ბეჭდით იგზავნება მაზრის უფროსთან გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოსათვის საცნობებლად.

&42. ხაზინადარი ვალდებულია, ერთ-ერთ დეპუტატთან ერთად, მარცვლეულით ყოველკვირეული ყიდვის დამთავრების შემდეგ ამოგებული თანხა დაუყოვნებლივ შეიტანოს მაზრის უფროსთან, რომელიც 3 დღის განმავლობაში ამ თანხას გადაგზავნის სახელმწიფო ბანკში უვადო ანაბარზე, გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს სახელზე, თან მიუთითებს, ზუსტად რომელმა საზოგადოებამ შეიტანა თანხა. ყოველივე ამის შესახებ მაზრის უფროსი აცნობებს გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს.

&43. მაზრის უფროსს ფულის ჩაბარების გამამართლებელ საბუთად უნდა ემსახურებოდეს ამ უკანასკნელის ქვითარი, რომელიც ხაზინადართან ინახება. მაზრის უფროსის ქვითრის ნომერი, თვე და წელი აღინიშნება სარევიზიო წიგნში.

&44. საზოგადოების ხელშეუხებელი ფულადი კაპიტალი შედგება საერთო სარგებლობის კაპიტალის მთელი თანხის წლიური შენატანიდან ყოველწლიური გადარიცხვის 10%-სგან.

VII
საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალის შენახვის წესი

&45. საერთო სარგებლობის ფულად კაპიტალს, რომელიც სოფლის საზოგადოებას ეკუთვნის და სახელმწიფო ბანკის მიერ მიღებულია უვადო ანაბარზე, დაგროვების მიხედვით, გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო აქცევს ადვილად რეალიზებად პროცენტიან სახელმწიფო ქაღალდებად. ამ სახით ინახება იმავე სახელმწიფო ბანკში და მითითებულია, თუ რომელ საზოგადოებას მიეკუთვნება.

&46. ფულადი კაპიტალის პროცენტიან ქაღალდებად ქცევის მიხედვით, გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრე-

ბულო აუწყებს შესაბამის საზოგადოებას პროცენტიანი ქაღალდების სახეობის, ნომრების, ნომინალური ღირებულებისა და გასაყიდი ფასის შესახებ. სოფლის საზოგადოების ხაზინადარი ამ უწყებას ინახავს სარევიზიო წიგნაკთან ერთად, რომელშიც წინასწარ აღნიშნავს.

&47. ყოველი სოფლის საზოგადოებისთვის გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს მიერ ცალკე წარმოებს პირადი ანგარიში, როგორც საზოგადოების ყველა თანხის შემოსავლისა და გასავლის, ისე პროცენტებით მატების მიხედვით. თანხის პროცენტებით ნამატის ოდენობის შესახებ ყოველი ექვსი თვის შემდეგ გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო აუწყებს სოფლის საზოგადოებას, დანიშნულებისამებრ. ეს უწყება, წინასწარ აღნიშნული სარევიზიო წიგნაკში, მითითებით, რომ იგი შეიცავს ნამატი პროცენტების რაოდენობის შესახებ ცნობას, ინახება აღნიშნულ ბარათთან ერთად.

VIII
საჭიროებანი, რომლებსაც შეიძლება მოხმარდეს სოფლის საზოგადოების საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალი.

&48. საზოგადოებრივი საჭიროებანი, თავისი მნიშვნელობით, ორი სახის შეიძლება იყოს: პირველი სახეობის საჭიროებანი გულისხმობს სხვადასხვა სახის მიწის სავარგულების საკუთრების უფლებით შეძენას, საზოგადოებრივი წისქვილების, წყალსადენების, რუების, ხიდების, აგრეთვე, საზოგადოებრივი მიწების წყალდიდობისაგან დასაცავად კაშხლებისა და ჯებირების აგებას; ამასთანავე, სკოლების, სოფლის ბიბლიოთეკების, საავადმყოფოებისა და თავშესაფრების, აფთიაქების აშენებას; სანაშენო ცხოველების, სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების, მასალების, სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგისათვის საზიანო უბედურებასთან საბრძოლო

ინსტრუმენტების შეძენას; პურის შეძენას მოუსავლიანობის წლებში, როდესაც მარცვლის მთელი მარაგი დაიხარჯება საწყობებიდან &28-ში მითითებული წესების მიხედვით.

&49. ყველა სხვა საჭიროებანი, რომლებიც წინა პარაგრაფში არ არის მითითებული, მეორე სახის საჭიროებებს მიეკუთვნება.

IX
საჭიროებების განსაზღვრის წესი

&50. რა სახისაც უნდა იყოს საზოგადოებრივი საჭიროებანი, მის მისათითებლად საჭიროა სასოფლო ყრილობის განაჩენი, დადგენილი სოფლის საზოგადოების შემადგენლობაში შემავალი ყველა სახლის პატრონის ორი მესამედის ხმათა უმრავლესობის მიერ მიღებული.

&51. ამ განაჩენში ზუსტად და ნათლად უნდა იყოს აღნიშნული საზოგადოებრივი საჭიროების საგანი ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი თანხის მითითებით.

&52. ამგვარი განაჩენი იგზავნება მაზრის უფროსთან ან მომრიგებელ შუამავალთან დანიშნულებისამებრ; ისინი კი თავიანთი დასკვნით წარადგენენ განსახილველად და გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს ნებართვის მისაღებად.

X
საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალის საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის გაცემის წესი

&53. საკუთრივ საერთო სარგებლობის კაპიტალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ &48-ში მითითებული პირველი სახის საზოგადოებრივი საჭიროებების დაკ-

მაყოფილების მიზნით, რათა წლის განმავლობაში არ დაიხარჯოს მთლიანი ნაღდი ფულადი კაპიტალის ნახევარზე მეტი. საგანგებო შემთხვევებში დასაშვებია ნახევარზე მეტის დახარჯვაც, თუმცა – არა უმეტეს 70%-ისა.

&54. &49-ში მითითებული მეორე სახის საჭიროებანი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთი წლის კაპიტალზე გაზრდილი პროცენტებით.

&55. სახაზინო და საერობო ბეგარათა და სხვადასხვა სახის სარგოული ან არასარგოული მოსაკრებლის გადასახადი, აგრეთვე, სხვადასხვა დავალიანება საკუთრივ საერთო სარგებლობის კაპიტალიდან ან ამ კაპიტალის მზარდი პროცენტებიდან სრულიად დაუშვებელია.

&56. ხელშეუხებელი ფულადი კაპიტალი (&44) განკუთვნილია ფონდის შესაქმნელად, რომლის მხოლოდ ყოველწლიური მზარდი პროცენტები შეიძლება, სოფლის საზოგადოების განაჩენის მიხედვით, მოხმარდეს სოფლის თანამდებობის პირთა ჯამაგირს და სახაზინო და საერობო ბეგარათა და სხვადასხვა სახის სარგოული ან არასარგოული მოსაკრებლის გადასახადს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ დავალიანების დაფარვას, რომლებიც დაგროვდა ამ წესების ამოქმედებამდე.

შენიშვნა. გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო წარდგენილი განაჩენის საფუძველზე მხოლოდ განკარგულებას გასცემს ფულის გაცემის თაობაზე.

&57. სოფლის საზოგადოებები, რომლებიც აწარმოებენ საერთო სარგებლობის კაპიტალს მარცვლეულის ან ფულის სახით, ვალდებულნი არიან მომარაგების ან სხვა რაიმე გარიგების შესახებ ყველა ხელშეკრულებაში, კერძო პირებთან იქნება თუ საზოგადოებებთან, წინასწარ გაითვალისწინონ, რომ კონტრაგენტთა პრეტენზიით დაკისრებული ჯამაგირები არავითარ შემთხვევაში არ მოხმარდება საერთო სარგებლობის კაპიტალს, როგორი სახისაც უნდა იყოს იგი.

XI
საწყობების რევიზიის შესახებ

&58. საწყობების რევიზიის სხვადასხვა დროს ჩატარების უფლება აქვს: სასოფლო ყრილობას, მის მიერ საგანგებოდ არჩეული დეპუტატების საშუალებით, ასევე, მაზრის უფროსს, მომრიგებელ შუამავალს, სახელმწიფო ქონებათა მართვის საგანგებო დავალებათა მოხელეებს და გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოსწევრებს. სპეციალური რევიზია კი ტარდება არა უმცირეს წელიწადში ერთხელ გუბერნატორის მიერ საგანგებოდ მოვლინებული მოხელეების მეშვეობით.

&59. რევიზორი რევიზიის შედეგს აღნიშნავს სარევიზიო წიგნში და, ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობებს გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს ან უფროსობას, ხოლო თვითონ საწყობს ბეჭდავს მამასახლისის ბეჭდით.

XII
გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს უწყების საქმიანობის საკითხები

&60. გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულო წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც მოიცავს საერთო სარგებლობის კაპიტალის, მარცვლის თუ ნაღდი ფულის სახით, შემოსავლებისა და გასავლების გუბერნიის ყველა სოფლის საზოგადოების ყველა ანგარიშსწორებას და აღნიშნული კაპიტალის უსაფრთხოდ შენახვაზე თვალყურის დევნებას.

&61. გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს უწყების საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

1) ნაღდი ფულის სახით სოფლის საზოგადოებათა

საერთო სარგებლობის კაპიტალის განკარგვა.

2) თითოეული სოფლის საზოგადოებისათვის შემოსავლებისა და გასავლების, ასევე, საერთო სარგებლის კაპიტალის მზარდი პროცენტების შესახებ პირადი ანგარიშების წარმოება.

3) განხილვა იმ საზოგადოებრივ საჭიროებებზე შუამდგომლობის ნებართვის მიცემის ან უარის თქმის მიზნით, რომლის დასაკმაყოფილებლადაც სასოფლო ყრილობის განაჩენით გამოითხოვება საერთო სარგებლის კაპიტალიდან და პროცენტებიდან სესხების გაცემა.

4) &28-ში ნახსენებ შემთხვევაში მარცვლეულის გაყიდვის ნებართვის მიცემა. თვალყურის დევნება, თუ რამდენად იცავენ თანამდებობის პირები მათ მიერვე დადგენილ წესებს მარცვლეულის მიღებისა და უვნებლად შენახვის, ასევე, მარცვლეულის გაყიდვიდან ამოგებული ფულის, სადაც საჭიროა, იქ თავის დროზე მიწოდების საქმეში.

5) თანამდებობის პირთა დევნა გაფლანგვის ან საერთო სარგებლობის კაპიტალის მიღების, შენახვისა თუ ხარჯვის მხრივ მარცვლეულით ან ნაღდი ფულით რაიმე სახის ბოროტად სარგებლობის შემჩნევის შემთხვევაში.

6) საგანგებოდ მოვლინებულ პირთა მიერ მარცვლეულის საწყობების აღწერა.

7) ქვითრებისა და სარევიზიო წიგნებით სოფლის საზოგადოებების მომარაგება მათივე ხარჯით, ყველა საზოგადოებისათვის საგანგებოდ დადგენილი ნიმუშის მიხედვით; აგრეთვე, საწყობის ხაზინადრის ბეჭდით, საკეტებით, მოძრავი სასწორებით და სახაზინო ბეჭდიანი გირებით.

8) მიმოწერის წარმოება თითოეულ სოფლის საზოგადოებასთან მათი საერთო სარგებლობის კაპიტალის თანხების ცვალებადობისა და მატების შესახებ, პროცენტიანი ქაღალდების დასახელებისა და ნომრების, ნომინალური და შესაძენი ღირებულების მითითებით.

შენიშვნა. გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს ყველა გადაწყვეტილება ამ წესებში გადმოცემულ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

&62. ამ წესებში გადმოცემულ საკითხთა წარმოებისა და სიცხადისათვის გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს განკარგულებით, გუბერნატორის შეხედულებისამებრ, ინიშნება საგანგებო პირი თავისუფალი დაქირავებით, ჯილდოს მიცემით, ყველა იმ სოფლის საზოგადოების ხარჯზე, რომელთაც აქვთ საერთო სარგებლობის კაპიტალი

[1890 წ.]

გაზეთი „კავკაზი“ და მისი „სახელდახელო შენიშვნები“ კონვერსიის შესახებ

გაზეთ „ივერიის“ N 241-ის მოწინავე სტატიაში გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება თბილისის მუნიციპალური გამგეობის მიერ ქალაქ თბილისის სესხთა სავარაუდო კონვერსიასთან დაკავშირებით. სტატიაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ნებისმიერი სესხის კონვერსია შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: თუ იგი არ არღვევს უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფს გამსესხებლებს სესხის ხელშეკრულებით.

მუნიციპალურ სესხთა კონვერსიის შესახებ გამგეობის მოხსენებაში საქმის ეს არსებითი მხარე სავსებით არ ყოფილა ნახსენები და „ივერიის“ სტატიაში აღინიშნა, რომ კონვერსიაზე ყოველგვარი საუბარი ზედმეტია, თუ სესხთა დასკვნასთან ერთად ქალაქი არ მოიპოვებს უფლებას, ვადაზე ადრე, ნებისმიერ დროს დაფაროს ეს სესხები ამა თუ იმ საშუალებით.

მე ახლაც ვამტკიცებ, რომ მხოლოდ ამ უფლებამ – სესხის ნებისმიერ დროს დაფარვის უფლებამ – შეიძლება გასწიოს კონვერსიისათვის საწყისი პუნქტის მაგივრობა, ვინაიდან სესხთა კონვერსია სხვა არაფერია, თუ არა მაღალპროცენტიანი სესხის დაბალპროცენტიანად გადაქცევა. ხოლო თუკი ეს ასეა, მაშინ ვინ ან რამ შეიძლება აიძულოს თბილისის მუნიციპალური სესხის ობლიგაციონერი, თავისი კაპიტალის ექვსპროცენტიანი ინვესტიცია ხუთპროცენტიანით შეცვალოს? მხოლოდ კაპიტალის უკან დაბრუნების საფრთხემ შეიძლება უბიძგოს მას ამისაკენ და ისიც მხოლოდ იმ პირობით, როდე-

საც ამგვარი ცვლილებისას ფულის ბაზარზე არსებული მდგომარეობა უკარგავს მას კაპიტალის უფრო ხელსაყრელი დაბანდების ყოველგვარ იმედს.

ამ კუთხით კონვერსიის საკითხზე მსჯელობისას საად გილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობებზე დადგინდა, რომ ობლიგაციონერთა უფლებები მხოლოდ მაშინ არ ჩაითვლება დარღვეულად, როდესაც სესხის დაფარვა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს*.

თუ საადგილმამულო ბანკებს ეძლევა კონვერსიის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მათი წესდებებით, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკების უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, ობლიგაციონერთა მიმართებითაც, დადგენილია, რომ საგირავნო ფურცლით წარმოდგენილი კაპიტალი ნებისმიერ დროს შეიძლება დაუბრუნდეს ობლიგაციონერს ხუთი პროცენტით, ვინაიდან, მსესხებელს, რომლის სესხითაც შეიძლება არსებობდეს საგირავნო ფურცელი, მინიჭებული აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, ვადაზე ადრე დაფაროს სესხი. ბანკი კი ვალდებულია გრძელვადიანი დაფარვის მთელ თანხაზე გააძლიეროს ჩვეულებრივი ტირაჟი და ამგვარად, მიმოქცევიდან ამოიღოს საგირავნო ფურცელი ისე, რომ მთლიანად დაფაროს თანხა.

ის გარემოება, რომ საადგილმამულო ბანკს წინასწარ მოპოვებული უფლებით შეუძლია საგირავნო ფურცლის მფლობელს ნებისმიერ დროს დაუბრუნოს კაპიტალი, საგირავნო ფურცლების კონვერსიასაც შესაძლებელს ხდის, ვინაიდან აქ ობლიგაციონერის წინაშე დგას ან მოვალეობა, ვადამდე მიიღოს კაპიტალი, ან უფლება, გადაცვალოს ექვსპროცენტიანი ობლიგაცია ხუთპროცენტიანზე და იგი ირჩევს ან ერთს ან მეორეს, გამომდინარე იქიდან, რა უფრო ხელსაყრელია მისთვის მოცემულ მო-

*იხ. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის აზრი ყრილობათა კომიტეტის 1891 წლის სტენოგრაფიული ანგარიშის მე-16 გვერდზე.

მენტში, ფულის ბაზარზე არსებული ვითარების მიხედვით. თავად კონვერსიის წარმატება კი განისაზღვრება არა დაბრუნებულ კაპიტალთა რაოდენობით, ვინაიდან ეს არის სესხის გასტუმრება, და არა კონვერსია, არამედ დაბალპროცენტიანზე გადაცვლილი მაღალპროცენტიანი ობლიგაციების რაოდენობით.

მხოლოდ უვიცობამ თუ შეიძლება გააჩინოს ვარაუდი, რომ არის რაიმე სხვაობა საქალაქო გარიგების არსში მაშინ, როდესაც „მე, როგორც „კავკაზი“ იუწყება, ვსესხულობ ფულს ვიღაც ივანოვისაგან თამასუქით და როდესაც ქალაქი ან საზოგადოება იღებს სესხს პუბლიკისაგან ობლიგაციის მეშვეობით. ორივე შემთხვევაში გარიგების იურიდიული არსი ერთია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში კრედიტორი სესხის ვალდებულებაში არის მოხსენიებული, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში კრედიტორად გვევლინება პუბლიკიდან ის, ვისაც სურს ისესხოს ფული ობლიგაციაზე აღნიშნული პირობებით. ორივე შემთხვევაში მხარეთა ურთიერთკავშირი განისაზღვრება სესხის ხელშეკრულების პირობებით და მსოფლიოში ვერც ერთი კანონმდებლობა ვერ მისცემს ვინმეს იმის უფლებას, რომ შეცვალოს ეს პირობები ერთი მხარის ნება-სურვილით, თუ არ იქნა მეორე მხარის თანხმობაც*.

ძნელად სავარაუდოა, რომ მოვალემ ოდესმე არ ისურვოს, აქციოს თავისი ექვსპროცენტიანი სესხი ხუთპროცენტიანად და ალბათ, სულაც რომ არ გადაიხადოს სესხი. მაგრამ შეიძლება კი კრედიტორს ჰქონდეს რაიმე სურვილი ან კაპიტალი მიიღოს ვადაზე ადრე, როდესაც იგი სარფიანადაა დაბანდებული, ან მოწყალების თვალით შეხედოს ექვსი პროცენტიდან ხუთ პროცენტამდე დაწევას, ისე, მსესხებლის სიამოვნებისათვის? რომელი კანონ-

*იხ. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის აზრი კომიტეტის 1892 წ. სტენოგრაფიულ ანგარიშში.

მდებლობა, რომელი მთავრობა მისცემს საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ აიძულოს გამსესხებელი, დათმოს თავისი უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს მას კანონით ნებადართული საქალაქო გარიგებით, თუნდაც თბილისის მუნიციპალური სესხების ტვირთის შესამსუბუქებლად? ვის შეუძლია უთხრას მსესხებელს: მართალია შენი კაპიტალი სარფიანადაა დაბანდებული რამდენიღაც წლით, მაგრამ ვადამდე ადრე წაიღე უკან ან ნაკლებ პროცენტს დასჯერდიო?

სამოქალაქო სამართლის ამგვარი დარღვევა შეუძლებელია კეთილმოწყობილ სახელმწიფოში და „ივერიის“ სტატიაში სწორედ იმიტომ იქნა აღნიშნული, რომ, თუ ქალაქს ამა თუ იმ საშუალებით კაპიტალის ვადამდელი დაბრუნების უფლება არ აქვს მინიჭებული სესხის პირობებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, თავად ობლიგაციებზე არის დაბეჭდილი, მაშინ კონვერსიის შესახებ ყოველგვარი საუბარი ფუჭი დროის კარგვაა.

თუმცა შეიძლება შემოგვედავონ: აბა, სახელმწიფო როგორ ახორციელებს თავისი სესხების კონვერსიასო? ამ შემთხვევაშიც კონვერსიის საფუძველს წარმოადგენს გამსესხებლისათვის კაპიტალის ნებისმიერ დროს დაბრუნების უფლება, ვინაიდან სახელმწიფოს ყოველთვის ენიჭება ეს უფლება, თუ მას, სესხის განხორციელებისას, „არ ეკისრება ვალდებულება თავი შეიკავოს გამოსყიდვისაგან სესხის დაფარვამდე, ან გარკვეული წლების განმავლობაში“. სწორედ ასე მოიქცა სახელმწიფო უკანასკნელი სარკინიგზო სესხის დროს, როდესაც ზუსტად სესხზე ხელის მოწერის წინ განაცხადა, რომ გარკვეული წლების განმავლობაში იგი თავს შეიკავებს თავისი სასესხო ვალდებულებების გამოსყიდვისაგან. ამგვარად, არ-გამოსყიდვის ვალდებულების არარსებობა გულისხმობს გამოსყიდვაზე სახელმწიფოს უფლების არსებობას. თუმცა ქალაქებს, საზოგადოებებსა თუ კერძო პირებს ვერ ექნებათ პრეტენზია საქალაქო გარი-

გების ვერანაირ უფლებაზე, თუ ეს უფლება არ დადგინდა თვითონ გარიგების ხელშეკრულებით.

ყოველივე ამის წამძღვარება აუცილებელი იყო მანამ, სანამ მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობდეთ გაზეთ «Кавказ»-ზე, რომელმაც „ივერიის“ ყველა ეს დასკვნა აბუჩად აიგდო თავის „სახელდახელო შენიშვნაში“. აქ მე მივმართავ გაზეთ «Кавказ»-ს, და არა „შენიშვნების“ ავტორს, ვინაიდან „სახელდახელო შენიშვნები“,საკუთრივ რუბრიკის მნიშვნელობით თუ ვიმსჯელებთ, წარმოადგენს გაზეთის სარედაქციო განყოფილებას და, მაშასადამე, ამ „შენიშვნებში“ ნათქვამი უნდა მიეწეროს თავად რედაქციას, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, ბატონი ხონელის პირით საუბრობს.

გაზეთი „კავკაზი“ ცდილობს მასხრად აიგდოს „ივერიის“ დებულებები და დასკვნები მუნიციპალურ სესხთა კონვერსიის შეუძლებლობის შესახებ ობლიგაციონერთა უფლებების დარღვევის პირობებში და იუწყება: „საზოგადოებამ, რომელმაც გამოუშვა ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით, დაახლოებით ას მანეთად, დაფარვის 25-წლიანი ვადა საკუთარი შეღავათისათვის აირჩია. თუ ფულის ბაზრის მდგომარეობა ამ 25 წლის განმავლობაში იმდენად შეიცვალა, რომ საზოგადოებას თავისი სესხის კონვერსიის საშუალება მიეცემა, რასაკვირველია, სახელმწიფოს ნებართვით, ე. ი. ობლიგაციის მფლობელებს გადაუხადოს ნაღდი ფულით ასი ასზე, მაშინ ეს უკანასკნელნი ვეღარანაირ პრეტენზიას ვერ წაუყენებენ, ვერც იურიდიულად და ვერც სხვა რაიმე საფუძველზე, ვინაიდან, შეიძინეს რა ობლიგაციები, მათთვის მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო ყოველ ნახევარწელში ამ ობლიგაციების ტირაჟში გასვლა“.

არ ვიცი, რა პასუხი გავცე გაზეთ „კავკაზს“ კონვერსიის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც ის ჯერ სიტყვა „კონვერსიის“ მნიშვნელობასაც კი არ გასცნობია. „კავკაზი“, აცხადებს რა, რომ „საზოგადოებას შეუძლია

თავისი სესხის კონვერსია, ე.ი. ობლიგაციის მფლობელთათვის ასი ასზე გადახდა“, არსებითად იმას ამბობს, რომ სესხის კონვერსია და გასტუმრება სავსებით ერთი და იგივე ქმედებაა. პირველივე ხელში მოხვედრილი ბროშურა თუ სტატია კონვერსიის შესახებ, – ასეთები კი რუსულ ლიტერატურაში ბევრია, – დაარწმუნებდა გაზეთ „კავკაზს“, რომ კონვერსია ეწოდება არა ვალის გასტუმრებას ასი ასზე, არამედ „მაღალპროცენტიანი სესხის დაბალპროცენტიანად ქცევას“. ამის დასტურად შემიძლია დავიმოწმო, თუნდაც «Вестник Европы»-ის ამა წლის ნოემბერის ნომერში დაბეჭდილი ბნ. ისაევის სტატია. ასი ასზე გადახდა კი მხოლოდ გადამხდელზე ზეწოლის მოხდენის საშუალებაა, გაცვალოს მაღალპროცენტიანი ობლიგაცია ხუთპროცენტიანზე იმ მომენტში, როდესაც ბირჟა არ სთავაზობს უფრო ხელსაყრელ ინვესტიციას. საუბარი მაქვს ეკონომიკურ ზეწოლაზე, ვინაიდან იურიდიულ ზეწოლაზე აქ არც შეიძლება იყოს ლაპარაკი.

თუმცა საშუალების მიზანთან ამგვარ შერევას დავანებოთ თავი და ვკითხოთ გაზეთ „კავკაზს“, მუნიციპალური ობლიგაციების ყოველი ნახევარწლიური ტირაჟირება როგორ აგვაცილებს ობლიგაციონერების პრეტენზიას, როდესაც შემოთავაზებულია „ობლიგაციის ყველა მფლობელისთვის ასი ასზე გადახდა“? ნუთუ ობლიგაციების ტირაჟი და ერთდროულად გამოსყიდვა ერთი და იგივეა? როდესაც, გარკვეული წლების განმავლობაში, ყოველი ნახევარწლიური ტირაჟის მეშვეობით დაფარვის პირობით განხორციელებული სესხი იფარება ვადამდე, ერთბაშად, განა ეს სესხის ხელშეკრულების დარღვევა არ არის? აქ ან სიტყვა „ტირაჟის“ მნიშვნელობა არ ესმით ან ცნებებს ურევენ ერთმანეთში.

ტირაჟი წარმოებს მხოლოდ იმ თანხაზე, რომელიც თავად ობლიგაციის წარწერაზე არის მითითებული. მაშასადამე, ობლიგაციონერის რისკი, უკან მიიღოს თავისი

კაპიტალი, აქ პროპორციულია ამ წინასწარ განსაზღვრული თანხისა, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ობლიგაციონერის რისკი იმდენად დიდია, რამდენადაც დიდია სესხის პირობით განსაზღვრული ვადიანი დაფარვის თანხა. გაზარდეთ ეს თანხა თვითნებურად და გაზრდით ობლიგაციონერის რისკს. მაგრამ გაქვთ კი ამის უფლება, თუკი ეს უფლება სესხის პირობებში არ არის მითითებული? და ბოლოს, „ობლიგაციის ყველა მფლობელისათვის ასი ასზე გადახდით“ თავიდან ავიცილებთ ტირაჟის აუცილებლობას. ტირაჟი, როგორც ობლიგაციის ამა თუ იმ ნომერზე წილის ყრა, შესაძლებელია მხოლოდ მიმოქცევიდან ობლიგაციების თანდათანობით და ნაწილ-ნაწილ ამოღებისას და არა მაშინ, როდესაც შეთავაზებულია ყველა ობლიგაციის ერთდროულად განაღდება. ამ შემთხვევაში ტირაჟის წარმოებას არავინ დაიწყებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სიამოვნებას იღებენ საცრით წყლის ზიდვაში.

ამრიგად, პატივცემულმა გაზეთმა, ამტკიცებს რა, რომ ობლიგაციონერთა უფლებები არ ირღვევა, როდესაც ნაცვლად კაპიტალის თანდათანობით და შეთანხმებულ ნაწილებად დაბრუნებისა, მას ერთბაშად აბრუნებენ, უნდა აღიაროს, რომ კაპიტალის დაბრუნება პირობითი წესისა და ვადის გაუთვალისწინებლად ვერ ავნებს ობლიგაციონერის ინტერესებს. იგი ხომ მით უფრო დააფასებს თავის უფლებას, შეინარჩუნოს კაპიტალი 6-პროცენტიან ობლიგაციებად, რაც უფრო ნაკლები შანსი იქნება ბაზარზე უფრო ხელსაყრელი დაბანდებისა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რამდენადაც მდგომარეობა ფულის ბაზარზე შესაძლებელს ხდის მსესხებლისათვის სესხის კონვერსიას, იმდენად წამგებიანია ეს კონვერსია გამსესხებლისათვის. ნუთუ არ იცის გაზეთმა „კავკაზმა“, რომ ობლიგაციონერის ასეთ არახელსაყრელ პოზიციაში ჩაყენება მისი უფლებების დარღვევაა სწორედ. ისევ დავიმოწმებ პირველივე ხელში მოხვედრილ ბროშურას:

ობლიგაციონერებს აქვთ უფლება პრეტენზია განაცხადონ არა მხოლოდ იმაზე, რომ კაპიტალი დაუბრუნდეთ ვადაზე ადრე, ერთდროულად და სრულად, არამედ იმაზეც, რომ ტირაჟმა იწარმოოს სესხის პირობების გარეშე*. ეს საკითხი აღარ საჭიროებს შემდგომ გავრცობას. საკმარისია მივუთითოთ, რომ როგორც თავად ფინანსთა სამინისტრომ, ისე საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მთელმა ყრილობამ აღიარა, რომ მსესხებლის ნებართვის გარეშე ექვსპროცენტიანი სესხების ხუთპროცენტიანად გადაქცევაც კი მისი უფლებების დარღვევაა**. როგორც ჩანს, მაღალპროცენტიანი სესხის დაბალპროცენტიანად გადაქცევით მიღებულ შეღავათს უნდა აღმოეფხვრა ყოველგვარი ფიქრიც კი მსესხებლის პრეტენზიაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს პრეტენზია შესაძლებლადაა მიჩნეული და დადგენილია, არ მოხდეს ამგვარი გარდაქმნა წერილობითი თანხმობის გარეშე***.

როგორღა შეიძლება ამის შემდეგ მტკიცება იმისა, რომ არ ირღვევა ობლიგაციონერთა უფლებები მაშინ, როდესაც სესხის პირობების გარეშე, ვადაზე ადრე უბრუნდებათ კაპიტალი, რომელიც ფულის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით სარფიანად არის დაბანდებული ამა თუ იმ ვადით.

შემდეგ, „კავკაზი“ განაგრძობს თავის დაცინვას და ამბობს, რომ „ივერიის“ მოწინავე სტატიის ავტორი საუბარში „ჭრიჭინასებრი ღრმა აზროვნების ნამდვილ მარგალიტებამდე“ მივიდა. იმას, თუ რამდენად შეეფერება წესიერ გაზეთს აზრის გამოთქმის მსგავსი ქუჩური მანერა, არ გავბედავ და მე არ გადავწყვეტ, თუმცა ვიტყვი,

*იხ. „საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელების ყრილობათა კომიტეტის სტენოგრაფიული ანგარიში“ 1892 წლისთვის, გვ.16.

**იხ. „საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელების ყრილობათა კომიტეტის სტენოგრაფიული ანგარიში“ 1892 წლისთვის, გვ.20

***იხ. ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესები კონვერსიის შესახებ.

რომ ამ „ჭრიჭინასებრი ღრმააზროვნების“ დასამტკიცებლად „კავკაზი“ ირწმუნება, რომ „ივერიის“ მოწინავე სტატიის ავტორი, უარყოფს რა კონვერსიის შესაძლებლობას ობლიგაციონერის უფლებების დარღვევის პირობებში, თითქოსდა იძლევა რჩევას, არჩეულ იქნას ხსნის ერთადერთი გზა, – ეს არის „ყველა 6-პროცენტიანი ობლიგაციის ყიდვა და მათ ნაცვლად 5-პროცენტიანების გამოშვება გასაყიდად“.

ამასთან დაკავშირებით „კავკაზი“ მოურიდებლად აძლევს თავის მახვილგონიერებას ფართო გასაქანს და აცხადებს:

„ივერია“ ფიქრობს აღნიშნული ობლიგაციების ყიდვას. მერედა ვისგან? ამისათვის ხომ საჭირო იქნება სამისამართო მაგიდის დაწესება ობლიგაციების ყველა მფლობელისათვის, ხოლო შემდეგ გამგეობისათვის კრედიტის გახსნა საგზაო ეკიპაჟის საყიდლად გამგეობის ყველა წევრისათვის, რათა იმოგზაურონ ქალაქებსა და მთელს მსოფლიოში საქალაქო ობლიგაციების მოძებნის მიზნით“ და ა. შ.

როგორ მოგწონთ გაზეთ „კავკაზის“ ეს კეკლუცი მახვილგონიერება? ვერ წარმომიდგენია, ამ პატივსაცემ გაზეთს არ სცოდნოდა, რომ არანაირი პროცენტიანი ქაღალდის შესყიდვისთვის არ არის საჭირო არც სამისამართო მაგიდის დაწესება, არც ეკიპაჟები, „კავკაზის“ მახვილგონიერების საჭიროებაც არ არსებობს. საკმარისია იმის ცოდნა, რომ ამქვეყნად არსებობს ბირჟა, რომელიც ყოველ წუთს იშოვნის მილიონებს ობლიგაციებით, საკმარისია შესთავაზო მოცემულ მომენტში საბირჟო კურსზე მეტ-ნაკლებად მაღალი შესასყიდი ფასი.

განა საწყენი არ არის, რომ არის შემთხვევები, როდესაც აუცილებელი ხდება ესა თუ ის დებულება ისეთი ფინანსური ოპერაციის შესახებ, როგორიცაა კონვერსია, რათა თავი დაიცვა იმ პიროვნების თავდასხმებისაგან, რომელიც არ გაისარჯა და წინასწარ არ გაეცნო თვით სიტყვა „კონვერსიის“ მნიშვნელობასაც კი, არ გაარკვია

სიტყვა „ტირაჟის“ მნიშვნელობა და არ იცის, რომ ამქვეყნად არსებობს ბირჟა, რომლის დახმარებითაც ადამიანები ახორციელებენ პროცენტიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ნებისმიერ თანხაში ისე, რომ არ აწესებენ არც სამისამართო მაგიდას და არც საგზაო ეკიპაჟს. რა თქმა უნდა, მე არ ვიფიქრებდი, მოცემულ შემთხვევაში, „ივერიის“ მოწინავე სტატიის დასაცავად გამოსვლას, რომ არა „სახელდახელო შენიშვნები“ გაზეთ „კავკაზში“, რომლის რედაქტორისადმი გარკვეული დროის განმავლობაში პატივისცემით მოპყრობას მივეჩვიეთ.

მაგრამ „კავკაზის“ ამ უკანასკნელ კეკლუც გამოხდომაზე მკითხველის ყურადღებას მხოლოდ იმის გამო როდი ვამახვილებ, შემოვიფარგლო მითითებით, რომ საპატიო გაზეთმა, „კავკაზმა“ არ იცის ამქვეყნად ბირჟის არსებობის შესახებ. საქმე ისაა, რომ „ივერია“ კი ამბობს , რომ ქალაქში ობლიგაციების ვადამდე შესყიდვის უფლების არარსებობის გამო მხოლოდ ერთი გზა რჩება, – 6-პროცენტიანი ობლიგაციების შესყიდვა და მათ ნაცვლად 5-პროცერნტიანების გაყიდვა, თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს გზა სიგიჟის გზა იქნებოდა*.

ამგვარად, გამოდის, რომ პატივცემული გაზეთი „კავკაზი“, ამოიწერა რა „ივერიის“ სტატიიდან ფრაზის ერთი ნახევარი, არწმუნებს თავის მკითხველს, რომ „ივერია“ ქალაქს ურჩევს ამ გზის არჩევას. დაე, გაზეთმა „კავკაზმა“ თავად უწოდოს სახელი მსგავს ოინს. მე კი, ბეჭდური სიტყვისადმი პატივისცემის გამო, თავს შევიკავებ.

[1892 წ. 25 ნოემბრამდე]

---

*აი, „ივერიის“ დედანი სიტყვები: „ამ შემთხვევაში ქალაქის მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ერთი გზით: 6-პროცენტიანი ობლიგაციების ყიდვით და ხელახლა გამოშვებული 5-პროცენტიანების გაყიდვით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, 6-პროცენტიანი ობლიგაციების კურსს აწევს, ხოლო 5-პროცენტიანს დაწევს. ამგვარი ოპერაცია ისე ძვირი დაუჯდება ქალაქს, რომ ამ გზით მიზნის მიღწევა სიგიჟე იქნებოდა (იხ. „ივერია“, N 241)“.

ასეა განა?
პასუხი შენიშვნაზე „ისევ კონვერსიის შესახებ“ *

თბილისის საქალაქო სათათბიროს ფინანსური კომისიის თავმჯდომარემ მ. ი. თამამშევმა „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდა შენიშვნა „ისევ კონვერსიის შესახებ“, რომელშიც მოჰყავს ამონაწერები ცნობილი ფრანგი ეკონომისტის ლერუა-ბოლიეს წიგნიდან. იგი მიიჩნევს, რომ ეს ამონაწერები წინააღმდეგობაში მოდის ჩემს მოსაზრებებთან, რომლებიც გამოვთქვი სტატიაში „გაზეთი „კავკაზი“ და მისი სახელდახელო შენიშვნები კონვერსიის შესახებ“.

თავს უფლებას მივცემ, ეჭვი შევიტანო იმაში, რაც ღრმადპატივცემულ მ. ი. თამამშევს მიაჩნია, და აი, რის საფუძველზე.

იმას ვერ უარვყოფთ, რომ კონვერსია უნდა მოიცავდეს ორ აუცილებელ პირობას, – ერთი გამომდინარეობს მისი იურიდიული გარემოებიდან და მეორე – ეკონომიკურიდან. სწორედ ეს პირობები ხდის კონვერსიას შესაძლებელს და უზრუნველყოფს მის კანონიერებას.

ლერუა-ბოლიე ადასტურებს ამ ჩემს ამოსავალ წერტილს, როდესაც ამბობს, რომ კონვერსია „გამომდინარეობს სესხის დაფარვის უფლებიდან, ან, როგორც ოდნავ ზემოთ აღნიშნავს, კონვერსია „სამართლიანად ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც კრედიტორისთვის** ვალის გადახდა შესაძლებელია მანეთ-

*იხ. „Новое Обозрение“, 3081.

**იხ. ბ-ნ თამამშევის მიერ ლერუა-ბოლიეს წიგნიდან მოყვანილი ამონაწერები „Новое Обозрение“, 3081.

მანეთ. ამდენად, მაქვს ბედნიერება, ამ პუნქტში ავტორიტეტად ლერუა-ბოლიე მყავდეს.

შემდგომ ვამბობ, რომ განსაზღვრულ ვადაზე ადრე გადახდის უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაფორმებისას მან არ შეიზღუდა თავი ვალდებულებით, განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ ისარგებლებს თავისი უფლებით. ამავეს ამბობს ლერუა-ბოლიე, როგორც ეს ჩანს კიდეც მ. ი. თამამშევის მიერ მოყვანილი ამონაწერებიდან.

შემდეგ აღვნიშნავ, რომ ყველა დანარჩენ შემთხვევაში სესხის ვადამდელი გადახდის უფლება, თუ იგი არ არის გათვალისწინებული სასესხო ხელშეკრულებაში, არ შეიძლება ვინმემ მიითვისოს წინადადების საფუძველზე, ვინაიდან სასესხო ხელშეკრულება არის სამოქალაქო გარიგება. ამიტომაც ნებისმიერი უფლება, ისევე, როგორც მოვალეობა, თავად ხელშეკრულებით უნდა იქნას განსაზღვრული. ამის გარდა, სხვა უფლებები და მოვალეობები, გარიგების მიხედვით, არ არსებობს.

აქ ლერუა-ბოლიე, მითითებული ამონაწერებით თუ ვიმსჯელებთ, გამოთქვამს მართლაც სავსებით საწინააღმდეგო აზრს, როდესაც ამტკიცებს, რომ ეს უფლება „ეკუთვნის სახელმწიფოს, ისევე, როგორც ნებისმიერ მევალეს, ზოგადად“.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო,რომ ლერუა-ბოლიეს ეს შეხედულება კი ეწინააღმდეგება ჩემსას, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ შეეხება იმას, რასაც მე ვამტკიცებ. საქმე ის არის, რომ კაპიტალის ვადამდელი დაბრუნების უფლებას განვიხილავ რუსეთის იმპერიის კანონების თვალსაზრისით და მიმაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სათათბიროს მიერ ჩაფიქრებული საქალაქო სესხების კონვერსია რუსეთში მოხდება რუსული კანონების მიხედვით და არა საფრანგეთში და არა ლერუა-ბოლიეს კანონების მიხედვით. რუსული კანონებით კი საერთო წესადაა მიღებული, რომ ნებისმიერი „ხელშეკრულება

და ვალდებულება ითვალისწინებს უფლებას, არშესრულების შემთხვევაში მოითხოვოს ვალდებული პირისაგან, დააკმაყოფილოს „ყოველივე ის, რაც დადგენილია ხელშეკრულების დაკისრებული ვალდებულების მიხედვით“ (ტ. X, ნაწ. I, გვ.570). ასევე, „ხელშეკრულებები შესრულებულ უნდა იქნას ზემოაღნიშნულის ზუსტი გაგებით, ისე, რომ არ მიექცეს ყურადღება გვერდით მოვლენებს და ამა თუ იმ პირებს“ (ტ. X, ნაწ. I, გვ.1536). სწორედ ამ თვალსაზრისით ვამტკიცებ, რომ სასესხო ხელშეკრულებაში განსაზღვრული კაპიტალის დაბრუნების ვადა არ შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი მხარის ნება-სურვილით; მევალეს, რომელმაც არ გამოთქვა კაპიტალის ვადამდელი დაბრუნების უფლება თავად სასესხო ხელშეკრულებაში, არ აქვს უფლება მიითვისოს აღნიშნული უფლება, ისევე, როგორც კრედიტორს არ აქვს უფლება, ვადაზე ადრე მოითხოვოს გადახდა. სხვა შემთხვევაში იგი დაარღვევს ხელშეკრულების პირობას.

როდესაც ლერუა-ბოლიე ამბობს, რომ ეს უფლება ნებისმიერ მევალეს გაშლილად ეკუთვნის, ალბათ, ამის საფუძველს მას საფრანგეთის სამოქალაქო კანონები აძლევს. მაგრამ საეჭვოა, რუსულმა სასამართლომ საქმისათვის, მიუხედავად რუსეთის მოქმედი კანონდებულებებისა,გამოიყენოს ლერუა-ბოლიეს მოსაზრება,იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფრანგი ეკონომისტის მოსაზრება მეცნიერულ საფუძველს შეიცავს.

მე წინ წავიწევ და გავბედავ ეჭვქვეშ დავაყენო ეკონომისტ ლერუა-ბოლიეს ავტორიტეტი იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით. თუ ჰგონიათ, რომ მის მიერ წარმოდგენილი თეზისი მევალის უფლების შესახებ არის მეცნიერული დასკვნა, მწარედ ცდებიან. იურიდიული მეცნიერების ცნობილი წარმომადგენელი, გერმანელი სავინი თავის ნაშრომში „სახელშეკრულებო უფლება“, ამბობს, რომ „პროცენტიანი სესხი არის ცალმხრივი ხელშეკრულება, რომელსაც მიზნად აქვს ორმხრივი სარგებე-

ლი“. თავისთავად ცხადია, რომ მევალის სარგებელი ამ შემთხვევაში გულისხმობს გარკვეული ვადით სხვისი კაპიტალის მოხმარებას, ხოლო კრედიტორის სარგებელი – კაპიტალის ინვესტიციას იმავე ვადით უზრუნველყოფილი შემოსავლით, რომელსაც მიიღებს პროცენტების სახით სესხის განმავლობაში. და ისმის კითხვა, რომელმა სამართალმა, რომელმა კანონმა შეიძლება მიანიჭოს უფლება ერთ-ერთ მხარეს, თვითნებურად დააკარგვინოს მეორეს ეს სარგებელი?

იგივე სავინი კრედიტორის უფლებების დარღვევად მიიჩნევს, როდესაც სესხი არ იფარება სასესხო ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას. არადა გადახდის ადგილი ხომ გაცილებით ნაკლებად ეხება კრედიტორის ინტერესებს, ვიდრე კაპიტალის ნაადრევი დაბრუნება, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ბაზარზე მისი ფასი იკლებს, რის გარეშე კონვერსია ფიქრადაც არავის მოუვიდოდა.

სესხთა კონვერსიის გამართლებას არ ექნება არავითარი სამართლებრივი საფუძველი, თუ ობლიგაციონერთა ინტერესები არ იქნება შეწყნარებული იმ მოსაზრებით, როგორც ამას ლერუა-ბოლიე აკეთებს, რომ სხვაგვარად ეს „გამოსაღების გადამხდელთა გაძარცვის ტოლფასი“ იქნებოდა, ვინაიდან იგივე სავინი ამბობს: „კანონი, რომელსაც ახლავს ცალმხრივი შედეგი, მოქმედებს მხოლოდ ძველი ვალის გადახდაზე და საჭიროების შემთხვევაში არ ეხება სხვა ურთიერთობებს, უდავოდ სასტიკი და უსამართლოა“. ნუთუ მხოლოდ მდიდრები აბანდებენ თავიანთ კაპიტალს ობლიგაციებში? იგივე გამოსაღების ღარიბი გადამხდელი არ არის, მთელ თავის დანაზოგს რომ დებს მათში?

ყოველივე ამის შემდეგ, უფლება მაქვს, ვიკითხო: რაში ეწინააღმდეგება ჩემს შეხედულებას ლერუა-ბოლიეს წიგნიდან მოყვანილი ეს ამონაწერები? როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ პუნქტში, რომელიც მევალის უფლებას

შეეხება. როგორც ჩანს-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ჩემი აზრი ამ უფლების შესახებ გამომაქვს იმ ქვეყნის კანონებიდან, სადაც უნდა განხორციელდეს თბილისის საქალაქო სესხების კონვერსია. შეიძლება, ამ კანონთა გაგებისა და ახსნა-განმარტებისას ვცდებოდე კიდეც, მაგრამ, თავისთავად კამათის წარმართვა მხოლოდ ამ ნიადაგზეა შესაძლებელი. მ. ი. თამამშვილის მიერ ლერუა-ბოლიეს წიგნიდან მოყვანილ ამონაწერებში არაფერია ნათქვამი რუსული კანონების მნიშვნელობასა და არსზე მოცემულ საკითხთან მიმართებით. ამდენად, ამ ამონაწერებით ვერ დავადგენთ, ეთანხმება ლერუა-ბოლიე ჩემს მოსაზრებას თუ ეწინააღმდეგება.

[1892 წ. 12 დეკემბერი]

ახსნა-განმარტებითი ბარათი
თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მიერ მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობის შესახებ

საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობის საკითხი უშუალო კავშირშია ამ ფურცლების მეტ-ნაკლებად წარმატებულ რეალიზაციასთან და იგი გაჩნდა მიწის სესხის აუცილებლობით – საგირავნო ფურცლები დამოუკიდებელი ყოფილიყო იმ შემთხვევითი გარემოებებისაგან, რომელთა საშუალებითაც ხდება ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია, ზოგადად, რუსეთში. ამ მხრივ კარგი მაგალითი და ჭკუის სასწავლებელია იმ კერძო საადგილმამულო ბანკების ისტორია, რომლებიც ხელს უწყობენ იმპერიაში მიწის და საერთოდ, იპოთეკური სესხის, განვითარებასა და გამარტივებას. ამ სახის კრედიტის გამოყენებისა და განვითარებისას გამოირკვა საკუთრივ მისი არსი ადგილობრივ საკრედიტო კონვერტაციასა და ვალუტასთან მიმართებით, ასევე, იმასთან მიმართებით, თუ როგორ უდგება საზოგადოება ფასიან ქაღალდებს და როგორია იმავე საზოგადოების უნარი და მზაობა, დააბანდოს საკუთარი დანაზოგი პროცენტიან ქაღალდებში.

რუსეთში მიწის კრედიტის კერძო დაწესებულებების გაჩენის პირველივე დღიდან აღნიშნული დაწესებულებების მმართველობას მოუწია, ზემოთ მითითებული გარემოებები განეხილა ერთად და ცალ-ცალკე, იმისდა მიხედვით, მოცემულ მომენტში რომელი მათგანი წარმოად-

გენდა დაბრკოლებას მიწის კრედიტის გამარტივებისა და სრულყოფის საქმეში; მიწის კრედიტისა, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მოქალაქეობრივი უფლებით მოხდება საგირავნო ფურცლების დასაკუთრება ფულის ბაზარზე. ამ წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად საადგილმამულო ბანკების მიერ მიღებულმა ზომებმა დატოვა თავისი ჭკუის სასწავლებელი კვალი ამ დაწესებულებათა წარსულ საქმიანობაში. ამიტომაც მათი ისტორია, ამ მხრივ, გამოდგება თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ქმედებების ერთგვარ ახსნად და გამართლებად, შემოიტანოს მხარეში მიწის კრედიტი, გაამარტივოს და განავითაროს იგი.

მივმართავთ რა რუსეთის საადგილმამულო ბანკების წარსულის მოკლე მიმოხილვას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბანკებს, რომელთაც მიიღეს სესხის პროცენტიანი ქაღალდების გამოშვების უფლება, თავიანთი განვითარების გზაზე დიდი სირთულეები შეხვდათ ამ ქაღალდების რეალიზაციის მხრივ. იქიდან გამომდინარე, რომ მიწის კრედიტის განხორციელება და განვითარება შეუძლებელია, თუ საგირავნო ფურცლებმა არ მიიღო მოქალაქეობრივი უფლება ფულის ბაზარზე; რომ მთელი იმედები მიწის კრედიტის გამარტივებისა და სრულყოფის შესახებ ეფუძნება საგირავნო ფურცლებზე ისეთ კაპიტალთა მოზიდვას, რომლებიც მხოლოდ სარწმუნო და უსაფრთხო დაბანდებას ეძიებს და არა მოგებას, ყოველივე აქედან გამომდინარე, ყველა საადგილმამულო ბანკმა თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნია, მთელი ყურადღება გადაიტანოს მიწის კრედიტის ამ აუცილებელ მოთხოვნაზე. საკითხთა ამ მიმართულებით კვლევისას, საადგილმამულო ბანკები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ არსებული მიწის კრედიტი, იურიდიული მხარის ნაკლოვანებების გარდა, აწყდება წმინდა ფინანსური და ეკონომიკური სახის მრავალ წინააღმდეგობას, რომლებიც

ართულებს საგირავნო ფურცლების თავისუფალ მიმოქცევას საზოგადოებაში და კაპიტალის მოძრაობას.

ამგვარი დაბრკოლებების მიზეზად საადგილმამულო ბანკებმა დაასახელეს იმ შეღავათებისა და უპირატესობების არარსებობა, რომელსაც იძლევა ხერსონის საადგილმამულო ბანკის მიერ გამოშვებული საგირავნო ფურცლები, ურთიერთშეთანხმების საადგილმამულო საკრედიტო საზოგადოება და საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათა ობლიგაციები. იმ ფაქტს, რომ საგირავნო ფურცლებს არ ეძლევა აღნიშნული შეღავათები და უპირატესობები, შეუძლებელია, გავლენა არ მოეხდინა თავად ფურცლების ღირებულებაზე, საზოგადოებას ამ გარემოებაში არ დაენახა მთავრობის ერთგვარი უნდობლობა მსგავსი ქაღალდების მიმართ. მეორე მიზეზი ის იყო, რომ ამგვარი ფასიანი ქაღალდი, საგირავნო ფურცლის სახით წარმოდგენილი, სიახლე იყო და შესაბამისად, საზოგადოება არ იყო მიჩვეული თავისი დანაზოგი ამგვარი ფასეულობის სახით დაებანდებინა. თავდაპირველად, სპეკულაციაც კი თავს არიდებდა საგირავნო ფურცლებს, როგორც სიახლეს, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა დამკვიდრებული ადგილი ფულად ბაზარზე.

ამ საგირავნო ფურცლების მხოლოდ სიახლეც საკმარისია იმის ასახსნელად, თუ რატომ აწყდებიან დაბრკოლებას პირველივე ხანებში საადგილმამულო ბანკები მათი რეალიზაციის დროს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგირავნო ფურცლებისთვის გარკვეული შეღავათისა და უპირატესობის არმიცემას მათზე მოთხოვნის გაზრდისა და წარმატებული რეალიზებისათვის. გამონაკლისს არ წარმოადგენს ისეთი მაგალითები, როდესაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიც კი მათი პირველი გამოჩენისას ძლივს სადდებოდა შეუსაბამოდ დაბალ ფასში, რაც არ მართლდებოდა ფულად ბაზარზე არსებული მდგომარეობით. ასე, მაგალითად, I შიდა სესხის მოგებიანი ბილეთების დაბანდება

ხდებოდა ნომინალურზე დაბალ ფასში; $5_{1/2}$%-იანი რენტა მყიდველსაც კი ვერ შოულობდა, გამოსყიდვის მოწმობების მოთავსება ხდებოდა 20% – 30%-იანი დანაკარგით; 1867 წელს კი – 33%-იანი დანაკარგითაც კი. ხოლო კერძო ბანკების, მაგალითად, მოსკოვის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები, მიუხედავად მათი სავსებით ზომიერი ყოველწლიური გამოშვებისა, რაც წელიწადში $1_{1/2}$-2 მილიონს უდრიდა, პირველი 6-7 წლის განმავლობაში თავსდებოდა 70%-ში. ბუნებრივია, რომ ამ და სხვა მსგავსი მაგალითებიდან გამომდინარე, საადგილმამულო ბანკებს, მიმოქცევაში სრულიად ახალი და ამასთან, კერძო, ფასიანი ქაღალდების შეტანისას, ვერ ექნებოდა დამაკმაყოფილებელი დაბანდების იმედი მეტნაკლებად მისაღები კურსით.

საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მიერ საგირავნო ფურცლების წარმატებული რეალიზაციის ამ ორი დამაბრკოლებელი მიზეზის გარდა, კიდევ ერთი მიზეზი არსებობს – საგირავნო ფურცლების გადაჭარბებული, უწესირიგო და ნაჩქარევი მიწოდება მსესხებელთა მიერ, რომლებიც ხელზე იღებენ ამ ფურცლებს და გაყიდვისას მხოლოდ ფულის საჭიროებით ხელმძღვანელობენ. ეს გარემოება ყრილობებზე აღიარებულია ერთ-ერთი იმ პირობად, რომლის აღნიშვნაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პარალიზებულიყო საადგილმამულო ბანკების მმართველთა ყოველგვარი მცდელობა, მიეყვანათ საგირავნო ფურცლების რეალიზაცია სასურველ შედეგებამდე.

არ შეიძლებოდა საადგილმამულო ბანკებს თავიანთ წმინდათა წმინდა მოვალეობად არ დაესახათ იმ მიზეზების თავიდან აცილება, რომლებიც, ფულადი ბაზრის საერთო ეკონომიკური პირობებისაგან დამოუკიდებლად, აბრკოლებენ საგირავნო ფურცლების რეალიზაციას. თავად ფინანსთა მინისტრი ბ-ნი რეიტერნიც მიუთითებდა, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მივმართოთ ძალ-

ისხმევა. სწორედ მან აღნიშნა საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა I ყრილობაზე ის სამართლიანი გარემოება, რომ კაპიტალის საგირავნო ფურცლებში დაბანდება არის მტკიცე და საბოლოო, და არა – დროებითი და სპეკულაციური; მან, ასევე, საყვედურის კილოთი მიანიშნა, რომ ბანკები აღნიშნულთან დაკავშირებით არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას.

შეუძლებელია, საადგილმამულო ბანკებს მხედველობიდან გამორჩენოდათ მნიშვნელოვანი შეხედულება იმის შესახებ, რომ საგირავნო ფურცლების წარმატებული რეალიზაცია და მათი კურსის შენარჩუნება მიწის კრედიტის საარსებო მოთხოვნას შეადგენს. არც ის გარემოება გამორჩებოდათ მხედველობიდან, რომ საგირავნო ფურცლებს აქვს ყველა თვისება იმ ფასიანი ქაღალდისა, რომელშიც სარწმუნოდ და უსაფრთხოდ, ყოველგვარი სპეკულაციის გარეშე, მოთავსდება კაპიტალი და არ არსებობს მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა, სადაც არ არის ამა თუ იმ ოდენობის დანაზოგი, რომელიც ამ სახის ფასიან ქაღალდებში მიდის. საადგილმამულო ბანკების უმთავრესი ამოცანაა, მოახერხოს ამგვარი დანაზოგის საგირავნო ფურცლებში შედინება, მთელი ძალისხმევა მიმართოს ამ ნაკადის ზრდისაკენ და ამით განამტკიცოს და სრულყოს მიწის კრედიტი. მიუხედავად საადგილმამულო ბანკების გარკვეული წარმატებებისა, რომელთაც მათ მიაღწიეს ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ძლიან ადრეა იმის თქმა, რომ საგირავნო ფურცლები რუსეთში აღარ არის სპეკულაციის საგანი და ისინი იქცა ხალხის დანაზოგის საიმედო თავშესაფრად.

მიწის კრედიტის ამ ნათელი და საარსებო ამოცანის წყალობით საადგილმამულო ბანკების მთელი ძალისხმევა მიმართულ იქნა იმისკენ, რომ მოეძებნათ შესაფერისი ზომები ფულად ბაზარზე საგირავნო ფურცლების პოზიციის გასამყარებლად და იმ ფასში გასასაღებლად,

რაც სამართლიანი იქნებოდა მოცემულ მომენტში, ფულადი მოთხოვნისა და მიწოდების მოცემულ პირობებში. ამ ზომებიდან ზოგიერთი გამოიხატა სწრაფვაში, გაძლიერდეს მათზე მოთხოვნა იმ მხრივ, რომ მათი საშუალებით გახდეს შესაძლებელი მყიდველთა მრავალი საჭიროების დაკმაყოფილება, რომელთაც ცხოვრების საქმიანი მოთხოვნები განსაზღვრავს; ზოგიერთი კი გამოიხატა მიწოდების იმ ოდენობამდე შემცირებაში, რამდენის შესაძლებლობასაც იძლევა ფულის ბაზარზე მათი დაბანდება, ასევე, იმაში, რომ აცილებულ იქნას საგირავნო ფურცლების გადაჭარბებული, უწესრიგო და ნაჩქარევი გატანა ბირჟაზე იმ მსესხებელთა მიერ, რომელთაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ ფული.

პირველი სახის ღონისძიებები გულისხმობდა საადგილმამულო ბანკების შეუზღუდავ ძალაუფლებას და როგორც აღინიშნა, მდგომარეობდა იმაში, რომ საგირავნო ფურცლებს მისცემოდა მეტი გასაქანი კაპიტალის მოსაზიდად, რისთვისაც ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ იქნა მთელი რიგი, სამწუხაროდ, წარუმატებელი შუამდგომლობანი იმასთან დაკავშირებით, რომ საგირავნო ფურცლებს მისცემოდა ისეთივე შეღავათები და უპირატესობები, როგორიც მინიჭებული ჰქონდა ხერსონის ბანკისა და ურთიერთშეთანხმების საადგილმამულო საკრედიტო საზოგადოების ამავე სახის ფასიან ქაღალდებს, ასევე, საქალაქო საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებს.

ამ შუამავლობებთან დაკავშირებით სამინისტროს უარმა, უფრო მეტად კი მისმა მითითებამ, რომ ფურცლების საგირავნო თანხის დანიშვნასაც კი დასთანხმდება მხოლოდ იმის მიხედვით, როგორი ნდობით ისარგებლებენ საგირავნო ფურცლები, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება მათ საბირჟო ფასში, ამ ყოველივემ აიძულა საადგილმამულო ბანკები იმ სირთულეების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც საგირავნო ფურცლების წარმატე-

ბით რეალიზაციას უშლის ხელს, სხვა ზომებისათვის მიემართა, ძირითადად, ისეთი ზომებისათვის, რომლებიც დამოკიდებულია საადგილმამულო ბანკების მმართველობის კეთილგონივრულ წინდახედულობაზე. ამგვარი ზომები, პირველ რიგში, გამოიხატა მცდელობაში, დაეწყოთ ფურცლების ჭარბი მიწოდება უცხოურ ბაზარზე ამ ქაღალდის რკინის ვალუტებად გამოშვებით. ამ მცდელობამ სრული კრახი განიცადა; მეორე, აღნიშნული ზომები გამოიხატა საგირავნო ფურცლების იქამდე შეზღუდვასა და შემცირებაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი დაბანდება. ამ დაბანდებას კი განსაზღვრავს შიდა ფულის ბაზრის მდგომარეობა. ამგვარ შეზღუდვას ჰქონდა ადგილი 1874-75 წლებში; მესამე სახის აღნიშნული ზომები კი აისახა მსესხებელთა მხრიდან საგირავნო ფურცლების გადაჭარბებული, უწესრიგო და ნაჩქარევი მიწოდების თავიდან აცილებაში. ამ უკანასკნელი მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემის შეწყვეტა, რათა ამ ფურცლების ერთად თავმოყრით გაჩნდეს შესაძლებლობა მათი რეალიზაციის რეგულირებისა დროულად, თანდათანობით და თანაზომიერად მიწოდების გზით. ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე ბანკს დროდადრო არ მიემართა ასეთ უკიდურესი აუცილებლობისათვის, რათა დაეცვა საგირავნო ფურცლები კურსის მერყეობის შემთხვევებისაგან, რომლებიც გაპირობებულია მხოლოდ ცალკეული პირების ფულის კერძო საჭიროებით, რაც უხვ სამკალს იძლევა ასეთი ფხიზელი და მსუნაგი სპეკულაციისათვის.

სამწუხაროდ, არ მოიპოვება არავითარი ნაბეჭდი, ან ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, რომ საადგილმამულო ბანკების მმართველობებმა, რომლებიც ამჟამად ყოფითი პირობებიდან და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იძულებულნი არიან, მხოლოდ თავიანთ ხე-

ლში მოაქციონ საგირავნო ფურცლების რეალიზაცია, არაერთგზის მიმართეს გერმანული ბანკებისა და მიწის საკრედიტო საზოგადოების მიერ ნაცად ზომებს. ამ ზომების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებლობის შემთხვევაში საგირავნო ფურცლები ხელზე არ გაიცეს, არამედ მათი რეალიზება მოხდეს უშუალოდ. თუმცა, საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა მეორე ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშში არის ხარკოვის სადგილმამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის მითითება, რომ ვითარებამ აიძულა ბანკის მმართველობა, მიემართა აღნიშნული ზომებისათვის მაშინ, როდესაც ეს დაწესებულება ცდილობდა, თავისი რკინის საგირავნო ფურცლები უცხოურ ბაზრებზე შეეტანა.

არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, მიმართო ასეთ პირდაპირ მითითებას, როდესაც აშკარაა ისეთი ფაქტები, რომელთა გამოვლინებაც განპირობებულია მხოლოდ მსგავსი ზომებით და სხვა ახსნა ვერ ექნება. მაგალითად, საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა I და II ყრილობებზე კონსტატირებულ ფაქტს იმის შესახებ, რომ საგირავნო ფურცლებს ყიდის საბანკო კანტორა და საკრედიტო დაწესებულება, რომლებიც დაკავებულნი არიან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით, ბუნებრივად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მსგავსი გარიგებების დროს საგირავნო ფურცლებს მსესხებელს ხელზე არ აძლევენ. ცხადია, რომ არც ერთი საკრედიტო დაწესებულება და არც ერთი საბანკო კანტორა არ გარისკავდა და არ დადებდა საადგილმამულო ბანკებთან გარიგებას ფურცლების გაყიდვაზე ისე, რომ თავი არ დაეზღვია იმ შემთხვევითობებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია მსესხებელთა მხრიდან ფურცლების მოულოდნელ, გადაჭარბებულ მიწოდებასთან. რაკი გაყიდვის გარიგებები უკვე გამოცდილია, რაც ეჭვგარეშეა, ე.ი. გამოცდილია საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობაც.

საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა V ყრილობაზე ერთ-ერთმა იქ მყოფმა დაიმოწმა, რომ გერმანული ბანკები ცდიან საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობას და უშუალოდ თვითონ ახდენენ მათ რეალიზაციას; ამასთან, მან ურჩია სხვა წარმომადგენლებს, მიეღოთ ეს პრაქტიკა, როგორც ზომა საგირავნო ფურცლების მყარი კურსის დასადგენად. მიწის კრედიტის შესახებ არსებულ მთელ ლიტერატურაში არ მოიპოვება რაიმე საწინააღმდეგო არც ამ ზომის უკანონობის გაგებით იურიდიული თვალსაზრისით და არც მისი ფინანსური თვალსაზრისით მიზანშეუწონლობის მხრივ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იმ საადგილმამულო ბანკების მთელი ძლისხმევისა და მცდელობის ცენტრალური პუნქტი, რომლებიც იღებდნენ ამა თუ იმ ზომებს საგირავნო ფურცლების კურსის შესანარჩუნებლად, გამოიხატა იმ თვალსაზრისით, რომ მითითებული ფასიანი ქაღალდების ბედი დამორჩილებოდა მხოლოდ ფულის ბაზრის გავლენას, რაც განისაზღვრება ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობით და, ამასთანავე, ეს ქაღალდები თავისუფალი ყოფილიყო იმ შემთხვევებისაგან, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ კაპიტალის საბაზრო ბრუნვასთან და ზოგადად, არსებულ ეკონომიკურ ვითარებასთან. საადგილმამულო ბანკები იძულებულნი იყვნენ, რომ იმ გზებსა და საშუალებებს შორის, რომლებიც, მართალია, სპეციალურად კანონით არ არის დადგენილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, არც იკრძალება, არამედ დაშვებულია რუსული კანონმდებლობის ზოგადი სულისკვეთებით, მიეგნოთ მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალებისთვის. მსგავს სიტუაციაში იმაზე მსჯელობას, მართებულია თუ არ არის მართებული საადგილმამულო ბანკების ქმედებები, იწვევს მხოლოდ სპეციალური კანონის ეს მინიშნება, რაშიც საადგილმამულო ბანკები, უდანაშაულონი არიან. მაგრამ თავი რომ დავანებოთ თეორიულ მსჯელო-

ბას იმის შესახებ, რომ განვრცობითი ან შეზღუდვითი განმარტება უნდა მიეცეს კანონის მინიშნებას ისეთი ზომების არჩევანის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ზოგადი კანონების შესაბამისად, კანონებისა, რომელთაც საშუალებითაც იქმნება საწარმოს, მოცემულ შემთხვევაში, საკრედიტო დაწესებულების, არსებობისა და განვითარებისათვის საჭირო ძლიერი საფუძვლები და მყარი საზღვრები; ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საადგილმამულო ბანკების ისტორია იძლევა ჭკუის სასწავლებელ მაგალითებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბანკების პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, რომელიც წარიმართება ცხოვრებისეული პირობების მკაცრი ზეწოლის ქვეშ, ეძება და ჰპოვა წარმატებული გამოსავალი იმ ზომებში, რომლებიც, მართალია, ფორმალურად ნებადართული არ არის, თუმცა არც იკრძალება სპეციალური კანონით. ასე, მაგალითად, რკინის საგირავნო ფურცლების საჯარო გამოწერის შესახებ გამოცხადება, საკრედიტო ფურცლების წინასწარი გაყიდვა და ამ ქმედებათა ბუნებრივი შედეგი- საგირავნო ფურცლების მსესხებელთათვის ხელზე გაუცემლობა და მათ ნაცვლად ავანსების ნაღდი ფულით წარმოება და ა.შ., სწორედ ამის დასტურია. ყოველივე ეს საიდუმლოდ არ დარჩენილა ფინანსთა სამინისტროსათვის, როგორც ეს დასტურდება საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობაზე. უფრო მეტიც, საადგილმამულო ბანკები საკუთარ სარგებელს თმობდნენ მიწის კრედიტის გამყარებისათვის და 1874-1875 წლებში ნებაყოფლობით სჯერდებოდნენ იმ რაოდენობის ფურცლების გამოშვებას, რომელიც შეესაბამებოდა არა მოთხოვნადი სესხების ოდენობას, რაც მოგებას მოასწავებდა, არამედ ფულის ბაზარზე საკუთარი ფასიანი ქაღალდების მოთავსების შესაძლებლობას, რასაც თან ახლავს მოგების შემცირება, ვინაიდან ეს მოგება გაცემულ სესხებზეა დამოკიდებული.

დასახული მიზნის მიღწევის ეს სახელძღვანელო პრინციპები და საშუალებები არის სწორედ იმ ბრძოლის ისტორიის დასკვნითი გვერდი, რომელიც რუსეთის კერძო მიწის კრედიტს აქვს გაჩაღებული ყოფით და ეკონომიკურ პირობებთან.

ამის შემდეგ, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ისტორიაზე გადასვლისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბანკი რუსეთში არსებულ ამგვარ დაწესებულებებზე გვიან გაჩნდა, მან თავისი მოღვაწეობა 1874 წლის ბოლოს დაიწყო. თითქოს, ეს გარემოება ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობა უნდა ყოფილიყო დასაწყისისათვის, ვინაიდან უფრო ადრე გაჩენილი ბანკების მეტ-ნაკლებ გამოცდილებას ბევრი რამ შეიძლება ესწავლებინა ახლად დაარსებული საკრედიტო დაწესებულების მოღვაწეთათვის. ეს ასეც იყო, თუმცა ამ გარემოების სასარგებლო მხარე უფრო შეიძლება შეხებოდა საერთო სახელმძღვანელო საწყისებსა და მიწის კრედიტის ძირითად პრინციპებს, რომლებიც გამოიკვეთა რუსეთის საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულებების მიერ მისი განვითარების გზაზე. მაგრამ ისეთი ცოცხალი რამ, როგორიცაა, ზოგადად, კრედიტი, კერძოდ კი – მიწის კრედიტი, რომელიც საარსებო ძალებს მოიპოვებს მოსახლეობის ყოფით-ეკონომიკური თავისებურებებით წარმოქმნილი ცხოვრებისეული მოვლენების წიაღებიდან, ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ზოგადი საწყისებით, ვინაიდან თავისი განვითარების გზაზე ხვდება ბევრ ისეთ პრაქტიკული ხასიათის წვრილმანებს, გაუგებრობებსა და ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ განმარტებას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მიმართ და მხოლოდ ადგილობრივ თავისებურებებთან შესაბამისობის შემთხვევაში შეიძლება გამოდგნენ არა მხოლოდ იმ ზომების გამართლებად, რომლებიც ბანკმა მიიღო ისევ საქმის წარმატებისათვის, არამედ ამ ზომების აუცილებლობაში დარწმუნების საფუძვლადაც.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ბანკი, საგირავნო ფურცლების რეალიზაციის თვალსაზრისით, იმყოფებოდა და იმყოფება გაცილებით უარეს პირობებში, ვიდრე რუსული ბანკები. ჩვენს ბანკს მოუწია მუშაობა რაიონში, სადაც ბევრს ჯერ კიდევ ახსოვს ის დრო, როდესაც საკრედიტო რუბლსაც კი არ ჰქონდა მიმოქცევა და მოსახლეობის მხრიდან სრულ უნდობლობას აწყდებოდა, როგორც ახალი და მიუჩვეველი ფულადი ერთეული; სადაც მშრომელ მოსახლეობას ისევ ის ურჩევნია, თავისი დანაზოგი მიწაში ჩაფლას, ვიდრე ბაზარზე გაიტანოს; სადაც არ არიან მიჩვეულნი ფასიან ქაღალდებთან საქმის დაჭერას; სადაც არ არსებობს ბირჟა და, შესაბამისად, არც თავისუფალი კაპიტალის მეტ-ნაკლებად რეგულირებული მოთხოვნა და მიწოდება; სადაც, მართალია, გარკვეულ ცენტრებში შეიმჩნევა ამა თუ იმ ოდენობით კაპიტალის დაგროვება, თუმცა ჯერ კიდევ ახერხებენ ადვილ დაბანდებას სწრაფ და მეტისმეტ მოგებაზე სანდო გათვლით, და თავს არიდებენ გარიგებებს, რომლებიც არ მოასწავებენ ყველაზე უხეში სპეკულაციის წარმატებას; დაბოლოს, სადაც ჩვენი ბანკის საგირავნო ფურცლებს ადგილობრივმა საქმოსნებმა მხოლოდ ფანჯრებზე გაკვრის ფუნქცია უწინასწარმეტყველეს.

გასაგებია, რომ ეს გარემოებები და ვარაუდები, რომელთაც განაპირობებს ადგილობრივი ყოფით-ეკონომიკური პირობები, ასევე, მხარის განვითარების თავისებურებანი, ასეთი სიმძლავრითა და შეუპოვრობით ვერ გამოვლინდებოდა შუაგულ რუსეთში, ვინაიდან კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო მიმოქცევისათვის იმპერიის შიდა გუბერნიებში ნიადაგი მეტნაკლებად მომზადებული იყო. კრედიტს და საკრედიტო ნიშნების მიმოქცევას იქ უკვე ჰქონდა თავისი ისტორია, რამაც განსაზღვრა მოსახლეობის გარკვეული დამოკიდებულება ფასიანი ქაღალდების მიმართ. დაბოლოს, გარკვეულ სამრეწველო ცენტრებში ბირჟების არსებობას

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროცენტიანი ქაღალდებისადმი საზოგადოების ნდობის აღძვრისა და გაძლიერების საქმეში, ასევე, ამ ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ჩვევის შეძენასა და მათი, როგორც საბაზრო ბრუნვისა და გარიგებების ობიექტის, გაცნობაში.

თუ ამგვარ, შედარებით ხელსაყრელ პირობებში, შიდა რაიონების საადგილმამულო ბანკები, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებულნი იყვნენ,საგირავნო ფურცლების კურსის გასამყარებლად მიემართათ უკიდურესი ზომებისათვის, მაშინ რაღა უნდა ითქვას ჩვენს ბანკზე, რომელიც ცდილობს ისარგებლოს ერთადერთი არსებული საშუალებით – რეალიზაციის საქმის საკუთარ ხელში თავმოყრით – და ამით განამტკიცოს თავისი საგირავნო ფურცლების პოზიცია ფულად ბაზარზე და დაიცვას ისინი ნებისმიერი შემთხვევითობისაგან, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს, ერთი მხრივ, მაშინ, როდესაც მსესხებელს უკიდურესად ესაჭიროება ფული, ხოლო, მეორე მხრივ, მაშინ, როდესაც ამ ფურცლებზე სპეკულანტები ნადირობენ.

თუმცა საგირავნო ფურცლების ჩვენი ბანკის ხელში თავმოყრა სხვაგვარად ვერ მოხდებოდა, თუ არა – მსესხებელთათვის ამ ფურცლების ხელზე გაცემის აკრძალვით. ამისათვის კი აუცილებელი იყო რაიმე საშუალების გამოძებნა ავანსების ნაღდი ფულით წარმოებისათვის. რადგანაც არ არსებობდა არავითარი იმედი და რწმენა იმისა, რომ ეს აუცილებლობა ადგილზევე დაკმაყოფილდებოდა, ჩვენი ბანკი იძულებული გახდა, ამ გარდაუვალი სირთულეებიდან გამოსავალი ეძებნა თავის ქმედებათა არეალს მიღმა, კერძოდ კი პეტერბურგის ფულის ბაზარზე, სადაც იქნა კიდეც მივლინებული გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მოლაპარაკებების მთავარი ინტერესი მიმართული იყო მხოლოდ ერთ პუნქტზე. ეს პუნქტი მდგომარეობდა იმაში, რომ პირი, ან

დაწესებულება, რომელიც საკუთარ თავზე იღებდა საგირავნო ფურცლების რეალიზაციას, ვალდებული იყო სარეალიზაციო საგირავნო ფურცლების უზრუნველყოფით ჩვენი ბანკისათვის ესესხებინა გარკვეული ოდენობის ნაღდი ფული ამ თანხებზე ავანსების გასაცემად. ამ პირობის აუცილებლობა, გარდა ზოგადი მოსაზრებისა, რომელიც მხარეში მიწის კრედიტის შემოღება-დანერგვას შეეხება, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ მსესხებელი ვერაფერს უხერხებდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, თავის საგირავნო ფურცლებს იმ მხარეში, სადაც პროცენტიანი ქაღალდებისაგან ახლაც შორს იჭერენ თავს და მით უფრო, თუ ისინი ახალია და თანაც, კერძო.

ამ საკითხთან დაკავშირებით პეტერბურგში მოლაპარაკებების დაწყებისას აღმოჩნდა, რომ არც ერთი სოლიდური საბანკო სახლი, არც ერთი სოლიდური საკრედიტო დაწესებულება, არ არის თანახმა, გარიგება დადოს იმ უცილობელი პირობის გარეშე, რომ საგირავნო ფურცლები მათ ხელში მოიყრის თავს, ვინაიდან მსესხებელთა მხრიდან ამ ფურცლების უხეირო და ნაჩქარევი შეთავაზება დიდი რისკის ქვეშ აყენებს მათ მიერ ფურცლების უზრუნველყოფით გაცემულ სესხებს და რეალიზაცია მთლიანად გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე ხდება დამოკიდებული.

ამ სამართლიან მოთხოვნას მოჰყვა მსესხებელთა მიერ გარიგების ვადაში საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობა ამ პერიოდში მათი გამოშვების მთელ თანხაზე. ან უნდა დათანხმებულიყვნენ ამ უცვლევ მოთხოვნას, ან, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც უარი ეთქვათ მხარისათვის მიწის კრედიტის მიცემაზე. წამოწყებული საქმის გადასარჩენად, საწარმოს წარუმატებლობასა თუ განადგურებაზე ბანკის დამაარსებლებისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გამო გამოსავალი ისღა რჩებოდა, რომ მსესხებელთათვის უარი ეთქვათ საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემაზე, რათა

ამ გზით უზრუნველყოფილი ყოფილიყო ავანსების წარმოება და საფუძველი ჩაჰყროდა რეგიონში მიწის კრედიტს.

1875 წლის იანვარში ჩვენი ბანკის მმართველობამ დაამტკიცა ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის რუსულ ბანკთან. ამ ხელშეკრულებამ ჩვენს ბანკს მისცა შესაძლებლობა, გაეცა 80%-მდე ავანსი საგირავნო ფურცლების ნომინალური ღირებულებით იმ პირობით, რომ მათ მსესხებლებს ხელზე არ მისცემდა და თავს მოუყრიდა მხოლოდ ზემოთ დასახელებული საკრედიტო დაწესებულების ხელზე მიწოდების რეგულირებისათვის.

ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ბირჟის საქმეში ჩახედული პირებისა და დაწესებულებების აზრით, საგირავნო ფურცლების ერთ ხელში თავმოყრა მათი კურსის დადგენისა და შენარჩუნებისათვის და რამდენად აფასებდნენ ამ საშუალებას ჩვენი ბანკის აგენტები რეალიზაციის სფეროში, ნათლად ჩანს იქიდან, თუ როგორ უხალისოდ მოეკიდა საგარეო ვაჭრობის რუსული ბანკი ჩვენ მიერ 1876 წლის 29 მარტს შეთავაზებულ წინადადებას ხელშეკრულების იმ პუნქტისაგან ჩვენი გათავისუფლების შესახებ, რომელიც გვავალდებულებდა, მსესხებელთათვის ყველა შემთხვევაში უარი გვეთქვა საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემაზე. ამ მხრივ, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით, საგარეო ვაჭრობის რუსულმა ბანკმა შესაძლებლად მიიჩნია დასთანხმებოდა აღნიშნული პუნქტის შეცვლას მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ გამოსაშვები ფურცლების 4/5 მაინც აუცილებლად სარეალიზაციოდ უნდა გადასცემოდა მითითებულ ბანკს. ეს ცვლილება, ორივე მხარის თანხმობით, ძალაში შევიდა 1876 წლის აპრილში და გამოძახილი ჰპოვა იმ გაგებით, რომ 1876 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საგარეო ვაჭრობის რუსულმა ბანკმა სრულიად უარი თქვა, გაეფორმებინა ჩვენთან შეთანხმებები რეალიზაციასა და ავანსებისათვის თანხ-

ების მიწოდებაზე.

პროცენტიანი ქაღალდების კურსის საერთო ვარდნა, რომელიც 1875 წლის შემოდგომიდან დაიწყო, ჩვენი საგირავნო ფურცლების კურსზე უფრო მეტად აისახა, ვიდრე სხვა ბანკების ასეთივე ფურცლებზე. ამას ვერ ავხსნით მხოლოდ ფულის ბაზრის მდგომარეობით. მაშინ, ამ შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო სხვა ბანკების საგირავნო ფურცლებთან შედარებით პროპორციული შემცირება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენმა საგირავნო ფურცლებმა გაცილებით მეტად დაიწია. შესაბამისად, ამის მიზეზი ნებისმიერ არაძირითად და შემთხვევით გარემოებაში უნდა გვეძებნა. ასეთი კი, მოცემულ შემთხვევაში, იყო ფულის საჭიროების მქონე მსესხებელთა მიერ ჩვენი ფურცლების ნაჩქარევი და უხეირო მიწოდება, რაც შედეგია ამ ფურცლების მსესხებელთათვის ხელზე გაცემისა თუნდაც იმ უმნიშვნელო ოდენობით, რომელიც 1876 წლის აპრილის შეთანხმებით იქნა დადგენილი.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ბანკის მმართველობამ, რომელიც, საგარეო ვაჭრობის რუსული ბანკის უარის შემდეგ, იძულებული იყო სხვა აგენტი მოეძებნა საგირავნო ფურცლების სარეალიზაციოდ და ავანსების მისაღებად, წამოაყენა წინადადება, სავსებით არ დაევალდებულებინა თავი ისეთი პირობით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობას, ვინაიდან საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემა-არგაცემის საკითხი მოცემულ დროსა და ვითარებაში უმჯობესი იქნებოდა მთლიანად საკუთარი ნება-სურვილისამებრ გადაეწყვიტა, ვიდრე ამით თავი დაევალდებულებინა ხანგრძლივი პერიოდით და ამ პერიოდში ფულის ბაზრის მდგომარეობა განსაზღვრავდა ამა თუ იმ სახის აუცილებლობას და მიზანშეწონილობას. მართალია, ამ ვარაუდით რთულდებოდა ავანსის საკითხის გადაწყვეტა ისე, როგორც სასურველი იქნებოდა, მაგრამ იმ ფაქტს, რომ საგარეო

ვაჭრობის რუსულ ბანკს 1876 წლამდე ჩვენი ფურცლები არაერთხელ გაუყიდია 92,93 კურსით, ხოლო 1875 წლის სექტემბერში 94 და 95 კურსითაც, შეიძლება გაეჩინა საბანკო სახლებისა და საკრედიტო დაწესებულებების ნდობა ჩვენი ფურცლებისადმი და მეტ-ნაკლებად წინდახედული გათვლების საფუძველი გამხდარიყო.

იმედი, რომელსაც მმართველობა ამ უკანასკნელ გარემოებაზე ამყარებდა, სავსებით გამართლდა და შემდგომი ხელშეკრულებები ავანსისათვის თანხების სესხებაზე და საგირავნო ფურცლების რეალიზაციაზე სხვადასხვა საბანკო სახლთან (ვინეკენი და კ0, მეიერი და კ0) და საკრედიტო დაწესებულებებთან (უკანასკნელ პერიოდში ს-პეტერბურგის დისკონტის სასესხო ბანკი) უკვე იდებოდა მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობის ვალდებულებების გარეშე. თუმცა, უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი ვალდებულების არარსებობა არ გულისხმობდა ჩვენი ბანკის პრაქტიკიდან ამ ზომის სრულიად აღმოფხვრას. პირიქით, ამით მმართველობამ საკუთარ თავს მისცა იმის თავისუფლება, რომ აღნიშნული ზომისათვის მიემართა მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით იმ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულ იქნა კურსის დაწევაზე გავლენის მქონე ამა თუ იმ შემთხვევითობებთან ერთად.

საგირავნო ფურცლების კურსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით საადგილმამულო ბანკების, ზოგადად და კერძოდ, ჩვენი ბანკის საქმიანობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, გასარკვევი რჩება მმართველობის 1891 წლის 4 იანვრის დადგენილების აუცილებლობის საკითხი მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 1894 წლის აპრილში.

1893 წლის ზაფხულიდან პეტერბურგის ბირჟაზე შე-

იმჩნეოდა ყველა ბანკის საგირავნო ფურცლების კურსის ვარდნა. ზოგადად, სხვა ბანკების საგირავნო ფურცლებმა, რომლებიც კოტირებული იყო მითითებულ ბირჟაზე 1893 წლის 15 მარტამდე და მათი ფასი ნომინალურ ღირებულებაზე – 1/2-1%-ით მეტი იყო, ისე იწყო ვარდნა, რომ შემოდგომის დასაწყისისთვის $99_{1/2}$%-მდე დავიდა. ჩვენმა საგირავნო ფურცლებმაც გაიზიარეს იმპერიის შიდა რაიონების ბანკების საგირავნო ფურცლების საერთო ბედი მათთან ყოველთვის არსებული განსხვავების შესაბამისად. თუმცა კურსის დაწევის გაძლიერებულმა ტენდენციამ და ზოგადად, საგირავნო ფურცლებზე მოთხოვნის შესუსტებამ ადგილობრივ სპეკულანტებს კიდევ ერთი მიზეზი მისცა, ზეწოლა მოეხდინათ მსესხებლებზე კურსის უფრო მეტად დაწევის თვალსაზრისით. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1893 წლის ოქტომბერში, ნოემბერში და განსაკუთრებით, დეკემბერში ჩვენს ფურცლებში ისინი $96_{1/2}$ – $96_{3/4}$%-ს გვთავაზობდნენ, მაშინ, როდესაც პეტერბურგის ბირჟაზე მოითხოვდნენ 98% და აწოდებდნენ $98_{1/2}$%.

1893 წლის ნოემბრის ბოლოდან 1894 წლის იანვრამდე საგირავნო ფურცლების კურსის საყოველთაო ვარდნა კი შეჩერდა და ბირჟამაც კურსის აწევა დაიწყო, თუმცა ამ გარემოებამ დადებითი გავლენა მხოლოდ ჩვენი ფურცლების კურსზე ვერ იქონია, როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. პირიქით, ჩვენი ფურცლების კურსი, რომლებიც თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში 100%-იან მოთხოვნაში და $100_{1/2}$% მიწოდებაში იყო, ნელ-ნელა დაეცა და დეკემბრის ბოლოსთვის დავიდა მოთხოვნის 98 და მიწოდების $98_{1/2}$ პროცენტამდე, როგორც ეს ზემოთ არის მითითებული. ამგვარად, მიუხედავად ფულის ბაზარზე მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებისა და იპოთეკური ქაღალდების კურსის აწევისა, ჩვენი საგირავნო ფურცლების კურსი არ გამოსწორებულა, ხოლო თბილისის საქალაქო საკრედიტო

საზოგადოების ობლიგაციები, რომლებიც მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე პეტერბურგის ბირჟაზე კოტირებული იყო ჩვენს ქაღალდებზე 1% – $1_{1/2}$ და 2%-ც კი ნაკლები პროცენტით, არა მხოლოდ გაუთანაბრდნენ, არამედ გაზარდეს კურსი ჩვენს ფურცლებთან შედარებით. ამ უპრეცედენტო მოვლენის ზოგადი ხასიათის მიზეზებით ახსნას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, ვინაიდან ეს მიზეზები თანაბრად უნდა ასახულიყო ყველა ფასიან ქაღალდზე მანამდე არსებულ კურსთა სხვაობების შესაბამისად. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უწესრიგობას, რომელიც სამთავრობო რევიზიის მიერ იქნა აღმოჩენილი აღნიშნულ საკრედიტო საზოგადოებაში და გახმოვანდა ადგილობრივ პრესაში, მაშინ, ხსენებული მოვლენა მეტ მნიშვნელობას იძენს იმ გაგებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ქაღალდები მოექცა კერძო ხასიათის მიზეზების ზეგავლენის ქვეშ, რომელთაც მხოლოდ ჩვენი ქაღალდების კურსზე იმოქმედეს ბირჟაზე არსებული ფულადი მდგომარეობის ყველა სხვა თანაბარ პირობებში.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საგირავნო ფურცლები 1893 წლის გაზაფხულზე იყო 100%-იან მოთხოვნაში, ხოლო წლის ბოლოს დაეცა 98%-მდე და, მიუხედავად იპოთეკური ქაღალდების კურსის საერთო გაუმჯობესებისა, წლის ბოლოსათვის ვითარება არ შეცვლილა, პირიქით, მათ უფრო მეტი ვარდნა ემუქრებოდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო ადგილობრივ სპეკულანტებს ისინი $96_{1/2}$–$96_{2/4}$%-ად შეეძინათ. ჩვენი ბანკის მმართველობამ, არ ჰქონდა რა არავითარი საფუძველი, ამგვარი გავლენა ფულადი ბაზრის საერთო ეკონომიკური პირობებისათვის მიეწერა, იმ აზრამდე მივიდა, რომ ამ ყოველივეს მიზეზი იყო ჩვენი ფურცლების უწესრიგო და ნაჩქარევი მიწოდება მსესხებელთა მიერ, რომელთაც ფულის საჭიროება აიძულებთ მიმართონ ადგილობრივი სპეკულანტების კონტორებს. ამ უკანასკნელის მიზეზი

გახდა ის გარემოებაც, რომ ჩვენი ბანკის მმართველობამ, 1894 წლის იანვრის გადასახადების მოახლოების გამო, ბანკის გადახდის ვალდებულებებისათვის საჭირო სახსრების მომზადებით გართულმა, თავი შეიკავა საგირავნო ფურცლების მიღებისაგან და ავანსებისაგან მით უფრო, რომ ამისათვის არსებული სახსრები უკვე იყო მოხმარებული და ირიცხებოდა საკომისიო ფურცლებში, რომლებიც სათანადოდ ვერ მოთავსდა პეტერბურგის ბირჟაზე. საგირავნო ფურცლების მიღებაზე ბანკის მხრიდან უარს მოჰყვა მათი მსესხებლებისათვის ხელზე გაცემა ნებისმიერ შემთხვევაში. დროით განპირობებულმა ამ ზომამ ფართო გასაქანი მისცა ადგილობრივ სპეკულაციას, შეევიწროებინა მსესხებლები ფურცლების ფასის თითქოსდა სავალდებულო დაწევით, ფულის საჭიროების გამო. მმართველობამ სწორედ ამ გარემოებაში დაინახა ერთადერთი მიზეზი ჩვენი ფურცლების გაუფასურებისა, ვინაიდან მოცემულ პირობებში, მიუხედავად დიდი სურვილისა შეუძლებელია რაიმე სხვა მიზეზის მოძებნა.

ამის გამო და იმ სავარაუდო მოლოდინის გამო, რომ ადგილზე ჩვენი ფურცლები შეიძლება დაცემულიყო $96_{1/2}$–$96_{2/4}$%-ზე დაბლა, თუ მათ შემდგომშიც მივანდობდით ადგილობრივ სპეკულაციას, რომელიც მსესხებელის ფულის საჭიროებას უწევს ექსპლოატაციას, მმართველობა იძულებული იყო, გამოსავალი ეპოვნა საგირავნო ფურცლების დროებით შემცირებაში ან მათი მიწოდების შეჩერებაში, ან სესხთა გაცემის დროებით შეწყვეტაში, ან კიდევ საკუთარ ხელში მოეყარა თავი ყველა მომდევნო სარეალიზაციო სესხისათვის. მმართველობამ, ბუნებრივია, უარი თქვა ასეთი უკიდურესი ზომისაგან, რომელიც სესხების გაცემის შეჩერებას გულისხმობდა. ამას შეიძლება გამოეწვია არასასიამოვნო მითქმა-მოთქმა. ამისთანა რამის თავიდან აცილება კი მართებს ნებისმიერი ისეთ საწარმოს, რომელიც საზოგადოების ნდობა-

ზეა გათვლილი. დარჩა ერთადერთი გამოსავალი – სესხების გაცემა საგირავნო ფურცლებით, მაგრამ მხოლოდ იმ უცილობო პირობით, რომ ისინი კომისიაზე ბანკს გადაეცემოდა გასაყიდად, მით უფრო, რომ ეს ზომა არაერთხელ გამოუცდია ბანკს და ყოველთვის წარმატებული შედეგი ჰქონია. ამ თვალსაზრისით შედგა მმართველობის 1894 წლის 4 იანვრის დადგენილებაც, რომელიც ზემოთ განმარტებულმა აუცილებლობამ გამოიწვია.

აღნიშნული ზომა მიზანშეწონილია იმ მოსაზრებით, რომ ყველა სხვა პირობის შემთხვევაში, ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის კურსი მთლიანად დამოკიდებულია მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობაზე, ისევე, როგორც ყველაფერი კომერციულ სამყაროსა და ეკონომიკური გარიგებების სფეროში. ბუნებრივია, აქედან გამომდინარეობს ის, რომ ამ ფაქტორთა ურთიერთმიმართებების ცვლა ორივე მიმართულებით იძენს უმთავრეს მნიშვნელობას ფასების დადგენის დროს. ამდენად, მიწოდების შეჩერება, ან უკეთ რომ ვთქვათ, ერთად თავმოყრა მისი მოთხოვნის მიხედვით რეგულირების მიზნით, რასაც გულისხმობს კიდეც 4 იანვრის ოქმით დადგენილი ზომა, არ შეიძლება არ იქნას აღიარებული მიზანშეწონილად ფურცლების კურსის დადგენისა და შენარჩუნების დროს.

შეიძლება შეგვეკამათონ, რომ დროდადრო თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს აქვს საგირავნო ფურცლების მცირე რაოდენობა და ამ დროს არ შეიძლება ასეთ ოდენობას ამ მხრივ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ამგვარი შეკამათება საფუძველს მოკლებულია იმ ფასიანი ქაღალდების საერთო კურსის მიმართაც კი, რომელთაც შთანთქავს სავალუტო ბაზარი. საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა V ყრილობაზე კომპეტენტურმა პირებმა დაადასტურეს, რომ არა მხოლოდ საადგილმამულო ბანკის საგირავნო ფურ-

ცლებზე კურსის დაწევა ახდენს გავლენას საადგილმამულო ბანკების მდგომარეობაზე, არამედ – ზოგადად-თავად არაიპოთეკური საკრედიტო დაწესებულების ესა თუ ის გარემოებანი. ამას ადასტურებს მითითებულ ყრილობაზე წარმოდგენილი ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ რუსეთში ერთ-ერთი ბანკის მსესხებელმა, რომელსაც ფული სჭირდებოდა, ბრძანა, ფურცლები აუცილებლად 600 000 მანეთად გაეყიდათ. ამით მან დააგდო არამარტო იმ ბანკის საგირავნო ფურცლების ფასი, რომლის ფურცლებიც ჰქონდა ხელზე, არამედ ყველა სხვა დანარჩენი ბანკებისაც. 600 000 მანეთიანი საგირავნო ფურცლები კი რამდენიმე ათას მილიონიან ასეთივე ქაღალდებთან შედარებით, რომლებიც მიმოქცევაშია პეტერბურგის ბაზარზე, ძალზე უმნიშვნელო თანხაა. ამასთანავე, მათმა უდროო და ნაჩქარევმა მიწოდებამ გამოიწვია ფურცლების ფასის ვარდნა ზოგადად და კერძოდ.

თუკი ამა თუ იმ ბანკის საგირავნო ფურცლების ნაჩქარევ მიწოდებას ასეთი გავლენა აქვს,ზოგადად, ყველა მსგავსი ქაღალდის კურსზე, მაშინ ზემოაღნიშნული დავა ჩვენი ბანკის ფურცლებთან დაკავშირებით მით უფრო მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი ბანკის საგირავნო ფურცლებზე მოთხოვნა უმნიშვნელოა, მათი მიწოდების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასის საკითხში. პეტერბურგის ბირჟა, რომელიც ყოველწლიურად მხოლოდ კერძო ბანკებიდან შთანთქავს 30-50 მილიონის საგირავნო ფურცლებს, ჩვენს წილ მყიდველებს აძლევს მხოლოდ $1_{1/2}$-2 მილიონს წელიწადში. ამიტომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მყიდველთა შედარებით ვიწრო წრეში ერთი და იმავე ქაღალდების გადამეტებული, უწესრიგო და ნაჩქარევი მიწოდება გავლენას არ მოახდენს მათი რეალიზაციის წარმატებაზე, როგორც ფასთა ერთ-ერთი მარეგულირებელი. ნებისმიერ მცირე მაღაზიასაც კი, რომელ-

საც არ გააჩნია არავითარი პრეტენზია გავლენა იქონიოს, ზოგადად, საქონლის ფასებზე, თავისი გათვლა აგებული აქვს საკუთარი საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობაზე მოცემულ დროსა და სივრცეში. და როგორ აიცილოს ეს თავიდან ბანკმა, თუნდაც ისეთმა მცირემ, როგორიც ჩვენი ბანკია? ეჭვგარეშეა, რომ მოთხოვნისა და მიწოდების ეკონომიკური კანონი კერძო, ცალკეული შემთხვევების მიმართაც ინარჩუნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ფასთა დადგენის საქმეში, ვინაიდან იგი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კანონი, კერძო შემთხვევათა განზოგადებას წარმოადგენს და ამიტომაც ერთნაირად ვლინდება ყველა სხვა თანასწორ პირობებშიც. აღარ არის საჭირო, განვაგრძოთ ჩვენი ბანკის ფურცლების მიმართ მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ კანონის თეორიული განხილვები მაშინ, როდესაც ფაქტები, რომლებიც მმართველობას აქვს, ადასტურებს იმისა, რომ ჩვენი ფურცლებიც ამ კანონს ექვემდებარება. ჩვენი ყოფილი აგენტი მეიერი და კ0 1880 წლის 8 ნოემბერს გვატყობინებს, რომ ჩვენი ფურცლების აქტიური მიწოდების გამო მყიდველები აღარ არიან. იგივე აგენტი 1881 წლის იანვარში გვაცნობებს, რომ ჩვენი ფურცლები მხარის მიერ მიწოდებულია 87%-ად მყიდველების გარეშე. 1881 წლის 25 აპრილის წერილით იგივე აგენტი იტყობინება, რომ ჩვენი ფურცლების მიწოდებამ მეორე მხარიდანაც გამოიწვია ფასების დაწევა და შეუძლებელია ფასის აწევის მიღწევა და რომ არა ეს, შესაძლებელი იქნებოდა კარგად გაყიდვა. დაბოლოს, დისკონტის სასესხო ბანკი 1893 წლის 1-დან 4 დეკემბრამდე გვატყობინებს იმის შესახებ, რომ ჩვენი გამყიდველები ფურცლებს სთავაზობენ მათ $98_{1/4}$%-ად და ამიტომაც ჩვენი მხრიდან მაღალი კურსით მიწოდება ვერ ხორციელდება. ეს შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია კომპეტენტური, ბირჟის საქმიანობასთან და დაწესებულებებთან დაახლოებული პირებისაგან, არ

ტოვებენ არავითარ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნის და მიწოდების კანონი ჩვენი საგირავნო ფურცლებისთვისაც კანონად რჩება და მეორე – რომ მათი შეთავაზება მხარის მიერ არა მხოლოდ ხელს უშლის კურსის აწევას, არამედ პირიქით-დაბლა წევს. 1894 წლის 4 იანვარს დადგენილი და მსესხებლების მხრიდან ჩვენი ფურცლების ნაჩქარევი და უწესრიგო მიწოდების აღმკვეთი ზომით მიღებული შედეგი მუდმივად ამტკიცებს მთელ თავის მიზანშეწონილობას. 643.400 მანეთის საკომისიო ფურცლები, რომლებიც ვერ გაიყიდა 1893 წლის ზაფხულიდან მოყოლებული წლის ბოლომდე, 1894 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან უკვე იწყებს მოთავსებას პეტერბურგის ბირჟაზე, ხოლო მარტის ბოლოსთვის ყველა მათგანი რეალიზებულია; მაისის ტირაჟამდე მათმა კურსმა, რეგულირებულმა თანდათანობითი და თანაზომიერი მიწოდებით, 98 %-დან 100 და უფრო მეტ პროცენტამდე მიაღწია, რამაც ბანკს მისცა საშუალება, ეწარმოებინა სესხთა ნაწილობრივი კონვერსია 188.600 მანეთზე ისე, რომ ეს მსესხებლისთვის არავითარ ხარჯთან არ ყოფილიყო დაკავშირებული.

მაგრამ თუ 4 იანვრის დადგენილებით მიღებული ამ ზომის მხოლოდ მიზანშეწონილობა საკმარისია აღნიშნული დადგენილების სისწორისა და კანონიერების დასამტკიცებლად, მაშინ საკითხის იურიდიული მხარეც, თავის მხრივ, გამოდგება მმართველობის ქმედების გასართლებად. წესდების 27-ე პარაგრაფის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბანკს უეჭველად აქვს უფლება თავსი თავზე აიღოს საგირავნო ფურცლების რეალიზაცია, თუ ამას ახლავს მსესხებლის თანხმობა. 4 იანვრის დადგენილებით მიღებული ზომა ყოველთვის მსესხებლის წერილობით თანხმობას სდევდა თან და ამ შემთხვევაში არ არსებობს გამონაკლისი. ამდენად, ამ მხრივ ბანკის მმართველობას ვერაფერს ვუსაყვედურებთ. თუ ამ ზომამ, რომელიც მისი გამოყენების პერიოდში უპირობო და

საყოველთაოა ყველასათვის, შეიძლება აიძულოს ცალკეული მსესხებელი, დასთანხმდეს ბანკისათვის ფურცლების სარეალიზაციოდ გადაცემას იმის შიშით, რომ თავად სესხზე არ ეთქვას უარი. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, როდესაც მსესხებელს სურს ხელზე მიიღოს საგირავნო ფურცლები, ხოლო ბანკი ამას, რატომღაც, მოუხერხებლად მიიჩნევს და სესხებს მხოლოდ იმ მოთხოვნით გასცემს, თუ მათი რეალიზაციის უფლება მხოლოდ ბანკს მიეცემა. ნუთუ ბანკს აქვს იმის უფლება, რომ აღნიშნული სესხის გაცემის უცილობელ პირობად გახადოს და უარი თქვას მის გაცემაზე, თუ მხარე არ დასთანხმდება ამაზე?

სამწუხაროდ, ჩვენი ბანკის წესდებაში არ არის არანაირი მითითება დასმულ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გასაცემად. კანონის ასეთი მინიშნების დროს, რაც, როგორც ქვემოთ იქნება ახსნილი, სრულიად გასაგებია, ისღა რჩება, რომ ვიხელმძღვანელოთ წესდების ირიბი მითითებებითა და მისი ზოგადი სულისკვეთებით, რასაც წესდებაზე დაფუძნებული საწარმოს მიზნები განსაზღვრავს. ამის გამო, გიწევს კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ საადგილმამულო ბანკის არსებობა და მთელი მისი საქმიანობა ეფუძნება იმას, თუ როგორი ნდობა ექნებათ მისი ვალდებულებებისადმი მესამე პირებს ან, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, შეიძენს თუ არა მისი საგირავნო ფურცლები მოქალაქეობრივ უფლებას ფულის ბაზარზე. ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ბანკის საქმეების სწორად მართვაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შემთხვევებზე, რომელთა საშუალებითაც, დრო-სივრცული პირობების მიხედვით, ეწყობა ფურცლების რეალიზაციის საქმე.

თუ ბანკის არსებობის საფუძვლების განმტკიცებისათვის ასეთი მნიშვნელოვანია საგირავნო ფურცლების მდგომარეობა ფულის ბაზარზე, მაშინ შეიძლება კი იმის ვარაუდი, რომ ორივე წამოწყების ნებადამრთველი

კანონის მინიშნებაში მოიაზრებოდა ისეთი ქმედების აკრძალვა, რომელიც ემსახურება თავად წამოწყების დაცვასა და უზრუნველყოფას? ეჭვი არ არის, რომ ბანკის ერთ-ერთ ასეთ საფუძვლად უნდა ვაღიაროთ საგირავნო ფურცელი, ხოლო შემთხვევად, რომელიც აჩენს დაცვის აუცილებლობას, მსესხებლის მიერ ამ საგირავნო ფურცლის უწესრიგო და ნაჩქარევი მიწოდება. რაკი ბანკს კანონით ეძლევა უფლება, სარეალიზაციოდ მიიღოს ფურცლები, რაკი დგება აუცილებლობა, რომ მოიჭრას ყველა გზა, რომელიც გავლენას ახდენს ფურცლების ბედზე მსესხებელთა მხრიდან მათი ნაჩქარევი მიწოდების შემთხვევაში, მაშინ გარდაუვალია საკითხის დასმაც იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს აქვს უფლება სესხის განხორციელების უცილობელ პირობად წამოაყენოს მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობა და კანონის ბოლომდე ართქმა. ეს, თავისთავად მოასწავებს იმას, რომ ნებისმიერი საქალაქო გარიგების განხორციელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს ამა თუ იმ არაკანონსაწინააღმდეგო პირობაზე გარიგებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის მიერ. ამ თვალსაზრისს ადასტურებს სენატის საკასაციო დეპარტამენტის 1884 წლის N5 გადაწყვეტილებაც სრულიად ანალოგიური შემთხვევით იმ მხრივ, რომ აქაც საქმე გვქონდა კანონის მინიშნებასთან.

საგირავნო ფურცლებით გრძელვადიანი სესხის გაცემა, რაც დადგენილია წესდების &27-ის მიხედვით, ვერ გაამართლებს 4 იანვრის დადგენილებით მიღებული ზომის წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებას, ვინაიდან ეს ზომა არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს სესხების გაცემას საგირავნო ფურცლებით. პირიქით, ამ ზომის ყველაზე დიდ აუცილებლობას განაპირობებს ის ერთადერთი გარემოება, რომ სესხის გაცემის სხვა საშუალება არ არსებობს. რომ არა საგირავნო ფურცლებით სესხის გაცემა, მაშინ ამ ზომასაც აღარ ექნებოდა გამოყ-

ენების საფუძველი და არც მიზანი. მისი არსი სესხის საგირავნო ფურცლებით გაცემაზე უარის თქმაში კი არ მდგომარეობს, რაც უკანონო იქნებოდა, არამედ ისეთი წინასწარი პირობის განსაზღვრაში, რომლის გარეშეც ვერ მოხდება სესხის გაცემა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, აღიარებულ იქნა რა, რომ ბანკის კეთილდღეობა და სარგებელი, ზოგადად, მისი არსებობა, დამოკიდებულია ფულის ბაზარზე მისი ფასიანი ქაღალდების მდგომარეობაზე, ასევე აღიარებული უნდა იქნას ისიც, რომ ამ ქაღალდების წარმატებით რეალიზაციის უზრუნველმყოფი ამა თუ იმ პირობის დადგენისათვის ბანკის მმართველობის ნებისმიერი ქმედება მისი მხოლოდ უფლება კი არა, არამედ მოვალეობაცაა, რაც წესდების &70-ით არის დადგენილი. ეს დებულება არ კარგავს თავის დანიშნულებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მხრივ წარუმატებელ მცდელობას მოჰყვება სესხზე უარის თქმა.

გადავდივართ რა შემდგომ საკითხზე – აქვს თუ არა ბანკს უფლება ამ შემთხვევაში უარი თქვას სესხზე – უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს: ზოგადად, სესხის გაცემა გამცემის უფლება არის თუ მოვალეობა. ცხადია, იგი ვერ იქნება მოვალეობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა უცხო საკუთრების ხელშეუხებლობის კანონით ნებადართული ხელყოფა. იმის გამო, რომ ბანკი არის არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირი და წარმოადგენს საზოგადოებრივ დაწესებულებას, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მას არ ჰქონდა საერთო სამოქალაქო უფლება, მდგარიყო საკუთარი ინტერესების სადარაჯოზე მისთვის ნებადართულ ოპერაციებზე ამა თუ იმ გარიგების დადების დროს. სესხის გაცემაც, ასევე, არის სამოქალაქო გარიგება, რომელიც, პირველ რიგში, განპირობებულია სესხის გამცემის ნებით და ამიტომაც ვერ იქნება ამ უკანასკნელის მოვალეობა. ეს რომ ასე არ იყოს, ზოგადად და საადგილმამულო ბანკ-

ის მიმართ, კერძოდ, მაშინ გარკვეული რაოდენობის საგირავნო ფურცლების სესხად გაცემის შეზღუდვას, რაც, როგორც ზემოთაა მითითებული, დადგენილ იქნა საადგილმამულო ბანკის მიერ 1874-1875 წლებში თავად ფინანსთა სამინისტროს წახალისებით, ადგილი აღარ ექნებოდა, ვინაიდან, რომ არ ყოფილიყო დადგენილი რაოდენობა, ბანკები, ბუნებრივია, იძულებულნი იქნებოდნენ მსურველებისათვის უარი ეთქვათ სესხის მიცემაზე. თუმცა შეიძლება შეგვეკამათონ, რომ ჩვენი ბანკის მმართველობის მიერ 4 იანვარს დადგენილი ზომის გამოყენება მას შემდეგ ხდება, რაც სესხის მიღების მსურველი შეასრულებს ყველა წესს, სესხი უკვე ნებადართულია და მის მიხედვით საგირავნო ფურცლებიც გაცემულია და ყოველივე ამის ძალით საკუთრივ სესხის გაცემა უკვე ხდება ბანკის მოვალეობა. ამასთანავე, სესხის მიღების გამოცხადებისას მსესხებელს უარი ეთქმევა მასზე, თუ იგი დაჟინებით მოითხოვს ფურცლების ხელზე მიღებას. მაგრამ მაშინაც კი, თუ აღნიშნულ გარემოებებს ვაღიარებთ ბანკის იმ უპირობო მოვალეობად, რომ უნდა დადოს სესხის ხელშეკრულება, ამ შემთხვევაშიც ვერ ვაიძულებთ ბანკს, გააფორმოს ეს ხელშეკრულება, ვინაიდან სენატის საკასაციო დეპარტამენტის არაერთგზის მიღებული გადაწყვეტილებით იქნა ახსნა-განმარტებული, რომ ამგვარი იძულება შეუძლებელია, თუნდაც ვალდებული იყოს ბანკი და ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვეს პასუხისგება მიყენებული ზარალის გამო.

წესდების 22-ე და 27-ე პარაგრაფებში ნათქვამი სიტყვები „სესხები გაიცემა, ბანკი გასცემს სესხებს“ შეიცავს არა მოვალეობის ცნებას, არამედ მხოლოდ შესაძლებლობას და შესაბამისად, უფლებას, გასცეს სესხი. ხოლო როგორც უფლებამ, მან თავისი დასაწყისი და დასასრული შეიძლება ჰპოვოს მხოლოდ ბანკის ნებასურვილში. თუკი წესდების ყველა იმ პარაგრაფს, რომელ-

იც სესხის გაცემას შეეხება, ავხსნიდით მხოლოდ, როგორც ბანკის მოვალეობა, მაშინ ეს უკანასკნელი იძულებული იქნებოდა, დამორჩილებოდა მსესხებლის მოთხოვნას, გასცეს სესხი ამა თუ იმ ვადით, ან 6% და არა 5% ფურცლებით, როცა ერთსაც და მეორესაც ბანკი რატომღაც მისთვის მოუხერხებლად და არახელსაყრელად მიიჩნევს. წესდებაში მხოლოდ ამა თუ იმ ვადის, აგრეთვე, სხვადასხვა პროცენტიანი საგირავნო ფურცლების ხსენება მსესხებელს არ აძლევს იმის უფლებას, რომ დაიჟინოს თავისი მოთხოვნის შესრულება ზემოთ აღნიშნული მოსაზრებით და აიძულოს ბანკი ყველა საშუალებით დააკმაყოფილოს მისი ეს მოთხოვნა. არ შეიძლება იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის უარყოფა, რომ ბანკებმა შეწყვიტეს 6%-იანი ფურცლებით ოპერირება მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოშვების შესაძლებლობა ძალაშია მათ წესდებებში. მაგრამ, თუ მსესხებელი იმ პარაგრაფის საფუძველზე, რომელიც ქმნის ამ შესაძლებლობას, მოისურვებს მიიღოს სესხი 6%-იანი ფურცლებით, ხოლო ბანკი რაიმე მიზეზით ამას მიიჩნევს თავისთვის მოუხერხებლად და შესთავაზებს 5%-იანს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უარს ეტყვის სესხზე, მაშინ შეიძლება კი ეს უარი მიჩნეულ იქნას მსესხებლის მიმართ ბანკის მოვალეობის დარღვევად? აღნიშნული სრულიად ანალოგიურია იმ შემთხვევისა, როდესაც მსესხებელი საგირავნო ფურცლებით მისთვის განკუთვნილ სესხს უზრუნველყოფსამ ფურცლების ხელზე მიღებით, ხოლო ბანკი ამას თავისთვის მოუხერხებლად მიიჩნევს და უარს ამბობს სესხზე. მართალია, მსესხებელს ისღა რჩება, ან უარი თქვას სესხზე ან დასთანხმდეს ბანკის შემოთავაზებას, მაგრამ აქ არ შეიძლება საუბარი მსესხებლის იძულებაზე მისი უკანონობის თვალსაზრისით, ვინაიდან ეს კიდეც რომ იყოს იძულება, იგი ხდება თავად სიტუაციიდან გამომდინარე და, ბუნებრივია, თითოეულის უფლებაა, თავი შეიკავოს მისთვის არახელსაყრელ გარი-

გებაში მონაწილეობისაგან. თუმცა შეიძლება შემოგვედავონ, რომ ბანკის მოქმედების ამგვარი წესი არის მსესხებლის საკუთრების განკარგვის უფლების ხელყოფა, მაგრამ საგირავნო ფურცლები სესხის გაცემამდე ბანკის საკუთრებას წარმოადგენს და არა მსესხებლისას. ამდენად, ეს შემოდავება მოცემულ შემთხვევაში უადგილოა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა ბანკის უფლება, ამა თუ იმ სიტუაციაში უარი თქვას სესხზე.

მიუხედავად ამისა, ზედმეტი არ იქნება ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ესა თუ ის მსესხებელი, შესაძლოა დაინტერესებულია იმ სარგებლით, რასაც საგირავნო ფურცლის ხელთ ქონა იძლევა და აუცილებლობით გამოწვეული თანხმობა ბანკისათვის ფურცლების რეალიზაციის მიკუთვნებაზე მას აკარგვინებს მოსალოდნელ სარგებელს.

რასაკვირველია, არ არის სასურველი მსესხებელმა დაკარგოს სარგებელი, მაგრამ თუ ეს მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალი სხვა მსესხებლის სარგებელსა და თავად ბანკის კეთილდღეობასთან, მაშინ ბანკის კეთილგონიერება და მოვალეობა მოითხოვს ცალკეული პირის სარგებლისა და მისი ცალმხრივი ინტერესის დათმობას საერთო მოგებისა და სარგებლისათვის, მით უფრო, რომ თავად კანონმდებელმა ვერ გაითვალისწინა, საქმის წარმატება დაექვემდებარებინა ცალკეული პირების ცალმხრივი ინტერესებისათვის საერთოს საზიანოდ. სხვაგვარად როგორ შეიძლება მოიქცე, როდესაც ყველაზე დაბალი კურსის დროსაც კი მსესხებელთა უმეტესობა ბანკს მიმართავს დასახმარებლად, რომ ფურცლები გაყიდონ მაღალ ფასად, რაც შეიძლება განპირობებულია ერთი მხრივ, იმის მოლოდინით, რომ ბირჟაზე საქმეები გამოსწორდება, ხოლო მეორე მხრივ – ფურცლებიის რეალიზაციის საქმის სწორად წარმართვით და იმ შემთხვევებისაგან დაცვით, რომლებიც მომდინარეობენ მსესხებლების მიერ ამ ფურცლების მოუხერხებელი და ნაჩ-

ქარევი მიწოდებიდან.

დაბოლოს, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ჩვენი ბანკის ოცწლიან პრაქტიკაში არაერთხელ გამხდარა აუცილებელი გაცემული ფურცლებისთვის დროდადრო თავი მოგვეყარა მხოლოდ ბანკის ხელში ან სესხების გაცემა განზრახ დაგვეგვიანებინა, რათა საგირავნო ფურცლებზე გავლენა არ ჰქონოდა ნებისმიერ შემთხვევითობას, რასაც მათი მოუხერხებელი და ნაჩქარევი მიწოდება იწვევს. მსგავსი ზომებით ჩვენმა ბანკმა მიაღწია იმას, რომ მისმა ფურცლებმა მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება პეტერბურგის ბირჟაზე და, კოტირებენ რა დროდადრო ამ ბირჟაზე, უკვე მიიქციეს ადგილობრივი საზოგადოების ყურადღება. პეტერბურგის ბირჟაზე ჩვენი ფურცლების გაყიდვის ფაქტებმა ისეთი კურსით, რომელიც მეტნაკლებად ახლოს დგას სხვა ბანკების ასეთივე ქაღალდების კურსთან, ადგილობრივ საზოგადოებაში წარმოშვა მიდრეკილება, ამ ქაღალდებს მოეკიდონ ისე, როგორც ფასეულობებს. ამ ფაქტებმა ხელი შეუწყო მათდამი ნდობის გაჩენას, იმის აღიარებას, რომ ამ ქაღალდებს შეუძლიათ კაპიტალის მიზიდვა, შეუძლია იქცნენ ამა თუ იმ გარიგების საგნად. თუმცა, სამწუხაროდ, საგირავნო ფურცლების ადგილზე დაბანდება, ძირითადად, გამოიხატა იმით, რომ ორმა თუ სამმა ადგილობრივმა კანტორამ მოისურვა, ეყიდა ისინი, რათა შემდგომ რაც შეიძლება სწრაფად გაეყიდა პეტერბურგის ბირჟაზე, თუნდაც ნაკლები მოგებით, რაც სწორად იყო გათვლილი არა ერთჯერადად მოგების ამოღებაზე, არამედ – ერთი და იმავე კაპიტალის ხშირ და სწრაფ წლიურ ბრუნვაზე. ბუნებრივია, რომ ნაღდი მოგების გათვლა, თუნდაც ყოველ ჯერზე უმნიშვნელო, მაგრამ გახშირებული ღოზებით, შეიძლება ეფუძნებოდეს ფურცლების გაყიდვას რაც შეიძლება დაბალ ფასად, ყოველ შემთხვევაში, საბაზრო ფასზე ნაკლებად, რისი მიღწევაც შეუძლებელია მათი შესასყიდი ფასის

დაწევის გარეშე. ამას კი ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ადგილზე არ არის ბირჟა, სადაც კაპიტალის დაბანდების მსურველთა კონკურენცია თავის კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებდა ფასიანი ქაღალდების კურსზე; ხელშემწყობი ფაქტორია ისაც, რომ შორსაა პეტერბურგის ბირჟა, ერთადერთი ადგილი, სადაც ამართლებს ჩვენი ფურცლები და მსესხებელს ამ ბირჟასთან ურთიერთობის არც გამოცდილება აქვს, არც უნარი და არც შუამავალი ჰყავს. მას კი ფული სჭირდება და არა საგირავნო ფურცელი, რომელსაც ადგილზე ვერაფერს მოუხერხებს. ყოველივე ეს კი უხეში, სრულიად უკონკურენციო ადგილობრივი სპეკულაციისათვის გარემოებათა ისეთ სასურველი დამთხვევაა, რომ ფართო ასპარეზს უხსნის მსესხებელზე ზეწოლას და მის შევიწროებას მისგან ფურცლების იაფად შეძენის თვალსაზრისით. აქვს კი ბანკს უფლება გულგრილად უყუროს, ადგილობრივი თავისებურებების ამგვარი დამთხვევის გამო მსხვერპლად როგორ ეწირება მსესხებელი ხარბ მოგებას, რომელიც ელოდება, ფულის საჭიროება როდის აიძულებს მსესხებელს, როგორმე გაასაღოს თავისი ფურცელი შეუსაბამოდ დაბალ ფასად, რაც განაპირობა არა ბუნებრივმა და ნორმალურმა მიზეზებმა, არამედ მსესხებლის გაჭირვებამ და სპეკულანტის ხარბმა თვითნებობამ. ამგვარ ვითარებაში საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემის დაჟინებით მოთხოვნა, ცალკეულ მსესხებელსაც რომ მოეთხოვა, იქნებოდა სპეკულანტებისათვის შეგნებული ხელშეწყობა, მათი სურვილებისათვის მხარის აბმა და უამრავი მსესხებლისა და საკუთრივ ბანკის მთელი საბანკო საქმიანობის, ინტერესთა მინდობა ხარბი მოგებისათვის, რომელსაც მზა მსხვერპლი ჰყავს გაჭირვებული მსესხებლის სახით.

ეს ყოველივე კარგად ესმოდათ და ესმით კეთილგონიერ მსესხებლებს. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ოცი წლის განმავლობაში, როცა დროდადრო დგებოდა

საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობის აუცილებლობა, არ ყოფილა მსესხებლების მხრიდან არც ერთი საჩივარი ამ მხრივ მათ შევიწროებაზე. მხოლოდ ერთადერთი საჩივარი, უფრო სწორად, წერილობითი საყვედური შემოვიდა ბანკში 1893 წლის ბოლოს, და ასევე, ორი-სამი უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით, რაც სიტყვიერად გაცხადდა ორი-სამი მსესხებლის მიერ, რომელთაც მმართველობის მიერ გაცემული ახსნა-განმარტების შემდეგ აღიარეს ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული ზომის აუცილებლობა. ში'ში კი იმასთან დაკავშირებით, რომ მიღებული ზომა ჩვენს ბანკს დაუფრთხობს სხვა მსესხებლებს, როგორც ამას აცხადებს მმართველობის ერთ-ერთი წევრი სამეთვალყურეო კომიტეტის 1894 წლის 6 აპრილის ოქმში, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება სახელმძღვანელო საწყისად საკრედიტო დაწესებულების საქმიანობაში, ვინაიდან ჯობს ერთი-ორი მსესხებლი დავკარგოთ, ვიდრე დავეხმაროთ სპეკულანტებს, ხელოვნურად დაამძიმონ კრედიტის ტვირთი საგირავნო ფურცლების კურსის დაწევით, თავად საქმის წარმატება კი დავუქვემდებაროთ ერთი-ორი პირის კერძო ინტერესებს საერთო ინტერესის ხარჯზე.

დასკვნის სახით ისღა შეიძლება ითქვას, რომ 1894 წლის 4 იანვარს მიღებული ზომა არ არის მუდმივი და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება. მისი სამუდამოდ ამოღება ჩვენი ბანკის პრაქტიკიდან იგივე იქნებოდა, რომ მმართველობისათვის აგვეკრძალა, გამოეჩინა ძალისხმევა და ეპოვნა ბუნებრივი გამოსავალი ნამდვილად არაბუნებრივი მდგომარეობიდან, რომელშიც დროდადრო ვარდება ჩვენი საგირავნო ფურცელი წმინდა ადგილობრივი ხასიათის გარემოებათა თანხვედრის გამო.

[1895 წლის 29 აპრილი]

მის მაღალკეთილშობილებას ბატონ ევსტათი ევსტათის ძე დობეცკის, რომელმაც რევიზია ჩაუტარა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს, ამავე ბანკის მმართველობის წევრთა

ახსნა-განმარტებითი ბარათი

მმართველობის წევრის, თავადი მაჩაბლის მოხსენებითი ბარათი, რომელიც თქვენ თბილისიდან გამგზავრებამდე წარგედგინათ, ჯერ კიდევ ხსენებული ბარათის გამოჩენამდე, თქვენ მიერ რევიზიის დროს დაწვრილებით გამოკვლეულ გარემოებებსაც კი შეეხება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ, ქვემორეხელისმომწერი, მმართველობის დანარჩენი სამი წევრი, ჩვენს ვალდებულებად მივიჩნევთ, თქვენი ნება-სურვილის მიხედვით წარმოგიდგინოთ შემდეგი განმარტებანი. ვინაიდან ზედმეტად და უადგილოდ მიგვაჩნია, შევეხოთ მოხსენებითი ბარათის შესავალ ნაწილს, აგრეთვე იმ ადგილებს, რომლებიც შეიცავს პირადი ხასიათის თავდასხმებს მმართველობის ამა თუ იმ წევრზე, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდებით ბანკის მიერ მიყენებული ზარალის საკითხზე, რაც სავსებით პასუხობს როგორც ბარათით მიღებულ წესს, ისე თავად საკითხის მნიშვნელობას.

მოხსენებით ბარათში ბანკის საქმიანობის მთელი ისტორია ორ პერიოდად არის დაყოფილი. იგი ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდებს 1883 წელს, ესე იგი, წელს, როდესაც ამ ბარათის ავტორი მმართველობის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ერთი პერიოდის მეორისაგან განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევს იმ მამულების

მეტისმეტ ზარალიანობას, რომლებიც დაგირავდა 1883 წლის შემდეგ.

ბარათის ავტორისთვის ეს გარემოება მისი დასკვნების ამოსავალი წერტილია. იგი ბანკის საქმიანობის პირველ პერიოდშივე მიღებულ ამგვარ შედეგს მიაწერს მმართველობის ადრინდელი შემადგენლობის დაუდევრობასა და უთავბოლობას და ამტკიცებს, რომ მეორე პერიოდში მმართველობის შემადგენლობაში მისი შესვლისა და მის მიერვედანერგილი ახალი წესების წყალობით საქმეები უკეთესად წავიდა. შესაძლოა, ეს ასეც არის. მაგრამ სამართლიანობის გრძნობა მოითხოვს ამ შემთხვევაში გავითვალისწინოთ ის უდავო ჭეშმარიტებაც, რომ ძნელია წინასწარ განჭვრიტო გირაოების ზარალიანობა მაშინ, როდესაც არსებობს გარეშე მიზეზები, რომლებიც, მართალია, დროებით, თუმცა ძლიერ გავლენას ახდენენ ფასების რყევაზე ზოგადად და უძრავ ქონებაზე კერძოდ. აღნიშნული ზარალიანობა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია არასწორ და გადაჭარბებულ შეფასებაზე. გირაოების შეფასება ხომ შემფასებელი კომისიის განსაკუთრებულ უფლება – მოვალეობაა. ხოლო ამ კომისიის შემადგენლობაში იყო სწორედ თავადი მაჩაბელიც 1881 წლის 15 ივლისიდან მოყოლებული 1883 წლის 4 მაისამდე, ე.ი. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც, როგორც თავად მაჩაბელი მიუთითებს (იხ. ბარათის მე-4 გვ.), ზარალის მომტანი მამულების უმრავლესობა იქნა შეფასებული და მიღებული გირაოში. ამდენად, უფრო სწორი და სამართლიანი იქნებოდა ბანკის ზარალთან დაკავშირებული საქმიანობის ორ პერიოდად დაყოფის საფუძვლად მიგვეჩნია შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში მაჩაბლის შესვლის წელი და მისი ამ კომისიაში ყოფნის მთელი პერიოდი, ვინაიდან თუ მას მმართველობის შემადგენლობაში ყოფნისას გავლენა ჰქონდა ბანკის საქმეებზე, როგორც ამას თავად ირწმუნება, მაშინ, ბუნებრივია, ასეთივე გავლენა შეეძლო

ჰქონოდა შემფასებელ კომისიაში ყოფნის დროსაც, ე. ი. როდესაც ახლოს იყო გირაოში მისაღები მამულების ზარალიანობისა და სარგებლიანობის მიზეზთა პირველწყაროსთან, კვლავაც, გარეშე გარემოებების არარსებობის პირობებში.

ბარათის ავტორი კი ამჯობინებს ეს გარემოება არ ახსენოს და თავისი მიზნის ცალმხრივობით გატაცებულს, შესადარებლად მოჰყავს ციფრები და ამტკიცებს, რომ მმართველობის შემადგენლობაში მის შესვლამდე, ე. ი. 1883 წლამდე, მამულები, რომლებიც ბანკს რჩებოდა, 1.749.000 მანეთს შეადგენდა; მმართველობის შემადგენლობაში მისი შესვლის წყალობით კი 300 000 მანეთამდე ჩამოვიდა. ეს ციფრები სინამდვილეს არ შეესაბამება: პირველი გაზვიადებულია, ხოლო მეორე – შემცირებული. დოკუმენტური მონაცემების (იხ. დანართი №142) მიხედვით, ვიდრე ბანკის საქმიანობაში ახალი ერა დადგებოდა, რომელიც თავადი მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობაში გამოჩენით დაიწყო, ბანკის მფლობელობაში დარჩენილი მამულები შეადგენდა:

1) სოფლისა ..... 337.400 მანეთს;

2) ქალაქისა .... 1.099.400 მანეთს.

მეორე პერიოდში კი: 1) სოფლის – 32.000, 2) ქალაქის – 296.500. საერთო ჯამში 328.500 მანეთს. მაგრამ პირველი მონაცემის – 1.436.800 მან. შემთხვევაში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შედის 1.007.000 მან. იმ მამულებისა, რომლებიც გირაოში მიღებულ იქნა შემფასებელი კომისიის შემადგენლობაში თავადი მაჩაბლის ყოფნის პერიოდში – ე.ი. 1881 წლის ივლისიდან 1883 წლის მაისამდე – წარმოებული შეფასებით. თუმცა აქ თავადი მაჩაბლის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ 1881 წლის 15 ივლისიდან 1883 წლის მაისამდე შეფასებული 243 მამულიდან მან მონაწილეობა მიიღო 33 მამულის შესახებ კომისიის დასკვნაში, ხოლო 10 მამულის შესახებ წამოიწყო შეფასება, შეადგინა დათვალიერე-

ბისა და შეფასების აქტი, როგორც ამას, ჩვეულებრივ, აკეთებს ყველა სხვა შემფასებელი, წარმოქმნილი საქმეების მიხედვით. ამის გამო, შეიძლება თავადი მაჩაბლის თანამონაწილეობა, 1881-1883 წლების შეფასების მიხედვით, გირაოში მიღებული მამულების ზარალიანობის საკითხში მსუბუქდება კიდეც, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ კარგავს მნიშვნელობა იმის გასარკვევად, თუ რა მიმართება ჰქონდა თავად მაჩაბლს ბანკის საქმეებთან ზოგადად, და კერძოდ, რამდენად ცდილობდა, შეფასება ყოფილიყო სწორი. თუმცა ამაზე ქვემოთ კიდევ იქნება საუბარი. მოცემულ მომენტში კი მთავარი ის არის, რომ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემების (1.436.800-1.007.000=429.800) მიხედვით, მხოლოდ 429.800 მანეთს შეიძლებოდა გაეწია ბარათის ავტორისთვის ის სამსახური, რომელიც მან წინასწარ განსაზღვრა, რათა თავისებური დასკვნები გამოეტანა მმართველობის ყოფილი შემადგენლობის დაუდევრობისა და უთავბოლობის შესახებ.

1883 წლამდე შეფასებული მამულების ზემოთ მითითებულ თანხაში, 1.007.000 მანეთში, შედის იმ მამულებზე გაცემული სესხები, რომლებიც შეფასდა შემფასებელი კომისიის მიერ თავადი მაჩაბლის აღწერისა და დათვალიერებისა და შეფასების მის მიერ შედგენილ აქტებში თავმოყრილი ცნობების მიხედვით. ამასთანავე, ამ თანხაში შედის სესხები, გაცემული ისეთ მამულებზე, რომელთა ღირებულება განსაზღვრულია შემფასებელი კომისიის მიერ, თავადი მაჩაბლის მონაწილეობით.

I. პირველი სახის სესხებს მიეკუთვნება:

1) 100.000 მან. მამულზე, რომელიც თავადმა მაჩაბელმა შეაფასა 170.000 მანეთად, ამ ღირებულებით აღიარა შემფასებელმა კომისიამ და ამავე ღირებულებით დაამტკიცა მმართველობამ (იხ. 1882 წლის საქმე №51).

2) 2000 მან. მამულზე, რომელიც მაჩაბლის მიერვე შეფასდა 4000 მანეთად, ამ ღირებულებით დამტკიცდა ჯერ კომისიის, შემდეგ მმართველობის მიერ (იხ. 1882

წლის საქმე №2).

3) 9000 მან. მამულზე, შეფასდა ჯერ მაჩაბლის, ხოლო შემდეგ კომისიის მიერ 20000 მანეთად, ხოლო მმართველობის მიერ დამტკიცდა მხოლოდ 1800 მანეთის ღირებულებით (იხ. 1882 წლის საქმე №149).

4) 40000 მან. მამულზე, რომელიც შეფასდა ჯერ მაჩაბლის, შემდეგ კომისიის მიერ 120000 მანეთად, ხოლო მმართველობის მიერ დამტკიცდა მხოლოდ 80000 მანეთის ღირებულებით, საერთო ჯამში სულ 151000 მან. (იხ. 1882 წლის საქმე №69).

II. მეორე სახის სესხებს მიეკუთვნება:

5) 14000 მან. მამულზე, რომელიც 24000 მანეთად შეფასდა (იხ. 1881 წლის საქმე №181).

6) 7800 მან. მამულზე, რომელიც 13000 მანეთად შეფასდა.

7) 30000 მან. მამულზე, რომელიც 55000 მანეთად შეფასდა

8) 1000 მან. მამულზე, რომელიც კომისიის მიერ 3000 მანეთად შეფასდა, ხოლო მმართველობამ მხოლოდ 2000 მანეთად დაამტკიცა (იხ. 1883 წლის საქმე №15).

9) 1200 მანეთი მამულში, რომელიც კომისიის მიერ 4000 მანეთად შეფასდა, ხოლო მმართველობამ მხოლოდ 3000 მან. დაამტკიცა (იხ. 1882 წლის საქმე №16).

10) 5000 მან. მამულზე, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა 12000 მანეთად, ხოლო მმართველობის მიერ დამტკიცდა მხოლოს 10000 მან. (იხ.1882 წლის საქმე №43).

11) 10.000 მან. მამულზე, რომელიც კიმისიის მიერ შეფასდა 24000 მანეთად, ხოლო მმართველობის მიერ დამტკიცდა მხოლოდ 20000 მან. (იხ. 1882 წლის საქმე №120).

12) 20000 მან. მამულზე, რომელიც კომისიის მიერ შეფასდა 48000 მანეთად, ხოლო მმართველობამ დაამტკიცა მხოლოდ 34000 მან. (იხ. 1881 წლის საქმე №194), რაც პირველი სახის სესხებთან ერთად ჯამში შეად-

გენს 240000 მანეთს. ეს თანხა განსაზღვრავს იმ მამულების ზარალიანობას, რომელთა შეფასებაშიც თავადი მაჩაბელი უშუალო მონაწილეობას იღებდა შემფასებელი კომისიის წევრის სახით.

თუ ამ თანხას დავუმატებთ ბანკის საკუთრებაში დარჩენილი არწრუნების მამულების 460000-ს, რომლებიც თავადმა მაჩაბელმა სცნო არა თუ წამგებიანად, არამედ სარფის მომტანიანადაც კი, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაშინ აღმოჩნდება, რომ თუ ზარალის მომტანი მამულების შეფასებისას ადგილი ჰქონდა დაუდევრობას, ვისი მხრიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ამ შემთხვევაში 700 000 მან. (240000მან.+ 460000მან.) ღირებულების მამულების შეფასებისას მაინც მხოლოდ მმართველობას ამაში ვერავინ დაადანაშაულებს, განსაკუთებით კი თავადი მაჩაბელი.

რეალურ ზარალთა ციფრზე გადასვლისას, რომელთაც ბარათის ავტორი, ასევე, ყოფილი შემადგენლობის დაუდევრობასა და უთავბოლობას მიაწერს, აუცილებლად წინასწარ უნდა გავეცნოთ ზარალთა აღრიცხვის სისტემას, რომელსაც ინარჩუნებდა და ახლაც ინარჩუნებს ბანკის მმართველობა. იმ სისტემის მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნა ბანკის მფლობელობაში დარჩენილი მამულების წლიური ხარჯთაღრიცხვისთვის: კაპიტალური სესხის დანაკარგები, ვადიანი ფულადი გადასახადის დავალიანებები, რომელშიც შედის ბანკის მოგების პროცენტი და წესდებით დადგენილია სესხის თანხის $1_{1/2}$% ოდენობით, ყველა მიმდინარე ვადიანი შენატანი გაყიდვამდე, რემონტისა და დაზღვევის ყველა ხარჯი – ყოველივე ეს მთლიანად თავსდებოდა ზარალთა ანგარიშზე, რასაც ემატებოდა საურავები გადახდის ვადის გადაცილებისათვის, ვინაიდან ამ შენატანებს ბანკი ასწორებდა ყოველი ნახევარწლის ან წლის ბოლოს, ე.ი. 31 დეკემბერს. ანგარიშებში ნაჩვენებ ზარალთა სრული თანხა ბანკის არსებობის მანძილზე, 1895 წლის 1 იანვრამდე,

შეადგენს 1.017.015. 48 კაპ. ამ სისტემის მიხედვით, სუფთა მოგება კი ყოველთვის შეესაბამებოდა რეალობას, მაგრამ ზარალის საერთო თანხა ანგარიშებში ყოველთვის იმაზე მეტი იყო, ვიდრე სინამდვილეში, ვინაიდან ზოგჯერ ამ თანხაში შედიოდა გაყიდვით მიღებული შემოსავლები და ნამატები, მიუღებელი სარგებლის თანხისა და ვადიანი გადასახადების შესატანის გადაცილების საურავების ზარალისთვის მითვლით. ამგვარად, იმის გასარკვევად, თუ რას შეადგენდა იმ მამულებისთვის მიყენებული ზარალი, რომლებიც ბანკის მფლობელობაში დარჩა 1883 წლამდე, 1.017.015. – მან და 48 კაპ. უნდა გამოვაკლოთ 532.232 28 კაპ., რომელშიც შედის:

1) იმ მამულების ზარალი, რომლებიც გირაოში მიღებულ იქნა 1883 წლის მაისის შემდეგ, 30000 მანეთის ოდენობით;

2) ბანკის მფლობელობაში დარჩენილი მამულებიდან სუფთა შემოსავალი – გარდა რემონტისა და სხვა ყველა ხარჯისა, გაყიდვით მიღებული ნამატის ჩათვლითსულ 337.178- 63 კ.

3) $1_{1/2}$% შესატანი იმ სესხებიდან, რომლებიც ირიცხება ბანკის საკუთრებაში დარჩენილ მამულებზე იმ პერიოდიდან, რაც მას ბანკი განკარგავს- 120.543 -25 კაპ.

4) საურავები, რომლებიც დაირიცხა მამულების ბანკის განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ბანკის სახსრებიდან ვადიანი გადასახადების არადროული გამორიცხვის გამო – 45.510. 40 კაპ.

აქ საკამათო შეიძლება იყოს მხოლოდ მე-3 პუნქტში მითითებული გამონაქვითი, ამიტომაც საჭიროა მისი განმარტება. სესხის $1_{1/2}$% შენატანი არ შეიძლება განისაზღვროს ზარალთა ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან ბანკის სარგებელს წარმოადგენს და ამიტომაც ამ სარგებლის ვერმიღება აუცილებლად ზარალის მიღებას არ ნიშნავს.

ამ შემთხვევაში ზარალად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ სავალდებულო გადასახადებსა და მიღებას შორის არსებული სხვაობის თანხა, როდესაც პირველი ჭარბობს მეორეს. ამიტომაც, იმ წესდების მიხედვით, რომელიც ამ მხრივ განმარტა საკრედიტო კანცელარიამ, ზარალად მიიჩნევა დანაკლისი, მაგალითად, სესხის ზრდის და დაფარვის პროცენტის შენატანში, ასევე, მამულებიდან მიღებულ შემოსავალში ხარჯებთან შედარებით, ვინაიდან საკრედიტო კანცელარიამ დაავალდებულა ბანკი, მოგების თანხიდან გამოერიცხა მხოლოდ ზრდისა და დაფარვის პროცენტი ისე, რომ ერთი სიტყვა არ უხსენებია $1_{1/2}$% შენატანში არსებულ დავალიანებაზე ბანკის სასარგებლოდ (იხ. 1886 წ. გამოცემული წესდება განმარტებებით, გვ. 395).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბანკის საკუთრებაში დარჩენილი იმ მამულების რეალური ზარალი, რომლებიც გირაოში მიღებულ იქნა 1883 წლამდე, არის არა 500000 მანეთზე მეტი, როგორც ამას აღნიშნავს ბარათის ავტორი, არამედ – 484.783-20 კაპ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის შემადგენლობაში თავადი მაჩაბლის ყოფნის პერიოდში, ე.ი. 1881 წლის ივლისიდან 1883 წლის მაისამდე, შეფასების მიხედვით გირაოში მიღებული მამულების ზარალმა შეადგინა 248.774 მან., ხოლო მამულებიდან მიღებული სუფთა შემოსავლის გმოკლებით – 193.115 მან. საკუთრივ მაჩაბლის მიერ აღწერილი და შეფასებული10 მამულიდან 4-ის ზარალმა შეადგენდა 36.606. 37 კაპ., ხოლო იმ მამულების ზარალი, რომელთა შეფასებაშიც იგი, მონაწილეობდა, როგორც კომისიის წევრი, 41.706 მან. -19 კაპ. აღწევს.

ამგვარად, ზემოთ მოხმობილი უტყუარი მონაცემებიდან ჩანს, რომ ბანკის მფლობელობაში დარჩენილი მამულების საქმეში, ისევე, როგორც ამ მამულებით მიღებული ზარალის საქმეში, თავად ბარათის ავტორსაც გარკვეული

წვლილი მიუძღვის და თუ მან გადაწყვიტა, რომ ნებისმიერი საშუალებით დაედანაშაულებინა მმართველობის ყოფილი შემადგენლობა დაუდევრობასა და უთავბოლობაში, მას, ასევე, ყურადღება უნდა მიექცია თავისი, როგორც შემფასებელი კომისიის წევრის, სამსახურეობრივი საქმიანობის შედეგზეც.

მისი ამ საქმიანობის დასახასიათებლად დიდად მნიშვნელოვანია ციფრების შემდეგნაირი შედარება. კომისიის შემადგენლობაში მაჩაბლის ყოფნის პერიოდში ამ კომისიის მიერ შეფასდა 243 მამული, როგორც ეს ზემოთაც იქნა აღნიშნული. მათგან თავადი მაჩაბელი მონაწილეობდა მხოლოდ 33 მამულის შესახებ კომისიის დასკვნებში, ხოლო მამულების დათვალიერების, აღწერისა და შეფასებისათვის მონაცემების შეგროვებაზე იგი ერთპიროვნულად მუშაობდა მხოლოდ 10 მამულზე თითქმის ორი წლის განმავლობაში, უფრო ზუსტად, 1881 წლის 15 ივლისიდან 1883 წლის მაისამდე; მაშინ, როცა ამავე პერიოდში კომისიის სხვა წევრები ერთპიროვნულად მუშაობდნენ საშუალოდ 58 მამულზე, ხოლო კოლეგიის შემადგენლობაში – მინიმუმ 130-ზე. გარდა ამისა, იმ მამულებზე, რომელებიც ერთპიროვნული მუშაობის შედეგად შეაფასა ბარათის ავტორმა 398.700 მანეთად, მმართველობამ ფასი 56.000-მდე დაწია, ე.ი. დაახლოებით 16 %-ით ორივე შემთხვევაში.

დიდად ვწუხვართ, რომ თავად მაჩაბლის მიერ გამოწვეულმა აუცილებლობამ გვაიძულა, მიგვეთითებინა ამ გარემოებებზე არა ვინმეს დასანახად, ან დასამშვიდებლად ბარათის ავტორთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაგვერკვია, რამდენად შეეძლო თავად მაჩაბელს მმართველობის შემადგენლობაში შესვლით შემოეტანა ენერგიული საქმიანობის ტენდენცია, რაც ბანკს სარგებელს მოუტანდა და ფასების მიმართ კომისიის დამოკიდებულებას გაამკაცრებდა. მითითებული ფაქტები, რომლებიც ბანკის დოკუმენტებიდან მოხ-

მობილი უტყუარი ციფრებით არის გამყარებული, ამ თვალსაზრისით, მრავლისმეტყველია.

ბარათის ავტორი არ უარყოფს მმართველობის ყოფილი შემადგენლობის პერიოდში ბანკის მიერ მიღებული ზარალის ფაქტებს, ასევე იმ გარემოებასაც, რომ ყოფილი და ასევე ახალი შემადგენლობის დროსაც, არაერთხელ დაშვებულა შეცდომები როგორც ფასთა დამტკიცებისა და სესხთა გაცემისას, ისე, საქმის მსვლელობისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქმე ჩვეულებრივ შეცდომებში კი არა, არამედ სულ სხვა რამეშია. ამგვარად, არ აღიარებს რა შეცდომების არსებობას, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანური საქმიანობისათვის, თავადი მაჩაბელი მიუთითებს, რომ ზარალიანი მამულების გირაოში მიღების მიზეზი იყო მმართველობის ყოფილი წევრების დაუდევრობა და უთავბოლობა. ამის დასტურად მას მოჰყავს, პირველ რიგში, ის, რომ მმართველობამ ქალაქის ერთი მამულის მიმართ დაამტკიცა ფასი, რომელიც აღემატებოდა ნაგებობებისა და მიწის მატერიალურ ღირებულებას და ასეთი შეფასების მიხედვით გასცა სესხი; და მეორე ის, რომ თბილისში არსებული ზარალიანი მამულების უმრავლესობის დათვალიერება და შემოწმება ადვილად შეეძლო მმართველობას, მაგრამ მან ეს არ გააკეთა; და მესამე, მმართველობამ, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ამის შესაძლებლობა, არ დაითხოვა კომისიის ის წევრები, რომლებიც ვერ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას.

თავადი მაჩაბლის მიერ მითითებული ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ შეფასების თანხა არ შეესაბამება ნაგებობებისა და მიწის მატერიალურ ღირებულებას, სწორია. თუმცა ისაც ეჭვგარეშეა, რომ მამულის ღირებულების განსაზღვრას შემოსავლიანობის მიხედვით, მატერიალურისგან დამოუკიდებლად, ადგენდა როგორც

შეფასების კომისია, ისე მმართველობა თავადი მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობაში შესვლამდეც და მას შემდეგაც. ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ მმართველობას ფასების დამტკიცებისას დაუდევრობით ან უყურადღებობით მხედველობიდან რჩებოდა ეს გარემოება, არამედ იმიტომ, რომ იგი არ აღიარებდა შეფასების საქმეში მატერიალური ღირებულებების გადამწყვეტ მნიშვნელობას წესდების 45-ე პარაგრაფის თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც აუცილებელია შეფასებებს საფუძვლად ედოს მხოლოდ სუფთა მოგება. ეს რომ ასეა, ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ჟურნალის ნიმუშიდანაც ნათლად ჩანს. ამ ჟურნალით გამოითხოვება ნებართვები საგირავნო ფურცლებზე და მასში მხოლოდ შემოსავლიანობის მითითებაა საჭირო, ყოველგვარი მატერიალური ღირებულების აღნიშვნის გარეშე. ქალაქში მდებარე ამა თუ იმ მატერიალური ღირებულების ქონებამ შეიძლება აჩვენოს მნიშვნელოვანი განსხვავება საშემოსავლო ფასთან შედარებით, იმის გათვალისწინებით, თუ სად მდებარეობს იგი და რამდენად პასუხობს საუკეთესო ექსპლუატაციის მოთხოვნებს. ასე, მაგალითად, შენობები ხალხმრავალ ბაზრის მოედანზე, რომელთაც უმნიშვნელო მატერიალური ღირებულება აქვს, მაგრამ შეესაბამება ვაჭრობის მოთხოვნებს, შემოსავლიანობის თვალსაზრისით შეიძლება მატერიალურთან შედარებით წარმოადგენდეს საკმაოდ მაღალ ფასეულობას. იმავე ადგილას იმავე განსხვავებას ფასში, ოღონდაც პირიქით, აჩვენებს ძალზედ დიდი მატერიალური ღირებულების მდიდრული შენობა, რომელიც გათვლილია ბინის გაქირავებაზე, ვინაიდან ბაზრის მოედანი, რომელიც, მრავალ მიზეზთა გამო, შეძლებული პირებისათვის საცხოვრებლად მოუხერხებელია, ბუნებრივია, შემოსავლიანობაზე იმდენად არასახარბიელო გავლენას იქონიებს, რომ საშემოსავლო ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალი აღმოჩნდება მატერი-

ალურთან შედარებით. ეს და მსგავსი პირობები იმდენად მრავალფეროვანს ხდის მატერიალურ და საშემოსავლო ფასეულობათა შორის ურთიერთმიმართებას, რომ ამ განსხვავების მოხელთება, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამ საკითხთან დაკავშირებით საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობამაც, შეუძლებელია (იხ. საადგილმამულო ბანკების 1886 წელს განმარტებებითურთ გამოცემული წესდების გვ. 299). ამის შემდეგ გასაგებია, რომ ვერც საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა ყრილობა, ვერც კანონმდებელი და ვერც საკრედიტო კანცელარია ვერ მიითვისებს მატერიალური ღირებულებით შეფასების საქმეში იმ გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომელსაც იჩემებს ბარათის ავტორი და მას იმოწმებს იმის დასტურად, რომ მმართველობის ყოფილი შემადგენლობა ძალზე უყურადღებოდ მოეკიდა შეფასების საქმეს.

თუმცა, პრინციპული თვალსაზრისით საშემოსავლო და მატერიალურ ღირებულებებს შორის ამა თუ იმ დამოკიდებულების საკითხის შემდგომ განხილვას რომ თავი დავანებოთ, საშემოსავლო შეფასებას მაინც, რომელიც მატერიალურ ღირებულებას აღემატება, არ უნდა გაეკვირვებინა თავადი მაჩაბელი. ასე, მაგალითად, ერთი ქალაქის ქონებას, რომელზეც მან პირადად შეადგინა აღწერა და განსაზღვრა მიწისა და ნაგებობების მატერიალური ღირებულება, იგი აფასებს 120.950-დან 149.000-მდე მანეთად, ხოლო თავად ქონებას – 170000 მანეთად, რასაც ეთანხმება შემფასებელი კომისიაც ქალაქში არსებული მეორე ქონება კომისიამ თავადი მაჩაბლის მონაწილეობით 48000 მანეთად შეაფასა, მაშინ, როდესაც მატერიალური ღირებულება განსაზღვრულია 38.000 მანეთის ოდენობით. (იხ. 1881 წლის საქმე №194). ასე იქცეოდა თავადი მაჩაბელი, როგორც წევრ-შემფასებელი, ამავე სისტემით მოქმედებდა, როგორც მმართველობის წევრი ყველა მსგავს შემთხვევაში (იხ. საქმეები:

1884 წ. №138,75,60; 1885 წ. №164,147,146; 1886 წ. №74,39; 1888 წ. №105,100; 1889 წ. №138,248; 1890 წ. №284, 247 და ა. შ.). კონკრეტული შემთხვევა, რომელიც ამ საკითხს შეეხება და მითითებულია ბარათის მე-4 გვერდზე, არის არა მმართველობის ყოფილი შემადგენლობის საქმისადმი უყურადღებობის, არამედ იმ მტკიცე მოსაზრების შედეგი, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო ღირებულება მატერიალურისაგან დამოუკიდებელია. ხოლო მამული რომ ბანკის საკუთრებაში დარჩა, ამაში დამნაშავეა არა აღნიშნული მოსაზრება, არამედ შემფასებელი კომისიის საშემოსავლო მონაცემები. მმართველობას კი არ ჰქონდა არავითარი საფუძველი, არ ნდობოდა ამ მონაცემებს, ვინაიდან მამულის ფასის განსაზღვრისას მას მხედველობაში ჰქონდა კომისიის დასკვნა, რომლითაც მამული 24000 მანეთად შეფასდა 2400 მან. სუფთა წლიური მოგებით. ასევე მოიქცა მმართველობა ლიაშენკოს, ყორღანოვისა და ერვეს მამულების შემთხვევაშიც, რომლებზეც მიუთითებს ბარათის ავტორი. არც ერთ შემთხვევაში მმართველობას არ გადაუჭარბებია თავისი უფლებებისა და მოვალეობებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია წესდების &&46, 70-ში, ე. ი. არ გაუზრდია კომისიის შეფასება (იხ. 1881 წლის საქმეები №122,56,68,105). და თუ კი ეს მამულები შემდგომში ზარალიანი აღმოჩნდა, ეს გარემოება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი არ აქვს განზრახ დაუდევრობას, აიხსნება შეფასების იმ რთული ამოცანებით, რომელთაგან გამომდინარეც თავად კანონმდებელიც უშვებს შეცდომის შესაძლებლობას და ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურებას ისე, რომ არ ისჯებიან დამნაშავენი, თუ, რა თქმა უნდა, ადგილი არ აქვს განზრახ დაუდევრობას. ერვეს საქმესთან დაკავშირებით ბარათის ავტორი მიუთითებს ერთ განსაკუთრებულ გარემოებაზე, რომელიც, მისივე თქმით, მდგომარეობს იმაში, რომ მთელი სესხი გაიცა ერთბაშად, მაშინ, როდესაც თავად შემფასებელი შეფასების დროს

ვარაუდობდა, გარკვეული თანხა დაეკავებინა გირაოში მიღებული სახლის მოთავებისათვის და ამის შედეგად მივიღეთ 10000 მანეთამდე ოდენობის ზარალი. რეალურად ეს ზარალი 4741 მანეთს შეადგენს და ეს შესწორება შეგვაქვს არა იმ მიზნით, რომ დავაკნინოთ ზარალის მნიშვნელობა, ზოგადად, არამედ ამას ვაკეთებთ ბარათის ავტორის ჩვენის კონსტატირებისათვის – დაუშვას შეცდომა მხოლოდ თავისი ცალმხრივი მიზნის სასარგებლოდ. მართალია, სესხი გაიცა დაქვითვის გარეშე, მაგრამ ეს შეცდომა საკმაოდ დაგვიანებით, თუმცა მაინც გამოსწორდა, რამდენადაც მმართველობის მოთხოვნით 4000 მანეთი მსესხებლებმა დაუბრუნეს ბანკს. ეს თანხა მიმართულ იქნა კაპიტალური სესხის დასაფარად უკვე ამ მამულის ჩაბარების შემდეგ, ბანკის წარუმატებელი ვაჭრობის გამო (იხ. ჩანაწერი წიგნებში, 4000 მანეთის მიღებაში 1885 წლის 12 იანვრის №70 ორდერით).

ჩვენი განსასჯელი არ არის, რამდენად ემსახურება ყველა ეს გარემოება მმართველობის ყოფილი შემადგენლობის დადანაშაულებას დაუდევრობასა და უთავბოლობაში, ვინაიდან სამ ქვემორეხელისმომწერთაგან ორი საქმის თანამონაწილეა. მაგრამ მხოლოდ ბანკისთვის დატოვებული გირაოებისა და ამით მიღებული ზარალის მიღების ფაქტი, მაშინ, როდესაც ყველა საწესდებო წესი დაცულია, არ კმარა იმისათვის, რომ მმართველობას დავდოთ ბრალი განცდილ ზარალში. მხოლოდ წესდების დარღვევა შეიძლება გახდეს ამის საფუძველი. ხოლო იმას, რომ ფასები მტკიცდება შემოსავლიანობის შესაბამისად და სესხთა ოდენობა განისაზღვრება გირაოს დადგენილი ღირებულების მიხედვით, ამ ყოველივეს წესდების დარღვევას ვერ ვუწოდებთ.

ასევე, არ შეიძლება წესდების დარღვევა ვუწოდოთ იმას, რომ მმართველობა შესაფასებელი ქმედებების ხელახალი წინასწარი შემოწმებისა და დასაგირავებელი მამულების ხელახალი აღწერის გარეშე ამტკიცებს

ფასებს და გასცემს სესხებს, ვინაიდან ყოფილი მმართველობის დაუდევრობისა და უთავბოლობის შესახებ თავისი დასკვნების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს ბარათის ავტორი ამ გარემოებაში პოულობს. მაგრამ წარმოადგენს თუ არა დასაგირავებელი მამულების ხელახალი აღწერა და შეფასებების შემოწმება მმართველობის უფლება-მოვალეობებს – ეს პრინციპული საკითხია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბარათის ავტორი მას დადებითად წყვეტს და ამ თავის გადაწყვეტილებას ყველასათვის სავალდებულოს ხდის, – მაინც საჭიროებს ყურადღებით განხილვას.

რუსეთის იმპერიაში მოქმედი წესდებების საფუძველზე ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი სისტემა. ერთი მათგანის მიხედვით, როგორც დასაგირავებელი მამულების შეფასებას, ისე სესხთა გაცემის ყველა სხვა ოპერაციას, ახორციელებს ერთი ორგანო, კერძოდ , მმართველობა, მეორის მიხედვით კი შეფასებების საქმე მკაცრად არის გამოყოფილი მმართველობის უწყების საკითხებისაგან და მთლიანად ეხება განსაკუთრებულ ორგანოს, რომელსაც შემფასებელი კომისია ეწოდება. ეს უკანასკნელი სისტემა არის შეტანილი კანონმდებლის მიერ ჩვენს წესდებაში. აქედან გამომდინარე, წესდების &46 მიხედვით, მფლობელის მიერ ჩატარებული მამულის აღწერა მოწმდება შემფასებელი კომისიის მიერ და გადაეცემა მმართველობას დასამტკიცებლად. ხოლო მმართველობას, თავის მხრივ, შეუძლია შეამციროს ფასი ან საერთოდ უარი თქვას სესხზე. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ფასების გაზრდა კომისიის დასკვნის საწინააღმდეგოდ. შემდგომ, წესდების &72-ში პირდაპირ არის მითითებული შემფასებელი კომისიის მოვალეობების შესახებ, დადასტურებულია დასაგირავებელი მამულების შეფასებები. კანონის ასეთი კატეგორიული მითითება მომდინარეობს იმ გასაგები აუცილებლობიდან, რომ წესი შეთანხმებულ იქნას მიღებუ-

ლი სისტემის არსთან, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შეფასების საქმეები უნდა წარმართოს მმართველობისაგან გამორჩეულმა დაწესებულებამ. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ მოყვანილი პარაგრაფები არც პირდაპირი მნიშვნელობით, არც სულისკვეთებით არ გულისხმობს, რომ მმართველობის უფლებებისა და მოვალეობების სფერო მოიცავს შემფასებლის უფლებებსა და მოვალეობებს. ამ დასკვნას ადასტურებს წესდების 48-ე და 70-ე პარაგრაფების ურთიერთშედარებაც. &70-ში ჩამოთვლილია მმართველობის უწყების ყველა საკითხი და ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები არა მხოლოდ მოვალეობების, არამედ შეფასების საქმეში მმართველობის რაიმე სახით ჩარევის უფლებების შესახებაც კი. ამავე &48-ს, რომელიც დასაგირავებელი მამულების შეფასებაში დაშვებული დაუდევრობის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მხოლოდ იმ პირებს, ვინც აწარმოა თავდაპირველი შეფასება, ე. ი. შემფასებლებს, არ ექნებოდა სამართლიანი საფუძველი მხოლოდ შემფასებელთა მიმართ მისი გამოყენებისას, თუ კანონმდებელი ვარაუდობდა, რომ ფასთა აღწერისა და შემოწმების ვალდებულებას დააკისრებდა მმართველობას ან მის ცალკეულ წევრებს.

მთელი არსი სისტემისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის მართვის საქმეში იქმნება მმართველობისაგან განსხვავებული ორგანო დასაგირავებელი მამულების შესაფასებლად და შესამოწმებლად. მმართველობის ჩარევა კი მამულის ხელახალი აღწერისა და შეფასებების შემოწმების მხრივ, რაც უკვე გაკეთებულია კომისიის მიერ, იქნებოდა სხვათა უფლებებისა და მოვალეობების სფეროში შეჭრა, უკიდურეს შემთხვევაში კი მეორე შემმოწმებელი ინსტანციის უფლების მისაკუთრება. ასეთ ინსტანციას კი არ აწესებს არც წესდება და არც შეფასებათა ინსტრუქცია. ამ მხრივ, არ არსებობს არავითარი იერარქიული დამოკიდებულება მმართველო-

ბასა და შემფასებელ კომისიას შორი. ხოლო სესხის დამტკიცების, შემცირების ან მასზე საერთოდ უარის თქმის უფლება, მინიჭებული მმართველობისათვის, არ ნიშნავს შემფასებელი კომისიის ან მისი ცალკეული წევრის მიერ შემოწმების ჩატარებას. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ შეფასებისათვის უკვე მოპოვებული მონაცემების სანქცირების უფლება იმ თვალსაზრისით, რომ ისისნი შეესაბამება წესდებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს და და არ ხდება მმართველობის ან ,მით უფრო, მისი ცალკეული წევრის მეშვეობით ამ მონაცემების ხელახალი გამოკვლევა. თუ ეს მონაცემები არასრულია, ან გაუგებარი, ან რაიმე ნაკლი აქვს, ამ შემთხვევაში მათი ხელახალი გამოკვლევაც ევალება შემფასებელ კომისიას, რომელსაც მმართველობამ უნდა დაუბრუნოს საქმე შესასწორებლად და შესავსებად. ფასების დამტკიცების დროს მმართველობის ქმედებები მცდარია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მმართველობა შეფასების კომისიის მიერ განსაზღვრულ ფასს ისე ამტკიცებს, რომ მხედველობიდან რჩება მამულის ღირებულების შესახებ კომისიის დასკვნის შეუსაბამობა შეფასების აქტის მონაცემებთან.

მმართველობის უფლება, დაამტკიცოს ფასები, არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც შეფასების კომისიაზე კონტროლი. გარდა იმ მოსაზრებისა, რომ, ჩვენი წესდების მიხედვით, ბანკის საქმეთა მართვის ყველა ქმედების კონტროლისათვის გათვალისწინებულია სპეციალური ორგანო სამეთვალყურეო კომიტეტის სახით, ამასთანავე, &72 პირდაპირ ავალდებულებს შემფასებელ კომისიას თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშები წარუდგინოს სამეთვალყურეო კომიტეტს და ამით მიუთითებს იმაზეც, თუ ვინ არის მისი მაკონტროლებელი ორგანო.

ამგვარად, წესდება და ინსტრუქციის ყველა წესი, რომლებიც განსახილველ საკითხს შეეხება, აქარწყლებს ყოველგვარ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მმართველობა

მოვალეა, ხელახლა შეამოწმოს შემფასებელი კომისიის მიერ უკვე შემოწმებული ფასები. ამ წესების მიხედვით, მმართველობა არ იძენს არც შესამოწმებელი ინსტანციის მნიშვნელობას და არც მაკონტროლებელი ორგანოსი. ან კი რა დანიშნულება ექნებოდა უკვე შემოწმებული ფასების ამ ახალ შემოწმებას? იგი მხოლოდ შემოწმების შემოწმება იქნებოდა, რაც, სულ მცირე, სიტუაციასთან შეუსაბამოა. რაში შეიძლება გამოიხატოს იგი? ნუთუ ახალი აღწერისა და შეფასების გარემოებათა ახალ გამოკვლევაში? თუ ეს ასეა, ამის გარეშე კი ახალი შემოწმება მხოლოდ უაზრო ჩარევა იქნებოდა, – მაშინ ბანკის მართვის ამგვარმა ორგანომ ამ შემთხვევაში უნდა იკისროს მსაჯულის ფუნქცია, პირველ რიგში, მმართველობის და შემფასებელი კომისიის მიერ შეგროვებული მონაცემების შეფასებაში, ხოლო შემდეგ, დასაგირავებელი მამულის ღირებულების თავდაპირველ დადგენაში, რასაც წესდების &46 ითხოვს მმართველობისთვის დასამტკიცებლად წარსადგენად. შესაძლოა არც ყოფილიყო ამ ორგანოს მითითების აუცილებლობა იმ ვარაუდით, რომ ახალ შემოწმებას დაემტკიცებინა შემფასებელი კომისიის შემოწმება, მაგრამ თუ მმართველობის მიერ შეგროვებული მონაცემები იწვევს შემფასებელი კომისიის მიერ დადგენილი ფასების შემცირებას და, ამასთანავე, მსესხებლის ინტერესიც არ დუმს, მაშინ ძალზე მნიშვნელოვანია საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი ორგანო შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში მოწვეული საქმის გადასაწყვეტად.

მაგრამ მფლობელს რომც არ სურდეს, ეს სურვილი კი სრულიად სამართლიანი და გასაგებია, მიიღოს თავისი მამულის ნამდვილი ღირებულება, მოცემულ შემთხვევაში მაინც ვერ იქნებოდა აღმოფხვრილი ეს საკითხი. იმის გამო, რომ ახალი შემოწმების მიზანი შეიძლება იყო მხოლოდ მონაცემთა ნამდვილობის დადგენა, რათა დამტკიცდეს შემფასებელი კომისიის ფასები ან შემ-

ცირდეს ისინი, რამდენადაც მმართველობას არ აქვს მათი შემცირების უფლება, ზემოთ დასმულ საკითხს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში.

თუ შემფასებელი კომისიის მიერ დადგენილი ფასების დამტკიცების შემთხვევაში მმართველობა არ იყო მსაჯული საკუთარ საქმეში, ვინაიდან იგი გამომდინარეობდა შემფასებელი კომისის მიერ წარმოდგენილი მონაცემებიდან, რომელთა შეფასებებშიც არ იქნებოდა დაინტერესებული საკუთარი შემოწმებით მიღებული მონაცემების სასარგებლოდ, სულ სხვაგვარია მეორე შემთხვევა, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს გირაოს ღირებულების შესახებ არსებულ ორ ერთმანეთის შეუსაბამო გადაწყვეტილებასთან, რომელთაგან ერთი მიღებულია თავად მმართველობის ან მისი წევრის მიერ ხელახალი შემოწმებით მოპოვებული ცნობებისა და ფაქტების საფუძველზე. თუ მამულის ღირებულების გარკვეული ოდენობით შემცირებას დავუშვებთ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ რაც უფრო ცოტაა, მით უფრო უსაფრთხოა, მაშინ უკიდურესი ზღვარის პოვნა ადვილია ყოველგვარი ხელახალი შემოწმებისა და ნებისმიერი შეფასების გარეშეც. ხოლო შეფასების ამოცანას ეს კი არ წარმოადგენს, არამედ გირაოს ისეთი ფასის დადგენა, რომელიც რაც შეიძლება ახლოს იქნება მამულის რეალურ ფასთან. თუ ეს ასეა, და ამაში ეჭვს ვერ შევიტანთ, მაშინ ფასთა ახალი შემოწმებით მიღებული მონაცემები უნდა იქნას განხილული, მოხდეს მათი შედარება შემფასებელი კომისიის მიერ მოპოვებულ მონაცემებთან. ამ ამპლუაში კი აუცილებელია, რომ მმართველობა საკუთარ საქმეში იყოს მსაჯული, რაც გამორიცხავს მიუკერძოებლობის გარანტიას და რის დაშვებაც არ შეიძლება. დაბოლოს, აქვს კი მმართველობას ან მის ცალკეულ წევრს იმის უფლება, რომ, მიუხედავად &46, 48 და 72 ზუსტი მნიშვნელობისა, ხელახლა შეაფასოს დასაგირავებელი მამულები ან ჩაატაროს რაიმე სახის შემოწმება? ზე-

მოთ ითქვა, რომ ამ შემოწმებას არავითარი აზრი არ ექნება, თუ არ მოხდება საქმის გარემოებათა ხელახალა შესწავლა და მამულის ხელახალი აღწერა-შეფასება, ვინაიდან აღნიშნული შემოწმება სწორედ ამაში გამოიხატება. ასეთ ქმედებაზე კი არც მმართველობა და არც მისი ცალკეული წევრი კანონით არ არის უფლებამოსილი. გარდა ამისა, წესდების &70, აკისრებს რა მმართველობას პასუხისმგებლობას მხოლოდ წესდების დარღვევაზე, არ წყვეტს დასმულ საკითხს უარყოფით გაგებით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზემოაღნიშნული 46 და 72 პარაგრაფები ამ უფლებას მხოლოდ შემფასებელ კომისიას ანიჭიებს და არა მმართველობას. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ კანონი დუმს მმართველობის პასუხისმგებლობაზე დაუდევარი შეფასებების გამო, ვფიქრობ, გაუგებრობა კი არ არის, არამედ აიხსნება ისევ და ისევ იმ მარტივი მოსაზრებით, რომ არ შეიძლება ამა თუ იმ ქმედების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი იყოს ის, ვისაც ამ ქმედების შესრულების უფლება არ აქვს მინიჭებული.

აქედან გამომდინარე, ქმნიდა რა შემფასებელი კომისიის სახით სპეციალურ ორგანოს დასაგირავებელი მამულების შეფასებების შესამოწმებლად, კანონმდებელმა იფიქრა, რომ აღნიშნული ორგანოს საქმიანობა ამ მხრივ სრულიად საკმარისი იქნებოდა. თუმცა თავადი მაჩაბელი მისთვის ჩვეული თავმდაბლობით აღიარებს თავის მოსაზრებათა ურყევობას (იხ. მისი 1-ლი ბარათი), ავსებს კანონმდებლობის ხარვეზს ამ საკითხთან დაკავშირებით და უთითებს თავისი ახლადშემოღებული წესის მიზანშეწონილობას. ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველობის შემადგენლობაში მისი შემოსვლის დღიდან არც ერთი მნიშვნელოვანი მამული თბილისში არ დაგირავებულა მისი წინასწარი აღწერისა და შემოწმების გარეშე. გარდა ამისა, მან, როგორც შემდგომ აღნიშნავს, არჩევიდან მეორე წელსვე დაიწყო სიარული სხვა

გუბერნიებშიც, რათა ეწარმოებინა ყველა დასაგირავებელი მამულის შეფასებების სახელობითი შემოწმება და, იქიდან მოყოლებული, შემფასებლები, გრძნობდნენ რა კონტროლს, ყურადღებით ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობებს (იხ. მისი ბარათის გვ. 4 და 5) და ამიტომაც საქმე უკეთესობისკენ შემობრუნდა.

პასუხისმგებლობას ვაკისრებთ თავად მაჩაბელს იმ რწმუნებისათვის, რომ თბილისში არც ერთი მნიშვნელოვანი მამული არ დაგირავებულა მისი ან მმართველობის სხვა წევრის წინასწარი დათვალიერებისა და შემოწმების გარეშე. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ აღნიშნული შემოწმებების, თუ მართლაც ჰქონდა მათ ოდესმე ადგილი, – კვალიც კი არ შემორჩენილა ბანკის საქმეებში.

მაგრამ ყველაზე მეტად უცნაურია მესამე საფუძველი, რომელიც ბარათის ავტორს აძლევს მმართველობის ყოფილი შემადგენლობის წევრების დაუდევრობასა და უთავბოლობაში დადანაშაულების მიზეზს. მაგრამ, თუ სიტყვაზე ვენდობით თავად მაჩაბელს, რომ მან, თითქოს, შეამოწმა ბანკში ჩადებული მამულები და მისი მმართველობის წევრად გახდომის დღიდან არც ერთი მნიშვნელოვანი მამული თბილისში მისი წინასწარი შემოწმების გარეშე არ მოხვედრილა ბანკში, მაშინ უფრო ბუნებრივი იყო და მისთვის მარტივი, რომ მიეთითებინა მმართველობისათვის შემფასებელზე, რომელიც არ ასრულებდა თავის დანიშნულებას და შეეთავაზებინა მისი გათავისუფლება. მაგრამ მან საკუთარ დამსახურებად მიიღო დაგირავებული მამულების სახელობითი შემოწმება, ასევე ის, რომ არ გაუშვა არცერთი მნიშვნელოვანი მამული თბილისში წინასწარი შემოწმების გარეშე, ხოლო თანაწევრების გულგრილობასა და უყურადღებობას მიაწერა დაუდევრობა, რომელიც თავად გამოიჩინა მაშინ, როდესაც დამნაშავე შემფასებელი არ დაითხოვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 1884 წ. ბანკის საკუთრებაში დარჩენილი და თავადი მაჩაბლის მმართველობის წევრად გახდომამდე გირაოში მიღებული მამულების დიდი უმრავლესობა მდებარეობს თბილისში, რასაც ამჯერად სამართლიანად ირწმუნება მაჩაბელი თავის ბარათშიც და ამ გარემოების შესადარებლად მოვიხმობთ იმ ფაქტს, რომ მან თბილისის გარეთ მის მმართველობაში შესვლამდე მიღებული და მისაღებად განკუთვნილი ყველა მამული მიიჩნია სწორად შეფასებულად და ისინი საკმარისი გარანტია იყო მათზე გაცემული ან გასაცემი სესხებისათვის, როგორც ამას თავად მიუთითებს მაჩაბელი 1885 წლის 3 იანვრის მოხსენებაზე დართულ ასლში (იხ. დანართი №4), მაშინ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რატომ აღმოჩნდა 1883 და 1884 წლებში ქ. თბილისის მამულები ზარალიანი, ხოლო თბილისის გარეთ მდებარე მამულები – არა? და მოხდა თუ არა თბილისის ცხოვრებაში რაიმე სახის ცვლილება უარესობისაკენ. ბუნებრივია, რომ ამ კითხვაზე პასუხი მოგვეძებნა იმ განსაკუთრებულ მოვლენებში, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა ამ ქალაქის და გუბერნიის გარეთ, და არა შეფასებასთან დაკავშირებულ დაუდებრობაში, რისი მიზეზიც მმართველობის ყოფილი შემადგენლობის უყურადღებობა და გულგრილობა შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ამ ორივე ნაწილში მმართველობის ბანკის გახსნის დღიდან თავადი მაჩაბლის ამ შემადგენლობაში შესვლამდე მოქმედებდა ერთი და იგივე შემადგენლობა. ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მმართველობის უყურადღებობა და გულგრილობა საბედისწეროდ გამოიწვია მხოლოდ თბილისში არსებულმა მამულებმა. ხოლო ის, რომ ამ მოვლენებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ისინი იყო მიზეზი იმისა, რომ ქ. თბილისის მამულები დარჩა ბანკს და ასევე, ამ მიზეზით იჩინა თავი ზარალმა 1883-1884 წლებში – ამაში, ვგონებ, ეჭვი

არავის ეპარება, განსაკუთრებით კი თავად მაჩაბელს. თბილისისათვის ასეთი განსაკუთრებული მოვლენები იყო: მეფისნაცვლობის გაუქმება, რამაც გამოიწვია მისი უმაღლესობის, დიდი თავადის მიხეილის (ნიკოლოზის ძის) სამეფო კარს ჩამოშორება, შტატების შემცირება, ჯარების გაყვანა თბილისიდან და ზოგადად, გუბერნიიდან, ტრანზიტის განადგურება, რის გამოც ქალაქმა დაკარგა უპირატესობა, ყოფილიყო საწყობის მთავარი პუნქტი და ტრანზიტით ტვირთის გადაზიდვის ცენტრი; დაბოლოს, ბაქოს რკინიგზის გახსნა, რამაც ქ. თბილისი – ამიერკავკასიის მთავარი სავაჭრო ცენტრი – აქცია გამჭოლ სადგურად ბათუმსა და ბაქოს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მნიშვნელოვანმა ზარალმა თავი იჩინა სწორედ თბილისის მამულების შემთხვევაში 1883-1884 წლებში, ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც ყველა ეს მოვლენა თითქმის ერთდროულად დაატყდა თავს თბილისს და პირველ ხანებში პანიკა გამოიწვია. სამწუხაროდ, თავადმა მაჩაბელმა საჭიროდ მიიჩნია, დაევიწყებინა ეს მოვლენები, რომელთაც თავადაც და მმართველობის სხვა წევრებიც მიღებული ზარალის ერთადერთ მიზეზად ასახელებდნენ. ამას მოწმობს 1883 წლის ანგარიშისთვის გაკეთებული მოხსენება, რომელსაც იგივე თავადი მაჩაბელი ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე, რაც მას არ სჩვევია (იხ. მმართველობის ნაბეჭდი მოხსენება, რომელიც თანდართულია 1883 წლის ანგარიშზე, გვ. 1). გარდა ამისა, 1884 წლის ანგარიშის მოხსენებაში, რომელიც, ასევე, ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე არის ხელმოწერილი თავადი მაჩაბლის მიერ, სიტყვასიტყვით მეორდება იგივე მოვლენები, როგორც მიღებულ ზარალთა მიზეზები. ამასთანავე, დასკვნაში ნათქვამია, რომ მიზეზი უნდა ვეძებოთ არა შეფასებებისას დაშვებულ შეცდომებში, არამედ სხვა, შეფასებებისგან დამოუკიდებელ გარემოებებში, რომელთაც მთელი თავისი გართულებებით წინასწარ ვერ გათვლიდა ვერც შემფასებელი კომისია

და ვერც მმართველობა. (იხ. 1884 წლის ანგარიშის მოხსენება, გვ. 2 და 3). რეალურად სწორედ ეს იყო თბილისში მდებარე იმ მამულების საქმეთა სავალალო მდგომარეობის ნამდვილი მიზეზები, რომლებიც მმართველობის ყოფილმა შემადგენლობამ მიიღო და რომელთაც 1883-1884 წლებში მოგვცა თითქმის მთელი ზარალი.

და ეს სავსებით გასაგებია იმის გამო, რომ ამ მამულებს აფასებდნენ და იღებდნენ გირაოში მათი შემოსავლიანობისათვის ხელსაყრელ პირობებში, ხოლო ბაზარზე გასაყიდად ხვდებოდა ისეთ გარემოებებში, რომელთაც შედეგად სდევდა შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და ამის გამო მათი ფასის დაწევა.

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს, თავადი მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობაში შესვლის წყალობით საქმეები უკეთესად წავიდა, იქიდან გამომდინარე, რომ არსად არ არის ნათქვამი, თუ კონკრეტულად რა ახლადშემოღებული წესის გამო უნდა იყოს ბანკი ბარათის ავტორისაგან დავალებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მმართველობის შემადგენლობაში მისი შესვლისა და იქ ყოფნის მხოლოდ ფაქტს ჰქონია ისეთი სასიკეთო, რომ აღარ ვთქვა სასწაულმოქმედი, გავლენა, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს საქმის უკეთესობისაკენ შემობრუნება სერიოზულად მიეწერა მაჩაბლის იმ რაიონებში გამგზავრებებისათვის, სადაც ბანკი მოქმედებს ან მისი წინასწარი შემოწმებებისათვის, რამაც, თითქოსდა, შემფასებლებს აგრძნობინა მათზე კონტროლი, რის შემდეგაც მეტი სიფრთხილით დაიწყეს თავიანთი მოვალეობების შესრულება. ამ გზით რომ ყოფილიყო შესაძლებელი უტყუარი შეფასებების მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფა, მაშინ შეფასების საქმის ორგანიზების ძნელი და რთული ამოცანა გადაიჭრებოდა უმარტივესად და ჩვენ მხოლოდ გავიკვირვებდით, რომ აქამდე არ მიმართეს ამ საშუალებას. თუმცა, სამწუხაროდ, ამ საშუალება ასე თავდაჯერებით ვერ გავუწევთ რეკომენდა-

ციას, როგორც ამას სჩადის ბარათის ავტორი და მას ბანკის საქმეების უკეთესობისაკენ შემობრუნების ერთადერთ გზად სახავს.

თუმცა, სხვა დროს იგივე თავადი მაჩაბელი ასეთ გზას ხედავდა სხვა გარემოებებში, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ ბანკის მმართველობაში მის შესვლასთან და რომლებიც გაცილებით სამართლიანიცაა. ასე, მაგალითად, მმართველობის 1885 წლის ანგარიშისთვის დართულ მოხსენებაში იგი თავისი ბარათით ადასტურებს, რომ ორი წარუმატებელი წლის შემდეგ საქმეების ესოდენი გაუმჯობესება განაპირობა იმან, რომ თბილისის საქალაქო ქონება თანამფლობელებში არსებული პანიკა და, ასევე, ამ ქონებათა ღირებულების დაწევის გამომწვევი კრიზისი თანდათან ჩაივლის, საქმეები გამოსწორებას იწყებს, ფულის ბაზარი ცოცხლდება. შემდგომ გადმოცემულია ამ მითითების დამადასტურებელი ფაქტები (იხ. 1885 წ. ანგარიშის ნაბეჭდი მოხსენება, გვ. 1). ეს მართლაც ასე იყო და, აქედან გამომდინარე, მმართველობის ამა თუ იმ წევრის ან მთელი შემადგენლობის მხრიდან მიუტევებელი თავის ქება იქნებოდა, საკუთარი თავისთვის მიეწერა 1885 წლიდან საქმეების გაუმჯობესება. ამიტომაც, მიუხედავად თავადი მაჩაბლის დიდსულოვანი აღტყინებისა, რომელიც თავისი ახალი რწმენის საპირისპიროდ, 1891 წლის საერთო კრებას არწმუნებდა, რომ ბანკის წარმატებებში თანაბარად მონაწილეობდნენ მისი ამხანაგები მმართველობაში (იხ. 1891 წ. 21 მაისის „Новое Обозрение“ N2549) და თუ რამე შეცდომებს ჰქონდა ადგილი, ეს ხდებოდა სხვადასხვა პირობების გამოისობით, მმართველობა ბანკის საქმეების წარმატებას საკუთარ დამსახურებად ვერ ჩათვლის. ამის შემდეგ კიდევ უფრო მიუტევებელია თავადი მაჩაბლის მიერ აღნიშნული გაუმჯობესების მხოლოდ საკუთარ თავზე მიწერა, როგორც ამას ახლა სჩადის თავის ბარათში, მით უფრო, რომ ხედავდა, ზარა-

ლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საქალაქო ქონებას მოჰქონდა და ცდილობდა მათზე გაცემული სესხების რაოდენობის გაზრდას და მხარს უჭერდა საერთო კრებაზე ერთ-ერთი წევრის წინადადებას ქალაქის ქონებაზე 75% ოდენობის სესხის გაცემის თაობაზე ნაცვლად 60%-სა, რასაც ჰქონდა და აქვს პრაქტიკა ჩვენს ბანკში (იხ. 1891 წლის 26 ივლისის „Новое Обозрение“-ს N2582-ში დაბეჭდილი მისი წერილი). აქ აშკარა უცნაურობასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც თავად მაჩაბელს, როგორც მმართველობის წევრს, მოუწია, როგორც თავად აღნიშნავს თავისი ბარათის მე-4 გვერდზე, ჩაღრმავებოდა საკუთარ პირდაპირ მოვალეობებსა და თავისი, როგორც შემფასებლის, შეცდომებს და მკაცრი კონტროლი დაეწესებინა შემფასებელი კომისიის საქმიანობაზე. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმის კარგად გარკვევა, რომ თუ საქალაქო ქონებათა ღირებულების 60% ოდენობით სესხის გაცემა არ აღმოჩნდა შესაძლებელი ამ ქონებებზე, მაშინ 75% მით უფრო ვერ იქნებოდა შესაძლებელი შეფასების ერთსა და იმავე პირობებში. საიდან ჩანს, რომ მან დააწესა კონტროლი შემფასებელ კომისიაზე? თერთმეტი წელი მმართველობის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში ბანკის საქმეებში არ მოიპოვება არა თუ წერილობითი, არამედ რაიმე კვალიც კი მაჩაბლის მცდელობისა, შეხებოდა მაინც შეფასებების საკითხს. ასეთი რამ რომ ყოფილიყო, მაჩაბელს, მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობიდან გამომდინარე, არ დაავიწყდებოდა მიეთითებინა თავის ბარათში.

თუმცა სამაგიეროდ, იმის გასარკვევად, თუ რა დონეზე იყო ჩახედული თავადი მაჩაბელი დათვალიერებებისა და შეფასებების ამოცანებში, ამისათვის ბანკის საქმეებში არსებობს ორი საკმაოდ სახასიათო შემთხვევის დოკუმენტური კვალი. ერთი საქმის მიხედვით, შემფასებელმა, აღწერა და შეაფასა რა გირაო, არსებული დოკუმენტების მიუხედავად, საქმეში შეიტანა გასხ-

ვისებული ნაწილიც, ე.ი. ის ნაწილი, რომელიც უკვე აღარ მიეკუთვნებოდა აღწერილ და შეფასებულ მამულს. შემფასებელმა კომისიამ, რომელმაც ამ შეფასებაზე თავისი დასკვნა მისცა, არ გაასწორა აღნიშნული შეცდომა და თავის შეფასებაში შეიტანა ყველაფერი ის, რაც აღწერილი იყო შემფასებლის მიერ და მმართველობაში საქმე ამ სახით წარმოადგინა. მმართველობამ, ნახა რა კომისიის დასკვნის განხილვისას ეს შეცდომა, ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ ეს იყო როგორც წარმოებული შეფასების, ისე შემფასებელი კომისიის დაუდევრობა. თავის აზრზე დარჩა თავადი მაჩაბელი, რომელიც მართალია ეთანხმება დადგენილებას, თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს არ არის შემფასებელი კომისიის დაუდევრობა, ვინაიდან მას შედარებისათვის ხელთ არ აქვს დოკუმენტები (იხ. 1893 წლის საქმე N564 და მასში არსებული 1894 წლის 27 აპრილის მმართველობის რეზოლუციის ასლი, N5). იმავე 27 აპრილს მმართველობამ განიხილა შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საქმეც (იხ. საქმე N335),სადაც მან აღმოაჩინა, რომ მამულის აღწერაში მითითებებული საზღვრები არ ემთხვევა დოკუმენტურ მითითებებს და ეს განსხვავება არ არის ცხადყოფილი დათვალიერების აქტში. ამიტომაც მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება მიეთითებინა ამ დაუდევრობაზე, როგორც შემფასებლისათვის, ისე თავად კომისიისათვის და შესთავაზა კომისიას, გაერკვია აღნიშნული განსხვავების მიზეზი. თავადმა მაჩაბელმა, მოაწერა რა ხელი ამ გადაწყვეტილებას, სიტყვა წამოსცდა, რომ შემფასებელი კომისია აქ არაფერ შუაშია და ამისათვის წინა საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული თავისი მოსაზრება დაიმოწმა (იხ. დანართი N6). ამ ორი შემთხვევიდან, რომლებიც წარმოადგენენ თავადი მაჩაბლის ორიგინალურ მოსაზრებას შეფასებათა ამოცანებთან და ამ შეფასებებში შემფასებელი კომისიის როლთან დაკავშირებით, ჩანს, რომ ეს უკანასკნელი

მამულის შეფასებისას არ არის ვალდებული შეუდაროს რეალური საზღვრები საკუთრების შესახებ დოკუმენტების მითითებებს.და ისმის კითხვა: როგორ დავარწმუნოთ შემფასებელი ან შემფასებელი კომისია იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში ფასდება ეს რომელიმე კონკრეტული და არა სხვა მამული და რატომღა ავალდებულებს შეფასების ინსტრუქცია კომისიას საკუთრების დოკუმენტების გადაცემას?

ბანკის საქმეებისათვის საბედნიეროდ, მისი განსხვავებული მოსაზრება მმართველობის უმრავლესობამ მხედველობაში არ მიიღო. თორემ შეიძლება ისეთი მამულის შეფასებასთან გვქონოდა საქმე, რომლის მფლობელსაც არც კი უფიქრია მისი დაგირავება. სწორედ ასეთი შემთხვევები შეიძლება გახდეს სამართლიანი საფუძველი გულგრილობასა და დაუდევრობაში მმართველობის დასადანაშაულებლად. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევებისათვის გასაქანის მიცემას ცდილობს თავადი მაჩაბელი, ადამიანი, რომელიც თავის დამსახურებად თვლის ბანკის საქმეებში ახალი წესრიგის შეტანას, რომლის წყალობითაც ბოლო მოეღო გულგრილობასა და დაუდევრობას.

ამდენად, გამოირკვა რა ზარალის ჭეშმარიტი მიზეზები, და ასევე, მითითებულ იქნა, თუ რის გამო გაუმჯობესდა ბანკის საქმეები 1885 წლის მერე, არ შეიძლება არ ვაღიაროთ მანუგეშებლად ის ფაქტი, რომ ბანკის არსებობის მანძილზე ზარალთან შედარებით მოგების უპირატესობა 1895 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 1.275.000 და 1895 წლის 1 ივლისისათვის ბანკზე ირიცხება მხოლოდ 66000 მანეთის ღირებულების სამი მამული, რომელთაგან ერთი, კერძოდ, ზიალოვის 32000 მანეთის ღირებულების საქალაქო ქონება ბანკის საკუთრებაში რჩება არა იმის გამო, რომ მისი ღირებულება არ

შეესაბამება გაცემულ სესხს, არამედ ბანკსა და ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას შორის მიმდინარე სასამართლო პროცესის გამო, როგორც ეს თქვენთვის კარგად არის ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ზარალისა, ბანკის თერთმეტწლიანი არსებობის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი ისეთი წელი, რომ მოგებას არ გადაეჭარბებინა ზარალისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1884 წელი, როდესაც ზარალის დაფარვის შემდეგ არ იყო მოგება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბანკს არ დასჭირვებია დახმარებისათვის მიემართა ძირითადი, ან მით უფრო, სათადარიგო კაპიტალისათვის.

ზარალის საკითხის შემდეგ სხვა ფაქტებზე გადასვლისას, რომლებსაც თავადი მაჩაბელი იყენებს გულგრილობასა და დაუდევრობაში საკუთარი წევრების დასადანაშაულებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვემოაღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა მმართველობის შემადგენლობაში მისი ყოფნის პერიოდში და მდგომარეობდა იმაში, რომ მისმა თანაწევრებმა გაბედეს არ დასთანხმებოდნენ მაჩაბლის ცალკეულ მოსაზრებებს, რომელთაც იგი, ისევ და ისევ, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით, თავდაჯერებულად და ყოველგვარი განხილვის გარეშე მიიჩნევს ურყევად (იხ. მისი ბარათის 1-ლი გვ.). ვტოვებთ რა საკუთარი მოსაზრებების შეუმცდარობასა და ურყევობაში რწმენას მისსავე პასუხისმგებლობაში, ყურადღებას შევაჩერებთ კრედიტის გაიაფების საკითხზე.

თავადი მაჩაბელი მიუთითებს, რომ მან და მისმა ახლადშემოღებულმა წესმა გადაარჩია ბანკი გარდაუვალი დაღუპვისაგან. იგი თავის ბარათში ირწმუნება, რომ ბანკს შემდგომშიც ემუქრებოდა კიდევ სხვა საფრთხეც, კერძოდ, 1890 წელს, როდესაც 6 %-იანმა საგირავნო ფურცლებმა მიაღწია alpari-მდე, მმართველობამ, რომლის წევრადაც ამჯერად მიიჩნევს საკუთარ თავს მაჩაბელი,

არ იზრუნა 5%-იანი საგირავნო ფურცლების გამოშვებაზე და აქვე თავისი რწმუნებისავე უარსაყოფად განაგრძობს, რომ მმართველობამ ზუსტად 1890 წელს საერთო კრებას წარუდგინა მოხსენება აღნიშნულ გამოშვებაზე ნებართვის გამოთხოვების შესახებ. მაშ, და ისმის კითხვა, რაღაში მდგომარეობს დაუდევრობა. იმაში, რომ თავადი მაჩაბლის აზრით, მმართველობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მაჩაბელი ორ სხვა წევრთან ერთად, ვერ მიიღო დროული ზომები საერთო კრების დავალების შესასრულებლად, რის გამოც შეფერხდა სესხების გაცემა 5%-იანი ფურცლებით. ამ შეფერხებამ კი თითქოს გამოიწვია ის, რომ ჩვენთან არა მხოლოდ ახალი მსესხებლები აღარ მოდიოდნენ, არამედ ძველებმაც მასობრივად და იწყეს სხვა საკრედიტო დაწესებულებებში გადასვლა.

5%-იანი ფურცლებთან დაკავშირებული საქმე კი შემდეგნაირად იყო: 5%-იანი საგირავნო ფურცლების საკითხი წამოჭრა მმართველობის ყოფილმა წევრმა, თავადმა ჩელოკაევმა 1890 წელს. მმართველობამ მიიჩნია, რომ მისი წინადადება დროული იყო და შეადგინა მოხსენება, რათა საერთო კრებისაგან გამოთხოვნილი ყოფილიყო ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის სანქცია სესხთა 5%-იანი ფურცლებით გაცემის ნებართვასთან დაკავშირებით. ეს მოხსენება შეიტანა საერთო კრებაზე 1890 წელს. საერთო კრებამაც დაამტკიცა მმართველობის წარდგინება 1890 წლის 10 აგვისტოს N2088-ით. მმართველობამ სხვა საკითხებთან ერთად, რომლებიც წესდების ცვლილებებს შეეხებოდა, ამ საკითხზე შუამდგომლობაც გააგზავნა სამინისტროში. ვერ იღებს რა პასუხს ამ შუამდგომლობაზე, 1891 წლის 12 მარტს იგი საკრედიტო კანცელარიას სთხოვს, დაჩქარონ ეს საქმე. ამასთან, 14 მარტს ბანკის ერთ-ერთ წევრს, რომელიც იმჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა,

დეპეშით საგანგებოდ ეუწყა, რომ პირადად ეშუამდგომლა ამ საკითხისთვის. 13 აპრილს ისევ მიმართეს დეპეშით ბატონ მინისტრს და სთხოვეს 5%-იანი ფურცლების გამოშვების ნებართვასთან დაკავშირებული საქმის დაჩქარება. მმართველობამ ისარგებლა ერთ-ერთი წევრ-მსესხებლის პეტერბურგში გამგზავრებით და 1891 წლის 17 აპრილის N1228-ით უფლებამოსილება მიანიჭა მას, ეშუამდგომლა სამინისტროში ნებართვასთან დაკავშირებით. 1891 წლის 16 მაისს მმართველობა ტელეგრამას უგზავნის საკრედიტო კანცელარიის დირექტორს და სთხოვს შეატყობინოს, ნებადართულია თუ არა 5%-იანი ფურცლების შესახებ შუამდგომლობა. ამავდროულად, მოდის დეპეშა ზემოხსენებული წევრ-მსესხებლისაგან, რომელიც იუწყება, რომ 5%-იანი ფურცლების გამოშვება ნებადართულია და განკარგულება გამოცემის თაობაზე მინისტრის ხელმოწერას ელოდება. 5%-იანი ფურცლების გამოცემაზე ნებართვის შესახებ ცნობა დასტურდება სხვა ცნობებითაც, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებას სხვა პირებმა მიაწოდეს, რაც მტკიცდება ბანკის სამქმეებში არსებული 1891 წლის 21 მაისისა და 11 ივლისის დეპეშებით.

ამგვარად, უეჭველია, რომ ნებართვა ჯერ კიდევ 1891 წლის მაისში უნდა ყოფილიყო მიღებული, თუმცა თავადი მაჩაბელი, მიუხედავად ამ აშკარა მტკიცებულებებისა, თავისი ბარათის მე-6 გვერდზე ირწმუნება, რომ ნებართვა მოვიდა მხოლოდ 1891 წლის 18 ივლისს, ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც თითქოსდა, საიდანღაც გაჩენილი დეპეშა საზეიმოდ იქნა ნაჩვენები ამომრჩეველთათვის. იმ მიზეზთა ერთფეროვნება, რომელთა გამოც ხდება ეჭვის შეტანა მმართველობის თანაწევრების ამა თუ იმ ქმედებაში, აქ წარმოჩინდა მთელი თავისი სიშიშვლით, ვინაიდან მაჩაბელმა ზუსტად არ მიუთითა ნებართვის მოსვლის ზუსტი დრო და საჭიროდ მიიჩნია ამის შესახებ პირველი ტელეგრამა საიდანღაც

გაჩენილად მიეჩნია, მაშინ, როცა „Новое Обозрение“-ს 1891 წლის 23 ივლისის N2579-ში დაბეჭდილ თავის წერილში იგი აღიარებს, რომ ეს ტელეგრამა იყო წევრმსესხებლისგან, რომელსაც თავად მმართველობამ მიანიჭა უფლებამოსილება, მიეხედა 5%-იან ფურცლებთან დაკავშირებული საქმისათვის.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მმართველობა 5%-იანი ფურცლების გამოცემაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით გულხელდაკრეფილი არ იყო და მის შეფერხებაში ბრალი არ მიუძღვის. თუმცა თავადი მაჩაბელი ამ შეფერხებაში ახალ საყრდენ წერტილს პოულობს, რათა დაადანაშაულოს თავისი თანაწევრები, ამბობს რა, რომ 6%-იანი სესხების კონვერსიის შეფერხების მიზეზიც სწორედ ეს გახდა და ირწმუნება, რომ ჩვენი 5%-იანი ფურცლების კურსი 1891 წლის აგვისტოში არ დაცემულა და ამდენად, თითქოს, ხელი შეუწყო კონვერსიას. თავისი რწმუნების დასამტკიცებლად კი, მიუხედავად აშკარა ფაქტებისა, იგი იმოწმებს ბირჟის თანამედროვე ბიულეტენებს (იხ. ბარათის მე-7 გვ.). აღარ დასჭირდებოდა მას ტყუილად ბიულეტენების დამოწმება, თუ გაიხსენებდა იგი, რომ 1891 წლის 16 სექტემბრამდე 5%-იანი ფურცლები ჯერ კიდევ არ იყო გაცემული სახელმწიფო ქაღალდების მომზადების ექსპედიციიდან. ამდენად, ვერ გვექნებოდა საუბარი 5%-იანი საბირჟო ბიულეტენებში ფურცლების კურსის დაწევისა ან აწევის შესახებ (იხ. ცნობა ამ ექსპედიციის შესახებ, 1891 წლის 18 სექტემბერი, N07279). და თუ იმ პერიოდში იყო ლაპარაკი კურსის ვარდნაზე, ეს სულ სხვა ბანკების საგირავნო ფურცლებს შეეხებოდა. ამის დასამტკიცებლად კი სულაც არ იყო საჭირო თავად მაჩაბელს ჩვენთვის მიეთითებინა ბიულეტენებზე მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი ავტორიტეტული დოკუმენტი, როგორიცაა საკრედიტო კანცელარიის 1891 წლის 16 სექტემბრის N12019 წერილობითი ცნობა, რომელშიც მითითე-

ბულია, რომ „არსებულ ეკონომიკურ და ფინანსურ ვითარებაში კონვერსია არ არის დროული“. ამიტომაც, ბატონი მინისტრი ჩვენს მმართველობას უარს ეუბნება ამ საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობაზე. თავადმა მაჩაბელმა ამჯობინა დაევიწყებინა ეს ცნობა და, ამასთანავე ისიც, რომ ჩვენი ახალი შუამდგომლობა, როგორც საკრედიტო კანცელარია 1892 წლის 13 მაისის N5751-ით იუწყება, არ იქნა შეწყნარებული შემდეგ საფუძველზე: „ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის 5%-იანი ფურცლების თანამედროვე საბირჟო ფასს ჯერ არ მიუღწევია თავისი ნომინალური ღირებულებისათვის. ამიტომ 6%-იანი სესხების 5%-ად კონვერსია მსესხებელთათვის ხელსაყრელი პირობებით ვერ მოხერხდება“. იმავე საკითხთან დაკავშირებით მმართველობის მესამე შუამდგომლობაზე, საკრედიტო კანცელარია 1893 წლის 11 მაისის N6389-ით იუწყება: „იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დადგენილი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის 5%-იანი საგირავნო ფურცლების საბირჟო ფასი, ბატონმა მინისტრმა კონვერსია ნაადრევად მიიჩნია“ და ამ უკანასკნელის მხოლოდ ნაწილობრივ წარმოების ნებართვა გასცა, ისაც გარკვეულ შემზღუდველ პირობებში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დიდი უსამართლობა იქნებოდა 5%-იანი ფურცლების გამოცემაზე ნებართვის შეფერხებაში გვეძებნა და გვეპოვა კონვერსიის შეფერხების მიზეზი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არანაირ ლოგიკაში არ ჯდება აშკარა სიმართლიდან ასეთი გადახვევა სიცრუეში სხვის დასადანაშაულებლად. მიუხედავად ამისა, თავადმა მაჩაბელმა საკუთარი თანაწევრებისათვის ბრალის დადების საფუძვლად სწორეს ეს გარემოება აირჩია და ირწმუნება, რომ იგი, მიღებული ზარალის გარდა, სხვა საფრთხეს არ შეიცავდა ჩვენი ბანკისათვის, ვინაიდან, მისი აზრით, 5%-იანი ფურცლების გამოშვების შეფერხების გამო „არა მხოლოდ

ახალი მსესხებლები აღარ გამოჩენილან, არამედ ძველებმაც მასობრივად დაიწყეს იმ საკრედიტო დაწესებულებებში გადასვლა, სადაც სესხი გაიცემოდა 5%-იანი ფურცლებით“. სხვა საკრედიტო დაწესებულებებში მსესხებელთა გადასვლას, ალბათ, ეს გარემოებაც უწყობდა ხელს. თუმცა მსესხებელთა გადასვლის ასეთ შემთხვევებს საკრედიტო დაწესებულების არსებობის ყველა პერიოდში ჰქონდა და აქვს ადგილი და იმის გამო, რომ იმავე რაიონში მოქმედებს მეორე ასეთივე დაწესებულება. ახალი მსესხებლების გამოჩენა და, აქედან გამომდინარე, სესხის გაცემის შემცირება ნამდვილად ვერ იქონიებდა გავლენას ბანკის საქმეებზე, ეს რომ მოცემულ შემთხვევაში სრულ სიცრუეს არ წარმოადგენდეს. 1890 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ წელს 237 მხოლოდ გრძელვადიანი სესხი გაიცა 1.340.200 მანეთის ოდენობით, ხოლო 1891 წელს, 5%-იანი ფურცლების გამოშვებამდე, 143, 723.500 მანეთის ოდენობით. თუ ამ ციფრებს შევადარებთ წინა წლების მონაცემებს, 1875 წლიდან 1890 წლამდე, აღმოჩნდება, რომ მთელი 15 წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი წელი, რომელიც სესხთა რაოდენობის მიხედვით შეედრება 1890-1891 წლებში გაცემულ სესხებს, ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც წამოიჭრა 5%-იანი ფურცლების გამოშვების საკითხი და შესრულდა კიდეც. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1881 წელი, როდესაც სესხთა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდთან შედარებით მეტია, თუმცა ჩამორჩება თანხის ოდენობით. 1875-1891 წლების ანგარიშების შედარებით ამაში დარწმუნება ადვილია. მაშ, სად არის ახალი მსესხებლების არგამოჩენის ფაქტი, რომლის მიზეზიც 5%-იანი ფურცლების გამოცემის შეფერხება გახდა და რაზეც მიუთითებს ბარათის ავტორი.

რა თქმა უნდა, 6%-იანის მაგივრად 5%-იანი ფურცლებით გაცემული სესხის კრედიტის გაიაფებას ამ უკანასკნელთათვის ხელსაყრელი კურსით მსესხებელ-

თა მიზიდვის მნიშვნელობაც აქვს. მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ თავადი მაჩაბელი ენერგიულად აღუდგა წინ 1891 წლის საერთო კრებაზე მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წინადადებას მმართველობის შესატანისდა სხვა ხარჯების 1/2%-ით შემცირების აუცილებლობის შესახებ (იხ. 1891 წლის 19 და 25 მაისის „Новое Обозрение“, N2547 და 2581). მიუხედავად იმისა, რომ წინადადება მიღებულ იქნა საერთო კრების მიერ (იხ. 1891 წლის 22 მაისის დადგენილება), თავადი მაჩაბელი მომდევნო სხდომაზევე დაჟინებით მოითხოვდა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დადგენილი გადაწყვეტილების გადახედვას მისი შეცვლის მიზნით (იხ. 1891 წლის 22 მაისის „Новое Обозрение“, N2550). ის, თუ რამდენად გულწრფელად ზრუნავს იგი კრედიტის შემცირებაზე, ხოლო აქედან გამომდინარე, ახალი მსესხებლების მიზიდვასა და ძველების შენარჩუნებაზე – ეს ნათქვამიდან ნათლად ჩანს, ვინაიდან კრედიტის გაიაფებასა და მსესხებელთათვის ტვირთის შემსუბუქებაზე მზრუნველი ადამიანი არ გაგვიწევდა წინააღმდეგობას იქ, სადაც ჩვენ, წესდებით მონიჭებული უფლებით, გვქონდა კრედიტის სწრაფად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე გაიაფების პირდაპირი შესაძლებლობა. დაბოლოს, ყოფილა კი ოდესმე მაჩაბლის მხრიდან რაიმე სახის შემოთავაზება იმის შესახებ, რომ მიღებული ყოფილიყო ესა თუ ის აუცილებელი ზომა 5%-იანი ფურცლების გამოცემის ნებართვის მიღების დასაჩქარებლად, ან კონვერსიის შესახებ და ამის რა დამამტკიცებელი საბუთი არსებობს? ამ ყოველივეზე პასუხის გაცემა თავადი მაჩაბლისათვის მიგვინდვია იმიტომ, რომ მმართველობას ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი ცნობა არ გააჩნია.

შემდგომ, თავადი მაჩაბელი ბარათის მე-7 გვერდზე მიუთითებს, რომ მმართველობას ბანკის არსებობის მანძილზე არ გააჩნდა ინსტრუქცია და მოჰყავს საქმეთა

წარმოებაში არსებული უწესრიგობის მაგალითები, რის მიზეზადაც ინსტრუქციის არქონას მიიჩნევს და იქვე დასძენს, რომ დანარჩენი მიზეზების ჩამოთვლისაგან თავს შეიკავებს მათი სიმრავლის გამო. როგორც ჩანს, მოყვანილი მაგალითები, სულ მინიმუმ, ისეთი მნიშვნელოვანი იქნება ბანკისათვის, რომ დაიმსახურებენ სერიოზული მკვლევრის ყურადღებას. ეს მაგალითები კი მდგომარეობს შემდეგში:

1) თავადი მაჩაბლის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქცეოდნენ მსესხებლებს საჯარო ვაჭრობამდე, რომელთაც არ ჰქონდათ დაფარული ყველა გადასახადი, მმართველობამ, მაჩაბლისვე თქმით, გადაწყვიტა არ ეპატიებინა არც ერთი კაპიკი არავისათვის. რაში მდგომარეობს აქ პრობლემა? იმაში, რომ თავადი მაჩაბელი, როგორც მორიგე წევრი, კი იცავდა ამ წესს, მაგრამ მისმა ორმა თანაწევრმა არ გამოიყენა ეს წესი ორი მსესხებლის მიმართ, რომელთაც, როგორ თავად აღნიშნავს, დარჩენილი ჰქონდათ გარკვეული გადასახადი, რაც თითქოს მაჩაბელს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა, ვინაიდან იგი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ არ პატიობდა რამდენიმე მანეთსაც კი მაშინ, როცა დანარჩენმა ორმა წევრმა ორ შემთხვევაში ეს დაუშვეს (იხ. მისი ბარათის მე-8 გვ.). ამ ყოველივეს ახსნა მოცემულ შემთხვევაში შეიძლება იმ გარემოებით, რომ აქ საკითხი შეეხებოდა, როგორც ამას თავად ბარათის ავტორი ამტკიცებს, კონკრეტული დავალიანების პატიებას. ამ დავალიანების გამო კი მმართველობამ არ ჩათვალა საჭიროდ, ამ ორ მსესხებელს მიეღო ვაჭრობის გამანადგურებელი შედეგები. ზოგად კითხვაზე – აპატიოს თუ არა მსესხებელს ვადიანი გადასახადის დარჩენილი ნაწილი მაინც – მმართველობის პაუხი იყო ის, რაც მან მაჩაბელს უპასუხა, ყველა დავალიანება მთლიანად იქნას დაფარული, ვინაიდან წესდების მოთხოვნებიდან გამომდინარე გამო, ეს საკითხი განხილვას ვერ

დაექვემდებარება. მიუხედავად ამისა, თავადმა მაჩაბელმა, წინა წლების პრაქტიკის დამოწმების საფუძველზე, 1895 წლის 13 იანვარს მმართველობაში სწორედ ეს საკითხი წამოჭრა და შესთავაზა გადაეწყვიტათ: მსესხებლისაგან დავალიანების სრულად დაფარვას მოითხოვდნენ თუ განსაზღვრავდნენ დარჩენილი გადასახადის იმ მინიმუმს, რომლის გამოც მამული არ გაიყიდებოდა. ვინაიდან წინადადების პირველი ნაწილი, რომელიც წესდებით დადებითად გადაწყდა, აღარ საჭიროებს ხელახალ დამტკიცებას, განსაკუთრებით მმართველობის მხრიდან, მეორე ნაწილი კი შეიცავს წესდების საწინააღმდეგო წესის დადგენის მოთხოვნას, საპატიო დავალიანების ნებისმიერი მინიმუმის შემთხვევაში, მმართველობამ უმრავლესობით სამი ერთის წინააღმდეგ დაადგინა, განხილვის გარეშე დაეტოვებინა თავადი მაჩაბლის წინადადება (იხ. შენიშ. N7). განსხვავებულ აზრზე დარჩა თავადი მაჩაბელი. ამდენად, წამოჭრის რა ასეთ წინადადებას და შემდგომ რჩება თავის აზრზე, მას მიაჩნდა და მიაჩნია, რომ მმართველობას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ან არ მოეთხოვა ვადიანი გადასახადების სრულად დაფარვა და თვითნებურად დაედგინა რაიმე ახალი შეღავათი საპატიო დავალიანების მინიმუმის სახით. მმართველობის ძალაუფლების საზღვრებზე ასეთი თვალსაზრისი არ შეესაბამება მისსავე რწმუნებას, რომ მმართველობის შემადგენლობაში შესვლისთანავე ჩაწვდა საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების დეტალებს.

2) საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ერთი წევრ-დამფუძნებლისათვის წინასწარ განკუთვნილი დახმარების გაცემას არა ექსტრაორდინალური (&28), არამედ სამეთვალყურეო კომიტეტის განკარგულებაში არსებული საერთო სარგებლის კაპიტალიდან, სამეთვალყურეო კომიტეტისა, რომელიც წესდების მიხედვით (&81, პუნქტი 6) წარმართავს, ზოგადად, შემწეობების საქმეებს. ეს კი მოხდა შემდეგი გარემოებების გამო. ზემოხსენებულ

წევრ-დამფუძნებელს სამეთვალყურეო საბჭომ დაუმტკიცა დახმარება 100 მანეთის ოდენობით. ხოლო რადგანაც საამისოდ არ აღმოჩნდა საკმარისი ექსტრაორდინალური კაპიტალი, სამეთვალყურეო კომიტეტის განკარგულებაში კი იყო საერთო სარგებლის კაპიტალი 34 მანეთისა და 40 კაპიკის ოდენობით, მმართველობამ იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა სოფლიდან ჩამოსული პირი, რომელსაც ესაჭიროებოდა დახმარება, გასცა აღნიშნული 34 მან. და 40 კაპ., თანხა, რისი განკარგვაც სამეთვალყურეო კომიტეტს შეეძლო. ხოლო იმ ფაქტს, რომ საერთო სარგებლის ხარჯზე გაცემული მთელი ეს ფული დროულად იქნა დაბრუნებული ექსტრაორდინარული კაპიტალიდან, მოწმობს ჩანაწერი საბუღალტრო წიგნში (იხ. Оборотный мемориал-ის 1895 წლის 21 ივლისის ჩანაწერი, გვ. 108). თუმცა ის, რომ თავადი მაჩაბელი მმართველობის ამ განკარგულებაში ხედავს რაღაც უკანონობას, რადგანაც ორი წევრი აუქმებს მის ერთპიროვნულ განკარგვას, ეს მხოლოდ ბარათის ავტორის გაუგებრობის გამო ხდება, ვინაიდან, ჯერ ერთი, არაფრის გაუქმება არ იყო საჭირო, რამდენადაც ერთპიროვნული განკარგვა თავისთავად უკანონოა, რაც უნდა სწორი იყოს იგი, და აღსრულებას არ ექვემდებარება, და მეორეც, დახმარების გაცემის შესახებ განკარგულებაში სამივე წევრი თანაბრად მონაწილეობდა, ვინაიდან ეს განკარგულება მოჰყვა უმრავლესობის გადაწყვეტილებას ორი ერთის წინააღმდეგ, როგორც ამას თავადი მაჩაბელიც მიუთითებს. ამდენად გასაოცარია ის, თუ რატომ უკვირს მაჩაბელს, რომ მის შეკითხვას – რატომ დაუშვა მმართველობის ორმა წევრმა ასეთი უკანონობა, გაბედა, საკუთარი აზრი ჰქონოდა ამ საქმესთან დაკავშირებით – დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გაეცა. ნუთუ იგი ფიქრობს, რომ კოლეგია, რომელმაც საქმე გადაწყვიტა ხმათა უმრავლესობით, ვალდებულია უმცირესობაში მოხვედრილ წევრს ანგარიში ჩააბაროს?

აღარაფერს ვამბობთ მესამე საკითხზე ბნ. სულხანოვის სამსახურში მიღებისა და ბუხჰალტრის დამხმარედ მისი დანიშვნის შესახებ, რომლის ხელფასიც თვეში ას მანეთს შეადგენს მაშინ, როდესაც ბევრად ნაკლებს იღებენ ის დამხმარეები, რომლებიც წლებია იქ მუშაობენ. შესაძლოა, ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ოქმის შედგენის გარკვეული აუცილებლობა არსებობს, თუმცა ბრალის დასადებად მხოლოდ ამ უმნიშვნელო ფაქტზე მითითება საკმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად მწირი და უმნიშვნელოა წყარო, საიდანაც თავადი მაჩაბელი მოიპოვებს მტკიცებულებებს საკუთარი თანაწევრების წინააღმდეგ. მონაცემები, რომელთაც იგი მიმართავს, ფაქტობრივად, არაფრის მთქმელია.

სხვა ვითარებაში იჩენს თავს მე-4 საკითხი რაიონებში მმართველობის წევრთა ვიზიტების მოწესრიგებისა და მონაცვლეობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1893 წლის 18 ნოემბერს მის მიერ გაკეთებული წერილობითი შეთავაზება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იმდენად თავისებურია, რომ შეუძლებელი იყო მისი გადაწყვეტა. თვალსაჩინოებისათვის მას თან ერთვის ამ შეთავაზებისა და მმართველობის გადაწყვეტილების ასლი (იხ. დანართები №8 და №9). მართალია, თავადი მაჩაბელი ირწმუნება, რომ ვიზიტების რეგულირებასთან დაკავშირებით მისი წინადადება განიხილეს განცხადებიდან ოთხი თვის შემდეგ, მაგრამ დართული დოკუმენტებიდან (დანართები №8 და №9) ჩანს, რომ იგი განცხადების ჩაბარებიდან მეორე დღესვე იქნა განხილული. ამასთან დაკავშირებით შედგენილ მმართველობის ოქმში გადმოცემულია მოტივები – თუ რატომ მიიჩნია მმართველობამ შეუძლებლად მისი მოთხოვნების გადაწყვეტა. მმართველობა ვერ გაერკვა ამ მოთხოვნებში და თავად მაჩაბელს მიანდო მის მიერვე მოთხოვნილი ვიზიტების რეგულირების პროექტის მომზადება და მმართველობისათვის განსახილველად წარდგენა. თავადი მაჩაბლისათვის არ იყო

სასურველი ამ უფლებით სარგებლობა და პროექტი ამ დროში არ იქნა წარმოდგენილი.

შეფასების ინსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით თავადი მაჩაბელი ირწმუნება, რომ 1875 წელს ინსტრუქცია გაუქმდა და შეიცვალა მმართველობის მიერ შეთავაზებული ინსტრუქციით, რომელიც 1878 წლის 25 აპრილს დაუმტკიცდა ხელმძღვანელობას საერთო კრების მიერ. მმართველობამ კი არ იზრუნა გაეცნო იგი შემფასებელი კომისიისათვის და ეს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა 1875 წელს გაუქმებული ინსტრუქციით. ყველაზე მეტად თავად მაჩაბელს არ ეკადრება, ასე წინდაუხედავად მოეკიდოს სამართლიანობის მოთხოვნებს, ვინაიდან იგი, როგორც შემფასებელი, მოქმედებდა სწორედ 1878 წლის ინსტრუქციით და 1878 წლის 25 აპრილის შემდეგ სხვაგვარად არც ერთხელ არ შეფასებულა სოფლის მამულები. ქალაქის მამულებისათვის კი 1878 წელს არავითარი ახალი ინსტრუქცია არ ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ 1878 წლის ინსტრუქციის არსებითი და თვალშისაცემი განსხვავება 1875 წლის ინსტრუქციასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ პირველის მიხედვით სოფლის მამულების სუფთა წლიური შემოსავალი უნდა კაპიტალიზდეს არა ნაკლებ 6%-დან, ე.ი. მისი არა უმეტეს 16 2/3-ზე გამრავლებით (იხ. 1878 წლის ინსტრუქციის &29 I პუნქტი). ხოლო 1875 წლის ინსტრუქციით – 5%-დან, ე.ი. შემოსავლის 20-ზე გამრავლებით (იხ. 1875 წლის ინსტრ. &&35-41). ვიმეორებთ: 1878 წლის 25 აპრილის შემდეგ ყველა სოფლის მამულის ღირებულება, გამონაკლისის გარეშე, განისაზღვრებოდა შემოსავლის 16 2/3-ზე გამრავლებით. ამის დასტურად მოვიხმობთ 1878 წლის 25 აპრილიდან მოყოლებული ბანკის საქმეებში არსებულ ყველა შეფასებას, ხოლო თავად მაჩაბლის შემთხვევაში – საკუთრივ მის შეფასებებს თუნდაც 1882 წლის №№ 69,72,116,118 და ა.შ. საქმეებში, ხოლო შემფასებელ

კომისიაში მონაწილეობის პერიოდიდან 1881 წლის №№ 167,178,18,15 და ა.შ საქმეებში არსებულ შეფასებებს. ნუთუ ეს მონაცემები არ მოწმობს, რომ 1878 წლის ინსტრუქცია ფაქტობრივად დამტკიცების დღიდანვე მოქმედებდა? და როგორ მოხდებოდა ეს, თუ მას ზეპირად მაინც არ გააცნობდა მმართველობა შემფასებელ კომისიას შესრულების ინსტრუქციის მარტივად გადაცემის გზით? და ისმის კითხვა, რა ხასიათის შეიძლება იყოს ყოველივე ამის შემდეგ თავადი მაჩაბლის მტკიცება იმის შესახებ, რომ 1878 წლის ინსტრუქცია საქმეში არ გამოყენებულა 15 წლის განმავლობაში?

ამით ამოიწურება მოხსენებითი ბარათის ყველა ის მითითება, რომელიც, როგორც ბარათის ავტორი აღნიშნავს, ემსახურება მმართველობის მიერ საქმიანობაში გულგრილობისა და დაუდევრობის გამოვლენას, რამაც ბანკს მიაყენა საკმაოდ დიდი ზარალი. შემდეგ ბარათის ავტორი ჩამოთვლის შემთხვევებს, რომლებიც, მისი აზრით, მოწმობს იმას, რომ „მმართველობის წევრებს არ ესმით და არ იციან ისეთი მარტივი დებულებები, რომლებიც არ შეიძლება არ სცოდნოდათ თუნდაც იმ მომენტში, როდესაც პირველად შედგეს ფეხი დაწესებულებაში“. თავადი მაჩაბლის მითითებით, ეს შემთხვევებია:

1) საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობა. ამ საკითხზე რევიზიას წარედგინა დაწვრილებითი ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომლისთვისაც მმართველობას აღარაფერი აქვს დასამატებელი.

2) სესხის ვადამდელი დაფარვის წესი, რომელსაც ამჟამად იყენებს ჩვენი ბანკი, თავად მაჩაბელს არ მიაჩნია სწორად. ეს წესი მკაცრად თავსდება წესდების &31-ის მოთხოვნებში; წესდებისა, რომლის მიხედვითაც ბანკის უპირობო მოვალეობაა, ვადამდელ დაფარვაში მიიღოს სესხის ნაწილი არა უმცირეს ასი მანეთის ოდენობით და აუცილებლად მსხვილი ასმანეთიანებით. ეს წესი კი, მოწონებული თავადი მაჩაბლის მიერ და ამჟა-

მად გაუქმებული მმართველობის მიერ, მდგომარეობდა იმაში, რომ ვადამდელი დაფარვა უნდა მომხდარიყო არა მსხვილი ასიანებით. აქ აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ თავადი მაჩაბელი, რომელმაც არ სცნო ვადამდელი დაფარვის ამჟამად მოქმედი წესი, სიღრმისეულად არ გაეცნო და არ გაითავისა მისი არსი. მას მიაჩნია (იხ. მისი ბარათის გვ. 14), რომ ვადამდელ დაფარვაში წარმოდგენილი თანხა, ამ წესის მიხედვით, აკლდება როგორც საწყის კაპიტალურ სესხს, ისე მის ნაშთსაც და ვადიანი გადასახადი გამოითვლება პირვანდელ სესხს მინუს დაფარვაში წარმოდგენილი თანხა. თუმცა ეს ასე სულაც არ არის, ვინაიდან მმართველობის მიერ ამჟამად მიღებული წესი, რომელიც მოითხოვს ვადამდელ დაფარვაში არანაკლებ ასი მანეთის წარმოდგენას და ისიც მსხვილ ასმანეთიანებად, ამ თანხას აკლებს კაპიტალური სესხის ნაშთს. ვადიანი გადასახადები კი გამოითვლება თავდაპირველი სესხის იმ თანხიდან, რომელიც შეესაბამება ამ ახალ ნაშთს. ასე, მაგალითად, თავდაპირველი კაპიტალური სეხი არის 10 000 მანეთი 43 1/2 წელიწადზე და ვადამდელი დაფარვა 9 ნახევარწლის გასვლის შემდეგ – 1000 მან. ამ შემთხვევაში (დავანებოთ კაპიკებში დაანგარიშებას თავი) ვალის ნაშთი მე-10 ნახევარწლისათვის იქნება 9746 მან. აღნიშნული წესის მიხედვით 1000 მანეთი აკლდება 9746 მანეთს და ვიღებთ ნაშთს 8746 მანეთის ოდენობით. ეს ნაშთი, რომელიც შეტანილია თავდაპირველ სესხში, (10000X8746:9746=8973 მან.), შედაგენს 8973 მანეთს. აქედან გამოითვლება შემდგომი ვადიანი გადასახადები. როგორც ჩანს, თავადი მაჩაბელი ვერ მიხვდა რაშია საქმე, როდესაც ამბობს, რომ ამ წესის მიხედვით მსესხებელმა იმ თანხიდანაც უნდა გადაიხადოს, რომელიც უკვე დაფარა ვადიანი გადასახადებით და თითქოს შეუძლებელია ამქვეყნად რომელიმე ბუხჰალტერმა მოახერხოს ამ წესის საქმეში გამოყენება. თუ რამდენად სამართლიანია იგი

ამ შესაძლებლობის უარყოფაში, ეს კარგად ჩანს მოყვანილი მაგალითიდან, სადაც აღნიშნული წესის გამოყენება ძალზე მარტივია და საამისოდ სრულებით არ არის საჭირო მთელი სამყაროს ბუხჰალტრების მოწვევა. საკმარისია არითმეტიკის პირველი ოთხი მოქმედების ცოდნა და საგნების იმგვარად დანახვის უნარის ქონა, როგორებიცაა ისინი რეალურად.

ამგვარად, ვადამდელი დაფარვის ამჟამად მიღებული წესი ეფუძნება &31-ს, რომელიც მოითხოვს უპირობო დაფარვას მსხვილი ასიანებით, ხოლო უკვე გაუქმებული და თავადი მაჩაბლის მიერ ხელახლა რეკომენდებული წესი გამომდინარეობს, თითქოსდა, იქიდან, რომ ბანკს აქვს უფლება, არ მოითხოვოს ვადამდელი დაფარვა მსხვილი ასიანებით. ასეთი უფლება კი წესდებაში არ არის. ეს თავად საკრედიტო კანცელარიამაც განმარტა შემდეგ შემთხვევასთან დაკავშირებით.

1876 წლის 23 ოქტომბრის N6970 ბრძანებით ნიჟეგოროდი-სამარის საადგილმამულო ბანკი შევიდა სპეციალურ საკრედიტო კანცელარიაში 36-ე პარაგრაფის ახსნა-განმარტების წარდგინებით. აღნიშნული პარაგრაფი შეესაბამება ჩვენი წესდების &31-ს იმ მხრივ, რომ მისი მოთხოვნა – „არა ნაკლებ ასი მანეთისა და მსხვილი ასიანებით“ – შეეხება თავდაპირველი სესხის იმ ნახევარწლის შესაბამისი ნაშთის მსხვილ ასიანებს, როდესაც ხდება ვადამდელი დაფარვა. შუამდგომლობის საკითხის უკეთ გაგებისათვის ბანკის მიერ წარმოდგენილი მაგალითი კი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მსესხებელს სურს 12 ნახევარწელში დაფაროს აღებული თავდაპირველი 10000 მან.ოდენობის სესხი ანგარიშით 18 წელსა და 7 თვეზე 1000 მან., ვალდებულია შეიტანოს 787 მან. 20 კაპ., რაც შეესაბამება თავდაპირველი სესხის ნაშთს მე-13 ნახევარწელში და იგი ამჟამად ჩამოჭრილია მსესხებლის თავდაპირველი კაპიტალური სესხის ნაშთიდან, კონკრეტულად კი 7871 მან. 19 კაპიკიდან. ეს

მე-13 ნახევარწლისათვის მოგვცემს კაპიტალური ვალის ნაშთს 7083 მან. 99 კაპ. ოდენობით, რაც სავსებით შეესაბამება 9000 მანეთის ოდენობის თავდაპირველი სესხის მე-13 ნახევარწლის ვალს, რომელიც იფარება დადგენილი გადასახადებით 18 7/12 – წლიან ვადაში.

სპეციალურმა კანცელარიამ კი განმარტა, რომ ზემოხსენებულ წარდგენაში გადმოცემული სავარაუდო ანგარიში, რომლის მიხედვითაც ვალის მე-12 ნახევარწელში გადახდის მსურველ მსესხებელს, თავდაპირველად 10000 მანეთის სესხი 18 წელსა და 7 თვეზე 1000 მანეთის გადახდის ანგარიშით რომ აიღო, მოეთხოვება 787 მან. 20 კაპ. შეტანა, არ ეთანხმება &36-ს, სადაც ნათქვამია, რომ მსესხებლებს შეუძლიათ გრძელვადიანი სესხის ნაშთის ვადამდე დაბრუნება ნაწილ-ნაწილ, მსხვილი ასმანეთიანებით. ამასთანავე, განმარტებულია, რომ ამ წესით მიღებული ნაშთის გადახდა რომც არ მოხდეს ასეიანებით, ეს მაინც არ არღვევს წესდების &14-ს (რომელიც ეთანხმება ჩვენი წესდების &8-ს) და ა.შ. (იხ. საკრედიტო კანცელარიის პასუხი 1876 წლის 29 ნოემბრის ამ N16296 წარდგინებაზე).

ბუნებრივია, ასეთი ახსნა-განმარტების შემდეგ ორიდან ერთი რჩებოდა: ან &36-ის ზუსტ მნიშვნელობას დამორჩილება, რომელიც ასეთი კატეგორიულობითაა განმარტებული ფინანსთა სამინისტროს მიერ, ან მის შეცვლაზე შუამდგომლობის აღძვრა. სწორედ ეს უკანასკნელი წამოიწყო ნიჟეგოროდი – სამარის ბანკმა 1877 წლის 10 მარტს, საკრედიტო კანცელარიამ კი ეს შუამდგომლობა (N5985) გააგზავნა 1877 წლის 7 მაისს საადგილმამულო ბანკების წარმომადგენლების ყრილობათა კომიტეტში და სთხოვა მას, ეცნობებინა დასკვნა აღნიშნული ბანკის შუამდგომლობასთან დაკავშირებით. შუამდგომლობა გულისხმობდა წესდების &36-ის იმ გაგებით შეცვლას, რომ ვადამდელ დაფარვაში მრგვალი ასმანეთიანების გარდა სხვა ფულის მიღების უფლებაც

ყოფილიყო მინიჭებული. წარმომადგენელთა ყრილობამ არ ჩათვალა საჭიროდ ამ საკითხზე აღეძრა შუამდგომლობა და ახსნა იმით, რომ &36-ის მოთხოვნა უნდა იქნას გაგებული, როგორც ნიუგოროდი-სამარის ბანკის ზემოხსენებული წარმოდგინება.

თუმცა ბანკისათვის აუცილებელია არა ყრილობის ახსნა-განმარტება, არამედ ფინანსთა სამინისტროს მითითება, რომელიც სავსებით შეესაბამება წესდების პირდაპირ მნიშვნელობას და საქმეში გამოსაყენებლადაც ადვილია, მაშინ, როცა საკრედიტო კანცელარიის მიერ უარყოფილ წესს მივყავართ მსესხებლის იმ უფლებების დარღვევამდე, რომლებიც მას მინიჭებული აქვს წესდების &36-ით. ხოლო ჩვენი წესდების მიხედვით &31 მას ურთულებს მდგომარეობას, რისი აუცილებლობაც არ არსებობს. ასე, მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მსესხებელი, რომელმაც მოინდომა 43 1/2-წლიანი 10 000 მანეთის სესხიდან ვადამდე გადაიხადოს 1000 მან. მე-10 ნახევარწლისათვის, წარმოადგენს 1000 მანეთის ღირებულების საგირავნო ფურცელს. თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმას, რომ ამ ნახევარწლისათვის თავდაპირველი კაპიტალური სესხის თითოეული 1000 მანეთი 9 ნახევარწლის განმავლობაში ვადიანი დაფარებით შემცირდა 25 მან. 40 კაპ-ით და გახდა 974 მან. 60 კაპ., მაშინ, საკრედიტო კანცელარიის მიერ დაწუნებული წესის მიხედვით, მსესხებლისაგან უნდა მოეთხოვათ 974 მან. 60 კაპ. ნაღდი ფული, ან 900 მანეთის საგირავნო ფურცლები და 74 მან. 60 კაპ. ნაღდი ფულით, რომელთა მიღების შემდეგაც 10 000 მანეთს გამოაკლდებოდა 1000 მან., ხოლო 9000 მან. ნაშთიდან გადაიხდებოდა დადგენილი გადასახადი. პირველ შემთხვევაში, ნაღდი ფულის არქონის გამო, მსესხებელი იძულებული იქნება გაყიდოს საგირავნო ფურცელი, რაც ყოველთვის ვერ ხერხდება და დაკავშირებულია ზარალთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – გადაცვალოს იგი უფრო მცირეფასიან

ფურცლებზე და დაამატოს 74 მან. 60 კაპ. ნაღდი ფულით, რამაც ასევე შეიძლება გაურთულოს მსესხებელს საქმე. ცხადია, ბანკს არ აქვს უფლება, ამგვარი სირთულეები შეუქმნას მსესხებელს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში ბანკი იძულებულს ხდის მსესხებელს, ვადამდე დაფაროს სესხის ნაწილი მისთვის არასასურველი რაოდენობით, ვინაიდან ვადიანი გადასახადები დანარჩენ ნახევარწლებში იფარება მთელი 9000 მანეთიდან და არა 8973-დან, როგორც ეს უნდა ყოფილიყო მმართველობის მიერ ამჟამად მიღებული წესის მიხედვით. ეჭვგარეშეა, რომ წესდების მოთხოვნა აუცილებლად მსხვილი ასმანეთიანებით ვადამდელი დაფარვის შესახებ გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ საგირავნო ფურცლები, რომლითაც მსესხებელს აქვს უფლება დაფაროს სესხის ნაწილი ვადამდე, არის მსხვილი ასმანეთიანებით და შესაბამისად, სანამ სხვა ბანკების წესდების 36-ე და ჩვენი წესდების 31-ე პარაგრაფები უცვლელია და ამჟამინდელი რედაქციით არსებობს, ნებისმიერი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ვადამდელი დაფარვა მოხდეს არა მსხვილი ასმანეთიანებით, აღიარებული უნდა იქნას არასწორად წესდების მიხედვით, ხოლო მსესხებლის ინტერესების თვალსაზრისით- მისი უფლებების ხელყოფად. სწორედ უფლებება-მოვალეობებიდან ამგვარი გადახვევების თავიდან ასაცილებლად მმართველობამ გააუქმა ვადამდელი დაფარვის ადრინდელი წესი და მიიღო ახალი, რომელზეც ჩივის თავადი მაჩაბელი, მიუთითებს რა, რომ ეს წესი იწვევს მსესხებელთა უკმაყოფილებას. მაჩაბლის თქმით, ეს უკანასკნელნი, ამ წესის წყალობით, იძულებულნი არიან, შეიტანონ ვადიანი გადასახადები კაპიტალური სესხის იმ ნაწილიდანაც, რომელიც უკვე დაფარულია ვადიანი შენატანებით წინა ნახევარწლებში. მაგალითისათვის მოხმობილი ანგარიშიდან ჩანს, რომ მსესხებელი, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა მსხვილი ასიანებით ვად-

ამდე დაფაროს ვალის ნაწილი მისთვის სასურველი ოდენობით, იძულებულია იხადოს სწორედ ზემოთ მითითებული და არა მმართველობის მიერ ამჟამად მიღებული წესის, მიხედვით. ასევე, წამოიჭრა საკითხი წინა წესის გაუქმების შესახებ მსესხებლის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ვერ გაარკვიოს მსესხებელმა, ბანკი რატომ და რა უფლებით აიძულებს, მიუხედავად მისი სურვილისა, &31-ის თანახმად დაფაროს სესხის ნაწილი ასმანეთიანი საგირავნო ფურცლებით, უკან წაიღოს ეს ფურცელი და მის მაგივრად წარმოადგინოს ნაღდი ასიანები, კაპიტალური სესხის თავდაპირველი მსხვილი ასიანებიდან ნაშთის შესაბამისად, ვინაიდან ეს ნაშთი დაფარვის აღნიშნული წესის მიხედვით, არასოდეს იქნება სრული ასი. მით უმეტეს, ეს იძულება ვერ იქნება ახსნილი წესდებაში არსებული მსესხებლის წარდგინების უფლებით და მმართველობის მოვალეობით, მსხვილი ასიანებით მიიღოს დაფარვაში საგირავნო ფურცლები მათი ნომინალური ღირებულებით.

დაზღვევის საკითხი, რომელსაც თავადი მაჩაბელი შეეხო მოხსენებით ბარათში, მართლაც იწვევს გაუგებრობას წესდების 38-ე პარაგრაფის გამო, რომელიც მოითხოვს, ბანკის გირაოში წარმოდგენილი შენობა დაზღვეული იყოს ცეცხლისაგან არანაკლებ სესხის ორი ნახევარწლის გადასახადის ოდენობით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბანკს აქვს უფლება მსესხებლებისაგან მოითხოვოს ნაგებობათა დაზღვევა ნაკლებ თანხაში, ვინაიდან სხვაგვარად თავადი მაჩაბლის მოსაზრებას არ ექნება გაჩენის მიზეზი და არც რაიმე ყურადსაღები მიზანი. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული საკითხი წამოიჭრა საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა I ყრილობაზე და უარყოფილ იქნა. თუმცა II ყრილობამ გაითვალისწინა, რომ საქალაქო ქონების შემოსავლიანობა განისაზღვრება არა მხოლოდ ნაგებობე-

ბის, არამედ მიწის ღირებულებითაც და გადაწყვიტა ერთ საერთო ციფრში გაერთიანება როგორც მიწის, ისე ნაგებობათა სესხებისა და მსესხებლისაგან მოითხოვა მხოლოდ ნაგებობათა დაზღვევა ამ უკანასკნელი სესხის შესაბამის ოდენობით. ჩვენი ბანკის მმართველობისათვის არ არის ცნობილი, ეს დადგენილება გამოყენებული იქნა თუ არა საადგილმამულო ბანკების მიერ, მაგრამ ის ფაქტია, რომ, ჯერ ერთი, 1886 წლამდე ბანკებს სესხები ამგვარად არ დაუყვია და მეორეც- არავითარი ახსნა-განმარტება საკრედიტო კანცელარიის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ასევე წესდების &38 მოთხოვნის გამოც – მთელი სესხი სრულად იქნას უზრუნველყოფილი მხოლოდ ნაგებობათა დაზღვევით არანაკლებ სესხის ორი ნახევარწლის გადასახადისა – მმართველობამ არ მიიჩნია შესაძლებლად, მოხსენებით ბარათში მითითებულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნისაგან გადაეხვია. რაც შეეხება თავადი მაჩაბლის მითითებას, რომ სახლი, სადაც ამჟამად ბანკია მოთავსებული, დაზღვეულია თავდაპირველად გაცემულ სესხსა და ორი წლის გადასახადებზე ნაკლები თანხით, ამის მიზეზი არის არა სესხთა დაყოფა ცალკე მიწის და ცალკე შენობების სესხებად, არამედ ის, რომ დაზღვევის თანხა შეესაბამება კაპიტალური სესხის ნაშთს. თუმცა, როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში დაზღვევის თანხა მაინც ნაკლებია იმაზე, რაც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს აიხსნება მხოლოდ უნებლიე შეცდომით, რომლის გამოსწორებასაც საჭიროდ მიიჩნევს მმართველობა.

მმართველობის მოხსენება ბანკის მიერ ყოფილი არწრუნის საქალაქო ქონების შეძენის შესახებ, რომელიც წერილის ავტორს მოჰყავს ერთი მხრივ, საკუთარი წინდახედულობისა და შორსმჭვრეტელობის, ხოლო მეორე მხრივ, თანაწევრების მიუხვედრელობისა და მოუქნელობის დამამტკიცებელ საბუთად, დაწვრილებით არის

ცნობილი საკრედიტო კანცელარიისათვისაც და თქვენთვისაც. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ შუამდგომლობა აღნიშნული ქონების შესაძენად ძირითადი და სათადარიგო კაპიტალის გამოყენების ნებართვაზე, ეფუძნებოდა საკრედიტო წესდების 44-ე გვერდს (ტომი XI, ნაწ. 2, კარი X, 1893 წ.), რომლის მიხედვითაც „ფინანსთა მინისტრს ენიჭება უფლება საადგლმამულო ბანკების შუამდგომლობით, რომელიც ეფუძნება საერთო კრებების დადგენილებებს, ნება დართოს ამ ბანკებს, შეიძინონ შენობები თავიანთი მმართველობების განსათავსებლად, საკუთრების სრული უფლებით, რათა მასზე საჭირო ხარჯები დაიფაროს მოგებებიდან ან სათადარიგო კაპიტალიდან“. მმართველობა მიიჩნევს, რომ თუ კანონი ამ შემთხვევაში იძლევა უფლებას, გამოყენებულ იქნას სათადარიგო კაპიტალი, რომელიც აუცილებლად უნდა ინახებოდეს მთავრობის გარანტირებულ ფასიან ქაღალდებში ბანკის ზარალის დასაფარად, მაშინ მით უფრო იქნება კანონით ნებადართული იმავე შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ძირითადი კაპიტალი, რომელსაც არ აქვს სათადარიგო კაპიტალის სავალდებულო მნიშვნელობა და ნებადართულია ბანკის ოპერაციებში ბრუნვისთვის. ტირაჟით ზესავალდებულოდ დაფარული საგირავნო ფურცლების თანხა აუცილებლად უნდა იქნას მიჩნეული სუფთა მოგების ნაშთის თანხად, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი ქმნის ყოველ ჯერზე ფონდს, რომლითაც იფარება ტირაჟით აღნიშული საგირავნო ფურცლები (იხ. წესდების &89). და ის, თუ რატომ უწოდებს ავტორი ყველა ამ ფონდს უპირობოდ არარეალიზებურს, უცნობია, ვინაიდან სათადარიგო კაპიტალი მოთავსებულია მოსახერხებლად რეალიზებად სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებში, ხოლო ძირითადი კაპიტალი მითითებული ქონების შეძენას, ბუნებრივია, მხოლოდ ნაღდი ფულით შეიძლება მოხმარებოდა. ზესავალდებულო

თანხა კი, რომელიც ირიცხება შესაძენ ქონებაზე, როგორც მოგების ნაშთი, წარმოადგენს საგირავნო ფურცლების მიმოქცევაში არსებულ თანხასა და სესხების თანხას შორის სხვაობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მეტია მითითებულ დაფარვების თანხაზე, ვიდრე პირველი. შეეძლო თუ არა მომავალში საკრედიტო კანცელარიას ამ სახით შეძენილი ქონების ღირებულება, ნაწილობრივ ან სრულად, ეღიარებინა ფონდად, რომელიც უზრუნველყოფს კომუნალურ სესხთა ობლიგაციებს 20-ჯერადი მიმართებით, – ეს საკითხი არც ერთ შემთხვევაში არ შედის თავადი მაჩაბლის კომპეტენციაში და ამიტომ შეიძლება კვლავაც ღიად მივიჩნიოთ, მიუხედავად მასთან დაკავშირებით მიღებული ავტორიტეტული გადაწყვეტილებისა, რომელიც შესაძლოა დამტკიცდეს საკრედიტო კანცელარიის მხრიდანაც, როდესაც ეს საკითხი მასთან მოხვდება განსახილველად.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ბატონ კლუჩარევზე არ გაიცა მოწმობა, ნება მიეცათ მისთვის გადაეგირავებინა უკვე კერძო მფლობელობაში დაგირავებული მისი და მისი ძმის კუთვნილი სახლი, უნდა აღნიშნოს, რომ ეს მოწმობა ვერ გაიცემოდა იმ საფუძველზე, რომელიც ნახსენებია ამ საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ ოქმში, თანაც ასლში, რომელიც დანართის სახით (N12) არის წარმოდგენილი. ამიტომაც ზედმეტად მიგვაჩნია განმეორება. ამგვარი მოწმობის ნ. სოლაგოვზე შეუფერხებლად გაცემის შემთხვევა კი განსხვავდება წინასგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი საკითხი წამოიჭრა გადასაწყვეტად სრულიად სხვა ვითარებაში, რაც საქმის გარემოებებით იყო განპირობებული. ასე, მაგალითად, კლუჩარევი მოითხოვდა ნებართვას კერძო მფლობელობაში დაეგირავებინა სახლის ნახევარი მაშინ, როცა ბანკისათვის არ იყო ცნობილი, ეკუთვნოდა თუ არა სახლის სწორედ დასაგირავებელი ნახევარი მთხოვნელს. ამასთან,

ქონებაზე ირიცხებოდა ვადიანი გადასახადის ნარჩენი, რომლის ნაწილებად დაყოფა შეუძლებელი იყო. სოლაგოვის შემთხვევაში კი დასაგირავებელი ნაწილი ცნობილი იყო და დავალიანებაც არ ირიცხებოდა მოწმობის გაცემის მომენტში (იხ. NN 10 და 11 ოქმების ასლები). თავადმა მაჩაბელმა კი საჭიროდ მიიჩნია დაევიწყებინა ყველა ეს გარემოება.

თავადი მაჩაბლის მიერ თავადი ჩელოკაევების, სესხების შესახებ ფაქტის კონსტატირება, რომ ბანკის მმართველობისათვის არ არის საკმარისი აკრძალვების არგუმენტად საგირავნო მოწმობის მითითება და ყოველთვის, განსაკუთრებით კი სოფლის მამულების მიმართ, მოითხოვს ცალკე სახელმწიფო ბანკის მოწმობას, სადაც ყოფილი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უწყების საქმეებია გადაცემული, ხომ არ ხდება მისი უკანასკნელი აკრძალვის გამო, როდესაც მმართველობას ადანაშაულებს იმაში, რომ მან, მიუხედავად თავადი მაჩაბლის მოსაზრებისა, ეს არ გააკეთა ნიკოლოზ ჩელოკაევის საქმესთან დაკავშირებით. მმართველობამ მხედველობაში მიიღო, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის უწყებამ 1860 წლიდან სრულიად შეწყვიტა სოფლის მამულებზე სესხთა გაცემა, ამ მამულის ნაწილი კი შეისყიდა მფლობელმა საჯარო აუქციონიდან იმ მონაცემებით, რომლებიც უფროსი ნოტარიუსის მიერ იქნა შეტანილი გლეხთა საქმეების (NN 17 და 1427) რეესტრში 1860 წლის შემდეგ, კერძოდ კი 1887 და 1888 წლებში. შესაბამისად, მამულის ეს ნაწილი ვერ იქნებოდა უწყების მიერ აკრძალული 1860 წლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შედგებოდა ვერც საჯარო აუქციონი და ვერც მონაცემები დამტკიცდებოდა. ჯერჯერობით მამული კვლავ მფლობელს ეკუთვნის მიჯნის წესით,რაც ჩანს გეგმიდან, რომელიც გაცემულია მიჯნის წესით გამგებლის მიერ 1893 წლის 21 დეკემბერს ნომრით 2555. აღნიშნულის გამო და იმ გარემოებიდან

გამომდინარე, რომ მამული თავისუფალია გლეხთა ნადელისაგან, როგორც ეს ჩანს გლეხთა საქმის საგუბერნიო სამსახურის დასტურზე დაფუძნებული საგირავნო მოწმობიდან, უწყებას არ ჰქონდა უფლება მიეღო გირაოში მამულები, რომლებიც არ არის დასახლებული ყმებით. მმართველობამ არ მიიჩნია საჭიროდ, ამაოდ გაეგზავნა მსესხებელი და მოეთხოვა მისგან სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილების წარდგინება, რომელიც განაგებს ყოფილი უწყების საქმეებს, ან კიდევ მოეთხოვა მოწმობა იმის შესახებ, რომ საგირავნო მამულზე არ ვრცელდება მისი აკრძალვა. რაც შეეხება თავადი ჯიმშერ ჩელოკაევის საქმეს, არსებობს მმართველობის ოქმი, სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული ყველა ის გარემოება, რომლებიც გადაწყვეტილების საფუძვლად იქნა მიღებული. აღნიშნული ოქმი N13 თავისი ასლითაა თანდართული და მისი შეცდომა შეიძლება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ უმრავლესობის აზრი თავადი მაჩაბლის კერძო მოსაზრებას არ ემთხვევა.

გადავდივართ რა ბარათის ავტორის ბანკის სასამართლო საქმეების თითქოსდა ქაოსურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ მითითებაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბარათის ავტორი ამაოდ ცდილობს მმართველობის შემადგენლობის მეოთხე წევრით გაძლიერება ახსნას იმ აუცილებლობით, რომ სასამართლო პროცესები უნდა წარმართოს მმართველობის ერთ-ერთმა წევრმა. მან, ჩვეულებისამებრ, საჭიროდ მიიჩნია მხედველობიდან გამორჩენოდა გარემოებები, რომლებიც, ასე თუ ისე, ხელს უშლის მის წინასწარ გამოტანილ დასკვნებს. ასე, მაგალითად, ბარათის ავტორს სურს, რადაც უნდა დაუჯდეს, დაამტკიცოს, რომ მმართველობის უმრავლესობა და მასთან ერთად, სამეთვალყურეო კომიტეტიც, ცდილობენ მმართველობის შემადგენლობის გაძლიერებას. თავად მაჩაბელს, თითქოს, აუხსნეს, რომ ეს გამორიცხულია, ვინაიდან ოთხი წევრის

შემთხვევაში აღარ არსებობს იურიდიული კონსულტანტის საჭიროება, რადგანაც მმართველობის ერთ-ერთ წევრს შეუძლია სასამართლო საქმეების წარმართვა და ამ გზით იურიდიული კონსულტანტის მთელი ჯამაგირი ბანკის სარგებლობაში დარჩება და ა.შ. მმართველობის თანდართული მოხსენებიდან (იხ. დანართი N14) ჩანს, რომ შემადგენლობის კიდევ ერთი წევრით გაძლიერების მთავარი საფუძველი იყო საქმეებისა და მიმოწერის გაზრდა, ზოგადად, რასაც მმართველობის სამწევრიანი შემადგენლობა ვეღარ გაართმევდა თავს, ყოველივე დანარჩენი მოხსენებაში მოყვანილია, როგორც გვერდითი მოვლენები, რომლებიც აძლიერებს მეოთხე წევრის მოწვევის აუცილებლობის მთავარ მოტივს.

რაც შეეხება ავტორის მითითებას სასამართლო საქმეების ქაოსურ მდგომარეობაზე, აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მმართველობის შემადგენლობაში თავადი მაჩაბლის შესვლამდე მხოლოდ სამი საქმე იყო, რომელთაგან ორში, იმის გამო, რომ მათში დასმული საკითხები ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ბანკმა თავი მოვალედ ჩათვალა, თავად მიეღო მონაწილეობა, როგორც მესამე პირს. მმართველობის შემადგენლობაში მაჩაბლის შესვლის დღიდან კი უფრო და უფრო მეტი საქმე ჩნდება. ვინმეს რომ ჰქონოდა ბარათის ავტორის გამბედაობა და მის მიმართ გამოეყენებინა, როგორც ამას თავადი მაჩაბელი აკეთებს, მაშინ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სწორედ იგია დამნაშავე სასამართლო პროცესების გამრავლებაში, ვინაიდან მის გამოჩენამდე ასეთი მხოლოდ სამი პროცესი იყო. მაგრამ ეს ფაქტი მოგვყავს, რა თქმა უნდა, არა ასეთი თამამი დასკვნისათვის, არამედ იმის მისათითებლად, რომ „სასამართლო საქმეების ქაოსურ მდგომარეობას“ შეიძლება ადგილი ჰქონოდა არა მაშინ, როდესაც ასეთი საქმეები მხოლოდ სამი იყო, არამედ იმ პერიოდში, როცა მათი რიცხვი გაიზარდა. ხოლო რამდენადაც ამ უკანასკნელ პერიოდში მმარ-

თველობის შემადგენლობაში იმყოფებოდა თავადი მაჩაბელიც, გასაკვირია, როგორ არ მიაქცია მან ყურადღება საქმეთა ამ ქაოსურ მდგომარეობას და სათანადო ზომები არ შესთავაზა მმართველობას ამ ქაოსის წესრიგში მოსაყვანად. ქაოსის არსებობას და ამ ქაოსის აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომების არარსებობას, რა თქმა უნდა, თავადი მაჩაბელი მიაწერს დანარჩენ სამ წევრს, ვითომ თვითონ, როგორც მეოთხე წევრს, არ ჰქონდა ვალდებულება იმაზე, რაზეც – მის სამ თანაწევრს. აღნიშნული, ისევ და ისევ, არ შეესაბამება მის რწმუნებას იმის შესახებ, რომ მან მმართველობის შემადგენლობაში შესვლისთანავე გაითავისა საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

რაც შეეხება წვრილმანებს, ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, ცალ-ცალკე შევეხოთ ყველა სასამართლო საქმეს, რამდენადაც ყველა მათგანზე გაქვთ სათანადო მასალა, ამოღებული პირველწყაროდან, ამიტომაც თავისუფლად შეგიძლიათ გამოიტანოთ ესა თუ ის დასკვნა.

რაც შეეხება იმ საქმეებს, რომლებიც არ აღიძრა სასამართლოს წესით ან არ გასაჩივრდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიმართ უმოქმედობაზე მითითება და ამავდროულად იმ ფაქტობრივი და იურიდიული საფუძლების არ მოხმობა, რომლებიც ადასტურებს საქმის აღძვრის ან მასზე საჩივრის შეტანის მიზანშეწონილობას, შეუძლებელს ხდის ანგარიში გაეწიოს მოწინააღმდეგეს, თუკი საერთოდ შესაძლებელია მოწინააღმდეგედ იწოდოს უსაფუძვლო ბრალდებათა წამყენებელი. თუმცა ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ ძმები ზუბალოვების მიმართ სარჩელი არ ყოფილა წარდგენილი იმის გამო, რომ რამდენიმე სრულიად ანალოგიური საქმე, რომლებიც ბანკმა აღძრა, წაგებულ იქნა, რის გამოც ეს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ფასის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი იყო, უიმედოდ მიიჩნიეს. ამასთან, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ სწორედ

ეს საქმე დაევალა ბანკის იურიდიულ კონსულტანტს, რომელიც თავადი მაჩაბლის წინადადებით მოწვეული იქნა ამ თანამდებობაზე და რომლის ცოდნასა და შესაძლებლობას ეს უკანასკნელი ერთგვარი ნდობით უნდა მოკიდებოდა. თუმცა ამ იურიდიულმა კონსულტანტმაც კი ვერ მიიჩნია შესაძლებლად, ემოქმედა მხოლოდ ბარათის ავტორის ახლახან გამოთქმული მოსაზრების თანახმად. შემდეგ, ბარათში მითითებული საქმეები, რომელთა მიმართაც, ასევე, გამოვლინდა მმართველობის უმოქმედობა, მათი ახლოს გაცნობის შემდეგ, უიმედო საქმეებად იქნა მიჩნეული. ასეთი საქმეები აწარმოა იურიდიულმა კონსულტანტმაც, რომლის ამ თანამდებობაზე ყოფნაც კარგად უწყოდა თავადმა მაჩაბელმა და ბარათის შემდგენელი ახლაც ვერ უარყოფს მის ამ თანამდებობაზე მოწვევას.

ბარათის შემდგენელი გასაოცარ გამბედაობას იჩენს, როდესაც ამბობს, რომ ბანკში არ არის სასამართლო საქმეთა რეესტრი. რა თქმა უნდა, რეესტრი არ იყო, როდესაც არ არსებობდა მისი საჭიროება ან საქმეთა არარსებობის, ან მათი სიმცირის გამო. თუმცა ამ საქმეთა რიცხვის ზრდასთან ერთად შედგა რეესტრიც, რომელიც მოიცავდა ყველა აუცილებელ ცნობას. ამ რეესტრის არსებობა ცნობილია თავადი მაჩაბლისთვის. და თქვენც, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენი დაწესებულების ამ კუთხით შესწავლისას გქონდათ შესაძლებლობა დაკვირვებოდით იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რასაც ამტკიცებს მმართველობის წევრი, თავადი მაჩაბელი.

ბარათის შემდგენელი დამნაშავედ რაცხს მმართველობას და მის უთავბოლობასა და დაუდევრობას მიაწერს ისეთ ფაქტებს, როგორებიცაა ბანკის ვექილების სასამართლოში გამოცხადება სათანადო მომზადების გარეშე იმის გამო, რომ უწყებები მიიღეს საქმის მოსმენის წინა დღეს. რამდენადაც უწყებები იგზავნება სასამართლო ადგილებს დაქვემდებარებული განკარგულებით და

მიეწოდებათ ვექილებს სასამართლო გზავნილებით, ამდენად, რომც ვაღიაროთ მოყვანილი ფაქტები რეალობის შეუსაბამოდ, შეუძლებელია ამ ფაქტებსა და მმართველობას შორის რაიმე კავშირის დადგენა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავადი მაჩაბლის მიერ მოყვანილი სიტუაციები ნამდვილი ვითარების არასწორი გაშუქების შედეგია.

ის ფაქტი, რომ ბანკის ვექილები უწყისის თავის დროზე მიღების მიუხედავად, არ წარდგნენ სასამართლოს წინაშე და ამის გამო საქმე წააგეს, როგორც ამას ბარათის ავტორი აღნიშნავს, გარკვეულწილად, სამართლიანად უნდა ვაღიაროთ. თუმცა მაჩაბელს იქვე უნდა დაემატებინა, რომ ასეთი ორი შემთხვევა იყო და მათზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა. ასევე, თუ ეს საქმეები ვექილებმა წააგეს, ეს მოხდა მხოლოდ სასამართლოს პირველ ინსტანციაში, ხოლო როგორი იქნება სასამართლო ხელისუფლების გადამწყვეტი სიტყვა, ამას მოთმინებით უნდა დაველოდოთ. ვექილების სასამართლოში გამოუცხადებლობის ფაქტთან დაკავშირებით კი ბარათის შემდგენელს უნდა გაეხსენებინა, რომ სხვადასხვა მიზეზებს შორის, რომლებმაც ბანკის მმართველობა მიიყვანა იურიდიული კონსულტანტის თანამდებობის გაუქმებამდე, ასევე იყო თავისი მოვალეობებისადმი ამ უკანასკნელის დაუდევარი დამოკიდებულების ზემოაღნიშნული ფაქტიც.

ბარათის ავტორი მის მიერ მოყვანილ ცნობებს, როგორც უტყუარ მონაცემებს, ან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელ ამ დავიდარაბას, ხსნის არსებული ეკონომიით, რაც ინახავს მმართველობას, ვინაიდან, ბარათის მიხედვით, მმართველობა რომ არ მოფრთხილებოდა რამდენიმე ასეულ მანეთს, მოეწვია სპეციალური იურისკონსულტი და სასამართლო საქმეები არ დაეკარგებინა მმართველობის ერთ-ერთი წევრისათვის, მაშინ, თავადი მაჩაბლის აზრით, საქმე გვექნებოდა წარმატებულ შედე-

გებთან. მაგრამ თუ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, აღნიშნულს შეადარებთ თქვენს ხელთ არსებულ მონაცემებს, მაშინ შეამჩნევთ, რომ 1883 წლამდე, ე.ი მმართველობის შემადგენლობაში თავადი მაჩაბლის შესვლამდე, ბანკი მონაწილეობდა მხოლოდ სამ საქმეში და ისინი ბანკის სასარგებლოდ დამთავრდა. ეს საქმეები მმართველობის ერთ-ერთ წევრს ჰქონდა მინდობილი. 1883 წლიდან 1894 წლამდე მმართველობის წევრს არ დავალებია არც ერთი საქმე, ყველა მათგანს აწარმოებდა მმართველობის მიერ მოწვეული სპეციალური პირი, ხოლო რადგანაც მაჩაბლის მიერ მოყვანილ მონაცემებს ადგილი ჰქონდა სწორედ 1883-1894 წლებში, რის შემდეგაც ყველა წარმოებული საქმე გადაეცა მმართველობის წევრს, მაშინ გაუგებარია, რატომ ჰგონია ბარათის შემდგენს თავის არგუმენტები იმდენად უდავო, რომ ვერ წარმოუდგენია ვერც თეორიული და ვერც პრაქტიკული წინააღმდეგობა. აქ ნათელია, რომ საქმე არის არა თეორიულ ან პრაქტიკულ მითითებებში, არამედ – მხოლოდ მოუნდომებლობაში ან უნებლიე უუნარობაში, დაუქვემდებარონ საკუთარი დასკვნები საჯარო ეთიკისა და დისციპლინის მყარი საწყისების მოთხოვნებს. ყველაფერი უგულებელყოფილია: ყოველგვარი ლოგიკის კანონები და ყოველივე, რამაც უნდა შეზღუდოს და აკონტროლოს ადამიანთა თვითნებობა.

ბარათის შემდგენელი, მიუთითებს რა გაუგებარ უხერხულობაზე და უარს ამბობს მიზეზთა განხილვაზე, ამტკიცებს, რომ უკლებლივ ყველა საქმე, რომლებსაც იცავდნენ მმართველობის წევრები, წაგებულ იქნა. მართალია, იგი ამას უმატებს მრავალმნიშვნელოვან „თითქმის“-ს და „რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი“-ს, თუმცა იმას, რასაც აცხადებს, ამტკიცებს თავისი „უდავოა“-თი. მაგრამ განა აუცილებელი არ არის ბარათის ავტორის ასეთი არგუმენტაციის კრიტიკა მაშინ, როდესაც ამტკიცებს იმის „უდავოობას“, რაც მისთვის ცნობილია მხ-

ოლოდ „თითქმის“ და „რამდენადაც მისთვის ცნობილია“. განსაკუთრებული პირობები, რომლებიც გვავალდებულებს ვაღიაროთ ეს აუცილებლობა, შეუმოწმებლად არ ტოვებს არც ერთ დასკვნასა და ფაქტს, გვაიძულებს შევჩერდეთ წვრილმანებზე, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა ჩვენი დაწესებულების ნორმალური არსებობის პირობებში. ამიტომაც იძულებულნი ვართ დავამტკიცოთ სინამდვილის გამიზნულად დამახინჯების ის სითამამე, რომელსაც იჩენს მმართველობის წევრი, თავადი მაჩაბელი, როდესაც ადგენს, რომ „მმართველობის წევრებმა წააგეს ყველა საქმე, რომელსაც იცავდნენ და ბევრმა ამით წახალისებულმა დაიწყო პროცესი ბანკის წინააღმდეგ, რასაც ვერ გაბედავდნენ, ბანკს რომ მუდმივი იურისკონსულტი ჰყოლოდა“. ბანკის არსებობის მანძილზე მხოლოდ ნაფიცი ვექილი, თავადი ავალოვი, რომელიც მმართველობის წევრთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, გამოვიდა, როგორც ბანკის ინტერესების წარმომადგენელი. არც ერთი სხვა წევრი არც ერთხელ არ გამოჩენილა სასამართლო დაწესებულებაში, როგორც ბანკის ინტერესების წარმომადგენელი. თუმცა ამ შემთხვევაშიც არ შეიძლებოდა რაიმე საწყისის საწინააღმდეგო დაგვენახა. მმართველობის წევრის მიერ დაწესებულების ინტერესების დაცვა, სად და როდისაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოვლენილი, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საქმისა და მოვალეობებისადმი ბუნებრივ დამოკიდებულებას. ხოლო ნორმალური ვითარებისას და იმ პირობების შეთავსებისას, რომლებიც აუცილებელია დაცვის ინტერესებისათვის და იცავს მათ, დაწესებულების ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ სასურველია.

თვითკონტროლირების საკითხიც, მოცემულ შემთხვევაში, საქმისთვის შეუსაბამოა. თავადი მაჩაბელი თვითკონტროლში ხედავს რაღაც არაბუნებრივს მაშინ, როცა თვითკონტროლი არის თითოეული მოღვაწის საარსებო

მოთხოვნილება, ვინაიდან ამ თვისების გარეშე გარდაუვალი იქნება უსისტემობა, უთავბოლობა და წინააღმდეგობრიობანი პრინციპებსა და ქმედებებში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სრულებით არ გამორიცხავს განსაკუთრებული საკონტროლო ძალის გამოჩენის აუცილებლობას, რომელიც დამოუკიდებლად იარსებებს და ემსახურება თავის მიზანს. ასევე, არ გამორიცხავს იმას, რომ მმართველობის ერთმა წევრმა მეორის საქმიანობა გააკონტროლოს, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ ესმის საკონტროლებელი ობიექტი. ასეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავად მაჩაბელს საკუთარი თავისთვის საქმის დავალებასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ერთ პირს აქვს უფლება მეორეს დაავალოს რაიმე, მაგრამ, ამასთანავე, ვერ ვიტყვით, რომ მას არ აქვს უფლება იგივე საკუთარ თავს დაავალოს. ყველას მიერ აღიარებული და მხოლოდ ბარათის შემდგენელის მიერ უარყოფილი ან დამახინჯებული წესის მიხედვით, გადასაჭრელი საკითხი უნდა იყოს მთელი სიმკაცრით გაუვნებელყოფილი მხოლოდ უშუალოდ საქმის საპირისპირო ინტერესების მქონე პირის მონაწილეობით. ხოლო საკითხის გადაწყვეტაში, თუ ვის გადაეცეს საქმე, მმართველობის იმ წევრის მონაწილეობა, რომელსაც, სხვათაშორის, უკვე გადაცემული აქვს ეს საქმე კანონიერი წარმომადგენლის მიერ, კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. თუმცა თავად მაჩაბელს, როდესაც იმოწმებდა თავის სრულიად არასწორ მოსაზრებას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა მმართველობის განსაზღვრება, რომელიც ეხება კერძო შემთხვევას და მმართველობის წევრისათვის საქმეების გადაცემის საერთო საკითხს კი არ წყვეტს, არამედ შეეხება კონკრეტულ შემთხვევას და გულისხმობს იმას, რომ მოცემულ ცალკეულ შემთხვევასთან დაკავშირებული მისი ქმედება ეთანხმება საერთო საკითხის გადაწყვეტას. ეს უდავოდ ჩანს იქიდან, რომ თავადი მაჩაბლის განცხადება სულ ბოლოს იქნა შეტანილი,

როგორც თავად ამბობს 1894 წლის 8 მარტს, ამასთანავე, მინდობილობა თავადი ავალოვის სახელზე ხელმოწერილ იქნა სწორედ თავადი მაჩაბლის მიერ 1894 წლის 20 იანვარს. ამდენად, პრინციპული საკითხის გადაწყვეტა წინ უძღვოდა კერძო საკითხის გადაწყვეტას. საინტერესოა, თუკი საერთო საკითხი გადაწყდა, რატომღა წარმოიშვა კერძო საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა. თუმცა თავად მაჩაბელს არ სურს დაემორჩილოს ელემენტარულ და ყველასათვის სავალდებულო საწყისებს და ჩვეულებისამებრ სხვებს ადანაშაულებს იმაში, რაშიც მისი დადანაშაულებაც შეიძლება სრული წარმატებით. დასასრულ არ შეიძლება, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი ყურადღება არ გავამახვილო იმ ფაქტებზე, რომელთაც აშკარად უგულებელყოფს ბარათის შემდგენელი: ბანკის არსებობის მანძილზე მის მიერ წარმოებული ან ამჟამად წარმოებაში მყოფი საქმეებიდან თავადი ავალოვი, როგორც მმართველობის წევრი და ნაფიცი ვექილი, ჩართული იყო თორმეტ საქმეში, რომელთაგან 1883 წლამდე, ე.ი. თავადი მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობაში შესვლამდე, სამი საქმე დამთავრდა ბანკის სასარგებლოდ; ხოლო დანარჩენი ცხრა საქმიდან, რომლებშიც მონაწილეობდა და ახლაც წარმართავს მათ, ერთი დამთავრდა ბანკის სასარგებლოდ 1894 წელს, ერთი – 1895 წელს, ასევე ბანკის სასარგებლოდ. ხუთი საქმე ახლაც მიმდინარეობს და ჯერჯერობით მათ შედეგებზე ვერ ვიმსჯელებთ. დანარჩენი ორი საქმიდან კი ერთი საქმე, კოვალევის ყოფილი და ბანკის საკუთრებაში გადასული მამულის გაუფასურებული ხელშეკრულების განადგურების შესახებ, წაგებულ იქნა 1885 წელს. მაშინ ნაფიცი მსაჯული თავადი ავალოვი არ შედიოდა მმართველობის შემადგენლობაში და იყო ბანკში იურისკონსულტად; ხოლო მეორე – სავაჭრო სახლის „ბლანშო და k" საქმე თქვენთვის დაწვრილებით არის ცნობილი ბანკში არსებული წერილობითი წარ-

მოების მონაცემებიდან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად მაჩაბელს ფაქტების მოხმობისას ჩვეულებისამებრ ავიწყდება, გააცნოს თავის მკითხველს საქმის გარემოებები ყოველმხრივ, რამდენადაც ეს ხელს შეუშლიდა მის მიზანს, რომლის მისაღწევადაც სინამდვილის სავსებით დამახინჯებაზეც მიდის. ასე იქცევა იგი „ბლანშო და კ0“-ს საქმესთან დაკავშირებით, როდესაც ამბობს, რომ საქმე წაგებულია და ბანკი იძულებულია „ბლანშო და კ0“-ს გადაუხადოს 10 000-ზე მეტი მანეთი. საქმე იმაში როდი იყო, აღნიშნული ფირმისათვის არ გადაეხადათ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა, ვინაიდან ბანკს არც ამის უფლება ჰქონდა და არც პრეტენზია გამოუთქვამს და თავადი მაჩაბელი ამაოდ ირჯება ამ კუთხით გააშუქოს ეს საქმე. მოცემულ შემთხვევაში გაუგებრობა წარმოიშვა მხოლოდ გადახდის დროსთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც დაიდო ბანკსა და „ბლანშო და კ0“ ფირმას შორის ყოფილი არწრუნის ქარვასლაში ელექტრო-განათების მოწყობასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებული თანხის მესმე ნაწილი ბანკს უნდა გადაეხადა აღნიშნული ფირმისათვის ყველა სამუშაოს დამთავრებისა და ბანკიდან ქვითრის მიღების შემდეგ. ბანკმა ეს კვიტანცია არ გასცა, რამდენადაც ზოგიერთი, ფასით გათვალისწინებული უმნიშვნელო სამუშაო არ იყო ფირმის მიერ დასრულებული. ამასთანავე, ბანკმა მთელს დაწესებულებაში ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოხმარება დაიწყო 1889 წლიდან. სასამართლომ კი მიიჩნია, რომ თუ ბანკი ფაქტობრივად მოიხმარს ელექტროგანათების მოწყობილობას, მაშინ შეუძლებელია საუბარი იმის თაობაზე, რომ ბანკს აღნიშნული მოწყობილობა არ მიუღია აღნიშნული ფირმისაგან. ამიტომაც მიაკუთვნა სასამართლომ „ბლანშო და კ0“-ს ყველაფერი, რაც ხელშეკრულებით მისი საკუთრება იყო და რის გადახდაზეც უარს არ ამბობდა ბანკი. თუ გავითვალისწინებთ, რომ

ეს ფული ბანკს ჰქონდა 1889 წლიდან დღემდე და იყენებდა მას პროცენტების გარეშე, სასამართლოს მიერ პროცენტებზე ფირმისათვის უარის თქმით ბანკმა არათუ რამე წააგო, არამედ, პირიქით, მოიგო მთელი ის თანხა, რომელსაც ამჟამად „ბლანშო და კ0“-თვის მიკუთვნებული თანხა აძლევდა ბანკს პროცენტებით. თავადი მაჩაბელი კი „ბლანშო და კ0“-ს საქმის დამოწმებისას მალავს ამ გარემოებებს და ამ საკითხთან დაკავშირებით მთელ თავის ნათქვამს ისეთ ელფერს სძენს, თითქოს მის მიერ მითითებული 10 000-ზე მეტი მანეთი არ უნდა მიეღო ბანკისაგან ფირმას „ბლანშო და კ0“, სასამართლომ კი ეს თანხა მას მიაკუთვნა. თუმცა ეს არ არის ერთადერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი ენაწყლიანია ბარათის ავტორი საკუთარი თავის ქებისას და სიტყვაძუნწი – სიმართლის გამოვლენის საქმეში, რომელიც მან წამოჭრა მხოლოდ ერთი მიზნით, როგორმე ჩრდილი მიეყენებინა თანაწევრებისათვის.

ამას ისაც უნდა დავუმატოთ, რომ ყველა მოგებულ საქმეში ბანკი წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს და მხლოდ ერთ წაგებულ საქმეში იყო მოსარჩელე მხარე.

ნათქვამიდან გამომდინარე, ცხადია, რომ თავადი მაჩაბლის ყველა დასკვნა და მოსაზრება სიმართლის დამახინჯებაა და მეტი არაფერი; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მოგებული და წაგებული საქმეების რაოდენობის მიხედვით იურისკონსულტის თანამდებობის დადგენის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა დაუშვებელია. რაც შეეხება თავადი მაჩაბლის უცნაურ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ბანკს ეყოლებოდა იურისკონსულტი, ვეღარავინ გაბედავდა სასამართლო პროცესების დაწყებას ბანკის წინააღმდეგ, ეს მოსაზრება იმდენად გულუბრყვილოა, რომ არც კი ღირს განხილვად.

მისი ცალკეული მოსაზრებების მოწინააღმდეგე თანაწევრების მიკერძოებაში დადანაშაულების მიზნით თავადი მაჩაბელი მიუთითებს, რომ მამულზე, რომელიც მირ-

იმანოვს ეკუთვნოდა, ხოლო შემდგომ თავადმა აფხაზმა შეიძინა ბანკისაგან, გაუქმდა საჯარო ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ირიცხებოდა ვადიანი და ყიდვისას სავალდებულო სხვა გადასახადების ნარჩენები. საქმის ვითარება მდგომარეობს შემდეგში.

მამული, რომელზეც საუბარია, გირაოში მიღებულ იქნა 1882 წლის 27 აგვისტოს თავადი მაჩაბლის მიერ განსაზღვრული ფასით, როდესაც იგი იყო შემფასებელი კომისიის წევრი. თავადმა მაჩაბელმა დათვალიერებისა და შეფასების აქტში ამ მამულის სუფთა წლიურ შემოსავალად მიუთითა 10.000 მანეთი; ამასთანავე აღნიშნა, რომ ეს შემოსავალი ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილია. აქედან გამომდინარე, მან შესაძლებლად მიიჩნია მამული 160 000 მანეთად შეეფასებინა, თუმცა იმისათვის, რომ ბანკს უფრო მეტი გარანტია ჰქონოდა, შეჩერდა 120 00 მანეთზე, რაზეც შემფასებელი კომისიაც დასთანხმდა. მმართველობამ კი დაამტკიცა 80 000 მანეთი და ამის შესაბამისად ნებართვა გასცა 40 000 მანეთის ოდენობის სესხზე. მიუხედავად იმისა, რომ თავადი მაჩაბლის და შემდეგ შემფასებელი კომისიის შეფასება მმართველობამ შეამცირა მთელი 40 000 მანეთით, ეს მამული წარუმატებელი საჯარო ვაჭრობის გამო 1887 წლის ივლისში მაინც ბანკს დარჩა 40.557 მან. 59 კაპიკად, რასაც შეადგენდა კაპიტალური სესხი და დავალიანება. მამული ბანკის საკუთრებაში იყო 1890 წლის 29 დეკემბრამდე და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბანკმა მისგან 3078 მანეთის ოდენობის შემოსავალი ძლივს მიიღო. 1887 წლიდან 1890 წლის დეკემბრამდე ამ მამულის ნაწილი გაიყიდა და დაიფარა ვალის შესაბამისი ნაწილი ისე, რომ კაპიტალური სესხის ნარჩენი 1890 წლის დეკემბრისთვის უტოლდებოდა 34.041 მან. და 44 კაპ., რაც შეესაბამებოდა საწყისი ვალის 36 000 მან. 1890 წლის 29 დეკემბერს ეს მამული საჯარო ვაჭრობიდან შეიძინეს თავადი აფხაზის თვით-

ნებურ ფასად. ამ დროისთვის მამულზე ირიცხებოდა კაპიტალური სესხი 34.041 მან. 44 კაპ. და უფრო მეტიც, დავალიანება – 4878-83 კაპ. ვაჭრობა დაიწყო 38.916-27კაპ.-დან, დასრულდა თავადი აფხაზის 40. 317 მან. შეთავაზებით და მამული დარჩა მას ამ თანხაში იმ პირობით, რომ სასწრაფოდ გადაიხდიდა 1400 მანეთს ზედმეტად, 1891 წლის იანვრის შესატანის ანგარიშზე ჩასარიცხად. შესასყიდ ფასში შემავალი დავალიანება, რომელიც შეადგენს 4874 მან., თავად აფხაზებს უნდა დაეფარათ ბანკის სალაროში წლის განმავლობაში, ე.ი. 1891 წლის 29 დეკემბრამდე. მმართველობა იძულებული იყო დასთანხმებოდა ამ პირობებს იმის გამო, რომ მთელი ეს სამ-წელიწად ნახევარი, რა პერიოდშიც მამული ბანკის განკარგულებაში იყო, ერთ წელიწადში ძლივს ამოიგო 1000 მანეთზე ნაკლები, ხოლო აქ ივარაუდებოდა ნახევარ წელში 1400 მან. ამასთანავე, ამ სამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მიუხედავად მმართველობის მცდელობებისა, არც ერთი მყიდველი არ გამოჩენილა.

მართალია, მათთვის არაერთხელ გაზარდეს ვადები, თუმცა მხოლოდ მითითებული 4884 მან. 83 კაპ. თანხის შეტანაზე, მამული კი არ დაუქვემდებარეს საჯარო ვაჭრობას. მაგრამ ეს გაკეთდა არა იმდენად შესაძლო შეთავაზების გამო, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ მამული კვლავ დარჩეს ბანკს არა მარტო ყოველგვარი მოგების გარეშე, არამედ ყოველგვარი იმედის გარეშე, რომ ოდესმე გაიყიდება; მით უფრო, რომ იმ დროს, როდესაც წამოიჭრა საკითხი მამულის საჯარო გაყიდვაზე სავალდებულო გადასახადების არშეტანის თაობაზე, ადგილობრივმა ტყის დაცვის კომიტეტმა ამ დაგირავებული მამულის 2691 დესეტინადან 1919 აღიარა დაცულად. აქედან გამომდინარე, მმართველობა მივიდა იმ უდავოდ სწორ დასკვნამდე, რომ თუ აღნიშნულ მამულს მყიდველები 1887-1890 წლებში არ გამოუჩნდნენ, მით უფრო

ვერ იშოვის მათ ამ ახალ პირობებში, რომლებიც მფლობელს მამულის ძირითადი ნაწილით სარგებლობას უზღუდავს.

გარდა ამისა, ვადის გაგრძელებისა და საჯარო ვაჭრობის გაუქმების აუცილებლობის სასარგებლოდ მეტყველებდა ის გარემოებაც, რომ ბანკმა თავისი მართვის სამ წელიწად ნახევრის განმავლობაში ამ მამულიდან მთლიანობაში 3078 მან. ძლივს ამოიგო, ხოლო თავადმა აფხაზებმა დროის იმავე პერიოდში, ე.ი. 1890 წლის 29 დეკემბრიდან 1894 წლის ივლისამდე, წარმოადგინეს ვადიანი და სხვა გადასახადების სახით 6755 მან. 80 კაპ. ამიტომაც მათ საკუთრებაში მამულის დარჩენა ბანკისათვის უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე მისი სრულიად უიმედო ვაჭრობისათვის დაქვემდებარება, აშკარა გათვლით, რომ ბანკს კიდევ ერთი მამული დააწვებოდა ტვირთად. აღნიშნულის საფუძველზე მმართველობამ, რათა დაეცვა ბანკის ინტერესები, არჩია გადაეწია მითითებული 4874 მანეთის შეტანის ვადა, ვიდრე აშკარა ზარალი მიეყენებინა ბანკისათვის; მით უფრო, რომ ამ გადაწყვეტილებით ბანკი არ განიცდიდა არავითარ დანაკარგს, ვინაიდან სანამ მსესხებლებს ვადიანი გადასახადები შეჰქონდათ, მამულს ზარალი არ მოუტანია. ამასთან, ვადის გადაწევა მსესხებლებს აძლევდა შესაძლებლობას, მოეძებნა ხელსაყრელი გამოსავალი მითითებული 4874 მან. შეტანისას შექმნილი სირთულიდან. მმართველობის იმედები გამართლდა 1894 წლის 30 ივლისს, თავადმა აფხაზებმა ბანკში შეიტანეს 25.000 მან. ნაღდი ფული, რითაც დაფარეს ვადიანი თუ შესყიდვის სხვა აუცილებელი გადასახადების დავალიანება 1895 წლის 1 იანვრამდე, რაც შეადგენდა 9718 მან. 83 კაპ., ხოლო დანარჩენით დაფარეს კაპიტალური სესხი და გირაოდან დაიხსნეს 772 დესეტინა. დაფარვის შემდეგ კაპიტალური სესხის ნარჩენი 1895 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 17.449 მან. 40 კაპ., რაც უზრუნველყოფილია მიწისა და ტყის

1919 დესეტინათი, რომელიც ტყის დაცვის კომიტეტის მიერ დაცულად არის აღიარებული.

ამგვარად, მმართველობის უმრავლესობის ამ გადაწყვეტილებით, რომელსაც თავადი მაჩაბელი მიკერძოების ნაყოფად მიიჩნევს, ბანკმა მიაღწია, პირველ რიგში, მისთვის საუკეთესო და მომგებიან შედეგებს და თავიდან აიცილა ის ტვირთი, რაც უკავშირდება მამულის გადასვლას ბანკის საკუთრებაში; მეორეც, დაფარა ყველა დავალიანება, რაც ამ მამულზე ირიცხებოდა 1895 წლის იანვრამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს 1919 დესეტინა, რაც ამჟამად უზრუნველყოფს 17.449-90 კაპ. ოდენობის კაპიტალური სესხის ნარჩენს, ბანკისათვის წინასთან შედარებით გაცილებით მყარი გარანტიაა. ვინაიდან ეს გარემოებანი შეამსუბუქებდნენ თავადი მაჩაბლის მიერ მმართველობისათვის წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, რასაც, როგორც უკვე არაერთგზის იქნა აღნიშნული, საგულდაგულოდ გაურბის, მან საჭიროდ ჩათვალა ეს გარემოებანი, ჩვეულებისამებრ დაევიწყებინა.

თავადი ი. გ. ბებუროვ-ვაჩნაძის საქმესთან დაკავშირებული გარემოებანიც, რომელთაც თავადი მაჩაბელი კვლავაც მმართველობის დანარჩენი სამი წევრის მიკერძოებული ქმედებების დამამტკიცებელ საბუთად იმოწმებს, მდგომარეობს შემდეგში:

თავადმა ი.გ. ბებუროვ-ვაჩნაძემ 1893 წელს ითხოვა, განსაკუთრებული გარემოებების გამო, მიეცათ მოკლევადიანი სეხი 6000 მანეთის ოდენობით. მმართველობამ, იქიდან გამომდინარე, რომ ერთი პირისათვის უმსხვილესი და უმცირესი სესხის ოდენობის განსაზღვრის უფლება წესდების &81-ის 4 პუნქტის ძალით მინიჭებული აქვს სამეთვალყურეო კომიტეტს და მიუხედავად მის მიერ ამ ოდენობის 2 000 მანეთით განსაზღვრისა, მას არაერთხელ დაურთავს ნება დადგენილ თანხაზე მეტი რაოდენობის მოკლევადიანი სესხისა გაცემაზე, ყოველივე აქედან

გამომდინარე, მმართველობამ ხმათა უმრავლესობით სამი ერთის – თავადი მაჩაბლის – წინააღმდეგ, დაადგინა, რომ არ აქვს არაფერი საწინააღმდეგო, თავად ი.გ. ბებუროვ-ვაჩნაძეს მისცეს 6 000 მანეთის ოდენობის მოკლევადიანი სესხი, თუ ამას სამეთვალყურეო კომიტეტიც დასთანხმდება. თავადი მაჩაბელი სწორედ ამ მტკიცებულების ძალით სდებს ბრალს მიკერძოებაში თავის სამ თანაწევრსა და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელ იმ შემადგენლობას, რომელმაც გასცა აღნიშნული ოდენობის მოკლევადიანი სესხი.

ბარათის ავტორი ამ მტკიცებულებას იმითაც ამყარებს, რომ, თითქოს, ამ პერიოდში ბანკს ხშირად უხდებოდა, სახსრების უქონლობის გამო, უარი ეთქვა იმათთვის, ვისაც რამდენიმე ასეულობით მანეთის ოდენობის მოკლევადიანი სესხი სჭირდებოდა.

ხოლო ის, რომ თავადი ავალოვის ხელში თავი მოიყარა 7000 მან. ოდენობის მოკლევადიანმა სესხმა, ეს იმით აიხსნება, რომ მან შეიძინა რამდენიმე მამული, რომელთა ქვეშაც გარანტიითაც გაიცა მოკლევადიანი სესხები ცალკეულ პირებზე და, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში შეძენა ხდებოდა ვალების გადარიცხვასთან ერთად, ბუნებრივია, ცალ-ცალკე ვალებმა თავი მოიყარა ერთ ხელში.

აქ სადავო შეიძლება გახდეს უფლება, რომლის ძალითაც სესხთა გადარიცხვა ხდება 2000 მანეთის ოდენობის რამდენიმე ცალკეული მოკლევადიანი სესხის უზრუნველმყოფი მამულების ყიდვა-გაყიდვასთან ერთად. ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტა კი გამოიწვევს იმას, რომ ბანკი დაკარგავს მყიდველებს, რომელთაც უკვე აქვთ გადასარიცხ ვალთან ერთად 2000 მანეთზე მეტი ოდენობის მოკლევადიანი სესხი. მყიდველების შემცირება კი საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ ბანკისთვის, არამედ თავად მსესხებლისთვისაც, რომელმაც დიდი კონკურენციის პირობებში შესაძლოა ვალ-

თან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი დანამატი მიიღოს. გარდა ამისა, ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვევს იმას, რომ მსესხებელი, რომელიც მოინდომებს მის მიერ 2000 მანეთად დაგირავებული მამულის ნებაყოფლობით გაყიდვას, ვალდებული იქნება ეძებოს მყიდველი აუცილებლად არა იმათ წრეში, ვისაც თავად აქვთ მოკლევადიანი სესხი.

ხოლო ის, რომ მოკლევადიანი სესხის დავალიანება გადაერიცხა მყიდველს, თავად ავალოვს, სამწლიანი კაპიტალური სესხის დაფარვის გარეშე, რაზეც ბარათის ავტორი მიუთითებს, როგორც მმართველობის უკანონო ქმედების სამხილს, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ ეს სესხები გაიცა სამი წლით და შესაბამისად, წესდების 33-ე პარაგრაფის ძალით მმართველობას ჰქონდა უფლება, არ მოეთხოვა ვალის დაფარვა; ამასთანავე, მმართველობას იგივე პარაგრაფი ანიჭებს უფლებას გადაავადოს იმ სესხთა დავალიანების გადახდა, რომლებიც გაცემულია, როგორც ამ მოცემულ შემთხვევაში, ვენახებისა და ხეხილის ბაღების გარანტიით პირველ სამზე უფრო მეტი ოდენობით, თანაც 5 წლით. რაც შეეხება თავადი მაჩაბლის რწმუნებას, რომ თავად ბებუროვ-ვაჩნაძეს მიეცა 6000 მანეთი იმ პერიოდში, როდესაც, თითქოს, ბანკს უწევდა უარის თქმა მოკლევადიანი სესხის ყველა მსურველისათვის, უნდა ითქვას, რომ თავადი მაჩაბლის აღნიშნული რწმუნება ამჯერადაც შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან თავადი ბებურო-ვაჩნაძისათვის მოკლევადიანი სესხი ნებადართულ იქნა 1893 წლის 20 სექტემბერს. მთელი 1893 წლის განმავლობაში მოკლევადიანი სესხები უწყვეტად გაიცემოდა და სულ გაიცა 15250 მან., რასაც მოწმობს 1893 წლის საქმეები №№ 85, 48, 84, 94, 111, 184, 530, 589 და ა. შ.

დასასრულ, საჭიროდ ვთვლით დავამატოთ, რომ თავადი მაჩაბლის მიერ საეჭვო მონაცემების საფძველზე სიმართლის, სინამდვილის ასეთი დამახინჯება ზემოთ-

აც არაერთხელ იქნა აღნიშნული. მის საბანკო საქმიანობაში ისეთი მაგალითებიც არის, რომლებიც ცხადყოფს მაჩაბლის უნარს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა აზრი გამოთქვას ერთსა და იმავე საკითხზე თავისი მიკერძოებული მიზნების მიხედვით. უტყუარი მტკიცებულებებით გამყარებული ეს მაგალითები ზემოთაცაა მითითებული. ამ მაგალითებზე კიდევ უფრო გასაოცარია თავადი მაჩაბლის ჩვეულება, ჩაიგდოს საკუთარი თავი ისეთი მდგომარეობაში, რომ ეჭვმიტანილ იქნას, ზოგადად, ეთიკის და კერძოდ, სამსახურეობრივი ეთიკის წესების დარღვევაში.

ასე, მაგალითად, ერთი მამული დამატებითი სესხისათვის შემფასებელმა კომისიამ შეაფასა 55000 მან. და ამ შეფასებაში თავადი მაჩაბელიც მონაწილეობდა, როგორც კომისიის წევრი. ამ მამულთან დაკავშირებით შემფასებელი კომისიის დასკვნა მოტივირებული იყო თვითონ მაჩაბლის მიერ, მისივე ხელით დაიწერა და მის მიერვე იქნა ხელმოწერილი ყოველგვარი შესწორებების გარეშე (იხ. 1881 წლის საქმე N117). ადგილობრივ გაზეთ „Новое Обозрение“-ში დაბეჭდილ წერილში კი იგი არწმუნებდა საზოგადოებასა და მკითხველს, რომ ეს მამული 7 000 მანეთიც არ ღირდა და მმართველობამ ამ მამულის გარანტიით 3 3000 მან. გასცა. ამ გარემოებაზე მითითებით თავადმა მაჩაბელმა მმართველობას ჯერ კიდევ მაშინ დასდო ბრალი გულგრილობასა და დაუდევრობაში. ისმის კითხვა: რა შეიძლება ვუწოდოთ თავადი მაჩაბლის მსგავს საქციელს? ორიდან ერთია: ან მან საკუთარ თავს უფლება მისცა გაებრიყვებინა შემფასებელი კომისიის თანაწევრები და შემდეგ მმართველობა; ან მისთვის არაფერს ნიშნავს სიცრუის ლაპარაკი, ოღონდ კი ზიანი მიაყენოს იმათ, ვინც მას ენდო.

არანაკლებ განსაცვიფრებელია შემდეგი ფაქტიც. 1889 წელს მმართველობამ, რომლის შემადგენლობაში თავა-

დი მაჩაბელიც იმყოფებოდა, გირაოში მიიღო მამული. ეს მამული შემდგომში დაგირავებული აღმოჩნდა ყალბი დოკუმენტებით ორ სხვა საკრედიტო დაწესებულებაშიც. აღნიშნული გარემოების აღმოჩენის შემდეგ დადგა საკითხი ამასთან დაკავშირებით. თავადმა მაჩაბელმაც არ დააყოვნა და იმავე გაზეთ „Новое Обозрение“-ს საშუალებით აუწყა საზოგადოებას, რომ ამ მამულის დაგირავებასთან არაფერ შუაშია და დამნაშავე მმართველობის დანარჩენი ორი წევრია. ამავე დროს, ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველობის დადგენილებას, ასევე, ჟურნალს, რომლითაც მოთხოვნილ იქნა საგირავნო ფურცლების გამოშვება და ანგარიშსწორების ფურცელს, რომლის საფუძველზეც გაიცა სესხი, ხელს აწერს თავადი მაჩაბელიც ყოველგვარი შესწორების გარეშე – (იხ. მმართველობის 1889 წლის 4 მარტის დადგენილება N860 და ანგარიშსწორების წიგნის მე-40 გვ.).

თავად მოხსენებითი ბარათის გაჩენაც მოულოდნელი გამოხდომაა, რაც განაპირობა არა საქმის ინტერესებმა, არამედ რაღაც ფარულმა ზრახვებმა და მიზნებმა, ვინაიდან თქვენთვის ცნობილია, რომ ეს ბარათი სანამ, წესისამებრ, თქვენ წარგენდგინებოდათ, ბარათის ავტორმა გაავრცელა ჩვენი ბანკის მოქმედების მთელს არეალში. ეს კი არ მოხდებოდა, მოხსენებითი ბარათის მიზანი რომ საქმის სამსახური ყოფილიყო და არა პირადი ინტერესი, რაზეც ცხადად მეტყველებს ბარათის ავტორის მიერ საკუთარი თავის ქება და მმართველობის დანარჩენი წევრების გაკიცხვა.

ამგვარი სწრაფვისას თავადი მაჩაბელი იმას მაინც უნდა შეეჩერებინა, რომ მოვალე იყო არ შეელახა დაწესებულების სახელი, სადაც თავადაც მუშაობს და რომლის ინტერესების დაცვა მასაც ევალებოდა. თუმცა პირადი მიზნებისაკენ სწრაფვამ იგი იმდენად გაიტაცა, რომ დაავიწყდა ეს მოვალეობა და არ მოერიდა თავის ბარათში მოჰყოლოდა იმის მტკიცებას, თითქოს, ოდეს-

ღაც გაჩნდა აზრი ბანკის საქმეების ლიკვიდაციის შესახებ, რისი მიზეზიც იყო ბანკის მიერ განცდილი მნიშვნელოვანი ზარალით გამოწვეული კრიზისი. თავადი მაჩაბლის ეს რწმუნება მით უფრო იმიტომ არის დაუშვებელი, რომ მას არ გააჩნია არავითარი საფუძველი და ეწინააღმდეგება ყოველგვარ სიმართლესა და სამართლიანობას. ლიკვიდაცია აზრად არასდროს მოსვლიათ არც ბანკის მესვეურებს და და არც მმართველობის რომელიმე წევრს. თავადი მაჩაბელი ამას ვერ დაადასტურებს არათუ რაიმე წერილობითი დოკუმენტით, არამედ ვინმე ისეთი პირის სიტყვების დამოწმებითაც კი, რომელიც მონაწილეობდა ან თუნდაც არ მონაწილეობდა ბანკის საქმეებში. ამდენად, ეს შეტყობინება მთლიანად უნდა ვაღიაროთ მაჩაბლის მგზნებარე წარმოსახვისა და უსირცხვილო ჩვევის ნაყოფად, არ მოერიდოს საკუთარი თანაწევრების მიმართ ბრალდების პუნქტის გაძლიერებას თვით აშკარა ტყუილის დამოწმების გზითაც კი. სიმართლისა და სამართლიანობის მოთხოვნებისადმი ბარათის ავტორის ამგვარი დამოკიდებულება მით უფრო იმიტომ არის მიუტევებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში მისმა შეტყობინებამ, თანაც მცდარმა, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების უზადო სახელზე. მით უფრო, რომ თავადი არ მოერიდა გაევრცელებინა თავისი მოხსენებითი ბარათი ბანკის მოქმედების მთელ არეალში.

არ შეიძლება არ მივუთითოთ თავადი მაჩაბლის კიდევ ერთ ორიგინალურ თავისებურებაზე, ყველა თავისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მიიჩნიოს ურყევად მაშინაც კი, როდესაც ეს შეხედულებები მისი მიუხვედრელობის ნაყოფს წარმოადგენს; მიუხედავად ამისა, მაჩაბელი მათში პოულობს საყრდენს სხვების დასადანაშაულებლად უცოდინრობასა და მიუხვედრელობაში. ასე იქცევა იგი თავის მოხსენებითი ბარათის მე-6 გვერდზე, სადაც საუბარია საგირავნო ფურცლების

კონვერსიის შესახებ. თავად მაჩაბელს, აკვირვებს რა მმართველობის ერთ-ერთი წევრის მოასზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 6%-იანი საგირავნო ფურცლების 5%-ად კონვერსიის დროს საჭირო გახდება 6%-იანების საბირჟო ფასით შესყიდვა 5%-იანების ხარჯზე, ავიწყდება, რომ აქ საუბარია 6%-იანი საგირავნო ფურცლების უშუალო კონვერსიაზე. თავადი მაჩაბელი ვერ მიხვდა, რა განსხვავებაა იმ სესხთა კონვერსიას, რომლის შედეგიც საგირავნო ფურცლების კონვერსიაა და ამ უკანასკნელთა უშუალო კონვერსიას შორის, რომლსაც მოჰყვება სესხთა კონვერსია. ორივე სახის კონვერსიის სამართლებრივი გარემოება განსახორციელებლად სრულიად სხვა გზებს საჭიროებს. ეს ცნობილია ყველასთვის, ვინც იცის საკითხის არსი. პირველ შემთხვევაში, იმის გამო, რომ სესხი ნებისმიერ დროს შეიძლება დაფაროს მსესხებელმა და ბანკი ვალდებულია ტირაჟის მიხედვით მიმოქცევიდან ამოიღოს გადახდილი თანხის საგირავნო ფურცლები, საგირავნო ფურცლების კონვერსია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სესხთა კონვერსიის შემდეგ, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ ირღვევა საგირავნო ფურცლების მფლობელთა უფლებები და ინტერესები. ისინი წესდებით არიან წინასწარ გაფრთხილებულნი, რომ მათი საგირვნო ფურცლები შეიძლება იქნას მიმოქცევიდან ამოღებულ სესხის ნებისმიერ დროს დაფარვის გზით. საგირავნო ფურცლების უშუალო კონვერსიისათვის კი საჭიროა წინასწარ დადგენილი სპეციალური უფლება, რომლის არქონის შემთხვევაშიც მაღალპროცენტიანი ქაღალდების დაბალპროცენტიანად კონვერტაციის მსურველ ბანკს ან სხვა რომელიმე დაწესებულებას ერთადერთი გზა რჩება – პირველი იყიდოს საბირჟო ფასით მეორის ხარჯზე, თუ არ აქვს ნაღდი ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ქაღალდის მფლობელთა უფლებები და ინტერესები. ისინი ამ ქაღალდებს ყიდულობენ იმ იმედით, რომ კანონით დად-

გენილი წესის გარეშე მათ ნომინალური ღირებულებით ვერავინ მოსთხოვს. ეჭვგარეშეა, რომ ქაღალდის მფლობელთა უფლებებისა და ინტერესების დამრღვევი კანონი დაუშვებელია და, შესაბამისად, რჩება მხოლოდ ნებაყოფლობითი გარიგება დაწესებულებასა და საკონვერტაციო ქაღალდების მფლობელთა შორის ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვის პირობების ნიადაგზე. საგირავნო ფურცლების უშუალო კონვერსიასა და სესხთა კონვერსიას შორის არსებულ ამ განსხვავებას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საგირავნო ფურცლების კონვერსია, ვერ მიხვდა თავადი მაჩაბელი და სწორედ მისი ეს მიუხვედრელობა გახდა მიზეზი უვიცობაში სხვათა დადანაშაულებისა.

თავადმა მაჩაბელმა მოხსენებითი ბარათი დაწერა, როგორც თავად ირწმუნება, განსაკუთრებული მიზნით, რათა დაგვანახოს, თუ როგორ დგას ბანკის ინტერესთა სადარაჯოზე და სწამს თავისი მოსაზრებების ურყეობისა. ამით თავის წინააღმდეგ აამხედრა სამეთვალყურეო კომიტეტისა და მმართველობის მთელი შემადგენლობა. თუმცა მას დაავიწყდა საკუთარი თავისთვისაც მიეპყრო ყურადღება და თავის თავში, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავისებურ ქცევებში ეძებნა სავალალო მდგომარეობის მიზეზები არა მხოლოდ მმართველობის თანაწევრებს შორის, არამედ იქ მომუშავე სხვა პირებს შორისაც.

[1895 წ. 25 ივლისი]

ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილების საგანგებო კანცელარიაში

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველობის ახსნა-განმარტება

თავად ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით.

საკრედიტო განყოფილების საგანგებო კანცელარიის 1896 წლის 10 აგვისტოს N12457 მოთხოვნით, მმართველობას, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, იძულებული გახდა კანცელარიისათვის მიეცა ახსნა-განმარტება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით, აქვს პატივი აცნობოს მას შემდეგი:

თუკი დაწვრილებით ჩავუკვირდებით თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. საჩივარს და მის ახსნა-განმარტებით ბარათს, დავინახავთ, რომ ორივე მათგანის მთავარი ნაწილი უფრო დაუოკებელი ჟინის განსაკუთრებული ხასიათის ქაღალდებია, რომლებიც მთავრობის პირებსა და დაწესებულებებს მიეწოდა ანონიმურად თუ არაანონიმურად იმ პირების წინააღმდეგ ასამხედრებლად, ვინც ავტორს, რატომღაც თვალში არ მოსდიოდა, ვიდრე ნამდვილი საჩივარი, რომელიც ისახავს გაცილებით კეთილშობილურ ამოცანას, აღადგინოს მოსაჩივრის დარღვეული კანონი ან მისი დარღვეული უფლება. საჩივარი უნდა შეიცავდეს არგუმენტებს, მსჯელობებს, დასკვნებს,

აქ კი საქმე გვაქვს ადამიანის უბადრუკ ხელოვნებასთან გამოიგონოს, შეთხზას, ოღონდაც კი ავნოს მოწინააღმდეგეს. ქაღალდების ამ ნაწილში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ცდილობს დაარწმუნოს ფინანსთა სამინისტრო, რომ მმართველობის ყოფილი წევრი, თავადი ივ. მაჩაბელი, შეუმცდარია თავის გამორჩეულ მოსაზრებებში და დაღუპვის პირას მდგარი ბანკის ერთადერთ მხსნელად სწორედ ის გვევლინება; ამასთანავე, მისი მითითებები უდავოდ სწორია და მათი სანქცირება უნდა მოხდეს უფლებამოსილი ძალის მიერ, რომ მიენიჭოს კანონის სავალდებულო ძალა ბანკის ყველა მართვის ორგანოსათვის; ბოლო მორიგი კრების თავმჯდომარემ, ბ-ნმა მუსხელოვმა, თავი ისახელა, როგორც პაექრობის უბადლო ხელმძღვანელმა და წესრიგისა და კანონიერების სანიმუშო დამცველმა, რომელსაც მაგალითი არ მოეპოვება ბანკის ოცწლიანი არსებობის ისტორიაში; თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, ასევე, ირწმუნება, რომ სწორედ იგი და ოპოზიციის სახელით ცნობილი პირთა ჯგუფი არიან ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ინტერესების ერთადერთი უანგარო და მარჯვე დამცველნი. ხოლო ბანკის ხელმძღვანელობის ყველა სხვა მოღვაწე დამნაშავე, ვინაიდან არ აღიარებენ თავიანთ თავზე არც ბ-ნი ფინანსთა მინისტრის ძალაუფლებას, არც ზოგადად ან სპეციალურად ბანკისათვის არსებული კანონების სავალდებულო ძალას და უპატივცემულოდ ეკიდებიან ბ-ნი მინისტრის განკარგულებებსა თუ ბ-ნი რევიზორის მოსაზრებებს, ხელმძღვანელობენ მხოლოდ პირადი გამორჩენის ამორალური მიზნებით, მხოლოდ ნათესაურ-მოყვრული და ა.შ. გრძნობებით. მგზნებარე წარმოსახვისას თავად ჯამბაკურ-ორბელიანს არ მოერიდა ეჭვი გამოეთქვა, რომ ადგილობრივი პრესა მოსყიდულია, ყოველ შემთხვევაში, შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს ბანკისა და საერთო კრების საქმეების შესახებ თავის სარეპორტიორო ან-

გარიშებში და ყოველივე ამას აკეთებს ანგარებიანი მიზნის გამო, მხარი დაუჭიროს ბანკის მმართველობას.

ე.წ. საჩივრისა და ახსნა-განმარტებითი ბარათის ამ ნაწილს, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ განსაკუთრებით ხაზგასმულს, არავითარი კავშირი არ აქვს თხოვნის იმ სამ პუნქტთან, რომლებითაც მთავრდება საჩივარი და აშკარად მიუთითებს, თუ რატომ და რისთვის უთმობს მომჩივანი აღნიშნულ ქალაქდებში ამხელა ადგილს ბანკის მმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებული პირების ერთი ჯგუფის ლანძღვასა და დამცირებას და მეორის ქება-დიდებას. მმართველობა შორს არის იმ აზრისაგან, ამ მხრივ ანგარიში გაუსწოროს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს. ამასთან დაკავშირებით მასთან კამათის არავითარი სურვილი არ გააჩნია მმართველობას. ეს მისი საქმეა, რა მიაჩნია ნებადართულად და რა – არა, მაშინ როდესაც ადამიანები საქმეზე მსჯელობისას საზოგადოებრივ ინტერესებზე გულშემატკივარი და მზრუნველი კაცის მანტიით იმოსებიან.

თუმცა მმართველობისთვის გაუგებარია, რატომ მოითხოვს ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ნაწილის საგანგებო კანცელარია ცნობებსა და ახსნა-განმარტებებს მთელ საჩივართან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელზეც საუბარია? ეჭვგარეშეა, ამ ნაწილის ახსნა-განმარტების მოთხოვნა, რასაც საფუძვლად უდევს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის პირადი ზრახვები და მისი გამორჩეული უნარი, შეარცხვინოს ერთნი და შეაქოს მეორენი, დასაბამს აძლევს პირადი ხასიათის დავებს იმ საკითხებზე, რომლებსაც, შეეხება რა ადამიანის ხელშეუხებელ მორალურ მხარეებს და მის შინაგან ზრახვებს, აქვს მხოლოდ დაუსაბუთებელი პასუხები „დიახ“ ან „არა“, იმის მიხედვით, რომელ მოდავეს რა უფრო აკმაყოფილებს.

საჩივარში უამრავი ასეთი ხასიათის საკითხია, რომელთა დანახვაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი,

თუ ადამიანს სხვათა ფიქრების წაკითხვის უნარი აქვს. ხოლო თუ რამდენად შეიძლება ამ საეჭვო უნარზე დაფუძნებულმა შეფასებებმა შეარყიოს ადამიანთა რწმენა, პატივი და ღირსება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეხედულებები აქვთ ადამიანის ამ ფასეულობაზე თავად მაჩაბელს და იმ პირებს, ვინც მას ხელს უწყობენ. თუმცა საეჭვოა, რომელიმე პირს და მით უფრო დაწესებულებას დასჭირვებოდა ოფიციალური მოთხოვნა, რათა დაეწყო უმიზნო დავა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ხარ შენ და როგორები არიან შენი მოწინააღმდეგეები გულის სიღრმეში, რისი გაკეთებაც მოუწევს მმართველობას მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ჯამბაკურ- ორბელიანის ე.წ. საჩივრის, ხოლო მეორე მხრივ, საკრედიტო კანცელარიის მოთხოვნით, მისცეს მას „სათანადო ცნობები და ახსნა-განმარტებები ამ საჩივრის მთელ შინაარსთან დაკავშირებით“.

მმართველობა საგონებელშია ჩავარდნილი – როგორი შეიძლება იყოს ეს „სათანადო ცნობები და ახსნა-განმარტებები“ იმ ადამიანის განაჩენებთან დაკავშირებით, რომელმაც მოინდომა ერთნი ცამდე აიყვანოს ხოტბადიდებით, ხოლო მეორეებს სახელი გაუტეხოს? რა არის აქ ასახსნელ-განსამარტი, დასამტკიცებელი ან უარსაყოფი?

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. საჩივარი საეჭვო ყაიდის გაზეთის ფელეტონისათვის თუ გამოდგება მასალად. ამდენად, მმართველობისათვის ფრიად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რა პასუხი გაეცემა ამ საჩივარს ოფიციალურ ქაღალდზე. ამის ერთადერთი ღირსეული პასუხი დუმილი იქნებოდა, მმართველობას რომ ჰქონოდა საშუალება, დარჩენილიყო იმ ღირსების ფარგლებში, რაც ახასიათებს ყოველ კოლეგიალურ დაწესებულებას და საკუთარი თავის პატივისცემის მქონე ცალკეულ პირს. თუმცა საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნის გამო, მმართველობას

ერთადერთი გამოსავალი რჩება – მიენდოს ჯამბაკურ-ორბელიანის მცდელობასა და ძალისხმევას, აამხედროს ბატონი ფინანსთა მინისტრი ბანკის მმართველობის ორგანოთა ახლანდელი შემადგენლობის წინააღმდეგ და კეთილად განაწყოს თავადი ივ. მაჩაბლისა და მისი გულითადი მეგობრების მიმართ, რომელთა შორის ერთერთი პირველია თვითონ ჯამბაკურ-ორბელიანი. რამდენად სწორად გათვალა თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა თავისი მცდელობების და ძალისხმევათა წარმატება, ეს მისი საქმეა. მაგრამ მმართველობა, აქვს რა ფინანსთა სამინისტროს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის იმედი, ვერ დაუშვებს, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის დაუსაბუთებელი ქება-დიდება საჩივრის ამ ნაწილში, სადაც სააშკარაოზე გამოჰყავს საკუთარი თავი, შემდგომი განხილვის გარეშე იქნება შეფასებული იმის მიერ, ვისაც ეს მართებს.

ამიტომ მმართველობა უყურადღებოდ ტოვებს საჩივრის ამ ნაწილს და არ აშინებს ის, რომ არასრულყოფილი ახსნა-განმარტებებისათვის საკრედიტო კანცელარიის საყვედურს დაიმსახურებს. ამგვარად, გამოიყოფა საჩივრის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს პიროვნებათა შესახებ მსჯელობას, დაფუძნებულს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ვარაუდებზე და სხვისი აზრების წაკითხვის მის განსაკუთრებულ უნარზე. საჩივრის მეორე ნაწილი მმართველობას აიძულებს, მისდა სამწუხაროდ, შეეხოს პიროვნებების დახასიათებას. თუმცა მმართველობა აძლევს თავს ამის უფლებას იმდენად, რამდენადაც ეს პიროვნებები საკუთარ ქცევებში ავლენენ თავს, თანაც ისეთ ვითარებებში, რომლებიც დაგვეხმარება როგორც მორიგი, ისე საგანგებო კერების თანმხლები მოვლენების გაგებაში. საჩივრით გამოწვეული ამგვარი იძულებითი დახასიათებისას მმართველობა იხელმძღვანელებს მხოლოდ იმ დოკუმენტური მონაცემებითა და ფაქტებით, რომელთა შემოწმებაც ნებისმიერ

დროს იქნება შესაძლებელი და შეუწყნარებელი იქნება სხვისი, განსაკუთრებით მოწინააღმდეგის, აზრების წაკითხვის მანერისადმი.

გადადის რა ამ გარემოებების გადმოცემაზე, მმართველობას აქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი.

1890 წლის 16 იანვარს ბანკის მმართველობის წევრს, თავად ი. მაჩაბელს, იმავე მმართველობაში შეაქვს განცხადება თხოვნით, მიეცეს „ანგარიშგებითი“ 1889 წლის დივიდენდების ხარჯზე ათასი მანეთი, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში, აცხადებს რა თანხმობას ხელწერილის მიცემაზე, რომ თუ რაიმე მიზეზით საერთო კრება არ დაამტკიცებს ანგარიშს, – რაც ნაკლებად წარმოსადგენია – ეს ათასი მანეთი სრულად წარადგინოს მისთვის განკუთვნილი ჯამაგირიდან“. მმართველობამ უარი უთხრა მას ამ თხოვნაზე.

ამის დასტურად წარმოდგენილია თავადი ი. მაჩაბლის ხელით დაწერილი განცხადების ასლი და მასზე მმართველობის რეზოლუცია, დანართი N1.

რა თქმა უნდა, ძალზე უცნაურია ამგვარი განცხადება ადამიანისაგან, რომელიც თავის მოხსენებით ბარათში არწმუნებს ბ-ნ რევიზორს (გვ. 8), რომ, შევიდა რა მმართველობის შემადგენლობაში, მაშინვე გაისიგრძიგანა თავისი პირდაპირი მოვალეობები და მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი მოვალეობა, არ ისარგებლოს ბანკის სალაროთი. მაგრამ კიდევ უფრო უცნაურია ამ შემთხვევაში აღნიშნული განცხადების დროში დამთხვევა შემდეგ გარემოებებთან.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-3 გვერდზე, ამჯერად სრულიად სამართლიანად, ირწმუნება, რომ 1890 წლიდან თავი იჩინა ბანკის საქმიანობისა და მისი ხელმძღვანელის კრიტიკამ და „საქმისადმი ამგვარი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა თვითონ მმართველობის წევრს თავად ი. მაჩაბელს“. ასევე უცნაურია ის, რომ 1890 წლამდე

იმავე ი. მაჩაბელს, რომელიც 1883 -1891 წ.წ. მმართველობის წევრი იყო, ამგვარი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება საქმისადმი არ გამოუვლენია 1890 წლამდე, ე.ი. იქამდე, სანამ განცხადება არ იქნა შეტანილი მისთვის 1000 მანეთის გაცემის შესახებ, რაზეც უარი ეთქვა მმართველობის მიერ. 1890 წლამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავად ი. მაჩაბელს რაიმე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი ჰქონოდა, მიუხედავად მის მიერ ამ ბოლო დროს გამოვლენილი დაუოკებელი ვნებისა განსხვავებული აზრის გამოთქმისადმი, რაც ცხადი ხდება ქვემოთ ნათქვამიდან. ამის დასტურად მმართველობა იმოწმებს ყველა იმ საქმესა და საკითხს, რომლებიც მის მიერ იქნა გადაწყვეტილი 1883-1890 წლებში. მათში არ მოიძებნება არც ერთი გადაკრული სიტყვა იმის შესახებ, რომ თავადი ი. მაჩაბელი ოდესმე არა თუ შეგნებულად და კრიტიკულად ეკიდებოდა თანაწევრების საქმიანობას, არამედ რაიმეში მაინც გამოხატავდა, რომ არ ეთანხმებოდა მათ. თუმცა თავად ჯამბაკურ-ორბელიანიც ადასტურებს თავის ახსნა-განმარტებით ბარათში, რომ 1890 წლამდე ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებით არ ყოფილა ვინმეს მხრიდან არც კრიტიკა, არც კონტროლი. მართალია ზოგადი თვალსაზრისით ეს სიცრუეა, რაც ჩანს კიდეც სარევიზიო ანგარიშიდან, მაგრამ კონკრეტულად თავადი მაჩაბლის შემთხვევაში ეს მოწმობა სამართლიანია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ხელიდან არ გაუშვებდა შესაძლებლობას, ხაზი გაესვა თავისი შთამაგონებლის ამ დამსახურებისათვის.

ამასთანავე, ბ-ნი რევიზორიც 1890 წელს არა, მაგრამ ახლო თარიღს, კონკრეტულად კი, 1891 წელს მიუთითებს, მიჯნად ამ წლამდე არსებულ და მის შემდგომ გაჩენილ ცვლილებას შორის ბანკის საქმეთა სვლაში, რაზეც დაწვრილებით იქნება ქვემოთ ნათქვამი.

ამრიგად, უდავო ფაქტები ასეთია: ა) 1890 წელს

მმართველობის წევრი თავადი ი. მაჩაბელი მართველობას სთხოვს, მხოლოდ ხელწერილის გარანტიით სესხად მისცეს 1000 მანეთი, რაზეც მმართველობა უარს ეუბნება; ბ) მმართველობის შემადგენობაში შესვლის დღიდან 1890 წლამდე, ე.ი. შვიდი-რვა წლის მანძილზე, თავადი მაჩაბელი დანარჩენ თანაწევრებთან სრულ თანხმობაშია; არ ჰქონია მიზეზი, რაიმე გაეკრიტიკებინა ან დაეწუნებინა. 1891 წლიდან კი, ბ-ნ რევიზორის მოწმობით (რევიზიის ანგარიში, გვ. 8) აქამდე მშვიდი და მზრუნველი მმართველობის ორგანოდან საერთო კრება გადაიქცა ცალკეული პირების ვნებათა და ინტერესთა ბრძოლის ველად.

მართალია, ძალზე თვალშისაცემია მართვის ორგანოებში კრიტიკის გაჩენის გარკვეულ მოვლენებთან ასე დამთხვევა დროში და მეტად გასაკვირია თავადის საკუთარ თანაწევრებთან ერთად ბანკის საქმეებში სრულიად შეთანხმებული მოქმედების ასეთი უცაბედი გარდაქმნა, თუმცა მმართველობა დასკვნების გამოტანისაგან მაინც თავს იკავებს და შემოიფარგლება მხოლოდ უდავო ფაქტების დადგენით.

ბანკისა და საკუთარი თანაწევრების საქმიანობისადმი უეცრად გაჩენილი „შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების“ პირველი ფაზა დამთავრდა იმით, რომ თავადმა ი. მაჩაბელმა თავი მოვალედ ჩათვალა, ვადაზე ადრე გასულიყო მმართველობის შემადგენლობიდან.

1892 წელს, ე.ი. მას შემდეგ, რაც ბანკში სამსახურს თავი დაანება, მაჩაბელმა გამოსცა ანონიმური ბროშურა ქართულ ენაზე, რომლის ავტორობაც შემდგომ თავადვე აღიარა. მასში იგი არ იშურებს საღებავებს და ბანკის საქმეების მდგომარეობასა და მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა საქმიანობას გვიხატავს მთელი მგზნებარებით, რაც მხოლოდ გაუაზრებელი და არაკეთილსინდისიერი კრიტიკისათვის არის დამახასიათებელი. ბროშურა სავსეა პირადი ხასიათის

თავდასხმებით, როგორიც არის, მაგალითად, მმართველობის ან მაჩაბლის ცალკეული თანაწევრების დადანაშაულება იმაში, რომ ვერ ამჩნევენ იმას, რაც ხდება; არ შეუძლიათ ბანკის მართვის ამოცანებსა და საკითხებში ორიენტირება, დაუდევრად ეკიდებიან მსესხებლების და საკუთრივ დაწესებულების ინტერესებს; მოკლედ რომ ვთქვათ, ლამის იდიოტიზმსა და ამორალურ ზრახვებში სდებს ბრალს. რა თქმა უნდა, მას არ დავიწყნია, ამისდაკვალად, ხოტბა შეესხა თავისი ფასდაუდებელი წვლილისათვის.

იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორი ხასიათისაა ეს თავდასხმები და რამდენად სამართლიანია ისინი, საკმარისია არსებული უამრავი მაგალითიდან მხოლოდ ორის მოყვანას. თავადი ი. მაჩაბელი თავის ბროშურაში ბრალს სდებს მმართველობის თანაწევრებს შეფასების დროს გამოჩენილ დაუდევრობასა და გულგრილობაში, რის შედეგადაც ბანკმა განიცადა ზარალი და მიუთითებს ერთ მამულზე. ეს მამული შემფასებელი კომისიის მიერ დამატებითი სესხისათვის შეფასდა 55.000 მანეთად. ამგვარი ფასის შესაბამისად მმართველობამ გასცა 33.000 მან. ეს მამული დარჩა ბანკს და მის გამო მართლაც იზარალა ბანკმა. თავადი ი. მაჩაბელი, მიუთითებს რა ამ გარემოებაზე თავისი ანონიმური ბროშურის 78-ე გვერდზე, ირწმუნება, რომ მმართველობის მიერ 55.000 მანეთად შეფასებული ეს მამული 14.000 მანეთადაც კი ვერ გასაღდება; მაშინ, როცა იგივე ი. მაჩაბელი ადგილობრივ გაზეთ «Новое Обозрение»-ში ამტკიცებდა, რომ აღნიშნული მამული მაშინაც კი, ე.ი. შეფასების დროსაც, არ ღირდა 7. 000 მანეთიც კი. მაშ, რა გამოდის? ეს მამული დამატებითი სესხისათვის 55.000 მანეთად იქნა შეფასებული შემფასებელი კომისიის მიერ, რომლის წევრიც იყო თავადი მაჩაბელი და მონაწილეობდა კიდეც ამ შეფასებაში. უფრო მეტიც: შემფასებელი კომისიის დასკვნა მაჩაბლის მიერ არის მოტივირებული, ვინაიდან

მისივე ხელითაა დაწერილი და ხელმოწერილია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე (1881 წ. საქმე N117).

თავისი არსით არანაკლებ განსაცვიფრებელია მსგავსი ხასიათის მეორე მაგალითიც. 1889 წელს მმართველობამ, რომლის შემადგენლობაშიც მესამე წევრად შედიოდა თავადი ი. მაჩაბელიც, გირაოში მიიღო ზიალოვის მამული. ეს მამული შემდგომ დაგირავებული აღმოჩნდა ყალბი დოკუმენტებით ორ სხვა საკრედიტო დაწესებულებაში. ეს გარემოება 1890 წელს გამჟღავნდა, ე.ი. იმ დროს, როდესაც თავი იჩინა თავადი ი. მაჩაბლის ოპოზიციამ. თავადმა მაჩაბელმა იმ დროს მოინდომა ამ მამულის დაგირავების მთელი პასუხისმგებლობა თავისი ორი თანაწევრისათვის დაეკისრებინა, როცა თავად აღარ იყო მმართველობის წევრი და ბრალი დასდო მათ დაუდევრობაში, გულგრილობასა და უყურადღებობაში, ამ საქმის გადაწყვეტაში საკუთარი მონაწილეობა კი საერთოდ უარყო. მან არ დააყოვნა და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას ადგილობრივ გაზეთ «Новое Обозрение»-ს საშუალებით აცნობა. აი, რა ხდება სინამდვილეში: ამ საკითხთან დაკავშირებით მმართველობის დადგენილება, ასევე, ჟურნალის დადგენილება, რომლითაც გამოთხოვილ იქნა საგირავნო ფურცლების გამოშვება და ანგარიშსწორების ფურცელი, რომლის საფუძველზეც გაიცა სესხი, თავად ი. მაჩაბლის მიერ, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, არის ხელმოწერილი (მმართველობის 1889 წლის 4 მარტის დადგენილება N860, ანგარიშსწორების წიგნი, გვ. 40, საგირავნო ფურცლების გამოშვებაზე იმავე 1889 წლის 4 მარტის ჟურნალი N860, ეს საგირავნო ფურცლები აღნუსხულია დანართი N2-ში).

მმართველობა თავს იკავებს, საკადრისი სახელი უწოდოს მსგავს ქმედებებს და მრავალ არსებულ მაგალითთაგან ეს ორი მოჰყავს, რათა დაგვანახოს, რამდენად საღ აზრს მოკლებულია ბანკის საქმიანობისა და ყო-

ფილი თანაწევრების საქმიანობისადმი მიმართული მაჩაბლის კრიტიკა და ასევე, ერთი მხრივ, დამნაშავიდან უდანაშაულოზე შეგნებული გადაბრალების, ხოლო მეორე მხრივ, იმ არანაკლებ შეგნებული სწრაფვის საჩვენებლად, რომ წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოვიდეს, სხვები კი დასახრჩობად გაიმეტოს.

ამგვარი თავდასხმებით სავსეა თავადი ი. მაჩაბლის ზემოხსენებული ბროშურა. არ არის აუცილებელი სხვა თავდასხმების ჩამოთვლა. ეს ორი მაგალითიც საკმარისია, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას იმის შესახებ, თუ რაოდენ ერკვევა ი. მაჩაბელი თავდასხმის იარაღის არჩევაში. აქ დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ეს 87-ფურცლიანი ბროშურა, რომლის განხილვის საგანსაც ბანკის საქმიანობა წარმოადგენს, არ ეხება არც ერთ პროფესიულ საკითხს, გარდა ერთისა, და იმასაც ისე ეხება, რომ აშკარა ხდება როგორი ბავშვური, გულუბრყვილო შეხედულებები აქვს ავტორს საქმეზე.

ასე, მაგალითად, ბროშურის 52-ე გვერდზე თავადი ი. მაჩაბელი, არც თუ უბოროტოდ და ღვარძლის გარეშე, უმოქმედობაში ადანაშაულებს მმართველობას, იმოწმებს რა იმ ფაქტს, რომ მმართველობამ არ მოახდინა 6%-იანი საგირავნო ფურცლების კონვერსია 1891 -1892 წლებში. მართალია, 1891 წლამდე ბანკს ჯერ კიდევ არ ჰქონდა 5%-იანი საგირავნო ფურცლების გამოშვებაზე ნებართვა და, აქედან გამომდინარე, ნებართვა გაიცა მხოლოდ 1891 წლის მეორე ნახევარში; მართალია, ფინანსთა სამინისტროს მიერ არაერთხელ ეთქვა უარი მმართველობას კონვერსიის შესახებ ნებართვის მისაღებად შუამდგომლობაზე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იმ პერიოდშიც არ არსებობდა სათანადო კურსი თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის 5%-იანი საგირავნო ფურცლებისა. მიუხედავად ყოველივე ამისა, თავადმა მაჩაბელმა მაინც ჩათვალა საჭიროდ, მმართველობა დაედანაშაულებინა უმოქმედობასა და მსესხებელთა

ინტერესების უგულებელყოფაში. რაკი თავადმა მაჩაბელმა საჭიროდ მიიჩნია, შეჰხებოდა მსესხებელთათვის ამ ყველაზე მტკივნეულ საკითხს, კეთილსინდისიერება მოითხოვს, ამ უკანასკნელთა ბანკით უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, განვმარტოთ, რომ სესხის მაღალპროცენტიანიდან დაბალპროცენტიან სესხში გადასვლა დამოკიდებულია არა მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების სურვილზე, არამედ უამრავ სხვა პირობაზეც, რომლებიც ამ დაწესებულის ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად არსებობენ. თუმცა თავად მაჩაბელს ამის გაკეთება სხვაგვარად მოუნდა და მიუთითა მსესხებლებს, რომ მმართველობას არ შესწევს ძალა, განახორციელოს 5%-იანი საგირავნო ფურცლების 98-ად კონვერსირება. საზოგადოებისათვის იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ მარტივად შეიძლებოდა, მისი აზრით, ამის გაკეთება, თავის ბროშურაში გვთავაზობს შემდეგ გეგმას: მიეყიდოს კაპიტალისტს 5%-იანი საგირავნო ფურცლები 98%-ად, ხოლო იმ ორი პროცენტის ზედმეტად გადახდა, რაც 100%-მდე აკლია, დაეკისროს ბანკს 6%-იანი საკონვერსიო საგირავნო ფურცლების მთელ თანხაზე და ეს ზედმეტი გადასახადი ბანკს მსესხებლებისგან დაუბრუნდეს ერთ ან ორ წელში. მანამდე კი ან საკუთარი სახსრებიდან დაფაროს ან საჭირო თანხა ისესხოს იმავე კაპიტალისტისაგან, რომელმაც შეისყიდა 5%-იანი საგირავნო ფურცლები.

და თავადმა ი. მაჩაბელმა, რომელსაც შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება აქვს ბანკის საქმეების მიმართ, არა მხოლოდ შესაძლებლად მიიჩნია ამ გეგმის რეალობაში განხორციელება, არამედ მმართველობა დაადანაშაულა კიდეც იმაში, რომ მან თავისი უვიცობისა და უუნარობის მიზეზით თავად ვერ მოიფიქრა ასეთი მარტივი გეგმა და მსესხებლები დატოვა უწინდელი მაღალპროცენტიანი ვადიანი გადასახადების უღელქვეშ. ამ გეგმაში არსებულ ყველა სხვა შეუსაბამ-

ობას რომ თავი დავანებოთ, ერთის ხსენებაც საკმარისია: მაშინ საკონვერსიო საგირავნო ფურცლები დაახლოებით, შეადგენდა ათ მილიონ მანეთს და, ამდენადად, ბანკს მოუწევდა მთელ ამ თანხაზე ზედმეტად ორი პროცენტის გაანგარიშებით ან ამოეწურა მთელი თავისი რესურსი, ვინაიდან თავადი მაჩაბლის ანგარიშით ზედმეტი გადასახადისათვის საჭირო 200.000 მან. საეჭვოა ჰქონდეს ისეთი მწირი კაპიტალის მქონე ბანკს, როგორიცაა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი; ან ეს 200.000 მან. უნდა ესესხა კაპიტალისტებისაგან ერთი ან ორი წლით. აღარ ვკითხულობთ იმას, თუ რით უნდა ეცდუნებინათ ამ შემთხვევაში კაპიტალისტი, რათა გაერისკა ამხელა თანხით ყოველგვარი პროცენტის ზრდის გარეშე, ან რა ნიადაგზე და რით უზრუნველყოფით შეიძლება შემდგარიყო სესხის, განსაკუთრებით კი ასეთი უპროცენტო სესხის, გარიგება.

ძალზე მოულოდნელი კია ამგვარი შეთავაზება იმ პირისაგან, რომელსაც შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება აქვს ბანკის საქმეებისადმი, გულუბრყვილოდ კი ჟღერს კაპიტალისტისაგან ასეთი დიდი თანხის ერთი ან ორი წლით სესხებაზე მითითება პროცენტებისა და ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე, მაგრამ პროფესიულ სფეროში ყველაზე მარტივი საკითხის არცოდნის თუნდაც ეს ერთი ნიმუში კარგად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, თუ რამდენად სოლიდურია თავადი ჯამბაკურორბელიანის შეხედულება ზოგადად, კრიტიკაზე, და შეგნებულ კრიტიკაზე, კერძოდ, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად გულუბრყვილოდ სწამს თავად ი. მაჩაბელს ბანკის საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი დებულებების უტყუარობა და თავისი მოხსენებითი ბარათის პირველ გვერდზე ცდილობს ამაში დაარწმუნოს ბ-ნი რევიზორიც, რომლის სახელზეც შეიტანა ხსენებული ბარათი.

ყოველ შემთხვევაში, ადვილი წარმოსადგენია, რა

მოუვიდოდა ბანკს, მისი ბედი ბანკისადმი ამგვარი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების მქონე პირისთვის რომ მიგვენდო.

კიდევ შეიძლებოდა სხვა მსგავსი დოკუმენტური მონაცემების მოყვანა, რათა ცხადი გამხდარიყო, თუ როგორ გაჩნდა 1890-1892 წლებში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. ოპოზიცია, რომლის მეთაურადაც, ამ უკანასკნელის საჩივრის მიხედვით, თავადი ი. მაჩაბელი გვევლინება, ხოლო მის უფროს რიგითად – თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, თუმცა, მმართველობის აზრით, ეს მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ და რა ნიადაგზე აღმოცენდა ეს ოპოზიცია, რა საშუალებები და გზები დაისახა მან თავისი მიზნების მისაღწევად და რა გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდებით გამოვიდა იგი ასპარეზზე.

1893 წელს თავად ი. მაჩაბელს კვლავ ირჩევენ მმართველობის წევრად. ამ დროიდან მოყოლებული ოპოზიციის ვითომ პროგრამა, რომელიც დასაწყისში ბუნდოვანი იყო, მეტ-ნაკლებად გასაგები ხდება. ამ პერიოდიდან თავადი ი. მაჩაბელი უკვე იწყებს თავისი განსხვავებული აზრის გამოთქმას და ირწმუნება თავის მოხსენებით ბარათში, რომ ამ აზრის სანდოობა ურყევია. სხვაგან სად უნდა ვეძებოთ, თუ არა მის განსხვავებულ მოსაზრებებში, ბანკის საქმისადმი ის შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატულება, რომლითაც ასე აღფრთოვანებულია თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი უკვე 1893 წლიდან მოყოლებული? აქ, სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ 1893 წლამდე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი იყო სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი და არა თუ რაიმე აღტაცებას გამოხატავდა თავადი ი. მაჩაბლის მისამართით, არამედ ვერც კი ამჩნევდა ბანკის საქმეებისადმი რაიმე შეგნებულ და კრიტიკულ დამოკ-

იდებულებას. სხვაგვარად, მოვალეობა, ემსახუროს საზოგადოებრივ საქმეს, რასაც ასე მაღლა აყენებს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი სხვების შემთხვევაში, მას მიიყვანდა ბანკისათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენამდე, როგორიცაა საქმისადმი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება, რაც ასე საჭიროა ადამიანის ნებისმიერი საქმიანობისათვის. მოცემულ შემთხვევაში კი ეს ი. მაჩაბლის სახით მოგვევლინა, როგორც ბიძგი ბანკის მმართველობის სხვა მოღვაწეთა გამოსაფხიზლებლად ძილისაგან, რომელშიც, იმავე ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, აქამდე იმყოფებოდა მმართველობა. ამის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1893 წელს მმართველობის წევრობის ვაკანტურ ადგილზე, თავადი მაჩაბლის მოწინააღმდეგე, თუმცა კი წარუმატებლად, იყო ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელმაც მხოლოდ 158 ამომრჩევლის ხმა მიიღო 655-ის წინააღმდეგ (1893 წლის 29 იანვრის საერთო კრების ოქმი, დანართი N3). ეჭვი არ არის, რომ თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, საქმისადმი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების წმინდა ვალით განმსჭვალულმა, არც თუ დაუფიქრებლად, წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა თავადი მაჩაბლის წინააღმდეგ, ვინაიდან ნებისმიერი პირისათვის ბანკის მმართველობის წევრობა უბრალო საქმე როდია და ნამდვილად იმსახურებს ბანკის საქმეებისადმი შეგნებულ და კრიტიკულ დამოკიდებულებას, შესაძლოა უფრო მეტადაც, ვიდრე რაიმე სხვა. ამიტომაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა საკუთარი თავი მაჩაბელზე რამდენადმე მაღლა დააყენა. სხვაგვარად ვერ გაბედავდა იმის მცდელობას, რომ მმართველობის შემადგენლობიდან გაეგდო და თვითონ ჩანაცვლებოდა ისეთ ადამიანს, რომელსაც ასეთი ღირსეული თვისებები და მისწრაფებები აქვს და მმართველობის მიძინებულ სამეფოში შეაქვს შეგნებული კრიტიკის ცოცხალი ელემენტი, რითაც, თუკი ჯამბაკურ-ორბელიანის

მოწმობას დავუჯერებთ, ჯერ კიდევ მაშინ გამოიჩინა თავი თავადმა მაჩაბელმა. თუმცა, ვინაიდან ჯამბაკურ-ორბელიანი ი. მაჩაბლის წინააღმდეგ გამოვიდა საარჩევნო ასპარეზზე, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მას სხვა აზრი ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რამდენად გამოადგებოდა საქმეს ეს უკანასკნელი და ამ მხრივ სრული უპირატესობა საკუთარ თავს მიანიჭა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, გადაეღობა რა გზაზე ი. მაჩაბელს და ცდილობს დაიკავოს მისი ადგილი, ამოძრავებს პირადი მიზნები და არა საქმისადმი სიყვარული. ამის დაშვებას ვერც კი გაბედავს მმართველობა. მაშ რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ჯამბაკურ-ორბელიანი, აქამდე ი. მაჩაბლის მეტოქე და მოწინააღმდეგე, 1893 წლის შემდეგ მისი თაყვანისმცემელი ხდება? ამის ერთადერთ ახსნად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, მიუხედავად საკუთარ თავზე შექმნილი აზრისა, დაინახა რა, რომ ასეთმა ხალხმრავალმა კრებამ უპირატესობა მიანიჭა ი. მაჩაბელს, პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, ვერ მისცა თავს უფლება, არ ეღიარებინა ი. მაჩაბლის უპირატესობა. ამ გრძნობამ აიძულა იგი, მეტოქეობიდან უცებ გამხდარიყო იმ ოპოზიციის რიგითი, რომელსაც გამარჯვებული მეთაურობდა. სხვა ვერაფრით ავხსნით ამ დაგვიანებულ ქება-დიდებას, რომელსაც არ იშურებს ჯამბაკურ-ორბელიანი თავადი ი. მაჩაბლისათვის ბანკის საქმეებისადმი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულებისა და მისი უდავოდ სწორი განსხვავებული აზრების გამო, რომელთა ნიმუშებსაც მმართველობა ამის კვალდაკვალ წარმოადგენს.

1893 წლის 29 მაისს მმართველობაში ერთ-ერთ საქმეში წამოიჭრა საკითხი ხანგრძლივ მფლობელობაზე დაფუძნებული საკუთრების მოწმობის, როგორც ქონების საკუთრების აქტის, მნიშვნელობის შესახებ, რომელიც

ვერ იქნება შერყეული მესამე პირის ჩარევით. უმრავლესობის მიერ ეს საკითხი ამგვარი აქტების სასარგებლოდ არ იქნა გადაწყვეტილი. თავადი ი. მაჩაბელი დარჩა თავის განსხვავებულ აზრზე, რომელიც მმართველობის ოქმზე მისივე ხელით არის მიწერილი შემდეგი სახით: „ამ მოსაზრებით, საჭიროდ ვთვლი შეგახსენოთ, რომ დაახლოებით სამი წლის წინ, მმართველობის მსგავსი დადგენილება სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ ერთხმად იქნა აღიარებული არასწორად და პრაქტიკული თვალსაზრისით, ზედმეტად. ამ სამეთვალყურეო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა მმართველობის ამჟამინდელი წევრი ავალოვი“ (დანართი N4).

აქ, კაცმა რომ თქვას, თავადი ი. მაჩაბელი საკუთარ მოსაზრებას კი არ გამოთქვამს, არამედ მიუთითებს სამეთვალყურეო კომიტეტის მოსაზრებაზე იმ მიზნით, რომ სრულიად დაუმსახურებლად უსაყვედუროს თავის თანაწევრს არათანმიმდევრულობის გამო, თითქოს განსხვავებული აზრის არგუმენტაციის მთელი ძალა ამაში იყოს.

1893 წლის 14 დეკემბერს მმართველობამ განიხილა მსესხებელთა ერთი ჯგუფის განცხადება, სადაც ისინი ითხოვდნენ საჯარო ვაჭრობიდან თავიანთი მამულების მოხსნას, მიუხედავად იმისა, რომ ვადიანი სესხები სრულად არ იყო დაფარული. უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ეს თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. განსხვავებულ აზრზე მხოლოდ თავადი ი. მაჩაბელი რჩება (იხ. დანართი N5).

იმავე დღეს, 1893 წლის 14 დეკემბერს, მმართველობის მიერ განხილული იქნა მსესხებელთა სხვა ჯგუფის განცხადება იმავე თხოვნით – იმავე ვითარებაში ვადიანი სესხების არწარდგენასთან დაკავშირებით. მმართველობამ არც ეს თხოვნა დააკმაყოფილა. თუმცა ამჯერად ერთხმად, თავადი მაჩაბლის ყოველგვარი შენიშვნის გარეშე (იხ. N6 დანართი).

მსესხებელთა პირველ ჯგუფში ფიგურირებს ორი ბურჯი ოპოზიციისა, რომელსაც ხელმძღვანელობს თავადი ი. მაჩაბელი, სახელდობრ კი – თავადი ნ. დიასამიძე და საჩივრის ავტორი, თავადი ნ. ჯამბაკურ-ორბელიანი. ამ ფაქტებით ყველაფერი თავისთავად ნათქვამია და ისინი შემდგომ ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებენ.

1894 წლის 6 დეკემბერს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინადადებასთან დაკავშირებით, მისთვის მიეყიდათ ბანკის საკუთრებაში დარჩენილი ქარვასლა, მმართველობამ გადაწყვიტა მოეწვია საგანგებო კრება და ისე, რომ მას არ დალოდებოდა, პირობითად შეედგინა წინანასყიდლობის სიგელი. თავადი ი. მაჩაბელი თავის აზრზე რჩება. ამასთანავე, ოქმზე არის მისივე ხელით გაკეთებულია მინაწერი, რომელიც სიტყვასიტყვით მოგვყავს: „საჭიროდ ვთვლი, დავამატო, რომ მას შემდეგ რაც, თავადები ჭავჭავაძე (მმართველობის თავმჯდომარე) და გრუზინსკი (მმართველობის წევრი) შემომომედავნენ ჩემ მიერ გამოთქმულ საფრთხეებთან დაკავშირებით, მე წარმოვადგინე, ვფიქრობ, სავსებით დასაბუთებული, მოსაზრებები. თუმცა ყოველივე ამის გადმოცემა შორს წაგვიყვანს“. ცხადია, თავად მაჩაბელს რაღაცისთვის ან ვიღაცისთვის დასჭირდა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ შეპასუხების გარეშე არ დატოვა ის, ვინც საჭირო იყო და აღარ თვლის საჭიროდ გადმოგვცეს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები იმის შიშით, რომ ამაზე დაკარგავს ზედმეტ დროსა და ჯაფას. ადამიანი, რომელმაც თანაწევრთა უმრავლესობის მოსაზრების მიუხედავად, საჭიროდ მიიჩნია, ჰქონოდა მათგან განსხვავებული აზრი, რომელიც მისთვის ძვირფასია, ასე ვერ მოიქცეოდა მხოლოდ იმის შიშით, რომ ამ აზრის გადმოცემა შორს წაიყვანდა. როგორც ჩანს, მის მიზანს ის უფრო ემსახურებოდა, რომ აღენიშნა მხოლოდ პირადი ხასიათის ხსენებული ფაქტი (დანართი №7).

1894 წლის 3 მარტს ქნ-მა სემიონოვამ, იყიდა რა ამირო-

ვისაგან ბანკში კერძო სახით დაგირავებული მამული, გამყიდველთან დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სემიონოვას მიეცა უფლება ბანკისაგან მიეღო სესხით დაკავებული 1000 მან. მიწის სხურავის კრამიტით ან რკინით შეცვლის სანაცვლოდ. ქნ-ი სემიონოვას რწმუნებულმა, დობჟანსკიმ, მიუთითა რა ამ ხელშეკრულებას, ამიროვის სესხით დაკავებული ფულიდან 500 მანეთის გაცემა ითხოვა და იქვე დასძინა, რომ სახურავის შეცვლის სამუშაოების მხოლოდ ნაწილი იყო შესრულებული. მმართველობა, მათ შორის თავადი ი. მაჩაბელიც, თხოვნაზე ერთხმად ამბობს უარს (დანარ. №8).

იმავე 1894 წლის 9 მარტს მამულის მყიდველს, სემიონოვას და გამყიდველ ამიროვს ერთად შეაქვთ განცხადება თხოვნით, რომ სესხით დაკავებული ფულიდან სემიონოვას ამიროვისაგან მიეცეს 500 მან., ვინაიდან, როგორც ითქვა, სახურავის შეცვლის სამუშაოები არ არის დასრულებული. მმართველობამ ვერ ნახა რაიმე ახალი გარემოება მთხოვნელთა სასარგებლოდ თხოვნის გადასაწყვეტად და ფულის გაცემაზე კვლავ უარი თქვა, ამჯერად ხმათა უმრავლესობით. განსხვავებულ აზრზე დარჩა ი. მაჩაბელი, რომელმაც საკუთარი მოსაზრება გადმოსცა თავის მინაწერში: „ამ მოსაზრებით, მიმაჩნია, რომ არსებობს ახალი გარემოება, კერძოდ კი ის, რომ თხოვნა შეიტანა როგორც მყიდველმა, ისე მსესხებელმა“. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალი პუნქტი არის სახურავის შეცვლის დაუმთავრებელი სამუშაოები, ახალი გარემოების დანახვა გამყიდველისა და მყიდველის მიერ ერთდროულად თხოვნით მიმართვაში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დიდი გულუბრყვილობა და საქმისადმი შეგნებული კი არა, შეუგნებელი დამოკიდებულების მაჩვენებელია (დანართი N9).

1894 წლის 23 თებერვალს თავადმა გრიგოლ თუმანოვმა, როდესაც 4000 მან. ოდენობის დამატებით სესხს იღებ-

და, ითხოვა, რომ არ დაეკავებინათ საწყისი სესხის იანვარში დასაფარი ნახევარი წლის ვადიანი გადასახადები. მმართველობამ, ივარაუდა რა, რომ თავდაპირველი სესხის ვადიანი გადასახადების დატოვება გულისხმობდა ქონებისთვის მიენდო არა 4000 მან. ოდენობის დამატებითი სესხი, არამედ, მასთან ერთად, მთელი დავალიანებაც, რომლის შეღავათიანი პერიოდი იწურებოდა ხუთ დღეში და შესაბამისად, დამატებითი სესხი შეადგენდა, არსებითად, არა 4000 მანეთს, არამედ 4000-ს + გადასახადის ნარჩენი, ყოველივე ამის გამო, მმართველობამ თავად ტუმანოვს უარი უთხრა თხოვნაზე. განსხვავებულ აზრზე რჩება თავადი ი. მაჩაბელი, რომელმაც შემდეგი მინაწერი გააკეთა ოქმზე: „ვრჩები ჩემს აზრზე და მიმაჩნია, რომ შეიძლებოდა თავდაპირველი სესხის ვადიანი გადასახადები არ დაკავებულიყო შეღავათიანი პერიოდის გამო“. მმართველობის აზრით, თავადი ი. მაჩაბლის ამგვარი შეხედულებაც არ შეიძლება მიეკუთვნოს საქმისადმი, მით უფრო ბანკის ინტერესებისადმი, შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების მტკიცებულებათა რიცხვს (დანართი N10).

ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით შემფასებელი კომისიის წევრმა გირაოში წარმოდგენილი ქონების აღწერისა და შეფასებისას, მიუხედავად საქმეში არსებული დოკუმენტებისა, მიათვალა გასხვისებული ნაწილიც, ე.ი. ნაწილი, რომელიც დასაგირავებელ მამულს აღარ ეკუთვნოდა. შემფასებელმა კომისიამ, რომელმაც ამ შეფასებასთან დაკავშირებით თავისი დასკვნა გასცა, არ შეასწორა მითითებული შეცდომა და მანაც თავის შეფასებაში შეიტანა ყველაფერი, რაც აღწერილი იყო კომისიის წევრის მიერ და ასეთივე სახით წარადგინა მმართველობაში. მმართველობამ, დაინახა რა შემფასებელი კომისიის დასკვნის განხილვისას ეს შეცდომა, მიიღო გადაწყვეტილება, მიეთითებინა ამ დაუდევრობაზე როგორც შემფასებლისათვის, რომელმაც მოახდინა

შეფასება, ისე შემფასებელი კომისიისათვის. განსხვავებულ აზრზე რჩება თავადი ი. მაჩაბელი, რომელიც მმართველობის დადგენილებას ურთავს შემდეგ მინაწერს: „სავსებით ვეთანხმები რა დადგენილებას, მიმაჩნია, რომ დაუდევრობაზე მითითება არ შეიძლება მიემართებოდეს შემფასებელ კომისიას, რომელსაც, როგორც წესი, ხელთ არ აქვს დოკუმენტები შესადარებლად (1893 წლის საქმე N564 და მმართველობის 1894 წლის 27 აპრილის რეზოლუცია, დანართი N11).

იმავე 1894 წლის 27 აპრილს მმართველობამ განიხილა კიდევ ერთი შეფასების საქმე (საქმე №355), რომელთან დაკავშირებითაც მან დაადგინა, რომ აღწერაში მითითებული მამულის საზღვრები არ ემთხვეოდა დოკუმენტურ მონაცემებს და ეს სხვაობა არ იყო განმარტებული დათვალიერების აქტში. ამიტომაც მმართველობამ მიიღო გადაწყვეტილება, მიეთითებინა ამ დაუდევრობაზე როგორც შემფასებელი პირისათვის, ისე კომისიისათვის და შესთავაზა ამ უკანასკნელს, გაერკვია აღნიშნული განსხვავება. თავადი მაჩაბელი კვლავაც იმ აზრზე დარჩა, რომ შემფასებელი კომისია აქ არაფერ შუაშია და დამადასტურებლად კვლავაც ის მოსაზრება დაიმოწმა, რაც წინა საქმესთან დაკავშირებით (N12 დანართი).

შეფასების ამოცანებისა და მასში შემფასებელი კომისიის როლისადმი თავადი ი. მაჩაბლის შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების ამ ორი მაგალითიდან ჩანს, რომ შემფასებელი კომისია მამულის შეფასებისას არ არის ვალდებული შეადაროს არც შესაფასებელი მამულის ნამდვილი შედგენილობა და არც ნამდვილი საზღვრები – კუთვნილების დოკუმენტებში არსებულ მითითებებთან. სიტყვაზეც რომ ვენდოთ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, რომელიც თავის საჩივარში ცდილობს დაგვარწმუნოს თავადი ი. მაჩაბლის მოსაზრებათა „უდავო ჭეშმარიტებაში“, მაინც შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: როგორ დავაჯეროთ ან შემფასებელს, ან შემ-

ფასებელ კომისიას, რომ მოცემულ შემთხვევაში ფასდება ეს ან სხვა მამული? მაშინ შეფასებათა ინსტრუქცია რატომღა ავალდებულებს, რომ კომისიას გადაეცეს კუთვნილების დოკუმენტები? წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ ავიცილოთ თავიდან იმ მამულის შეფასების შესაძლებლობა და ამის საშუალებით გირაოში მიღება, რომელიც ეკუთვნის იმას, ვისაც ფიქრადაც არ მოსვლია მისი დაგირავება?

1895 წლის 13 იანვარსა და 14 თებერვალს მმართველობამ მოისმინა თავადი ი. მაჩაბლის წინადადება „ან მოითხოვონ მსესხებლებისაგან დავალიანების მთლიანად შეტანა, ან დაადგინონ დარჩენილი გადასახადების ის მინიმუმი, რომელთა გამოც არ იქნება გაყიდული მამულები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა“. მმართველობამ, „მიიღო რა მხედველობაში, რომ თავადი მაჩაბლის ეს წინადადება, არსებითად, მოითხოვდა ან უკვე არსებული საწესდებო წესის სანქციონირებას, რომელიც არსებობისათვის სავსებით არ საჭიროებდა მმართველობის სანქციას, ან კიდევ წესდების საწინააღმდეგო წესის დადგენას, რასაც მმართველობა ვერ დაუშვებდა“, ხმათა უმრავლესობით სამი ერთი მაჩაბლის წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, მაჩაბლის წინადადება განხილვის გარეშე დაეტოვებინა (დანართი N13 და N14).

1895 წლის 9 დეკემბერს მმართველობის მიერ განხილულ იქნა ერთ-ერთი მსესხებლის თხოვნა საჯარო ვაჭრობიდან მისი მამულის მოხსნასთან დაკავშირებით. ცნობების მიხედვით, მთხოვნელის მიერ შეტანილია ყველა დარჩენილი გადასახადი, გარდა ბანკის მიერ მის ხარჯზე გადახდილი სადაზღვეო პრემიისა. ვინაიდან წესდების მაშინ ჯერ კიდევ ჩაუსწორებელი მე-13 პარაგრაფი დაზღვევის დავალიანებას არ მიუთითებდა იმ დავალიანებების რიცხვში, რომელთა გამოც მმართველობა ვალდებულია გაყიდოს დაგირავებული მამული, მმართველობამ შესაძლებლად მიიჩნია შეესრულებინა

მსესხებლის თხოვნა. თავადი ი. მაჩაბელი, ეთანხმება რა მმართველობის ამ რეზოლუციის არსს, იქვე აკეთებს მინაწერს იმის შესახებ, რომ იგი ეთანხმება საჯარო ვაჭრობიდან მამული მოხსნას, მაგრამ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს მამული თავისი ღირებულებით უზრუნველყოფს სესხს (N15 დანართი).

რაც უნდა „უდავოდ სწორად“ ვცნოთ იპოთეკური საკრედიტო დაწესებულების საქმიანობის ასეთი დასაწყისი, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ თავად ი. მაჩაბელს ამაზე მითითებით შემოაქვს მამულის საჯარო ვაჭრობიდან მოხსნის ახალი, წესდების საწინააღმდეგო საფუძველი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთ დასაწყისთან დაკავშირებულ რისკზე, ვინაიდან ვერ გახდება იგი მოცემულ შემთხვევაში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, თუ არ მოხდა საჯარო ვაჭრობიდან მოსახსნელი დაგირავებული მამულის ხელახალი დათვალიერება და შეფასება. ის კი ადვილი წარმოსადგენია, ყოველი საჯარო ვაჭრობის დადგომისას საქმის ასეთი ვითარება რამდენად ფიზიკურად შეუძლებელ შრომას მოითხოვს.

1895 წლის 6 ივნისს მმართველობამ განიხილა ამჟამად უკვე მომჩივანი ჯამბაკურ-ორბელიანის წერილობითი განცხადება თხოვნით, მისცენ უფლება, დაათვალიეროს მმართველობის ოქმები და განჩინებები, რომლებიც შეეხება 1894 წელს მსესხებლებისათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაცემის საკითხს. მას მმართველობამ თხოვნაზე უარი უთხრა. თავადი ი. მაჩაბელი, რა თქმა უნდა, რჩება თავის აზრზე და აკეთებს შემდეგი სახის მინაწერს: „შესაძლებლად მივიჩნევ დაკმაყოფილდეს თავადი ორბელიანის თხოვნა მხოლოდ ისე, რომ ეს შემთხვევა არ იქნას მიჩნეული, როგორც პრეცედენტი, რომელიც დააკანონებს მმართველობის მოვალეობას, დააკმაყოფილოს მსგავსი თხოვნები“. მოცემულ შემთხვევაში იმას აღარ აქვს მნიშვნელობა,

ჰქონდა თუ არა უფლება მმართველობას, უარი ეთქვა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის თხოვნაზე. საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ თავადი ნ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ი. მაჩაბლის აზრით, წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის თხოვნებიც უნდა გადაწყდეს ყველა სხვა წევრ-დამფუძნებლისა თუ წევრ-მსესხებლისაგან განსხვავებულად (დებულება N16).

უცნაურია სხვებთან შედარებით ასეთი განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისათვის, თუმცა თავადი ი. მაჩაბლის მხრიდან ეს გასაგებია.

მსგავსი ფაქტები მრავლადაა. მმართველობა დროის, ადგილისა და შრომის დაზოგვის მიზნით მათი ჩამოთვლისაგან თავს იკავებს და მიაჩნია, რომ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისია ბანკის საქმეებისადმი იმ შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების ნათელსაყოფად, რომელსაც იჩენდა თავადი ი. მაჩაბელი და რომლითაც ასე არის მოხიბლული თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი. თუმცა ეს ფაქტები, რომლებიც განსაზღვრავს თავადი ი. მაჩაბლის მხრიდან საკითხთა გაგების ხარისხს და სააშკარაოზე გამოაქვს მისი ოპოზიციური მისწრაფებები, მაინც ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნიან თავად ი. მაჩაბლის პროგრამაზე, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო ბანკის საქმეების წარმატებული სვლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საერთო კრებებზე ბანკის წევრებმა არაერთგზის მიუთითეს ამ ხარვეზზე, ის მაინც გამოუსწორებელი იყო 1895 წლის მაისამდე, აქამდე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის აქტიური საზოგადოებრივი სამსახურის დროს ეს ხარვეზი იჩქმალებოდა სხვადასხვა ჭორით, რომლებიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავადი ი. მაჩაბლის თანაწევრების მისამართით ვრცელდებოდა. 1895 წლის მაისში კი ი. მაჩაბელმა, ბოლოს და ბოლოს, კეთილი ინება ზუსტად და გასაგებად წარმოედგინა თავისი ოპოზიციური პროგრამა. მან ეს გაა-

კეთა თავის მოხსენებით ბარათში, რომელიც გადასცა ბ-ნ რევიზორს, სანამ ეს უკანასკნელი თბილისიდან გაემგზავრებოდა.

„ეს პროგრამა მარტივი და ნათელია“, როგორც აღნიშნავს კიდეც, სავსებით სამართლიანად, თავადი მაჩაბელი შესავალში. პროგრამა სულ სამი პუნქტისგან შედგება, და სიტყვა-სიტვით ასე ჟღერს:

„ა) საბანკო ოპერაციების გაზრდა სწორ საფუძველზე სესხთა გაცემით; ბანკის საქმეების სწორი წარმოება და ამით სხვადასხვა სახის კაპიტალის გაზრდა, მათ შორის სპეციალური კაპიტალისაც, რომელიც განკუთვნილია მიწათმფლობელობისა და სამიწათმოქმედო საჭიროებებისათვის.

ბ) ერთნაირი დამოკიდებულება ყველა მსესხებლის მიმართ; მათ მიმართ ერთნაირი გამოყენება როგორც წესდებისა, ისე წესებისა, რომლებიც შემუშავებულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ბანკის სამართავად.

გ) კრედიტის ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ვინც წარადგენს უძრავი ქონების უზრუნველყოფას; კრედიტის გაიაფება შეძლებისდაგვარად“.

არ შეიძლება იმაში არ დავეთანხმოთ თავად ი. მაჩაბელს, რომ ეს პროგრამა მართლაც გულუბრყვილობამდე მარტივი და ცხადზე უცხადესია. თუმცა საკითხავი ისაა, იგი ერთი ცალკეული პირისაა თუ პირთა ჯგუფისა? თუ პრეტენზია აქვს ყველასათვის ცნობილი „ორჯერ ორი ოთხია“ აქსიომის პარაფრაზის სერიოზულობაზე?

თავისი მიამიტობით გასაოცარი ეს მოხერხებულობა, გაასაღო უდავო აქსიომები საკუთარი პროგრამის საგნად, არანაკლებ მარტივად და ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ თავად ი. მაჩაბელსა და ოპოზიციას, რომელსაც იგი მეთაურობს, არ აქვს და არც არასდროს ჰქონია, ბანკის საქმეებთან დაკავშირებით რაიმე პროგრამა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. პროგრამა არის არა

უდავოდ ურყევი და შეუცვლელი ამოცანების, არამედ მათი გადაჭრისა და პრაქტიკულად განხორციელების გზებისა და საშუალებების ფორმულირება. ხოლო იმის ფიქრი, რომ მიზანი, რომლის წინააღმდეგაც არავინ დავობს, შეიძლება შეადგენდეს ცალკეული პირის განსაკუთრებული პროგრამის საგანს და ამაზე გარკვეული ჯგუფის ძალების თავმოყრა, ეს ნიშნავს თავი მოიტყუო იმით, რომ სამყარო მხოლოდ სულელებითაა დასახლებული, რომლებიც ადვილად წამოეგებიან ამ მარტივ სატყუარაზე.

– – – – – – – – – – – – – – –

მართალია, მმართველობისათვის ძალზე მძიმე იყო, გამოერკვია ყოველივე ზემოთქმული, თუმცა დაემორჩილა აუცილებლობას და საკრედიო კანცელარიას განსახილველად წარმოუდგინა ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა მმართველობა 1890 წლიდან მოყოლებული თავადი ი. მაჩაბლისა და მის მიერ შექმნილი ოპოზიციის წყალობით. ეს მდგომარეობა კი ნაწილობრივ დახასიათებულია სამეთვალყურეო კომიტეტისა და მმართველობის გაერთიანებული საკრებულოს 1895 წლის 2, 6 და 20 იანვრის ოქმში, რომელიც მთავრდება იმის აღიარებით, რომ შეუწყნარებელია თავადი ი. მაჩაბლის ქმედებები. წარმოდგენილია აღნიშნული ოქმის ასლი (დანართი N17), რათა ნათელი გახდეს ი. მაჩაბლის იმ ქმედებების ხასიათი, რომლებიც საზოგადოების კეთილგონერ ნაწილს, სამეთვალყურეო კომიტეტს და, განსაკუთრებით, მმართველობას სასოწარკვეთილ მდგომარეობაში აგდებს მათთვის მინდობილი დაწესებულების მომავლის გამო. მართალია, ჯამბაკურ-ორბელიანი აინუშშიც არ აგდებს ამ ოქმს, თუმცა ეს სავსებით არ უკარგავს მას აქტის მნიშვნელობას, რომელიც ამხანაგური სასამართლოს განაჩენს ასახავს. კაცობრიობა მიეჩვია, ამგვარ განაჩენს ღრმა პატივისცემითა და სრულიად დამსახურებული ნდობით მოეკიდოს, იგი ითვალისწინებს

არა დასჯას, არამედ გზასაცდენილი თანაწევრის ზნეობაზე ზემოქმედებას.

ადამიანი, რომელსაც აქვს გამბედაობა, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ჩაეჩხიროს ისეთი განსხვავებული მოსაზრებებით, განცხადებებითა და გეგმებით, როგორიც ზემოთ არის მოყვანილი, რაც უნდა საწინააღმდეგო ამტკიცოს ჯამბაკურ-ორბელიანმა, ასეთი ადამიანი საქმისათვის ზედმეტ ტვირთს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ძალას, რომლის მხრებზეც გადადის შეგნებული კრიტიკის მთელი სიმძიმე. კაცმა რომ თქვას, ერთი მხრივ, მსგავსი მოსაზრებების მოთხოვნილება, მეორე მხრივ, შესაძლებლობა, გაგაჩნდეს ეს მოსაზრებები და აღიარო ისინი საქმისათვის საჭიროდ, და ბოლოს, არცოდნა იმ ძალზე მარტივი საკითხებისა, რომლებსაც ეს მოსაზრებები ააშკარავებს, განცხადებები და გეგმები, მაგალითად, კონვერსიის გეგმა,- ეს სამი რამ საკმარისია ადამიანის მთელი რაობის გასაგებად და იმ დაბრკოლების დასანახად, რომელიც ხელს უშლის კოლეგიაში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებული საქმის ბუნებრივ მსვლელობას.

აქვე თუ გავითვალისწინებთ ასეთი ადამიანის თავხედურ მიდრეკილებას, თავისი დანაშაული სხვებს გადააბრალოს, ან კიდევ სხვების საზიანოდ, საქვეყნოდ უარყოს თავისი აშკარა მონაწილეობა საქმეში, რომელიც შემდგომში, რატომღაც, საპასუხისმგებლო აღმოჩნა, და თუ, ამასთანავე, მხედველობაში მივიღებთ, რომ გაჩნდა პირთა ჯგუფი, რომელიც თავის თავს ოპოზიციას უწოდებს და მიზნად ისახავს, რადაც უნდა დაუჯდეს, ხოტბა შეასახას ასეთ ადამიანს და მხარი დაუჭიროს მთელი სიმართლითა თუ სიცრუით, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება აუტანელი მდგომარეობა მმართველობისა, რომელიც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს ყველა ასეთ ვითარებას თითქმის ყოველდღე.

ამგვარად, თავადმა ი. მაჩაბელმა, რომელსაც სრულიად მოულოდნელად თავს დამტყდარი უპირატესობა აქვს, მმართველობა ჩააყენა მუდმივ თავდაცვით პოზიციაში.

ამის გამო მმართველობა იძულებული გახდა, დროის უდიდესი ნაწილი მოეხმარა არა საქმისათვის და საზოგადოების სამსახურისათვის, არამედ ეძებნა გზები და საშუალებები მოულოდნელი გამოხდომებისა და თავდასხმების მოსაგერიებლად; მმართველობას უწევდა დროის დაკარგვა ორიგინალურ გეგმებთან, შეთავაზებებთან, განსხვავებულ მოსაზრებებთან, მინაწერებსა და შესწორებებთან დაკავშირებულ კინკლაობებში.

მმართველობა არწმუნებს საკრედიტო კანცელარიას, რომ 1890 წლიდან – ეს წელი, შეძლება შემთხვევით, მაგრამ ემთხვევა 1000 მანეთის შესახებ თავადი მაჩაბლის განცხადების შეტანის თარიღს – და განსაკუთრებით კი 1891 წლიდან მოყოლებული არ ყოფილა წუთიც კი, რომ ბანკის მმართველობის რომელიმე წევრს, გარდა თავადი ი. მაჩაბლისა, ჰქონოდა იმედი იმისა, რომ ზომიერების, ვალდებულებისა და პირდაპირი მოვალეობის გრძნობა შეაკავებდა მუდმივ სწრაფვას საქმის მსვლელობა გართულებულიყო და შეფერხებულიყო ბავშური ტიტინით, რაც განსხვავებული აზრის გამოხატვად საღდება; შეფერხდეს ჭეშმარიტად ბავშვური, კონვერსიის გეგმის მსგავსი, გეგმებით, რომლებიც გათვლილია უვიც პუბლიკაზე და მიზნად ისახავს მის ამხედრებას მმართველობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ თითქოს ამ უკანასკნელმა უმოქმედობა გამოიჩინა მსესხებელთათვის საკმაოდ მწვავე საკითხის მიმართ, ვერ გამოიყენა კონვერსიის თანამედროვე პირობები და ა.შ.

ბანკის არსებობის მანძილზე არ ყოფილა ისეთი დღე, რომ თავადი მაჩაბლის ამა თუ იმ უსაქციელობას, მის ამა თუ იმ მინაწერს ან შესწორებას ოქმზე მმართველობის რომელიმე წევრში არ გამოეწვია თავშეკავებული გაღიზიანება, რაც საქმის გადაწყვეტისას ადამიანის განზრახვას ჩრდილს აყენებდა. მრავლადაა ისეთი ფაქტებიც, რომელთაც ადგილი ჰქონდა როგორც ბანკში, ისე მის კედლებს გარეთ და ცხადყოფენ თავადი ი. მაჩაბ-

ლის მცდელობებს, შეარყიოს მმართველობის თანაწევრების და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობის მიუკერძოებლობისადმი ყოველგვარი ნდობა, ხოლო საკუთარი თავი მსესხებლების წინაშე წარმოაჩინოს დანარჩენების მიერ თითქოსდა ასე უგულებელყოფილ კერძო და საერთო ინტერესებისათვის ჯვარცმულ პიროვნებად. მას გასაკვირი სიმამაცით არაერთხელ გამოუვლენია საკუთარი მსჯელობებისა და დებულებების შეუმცდარობისა და ურყევობის რწმენა, ყოველგვარი მოკრძალების უქონლობა, რისი წყალობითაც მას შეუძლია ყველაფერი კარგი საკუთარ თავს მიაწეროს, ხოლო ცუდი – თანაწევრებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთშიც და მეორეშიც მათთან ერთად მონაწილეობდა.

მისი ზემოხსენებული ბროშურა ქართულ ენაზე, ასევე, წერილები ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, და ბოლოს, ბ-ნი რევიზორისათვის წარდგენილი მოხსენებითი ბარათი, არ ტოვებს არავითარ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ თავად ი. მაჩაბელს აქვს უნარი, იყოს თავისი პირადი ამოცანების სიმაღლეზე. ამ ამოცანებს კი არაფერი აქვთ საერთო იმ შეგნებულ და კრიტიკულ დამოკიდებულებასთან, რომელიც ნამდვილად ასულდგმულებს ნებისმიერ საქმეს და არსებითად აუცილებელია მისი წარმატებისათვის.

საჭიროების შემთხვევაში ყველა ზემოხსენებული წერილობითი მტკიცებულება განსახილველად წარედგინება საკრედიტო კანცელარიას. თუმცა არის კიდევ ერთი წერილობითი დოკუმენტი და მის შესახებ, როცა დრო მოვა, მოეხსენება საკრედიტო კანცელარიას. იგი ნათლად გვიჩვენებს, რომ თავად ი. მაჩაბელს ჰერკულესის სვეტებამდე შეუძლია მივიდეს მაშინ, როდესაც სათავისოდ ირჯება.

ყოველივე ამის შემდეგ აღარ არის გასაკვირი, რომ სწორედ 1890-1891 წლებში იქცა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა საერთო კრება

პირადი ხასიათის დავების, ვნებათაღელვის, პირადი ანგარიშსწორებისა და ინტერესთა კონფლიქტების არენად. თავადი ი. მაჩაბლის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს, ვერ ექნებოდა სხვა რაიმე სერიოზული ამოცანები, გარდა თავისი ლიდერის ამოცანებისა; იმ ძალისხმევას, რაც მან დახარჯა, რათა არეულობა გამოეწვია ცნებებში, გამოეწვია ცრუ იმედები და უამრავი ცდომილება, რომლებიც სწორედ ამ ჯგუფის წყალობით გაჩნდა საერთო კრების წევრებს შორის, რათა მიეღოთ ყველაფერი, რასაც ოპოზიციის ლიდერი ისურვებდა, ოპოზიცია, ამის გარდა, ვერაფერს მოახმარდა; და ბოლოს, მას ყოველგვარი სამოქმედო პროგრამის არარსებობის პირობებში ჯგუფიდან თავისი გამოყოფის მიზეზი და აუცილებლობა შეეძლო ეპოვა მხოლოდ პირად ანგარიშებსა და თავდასხმებში, რომელთაც საფუძვლად უდევს არა გონივრული და კეთილშობილური მოტივები, არამედ მხოლოდ პირადი კეთილგანწყობა ან არაკეთილგანწყობა ამა თუ იმ პირის მიმართ, ვინაიდან, მართლაც შეუძლებელია, სამოქმედო პროგრამა ეწოდოს თავადი მაჩაბლის რწმუნებას, რომ მისი აზრით ორჯერ ორი ოთხია და ამდენად, არ შეიძლება ამ უმარტივესი და ცხადზე უცხადესი დავალების გამო გავმართოთ ცხარე კამათი.

ეს ვითარება მოკლედ, თუმცა მეტყველი ფორმით აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი პირის მიერ, რომელიც სავსებით ამართლებს ამ ნდობას იმით, რომ გულისყურით შეისწავლა და გამოიკვლია ბანკის ისტორია ამ კუთხით. რევიზიის შესახებ მმართველობის მიერ დაბეჭდილი ანგარიშის მე-8 გვერდზე ბ-ნი რევიზორი, როგორც უკვე ითქვა, აღნიშნავს, რომ „1891 წლამდე, მართალია ფორმალური გადახვევებით, მაგრამ საერთო ჯამში შეინიშნება სიმშვიდე, ზრუნვა დაწესებულებაზე და მის საქმიანობაზე და

საერთო კრების აღნიშნულმა კონტროლმა ბანკის საქმიანობაზე საკმაოდ კარგი შედეგი იქონია“.

თუ რაოდენ ერთგულია თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი საკუთარი თავისა და ზემოაღნიშნული ოპოზიციის ამოცანებისა, ასევე ამ ოპოზიციის ლიდერისა, ჩანს იქიდან, რომ თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-2 გვერდზე 1891 წელს აქამდე არსებული რეჟიმის დასასრულად მიიჩნევს ისევე, როგორც ბ-ნი რევიზორი, რომელიც შემდგომში სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოხატავს, ამბობს რა, რომ: „ბანკის არსებობის თხუთმეტწლიანი ისტორიის მანძილზე (ბანკმა მოქმედება დაიწყო 1875 წელს) მისი დამფუძნებლები .... ნაკლებად ინტერესდებოდნენ ბანკის შინაგანაწესით და არ აფასებდნენ ერთხელ და სამუდამოდ არჩეული მმართველების ზომებსა და ქმედებებს. ბანკის მეპატრონეთა ასეთი გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი დაწესებულებისადმი ... ყოველგვარი კრიტიკისა და საზოგადოებრივი კონტროლის არარსებობა, რა თქმა უნდა, წარმოშობდა ბანკის მართვასთან დაკავშირებულ ამგვარ თავისებურებებს“ და ა. შ.

შემდგომ კი ბ-ნი რევიზორი აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ბოლო წლებია (1891 წლის შემდეგ), კრებებზე უმეტესწილად პარტიათა ბრძოლას და ცალკეულ პირთა ინტერესების კონფლიქტს აქვს ადგილი“ და ა. შ.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კი ოპოზიციისა და მისი ლიდერის იმავე ამოცანებით გატაცებული,თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-3 გვერდზე, ყოველგვარი მორიდების გარეშე, მისთვის ჩვეული მრავალსიტყვაობით გვარწმუნებს, რომ მმართველობის თავმჯდომარე (ე.ი. მთელი მმართველობა, ვინაიდან იმავე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის თავისთავად ძალზედ საეჭვო რწმუნებით, ეს უკანასკნელი ბანკის არსებობის პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში მთელ თავის საქმიანობას ბრმად უმორჩილებდა პირველს) იძულებული

იყო, 1890 წლიდან ანგარიში გაეწია საქმისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისათვის. რა თქმა უნდა, თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, რომელიც ერთგულია საკუთარი ჩვევისა – ფაქტები საკუთარი ნება-სურვილისამებრ დაადგინოს – და ასევე, არ ღალატობს ოპოზიციურ მიზნებს, ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა, ხაზი გაესვა, რომ „საქმისადმი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველად მმართველ ორგანოთა წრეში მოგვევლინა მმართველობის წევრი თავადი ი. მაჩაბელი“.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უცნაურია ასე უდიერად მოპყრობა, ასეთი უყურადღებობა სამთავრობო რევიზორის მხრიდან საქმის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოტანილი დასკვნებისადმი, არ შეიძლება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ეს შეუპოვარი მისწრაფება ყველას მიუზღოს საკუთარი ნება-სურვილისამებრ, ეს ნება-სურვილი კი სრულიად ეწინააღმდეგება დასკვნებისა, რომლებიც ბ-ნი რევიზორის მიერ საკითხთან დაკავშირებული ყველა გარემოების ადგილზე გულმოდგინე შესწავლის ნაყოფია – არ ვაღიაროთ როგორც თავად ჯამბაკურ-ორბელიანის, ისე ოპოზიციის ხერხებისა და ამოცანების რელიეფურ ილუსტრაციად; რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალებათა არჩევის განურჩევლობაზე დასახული მიზნის მიღწევისას თუ პირადი ინტერესებით მოქმედებისას.

განა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის შემდეგ საზოგადოებაში თავი იჩინა შეშფოთებამ ისეთი მიმზიდველი დაწესებულების მომავლის გამო, როგორიცაა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელიც მთელ თავის მოგებას, თუ არ ჩავთვლით თავისი სხვადასხვა სახის კაპიტალის გაძლიერებისათვის საჭირო გადარიცხვებს, ახმარს მთელი გუბერნიის მიწათმფლობელი თუ მიწათმოქმედი მოსახლეობის საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას?

განა ამგვარი საფრთხის ლოგიკური შედეგი არ არის ის, რომ ბანკის კეთილგონიერ წევრებში ცნობიერებამ გამოიღვიძა და მიხვდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მთელი ძალისხმევა უნდა მოახმარონ ამ სავალალო მოვლენების წარმომშობი მიზეზის სცენიდან სამუდამოდ ჩამოცილებას, ვინაიდან მისი ჩამოშორებით გაქრება ოპოზიციის პერსპექტივიდან გაქრება უკანასკნელის იმ გულისთქმათა და მისწრაფებათა სამიზნეც, რომლებიც ცალკეულ პიროვნებათა კერძო ინტერესების ნიადაგზეა აღმოცენებული?

თუ არ ვაღიარებდით ამ აუცილებლობას, მაშინ თვალს დავხუჭავდით ყოველივე იმაზე, რაც ცხადად ხდება და გაჩენილ წყლულს მივცემდით გასაქანს, თავისუფლად გამოეხრა ბანკის კეთილდღეობა. მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის მხრიდან ეს იქნებოდა საქმისა და საზოგადოების წინაშე სამსახურეობრივი მოვალეობის ღალატი. ამიტომაც, მმართველობას არაფერი აქვს დასამალი იმასთან დაკავშირებით, რომ როგორც მან, ისე სამეთვალყურეო კომიტეტის მთელმა შემადგენლობამ, მიზნად დაისახა ზრუნვა და ცდა არ დაეკლო, რათა მას შემდეგ, რაც მონაცვლეობის მიხედვით თავადი მაჩაბლის შემადგენლობიდან გასვლის დრო მოვიდოდა, ბანკი სამუდამოდ გაეთავისუფლებინა საქმეებში მისი, როგორც მმართველობის წევრის, უშუალო მონაწილეობისაგან; თუ ეს მცდელობა წარუმატებელი გამოდგა, მმართველობა თავად წავა ბანკიდან და მის შემდგომ ბედს თავად მაჩაბელს და მის შვილობილებს მიანდობს. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბანკის ზემოხსენებულ მართვის ორგანოებში შემავალი წევრების უმრავლესობის მიერ ერთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს მიაჩნდა, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ სამარცხვინო იქნებოდა მინდობილი დაწესებულების დატოვება მაშინ, როცა დიდი საფრთხის ქვეშ იყო მისი მომავალი, ამიტომაც მან თავის წმინდათა წმინდა მოვალეობად ჩათვა-

ლა, ხელი შეეშალა თავადი ი. მაჩაბლის ხელახალი არჩევისათვის და თუ მისი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდებოდა, მაინც დარჩენილიყო თავის, მმართველობის წევრის, ადგილას, რათა ამ მმართველი ორგანოს წრეში ერთი მაინც ყოფილიყო ისეთი, ვინც შეებრძოლებოდა სავალალო ვითარებას, რაც თავადი ი. მაჩაბლის და მისი მიმდევრების სახელთან არის დაკავშირებული.

ასეთი იყო, და სხვაგვარად შეუძლებელიცაა, ბანკის მართვის ორგანოთა განწყობა, როდესაც ისინი 1896 წლის 20 აპრილს გახსნილი მორიგი საერთო კრების ზღურბლს მიადგნენ და ასეთად რჩება ეს განწყობა დღემდე.

იმისათვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას მოწინააღმდეგე მხარეთა შინაგანი განწყობის ხასიათზე და იმ პუნქტებზე, რომელთა დაკავშირებითაც მოსალოდნელი იყო ბრძოლის დაწყება 20 აპრილს გამართულ მორიგ საერთო კრებაზე, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: 16 აპრილს, ე.ი. სხდომის გახსნამდე ზუსტად ოთხი დღით ადრე, მმართველობამ მიიღო მისი აღმატებულება ბ-ნი ფინანსთა მინისტრის დიდი ხნის ნანატრი 1896 წლის 5 აპრილს გამოგზავნილი ქაღალდი N5672, რომელიც შეიცავდა ბანკის საქმიანობის შესახებ მისი აღმატებულების გამოხმაურებას, საქმიანობისა, რომელიც სამთავრობო რევიზიამ აღმოაჩინა.

ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ეს ყველა მმართველი ორგანოსათვის, და, განსაკუთრებით, მმართველობისათვის, სამწუხარო ავტორიტეტული გამოხმაურება ამ ორგანოთა საძრახისი ქმედებების შესახებ, რაც დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროსათვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების დამალვასთან, ასევე დანაკარგების შენიღბვასთან, ცხადია, წარმოადგენდა პუნქტს, რომელიც იყო უმთავრესი ამოსავალი ე. წ. ოპოზიციისათვის მმართველი ორგანოების მთელ შემადგენლობაზე იერიშის მისატანად და თავდასასხმელად. ამ შემთხვევაშიც ბედნიერ გამონაკლისს კვლავაც თავადი ი. მაჩაბელი

წარმოადგენდა, რომელიც, ოპოზიციის მიერ ერთხელ უკვე მიღებული სისტემის მიხედვით, ყოველთვის მშრალი უნდა ამოვიდეს წყლიდან. თავადი ი. მაჩაბლის განსაკუთრებულმა ჩვევამ – ყოველივე ცუდი გადააბრალოს იმ საქმეებში თამნმხლებ პირებს, რომლებშიც იგი შეთანხმებულად მონაწილეობდა მათთან ერთად-, ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა მთელი თავისი ურცხვობით. თუმცა ამაზე შემდგომში სადაც საჭიროა, იქ ვისაუბრებთ. ჯერჯერობით კი უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ადგილობრივ გაზეთ «Новое Обозрение»-ს 20 აპრილის ნომერში, ე.ი. ზუსტად მორიგი კრების გახსნის დღეს, ჩნდება წერილი დ. მუსხელოვისა და თავადი ნ. ჯამბაკურ-ორბელიანის ხელმოწერით.

ეს ვითომ ბანკის სარგებელზე მზრუნველები საყვედურობენ რა თავიანთ გაზეთს, რომ მან არ გაახმაურა ბ-ნი ფინანსთა მინისტრის ბანკისთვის არასახარბიელო გამოხმაურება იმ მმართველი ორგანოების არასწორი ქმედებების შესახებ, რომელთაც ბრალად ედებათ არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებების და დანაკარგების დამალვა, ამ მხრივ უფრო შორს წავიდნენ და ირწმუნებიან, რომ სამთავრობო რევიზიამ ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა ბანკის მართვის ორგანოების მანკიერება და იქვე აღნიშნავენ, რომ ამ მანკიერებას განაპირობებს ქმედებათა უკანონობა და ა.შ. ამ უცნაური აღნიშვნიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, წერილის ავტორები ელოდნენ, რომ მოუწევდათ ამ გამოხმაურებაზე პასუხისგება და შეეცადნენ შეენიღბათ სიტყვა „მანკიერების“ დანაშაულებრივი და სამარცხვინო მნიშვნელობა სიტყვების გადაბრუნება-გადმობრუნებით, რაც უღიმღამო დავისთვისაა მხოლოდ დამახასიათებელი. სიტყვა „მანკიერება“ კი მაინც მოახდენს სასურველ შთაბეჭდილებას. ეს ფაქტი იმის საილუსტრაციოდ გამოდგება, თუ რამდენად ერკვევიან თავადი ნ. ჯამბაკურ-ორბელიანი და მისი ოპოზიციონერი თანამოღვაწეები მიზ-

ნის მისაღწევის საშუალებების არჩევაში.

ამასთანავე, თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია გაზეთ «Новое Обозрение»-ს ნომერი დანართი N18-ის სახით.

მართალია ახსნა-განმარტების ზემოთმოყვანილი ნაწილი საკმაოდ ვრცელია, თუმცა მმართველობას აქვს უფლება, ფინანსთა სამინისტროს მოწყალების იმედი იქონიოს, ვინაიდან ზემოთ ნათქვამის გარეშე გაუგებარი იქნება ყველა შემდგომი პერიპეტია, რომელთაც ადგილი ჰქონდა 20 აპრილის მორიგ კრებაზე. ეს კრება მთელი თვის განმავლობაში გრძელდებოდა თითქმის შესვენების გარეშე და ამდენი დრო და მოთმინება დააკარგვინა მრავალრიცხოვან კრებას პირადი ხასიათის ფუჭ დავებზე. ახლა კი, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა მოდავე მხარეთა ინტერესი და ამგვარად, შესაძლებელია ნათელი მოვფინოთ იმ კვლევის გზას, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ ნამდვილად, სიმართლის გამოვლენას ემსახურება. მმართველობის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ეს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს ერთადერთ ამოცანას.

ამგვარად, 20 აპრილს მორიგ კრებაზე წარდგენილი საქმეებიდან თავისი ხასიათით ყველაზე მწვავე აღმოჩნდა ორი მათგანი. ამიტომაც მოდავე მხარეებს ყველაფერი უნდა ეღონათ საიმისოდ, რომ მხოლოდ ამ ორ საკითხზე ყოფილიყო მიმართული საერთო კრების მთელი ყურადღება და მხოლოდ მათ შესახებ ემტვრიათ თავები.

ერთი ასეთი საკითხი, უფრო მეტად მნიშვნელოვანი, რომელიც ე.წ. ოპოზიციის ძლიერ იარაღს წარმოადგენდა ბანკის მართვის ორგანოების წინააღმდეგ, იყო ბ-ნი მინისტრის მითითება N5672 მასზე დართული სარევიზიო ანგარიშის ამონაწერით, ხოლო მეორე საკითხი – თავადი ი. მაჩაბლის არჩევა, რომელიც რიგის მიხედვით ამ წელს

გავიდა მმართველობის შემადგენლობიდან.

თუ როგორ გაშუქდებოდა პირველი საკითხი საერთო კრების წინაშე, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისა და მისი თანამოაზრის, დ. მუსხელოვის, ზემოთხსენებული წერილის შინაარსიდან ამის განჭვრეტა ადვილია. ამის განჭვრეტაში ის გარემოებაც გვეხმარება, რომ იმავე დ. მუსხელოვმა საერთო კრების 20 აპრილის სხდომაზე, ჯერ კიდევ სხდომის თავმჯდომარის არჩევამდე, ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ბ-ნი მინისტრის ქაღალდში არის ისეთი მითითებები, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვა „უწესო“ და შესაძლოა საჭირო გახდეს ზოგიერთი საკითხის სახელმწიფო თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საერთო კრების სასამართლომდე მიყვანა მაინც. ამ უკანასკნელი გარემოების მტკიცებულებად მმართველობა იმოწმებს 20 აპრილის სხდომის ანგარიშს, რომელიც დაიბეჭდა 21 აპრილს გაზეთ «Кавказ»-ის N105-ში.

საერთო კრების სხდომათა ოქმების ექსცენტრიული ხასიათის მქონე ეპიზოდებში არსებული ხარვეზების გამო, რომელთა ერთადერთი ავტორიც იგივე მუსხელოვია, ოღონდ ამჯერად როგორც კრების თავმჯდომარე, მმართველობას არაერთგზის მოუწევს სხდომათა ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი ანგარიშების დამოწმება, ხოლო ვინაიდან მათგან მხოლოდ «Кавказ» სარგებლობს ბ-ნი მუსხელოვის განსაკუთრებული კეთილგანწყობით, როგორც ეს ქვემოთ გამოჩნდება, და თავად ჯამბაკურ-ორბელიანსაც მხოლოდ მის მიუკერძოებლობაში არ ეპარება ეჭვი, მმართველობა თავს უფლებას აძლევს, ყველაზე ხშირად ამ გაზეთს მიმართოს საერთო კრების ოქმებში დაშვებული ხარვეზების შესავსებად. ეს ოქმები კი შეიცავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც აუცილებელია იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა მორიგ კრებაზე დ. მუსხელოვის თავმჯდომარეობის დროს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მუსხელოვმა საერთო კრებას მოახსენა მმართველი ორგანოების წინააღმ-

დეგ წინასწარაკვიატებული შეხედულება საქმესთან დაკავშირებით, ე.წ. ოპოზიციამ, რომლის თავგამოდებული წევრიც, როგორც ცნობილია, არის დ. მუსხელოვი, კრებას თავმჯდომარედ შესთავაზა სწორედ ეს უკანასკნელი. 20 აპრილს საერთო კრებამ თავმჯდომარედ დ. მუსხელოვი აირჩია ხმათა უმრავლესობით 185 112-ის წინააღმდეგ და გააშავა ოპოზიციის მოწინააღმდეგე ჯგუფის კანდიდატი. თავმჯდომარის არჩევით დამთავრდა საერთო კრების სხდომის პირველი დღე.

ის გამაოგნებელი შთაბეჭდილება, რაც ბანკის წევრებზე მოახდინა ბ-ნი მინისტრის მითითებამ ბანკის საქმიანობის „უწესობაზე“, რაც თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა და ბ-ნმა მუსხელოვმა „ბიწიერებად“ შერაცხეს, ხოლო ამ უკანასკნელმა კიდევ, თავის მხრივ, თითქმის დანაშაულად, რომელიც სასამართლო დევნას ექვემდებარება, ნათლად აისახა, უპირველეს ყოვლისა, კრების თავმჯდომარედ მუსხელოვის არჩევის ფაქტში, ხოლო შემდეგ იმ გარემოებაში, რომ კრების უკლებლივ ყველა წევრმა გამოთქვა მოუთმენელი სურვილი, პირველ რიგში, გაცნობოდნენ ბ-ნი მინისტრის 5 აპრილის დადგენილების შინაარსს რევიზორის ანგარიშის ამონაწერთან ერთად, ხოლო დღის წესრიგის ყველა სხვა საკითხი დროებით გადაედოთ.

ეჭვგარეშეა, რომ კრების თავმჯდომარედ დ. მუსხელოვის არჩევამ საერთო კრება უარყოფითად განაწყო მართვის ორგანოების მიმართ. თუმცა ყველა წევრის მიერ ნათლად გამოხატული სურვილი, უპირველეს ყოვლისა, გასცნობოდნენ ხსენებული ქაღალდების შინაარსს, იმის მაუწყებელი იყო, რომ საერთო კრება მოცემულ შემთხვევაში არ აპირებდა სიტყვაზე მინდობოდა ან თავად ჯამბაკურ-ორბელიანს ან მის თანამოღვაწეს, დ. მუსხელოვს, არც მისი მიმდევრების ჯგუფს, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ, მართვის ორგანოებისათვის ბოროტებასა და დანაშაულში დაედოთ

ბრალი. საერთო კრების ამ მკაფიოდ გამოხატულ სურვილში მართვის ორგანოებმა ერთგვარი მხრდაჭერა და ნუგეში ჰპოვეს იმ მხრივ, რომ ასე თუ ისე დასახული იყო მიუკერძოებელი გზა ჭეშმარიტების აღმოსაჩენად.

ოპოზიციამ, შენიშნა რა კრების წევრთა ეს საერთო სურვილი და ამასთანავე, ყველა ალბათობით ვერ განჭვრიტა, თუ რამდენად წარმატებით გაუწევდა წინააღმდეგობას ამ სურვილს, დასთანხმდა ხსენებული დოკუმენტების წაკითხვას. მაგრამ იქვე ენერგიულად შეეცადა, ეს უნებლიე დათმობა იმით აენაზღაურებინა, რომ მოითხოვა იმ განმარტებებისა და კომენტარების გარეშე წაკითხვა, რომლებიც აუცილებელია წასაკითხის სრულყოფილად გაგებაში. რასაკვირველია, შემდგომ, როგორც საჩივრიდან ჩანს, ოპოზიციამ, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის პირით, მართვის ორგანოებს გადააბრალა, თითქოს მათ არ სურდათ აღნიშნული ქაღალდების წაკითხვა. ამასთანავე, კრების ყველა წევრი მოითხოვდა მათ წაკითხვას აუცილებელ განმარტებებთან ერთად, ე.წ. ოპოზიცია კი ამგვარი წაკითხვის წინააღმდეგი იყო. ეს დასტურდება საერთო კრების 21 აპრილის ოქმით (დანართი N19), ხოლო უფრო მეტი დამაჯერებლობისა და სიზუსტისათვის შეგვიძლია მოვიხმოთ, იმავე დღის სხდომის ანგარიში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «Кавказ»-ის, 23 აპრილს N107-ში.

ამ შემთხვევაში, ოპოზიციის მიზანი ნათელია და იმაში მდგომარეობს, რომ განმარტებებსა და კომენტარებს არ გამოევლინა მის მიერ „უწესობასა“ და დანაშაულებრივ ქმედებებში მართვის ორგანოების დადანაშაულების მარცხი, რაც ბ-ნ მუსხელოვს აძლევს იმის საბაბს, რომ გააკეთოს მკაფიო მინიშნება სასამართლო დევნის აღძვრის აუცილებლობაზე. სხვა რით შეიძლება ეხელმძღვანელა ოპოზიციას, როდესაც ეწინააღმდეგებოდა მარტივ და საფუძვლიან მოთხოვნას, განმარტებულიყო წაკითხული?

კრება, როგორც ჩანს, მიხვდა რას ემსახურებოდა ოპოზიციის სურვილი და უმრავლესობით- ყველა ერთის წინააღმდეგ- დაადგინა: „შეიცვალოს საქმეთა განრიგი“, გამოქვეყნებული გაზეთში, და დაიწყოს სამთავრობო რევიზიასთან * დაკავშირებით მმართველობის მოხსენების კითხვა (რაც განრიგის მიხედვით მერვეა) რევიზიის ანგარიშისა და ბ-ნ ფინანსთა მინისტრის დადგენილების გაცნობასთან ერთად და ამასთანავე, დაუშვას მათთან დაკავშირებული განმარტებები“ (საერთო კრების 21 აპრილის ოქმი, დანართი N19).

ოპოზიციისათვის ამგვარ მოულოდნელ შედეგს არ შეიძლება მის რიგებში არ გამოეწვია ერთგვარი მღელვარება იმ მიუკერძოებელი გზის გამო, რომელსაც სურდა, მიჰყოლოდა საერთო კრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და რომელიც თავისთავად მოასწავებდა ოპოზიციის მცდელობის მარცხს, ნებისმიერი საშუალებით დაეტყუებინა კრებისათვის საბრალდებო განაჩენი მართვის ორგანოების წინააღმდეგ იმ გაგებით, რომელიც წინასწარ იქნა გათვალისწინებული თავადი ჯამბაკურორბელიანისა და ოპოზიციით შთაგონებული კრების თავმჯდომარის, ბ-ნ მუსხელოვის, მიერ. ოპოზიციას სხვააღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ, რაც შეიძლება, გაეწელა ამ საკითხთან დაკავშირებით კრების სხდომა იქამდე, სანამ თავის რიგებს არ შეივსებდა და არ შეგროვდებოდა ხმები ხმის მიცემის მომენტისათვის. მან ეს მოახერხა კიდეც და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხმის მიცემა, რომელიც 22 აპრილს დაიწყო, 11 მაისამდე გადაიდო. ოპოზიციამ აიძულა საერთო კრება, თავმჯდომარე დ. მუსხელოვის უმაგალითო გამბედაო-

*აუცილებელია აღინიშნოს, რომ მმართველობის აღნიშნული მოხსენება სამთავრობო რევიზიის შესახებ ბ-ნ მინისტრის 5 აპრილის დადგენილების მიღებამდე კარგა ხნით ადრე შედგენილ იქნა მმართველობის მიერ, მხოლოდ სამთავრობო რევიზიის ქმედებებისა და შედეგების შესახებ ბანკის საქმეებში დარჩენილი წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე და წარედგინა საერთო კრებას.

ბისა და უცერემონიობის წყალობით, ამ პერიოდში გამართული თექვსმეტი სხდომის დრო ისეთი წინადადებების, განცხადებების, ეპიზოდების შესახებ დებატებში გაეყვანა, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო განსახილველ საკითხებთან და არც იმ საკითხებთან, რომლებიც გაზეთებში გამოქვეყნდა, არამედ საერთო კრებაზევე იჩინა თავი. აღარაფერს ვამბობთ უმიზნო დავა-კამათზე, საყვედურებსა და ლანძღვაზეც კი,რომლებიც დ. მუსხელოვმა დაუშვა კრებაზე.

იმისათვის, რომ უსაფუძვლო არ იყოს მმართველობის მიერ ზემოთქმული, იგი აუცილებლად მიიჩნევს მოიხმოს ფაქტები. მართალია, შიშობს, რომ ამით ზედმეტად გაუგრძელდება ეს განმარტება, მაგრამ მორიგი კრების ვითარებაში გასარკვევად, რომელიც თავადი ი. მაჩაბლის არჩევით დასრულდა, არანაირად არ შეიძლება ამ ფაქტების უგულებელყოფა. მათ გარეშე შეუძლებელი იქნება იმის გაგება, თუ როგორ მოხდა, რომ საერთო კრების სხდომებზე დამსწრე ბანკის წევრების რიცხვმა, რომელიც მთელი 25 სხდომის განმავლობაში ვარირებდა 133-დან 300-მდე, თავადი ი. მაჩაბლის არჩევის დღეს უცბად 1270 ხმამდე მიაღწია; უნდა აღინიშნოს, რომ 19 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე ეს რიცხვი 266-ს არ აღემატებოდა, 18 მაისს 247 შეადგენდა, ხოლო არჩევნების მეორე დღეს უცბად 225-მდე დაეცა.

საერთო კრების 21 აპრილის დადგენილების შემდეგ ოპოზიციამ ერთგვარი მღელვარება იგრძნო იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად წარმატებით დამთავრდებოდა მისი მცდელობა, თავადი მაჩაბლის არჩევისაკენ გზა მართვის ორგანოების დადანაშაულების ნიადაგზე გაეკვალა. ოპოზიცია რატომღაც თვლიდა, რომ მაჩაბელს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა იმ მანკიერ ქმედებებში, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობდა მმართველობის სხვა წევრებთან ერთად და მათთან სრულ

თანხმობაში იყო. ოპოზიციის ეს მღელვარება მტკიცდება იმით, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი საჩივრის მე-6 გვერდზე პირდაპირ მიუთითებს: მართვის ორგანოები, რომელთაც სურდათ, ყველანაირად დაეჩქარებინათ საქმეთა მსვლელობა და მალე მიეყვანათ საქმე არჩევნებამდე, ცდილობდნენ შემთხვევითი უმრავლესობის კენჭისყრით გაეშავებინათ თავადი ი. მაჩაბელი. ცხადია, რომ საერთო კრების არსებული შემადგენლობა, ოპოზიციის აზრით, მის ხრახვას არ შეესაბამებოდა, აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ხმების შეგროვება. ხოლო ვინაიდან ამისათვის საჭირო იყო დრო, ოპოზიციით შთაგონებული და მისი მორჩილი თავმჯდომარის დახმარებით, რაც შეიძლება, უნდა გაწელილიყო კრების სხდომა.

სხვა რით შეიძლება აიხსნას ის, რომ თავი იჩინა შემდგომმა გარემოებებმა:

1) კრების თავმჯდომარე 22 აპრილის სხდომაზე ხელახლა სვამს საკითხს: არის თუ არა საჭირო მმართველობის მოხსენების დანართების წაკითხვა; აღნიშნული საკითხი, ზოგადად, უკვე გადაწყდა წინა სხდომაზე. იწყება დებატები და კვლავ დგინდება დანართების წაკითხვა (იხ. 22 აპრილის ოქმი, დანართი №20).

2) შემდეგ, იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ თავმჯდომარემ დაადგინა, წაკითხულ იქნას: ა) ოქმი თავადი ი. მაჩაბლის შეუწყნარებელი ქმედებების შესახებ (იხ. დანართი N17); ბ) დანართები სამთავრობო რევიზიის შესახებ მმართველობის მოხსენებაზე (იხ. დანართი N21); გ) ამონაწერები სარევიზიო ანგარიშიდან და დ) ბ-ნი მინისტრის მითითება. მხოლოდ ყოველივე ამის წაკითხვის შემდეგ დაიწყება დებატები. თავმჯდომარე უნდა დამორჩილებოდა ამ წესს. მაგრამ იმავე სხდომაზე მან საკუთარი თავიცა და საერთო კრებაც, თავადი ი. მაჩაბლის თხოვნით, რომელსაც, რასაკვირველია, დ. მუსხელოვი უარს ვერ ეტყოდა ამ უწყინარ სიამოვნებაზე,

დააკავა რაღაც შავის გაზომვით. ამასთანავე, დაადასტურა, რომ ეს შავი დაუმთავრებელია და მის პირველ ფურცელს აკლია შემდეგი სიტყვები: „შეტანილ იქნას მხოლოდ მოტივირებული“, ხოლო შემდეგი ფურცელი უნდა იწყებოდეს სიტყვებით: „ციტირებული წინადადებები“ (დანართი N20). ის, თუ რისთვის სჭირდებოდა თავად მაჩაბელს თავმჯდომარის დაკავება ამ პროცედურით, ან რა აუცილებლობის გამო მისცა ამ უკანასკნელმა უფლება საკუთარ თავს ამაზე დაეკარგვინებინა დრო საერთო კრებისათვის, საიდუმლოდ დარჩა, ვინაიდან არც ერთ შემდგომ სხდომაზე გადაკვრითაც არაფერი თქმულა თავმჯდომარის ამ უწყინარ საქმიანობაზე. მართალია, სასაცილოა მსგავს ფაქტებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ისინი ცხადად გვიჩვენებენ, თუ ოპოზიციის როგორი მორჩილი იარაღია კრების თავმჯდომარე.

3) 22 აპრილის შემდგომ სხდომაზე, რომელიც 24 აპრილს ჩატარდა, თავმჯდომარემ, დაივიწყა რა მის მიერვე 22 აპრილს დადგენილი საქმეთა მსვლელობის წესი, გამართა კამათი იმის შესახებ, თქვა თუ არა თავადმა ნ. ჯამბაკურ-ორბელიანმა საერთო კრების რომელიღაც სხდომაზე, რომ ჩვენი ბანკი იმყოფება უფსკრულის პირას. ამ საკითხთან დაკავშირებით თავმჯდომარე სიტყვას აძლევს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს. იგი გამოდის გრძელი სიტყვით და ახსნა-განმარტებას იძლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა გაგებით ითქვა მის მიერ ეს სიტყვები. საერთო კრება ამ გრძელ სიტყვას ისმენს იმის მოლოდინით, რომ ჯამბაკურ-ორბელიანი თავმჯდომარის მიერ დასმულ საკითხზე გადავა. თუმცა ამაოდ. შემდეგ, ამავე სხდომაზე, ოპოზიციის წევრი ბ-ნი კეზელი, თავმჯდომარის ყოველგვარი ნებართვის გარეშე, აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ სამეთვალყურეო კომიტეტის წევრმა, თავადმა ა. ჩოლოყაევმა, დაიკავოს კუთვნილი ადგილი თავის კოლეგებთან ერთად და

არ მოახდინოს ზეწოლა ბანკის წევრებზე მათთან ყოფნით. თავმჯდომარე აფრთხილებს თავად ჩოლოყაევს, დაჯდეს თავის ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მისცემს უფლებას, ისაუბროს პუბლიკიდან. ბ-ნი კეზელი, წაქეზებული თავმჯდომარის ასეთი გამოსარჩლებით, იქვე დასძენს, რომ თუ თავადი ჩოლოყაევი არ დაჯდება თავის ადგილას, იგი პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ სკანდალს მოაწყობს და არ მისცემს მას რაიმეს თქმის საშუალებას. ამ ინციდენტთან დაკავშირებით იწყება ხანგრძლივი კამათი, რომელიც მთავრდება სამეთვალყურეო კომიტეტის შემადგენლობიდან თავადი ჩოლოყაევის გასვლით, რათა შეინარჩუნოს თავისუფლება და სადაც მოესურვება იქ დაჯდეს (იხ. დანართი N22).

4) 25 აპრილს მთავრდება 22 აპრილის კრების დადგენილებაში მითითებული ქაღალდების კითხვა. თავმჯდომარე ადგენს, რომ ყოველთვის აუცილებელია წაკითხულის ახსნა-განმარტება (იხ. დანართი N23). თუმცა ახსნა-განმარტებებზე ასეთი სწრაფი გადასვლა, როგორც ჩანს, ოპოზიციას არ მოსწონს და კრების მომდევნო სხდომაზე, 27 აპრილს, ჯერ ბ-ნი კეზელი, ხოლო შემდეგ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, კვლავ უბრუნდებიან კეზელსა და ჩოლოყაევს შორის მომხდარ ინციდენტს. კრების თავმჯდომარემ ისევ დაუშვა ამ საკითხთან დაკავშირებით კამათი, დაივიწყა რა, რომ, რიგის მიხედვით, წინა სხდომებზე წაკითხული დოკუმენტების ახსნა-განმარტებების ჯერი იყო. გარდა ამ რიგის დარღვევისა, თავმჯდომარემ უფლება მისცა თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, კიდევ ახალი, პირადი ხასიათის, სადავო საკითხი წამოეჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ სამეთვალყურეო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი არწმუნებდა რომელიღაც ჯგუფს, ხმაური აეტეხა და არ მიეცა ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის ლაპარაკის საშუალება. მაგრამ ყველაზე კურიოზული ისაა, რომ მმართველობის ერთ-ერთი წევრის ახსნა-განმარტებითი სიტყვის ბოლოს

თავმჯდომარის თანხმობით ისმის საკითხი, თუ როგორი წესით უნდა წარიმართოს აზრთა შემდგომი გაცვლა. დასასრულს თავმჯდომარე აცხადებს, რომ თითოეულს აძლევს უფლებას, ისაუბროს ისეთი წესით, როგორითაც მოესურვება და ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მმართველობის მოხსენებას სამთავრობო რევიზიაზე (იხ. დანართი N24).

მართალია, ყველასათვის ძვირფასია სიტყვის თავისუფლება, მაგრამ მრავალრიცხოვანი კრების თითოეული წევრისათვის იმ უფლების მინიჭებით, რომ ყველამ ისაუბროს იმ წესით, რა წესითაც მას სურს და ისეთ ვრცელ საკითხზე, როგორიცაა სამთავრობო რევიზიის შესახებ მმართველობის მოხსენება, ძალზედ ფართო ასპარეზი ეძლევა უწესრიგობას. ეს კი ნიშნავს ან იმას, რომ საერთოდ არ გესმის თავმჯდომარის მოვალეობები ან განზრახული გაქვს, დაუსრულებლად გააგრძელო დავა და კამათი. ამის შემდეგ აღარც არის გასაკვირი, რომ თვითონ ოპოზიციის წევრმა, გაბაევმა, ისურვა გაეგო, ზუსტად რაში მდგომარეობდა სიმხდალე, რომელშიც კრების ერთ-ერთმა წევრმა მანამდე დაადანაშაულა კრების გარკვეული ნაწილი (ე.ი ოპოზიცია) და ამ კითხვის დასმით გამოიწვია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული არაფრისმომცემი კამათი, რომელიც დასრულდა თავმჯდომარის მხრიდან განმცხადებლის თავაზიანი და გამაფრთხილებელი გამოსარჩლებით.

თუმცა ასე თუ ისე, რაკი კრების თავმჯდომარემ დაადგინა „აზრთა გაცვლის“ ზემოაღნიშნული უცნაური წესი, ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ ამით დაამთავრებდა კამათს. მაგრამ შესვენების შემდეგ, სხდომის განახლებისთანავე, მან კვლავ მისცა საერთო კრებას უფლება ეკამათა თემაზე – როგორი წესით წარმართულიყო შემდგომი დებატები. ამას მოწმობს 27 აპრილის ოქმი (იხ. დანართი N24), რომელშიც ყოველივე ეს მოკლედ არის გადმოცემული. აღნიშნული ოქმი მსგავსი სახის

სხვა ეპიზოდებსაც შეიცავს და მოწმობს, თუ როგორ სისტემატურად უხვევდა ხოლმე საერთო კრება უშუალო საკითხიდან.

5) 29 აპრილს კრების რამდენიმე წევრმა, რომელთაც შეამჩნიეს, რომ ყოველი სხდომის დასაწყისში ფუჭად იფლანგებოდა დრო წინა სხდომების ოქმების არაფრისმომცემი ორატორული გამონათქვამებით შევსებაში, სთხოვეს თავმჯდომარეს, ოქმებში შეეტანა მხოლოდ ის, რაც უშუალოდ საქმეს შეეხებოდა. ამ სრულიად საფუძვლიან თხოვნაზე, რომლის მიზანიც იყო საქმეთა მსვლელობის დაჩქარება, ოპოზიციის ამოცანის ერთგულმა მუსხელოვმა განაცხადა, რომ იგი თავის მოვალეობად თვლის გაარკვიოს მხოლოდ ის, სხდომაზე ნამდვილად გაკეთდა თუ არა ესა თუ ის განცხადება და თუ გაკეთდა, მაშინ იგი ვალდებულია შეიტანოს ეს განცხადება ოქმში, თუ ამას დაინტერესებული პირი ითხოვს (იხ. 29 აპრილის ოქმი, დანართი N25).

თავმჯდომარის ამგვარი ვალდებულების დაწესება, შეიტანოს სხდომის ოქმში ამა თუ იმ ენაწყლიანი ორატორის ნებისმიერი ნათქვამი, განურჩევლად იმისა, შეეხება იგი საქმეს თუ არა, და ამასთან, გაარკვიოს – ალბათ, მოკვლევის წარმოებით, – თქვა თუ არა ესა თუ ის შეუსაბამობა ამა თუ იმ ორატორმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფართო გასაქანი მიეცეთ მსურველებს, გააჭიანურონ საქმეთა მსვლელობა კრების ყურადღების მუდმივი გადატანით არსებითი საკითხებიდან და დაიხარჯოს დრო არასაჭირო საკითხებზე. იმას ვერ დავუშვებთ, რომ ბ-ნ მუსხელოვს არ ესმოდა, რას აწესებდა, ვინაიდან ბავშვისთვისაც კი ადვილი მისახვედრია თავმჯდომარის მიერ დადგენილი მოვალეობის არაპრაქტიკულობა.

6) იმავე 29 აპრილის სხდომაზე თავად ი. ერისტოვს, რომელიც არც ბანკის წევრ-მსესხებელია და არც წევრდამფუძნებელი, საჩივარი შეაქვს სამეთვალყურეო საბ-

ჭოს წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი პირველად კრებაზე ჩნდება და შესაბამისად, ეს არ ხდება წესდების &82 მითითებული წესის მიხედვით, თავმჯდომარე მაინც იღებს მას, დასაშვებს ხდის მასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებას და ასრულებს თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით (იხ. დანართი N25) ისე, რომ არ განმარტავს, რატომ დაუშვა ასეთი საჩივარი და რატომ დაიწყო მასთან დაკავშირებული დავა, რატომ გადაწყვიტა იგი ერთპიროვნულად და არ დაეკითხა კრებას, რომელმაც ამ ინციდენტზეც საკმარისი დრო დაკარგა.

7) 2 მაისს სხდომა, როგორც ეს ამ დღის ოქმიდან (იხ. დანართი №26) ჩანს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა შესავალი ეპიზოდებისა და მეორეხარისხოვანი გარემოებების სიმრავლით. მათი გადმოცემა დიდ დროსა და ადგილს წაგვართმევდა. 2 მაისის ოქმის (იხ. დანართი N26) ზედაპირული გაცნობაც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორ უწესრიგოდ მიმდინარეობდა კამათი და როგორი უცერემონიო იყო თავმჯდომარე მთელი კრებისა და მისი ცალკეული წევრების მიმართ, რაც გამოიხატებოდა ერთი მხარისადმი მიკერძოებაში და მეორე მხარისათვის შარის მოდებაში პირველის სასარგებლოდ. ამ ოქმის წაკითხვისას კრება წარმოგვიდგება არა როგორც იმ პირთა ერთობლიობა, რომელთა მოწოდებაც სერიოზული რამაა, არამედ როგორც უსაქმური ადამიანების ერთობლიობა, რომელთაც არ იციან, დრო როგორ გაიყვანონ და ერთმანეთის ლანძღვითა და მითქმა-მოთქმით ირთობენ თავს.

8) თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა ჯერ კიდევ 27 აპრილს გამოაცხადა, თავის მხრივ, მზადყოფნა, გამოეთქვა საკუთარი შეხედულებები კრების მიერ წარმოდგენილი ფართო მასალის შესახებ (იხ. დანართი N24), თუმცა როდესაც 3 მაისის სხდომაზე ჯერი ამაზე მიდგა, მაშინ, კრების თავმჯდომარის ლმობიერი თავაზიანობისა და საკუთარი გულმავიწყობის წყალობით, თავადმა ყურადღება გადაიტანა სრულიად

სხვა საგანზე, რომელიც არაფერ კავშირში არ იყო არც ერთ წაკითხულ დოკუმენტთან. თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა თავი წარმოიდგინა ოპოზიციონერი პროკურორის როლში და იმის მაგივრად, რომ, დაპირებისამებრ, გამოეთქვა თავისი შეხედულებები რევიზიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მისთვის ჩვეულ ვრცელ გამოსვლაში მმართველობის წევრების დადანაშაულებას მოჰყვა. იგი მათ ბრალს სდებდა ბანკის საკუთრებაში დარჩენილი მამულების დადგენილი წესის დაცვის გარეშე შესყიდვაში (იხ. დანართი N27). რასაკვირველია, ხელიდან არ გაუშვია იმის შესაძლებლობა, რომ ბრალდებულთა რიცხვიდან გამორჩენოდა ყველაზე დიდი დამნაშავე, ი. მაჩაბელი, და მთელი დანაშაული იმ სხვა წევრებს გადააბრალა, რომელთაც ასეთი მამულები იყიდეს. ეს მზრუნველი გულმავიწყობა მით უფრო უცნაურია იმიტომ, რომ ბ-ნ რევიზორს თავის ანგარიშში ასეთი ყიდვის ფაქტად მოჰყავს მხოლოდ თავადი ი. მაჩაბლის შემთხვევა, რომელმაც იყიდა ბანკის საკუთრებაში დარჩენილი მამული მასზე დარიცხული ზარალიანად (იხ. სარევიზიო ანგარიშის 24-ე გვ.).

მოცემულ შემთხვევაში იმას არ აქვს მნიშვნელობა, იყო თუ არა სამართლიანი ჯამბაკურ-ორბელიანის ბრალდება. მნიშვნელოვანია ის, რომ თავმჯდომარე მუსხელოვმა დაუშვა, კრებას ყურადღება გადაეტანა ისეთ საკითხზე, რომელიც განსახილველად დასმული საკითხის მოხსნის შემდეგ წამოიჭრა მხოლოდ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ნება-სურვილით ისე, რომ არ დაუცავს მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით წესდების &82-ით დადგენილი წესი. ამგვარად, თავმჯდომარემ ხელი შეუწყო ოპოზიციას, კიდევ უფრო გაეწელა საქმე არა მხოლოდ ჯამბაკურ-ორბელიანის ხანგრძლივი საბრალდებო გამოსვლის მოსმენაზე დროის დაკარგვით, არამედ ამ საკითხთან დაკავშირებული გარდაუვალი კინკლაობით, რომელიც აღნიშნულ საკითხს აუცილებლად მო-

ჰყვებოდა. ოპოზიციის ვარაუდი სავსებით გაამართლა საერთო კრების მომდევნო 4, 5 და 7 მაისის სხდომებმა, რომლებზეც ადგილი ჰქონდა სხვა მეორეხარისხოვან ეპიზოდებსა და გაჭიანურებებსაც (იხ. დანართი N28,29 და 31). ძირითადი საკითხისათვის ამგვარი გვერდის ავლისა და გაჭიანურების შედეგი იყო ის, რომ კრებას თანდათან მოთმინების ფიალა აევსო და უკვე 7 მაისს ზოგიერთი წევრი პროტესტს გამოხატავს. მათ თავმჯდომარეს სთხოვეს, წერტილი დაესვა დაუსრულებელი კამათისთვის, შესულიყო კრების წევრთა მდგომარეობაში, რომლებიც, ამდენი ხანია, მოწყვეტილნი იყვნენ საყოფაცხოვრებო საქმიანობას. თუმცა თავმჯდომარემ, როგორც ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალა შეესმინა ეს, კაცმა რომ თქვას, მუდარა და როგორც ამას 7 მაისის ოქმი (იხ. დანართი N31) მოწობს, განაგრძო კრებაზე მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვა, რომელთა შემთხვევითი გაჩენა მხოლოდ საქმის მსვლელობის შეფერხების სურვილით თუ აიხსნება. განა გასაკვირია ყოველივე ამის შემდეგ, რომ კრება კარგავს რა ყოველგვარ მოთმინებას, იწყებს ხმაურს და ყვირილს, რაც დასტურდება 7 მაისის ოქმით (იხ. დანართი N31).

9) ასეთივე ხასიათს ატარებს 8 მაისის სხდომაც. თავადი ი. მაჩაბელი შესაძლებლად მიიჩნევს, ხოლო თავმჯდომარე მუსხელოვი, რა თქმა უნდა, უშვებს ამას, რომ ზუსტად იქნას აღადგენილი ჯერ კიდევ 1894 წლის საერთო კრებაზე პირველად ნათქვამი სიტყვები, რომლებიც თითქოს არასწორად იქნა შეტანილი იმავე, 1894 წელს შევსებულ და დასრულებულ ოქმში. ამ საკითხთან დაკავშირებით იწყება დავა, რომელიც მთავრდება მუქარით, რომ ორატორთა ერთი ნაწილი მეორეს მისცემს სასამართლო პასუხისგებაში ცილისწამების გამო.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი სასამართლო პასუხისგების გამოწვევას საკუთარ თავზე იღებს ისეთი გამბედაობით, რომელიც უკეთესი ხვედრის ღირსია. ალბათ,

არ სურს შეაწუხოს თავადი მაჩაბელი, როგორც ოპოზიციის მეთაური, ასეთი სისულელეებისათვის. ეს ეპიზოდი მთავრდება და იწყება სხვა, რომელიც წარმოიშვა, ასევე, თავადი მაჩაბლის ნება-სურვილით. ამას მოჰყვა თავადი აფხაზის პროტესტი და მისი ახსნა-განმარტება მირიმანოვის მამულიდან მიღებული გარკვეული შემოსავლების შესახებ და ა.შ. ბუნებრივია, რომ, როდესაც ორატორი ძირითად საკითხს სცდება და გადადის პირად ანგარიშებზე, შემდეგ რასაც არ უნდა შეეხოს, მთავარ საკითხთან შედარებით, ყველაფერი მეორეხარისხოვანია და თავს იჩენს არეულობა. დასასრულ, ერთ-ერთი წევრის შენიშვნაზე, რომ თავმჯდომარემ დაარღვია ორატორთა რიგი და ბოლო სიტყვა მისცა თავად მაჩაბელს, ამ უკანასკნელმა თავი იმით იმართლა, რომ მან ეს გააკეთა იმ ორატორების თანხმობით, რომლებიც მაჩაბლის შემდეგ იყვნენ რიგში. თანაც მოცემულ შემთხვევაში თავადი მაჩაბელი ერთგვარ ბრალდებულს წარმოადგენს და კანონით ბოლო სიტყვა ბრალდებულს ეკუთვნის. უდავოდ შესაქებია ასეთი გულისამაჩუყებელი თანაგრძნობა თავადი მაჩაბლის ბედისადმი, მაგრამ ამგვარი თავისებური მოტივით გამართლება გვავარაუდებინებს, რომ თავმჯდომარე მუსხელოვმა ბანკის წევრთა კრება მიიჩნია ერთგვარ ორიგინალურ სამსჯავროდ, რომელზეც თითოეულ დამსწრეს აქვს უფლება, სურვილისამებრ, გააკეთოს ნებისმიერი სახის მოულოდნელი შეთავაზება, აწარმოოს ისეთ ნივთმტკიცებათა სასამართლო გამოძიება, როგორიცაა, მაგალითად, რაღაც შავად ნაწერის გამოზომვა ყოველგვარი საჭიროების გარეშე და იმის შედარებები, თუ რით მთავრდება მისი ერთი გვერდი და იწყება მეორე და, რაც მთავარია, ყველაფერში კრების ნებისმიერი წევრის, განსაკუთრებით კი მართვის ორგანოების წევრთა დადანაშაულება, როგორც კი ეს მოხერხდება კამათის ნებისმიერ მომენტში, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია დავასკვნათ, რომ მოცემულ ვითარებაში საქმეთა წარმართვის ამგვარი საშუალება აღიარებულ იქნა კრების თავმჯდომარის მიერ, იმიტომ, რომ მას არც ერთხელ არ უსარგებლია უფლებით, აღეკვეთა, ამ მხრივ, ორატორთა თვითნებობა.

მაგრამ იყო შემთხვევები, თანაც საკმაოდ ხშირი, როდესაც თავმჯდომარე იხსენებდა თავის უფლებებს, თუმცა მხოლოდ იმათ მიმართ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ გამოესწორებინათ ოპოზიციონერი ორატორების შეცდომები, ან დაცვის მიზნით, პასუხი გაეცათ მათ ბრალდებებზე, ან კიდევ სწორი მიმართულება მიეცათ საქმეთა სვლისათვის. ამ მხრივ, მართლაც ყურადღების ღირსია მუსხელოვის უმაგალითო სიმტკიცე, რომელსაც ასე აქებს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 გვერდზე.

მმართველობა შეძლებისდაგვარად ინარჩუნებს მომხდარ ინციდენტთა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და უმჯობესად მიაჩნია, მსგავს შემთხვევებზე თავის ადგილას მიუთითოს.

10) ასეა თუ ისე, საერთო კრებამ ბოლოს მაინც მოახერხა შეძახილებით „საკმარისია! საკმარისია!“, კრების თავმჯდომარისათვის ძალით განეცხადებინა, რომ საკითხი ამოწურულია. თუმცა საჭიროდ ჩათვალა, ამ, ძალით გაკეთებული, განცხადებისათვის დაეყოლებინა: „სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მმართველობის უმრავლესობის (გამონაკლისს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს თავადი ი. მაჩაბელი) და მთელი სამეთვალყურეო კომიტეტის ერთი მხრიდან ოცი ორატორი გამოვიდა სიტყვით, ხოლო მეორე მხრიდან – მხოლოდ ექვსი“. მართალია, ძალზე გულისამაჩუყებელია ასეთი მგრძნობიარე მიმართვა სამართლიანობის სახელით, მაგრამ კრების თავმჯდომარეს არ აწყენდა იმის ცოდნა, რომ საკითხის განხილვისას უპირატესობა ენიჭება არა მოლაპარაკეთა რაოდენობას, არამედ – ნათქვამის ხარისხს.

ეს გასაოცარი მიმართვა სამართლიანობის სახელით სიტყვასიტყვით არის მოყვანილი 8 მაისის ოქმიდან (იხ. დანართი N32) და ოპოზიციის წინაშე ერთგვარი მობოდიშების ფორმა აქვს. თითქოს კრების თავმჯდომარე ბოდიშს იხდის, რომ იძულებული იყო საკითხი საბოლოოდ ამოწურულად გამოეცხადებინა. საკითხის ამოწურულად გამოცხადების შემდეგ, თავმჯდომარეს იგი გადასაწყვეტად უნდა დაესვა და ამით, ასე თუ ისე, დასრულდებოდა ამოცანა, რომელიც კრებამ კატეგორიულად დაისახა ჯერ კიდევ 22 აპრილს. თუმცა აქ ჩნდება ახალი ინციდენტი და საერთო კრებასაც ამოწურული საკითხიდან ყურადღება მასზე გადააქვს.

თავადმა მაჩაბელმა 7 მაისის წინა დღეს თავის სიტყვით გამოსვლაში, ამჯერად უკვე როგორც ბრალმდებელმა, შემფასებელი კომისიის წევრის, ბ-ნი ფურცელაძის, ღირსება შელახა. 8 მაისს, ე.ი. მეორე დღეს, ფურცელაძემ მიუთითა თავადი მაჩაბლის ამგვარ საქციელზე და კრებაზე განაცხადა, რომ მან ჯერ კიდევ გუშინ სთხოვა თავმჯდომარეს, აეკრძალა თავადი მაჩაბლისათვის იმ საკითხთან დაკავშირებით საუბარი, რომელიც არ შეადგენდა ამჟამინდელი კრების განხილვის საგანს. თუმცა თავმჯდომარე ამ თხოვნას პატივისცემით არ მოეკიდა. ამიტომაც ითხოვს მიეცეს გასაჩივრების უფლება და დრო იმ საქმის ხელახლა გადასახედად, რომლის მიხედვითაც ედება ბრალი. ეს შემთხვევა ოპოზიციის მიზნებს, შეძლებისდაგვარად დიდხანს გაეწელათ კამათი, თითქოს, ხელს აძლევდა.

თუმცა თავმჯდომარე, ერთგული თავისი სისტემისა, დაიცვას ოპოზიციის წევრები ყოველგვარი წინააღმდეგობისაგან, აცხადებს, რომ ბ-ნ ფურცელაძეს ვერ მისცემს სიტყვას. გათვლა სწორი იყო, ამგვარი გადაწყვეტილებით მოგებული დროის პარალიზება დროის დაკარგვით დავაზე, რომელიც მოჰყვებოდა ბ-ნი ფურცელაძისათვის სიტყვის მიცემაზე უარის თქმას. ასეთ

გათვლას რომ ადგილი ჰქონდა, ეს უეჭველია, ვინაიდან თავმჯდომარეს, რომელმაც კრების წინ თავადვე გამოიჩინა გულისამაჩუყებელი თანაგრძნობა მსგავს სიტუაციაში მყოფი თავადი ი. მაჩაბლისადმი და სურდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მისთვის მიეცა სიტყვა, ვითომ როგორც ბრალდებულისათვის, შეუძლებელია, არ გაეთვალა, რომ ასეთივე შემთხვევაში სიტყვის მიცემაზე უარის თქმა ფურცელაძისათვის, რომელიც ნამდვილად ბრალდებულის მდგომარეობაში აღმოჩნდა თავადი მაჩაბლის წყალობით, ეს აშკარა მიკერძოების ფაქტი პროტესტს გამოიწვევდა, დაიწყებოდა კამათი, რაც წაიღებდა დიდ დროს. ამგვარად, თავადი მაჩაბელიც არ შეწუხდებოდა და მიზანი მიღწეული იქნებოდა.

ასეც მოხდა: ამ თემაზე იმართება კამათი, თავს იჩენს სხვადასხვა სახის შენიშვნები, წევრთა ერთი ნაწილი ითხოვს, თავმჯდომარემ სიტყვა მისცეს ბ-ნ ფურცელაძეს და ერთხმად გაიძახიან: „მიეცეს სიტყვა ფურცელაძეს!“. საბოლოოდ საქმე მიდის ლამის მუქარამდე: „უსიტყვოდ გავუსწორდეთ იმას, ვინც სიტყვას არ იძლევა“. თავმჯდომარე მაინც მტკიცედ რჩება თავის გადაწყვეტილებაზე, კრება ი. მაჩაბლისადმი ასეთ ღია მიკერძოებას ხმაურით და ყვირილით პასუხობს, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თავმჯდომარე მაჩაბლის სასარგებლოდ ფეხქვეშ თელავს ნებისმიერი პიროვნების საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას, დაიცვას თავი, როდესაც თავს ესხმიან. მთელი ეს დავიდარაბა მთავრდება იმით, რომ თავმჯდომარე მუსხელოვი კრების აღშფოთების გამო, რაც მისმა აშკარა მიკერძოებამ გამოიწვია, იძულებულია შესვენება გამოაცხადოს (იხ. დანართი N32).

11) იმის უკეთ საილუსტრაციოდ, თუ როგორ ფხიზლად იდგა კრების თავმჯდომარე ოპოზიციონერი ორატორების დაცვის სადარაჯოზე და ამასთანავე, საოცარი თანაგრძნობა გამოიჩინა მათ მიმართ, ისე, რომ ამის

არავითარი საჭიროება არ არსებობდა, ყოველივე ამის საჩვენებლად შეიძლება მრავალთაგან კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც არ შესულა კრების ოქმში, თუმცა თითქმის სიტყვა-სიტყვითაა მოყვანილი გაზეთ „Кавказ“-ის 24 აპრილის N108-ის ანგარიშიდან. აღარაფერს ვამბობთ სხვა ადგილობრივ გაზეთებზე, რომლებიც იმავეს ადასტურებენ თავიანთ ანგარიშებში.

22 აპრილს სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე, მისი უგანათლებულესობა თავადი გრუზინსკი, შეეწინააღმდეგა თავად ჯამბაკურ-ორბელიანს და თქვა: „თავადი ორბელიანი წინ უსწრებს მოვლენებს“... კრების თავმჯდომარე ამ უწყინარ სიტყვაზე აწყვეტინებს მას გამოსვლას და ამბობს: „გთხოვთ, ნუ შეურაცხყოფთ პიროვნებას. ასე თუ გააგრძელებთ მოქცევას, ხმის უფლებას ჩამოგართმევთ“. მსგავს შენიშვნას აკეთებს თავმჯდომარე მაჩაბლის მხრიდან ყოველგვარი თხოვნისა და მინიშნების გარეშე. ნათელია, რომ უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი, როდესაც მიმართავდა საერთო კრებას, იძულებული იყო ამის საპასუხოდ ეთქვა: „ბატონებო, შესაძლებელია კი ასეთი წესი?! და საპასუხოდ გაისმის: „ შეუძლებელია, შეუძლებელია!“

საკმარისია, ეს ეპიზოდი შევადაროთ თავადი მაჩაბლისაგან ნამდვილად ღირსებაშელახულ ბ-ნ ფურცელაძესთან დაკავშირებულ ინციდენტს, როდესაც თავმჯდომარემ არა მხოლოდ არ უშუამდგომლა ფურცელაძეს, როგორც ეს მართებდა და როგორც ამას ითხოვდა თავად განაწყენებული, არამედ თავის დაცვის საშუალებაც კი არ მისცა, ჩამოართვა რა მას გასაჩივრების უფლება, რომ ცხადი გახდეს მთელი უტაქტობა კრების თავმჯდომარის მიერ მიღებული სისტემისა – მუდამ იცავდეს ერთი ჯგუფის ინტერესებს და ფეხქვეშ თელავდეს მეორის უფლებებს.

12) კიდევ ერთ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი იმავე 8 მაისის სხდომაზე. თავადი ი. მაჩაბლისა და

მისი ჯგუფის ცნობილმა თანამონაწილემ, მ. მაჩაბელმა, ისარგებლა რა კრების თავმჯდომარის თავაზიანი ყურადღებით, თავს უფლება მისცა წაეკითხა მმართველობის თავმჯდომარის, თავადი ჭავჭავაძის, პირადი წერილები და ამასთანავე, კონვერსიასთან დაკავშირებით გაეკეთებინა არასწორი წანამძღვარები და მმართველობისათვის ბრალი დაედო დაუდევრობასა და უუნარობაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან ვერ ისარგებლა ბირჟაზე არსებული მდგომარეობით და არ აწარმოა კონვერსია ჯერ კიდევ 1891 წელს. თავადი ჭავჭავაძე ითხოვდა კრების თავმჯდომარისაგან, რომ მიეცა მ. მაჩაბლისათვის პასუხის გაცემის საშუალება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს თხოვნა არ იქნა შესმენილი და მმართველობასაც არ მიეცა შესაძლებლობა, თავი დაეცვა უსამართლო თავდასხმებისა და შენიშვნებისაგან. ამ მხრივ, იმავე 8 მაისის სხდომაზე სხვა შემთხვევებშიც გამოთქვეს სამართლიანი საყვედური კრების თავმჯდომარის მიმართ სხვა წევრებმაც (იხ. დანართი N32). თუმცა ამ შემთხვევაში საინტერესოა მმართველობის თავმჯდომარესთან, თავად ჭავჭავაძესთან დაკავშირებული ინციდენტი, რომელიც მიუხედავად კრების დაჟინებული თხოვნისა, კრების თავმჯდომარემ დაამთავრა მუქარით: „მთელი თვე გავმართავ კრებას და თავად ჭავჭავაძეს მაინც არ მივცემ სიტყვას“ (იხ. 8 მაისის ოქმი, დანართი N32). ამ მხრივ, კრების თავმჯდომარის გამბედაობისა და სიმამაცის დამადასტურებელი მაგალითები მრავლადაა, მაგრამ ამჯერად ზემოთმოყვანილიც კმარა, რათა დავრწმუნდეთ, რომ კრების თავმჯდომარის აშკარად მიკერძოებულმა ქმედებებმა მართვის ორგანოების წევრები აქცია ოპოზიციის თავდასხმებისა და ბრალდებების სამიზნედ. და ისმის კითხვა: ნუთუ შეიძლება ამ მართლაც უსინდისო ქმედებებს, რომელთაც მუდმივი ხასიათი მიიღეს, არ აღეშფოთებინა არა მხოლოდ მართვის ორგანოთა მომხრეები, არამედ საერთო კრების მიუკერ-

ძოებელი წევრებიც? განა შეიძლება ამ ქმედებებს არ გამოეწვია ვნებათაღელვა, ხმაური და ყვირილი, რაც გახდებოდა მიზეზი თავმჯდომარის მიერ გამუდმებით სხდომის დახურვისა და მერე ხელახლა გახსნისა, როგორც ეს ხდებოდა კიდეც როგორც 8 მაისამდე, ისე მას შემდგომაც?

თუმცა ბ-ნ ფურცელაძესთან დაკავშირებული ინციდენტი ამით არ დამთავრებულა. 8 მაისს შესვენების დამთავრებისა და სხდომის განახლების შემდეგ, ოპოზიცია, როგორც ჩანს, ხვდება, რომ კრების თავმჯდომარე მეტისმეტად თავგამოდებით ისწრაფვის დასახული მიზნისაკენ და იწყებს გადაჭარბებას, ეს კი კრებას და მის მეთაურს, ი. მაჩაბელს, არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ეს უკანასკნელი სთხოვს მუსხელოვს, რომ ბ-ნ ფურცელაძეს ახლა თუ არა, ანგარიშის განხილვის დროს მაინც მისცეს სიტყვა. დ. მუსხელოვის უმაგალითო სიმტკიცემ, რომელიც ასე აქო და ადიდა თავადმა ჯამბაკურორბელიანმა თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 გვერდზე და რომელსაც ვერაფერი დააკლო თითქმის მთელი კრების თხოვნამ, ვერ გაუძლო თავადი ი. მაჩაბლის ერთპიროვნულ თხოვნას. თავმჯდომარემ დაივიწყა თავისი გადაწყვეტილება და უკან დაიხია. უკან დახევის საპატიო მიზეზი კი ჰპოვა თავადი მაჩაბლის განცხადებაშივე, რომელმაც მიუთითა, როდის უნდა მისცემოდა სიტყვა ბ-ნ ფურცელაძეს. მუსხელოვმა განაცხადა, რომ „ბ-ნ ფურცელაძეს ახლა იმიტომ არ მისცა სიტყვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული *დავა კარგა ხანია დამთავრებულად გამოაცხადა*, თუმცა თავადვე ჰქონდა მხედველობაში, ბ-ნი ფურცელაძისათვის სიტყვის მიცემა ბანკის ანგარიშის განხილვისას. ამიტომ იგი თანახმაა, ბ-ნმა ფურცელაძემ კრების წინაშე თავი იმართლოს ანგარიშის განხილვის დროს.... და სიამოვნებით იღებს მის გამოწვევას“.

მმართველობა ურთიერთგამომრიცხავი წანამძღვარე-

ბისა და დასკვნების შემცველი ამ შესანიშნავი ტირადის მთელ არათანმიმდევრულობას ავტორის პასუხისმგებლობაში ტოვებს და იძულებულია, მოვლენათა გადმოცემისას, დაარღვიოს ქრონოლოგიური რიგი, რათა სრულყოფილი წარმოდგენა შეგვიქმნას იმის თაობაზე, თუ სადამდე მივიდა კრების თავმჯდომარე 8 მაისის სხდომაზე.

საერთო კრებამ, წაიკითხა რა 17 მაისს (იხ. დანართი N38) ამ სხდომის ოქმი დასამტკიცებლად, დაადგინა, დაემატოს მას ბ-ნ ყარანგოზოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ ოქმში არ არის მოყვანილი თავმჯდომარის შემდეგი სიტყვები: ა) „მე ვაცნობებ ბ-ნ მინისტრს, რომ კრება იწვევს არეულობას და დავნიშნავ გამოძიებას“ და მე-2: „მთელი თვე გავმართავ კრებას და თავად ჭავჭავაძეს მაინც არ მივცემ სიტყვას“, ბ) „ცოტანი ხართ, ბატონებო, ყვირილით ვერაფერს გახდებით“. იგივე ყარანგოზოვი ითხოვდა 8 მაისის ოქმში ასევე შეეტანათ, რომ:

1) „კრების თავმჯდომარემ არ მისცა სიტყვა ა. ფურცელაძეს, როდესაც მას მმართველობის წევრმა, თავადმა მაჩაბელმა, ბრალი დასდო; თავმჯდომარე კრების მოთხოვნას მხოლოდ მაშინ დაემორჩილა, როდესაც მაჩაბელმა ურჩია, სიტყვა მიეცა ფურცელაძისათვის“.

2) „კრების თავმჯდომარემ სიტყვა ჩამოართვა მმართველობის თავმჯდომარეს, თავად ჭავჭავაძეს, სწორედ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მიუთითებდა, რომ აუცილებლად უნდა გადასულიყვნენ ბანკის წლიური ანგარიშის განხილვაზე, რასაც უკავშირდება საკითხი მორიგი ტირაჟის შესახებ. როდესაც ჭავჭავაძემ წარმოთქვა ფრაზა: „ჩვენ გვაქვს ტირაჟი“, კრების თავმჯდომარემ მას სიტყვა ჩამოართვა.

თავმჯდომარემ დადო პირობა, რომ ზემოთქმულს ოქმში ჩაწერდა და იქვე დასძინა, რომ კრებამ კი დადო პირობა, ყარანგოზოვის განცხადებით შეევსო ოქმი და ამით აღიარა მთელი სამართლიანობა იმისა, რაც ამ განცხადება-

შია მითითებული, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ ეს ყოველივე დამახინჯებულია. უტყუარი ფაქტების ასეთმა გაბედულმა უარყოფამ გამოიწვია გაკვირვების შეძახილები კრების ერთ-ერთი წევრის, თავადი ნ. ჩოლოყაევის მხრიდან, რომელმაც, დაადასტურა რა ბ-ნი ყარანგოზოვის ნათქვამი, მიმართა კრების თავმჯდომარეს: „ნუთუ თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარე, მოჰყვებით იმის უარყოფას, რომ პირობას დებდით, მოგეხსენებინათ მინისტრისათვის კრების მიერ გამოწვეული არეულობის შესახებ და გეწარმოებინათ გამოძიება!“ აქ უკვე მოხერხებულობა ვეღარ დაეხმარა თავმჯდომარეს და იგი იძულებული გახდა, დამნაშავედ ეღიარებინა თავი იმის გამო, რომ წარმოთქვა მუქარა გამოძიების დანიშვნის შესახებ, თუმცა ამას უწყინარ წინდაუხედაობას აწერს, სინამდვილეში კი ამ წინდაუხედაობას უფრო სერიოზული ფორმა აქვს. თავადმა ჩოლოყაევმა სიტყვის გაგრძელება სცადა, მაგრამ თავმჯდომარემ არ მისცა ამის უფლება და განაცხადა, რომ ეს ოქმს არ ეხებოდა. ჩვეულებისამებრ, იწყება ხმაური და ყვირილი. ყოველივე ზემოთქმული დასტურდება 8 მაისის ოქმის დამატებით (იხ. დანართი N32), რომელიც ბოლოში აქვს მიწერილი ოქმს.

13) 9 მაისის სხდომაზე კიდევ უფრო რელიეფურად იჩინა თავი ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც ადგილი ჰქონდა უკვე ამოწურული საკითხიდან, როგორც უშუალო ობიექტიდან, ყურადღების გადატანასა და გადახვევის. ამავე სხდომაზე არანაკლებ საგრძნობი იყო თავმჯდომარის უცერემონიო და უტაქტო დამოკიდებულების შემთხვევები კრების სხვა წევრების, განსაკუთრებით კი მართვის ორგანოების წევრთა, მიმართ, რომლებიც, ხშირად შეურაცხყოფილნი ოპოზიციონერი ორატორების მიერ, იძულებულნი იყვნენ თავმჯდომარის წყალობით ეს ყოველივე უსიტყვოდ მოესმინათ.

პირველი სახის შემთხვევების მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ის, რომ თავმჯდომარე მუსხელოვი, რომელ-

მაც წინა დღეს საკითხი ამოწურულად გამოაცხადა, იმის მაგივრად, რომ 9 მაისს სხდომის დასაწყებისთანავე დაესვა ეს ამოწურული საკითხი, იგონებს რაღაც ახალ საკითხს და სთავაზობს კრებას, მასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვან. იგი ამ საკითხის შემდეგნაირად აჯამებს: „თქვენ ხედავთ, ბატონებო, რომ კრებამ ვერაფერი გადაწყვიტა იმ მოხსენებასთან დაკავშირებით, რომელიც თითქმის ოცი დღეა განიხილება. ამიტომაც ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვთქვათ აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით“.

შეიძლება ვიკითხოთ, რომელ საკითხთან დაკავშირებით მიიჩნია თავმჯდომარემ საჭიროდ კამათის დაწყება და ამ გზით კრების ყურადღების კვლავ გადატანა არსებული საქმიდან? იმასთან დაკავშირებით ხომ არა, რომ კრებამ აქამდე ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა? თუმცა კრება ამას ვერც გააკეთებდა, ვინაიდან წინა დღისით, ე.ი. 8 მაისს, თავჯდომარემ საკითხი ამოწურულად სცნო. იქნებ სამთავრობო რევიზიის შესახებ მმართველობის მოხსენებასთან დაკავშირებით, რამდენადაც სხდომის განმავლობაში, 20 აპრილიდან 9 მაისის ჩათვლით, სხვა მოხსენება გადაკვრითაც კი არ ყოფილა ნახსენები? მაგრამ ეს მოხსენება, როგორც ნათქვამიდან და, ასევე, მთელი ამ პერიოდის ოქმებიდანაც ირკვევა, აღარავის გახსენებია თავმჯდომარისვე წყალობით, რომელმაც გასაქანი მისცა ცალკეულ პირთა პირადი ანგარიშებისა და ინტერესების ნიადაგზე გაჩაღებულ დაუსრულებელ კამათს.

იმ მრავალფეროვანი საკითხების, ახალი წინადადებების, შენიშვნების, ბრალდებების, კინკლაობების, საჩივრებისა და მსგავსი სახის გარემოებათა სიმრავლის პირობებში, რომელთაც არაფერი ჰქონდა საერთო მმართველობის მოხსენებასთან და ჯერ კიდევ 22 აპრილს დადგენილ საკითხთან, თუმცა თავმჯდომარე მაინც უშვებდა მათ მოსმენას და განხილვას 9 მაისის ჩათვ-

ლით ყველა სხდომაზე, ასეთ ვითარებაში მოხსენების საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც მუსხელოვი მოითხოვდა კრებისაგან აზრის გამოთქმას, არ აქვს არა მხოლოდ ყოველივე იმის სავალდებულო რეზიუმეს ფორმა, რაც ხდება, არამედ არც ის გარკვეული და ზუსტი მნიშვნელობა, რაც უნდა ჰქონდეს გადასაჭრელად დასმულ საკითხს. ასე უნიათოდ საკითხის დასმა იმასთან დაკავშირებით, რაც, როგორც თავად თავმჯდომარე ირწმუნება, თითქმის ოცი დღის განმავლობაში განიხილებოდა, ან იმის მაჩვენებელია, რომ ეს უკანასკნელი სრულიად ვერ ერკვევა იმაში, რასაც ხელმძღვანელობს და მისივე ნებართვით ხდება, ან – კიდევ ერთხელ ამხელს მის მისწრაფებას, უსასრულოდ აურიოს საქმეები ოპოზიციის სასარგებლოდ, რომელმაც ჯერ ვერ მოიკრიბა ძალები არჩევნებისათვის.

ამდენად, კრებამ ვერ გაიგო, რის შესახებ მოითხოვდა თავმჯდომარე უსათუოდ აზრის გამოთქმას; იწყება კამათი იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა უფლება კრებას, დაადგინოს ნებისმიერი გადაწყვეტილება; კითხულობენ რაღაც წერილობით შემოთავაზებებს, ამ თემაზე დავობენ ორატორები და თავმჯდომარის მიერ ამოწურულად გამოცხადებული საკითხი კვლავ ვარდება თავისი ბუნებრივი კალაპოტიდან და ჩნდება ამ მეორეხარისხოვან გარემოებებში.

მეორე სახის შემთხვევათა მაგალითები წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ დ. მუსხელოვი არა თუ არ ექცეოდა ისე მკაცრად ოპოზიციის წარმომადგენლებს, როგორც მოექცა ბ-ნ ფურცელაძეს და სხვებს, რომლებიც იღვწოდნენ იმისათვის, რომ მათთვის მიეცათ ბრალდებებისაგან თავის დაცვის უფლება, არამედ პირიქით, არწმუნებდა კიდეც საერთო კრებას, მოესმინა ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის, როდესაც მას არ სურდა მათი მოსმენა ან იმ მიზეზით, რომ ხვდებოდა, საითკენ იყო მიმართული ოპოზიციონერ ორატორთა

მცდელობა, ან უბრალოდ იმიტომ, რომ დაიქანცა უნაყოფო დავა-კამათით. მაგრამ ყველაზე ორიგინალური ის არის, რომ კრების თავმჯდომარე ამ თავის რწმუნებას მეტი დამაჯერებლობისათვის თან ურთავდა სხვადასხვა საქებ ატესტაციას. ასე, მაგალითად, იმავე 9 მაისს, მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ ორგზის გამოაცხადა საკითხი ამოწურულად, თავადი ი. მაჩაბელი ითხოვს სიტყვას ვითომ კრების მიერ არასწორად მოხსენებულ ერთ გარემოებასთან დაკავშირებით. ამგვარად, ხელახლა წამოჭრის უკვე ამოწურულ საკითხს და ამით ახალ საბაბს აძლევს თავმჯდომარეს, კვლავ დაიწყოს დავა და კამათი ამავე თემაზე დროის გაწელვის მიზნით. ბუნებრივია, კრებაზე იწყება ხმაური, ისმის შეძახილები: „საკითხი ამოწურულია! აღარ შეიძლება ამაზე ლაპარაკი!“. ინციდენტი დამთავრდა იმით, რომ კრებამ არ მისცა თავად მაჩაბელს საშუალება ეთქვა ის, რაც სურდა. იმავე 9 მაისის საღამოს სხდომაზე თავადი მაჩაბელი კვლავ ცდილობს თქვას ის, რისი თქმაც დილით არ დასცალდა. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით (იხ. მისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 გვ.), მკაცრად კანონმორჩილი თავმჯდომარე არა თუ არ წყვეტს ამ მცდელობას და არ იძლევა შენიშვნას, რომ არ შეიძლება დავუბრუნდეთ ამოწურულ საკითხს, არამედ ატესტაციასაც კი ახდენს, რომ მაჩაბლის განცხადება „ძალზედ მნიშვნელოვანია“. ბუნებრივია, გაისმის შეძახილები: „აღარ არის საჭირო! აღარ არის საჭირო! გადავიდეთ კენჭისყრაზე!“. თავმჯდომარე იძულებულია შესვენება გამოაცხადოს (იხ. დანართი N33).

რომ აღარ დავუბრუნდეთ ამ ინციდენტს, აქვე აღვნიშნავთ: კრების თავმჯდომარემ 10 მაისის სხდომაზე მაინც ასიამოვნა თავადი მაჩაბელი და მისცა ნება საერთო კრებისათვის გაეცნო ეს „ძალზე მნიშვნელოვანი“ განცხადება. რამდენად იყო იგი „ძალზე მნიშვნელოვანი“ მომავალი ან საერთოდ რომელიმე სხვა საკითხის გადაწ-

ყველისათვის, ამის განსაზღვრა შესაძლებელია ამ განცხადების შინაარსიის მიხედვით, რომელიც 10 მაისის ოქმშია გადმოცემული (იხ. დანართი N34).

კიდევ ერთი, ამავე სახის მაგალითი: 9 მაისის სხდომაზე ოპოზიციის საყოველთაოდ ცნობილ წევრს ი. ჯაბადარს კრების თავმჯდომარემ მისცა სიტყვა და განმარტა, რომ „აგერ უკვე მეორედ არ აძლევენ ბ-ნ ჯაბადარს ლაპარაკის საშუალებას. სხვათა შორის, განაგრძო თავმჯდომარემ, გირჩევდით ყურადღებით მოგესმინათ ბ-ნი ჯაბადარისათვის, რომელიც გახლავთ განათლებული ადამიანი, კარგი იურისტი და საერთოდაც, შესანიშნავად არის მომზადებული“. კრების ერთ-ერთი წევრი მადლობას უხდის თავმჯდომარეს ბ-ნ ჯაბადართან დაკავშირებული რჩევისათვის და სთხოვს ამ უკანასკნელის დახასიათებას დაუმატოს, ასევე, ისიც, „რომ მან, ბ-ნმა ჯაბადარმა, თავისი გაყიდული მამული ჩვენს ბანკში დააგირავა“. კრებაზე იწყება არეულობა. ბ-ნი ჯაბადარი ცდილობს რაიმე თქვას, თუმცა მას ამის საშუალებას არ აძლევენ. იგი მიუთითებს მმართველობის ერთ-ერთ წევრზე და ამბობს, „მას ჰკითხეთ“. თავმჯდომარე, რომელიც ერთგულია თავისი სისტემისა, მუდამ გამოექომაგოს ოპოზიციის წარმომადგენლებს, სთხოვს მმართველობის წევრს, რომ საქმეს ნათელი მოჰფინოს, თუმცა კრებაზე გაისმის ხმები: „ფურცელაძეს არ მისცენ სიტყვა, არ მისცენ არც ჯაბადარს!“ ხმაური ძლიერდება და თავმჯდომარე, რომელმაც ვერ მიაღწია მიზანს, ჩვეულებისამებრ, აცხადებს შესვენებას.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარემ მოინდომა, საჩქაროდ დაენახებინა ბ-ნი ჯაბადარისათვის მწუხარება იმის გამო, რომ წარმატებელი აღმოჩნდა მისი გამოსარჩლება და ატესტაცია და გულისამაჩუყებელი თავაზიანობით სთხოვს, რასაც არ აკეთებს სხვების მიმართ, რომ დათმოს პირადი ინტერესები და პირობას აძლევს, რომ შემდეგში აუცილებლად მისცემს სიტყვას. ამ ახსნა-გან-

მარტების მე-13 პარაგრაფში გადმოცემული ყველა ფაქტი სიტყვასიტყვით დასტურდება 9 მაისის ოქმით (იხ. დანართი N33).

თუმცა თავმჯდომარემ სხვა საშუალებით მოახერხა იმ დროის პარალიზება, რომელიც კრებამ თავადი ი. მაჩაბლისა და ბ-ნი ჯაბადარის საუბრის მცდელობის ჩაშლით მოიგო. კითხულობენ მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის დადგენილებებს, ასევე მმართველობის ქაღალდს სამეთვალყურეო კომიტეტში, რომელიც სიტყვასიტყვითაა მოყვანილი 8 მაისის ოქმში (იხ. დანართი N33). იწყებენ ამ დადგენილებებისა და ქაღალდების აზრისა და მნიშვნელობის განმარტებას, ადგილი აქვს ინციდენტებს იმასთან დაკავშირებით, მიეცეს თუ არა სიტყვა მმართველობის ამა თუ იმ წევრს; ყოველივე ამის შემდეგ თავმჯდომარე კვლავ ამოწურულად აცხადებს საკითხს და წყვეტს სხდომას.

მიუხედავად ამისა, სწორედ საკითხის ამოწურულად გამოცხადებიდან ნახევარ საათში ჰქონდა ადგილი თავადი ი. მაჩაბლის ზემოთ აღწერილ მცდელობას, კვლავ დაეწყო საუბარი, ასევე, დ. მუსხელოვის ატესტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადების შინაარსი, რომელიც ჯერ არც კი ჰქონდა ავტორს გადმოცემული, იყო „ძალზე მნიშვნელოვანი“.

დ. მუსხელოვის ამ კვლავაც ჩაშლილი ატესტაციის, ასევე, თავადი მაჩაბლის მცდელობისა და კრების შეძახილების შემდეგ – „საკითხი ამოწურულია! აღარ შეიძლება ამაზე ლაპარაკი!“ – თავმჯდომარე ბოლოს და ბოლოს ივიწყებს თავის პირველ, სავსებით უადგილო, საკითხს, ტოვებს მას ყოველგვარი გადაწყვეტის გარეშე და სვამს ახალ საკითხს ორი რედაქციით. ერთი რედაქცია წარმოადგინა თავად თვმჯდომარემ, თუმცა ეს იყო არა საკითხის ირგვლივ გამართულ დავათა დასკვნა, არამედ საკუთარი გამოგონების ნაყოფი. შენიშვნაზე, რომ მას არ აქვს უფლება პირადად დააყენოს საკითხი, რომელ-

იც სუბიექტური ზრახვებით არის ნაკარნახევი, იგი პასუხობს, რომ საკუთარ მოვალეობად თვლის, როგორც კრების თავმჯდომარემ და სამინისტროს წინაშე პასუხისმგებელმა პირმა, სწორედ ამ სახით დასვას საკითხი, რათა პასუხობდეს სამინისტროს მითითებებს და სარევიზიო ანგარიშიდან ამონაწერს. ხოლო კრების ზოგიერთი წევრის თხოვნის დაკმაყოფილება, მოეხსნა დასკვნის საკუთარი რედაქცია, თავმჯდომარემ ვერ მიიჩნია შესაძლებლად და მიუთითა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებს სამინისტროს წინაშე. შეიძლება თუ არა ასე შეცდომაში შეყვანა ხალხმრავალი კრებისა, რომელმაც ამის გარეშეც ამდენი დრო და ძალისხმევა დახარჯა თავმჯდომარის ყოველგვარ წინდახედულობას მოკლებულ უტაქტობასთან ამაო ბრძოლაში – ეს ბანკის მმართველობის განსასჯელი არ არის. თუმცა თავმჯდომარის ასეთ, ყოველმხრივ გაუმართლებელ და მაინც არაერთგზის განმეორებულ, მითითებას იმის თაობაზე, რომსამინისტროს წინაშე იგი აგებს პასუხს მის მიერ შეთავაზებული რეზოლუციის გამო, სრულიად შესაძლებელია კრების წევრებს ეფიქრათ: სამინისტრომ საიდუმლოდ ხომ არ მიუთითა დ. მუსხელოვს, სწორედ ასეთი რეზოლუცია შეეთავაზებინა? ეს მოსაზრება კიდევ უფრო შეიძლება გაემყარებინა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისა და ოპოზიციის მქადაგებელთა მიერ მთელ თბილისში გავრცელებულ ჭორებს იმის შესახებ, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მეგობრობს და მიმოწერა აქვს ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირთან. ჭორების გავრცელების ფაქტი, რასაკვირველია, ვერ იქნება დამტკიცებული წერილობითი დოკუმენტით, თუმცა მმართველობა სრულ პასუხისმგებლობას იღებს ამ ფაქტის უტყუარობაზე, ვინაიდან, აუცილებლობის შემთხვევაში, ამას დაამოწმებენ თავიანთი ჩვენებებით ისეთი პირები, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ბანკის საქმესთან.

დასმული საკითხის მეორე რედაქცია შემოთავაზებული იქნა ბანკის სამმართველოს უმრავლესობის სახელით, ყველა ერთის – თავადი ი. მაჩაბლის – წინააღმდეგ, რომელმაც გასაგები მიზეზის გამო არ ისურვა ჩამოშორებოდა თავის ერთგულ თავმჯდომარეს და ამით ეღალატა იმ ჯგუფის დისციპლინისათვის, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს.

ხანგრძლივი და ხმაურიანი კამათი გამოიწვია საკითხმა იმასთან დაკავშირებით, რა სახით მომხდარიყო კენჭისყრა. საბოლოოდ თავმჯდომარემ გადაწყვიტა ბურთებით ეყარა კენჭი. მოითხოვეს კრების წევრთა სიები და მინდობილობები. თავმჯდომარემ მოისურვა მათი შემოწმება, რის შემდეგაც შესვენება გამოაცხადა საღამოს 8 საათამდე.

აქ აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ უცნაურ მოვლენას. საერთო კრების ოქმებში არაერთგზის არის მითითებული თავმჯდომარის მიერ შესვენების გამოცხადების შემთხვევები სწორედ იმ მომენტში, როდესაც ამ უკანასკნელის ესა თუ ის ქმედება იწვევდა ხმაურიან პროტესტს, ან როდესაც თავს ისეთ მდგომარეობაში იგდებდა, რომ იძულებული იყო რამენაირად გამომძვრალიყო მის მიერვე დაშვებული შეცდომებიდან.

ოქმებში ხშირად არის მითითებული ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც გვაოცებენ თავიანთი მოულოდნელი გამოჩენით. ასე, მაგალითად, შესვენების შემდეგ, სხდომის აღდგენისთანავე, თავმჯდომარე ცდას არ აკლებს, რომ თავისი შეცდომებისა და თვითნებობის წყალობით კრებისთვის შექმნილი უსიამოვნო შთაბეჭდილება გააქარწყლოს, რისი საბაბიც ყოველ ჯერზე, თითქოს წინასწარ დადგენილი წესით, ხდებოდა ოპოზიციის ერთერთი წარმომადგენელი, მაგალითად, ბ-ნი ფურცელაძის საკითხი. ან კიდევ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩახლართოს საკითხი, რომელიც შესვენებამდე თავადვე

გამოაცხადა ამოწურულად, რათა ხმის მიცემა არ დაწყებულიყო ოპოზიციისათვის არახელსაყრელ დროს. ასევე მოიქცა იგი, როდესაც კრებას თავადი მაჩაბლის მოსმენა შესთავაზა და გამოეხმაურა მის განცხადებას, რომელიც ჯერ თავად ავტორსაც არ ჰქონდა გაცხადებული. თუ შევაჯერებთ ამ გარემოებებს, რომლებიც ოქმით დადასტურდება და ასევე გავითვალისწინებთ იმას, რომ შესვენების გამოცხადების შემდეგ თავმჯდომარის გასვლისთანავე მის კაბინეტში გაემართნენ თავადი ი. მაჩაბელი და ჯამბაკურ-ორბელიანი, უნებლიედ ჩნდება ეჭვი, რომ თავმჯდომარე მათ საკუთარ ქმედებათა ანგარიშს აბარებდა და იღებდა ინსტრუქციებს, როგორ გამოესწორებინა შეცდომები და შემდგომში როგორ მოქცეულიყო. ცხადია, ოპოზიციის წარმომადგენლთა ასეთი მუდმივად განმეორებადი ფუსფუსი ოქმებში ვერ აისახებოდა. თუმცა საჭიროების შემთხვევაში ამას დაადასტურებს ბეჭდური სიტყვის ყველა წარმომადგენელი, რომლებიც კრებაზე ისეთი ადგილას სხედან, რომ თავმჯდომარის კაბინეტთან დაკავშირება მხოლოდ მათ გვერდით ჩავლით არის შესაძლებელი.

ასეა თუ ისე, ფაქტია, იმისათვის, რომ თანამოაზრეებთან ეთათბირა, კრების თავმჯდომარემ, გააკეთა თუ არა 9 მაისს განცხადება, რომ ზემოთ ორ რედაქციად მითითებულ საკითხს კენჭი ეყრებოდა ბურთებით, 8 საათამდე შეწყვიტა სხდომა. ამდენად, საკმარისი დრო ჰქონდა, შენობის გარეთაც კი ეკითხა რჩევა იმისათვის, ვინც საჭირო იყო. ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს რამეს, ამის მტკიცებას ვერ დაიწყებს მმართველობა, თუმცა კი უცნაურია ის გარემოება, რომ სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ შეიძლება დასმული საკითხისათვის ბურთებით კენჭისყრასთან დაკავშირებით მის მიერვე მიცემული დაპირება გადადებულიყო ამ კრების სესიის ბოლოს.

როგორც 9 მაისის ოქმიდან ჩანს, ამ დღეს დამსწრე

წევრთა ხმების საერთო რაოდენობა იყო 263, ხოლო სესიის ბოლოს, 20 მაისს, ე.ი. თავადი ი. მაჩაბლის არჩევის დღეს, უეცრად ხმათა რაოდენობამ 1270 მიაღწია. ყოველივე ამის შემდეგ უკვე გასაგებია, ოპოზიციის რამხელა არმია მოიყრიდა თავს სესიის ბოლოს და რატომ დაუშვა დ. მუსხელოვმა, მისივე აზრით, გადაწყვეტისათვის უკვე მომწიფებულ საკითხზე კენჭისყრა გადადებულიყო სესიის ბოლოსკენ, მას შემდეგ, რაც არ გამოუვიდა არც ოპოზიციას და არც მისით შთაგონებულ მუსხელოვს საქმეში არაძირითადი საკითხების ჩართვით გაეწელა დრო მოსალოდნელი არმიის გამოჩენამდე.

რით აიხსნება ფრონტის ასეთი მოულოდნელი და ამასთანავე, ჭეშმარიტად მამაცური, ვინაიდან ამის გარეშეც საკმაოდ აღელვებული იყო კრება, შეცვლა სწორედ შესვენების შემდეგ?

9 მაისის ოქმში (იხ. დანართი N33) თავმჯდომარე აღნიშნულს ხსნის იმით, რომ, თითქოს, ბანკის იმ წევრთა სიები, რომლებიც გვიან გამოცხადდნენ, ვერ იქნებოდა შემოწმებული და საერთოდაც, ეს საქმე საკმაოდ რთულია და საჭიროა კენჭისყრის რამდენჯერმე ჩატარება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. აქ ყველა სიტყვა ეწინააღმდეგება აშკარა გარემოებას. თუ სიები არ იყო შემოწმებული, მაშ როგორაა აღნიშნული 9 მაისის ოქმის დასაწყისშივე კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა, თანაც ისე, რომ ცალ-ცალკე იყო აღრიცხული დამფუძნებლები და მსესხებლები, როგორც ეს, ჩვეულებრივ, კეთდებოდა ყველა ოქმში, გარდა ერთისა – 20 მაისის, ე.ი. თავადი მაჩაბლის არჩევნების დღის, ოქმისა? ან ასეთი შემოწმების რა აუცილებლობა იყო, როდესაც სია უკვე შეამოწმა სამეთვალყურეო კომიტეტმა და 9 მაისამდე არც არავის გამოუთქვამს ეჭვი ამასთან დაკავშირებით და არც შემოწმება მოუთხოვიათ? ამ აუცილებლობის უცაბედად გაჩენა, რაშიც წვლილი ბ-ნ მუსხელოვს მიუძღვის, მით უფრო უცნაური იმიტომაა, რომ

მანამდე ჩატარებული მთელი ჩვიდმეტი სხდომის განმავლობაში საკითხები წყდებოდა ხმის მიცემის ამა თუ იმ საშუალებით, თავად დ. მუსხელოვიც ამ სიის მიხედვით იქნა კრების თავმჯდომარედ არჩეული, ბურთებით კენჭისყრის საშუალებით და მაშინ სრულებით არ მიაჩნდა ამ უკანასკნელს საჭიროდ, ამისათვის წინასწარ შეემოწმებინა სიები და აღიარა საკუთარი თავი კანონიერად არჩეულად. დაბოლოს, თუ სიების შემოწმება იყო ნამდვილი და არა მხოლოდ ხელოვნურად შეთხზული მიზეზი, მაშინ დ. მუსხელოვს ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიეღო, როდესაც იღებდა გადაწყვეტილებას ბურთებით კენჭისყრის შესახებ, ვინაიდან როგორც ამ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, ისე მას შემდეგაც, ვითარება ანალოგიური იყო.

ხოლო ბ-ნი მუსხელოვის მხრიდან დამოწმება, რომ მოუწევთ რამდენჯერმე უყარონ კენჭი სხვადასხვა საკითხს, მოცემულ შემთხვევაში ბათილდება მის მიერვე ორ რედაქციად ფორმულირებული ერთი და იმავე საკითხით, რომელსაც კენჭი ეყარა 9 მაისს. ბ-ნი მუსხელოვის იმ ახსნა-განმარტების მთელი უსაფუძვლობის უკეთ ილუსტრირებისათვის, რომლითაც მან თავი იმართლა შეპირებული კენჭისყრისაგან უეცარი გადახვევის გამო, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი თავმჯდომარედ არჩევის დღიდან, ე.ი. 20 აპრილიდან 9 მაისის ჩათვლით, შეუძლებელია მას არ ეფიქრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთგზის მოუწევდა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად მიემართა კენჭისყრისათვის, მას ერთხელაც კი არ მოსვლია თავში აზრად სიების შემოწმება. ნუთუ არ არის ცხადი, რომ ამ საკითხის ასე უეცრად 9 მაისის სხდომაზე წამოჭრას რაღაც ფარული ზრახვები ედო საფუძვლად, ან კიდევ იყო შედეგი საჭირო პირებთან თათბირისა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოესწორებინათ შეცდომა, რომელიც მდგომარეობდა ბურთებით კენჭისყრის იმ დღეს დანიშვნაში, როდესაც

ჯერ კიდევ არ იყო მოსალოდნელი ძალები სრულად წარმოდგენილი?

ცხადია, რომ მოსალოდნელი კენჭისყრის გადადების შემდეგ, კრებაზე იწყება ხმაური, თავმჯდომარეს სთხოვენ, კენჭისყრა ჩატარდეს იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობაც ესწრებოდა კენჭის საყრელი საკითხის განხილვას; თავადი ი. მაჩაბელი ცდილობს ლაპარაკის დაწყებას, რასაც მოჰყვება შეძახილები: „არ არის საჭირო, არ არის საჭირო! კენჭისყრისკენ“. და ა.შ. თავმჯდომარე არ თანხმდება და კრებას სთავაზობს, კენჭისყრა ხვალამდე მაინც გადადონ; დამსწრენი მოითხოვენ დაუყოვნებლივ ჩატარდეს კენჭისყრა. კვლავ გაისმის ხმაური და შეძახილები. თავმჯდომარე, რასაკვირველია, მის მიერვე გამოწვეული ხმაურით სარგებლობს და სხდომას წყვეტს მეორე დღემდე. ასე აღწევს იგი თავის მიზანს და კიდევ ერთი დღით დებს კენჭისყრას. ყოველივე ზემოთქმული გადმოცემულია 9 მაისის ოქმში (იხ. დანართი N33).

14) თუმცა მეორე დღეს, 10 მაისსაც, კრების თავმჯდომარე თავისი ამოცანის ერთგული რჩება და კვლავ პოულობს მიზეზს, რათა არ ჩაატაროს მის მიერვე მეორედ დაპირებული კენჭისყრა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი მიზეზების გამოგონებისათვის მას ჰყოფნის უნარიც, ხელოვანებაც და გამბედაობაც. ასე, მაგალითად, 10 მაისს სხდომაზე შეკრებილი ბანკის 287 წევრი იმის მოლოდინში, რომ ბოლოს და ბოლოს ჩატარდებოდა კენჭისყრა, მოულოდნელად, სხდომის დასაწყისშივე, იძულებულნი გახდნენ მოესმინათ, როგორ კითხულობდა კარგა ხანს თავმჯდომარე კანონის იმ მუხლებსა და ახსნა-განმარტებებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო კრებებზე საქმისწარმოების წესს და ასევე თავმჯდომარისა თუ წევრების უფლებებსა და მოვალეობებს. მსგავს საკითხებზე კრების დუმილით წახალისებული თავმჯდომარე, რომელიც ხედავს, რომ კენჭისყრისათვის მაინც რჩება

დრო, რაც მისთვის სავსებით არ არის სასურველი, ურცხვად აცხადებს, რომ წინა დღისით მმართველობის წევრს, თავად ი. მაჩაბელს გასაკეთებელი ჰქონდა განცხადება, რომელიც საქმესთან უშუალო კავშირშია და ერთობ მნიშვნელოვანია. ამიტომ იგი აძლევს სიტყვას თავად მაჩაბელს, რაზეც იყო კიდეც საუბარი ზემოთ, მმართველობის ამ ახსნა-განმარტების მე-18 გვერდზე. მორჩილი კრება მოთმინებით ხვდება თავმჯდომარის მიერ დაპირებული კენჭისყრის კვლავაც გადადებას და ძალაუნებურად უსმენს თავად მაჩაბელს. თავადი მაჩაბლის გამოსვლა კი თავმჯდომარეს აძლევს შესაძლებლობას, კრებას წაუკითხოს სხვადასხვა ქაღალდი, რის შემდეგაც იწყება ხანგრძლივი კამათი, როგორც ეს აღნიშნულიცაა 10 მაისის ოქმში (იხ. დანართი N34).

ამის შემდეგ კენჭისყრისათვის მაინც რჩება დრო. რაღა შეიძლება მოიმოქმედოს თავმჯდომარემ? იგი ხანმოკლე ფიქრის შემდეგ პოულობს გამოსავალს: იწყებს იმის ახსნა-განმარტებას, თუ რატომ მოითხოვა წინა დღეს სიების შემოწმება და უთითებს მტკიცებულებაზე. თუმცა ვერც ეს შველის: დრო მაინც არის კენჭისყრისათვის. შემდეგ იგი კითხულობს სააქციო საადგილმამულო ბანკების წესდებებს იმის დასამტკიცებლად, რომ სიების შემოწმება ხდება კრების მიერვე. ამ თემაზე კვლავ იწყება კამათი, რაც მთავრდება თავმჯდომარის განცხადებით, რომ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი იგივე სააქციო ბანკია. თუმცა მას ავიწყდება, რომ ამ ბანკში არ არიან აქციონერები და იგი მსესხებელთა ურთიერთთავდებობის საფუძველზე არსებობს. კრება მოთმინებას კარგავს, ამჯერად უკვე თავს ვეღარ იკავებს და იწყებს ხმაურს. როგორც ჩანს, თავმჯდომარესაც სწორედ ეს უნდოდა, რათა, ჩვეულებისამებრ, კვლავ შეეწყვიტა სხდომა და მარტო დაფიქრებულიყო იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყო შემდგომ, ან ვისთვისაც საჭიროა, იმისთვის ეკითხა რჩევა და მიეღო ინსტრუქცია.

განმარტოებით ფიქრმა თუ თანამოაზრეებთან თათბირმა შედეგი მალევე გამოიღო და შესვენების შემდეგ,

სხდომის განახლებისთანავე იჩინა თავი. დ. მუსხელოვი კვლავ ეკითხება სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს, მის უგანათლებულესობას, თავად გრუზინსკის, სურს თუ არა, დაემორჩილოს მის მოთხოვნას და კრების თავმჯდომარეს გადასცეს სიები შესამოწმებლად. მისი უგანათლებულესობა თავადი გრუზინსკი უარს ამბობს ამაზე და აღნიშნავს, რომ არ შეუძლია და არც უფლება აქვს, დაემორჩილოს ამ უკანონო მოთხოვნას. კრების არაერთ წევრს სურს ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ დ.მუსხელოვი არავის არ აძლევს სიტყვას, ვინაიდან მას მიანიშნეს, რომ კრების თავმჯდომარეს არ აქვს უფლება პირადად შეამოწმოს სიები. ეს საერთო კრების საქმეა. ეს მინიშნება არ შესულა 10 მაისის ოქმში, მაგრამ აღნიშნული ოქმი წაკითხულ იქნა დასამტკიცებლად მხოლოდ 17 მაისის სხდომაზე. ამ დღის სხდომის ოქმში (იხ. დანართი N38) დასტურდება ის ფაქტი, რომ არც სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს და არც კრების რომელიმე სხვა წევრს არ უარუყვია ის, რომ საერთო კრებას აქვს სიების შემოწმების უფლება. მათ გააპროტესტეს თავმჯდომარის თვითნებობა, რომელიც აპირებდა, საერთო კრების მხრიდან ყოველგვარი მოთხოვნისა და რწმუნების გარეშე, პირადად, საკუთარი ნება-სურვილით მოეთხოვა სიები და ერთპიროვნულად მიენიჭებინა საკუთარი თავისათვის მათი შემოწმების უფლება.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომაც არ მისცა მან არავის სიტყვა, რათა არ შეწინააღმდეგებოდნენ მის მოთხოვნას სიების შემოწმებასთან დაკავშირებით. ეს სავსებით შეესატყვისება მიე მიერ ერთხელ უკვე მიღებულ სისტემას, არ მისცეს ვინმეს საშუალება შეეწინააღმდეგოს ოპოზიციის ამა თუ იმ უსაქციელობას; ოპოზიციისა, რომლის წევრი თავადაც იყო. არადა, ეს შემთხვევა ძალზე ხელსაყრელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ საკითხზე გამართული კამათით კიდევ

უფრო გაიწელებოდა დრო.

მაგრამ კრების თავმჯდომარემ ვეღარ შეძლო კვლავ აეცილებინა თავიდან მის მიერ ორჯერ დაპირებული კენჭისყრა და იმისათვის, რომ ოპოზიციისათვის მოენახა მეტნაკლებად საიმედო ამოსავალი წერტილი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა ხმათა სახელობითი აღრიცხვა თავადი მაჩაბლის მომავალი არჩევნებისათვის, გამოიჩინა გასაოცარი გამჭრიახობა. მან განაცხადა, რომ როგორც თავმჯდომარეს, კანონი ანიჭებს უფლებას, აირჩიოს, როგორი წესით ჩაატარებს კენჭისყრას. ამჯერად კი უმატებს ყველასთვის უცნობ კანონს, რომლის მიხედვითაც, თითქოს, არსებობს ამ საერთო წესიდან გამონაკლისი საკითხები, რომელთა გადასაჭრელად აუცილებლად უნდა ჩატარდეს ბურთებით კენჭისყრა, თუ ამას მოითხოვს ერთი პირი მაინც. ხოლო რამდენადაც მას შეუძლებლად მიაჩნია სიებისა და მინდობილობების შემოწმების გარეშე წინა დღისით (ე.ი. 10 მაისს) განხილულ საკითხებზე ბურთებით კენჭისყრა, ამდენად მათ მიმართ იწარმოებს ღია კენჭისყრა სახელობითი სიების მიხედვით. კრებაზე იწყება ხმაური, მოითხოვენ ფარულ კენჭისყრას. თავმჯდომარის ბრძანებით კითხულობენ დასამტკიცებლად შეთავაზებულ დასკვნებს წინა სხდომაზე დადგენილი რედაქციებით. კრებაზე ითხოვენ საკითხის დასმის შესახებ სიტყვის თქმის უფლებას. თავმჯდომარე, რომელმაც, როგორც იქნა, პირველად გადაწყვიტა, წამოეჭრა საკითხი კრებაზე, დასმული არ ჰქონდა საკითხი დასამტკიცებლად, რომ უკვე ამოწურულად გამოაცხადა, რასაც თან სდევდა ხმაური და შეძახილები „არ გვსურს, არ გვსურს“. თავმჯდომარე მოითხოვს, დაიწყოს სიების ამოკითხვა და თითოეულმა ხელი მოაწეროს ფურცელზე, რომელზეც გადმოცემულია ორიდან ერთ-ერთი რედაქციით დასმული საკითხი დასამტკიცებლად. ხელახლა იწყება ხმაური. თავადი გ. თარხან-მოურავი თავმჯდომარეს სთხოვს, რომ

მისცეს სიტყვა საკითხის დასმასთან დაკავშირებით. თავმჯდომარე მას უარს ეუბნება ამ თხოვნაზე. მაშინ თავადი თარხანოვი მოითხოვს, რომ ოქმში აღინიშნოს პროტესტი საკითხის დასმასთან დაკავშირებით თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციაში. თავმჯდომარე აცხადებს, რომ საკითხის დასმასთან დაკავშირებით სიტყვას *მეტად* აღარავის მისცემს, ავიწყდება რა, რომ აქამდეც არავისთვის მიუცია რაიმეს თქმის უფლება.

იწყება ხმაური და შეძახილები. ცხადია, თავმჯდომარე, ჩვეულებისამებრ, წყვეტს სხდომას: მას ხომ განმარტოებით ესაჭიროება ყოველივეს აწონ-დაწონა, ან რჩევების მიღება, ამდენი გაუაზრებელი საქციელის შემდეგ, როგორ დაიძვრინოს თავი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც, ამჯერადაც, თავადვე ჩაიგდო თავი.

სხდომა განახლდა. თავადი ა. ბაგრატიონ-მუხრანსკი კრებას სთავაზობს საქმისადმი თავმჯდომარის აშკარა მიკერძოებული დამოკიდებულების, მისი არასწორი და უკანონო ქცევების გამო მიმართონ ადმინისტრაციას. ისმის შეძახილები: „შევცვალოთ იგი“. ხმაური და შეძახილები გრძელდება. რა თქმა უნდა, ისევ ცხადდება შესვენება.

შემდეგ კვლავ ახლდება სხდომა. ხელახლა იწყება ხმაური და შეძახილები. თავმჯდომარე არ წყვეტს რეკვას და აცხადებს, რომ თუ ასე მოიქცევიან და არ შეწყვეტენ ხმაურს, მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება კრების წევრთა შეკრება-დაშლა. ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარე, როგორც მას სჩვევია, სხდომას ხურავს მეორე დღემდე. ყოველივე ზემოთქმული დასტურდება 10 მაისის ოქმით (იხ. დანართი №34).

თუმცა, გაზეთ «Кавказ»-ში (11 მაისის N124) ამ დღის სხდომის დასასრული შემდეგნაირადაა აღწერილი. მითითებული გაზეთი ადასტურებს თავმჯდომარის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს: „მთელი წლის განმავლობაში

შეგკრებთ და დაგშლით“ და აგრძელებს:

„იწყება წარმოუდგენელი ხმაური. თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს მომდევნო დილის 10 საათამდე. არეულობის შემდეგ სიწყნარე ისადგურებს და კრება კიდევ კარგა ხანს არ იშლება. ისმის შეძახილები: „თავმჯდომარე პოლიციის დასაძახებლად წავიდა. ახალი თავმჯდომარე უნდა ავირჩიოთ“ და ა.შ. შემდეგ ხელიდან ხელში გადადის ვიღაცის მიერ სამეთვალყურეო კომიტეტის სახელზე დაწერილი განცხადება, რომელშიც სთხოვენ ამ უკანასკნელს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ან კრების ახალი თავმჯდომარე იქნას არჩეული, ან კიდევ კრება დაიხუროს და საქმეთა შემდგომი განხილვა გადატანილ იქნას შემდგომ საგანგებო საერთო კრებაზე. აღნიშნული განცხადება, მიუხედავად ზოგიერთების ხმამაღალი პროტესტისა, გადაფარა მრავალრიცხოვანმა ხელმოწერებმა (იმ დღეს კრების წევრთა არსებული შემადგენლობიდან, რაც 287-ს შეადგენდა, 215 ხელმოწერა), რის შემდეგაც კრება მშვიდად იშლება“. გაზეთ «Кавказ»-ის ამ ცნობის სანდოობა უეჭველია, რამდენადაც აღნიშნულის დადასტურება შეუძლია ბევრ ადამიანს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კრებაზე დამსწრე საზოგადოებას.

14) 11 მაისის სხდომაზე კრების თავმჯდომარეს, რომელიც კვლავაც ოპოზიციის არმიას მოელის, არ სურს კენჭი უყაროს მის მიერვე ამოწურულად გამოცხადებულ და დასამტკიცებლად დასმულ საკითხს. სხდომის დაწყებისთანავე, თითქოს ყურადღების გადატანის მიზნით, იგი სრულიად უმიზეზოდ აცხადებს, რომ გადაამოწმა სხვადასხვა ბანკების წესდებები და არც ერთ მათგანში არ წერია, რომ წევრთა სიების შემოწმება წარმოადგენს სამეთვალყურეო კომიტეტის უკონტროლო უფლებას და რომ საერთო კრებას არ აქვს უფლება ჩაერიოს ამ შემოწმებაში. ამის დასტურად თავმჯდომარე კითხულობს ხე-

რსონის, და არა თბილისის, სათავადაზნაურო- საადგილმამულო ბანკის წესდებას.

წინა პუნქტიდან (იხ. მე-13 პუნქტი) ნათლად ჩანს, რომ არავის მოსვლია აზრად სადავო გაეხადა საერთო კრების მიერ სიების შემოწმების უფლება. ხოლო ის, თუ რატომ მიიჩნია თავმჯდომარემ საჭიროდ გადაეკითხა სხვადასხვა ბანკის წესდებები და დაეკარგა დრო იმის მტკიცებულებების ძიებაში, რის წინააღმდეგაც არავინ დავობს, ხოლო შემდეგ ყველანაირად ეცადა, რომ არასადავო საკითხი ექცია სადავოდ, ყოველივე ეს სავსებით გაუგებარია. თუმცა კი ამისათვის ნათელის მოსაფენად შემდგომში თავმჯდომარე თავად იძლევა გასაღებს. აცხადებს, რომ მისი გამოკვლევის მიხედვით, ყველა დაწესებულებაში საბოლოო შემოწმება წარმოებს საერთო კრების მიერ და იქვე დასძენს, *რომ საკუთარ მოვალეობად თვლის, შეამოწმოს სიები.* ამგვარად, თავმჯდომარემ, გააიგივა რა საკუთარი თავი საერთო კრებასთან, ვერ გაიგო, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ყველა წინააღმდეგობისა და პროტესტის უმთავრესი მიზეზი სწორედ მის მიერ ძალაუფლების ეს თვითნებური გადამეტებაა. ამ გაუგებრობის გამო, თუ კვლავაც იმის გამო, რომ ოპოზიციის სასარგებლოდ ხმის მიცემა რაც შეიძლება გადაეწია, იგი კვლავაც სთავაზობს სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს, წევრთა სიები და მინდობილობები მას გადასცეს შესამოწმებლად. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ბოლოს იგი თავად საყვედურობს კრებას და აცხადებს, რომ „სარევიზიო ანგარიშთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურება არ შეიძლება. სხვა შემთხვევაში სამინისტროს წინაშე პასუხისმგებელნი მე და თქვენ ვართ, ბატონებო!“,- მიმართავს კრებას და აკვირვებს, რასაკვირველია, ყველას საქმის ასეთი უეცარი შემოტრიალებით.

სინამდვილეში ის მოხდა, რომ ოპოზიციას შეემატა ის არმია, რომელსაც ამდენ ხანს ელოდნენ. ოქმის მიხედ-

ვით (იხ. დანართი N35) 11 მაისის სხდომის დაწყებისას წარმოდგენილი 300 წევრი ამავე დღეს ხმის მიცემის მომენტისათვის 413-მდე გაიზარდა. თუმცა, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, წევრთა ასეთი მოზღვავება ხმის მიცემის მომენტისათვის რატომ იყო მაინდამაინც ოპოზიციის დამსახურება და არა მისი მოწინააღმდეგე ჯგუფისა? იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, მოწინააღმდეგე ჯგუფს საერთო კრების სხდომების გახსნიდან ხმის მიცემის მომენტამდე არ ჰქონია არც შესაძლებლობა და არც ძალა შესწევდა, წევრების მომატების მოლოდინში 11 მაისამდე გაეწელა სხდომა, როგორც ეს შეძლო ოპოზიციამ მისი ბრძანებების უსიტყვოდ მორჩილი კრების თავმჯდომარის წყალობით. მას შემდეგ, რაც არსებითად დამთავრდა ბ-ნი მინისტრის მითითებასთან და რევიზიის ანგარიშთან დაკავშირებული ყოველგვარი განმარტებანი, ხმის მიცემის მომენტი სხდომის ნებისმიერ წუთს შეიძლება დამდგარიყო და ეს დამოკიდებული იყო მხოლოდ დ. მუსხელოვის პირად ნება-სურვილზე, რასაც იგი, რა თქმა უნდა, არ უთანხმებდა არაოპოზიციური ჯგუფის სურვილებს. მაშასადამე, ამ უკანასკნელ ჯგუფს მუდმივად უნდა ჰყოლოდა მობილიზებული მთელი თავისი ძალები და არ დასჯერებოდა წევრთა იმ რაოდენობას, რომელიც, ჩვეულებრივ, იყო ხოლმე სხდომებზე, მით უფრო, რომ თავმჯდომარის არჩევისათვის ხმის მიცემის პროცესს თან სდევდა საფრთხე და აუცილებელია ყოველი შემთხვევისათვის სიფრთხილის გამოჩენა. თუმცა რეალურად მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნა დ. მუსხელოვი (20 აპრილის შემდეგ), რომლის თავმჯდომარედ ყოლაც მოცემულ ჯგუფს სულაც არ სურდა, კრების შემადგენლობამ, ამ დღეს 297 წევრით რომ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ 6 მაისს მიაღწია 318-ს, ხოლო სხვა დანარჩენ დღეებში, 11 მაისამდე, 300-ს არ ასცდენია, ე.ი. დაახლოებით იმ რაოდენობას, რამდენიც იყო კრების თავმჯდომარედ დ. მუსხელოვის არჩევისას.

შემდეგ, იმისათვის, რომ თანამოაზრეები შეეკრიბათ სწორედ კენჭისყრის მომენტისათვის, არც ერთი საათით გვიან და არც ერთი საათით ადრე, წინასწარ იყო საჭირო იმის ცოდნა, თუ როდის მოისურვებდა ბ-ნ მუსხელოვი კენჭისყრის დანიშვნას. ეს კი მხოლოდ ოპოზიციას შეიძლება სცოდნოდა. ეჭვგარეშეა ასევე ის ფაქტიც, რომ მუსხელოვი თავის გეგმებს ოპოზიციის მოწინააღმდეგე ჯგუფს არ გაუზიარებდა. და, ბოლოს, 8 მაისიდან მოყოლებული ამ დიდი ხნის მომწიფებულ საკითხზე კენჭისყრის დაჩქარების სასარგებლოდ მუსხელოვის განწყობის ამ უეცარ შეცვლამდე ოპოზიციის მოწინააღმდეგე ჯგუფი ყოველ სხდომაზე მოითხოვდა დაუყოვნებელ კენჭისყრას. თავმჯდომარე ამას სხვადასხვა საშუალებით მუდმივად არიდებდა თავს და ხმის მიცემას შემდეგისთვის დებდა. დ. მუსხელოვის განწყობის შეცვლა სწორედ 11 მაისს ვერ აიხსნება თითოქოსდა სამინისტროს წინაშე პასუხისმგებლობის უეცრად გაჩენილი შიშით, როგორც ამას ირწმუნებოდა მუსხელოვი, რათა გაემართლებინა მის მიერ ხმის მიცემის დაჩქარება, რამაც ასე გააკვირვა ყველა, და ამით რამდენადმე გაენეიტრალებინა საქმის ასე მოულოდნელად შემოტრიალებისაგან მიღებული შთაბეჭდილება.

ამდენად, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ დ. მუსხელოვმა, დარწმუნდა რა ოპოზიციის რეზერვის გამოცხადებაში, ბრძოლა გადაწყვიტა. თუმცა, იმისათვის, რომ მარცხის შემთხვევაშიც მიეღო რაიმე ოპოზიციის სასარგებლოდ, გამოიგონა კენჭისყრის ისეთი ხერხი, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას შემდგომში სახელობითი აღრიცხვისა, ვინ იყო ოპოზიციის მხარეს და ვინ – მის წინააღმდეგ თავადი მაჩაბლის მოსალოდნელ არჩევასთან დაკავშირებული შემდგომი განხილვებისათვის.

დ. მუსხელოვს დაავიწყდა, მართალია, უცნობი, მაგრამ მის მიერვე 10 მაისს (იხ.დანართი N34) გამოგონილი კანონი, რომლის მიხედვითაც სასწრაფოდ უნდა ჩატარე-

ბულიყო კენჭისყრა ბურთებით, თუ ამას ერთი პირი მაინც მოითხოვდა, და არ მიაქცია არავითარი ყურადღება იმას, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ბურთებით კენჭისყრა არაერთგზის მოითხოვა ლამის მთელმა კრებამ (იხ. 9 და10 მაისის ოქმი, დანართი NN 33, 34). ასევე დაივიწყა, რომ ჯერ კიდევ 9 მაისის სხდომაზე (იხ. 9 მაისის ოქმი, დანართი N33) მან თავად გადაწყვიტა ამ საკითხისთვის კენჭი ეყარა ბურთებით და მისთვის დამახასიათებელი მამაცობითა და მკაცრი კანონიერების გრძნობით, როგორც ამას ირწმუნება თავადი ჯამბაკურორბელიანი თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 გვერდზე, კრებას 11 მაისს შესთავაზა არა ბურთებით კენჭისყრა, არამედ მის მიერ წინა სხდომაზე გამოგონილი განსაკუთრებული წესით რედაქტირებული გადაწყვეტილების ორი პროექტი, რომლებიც იქვე იქნა წაკითხული. ამას მოჰყვება ხმაური და შეძახილები. ითხოვენ სიტყვას საკითხის დასმასთან დაკავშირებით. თავმჯდომარე კვლავ უარს ამბობს და ისე, რომ დიდხანს არც ფიქრობს, იღებს გადაწყვეტილების პროექტების ორ ფურცელს, მიაქვს მართვის ორგანოების თითოეულ წევრთან და სთავაზობს, ხელი მოაწერონ რომელიმე გადაწყვეტილებაზე.

ხელმოწერაზე ყველა უარს ამბობს, გარდა თავადი ი. მაჩაბლისა, რომელიც ხელს აწერს, რა თქმა უნდა, თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილების პროექტს. შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ *წინა სხდომაზე ატეხილი ხმაურის გამო არ ესმოდათ* ბანკის წევრებს, როდესაც სიის მიხედვით იძახებდნენ და ამიტომ მათ სთავაზობს, ყოველგვარი გამოძახების გარეშე რიგრიგობით მივიდნენ და ხელი მოაწერონ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათთვის უფრო მოსახერხებელია (იხ. დანართი N35). დ. მუსხელოვის არჩევის დღიდან, რაც ყოველგვარი ხმაურისა და ყვირილის გარეშე მოხდა, ამ უკანასკნელ წუთამდე არ ყოფილა არც ერთი

ისეთი შემთხვევა, რომ რაიმე საკითხზე *ხმის მიცემა* სიით გამოძახებებით მომხდარიყო. ხოლო წინა, ე.ი. 10 მაისის, სხდომაზე ხმის მიცემას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. ეს დასტურდება აქამდე ჩატარებული სხდომების ყველა ოქმით. ეს ოქმები მოწმობს, რომ ხმის მიცემა ყოველთვის ხდებოდა ფეხზე წამოდგომით. ხოლო ის, რომ კრების თავმჯდომარე ბედავს და უთითებს ვითომ სიის მიხედვით გამოძახებებით გამოწვეულ ხმაურსა და ყვირილზე, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აღნიშნული მითითების თამამ გამომგონებლს, დ. მუსხელოვს.

მოცემული შემთხვევაში გათვლა ნათელი იყო: 11 მაისის სხდომის დასაწყისში დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა 300 იყო, როგორც ეს 11 მაისის ოქმშიც (იხ. ოქმი N35) არის აღნიშნული. შემდეგ დაემატა ოპოზიციის რეზერვი, რის შესახებაც, ალბათ, შეიტყო დ. მუსხელოვმა. მაგრამ მოგვიანებით შემომატებული წევრები კრებაში მონაწილეთა სიაში ვერ მოხვდნენ. დადგა საკითხი: როგორ გამოეყენებინათ შემომატებული რეზერვი ხმის მიცემის დროს. მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო: ყველასათვის მიეცათ მაგიდასთან მისვლისა და გადაწყვეტილების ერთ-ერთ პროექტზე ხელის მოწერის ნება, რათა თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი კამათი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა ხმის მიცემის უფლება იმ პირებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ დასამტკიცებლად დასმული საკითხის განხილვაში და ასევე, კრებისათვის დაემალათ რეზერვის შემომატების ფაქტი. ამგვარად, საქმე იქნება მოგებული, ხოლო ვინც უკმაყოფილო დარჩება, დაე, აპროტესტოს რამდენიც სურს. დ. მუსხელოვის გამომგონებლობა აქაც თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და გამოიხატა სწორედ ხმის მიცემის ამ ხერხში. აი, კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ შემომატებული რეზერვი იყო ოპოზიციის ხრიკების შედეგი, რათა გაემართლებინა ხმის მიცემის ასეთი უცნაური და ნებისმიერ შემთხვევაში უწესო ხე-

რხი, რომელიც განურჩევლად ყველას აძლევდა უფლებას, მისულიყო და ხელი მოეწერა განაწყვეტილების რომელიმე პროექტზე.

თავადი ი. მაჩაბელი პირველი აწერს ხელს გადაწყვეტილების პროექტს, შემოთავაზებულს თავმჯდომარის მიერ. მაჩაბლის მერე კრების წევრთა ერთი ნაწილი დგება (ხელის მოწერა ხდება სცენაზე) და მიდის ხელის მოსაწერად, მეორე ნაწილი ხმამაღლა გამოთქვამს პროტესტს. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, კრების სხვა წევრებიც მიდიან ხელის მოსაწერად. ამასთანავე, მმართველობის თავმჯდომარე ითხოვს ოქმში შეიტანონ, რომ ასეთი უმაგალითო კენჭისყრა ამჟამინდელი კრების თავმჯდომარის მიერ იქნა გამოგონილი. კრების თავმჯდომარე არ ელოდება ხელმოწერების დასრულებას და აცხადებს შესვენებას ნახევარი საათით. ასე არის აღწერილი ხმის მიცემა 11 მაისის ოქმში. თუმცა ოქმი სავსეა ტენდენციური ხასიათის ნახევრად ნათქვამებით და მმართველობას აუცილებლად მიაჩნია მისი შევსება ცნობებით, რომლებიც ამოღებულია ამ ხმის მიცემის შესახებ გაზეთ «Кавказ»-ის 12 მაისის N25-ის ანგარიშიდან, რომ აღარ მივმართოთ სხვა ადგილობრივ გაზეთებს, რომლებიც იმავეს ადასტურებენ.

გაზეთი «Кавказ», სავსებით სამართლიანად, აღნიშნავს, რომ ერთი ჯგუფი, რომელიც პირველი ადის ხმაურით სცენაზე, იწყებს *ხელის მოწერას თავმჯდომარის წინადადებაზე*, ხოლო მეორე ჯგუფი და მისი მეთაური თავადი ივ. სულთ. ჭავჭავაძე ხმამაღლა აპროტესტებენ კენჭისყრის ამგვარ წესს. რაში გამოიხატება 11 მაისის ოქმის ნახევრად თქმულის ტენდენციურობა და რით განსხვავდება გაზეთ «Кавказ»-ის ანგარიში ოქმისაგან? იმით, რომ 11 მაისის ოქმი, სხვათაშორის, კრების თავმჯდომარის მიერ საკუთარ სახლში შედგენილი, 17 მაისის სხდომაზე წაკითხვისას საერთო კრების მიერ დაწუნებული (იხ. დანართი N38) და არაღიარებული სანდო პირე-

ბის მიერ, რომელთაც თავიანთი ხელმოწერებით უნდა დაედასტურებინათ ოქმები (იხ. 11 მაისის ოქმის შესწორება, დანართი N35), ეს ოქმი გვამცნობს, რომ კრების ერთი ნაწილი ხელის მოსაწერად ადგა, მაგრამ არ ამტკიცებს, რომ ეს ნაწილი სწორედ თავმჯდომარის წინადადებას აწერდა ხელს. ამდენად, იგი ვერ გამოავლენს, რომ ეს ხმაურიანი მსვლელობა პირველად ოპოზიციურმა ჯგუფმა დაიწყო და ვარაუდობს, რომ პირველად წამომდგარ ჯგუფში იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ხელი მოაწერეს არა თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილების პროექტს, არამედ – მეორეს. ეს კი იძლეოდა შემდგომში იმის თქმის საბაბს, რომ აღნიშნული წესით კენჭისყრის გამო ხმამაღალი პროტესტი გარკვეულმა პარტიამ გამოთქვა და ეს არ იყო თავმჯდომარის უკანონობის შედეგი, რომელიც ყველას გაცნობიერებული ჰქონდა, გარდა ოპოზიციისა.

გაოცებას იწვევს კიდევ ერთი გარემოება, რატომ ადის საბოლოოდ სცენაზე კრების ის ნაწილიც, რომელიც ასე ხმამაღლა გამოთქვამდა პროტესტს და რატომ იწყებს ხელის მოწერას? გაზეთი «Кавказ» იძლევა გასაღებს ამ გაუგებრობის გასარკვევად. გაზეთში ნათქვამია, რომ პირველი ჯგუფის სცენაზე ასვლისა და ხმამაღალი პროტესტების შემდეგ, მეორე, უფრო მნიშვნელოვან, პირთა ჯგუფი ხმაურით ადის სცენის მეორე მხარეს და იწყებს მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წინადადებაზე ხელის მოწერას. ხოლო 11 მაისის ოქმი ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ დუმს, თითქოს ამას განზრახ აკეთებს, რათა ამ ნახევრად ნათქვამით დატოვოს მიზეზი სხვადასხვა ეჭვებისათვის. საქმე კი მარტივად ირკვევა: როდესაც ერთი ჯგუფი სრული შემადგენლობით მიემართება თავმჯდომარის რეზოლუციის პროექტზე ხელის მოსაწერად, მეორე ჯგუფი ვერ დარჩება ყოველივე იმის პასიურ მაყურებლად, რაც ხდება, ვინაიდან არსებობს დიდი საშიშროება, რომ გა-

მომგონებელ თავმჯდომარეს არ მოერიდება საკუთარი რეზოლუცია საერთო კრების მიერ ერთხმად მიღებულად გამოაცხადოს და მხოლოდ ოქმში აღნიშნოს, რომ უმნიშვნელო ნაწილმა თავი შეიკავა ხელის მოწერისაგან. ამიტომ მეორე ჯგუფიც, რომელიც აპროტესტებდა ამგვარ ხელისმოწერას, იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო ამ, ნებისმიერ შემთხვევაში, უკანონო წესით ხმის მიცემის პროცესში.

ყოველივე ამას თან ახლავს ხმაური და კურიოზული სცენები, რომლებიც გაზეთ «Кавказ»-ის ანგარიშში ძალზედ ზუსტადაა აღწერილი: „ჩოხაში გამოწყობილი კრების ერთ-ერთი წევრი სცენაზე ადის და გარშემომყოფთ ეკითხება: „მითხარით, ვინ მომიყვანა აქ ან რომელ ფურცელზე გნებავთ, ხელი რომ მოვაწერო?“, „საბოლოოდ, – აგრძელებს გაზეთი – იგი ხელს აწერს თავმჯდომარის წინადადებას“. ამ უტყუარი ფაქტის მნიშვნელობა თავისთავად გასაგებია ყოველგვარი განმარტებების გარეშე და ცხადყოფს იმას, თუ რომელი ჯგუფის ხრიკების შედეგია ეს სამწუხარო ფაქტი.

მეორე კურიოზი: 11 მაისის ოქმში ნათქვამია, რომ ხელის მოსაწერად მეორე ჯგუფის სცენაზე ასვლის შემდეგ კრების თავმჯდომარე არ ელოდება ამ პროცესის დასრულებას და წყვეტს სხდომას. თუკი აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეს ჯგუფი, გაზეთ «Кавказ»-ის სარწმუნო ცნობით, წარმოადგენდა კრების გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ეს შემდგომში აღმოჩნდა, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ გამოაცხადა თავმჯდომარემ კვლავაც, ყოველგვარი მორიდების გარეშე, შესვენება მიმდინარე კენჭისყრის დროს. რით აიხსნება ეს ახალი გამოხდომა? გაზეთი «Кавказ» სრულიად სამართლიანად ახდენს შემდეგი ფაქტის კონსტატირებას, რომელსაც შეუძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. როდესაც კრების თავმჯდომარე ნახევარსაათიან შესვენებას აცხადებს, როგორც გაზეთი იუწყება, „ბ-ნი მუსხელოვი

მიმართავს, მას შემდეგი სიტყვებით: თუ მოიცდით, თქვენო უდიდებულესობავ, დეიდას მოვიყვან“. განცხადებამ საყოველთაო სიცილი გამოიწვია. ე.ი. შემომატებული რეზერვი საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო კიდევ ახალი გამაგრების მოწვევა. თავმჯდომარე ამისათვის იძლევა იმდენ დროს, რამდენიც საჭიროა. კრება ხარხარებს და აი, მთელი გასაღები დ. მუსხელოვის გაწაფული მანევრისა.

როდესაც ჩვენ მიერ ნათქვამის დასტურად გაზეთ «Кавказ»-ს ვიმოწმებთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე N125-ში გაზეთი თავის ფელეტონში არ იშურებს ოსტატობას და დასცინის კრების არაოპოზიციურ ნაწილს, განსაკუთრებით კი მმართველობის წევრებს. შესაბამისად, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ გაზეთს ბრალი დავდოთ არაოპოზიციური ჯგუფის სასარგებლოდ ფაქტების განზრახ დამახინჯებაში ან ამ ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობაში. პირიქით, მმართველობას კვლავ მიეცემა შესაძლებლობა, მიუთითოს, რომ თავად ოპოზიციური ჯგუფის კორიფეებს დ. მუსხელოვს და ჯამბაკურ-ორბელიანსაც კი არ შეაქვთ ეჭვი აღნიშნული გაზეთის არაოპოზიციური ჯგუფისადმი კეთილგანწყობაში.

მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ დ. მუსხელოვის დიდი ოსტატობის მიუხედავად, ხელმოწერის შედეგები ვერ აღმოჩნდა ოპოზიციისათვის ხელსაყრელი, ვინაიდან თავმჯდმარის მიერ შეთავაზებულ ოპოზიციისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილების პროექტს ხელი მოაწერა მხოლოდ 137 წევრმა, ხოლო მართვის ორგანოთა მიერ შემოთავაზებულს – 276-მა.

თითქოს ამით საბოლოოდ უნდა დამთავრებულიყო კიდეც საერთო კრების ეს დამქანცველი საკითხი. მაგრამ დ. მუსხელოვის გამჭრიახმა გონებამ აქაც უკვე დასრულებული საქმე დაუმთავრებლად მიიჩნია და როგორც შეეძლო, აურ-დაურია იგი. როდესაც მუსხელოვ-

მა დაინახა, რომ ხმის მიცემა ოპოზიციისათვის არახელსაყრელად მიდიოდა, სასწრაფოდ განაცხადა: „იმის გამო, რომ არ იყო ცნობილი, ხელისმომწერთაგან ვინ სარგებლობდა ორი ხმის უფლებით, კენჭისყრის საბოლოო შედეგი კრებას მოეხსენება სიებისა და მინდობილობების გადამოწმების შემდეგ“ (იხ. დანართი N35).

ამგვარი მანევრი კი ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ სიებისა და მინდობილობების შემოწმებას, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერთა შორის აღმოჩნდებოდნენ პირები, რომელთაც მინდობილობით ორი ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ, ციფრთა თანაფარდობა ოპოზიციის სასარგებლოდ შეეცვალა. თუმცა ამ იმედს გამართლება არ ეწერა, ვინაიდან, ყველას, ვინც კი თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილების პროექტს მოაწერა ხელი, ორი ხმის უფლება ჰქონოდა, ხოლო მეორე პროექტზე ხელისმომწერთ – ერთი ხმის უფლება, მაინც თავმჯდომარის რეზოლუციის მოწინააღდეგე უფრო მეტი იქნებოდა, ვინაიდან მომხრეების რაოდენობა 137 იყო, ხოლო მოწინააღმდეგეებისა – 276. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ მიუხედავად თავმჯდომარის კატეგორიული დაპირებისა, სიებისა და მინდობილობების, ხოლო ამის საშუალებით თითქოსდა კენჭისყრის შედეგების, შემოწმებას საერთო კრება ვერ ეღირსა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მომდევნო დღეების არცერთი ოქმი არ მიუთითებს, რომ აღნიშნული კენჭისყრის საბოლოო შედეგის შესახებ თავმჯდომარის დაპირებული მოხსენება ეუწყა საერთო კრებას.

ამგვარად, მუსხელოვის ამდენ ხანს გაგრძელებულმა სხვადასხვა მანევრმა ე. წ. ოპოზიციისათვის მხოლოდ ერთი სარგებელი გამოიღო: თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის ახლად გამოგონებული წესის წყალობით სახელობითი სიების შეძენა, რომელთა მეშვეობითაც ოპოზიციას მიეცა შესაძლებლობა, სახელდებით განესაზღვრა ვინ იყო მისი მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, ვინ უღალ-

ატა და ვინ არა. ეს, ალბათ, საჭირო იყო თავადი ი. მაჩაბლის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოსაზრებისა და გათვლისათვის.

შემდგომ კრება ბანკის წლიური ანგარიშის განხილვაზე გადადის და აზრთა ერთგვარი გაცვლის შემდეგ მას ერთხმად ამტკიცებს. ამას ადასტურებს ყველა ადგილობრივი გაზეთი, მათ შორის «Новое Обозрение»-ს 12 მაისის N4247 და «Кавказ»-ის 12 მაისის N125. თუმცა კრების თავმჯდომარის გამომგონებლობას არც აქ აქვს საზღვარი. იგი ბედავს და ერთხმად დამტკიცებულ ანგარიშს 11 მაისის ოქმში აღნიშნავს *უმრავლესობის* მიერ დამტკიცებულად, ალბათ, იმისთის, რომ ამგვარი გამონათქვამით მაინც მიაყენოს ერთგვარი ჩრდილი ბანკის საქმიანობას და შესაბამისად, მისი მართვის ორგანოებს. სიტყვა „უმრავლესობა“ კრების თავმჯდომარის მიერ რომ არის მოგონილი და სინამდვილეს არ შეესაბამება, ეს, გაზეთების გარდა, იმ გარემოებითაც დასტურდება, რომ 11 მაისის ოქმი დ. მუსხელოვმა, ასევე, შინ შეადგინა და აღიარა საერთო კრებისა და იმ პირების მიერ დამტკიცებულად, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, დაემოწმებინათ თავიანთი ხელმოწერებით მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ანგარიშის დამტკიცების ფაქტს, როგორც ეს დასტურდება 17 მაისის ოქმით (იხ. დანართი N38) და 11 მაისის ოქმის შენიშვნით (იხ. 11 მაისის ოქმი, დანართი N35), რაც, სხვათაშორის, ზემოთაც არის მითითებული.

15) 11 მაისს ჩატარებული კენჭისყრის შეპირებული შედეგების გამოცხადების მოლოდინში, რასაც, სრულიად შესაძლებელია, მოჰყოლოდა დავა და კამათი და ხელახალი კენჭისყრაც კი, ოპოზიციის რეზერვი კენჭისყრის მეორე დღეს არა თუ არ დაშლილა, არამედ გაიზარდა აქამდე არნახულ ოდენობამდე. ამ დღის ოქმში აღნიშნულია, რომ კრებაზე დამსწრე წევრთა საერთო რაოდენობა 444-ს შეადგენდა. ხოლო ის ფაქტი, რომ 13 მაისს

ამ ციფრმა ისევ დაიწია და მიაღწია მის ჩვეულ ოდენობაზე ოდნავ მეტს, კონკრეტულად, 315-ს, შემდეგ კი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა, არჩევნების წინა დღეს, ე.ი. 19 მაისს, კი 266-მდე დავიდა (იხ. 13,17,18,19 მაისის ოქმები, დანართები NN 37,38,39 და 40), პირდაპირ მიუთითებს, რომ რამდენადაც ჩატარებულმა კენჭისყრამ მოლოდინები ვერ გაამართლა, ოპოზიციას უკვე აღარ ესაჭიროებოდა რეზერვის სადარაჯოზე ყოლა. და ეს მით უფრო მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ თუ გაზეთებში გამოქვეყნებული განსახილველი საკითხების სიის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ რიცხვში იყო ბანკისათვის არსებითად მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი, რომელთა განხილვაც უფრო მეტად იყო მოსალოდნელი არჩევნებამდე, როდესაც ხმათა რაოდენობამ უეცრად 1270-ს მიაღწია. ეს გარემოება აშკარად მოწმობს, რომ ოპოზიციას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდა და არა – ბანკის ბედისადმი თანაგრძნობა, რის დამტკიცებასაც ცდილობს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი.

თუმცა 12 მაისისათვის ოპოზიციის რეზერვის გაზრდა სხვა გარემოებითაც აიხსნება. ჯერ კიდევ 10 მაისს, და მით უფრო 11 მაისისთვის, მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი გაზეთ «Кавказ»-ის მეშვეობით გახმაურდა, ცნობილი გახდა, რომ კრების გარკვეულმა ნაწილმა სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარესთან პროტესტი გამოთქვა საქმის ნელი მსვლელობის გამო და ამაში კრების თავმჯდომარე დაადანაშაულა. მათ სთხოვეს სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს, მოენახა რაიმე გამოსავალი ამ აუტანელი მდგომარეობიდან და კრების წევრები ეხსნა შემდგომი გაჭიანურებებისა და დროის კარგვისაგან; აერჩია ან ახალი თავმჯდომარე, ან დაეხურა მორიგი კრება და ყველა საკითხის განხილვა რიგგარეშე კრებისათვის გადაედო.

ცხადია, ამგვარი პროტესტი ფეხზე დააყენებდა მთელს

ოპოზიციას. იგი მთელ იმედებს ამყარებდა ი. მაჩაბლის წარმატებით არჩევასა და დ. მუსხელოვის სიმამაცეზე, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის კანონები არ არსებობს, ხოლო სიმართლისა და თავმჯდომარის„ უფლება-მოვალეობებისაგან გადახვევის საშუალებათა გამოგონებაში მას ბადალი არ ჰყავს.

აი, კიდევ ერთი სავარაუდო ახსნა იმისა, რომ შესაძლოა ოპოზიციის ძალისხმევით კრების წევრთა რიცხვი გაზრდილიყო 12 მაისს 444-მდე, რათა იმ შემთხვევაში, თუ დ. მუსხელოვი აღნიშნულ პროტესტს ვერ აიცილებდა და მოუწევდა მასთან გამკლავება, მზად ყოფილიყო. თუმცა დ. მუსხელოვმა ამჯერადაც გაამართლა ოპოზიციის იმედები.

12 მაისის ოქმში (იხ. დანართი N36) ნათქვამია: „სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ძალზე გაწელილი საქმის მსვლელობის დაჩქარების შესახებ 215 წევრის სახელით შეტანილი განცხადების გამო (იხ. განცხადება N41) მმართველობა და სამეთვალყურეო კომიტეტი შესაძლებლად თვლიან, საერთო სარგებლობის კაპიტალის განკარგვის შესახებ მორიგი მოხსენების განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ არჩევნებს, ხოლო სხვა დანარჩენი მოხსენებები გადაიდოს რიგგარეშე კრებაზე განსახილველად. ყოველ შემთხვევაში, როგორც ოქმშია ნათქვამი, მითითებული გარემოებების გამო გაერთიანებულმა საკრებულომ მოხსნა ყველა საკითხი, რომელიც უნდა განხილულიყო ამ კრებაზე და გადაიტანა რიგგარეშე კრებისათვის. ამასთანავე, კრების თავმჯდომარეს გადასცეს 215 წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება“.

კრების თავმჯდომარემ, ალბათ, იფიქრა, რომ არჩევნებზე დაუყოვნებელ გადასვლა საფრთხილო იყო, ვინაიდან, მართალია, ამ დღეს საერთო ჯამში 444-მდე წევრი მოგროვდა, მაგრამ წინა დღის კენჭისყრამ აჩვენა, რომ მათგან 276-ს შესაძლოა არ დაეჭირა მხარი თავადი მაჩაბლი-

სათვის და არჩევნებში ვერ გაემარჯვა ამ უკანასკნელს. ასეა თუ ისე, როგორც ოქმიდან ჩანს, კრების თავმჯდომარე აცხადებს, რომ არც სამეთვალყურეო კომიტეტს და არც მმართველობას არ აქვს უფლება მოხსნას მათ მიერ საერთო კრებაზე შეტანილი მოხსენებები და „რომ იგი ვერ დაეთანხმება გაერთიანებული საკრებულოს ამ დადგენილებას და ვერ დაუშვებს ზოგიერთი საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას“. იწყება ხმაური. თავმჯდომარე, ჩვეულებისამებრ, წყვეტს სხდომას, ალბათ იმისთვის, რომ რჩევა ჰკითხოს ან საკუთარ თავს, ან იმას, ვინც საჭიროა, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოიქცეს შემდეგ და არ მოახდინოს არავითარი რეაგირება 215 პირის მიერ გამოთქმულ ამხელა პროტესტსა და მოთხოვნაზე. ეს შეიძლება აიხსნას ან იმით, რომ თავმჯდომარე ვერ სცემს კონკრეტულად ამ საკითხზე პასუხს რჩევების მიღების გარეშე, ან გულმავიწყობით, რომელსაც, სხვათაშორის, იგი ყოველთვის დროულად იჩენს ხოლმე, რისაც არაერთი მაგალითი არსებობს.

სხდომის განახლების შემდეგ კრების თავმჯდომარეს უცებ ახსენდება აქამდე დავიწყებული ეს განცხადება და პროტესტი და ამბობს: „რაც შეეხება 215 პირის განცხადებას, ვინაიდან იგი წარმოდგენილი არ იქნა *წინასწარ დადგენილ ვადებში,* ვერ დააკმაყოფილებს მას და თავისი სიტყვების დასადასტურებლად იმოწმებს ბანკის წესდების &82-ს. ამ პარაგრაფის ნაწილს იქვე კითხულობენ“.

აქ არ არის იმაზე მსჯელობის ადგილი, ჰქონდა თუ არა კრების თავმჯდომარეს უფლება, არ დაეკმაყოფილებინა 215 პირის განცხადება, მაგრამ განა გასაკვირი არ არის მოცემულ შემთხვევაში წესდების &82-ის დამოწმება? ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია იმის ნათელსაყოფად, თუ ვისთან ჰქონდა საქმე მორიგ საერთო კრებას და რა შედეგებისათვის შეიძლებოდა მიეღწია მისი ხელმძღვანელობით.

წესდების & 82-ის მიხედვით საჩივრის, განცხადების ან წინადადების წარდგენა უნდა მოხდეს კრების გახსნამდე 7 დღით ადრე, მაგრამ აღნიშნული პარაგრაფი არავის ავალდებულებს, ჰქონდეს მოვლენის წინასწარი განჭვრეტის უნარი და წარადგინოს მათ შესახებ საჩივარი, განცხადება ან პროტესტი მაშინ, როდესაც ეს მოვლენები ჯერ არც კი მომხდარა, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია. წესდების &82 -ის ამგვარი დამოწმების გასამართლებლად ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ალბათ, დ. მუსხელოვმა შესაძლებლად მიიჩნია კრების გახსნამდე (20 აპრილამდე) 7 დღით ადრე მოეთხოვა 215 გამცხადებელისაგან, გაეთვალისწინებინათ, რომ 20 აპრილიდან 10 მაისამდე, მთელი სესიის განმავლობაში, კრების თავმჯდომარედ არჩეული დ. მუსხელოვი ჩაიდენდა უამრავ სისულელეს და ამიტომაც ვალდებულნი იყვნენ წინასწარ ეზრუნათ ამ მომავალი სისულელეების წინააღმდეგ პროტესტის წარდგენაზე.

თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მმართველობა საჭიროდ მიიჩნევს დ. მუსხელოვის ამ მართლაც გაუგებარი გამოხტომის საპასუხოდ აღნიშნოს, რომ თავისი ახსნა-განმარტების 4-15 პუნქტებში მის მიერ მითითებულია მრავალი მაგალითი იმისა, რომ დ. მუსხელოვს ყოველთვის როდი ახსოვდა წესდების &82 და არ იყენებდა ამ პარაგრაფს იმ შემთხვევებში, რომელთა წყალობითაც წამოიჭრებოდა ხოლმე გარეშე საკითხები, დ. მუსხელოვი კი არ ღალატობდა თავის გულმავიწყობას, როდესაც ოპოზიციონერი ორატორები მიმოიხილავდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთო კრების საქმიანობის საგანს არ წარმოადგენდა და სრულიად გაუთვალისწინებელი იყო. თუმცა ასეთი მაგალითებიდან თავისი დაუდევრობით ყველაზე მეტად თვალშისაცემია ერთი მათგანი.

ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 21 აპრილს, როგორც ამას დ. მუსხელოვის 21 აპრილის ოქმიც (იხ. დანართი N19)

მოწმობს, ოპოზიციონერ ორატორს, დ. კეზელს ნებართვით კრებაზე გააქვს გაუთვალისწინებელი და სრულიად მოულოდნელი წინადადება: „ვინაიდან ბანკის საერთო კრების სხდომების ანგარიშები გაზეთებში იბეჭდება არაზუსტი სახით, ხოლო ზოგ შემთხვევაში დამახინჯებულადაც, სასურველი იქნება ასეთ ანგარიშებს ზედამხედველობა გაუწიოს განსაკუთრებულმა სარედაქციო კომისიამ“. წესდების აშკარა მნიშვნელობის მიუხედავად ნება ეძლევათ ამის შესახებ იკამათონ. „დასასრულს, – ნათქვამია იმავე ოქმში – თავმჯდომარე“... „სთავაზობს კრებას, გადაწყვიტოს საკითხი იმის თაობაზე, აღიარებს თუ არა სამდივნოს დაფუძნების აუცილებლობას“. ხოლო ამის შესახებ თავის ანგარიშს, რომელიც სრულიად შეესაბამება სინამდვილეს და ძალზე სარწმუნოა, ასე ამთავრებს გაზეთ «Кавказ»-ის 23 აპრილის N107: „კრების თავმჯდომარეს სურს გადასაწყვეტად დასვას შემდეგი საკითხი: დაავალდებულოს თუ არა გაზეთის თანამშრომლები, რომ მათ წარუდგინონ ხოლმე საერთო კრებას თავიანთი ანგარიშები გადასახედად და გახადოს თუ არა სავალდებულო 1893 წელს განხორციელებული სამდივნოს მოწვევა“.

კრება, მისდა სასიქადულოდ, თავმჯდომარის ამ სურვილს, ფაქტობრივად, სიცილით შეხვდა. ამდენად წინადადების ავტორი დ. კეზელი, ვერ ჰპოვა რა მხარდაჭერა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მხრიდანაც კი, იძულებული გახდა საბოლოოდ ეთქვა უარი თავის შეთავაზებაზე (იხ. გაზეთ «Кавказ»-ის 23 აპრილის N107). მიუხედავად ამისა, 21 აპრილის ოქმში ნათქვამია, რომ სამდივნოს შესახებ დ. კეზელის წინადადებას კენჭი ეყარა ფეხზე წამოდგომის საშუალებით და უკუგდებულ იქნა საერთო კრების მიერ. მაგრამ ეს წინადადება მთლიანად რომ გასულიყო იმ სახით, როგორც თავმჯდომარემ ჩააწორა, გაზეთების ანგარიშების გადასახედად კრებას მთელი წლები დასჭირდებოდა. სრულიად მოს-

ალოდნელი იყო ამგვარი შედეგები მაშინ, როდესაც ასე ესმის წესრიგის დაცვა დავათა წარმმართველ დ. მუსხელოვს. მის განკარგულებებს, რომლებშიც სავსებით უგულებელყოფილია ჭეშმარიტება და ცხადზე უცხადესი ფაქტები, ხოტბას ასხამს ერთი მხრივ ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 და მე-19 გვერებზე, ხოლო მეორე მხრივ – მისი თანამოღვაწე მ. მაჩაბელი თავის მოხსენებაში, რომელიც, რასაკვირველია, მზრუნველ თავმჯდომარეს შთამომავლობისათვის სამახსოვროდ სიტყვა-სიტყვით აქვს ჩაწერილი 17 მაისის ოქმში (იხ. დანართი N38) მაშინ, როცა დ. მუსხელოვი სულაც არ მიიჩნევს საჭიროდ არა თუ ასე დაწვრილებით, არამედ მოკლედ მაინც, გადმოსცეს ოქმის საშუალებით ის საუბრები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. ამას მოწმობს ყველა ოქმი, რაც კი შედგა 21 აპრილიდან მოყოლებული მორიგი საერთო კრების დახურვის დღემდე, 21 მაისამდე. ხოლო, თუ რაოდენ გულისამაჩუყებელი მზრუნველობით ეკიდებოდა დ. მუსხელოვი ორატორთა მიერ უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ ნათქვამ ყველა სიტყვას, ამას ცხადყოფს მის მიერ ჯერ კიდევ 29 აპრილს დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც იგი თავს ივალდებულებს ოქმში შეიტანოს ყველაფერი, რასაც დაინტერესებული პირები მოითხოვენ (იხ. 29 აპრილის ოქმი, დანართი N25). და ისმის კითხვა, თუკი მან თავის ვალდებულებად გაიხადა, დაინტერესებული პირების თხოვნით, ოქმებში შეიტანოს ამა თუ იმ ორატორის სრულიად არაფრისმომცემი სიტყვები, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოქმებში მუდმივად არ არის მინიშნებაც კი იმ განხილული საკითხის არსზე, რომლის მნიშვნელობაც თავისთავად მოითხოვდა ამგვარი მინიშნების აუცილებლობას, თუნდაც, მაგალითად, ისეთი საკითხისა, როგორიცაა ბ-ნი მინისტრის დადგენილების განმარტება და სარევიზიო ანგარიში? ეს ჩვევა, რაც

გულისხმობს ოფიციალურ დოკუმენტში არასაქმიანი საუბრების კვალის შემონახვას, არამედ მხოლოდ კერძო პირთა ინტერესებიდან გამომდინარე პირადი ხასიათის განცხადებები, კვლავაც იმის დასტურია, რომ ოპოზიცია და მისით შთაგონებული დ. მუსხელოვი ინტერესდებიან არა საკუთრივ ბანკის საქმეებით, არამედ ამოძრავებთ პირადი ანგარიშსწორება.

საქმესთან დაკავშირებული არსებითი და აუცილებელი ახსნა-განმარტებების გამოტოვებით ოქმის შედგენის ასეთმა მანერამ ის შედეგი გამოიღო, რომ ბანკის მმართველობამ ვერ შეძლო შეესრულებინა ფინანსთა მინისტრის 1896 წლის 27 აგვისტოს მოთხოვნა N13280 „რევიზორის ანგარიშთან დაკავშირებით მმართველობის ახსნა-განმარტების“ შეტანის შესახებ და როგორც საკრედიტო კანცელარიისათვისაა ცნობილი, მან დასახმარებლად გაზეთ «Кавказ»-ს მიმართა. იმაში საბოლოოდ დასარწმუნებლად, რომ ოქმები დგებოდა თავმჯდომარის ნება-სურვილისამებრ და მისი ხელმძღვანელობით, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 21 აპრილს, როგორც ამ დღის ოქმი (იხ. დანართი N19) მოწმობს, დ. მუსხელოვმა განმარტა: „ოქმების შედგენის წესს იგი საკუთარი ნება-სურვილისამებრ დაადგენს“, „ამიტომაც ამ მხრივ იგი ვერავის უსაყვედურებს.

16) 13 მაისს გამართული საერთო კრება, რომელზეც განხილული და დადგენილი იქნა რიგითი საკითხები, კრების თავმჯდომარემ დაასრულა განცხადებით იმის თაობაზე, რომ მან სამჯერ მიმართა სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს, მისთვის გადაეცა შესამოწმებლად ბანკის წევრთა სიები და მინდობილობები საერთო კრების სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ კი დასძენს: „ეს დოკუმენტები, როგორც ამას 13 მაისის ოქმიც (იხ. დანართი N37) მოწმობს, საბოლოოდ გადმომეცა. მე ვთხოვე სამეთვალყურეო კომიტეტის მდივანს, გადაეცათ იმ პირებისათვის, რომლებიც კრების

მიერ მონიჭებულო უფლებამოსილებით *მე ავირჩიე*. ამ პირთაგან სიებისა და მინდობილობების შესამოწმებლად გამოცხადდნენ მხოლოდ თავადი ბაგრატიონ-დავიდოვი და კაპიტანი ჯავროვი". შემდეგ თავმჯდომარე განმარტავს, თუ როგორ გამოცხადდა და დაიწყო შემოწმება ამ ორმა პირმა, რომლებიც, სხვათაშორის, ასევე ოპოზიციურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და როგორც ოქმშია აღნიშნული, იქვე დასძენს: „თუმცა შემდგომ მინდობილობების შემოწმება აღარ გაგრძელდა, ვინაიდან სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარემ აუკრძალა ამავე კომიტეტის მდივანს, ვინმესთვის გადაეცა შესამოწმებლად მითითებული სიები და მინდობილობები. ამის გამო კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე მეოთხედ, მივმართავ სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარეს მომცეს საშუალება ბოლომდე მივიყვანო მინდობილობების უკვე დაწყებული შემოწმება".

საქმე კი მდგომარეობს იმაში, რომ კრების თავმჯდომარემ, კვლავაც საერთო კრების შეცდომაში შეყვანა განიზრახა, მიუთითა რა, რომ, თითქოს, კრებამ მას ოდესღაც უფლებამოსილება მიანიჭა, პირადად მიეღო წევრთა სიები და მინდობილობები; უფრო მეტიც, ისინი შესამოწმებლად გადაეცა მის მიერვე არჩეული პირებისათვის. ეს მითითებები რომ აშკარად არასწორია, ამას მოწმობს ყველა წინა დღის სხდომის ოქმები, რომლებშიც შეუძლებელია არ ასახულიყო ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორიცაა კრების მიერ ამა თუ იმ ქმედებაზე უფლებამოსილების მინიჭება, თუკი ამას მართლაც ჰქონდა ადგილი ოდესმე და კრების თავმჯდომარის გამონაგონს არ წარმოადგენდა. მაგრამ, გამოგონების ეს ოსტატობა 13 მაისის სხდომაზევე იქნა ნაწილობრივ მხილებული, ხოლო საბოლოოდ ნათელი მოეფინა შემდეგ სხდომებზე. ამით აიხსნება სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარის ქმედება ორ ასისტენტთან (ასე არიან ისინი მოხსენიებული 13 მაისის ოქმში) დაკავ-

შირებით, რომლებიც პირადად კრების თავმჯდომარის მიერ იყვნენ თვითნებურად გამოგზავნილნი ხსენებული დოკუმენტების შესამოწმებლად.

მართალია, სამწუხაროა, რომ მსგავს მოვლენებზე გვიხდება ყურადღების შეჩერება, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს, რომელიც დაინტერესდა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრით, მართებს, ვინაიდან საქმე აქამდე მივიდა, იცოდეს ყოველივე, რასაც ვითომ ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე სჩადიოდა მორიგ კრებაზე ოპოზიცია, ზოგადად და მის მორჩილ იარაღად ქცეული დ. მუსხელოვი, კერძოდ, და ასევე, რა საშუალებით ცდილობდა ოპოზიცია მიზნის მიღწევას: აერია საქმე იქამდე, სანამ არჩევნებში არ გაიმარჯვებდა თავადი მაჩაბელი. სწორედ ამიტომ მმართველობა, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, ვერც მომავალში დატოვებს უყურადღებოდ მსგავს ფაქტებს – ყოველგვარი მორიდების გარეშე უგულებელყოფილ იქნას ის გარემოებანი, რომლებიც საიმედო საყრდენია ამა თუ იმ მსჯელობის წამოსაწყებად და მტკიცე რწმენის შესაქმნელად.

თავმჯდომარემ 13 მაისის სხდომა დაამთავრა განცხადებით, რომ კორონაციასთან დაკავშირებული ზეიმის გამო კრება განახლდება 17 მაისს.

17) როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ოპოზიციამ და მისმა მორჩილმა დ. მუსხელოვმა აშკარა ქმედება 8 მაისის შემდეგ დაიწყეს. ეს, რა თქმა უნდა, არც ბეჭდურ სიტყვას გამორჩენია, რომელიც ვალდებულია დააკმაყოფილოს მკითხველის ცნობისმოყვარეობა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ისე დაინტერესდება რაიმეთი, როგორც მოცემულ შემთხვევაში დაინტერესდა მორიგი კრების საქმეთა მსვლელობით დ. მუსხელოვის თავმჯდომარეობის დროს. ამ უკანასკნელის ქმედებების შესახებ საზოგადოებაში სასაცილო მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა. გასაგებია, რომ დროდადრო აღნიშნულ მითქმა-მოთქმაში იყო შენიშვნები იმ შეუსაბამობების შესახებ,

რომლებიც მთელი ოპოზიციისა და თავად კრების თავმჯდომარის წყალობით იჩენდა ხოლმე თავს. 13-17 მაისის სხდომების შუალედში კი ადგილობრივ გაზეთში «Новое Обозрение» (იხ. 16 მაისის N4250) ჩნდება შენიშვნა შემდეგი სათაურით: „როგორ წარიმართება საქმეები თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა კრებაზე?“ ხელმოწერით „ერთ-ერთი დამფუძნებელი“. ეს შენიშვნა იწყება შემდეგნაირად: „თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა საერთო კრება, რომელიც 20 აპრილს დაიწყო, წარუმატებლად არჩეული თავმჯდომარის წყალობით საერთო დაცინვის საგნად იქცა“. შემდეგ მითითებულია დ. მუსხელოვის თვითნებური ქცევები. ამ მითითებებზე პასუხისმგებლობას მმართველობა ბარათის ავტორს აკისრებს. შენიშვნა ასე მთავრდება: „ბატონო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრებო, თუ თქვენ დაუკვირდებით სიტუაციას, რომელიც გამოიწვია კრების ამჟამინდელი თავმჯდომარის მიერ საკუთარი დანიშნულების ვერშესრულებამ და კრების ქრონიკებში გამოჩენილმა მისმა უმაგალითო თვითნებობამ, მიხვალთ იმ ლოგიკურ და სამართლიან დასკვნამდე, რომ არ შეიძლება ასეთი თავმჯდომარე არ იქნას მიჩნეული დამნაშავედ ძალაუფლების გადამეტებაში და ზოგადად, თვითნებურ ქმედებებში, რომლებიც აჭიანურებდა და ხელს უშლიდა საქმეთა მსვლელობას. „თქვენ იკითხავთ: რა გამოსავალი არსებობს ამ სავალალო მდგომარეობიდანო. მხოლოდ ერთი: კრებამ უნდობლობა გამოუცხადოს თავმჯდომარეს და შეთავაზებულ იქნას ახალი თავმჯდომარის არჩევნები და ა. შ.“.

ეს იყო 16 მაისს. ამისდაკვალად, 17 მაისს განახლებული სხდომის ოქმი იუწყება (იხ. დანართი N38): „სხდომის გახსნის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიუხედავად მისი განკარგულებისა, სხდომაზე არ დაეშვათ „ივერიის“, «Новое Обозрение»-სა და «Тифлисский Листок»-ის წარმომადგენლები, რომლებიც

ანგარიშებში ამახინჯებენ საერთო კრების სხდომებზე მომხდარ ფაქტებს და თავიანთი შენიშვნებით ბანკის წევრებს თავმჯდომარის წინააღმდეგ ამხედრებენ, ისინი მაინც თავიანთ ადგილებზე სხედან“.

ამგვარად, სხდომიდან გააძევეს ყველა გაზეთის წარმომადგენელი, რომელთა დასწრებაც არასასურველი იყო თავმჯდომარისათვის, გარდა გაზეთ «Кавказ»-ისა, რაც მოწმობს ამ გაზეთის რეპორტიორის ანგარიშებისა და ჩანაწერებისადმი მის კეთილგანწყობასა და ნდობას, რაზეც ზემოთ მიუთითებდა კიდეც მმართველობა. თუმცა ჩვენ შემდგომში ვნახავთ, რომ, მართალია, დ. მუსხელოვი და ოპოზიცია ამას არ მოელოდა, მაგრამ გაზეთი «Кавказ»-იც საბოლოოდ იძულებული გახდა, სამართლიანობის გრძნობიდან გამომდინარე, ოპოზიციისა და მისი რჩეულის, დ. მუსხელოვის უმსგავსობების შესახებ თავისი მართალი სიტყვა ეთქვა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდური სიტყვის წარმომადგენელები გააძევეს არა სხდომის დარბაზიდან, როგორც ამას დ. მუსხელოვის მიერ შედგენილი ოქმი ირწმუნება, არამედ დარბაზისაგან გამოყოფილი ცალკე სცენიდან, სადაც, როგორც წესი, ყველა საერთო კრების დროს გამოიყოფოდა ხოლმე ადგილი განურჩევლად ყველა გაზეთის წარმომადგენლისათვის.

17 მაისის ოქმი ადასტურებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ თავმჯდომარემ განიზრახა გაეყარა ადგილობრივი პრესის ყველა წარმომადგენელი, გარდა გაზეთ «Кавказ»-ის წარმომადგენლებისა, და იქვე აღნიშნულია: „თავმჯდომარემ პირადად მიმართა ხსენებული გაზეთების რეპორტიორებს და სამჯერ სთხოვა დაეტოვებინათ დარბაზი; მაგრამ ბატონმა რეპორტიორებმა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს, კრების წევრებმა გააპროტესტეს ამგვარი განკარგულება. მაშინ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას კანონით მინიჭებული აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ, გაუშვას სხდომიდან გარეშე პირე-

ბი და ვინაიდან არასასურველად თვლის ხსენებული გაზეთების რეპორტიორების სხდომაზე დასწრებას, წყვეტს სხდომას; მოითხოვს, თბილისის პოლიცმაისტერმა გასცეს განკარგულება რეპორტიორების დარბაზიდან გაყვანის თაობაზე. ამასთანავე, მდივანს ავალებს ამისთვის საჭირო ქაღალდის მომზადებას, რის შემდეგაც წყვეტს სხდომას“.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ქაღალდი ნამდვილად გაეგზავნა ბატონ პოლიცმაისტერს, რომელმაც ყოველგვარი ყურადღების გარეშე დატოვა იგი. თუმცა პრესა ამით მაინც ვერ გადაურჩა ოპოზიციის მიერ განდევნას. ამ უკანასკნელმა დაინახა რა, რომ გაზეთები მის ხრიკებსა და უმსგავსობებს მაინც ამხელენ და ნათელს ჰფენენ, ხოლო მათი წარმომადგენლების გაყრა კრებიდან ვერ მოხერხდა, მიმართა უხეშ ფიზიკურ ძალას და კორიდორში გაზეთის ერთ-ერთ თანამშრომელს თავის არეში ხელკეტით ჭრილობა მიაყენა თავისი თანამოაზრის, თავადი ნ. დიასამიძის დახმარებით. ეს მოხდა 20 მაისს, ე. ი. სწორედ თავადი ი. მაჩაბლის არჩევის დღეს. ამ სამწუხარო ინციდენტზე უკვე დამთავრებულია წინასწარი გამოძიება და საქმე გადაცემულია პროკურორისთვის შემდგომი მსვლელობის მისაცემად. თუმცა ე. წ. ოპოზიციის წევრთა თავგადასავლები ამით არ შემოიფარგლება. ასე, მაგალითად, თავად ჯამბაკურ-ორბელიანი მთელი სხდომის განმავლობაში ჯიბიდან იღებდა რევოლვერს, ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, იარაღით დაეშინებინა როგორც ოპოზიციის მოწინააღმდეგეები, ისე ბეჭდური სიტყვის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთ იგი ემუქრებოდა, რომ გაუსწორდებოდა, თუ ისინი გაბედავდნენ და ანგარიშებში დაბეჭდავდნენ იმ ადგილებს, რომელთა გახმაურებაც მას ხელს არ აძლევდა. მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე ასეთი შეურაცხმყოფელი მუქარის გამო სცენის ბარიერთან, სადაც პრესის წარმომადგენლები ისხდნენ, შეხლა-შემოხლაც კი

მოხდა თავად ჯამბაკურ-ორბელიანსა და ერთ-ერთ რეპორტიორს შორის, რომელმაც შემდეგი სიტყვებით გააცილა თავადი: „მხოლოდ ლაჩრები იღებენ გამუდმებით ჯიბიდან რევოლვერს უიარაღოთა დასაშინებლად“. თავად ჯამბაკურ-ორბელიანის ამ და სხვა მსგავს თავგადასავლებს შეესწრო მასა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამას დაადასტურებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრების თავმჯდომარემ პრესის განდევნის საქმეში ღირსეული მხარდაჭერა ჰპოვა ოპოზიციონერი ორატორის, მ. მაჩაბლის სახით, რომელიც კამათისას კიდევ უფრო შორს წავიდა და კრებას შესთავაზა „ზემოხსენებული გაზეთების რედაქტორები სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცათ იმის გამო, რომ სცადეს ხელოვნურად შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი ჭეშმარიტების დამახინჯების ხარჯზე. ოპოზიციონერი ორატორი, როგორც ეს მის წოდებას შეჰფერის, ამგვარი ბრალდების მოტივად ასახელებს იმას, რომ „სრულიად გასაგები მიზეზების გამო“, მის მიერ ბრალდებული ორატორები ცდილობენ, „შეასუსტონ მინისტრის ქაღალდების მნიშვნელობა“, „როგორც ჩანს, იმ განზრახვით, რომ ბუნდოვანი გახადონ სამინისტროდან გამოგზავნილი იმ საბუთების აზრი, რომლებშიც ბანკის ზოგიერთი ქმედება „საძრახისად“ არის მიჩნეული.

ეს მამხილებელი გამოსვლა სიტყვასიტყვით არის მოყვანილი 17 მაისის ოქმში (იხ. დანართი №38) მაშინ, როცა თავმჯდომარე სრულიად არ თვლის საჭიროდ, მოკლედ მაინც შეიტანოს ამ ოქმში ბანკის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი საკითხის არსი.

ამავე 17 მაისის სხდომაზე, შესვენების შემდეგ კრების თავმჯდომარემ კვლავ წამოჭრა საკითხი სიებისა და მინდობილობების შემოწმების თაობაზე და კვლავ გამოთქვა საყვედური სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ, რომელმაც, მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, არ გადასცა დ. მუსხელოვს წევრთა სიები და

მინდობილობები. ამ დღის სხდომის ოქმის მიხედვით, კრების თავმჯდომარე იქვე აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ასეთი შემოწმების უფლებაზე საერთო კრებას უარი ვერ ეთქმევა“ და ა. შ. „თავმჯდომარეს აწყვეტინებენ სიტყვას: „დიახ, შემოწმდება საერთო კრების და არა თქვენ მიერ, ბატონო თავმჯდომარე“.

დ. მუსხელოვმა რომ თავისი ინიციატივით წამოჭრა სიებისა და მინდობილობების შემოწმების საკითხი და მათი შემოწმების უფლებაც თავად მიითვისა კრების ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ეს ჩანს მის მიერ 1895 წლის 15 მაისს სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე მიწერილი N1 მიმართვიდან (იხ. დანართი N42). მასში იგი პირდაპირ ამბობს, რომ *„უაღრესად საჭიროდ მიაჩნია სიების და მინდობილობების მკაცრი შემოწმება“*; იგი მოითხოვს, რომ დაევალოს სამეთვალყურეო კომიტეტის მდივანს მისთვის დ. მუსხელოვისთვის, სიებისა და მინდობილობების გადაცემა, *რათა პირადად მან, დ. მუსხელოვმა, შეამოწმოს როგორც სამეთვალყურეო კომიტეტის წევრთა საბუთები, ისე მათ მიერ არჩეული კრების წევრებისა.* ალბათ, მუსხელოვი მიხვდა, რომ მას პირადად არავითარი უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა სიებისა და მინდობილობების შემოწმება და საქმის გამოსწორება გადაწყვიტა, საკითხი ისე შემოატრიალა, თითქოს ვიღაც სადავოს ხდიდა საერთო კრების უფლებას, შეემოწმებინა აღნიშნული დოკუმენტები. აი, კიდევ ერთი მტკიცებულება კრების თავმჯდომარის, დ. მუსხელოვის ჩვეულებისა – უარყოს საკუთარი სიტყვები და ქმედებები მაშინ, როდესაც საჭირო ხდება მათზე ანგარიშის ჩაბარება.

როგორც 17 მაისის ოქმიდან ირკვევა, არასდროს არავის სადავო არ გაუხდია კრების ზემოაღნიშნული უფლება სიებისა და მინდობილობების შემოწმების შესახებ; ეწინააღმდეგებოდნენ მხოლოდ კრების თავმჯდომარის თვითნებობას, რომელიც ცდილობდა მიესაკუთრები-

ნა ამ მხრივ საერთო კრების უფლებები მისი ნებართვის გარეშე; ირკვევა, რომ კრების თავმჯდომარემ, ასევე, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, პირადად აირჩია ასისტენტები სიებისა და მინდობილობების შესამოწმებლად. სამეთვალყურეო კომიტეტი კი, ვინაიდან ამ მხრივ გაჩნდა გარკვეული ეჭვები, მათ აღმოსაფხვრელად, თავადვე მოითხოვს, რომ სიები და მინდობილობები საერთო კრებამ შეამოწმოს, რისთვისაც აუცილებელია, კრების სურვილი გამოხატული იქნას კანონიერი გზით და პირები, რომელთაც ეს შემოწმება დაევალებათ, კრების თავმჯდომარის ნება-სურვილით კი არ დაინიშნონ, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში, არამედ უფლებამოსილნი იყვნენ საერთო კრების მიერ. აქვე, კრების ერთ-ერთი წევრი აცხადებს, რომ აღარ არის საჭირო საქმის ტყუილად გაჭიანურება. სამეთვალყურეო კომიტეტი მოითხოვს შემოწმებას; კრება, თავისი რჩეულებისადმი პატივისცემის გრძნობიდან გამომდინარე, ვალდებულია დააკმაყოფილოს მათი სურვილი; ოქმიდან, ასევე, ჩანს, რომ კრებამ თავისი წრიდან უნდა აირჩიოს სიებისა და მინდობილობების შესამოწმებლად უფლებამოსილი პირები.

საბოლოოდ, ამ მხილებების შემდეგ კრების თავმჯდომარეს ისღა დარჩა, ელიარებინა, რომ მას არავინ ანიჭებს სიების შემოწმებისა და შემმოწმებელ პირთა შერჩევის უფლებას, რამდენადაც იძულებული იყო შესამოწმებლად პირების შერჩევა მხოლოდ 17 მაისს შეეთავაზებინა. მაგრამ უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ ამ მხრივ კრების თავმჯდომარის მოხერხებულობა. სინამდვილეში არც საერთო კრების ოქმებში და არც სადმე სხვაგან არ არის არავითარი მითითება ამგვარი უფლებამოსილების შესახებ. აშკარა იყო უფლებამოსილების თვითნებური მითვისების ფაქტი. მიუხედავად ამისა, კრების თავმჯდომარემ მიაგნო გამოსავალს ამ უხერხული მდგომარეობიდან. მან მრავალრიცხოვანი

კრების წინაშე აღიარა აღნიშნული ფაქტი და შეეცადა მოხერხებული საუბრის გზით როგორმე გაექარწყლებინა თავისი თვითნებობის გამო შექმნილი არასასურველი შთაბეჭდილება. ასე, მაგალითად, თავმჯდომარის ამ გამუდმებულ, მაგრამ ყოველთვის წარუმატებელ მისწრაფებას – კრიტიკულ მომენტში მანევრირებდეს სიმართლის ირგვლივ, გარკვეულ მანძილზე – მოწმობს 17 მაისის ოქმში (იხ. დანართი N38) მითითებული ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რამაც საქმე მიიყვანა დ. მუსხელოვის ქმედებათა მხილებამდე, ეს უკანასკნელი აღნიშნავს: „ვინაიდან ზოგიერთი (თითქოს მხოლოდ ზოგიერთი და არა- ყოველივე აქამდე მომხდარი ფაქტი) ამტკიცებს, რომ მე არ ვიყავი უფლებამოსილი საერთო კრების მიერ, თავად ამერჩია ის რამდენიმე პირი, ვინც სიებს შეამოწმებდა და, ამასთანავე, არ დავასახელე და არ ვიხმე ჩემთან ეს პირები, მაშინ, ვთხოვ საერთო კრებას, ხელახლა აირჩიოს თავისი წრიდან ოთხი წევრი სიებისა და მინდობილობების შესამოწმებლად“.

17 მაისის სხდომის საქმიანი მხარე გამოიხატა იმაში, რომ, პირველ რიგში, საერთო კრებამ აირჩია სიებისა და მინდობილობების შესამოწმებლად ოთხი პირი და მეორე, წარმოდგენილი იქნა 8, 9, 10, 11, 12 მაისის ოქმები, რომელთაგან მხოლოდ 10 მაისის ოქმი დამტკიცდა, ხოლო დანარჩენების შესახებ დადგენილ იქნა, რომ ჩასწორდეს და შეივსოს ამ რიცხვში გაკეთებული შენიშვნების მიხედვით და შესწორებული სახით ხელახლა იქნას წარმოდგენილი. ეს ოქმი არ ყოფილა წარდგენილი საერთო კრებაზე, რასაც მოწმობს 17 მაისის შემდეგ ჩატარებული სხდომების ოქმები.

18) ცალკეული საკითხები იქნა განხილული 18 და 19 მაისის სხდომაზე, სადაც სხვადასხვა ინციდენტს ჰქონდა ადგილი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოთხი გარემოება.

ერთ-ერთი მათგანი შეეხება საჭიროების შემთხვევაში კრების თავმჯდომარის მიერ გამოჩენილ მერყევ სიმტკიცეს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მან დაუშვა ჯერ დებატები გამართულიყო და შემდეგ საერთო კრებაზე გადასაწყვეტად დასმულიყო საკითხი დღის წესრიგიდან ზოგიერთი საქმის მოხსნისა და მათი რიგგარეშე კრებაზე განხილვის შესახებ. უფრო მეტიც, მან ნება მისცა სამეთვალყურეო კომიტეტს და მმართველობას, დღის წესრიგიდან მოეხსნათ მათ მიერ წარდგენილი მოხსენებები, მაშინ, როცა 12 მაისის სხდომაზე (იხ. მმართველობის ამ ახსნა-განმარტების მე-15 პ.). მან კატეგორიულად განაცხადა, რომ ამის გაკეთების უფლება არ აქვს არც სამეთვალყურეო კომიტეტს და არც მმართველობას და რომ იგი, თავმჯდომარე, „ვერ დაუშვებს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის მოხსნას“. მაგრამ მაშინ თავადი ი. მაჩაბლის არჩევნების გამო, ოპოზიცია არ იყო მზად ბრძოლისათვის. ხოლო 18 მაისს საქმე ამ მხრივ საკეთილდღეოდ შემობრუნდა და ამასთან დაკავშირებით ცნობები კრების თავმჯდომარესაც ექნებოდა, როგორც ეს ჩანს კიდეც ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიდან.

მეორე გარემოება შეეხება ოპოზიციის ჩვეულ მანერას, იცრუოს ყოველგვარი მორიდების გარეშე, მიუხედავად აშკარა ფაქტებისა, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ასე, მაგალითად, ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა, მთელ თბილისში ცნობილმა მ. მაჩაბელმა, 19 მაისის კრებაზე მოურიდებლად განაცხადა, რომ „საერთო კრებას არასდროს ჰყოლია ისეთი მიუკერძოებელი თავმჯდომარე, როგორიც – ახლა და საქმეებიც არ წარიმართებოდა ასე კანონიერად“... შეიძლებოდა კი ასეთი სამართლიანი მოწმისა და ალბათ, არანაკლებ სამართლიანი კერძო დაკვირვების შემდეგ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს იგივე არ გაემეორებინა თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-18 და მე-19 გვერდე-

ბზე?

მესამე გარემოება: დ. მუსხელოვმა, როგორც ჩანს, ერთგვარი სინდისის ქენჯნა იგრძნო იმის გამო, რომ მას არაერთგზის უსაყვედურეს სხდომათა გაჭიანურება და კვლავაც, ჩვეულებისამებრ, თავის მართლებას და საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას იწყებს. ამის შესახებ იუწყება 19 მაისის ოქმი (იხ. დანართი N40): „თავმჯდომარე მიუთითებს, რომ თავადი ჭავჭავაძე გაუთავებელად ლაპარაკობს და აღნიშნავს: „გთხოვთ, ბატონებო, მიაქციეთ ყურადღება, ვინ აჭიანურებს სხდომას? ისმის შეძახილები: „თქვენ, თქვენ“! დარბაზში ხმაურია“. როგორც ჩანს, დ. მუსხელოვის მანევრი აქაც წარუმატებელი აღმოჩნდა.

მეოთხე გარემოება: „სიებისა და მინდობილობების მთელი ისტორია, რომლითაც ამდენ ხანს აწვალებდა თავმჯდომარე ამ ბოლო დღეებში კრებას, რათა გაეწელა სხდომა იქამდე, სანამ მისთვის და ოპოზიციისთვის სასურველი ძალები არ მოიყრიდა თავს, არ დასრულდა ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო კრების თავმჯდომარის შეუპოვრობიდან და მისი მცდელობებიდან გამომდინარე. ამას მოწმობს კომისიის მოხსენება, რომელსაც საერთო კრებამ დაავალა 8 მაისს აღნიშნული შემოწმების ჩატარება (იხ. დანართი N43).

19 მაისის სხდომის ბოლოს თავმჯდომარე კრებას სთავაზობს ასისტენტების არჩევას, რომლებიც არჩევნების დროს ყუთებთან იდგებიან. სხდომა მათი არჩევით მთავრდება. წესით უნდა დამდგარიყო არჩევნების მომენტიც.

19) მაგრამ სანამ გადავიდოდეთ იმ მოვლენების აღწერაზე, რომლებიც თან ახლდა არჩევნებს, გასარკვევია, თუ რატომ წავიდა 18 მაისის შემდეგ საქმეები ისე წარმატებით, რომ თითქმის ორ სხდომაში იქნა კრების მიერ განხილული და დადგენილი:

1) საკითხი სიებისა და მინდობილობების შემოწმების აუცილებლობის შესახებ, რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია.

2) მმართველობის მოხსენება ვენახების გირაოთი გრძელვადიანი სესხების გაცემის თაობაზე.

3) მოხსენება წარმომადგენლობის საფუძველზე საერთო კრებების შემადგენლობის გარდაქმნის შესახებ. აქ თავმჯდომარე ისე ჩქარობდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ დააცადა თავად გ. თარხანოვს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმის უფლება ითხოვა. თავმჯდომარემ არ მიაქცია ყურადღება ამ თხოვნას და განაგრძო მთელი ძალით ზარის რეკვა იქამდე, სანამ სიტყვის მთხოვნელი, თავადი თარხან-მოურავი მოთმინებიდან არ გამოვიდა თავმჯდომარის ასეთი უხეში უყურადღებობის გამო და პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი არ დატოვა (იხ. დანართი N39 დანართ N40-თან დაკავშირებით).

4) მოხსენება 6%-იანი საგირავნო ფურცლების კონვერსიის თაობაზე.

5) შეფასების ინსტრუქციის შესახებ სამეთვალყურეო კომიტეტის მოხსენება, რომელიც, მიუხედავად 12 მაისს თავმჯდომარის მიერ გამოთქმული წინააღმდეგობისა (იხ. 12 მაისის ოქმი და მმართველობის ახლანდელი ახსნა-განმარტების მე-15 პუნქტი), 19 მაისს სამეთვალყურეო კომიტეტის პირველი მინიშნებისთანავე იქნა მოხსნილი დღის წესრიგიდან.

6) 59 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადება კოჯრის მახლობლად და საკურორტე ადგილებში მდებარე მამულების გირაოთი სესხთა გაცემის უფლებაზე შუამდგომლობის შესახებ.

7) წევრ-დამფუძნებელთა და მსესხებელთა წინადადება კრედიტის გაიაფების შესახებ.

8) წევრ-დამფუძნებელთა და მსესხებელთა სიების შემოწმება საერთო კრების მიერ.

9) საარჩევნო ყუთებთან დასადგომად ასისტენტების არჩევა.

ამგვარად, მიუხედავად სხვადასხვა ინციდენტის დაშ-

ვების მცდელობისა, ცხრა, მეტ-ნაკლებად, რთული და ბანკისათვის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი იმავე დ. მუსხელოვის მიერ ორ დღეში იქნა დადგენილი, მაშინ, როცა იგი ლამის თექვსმეტი სხდომის მანძილზე, 21 აპრილიდან მოყოლებული 11 მაისის ჩათვლით, აჭიანურებდა სამთავრობო რევიზიის შესახებ მმართველობის მოხსენების საკითხს, რაც არსებითად გულისხმობდა მორიგ და რიგგარეშე კრებებზე მინისტრის დოკუმენტების მიხედვით წამოჭრილ საკითხთა განხილვასა და დადგენას.

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ასე ჯიუტად აფერხებდა დ. მუსხელოვი საქმეს მეორე შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი მარტივი საკითხი იყო გადასაწყვეტი, ხოლო პირველ შემთხვევაში ასე სწრაფად დაამთავრა ცხრა, მეტნაკლებად, არსებითი საკითხი. ყოველივე ეს ძალზე მარტივად აიხსნება იმ გარემოებებით, რომლებმაც თავი იჩინა უკვე 20 რიცხვში, თავადი ი. მაჩაბლის არჩევის შემდეგ. გაზეთ «Новое Обозрение»-ს 23 მაისის N4257-ში, რუბრიკაში «Местное Обозрение» განთავსდა შემდეგი ცნობა: „ქ. თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველოში წარდგენილ იქნა დაკარგული დოკუმენტი, რომელიც ნაპოვნი იქნა თბილისის სათავადაზნაუროს ქარვასლაში (სადაც ტარდებოდა მორიგი კრების სხდომები). ეს გახლავთ ძალზე სახასიათო *დეპეშა*, რომელიც გაგზავნილია გორში: „მუსხელოვმა დანიშნა ორშაბათი, 20 რიცხვი. საჭიროა კიდევ ორმოცდაათი. მგზავრობის და სურსათის ხარჯები ჩემზე იყოს. თითოს – ხუთ-ხუთი. იჩქარეთ“. ტელეგრამის ქვეშ იკითხება ერთ-ერთი საბანკო აგიტატორის ხელმოწერა.

მმართველობას არ აქვს არავითარი საფუძველი, ენდოს ამგვარ დეპეშას და უფრო იმას თვლის დასაშვებად, რომ იგი მოგონილია. მიუხედავად ამისა, უცნაურია ზოგიერთ გარემოებათა შემდეგი დამთხვევა. თუ ასეთი დეპეშა მართლაც არსებობდა, რაც მაინც ძალზე საეჭვოა,

მაშინ, მისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი წინასწარ უნდა იყოს გაგზავნილი, თავადი ი. მაჩაბლის არჩევამდე ორი დღით ადრე მაინც. სხვა შემთხვევაში მას არ ექნებოდა არავითარი აზრი, ვინაიდან 50-კაციან რაზმს სწორედ 20 მაისისათვის იხმობდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ისეთ დიდ მაზრაში, როგორიცაა გორის მაზრა, სადაც ყველა დიდებული ბანკის წევრი არ არის, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრობენ არა ერთ რომელიმე პუნქტში, არამედ სხვადასხვა სოფელში, 50-კაციანი რაზმის მოსაგროვებლად და თბილისში გასაგზავნად ადრესატს ორი დღე მაინც დასჭირდებოდა. მაშასადამე, ეს დეპეშა უნდა გაგზავნილიყო წინასწარ, 20 მაისის არჩევნებამდე, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 15 მაისისა, ხოლო სავარაუდოდ 16 მაისიდან უკვე მოელოდნენ რაზმის გამოცხადებას, ნაწილ-ნაწილ მაინც.

არის დამამტკიცებელი საბუთები იმ სასამართლო პროცესის დოკუმენტებში, რომელიც აღიძრა თბილისში ერთ-ერთი სასტუმროს მფლობელის სარჩელით. სასტუმროს სახელწოდება ასე ჟღერს: ავეჯიანი ნომრები „სამტრედი“. მოსარჩელე თავის სარჩელში განმარტავს, რომ გიორგი ტატიშვილმა, თავადმა გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვმა და თავადმა ვასილ ბაგრატიონ-დავიდოვმა (ცნობილი აგიტატორები ი. მაჩაბლის სასარგებლოდ) 16 მაისიდან მოყოლებული არჩევნების დასრულებამდე, 20 მაისამდე, აღნიშნულ მფლობელთან მიიყვანეს ასი ადამიანი, რომელთაც მოსარჩელე ასადილებდა და ავახშმებდა. ამ ხარჯებისა და კიდევ თავადაზნაურთა პარპაშით მიყენებული გარკვეული ზარალის ასანაზღაურებლად, მფლობელი ხსენებული სამი პირისაგან, როგორც მოპასუხეებისაგან, მოითხოვდა გარკვეულ თანხას.

29 ივნისს საქმის გარჩევის დროს მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მოპასუხეებად ხსენებული პირები იყვნენ თავადაზნაურები, რომლებიც ბანკის არჩევნებზე მოვიდნენ; ისინი იმ ასი კაცის რიცხვში იყვნენ, რომლ-

ებიც ოთხი თუ ხუთი დღე „სამტრედის“ ნომრებში ცხოვრობდნენ; 70 აზნაურის დასაბინავებლად ნომრები უქირავებია ოთხ აზნაურს. მათ თავიდან მფლობელს ასი მანეთი გადასცეს და დაჰპირდნენ, რომ გადაიხდიდნენ არა მხოლოდ ხარჯის ფულს, არამედ იმ ზარალისასაც, რომელსაც მიაყენებდნენ აზნაურები; ასევე ირკვევა, რომ ამ ოთხ პირს მოუტანია ყუთები ბურთებით და ასწავლიდნენ, სად რომელი ბურთი უნდა ჩაეგდოთ; 16 მაისიდან მოყოლებული, ოთხი დღის განმავლობაში, სადილი მზადდებოდა ჯერ 90 კაცზე, ხოლო შემდეგასზე მეტ კაცზე; აზნაურები მოუნახულებია ტატიშვილს, რომელიც ორ სხვა პირთან ერთად მზარეულს დაჰპირებია, რომ თუ აზნაურებს კარგად დააპურებდა, ათ მანეთს მისცემდა.

დებოშთან დაკავშირებით, რამაც ზიანი მიაყენა მეპატრონეს და მისცა საბაბი, ზარალის ანაზღაურებისათვის მიემართა ზემოხსენებული სამი პირისათვის, პოლიციის აქტიც კი შედგა, რომელშიც დასტურდება ყველა ზემოთმოყვანილი გარემოება და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოთხოვნილ იქნას ფინანსთა სამინისტროს მიერ როგორც ეს პოლიციის აქტი, ისე სასამართლო სხდომის ოქმი.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ჯერ კიდევ 16 მაისს, და მით უფრო 18 მაისისთვის, დ. მუსხელოვს ჰქონდა ცნობები ოპოზიციის რეზერვის ჩამოსვლის შესახებ. ამის შემდეგ უკვე გასაგებია ის სიჩქარე, რომელსაც იჩენს არჩევნებამდე ბოლო ორი-სამი დღე. ხუმრობა საქმე ხომ არაა თბილისში 100-ზე მეტი კაცის შენახვა სამი კაცის ან თუნდაც ოპოზიციის აგიტატორთა მთელი კომპლექტის ხარჯზე. ვერანაირად ვერ დავადანაშაულებთ სხვა, არაოპოზიციურ, ჯგუფს, ვერც დეპეშის გაგზავნაში, თუკი ასეთ რამეს ჰქონდა საერთოდ ადგილი, ვერც ყოველივე იმაში, რაც ხდებოდა „სამტრედის“ ნომრებში, პირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ გორის

მაზრა, ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ითვლება ერთადერთ პუნქტად, სადაც ე. წ. „მაჩაბელიზმს“ აქვს მყარი ბუდე და მეორეც იმიტომ, რომ ზემოხსენებული პირები ბატონი ტატიშვილი, თავადი ბაგრატიონ-დავიდოვი ოპოზიციის, განსაკუთრებით კი მისი მეთაურის, თავადი ი. მაჩაბლის, საყოველთაოდ ცნობილი მომხრეები არიან. ისინიც, თუ საჭიროების შემთხვევაში დაკითხულნი იქნებიან, ალბათ, უარს არ იტყვიან ამ პატივზე, დაადასტურონ ის, რასაც მრავალი მოწმე უარყოფს.

საინტერესო იქნება, თუ აქვე ციფრებსაც მივუთითებთ: თუკი გავითვალისწინებთ, რომ 20 აპრილს დ. მუსხელოვის კრების თავმჯდომარედ არჩევისას 185 წევრი აღმოჩნდა ოპოზიციის მხარეს, ხოლო შემდგომ, 11 მაისს მინისტრის ქაღალდებისთვის, ტენდენციური თვალსაზრისით კენჭისყრისას, ბანკის მართვის ორგანოთა წინააღმდეგი აღმოჩნდა 100 წევრი, რომლებმაც შემოისეირნეს, შემდგომი სხდომისათვის კი მოულოდნელად გაქრნენ (იხ. მმართველობის ამჟამინდელი ახსნა-განმარტების მე-15 პ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ ოპოზიციას თბილისში ჰყავდა 285 წევრი, ხოლო თუ ამას დავუმატებთ მინდობილობებს, რომლებითაც მომარაგებული იყო თითოეული წევრი, გამოდის, რომ იგი განკარგავდა 570 ხმას. თუ ამ რიცხვს იმ 100 წევრსაც დავამატებთ, რომლებიც 16 მაისს დაემატნენ და რომელთაც აღარ ჰქონდათ მინდობილობები, ვინაიდან საერთო კრების მიერ დადგენილი მათი წარდგენის ვადა 1895 წ. შემდეგ გავიდა, მივიღებთ 670 ხმას. ეს ციფრი სავსებით ემთხვევა ხმათა იმ რაოდენობას, რაც თავადმა ი. მაჩაბელმა მიიღო 20 მაისის არჩევნებში. საკმარისია, ზემოთ მითითებულ მტკიცებულებებს დავამატოთ ციფრთა ეს მიუკერძოებელი მტკიცებულება, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა მღვრიე ტალღებით წავიდა დინება, რამაც მიგვიყვანა 20 მაისის არჩევნებში თავადი ი. მაჩაბლის გამარჯვებამდე. ნამდვილად საეჭვოა ის გარემოება, რომ 20 მარტს

კრებაზე წარმოდგენილი 1270 ხმა მაჩაბლის არჩევისთანავე მოულოდნელად გაქრა და 21 მაისს სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ 225 (იხ. 20 და 21 მაისის ოქმების დანართები NN 44 და 45).

მმართველობა ამით ამთავრებს იმ უმსგავსობის ისტორიას, რომელიც დ. მუსხელოვმა და მისმა შთამაგონებელმა ოპოზიციამ დაუშვა და აღნიშნავს, რომ თავი აარიდა უამრავი მსგავსი სახის ინციდენტის მითითებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, ნამდვილად მომხდარი საერთო კრების სხდომაბზე, დ. მუსხელოვის წყალობით ოქმებში არ მოხვდა. მართალია, ეს ინციდენტები მთელი სისრულით არის აღწერილი ადგილობრივი გაზეთების ანგარიშებში, მაგრამ მმართველობამ არჩია, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში მიემართა მათთვის და ყოველივე, შეძლებისდაგვარად, დაემტკიცებინა მხოლოდ ისეთი უდავო დოკუმენტებით, როგორებიცაა საერთო კრების ოქმები, შედგენილი და ხელმოწერილი თავად დ. მუსხელოვის მიერ.

ყოველივე ამის შემდეგ მმართველობა თავს იკავებს, საკუთარი აზრი გამოთქვას იქიდან მიღებული საერთო შთაბეჭდილების შესახებ, რამაც ნამდვილად მღვრიე ტალღად გადაიარა კრებებზე დამსწრე საზოგადოების თვალწინ, არ აქვს მნიშვნელობა, იღებდნენ ისინი მონაწილეობას ბანკის საქმეში, თუ – არა. მმართველობა უფრო მოსახერხებლად მიიჩნევს, ამ მხრივ, დაიმოწმოს ბეჭდვითი ორგანოს ცნობა და მისი პირით ისაუბროს ამ საყოველთაო შთაბეჭდილებაზე, მით უფრო, რომ ეს ორგანო გაზეთი »Кавказ» გახლავთ. იგი თავის სტატიას იწყებს ეპიგრაფით: „რამეთუ არა არს პირსა მათსა ჭეშმარიტება, გული მათი ამაო, სამარე ზე-აღებულ არს მათი, ენითა მათითა ზაკუიდეს“ და განაგრძობს: „მთელი თვე გრძელდებოდა სულელური საოპერეტო ფარსი, ხოტბაშესხმული თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წევრთა საერთო კრების მიერ, რამაც

არაფერი მოგვცა, გარდა ბინძური ისტორიების, მხილებებისა და აღმაშფოთებელი სკანდალებისა. მთელი თვის განმავლობაში ასეულობით ადამიანი ყოველდღიურად იკრიბებოდა, კამათობდა, იმუქრებოდა ქვებით, წიგნებით, რევოლვერებით, ჩხუბობდნენ კიდეც, თუმცა კონკრეტულს ვერაფერს მიაღწიეს“... „დარცხვენის გარეშე შეუძლებელია იმ საბანკო ომის აღმაშფოთებელი ეპიზოდების გახსენება, რომელთა მოწმენიც ჩვენ გავხდით“... შემდეგ გაზეთი, აღნიშნავს რა, რომ ბრძოლას, რომელმაც ასეთი გაუკუღმართებული ფორმა მიიღო, აღარ აქვს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის დანიშნულება, იქვე დასძენს: „მაგრამ განა ყოველივე ეს საბანკო ბრძოლამ არ მოიტანა, რაზეც მთელი თვე იცინოდა თბილისური საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ამ ბრძოლაში არ იღებდა მონაწილეობას?“... „საბანკო ოპოზიციონერები, რომლებიც თავს მამულის მხსნელებად წარმოგვიდგენდნენ, განა რეპორტიორების გაყრით, ჩხუბით, აყალმაყალით და ამ კუპონის რაინდთა დამწუნებელი გაზეთების რედაქტორების ცემა-ტყეპით არ ფიქრობდნენ, ემსახურათ მშობლიური მხარის პროგრესის საქმისათვის?“.. „ნამდვილად უტაქტობა იყო საკუთარ წინამძღოლად ისეთი თავმჯდომარის არჩევა, როგორიცაა ბ-ნი მუსხელოვი, რომელიც შეიძლება მამაცი მეომარი და პატიოსანი ადამიანია, მაგრამ საკვებით არ გამოდგება თავისი ახალი როლისათვის. ამიტომაც იქცა საერთო კრება მის ხელში მასხარების ყრილობად“... „მხოლოდ მშიშრებს ეშინიათ მართალი სიტყვის; მხოლოდ სულელები უარყოფენ მას... საბანკო ოპოზიციის წევრებმა კი ეს წმინდათა წმინდა ჭეშმარიტება უმოწყალოდ გათელეს ფეხქვეშ. მათ არაერთხელ წამოჭრეს წინადადება რეპორტიორების გაყრის თაობაზე; მათი წინამძღოლი იმასაც კი ცდილობდა, და ამაში, რა თქმა უნდა, საკუთარი პარტიაც უბამდა მხარს, რომ ეს გაეკეთებინა პოლიციის დახმარებით და თუკი არ გამოუვიდა, ეს უკვე

მისი დანაშაული აღარაა“... ,,ხოლო რაც შეეხება ოპოზიციის უმსგავსო თამაშს ბრბოზე და მასში ქვენა გრძნობების აღძვრას, ნუთუ ესაც ღირსებას მატებს მას?“ ... „არა, ათასგზის არა. არც საბანკო ოპოზიციის რიგებში არიან არც მოქალაქენი და არც საზოგადო მოღვაწეები“.

„და რაც უნდა კეთილშობილურ სიტყვებად დაიღვაროს თავადი მაჩაბელი, ვერ ვაღიარებ მას სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანად, ისევე, როგორც ვერ ვაღიარებ ასეთად თავად დიასამიძეს, ან ყოფილ პუბლიცისტ ბ-ნ კეზელს, რომელმაც, სამწუხაროდ, კალამი ხანჯალზე გაცვალა და კიდევ მრავალ მისთანებს, უბრალო თუ ტიტულიან ბატონებს, რომელთაც არ შერცხვათ დამუქრებოდნენ რეპორტიორებს, რომ „გაუსწორდებოდნენ“, თუკი ეს უკანასკნელნი „გაბედავდნენ“ და თავიანთ ანგარიშებში გაიმეორებდნენ დავის ამსახველ მათთვის არასასურველ ეპიზოდებს“... „ჩვენი მრწამსია ღირსება და სულის სილამაზე“, – მათ ხელთ უპყრიათ არა მებრძოლის საამაყო დროშა, არამედ გათელილი ჩვარი, რომელსაც ლაფში სვრიან და თავადვე არცხვენენ...“ და ა.შ.

მმართველობა აღარ მოიხმობს სხვა გაზეთების გამოხმაურებებს იმ საერთო შთაბეჭდილებასთან დაკავშირებით, რაც ყველაზე იქონია ოპოზიციისა და მისი რჩეული თავმჯდომარის დ. მუსხელოვის უმსგავსო თავგადასავლებმა. იგი დასჯერდება იმ გაზეთის ცნობას, რომელიც დ. მუსხელოვის კეთილგანწყობით სარგებლობდა და ვერ იქნება ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგე ჯგუფისადმი მიკერძოებაში ვერც ოპოზიციისა და ვერც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ, რომელიც თავადი ი. მაჩაბლის მიერ მართული ჯგუფის პირველ რიგებში იმყოფება.

– – – – – – – – – – – –

შემდგომ ,გადადის რა მმართველობა 20 და 21 მაი-

სის მოვლენებზე, თავის მოვალეობად თვლის აღნიშნოს, რომ კრების თავმჯდომარემ თავი არ შეიწუხა და სხდომის დასაწყისშივე არ გაარკვია იმ ხმათა რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ სხდომაზე მონაწილეობის უფლება. მაშასადამე, საჭიროდ არ ჩათვალა, შეემოწმებინა იმ წევრთა სახელობითი სია, რომლებიც ნამდვილად ესწრებოდნენ სხდომას და კრებისათვის ეცნობებინა სხდომის შემადგენლობა ამ დღეს, როგორც ამას, ჩვეულებრივ, ყოველ ჯერზე აკეთებდა ხოლმე, როგორც 20 მაისამდე, ისე მის შემდგომ (იხ. ყველა ოქმი, რომლებიც 20 მაისამდეა შედგენილი). ამას მოწმობს 20 მაისის ოქმი (იხ. დანართი N44), რომელშიც არაფერია ნათქვამი ამ დღეს სხდომაზე მყოფი წევრების რაოდენობაზე. ამ მხრივ, 20 მაისის ოქმი ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს იმ დანარჩენი ოქმებისაგან, რომლებშიც ყოველთვის იყო აღნიშნული კრების სხდომაზე დამსწრე წევრთა რიცხვი. თავის მხრივ, დ. მუსხელოვის მიერ მიღებული წესიდან ამ ერთადერთ გადახვევას, რაც გამოვლინდა ზუსტად თავადი ი. მაჩაბლის არჩევის დღეს, აქვს თავისი წარმოუდგენელი ახსნა, ერთი მხრივ, იმით, რომ გაურკვევლობაში დაეტოვებინა თავადი ი. მაჩაბლის მოწინააღმდეგე ჯგუფი ამ დღეს ოპოზიციური ძალების გასაოგნებელი რაოდენობით მოზღვავებასთან დაკავშირებით და, მეორე იმით, რომ თუკი დაინახავდნენ, ი. მაჩაბლის არჩევნები წარუმატებლად მიდიოდა, კენჭისყრის დროს დაწყებულ უწესრიგობაში ეპოვათ რაიმე გამოსავალი. საამისოდ კი ხელსაყრელი საბაბი შეიძლება მოეცა სხდომაზე დამსწრე წევრთა წაუკითხავ და შეუმოწმებელ სიებს.

20 მაისის ოქმი სავსებით სამართლიანად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თავადმა ი. მაჩაბელმა ხელახალი კენჭისყრისას მიიღო ხმათა უმრავლესობა – 688 ხმა 582-ის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც დაითვალეს დანარჩენი ორი პირის ხმებიც – უგანათლებულესი მ. გრუზინსკი

– ამომრჩეველთა 830 ხმა და მოწინააღმდეგეთა 455, ხოლო პოლკოვნიკი ხ. მამაცოვი – ამომრჩეველთა 673 და მოწინააღმდეგეთა 597 ხმა – მმართველობის თავმჯდომარემ, ხელახლა არჩეულმა თავადმა გრუზინსკიმ და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელმა შემადგენლობამ კრებას განუცხადეს, რომ „მადლობას უხდიან იმ ნდობისათვის, რომელიც ამ დრომდე გამოიჩინა კრებამ, თუმცა ახლა, მმართველობის წევრად თავადი ი. მაჩაბლის ხელახალი არჩევნების გამო, უარს ამბობენ ბანკის შემდგომ სამსახურზე“. ამას მოწმობს კიდეც 20 მაისის ოქმი (იხ. დანართი N44).

შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით შემფასებელი კომისია დატოვა ორმა წევრმა, რომელთაგან ერთ-ერთი, თავადი ლ. ჩერქეზოვი, 20 მაისს ხელახლა იქნა არჩეული ხმათა უმრავლესობით- 856 ხმა 414-ის წინააღმდეგ. თუმცა მანაც, ასევე, უარი თქვა ბანკში სამსახურზე.

ამგვარად, ვაკანტური დარჩა მმართველობის თავმჯდომარის, მმართველობის ერთი წევრის და შემფასებელი კომისიის ერთი წევრის თანამდებობები.

საერთო კრების თავმჯდომარემ მმართველობის წევრად არჩეულებად გამოაცხადა თავადი ი. მაჩაბელი, ხოლო და უგანათლებულესი თავადი გრუზინსკის უარის შემდეგ, – პოლკოვნიკი ხ. მამაცოვი, შემფასებელი კომისიის წევრებად კი – თავადი ნ. თუმანოვი და, თავადი ჩერქეზოვის უარის შემდეგ, კ. ყიფიანი. ამის შემდგომ, თითქოსდა თავმჯდომარემ შესთავაზა კრებას გადასაწყვეტად საკითხი: იღებს თუ არა კრება ბანკში შემდგომი სამსახურის შესახებ უარს სამეთვალყურეო კომიტეტის ყველა წევრისა და მმართველობის წევრთა უმრავლესობისაგან, გარდა იმ სამი წევრისა, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ არ მიუნიჭებიათ სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარისა და ბანკის მმართველობისათვის იმის უფლება, რომ მათი უარის შესახებ განაცხადონ?

როგორც შემდგომ ოქმი იუწყება, ამ საკითხზე მთელმა საერთო კრებამ, გარდა ერთი წევრისა, განაცხადა, რომ მიღებულ იქნება ზემოაღნიშნულ პირთა უარი ბანკში სამსახურის გაგრძელებაზე.

აი, ყოველივე ის, რის შესახებაც საუბარია 20 მაისის ოქმში, რომელიც ბ-ნმა მუსხელოვმა შინ შეადგინა. იგი, მიღებული წესისამებრ, დამოწმებულია დანარჩენი პირების სავალდებულო ხელმოწერით და მხოლოდ 27 მაისს, ე.ი. სხდომის დახურვიდან შვიდი დღის შემდეგ, გაიგზავნა ბანკში, ისაც მას შემდეგ, რაც ბ-ნი მუსხელოვის მიერ სახლში წაღებული საერთო კრების როგორც პირველი, ისე ბოლო დღეების სხდომათა ოქმები, მისგან პოლიციის საშუალებით იქნა მოთხოვნილ (იხ. დანართები NN 50,51,52 და 53).

20 მაისის ყველა ოქმში აღნიშნული გარემოებებიდან მხოლოდ ორია ისეთი, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი ამ დღის სხდომაზე: 1) ხმის მიცემის შედეგები და 2) აღნიშნულ პირთა მიერ ბანკში შემდგომ სამასახურზე უარის თქმა ი. მაჩაბლის ხელახლა არჩევის გამო. ყოველივე დანარჩენზე კი პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს, რომელმაც იგი დაამოწმა მხოლოდ დ. მუსხელოვის ხელმოწერით.

ამ ყოველივეს და განსაკუთრებით იმას, რომ ბანკში სამსახურზე უარი კრების მიერ თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, სავსებით უარყოფს რიგი ფაქტორები: ა) საერთო კრების სხდომების განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი საკითხი, რომელიც კრებას არ გადაუწყვეტია მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წარდგინების თანახმად და ე.წ. ოპოზიციის ზეწოლის საწინააღმდეგოდ. და ისმის კითხვა: შესაძლებელია კი, რომ კრებაზე, რომელიც მუდმივად იწონებდა მმართველობის ორგანოთა წინადადებას და უარყოფდა ოპოზიციის დებულებებს, არ მოიპოვა, უმრავლესობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გარკვეული უმცირესობა მაინც,

რომელმაც არ მოისურვა მიეღო მმართველობის იმ ორგანოებისა ან მათში შემავალი პირების სამსახურიდან გადადგომის წინადადება? ბ) 582 ამომრჩეველი, რომელმაც არ მისცა ხმა თავად ი. მაჩაბელს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოწმობს იმას, რომ ეს ადამიანები მაინც არ შეწირავდნენ მსვერპლად თავად მაჩაბელს სამეთვალყურეო კომიტეტის მთელ შემადგენლობას, მმართველობის ორ წევრს და შემფასებელი კომისიისს ერთ წევრს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გვეფიქრა, რომ ამდენმა ადამიანმა იმოქმედა ყოველგვარი ლოგიკისა და თანმიმდევრულობის გარეშე და მოკლებულინი არიან უნარს, ანგარიში გაუწიონ საკუთარ ქმედებებს; გ) თავად კრების თავმჯდომარე, რომელმაც გააფორმა, ვითომ საბოლოოდ, საერთო კრების თითქმის ერთსულოვანი გადაწყვეტილება გადადგომის მიღების თაობაზე, მეორე დღეს, 21 მაისს (იხ. დანართი N45) კრებას ამცნობს, რომ მთელი სამეთვალყურეო კომიტეტისა და რამდენიმე პირის მიერ ბანკში სამსახურზე უარის შესახებ განცხადება ჩაითვალოს არასაკმარისად და საჭიროდ თვლის, მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის ყოველი წევრი ცალ-ცალკე გამოკითხოს. და ისმის კითხვა: თუ კი ეს ასეა, მაშინ როგორ სცნო უარი საკმარისად იმავე თავმჯდომარემ წინა დღისით, ე. ი. 20 მაისს, და თან საკითხიც კი დასვა გადასაწყვეტად, იღებს თუ არა საერთო კრება ამ გადადგომას. საკითხი დადებითად წყდება უმრავლესობის მიერ – ყველა ერთის წინააღმდეგ. დ) დაბოლოს, 21 მაისის რიგგარეშე კრებაზე მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის წევრებს, რომელთაც უარი თქვეს სამსახურზე, მხარი არ დაუჭირა 774-მა (8-7-ის წინააღმდეგ) და 767-მა (5-ის წინააღმდეგ) კაცმა. ნუთუ ამ მოწინააღმდეგეებს შორის 20 მაისს ორი-სამი ათეული მაინც არ აღმოჩნდა ისეთები, რომლებიც საწინააღდეგო აზრს გამოთქვამდნენ რიგითი კრების გადაწყვეტილებისადმი

ბანკში სამსახურზე უარისმთქმელთა გადადგომის მიღების შესახებ, თუკი, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ დ. მუსხელოვის გამონაგონს, შეტანილს მის მიერვე შინ შედგენილ ოქმში, რომელიც მან არც კი წაიკითხა 21 მაისის კრების შემდეგაც კი, რამდენადაც შედგენილი იყო 24 მაისის შემდეგ, როგორც ეს ჩანს კიდეც დანართი N51-დან.

იმ ფაქტზე, რომ არ არსებობს საერთო კრების გადაწყვეტილება ბანკის თანამშრომელთა სამსახურიდან გადადგომის მიღების თაობაზე, მმართველობა მიუთითებს არა იმიტომ, რომ ამაში ნახოს სამსახურში დარჩენის საბაბი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოადგინოს კიდევ ერთი, არანაკლებ რელიეფური, მაგალითი დ. მუსხელოვის უცერემონიო ჩვეულებისა – არ მოერიდოს სიმართლის დამახინჯებასაც კი, ოღონდ ზიანი მიაყენოს ბანკის მართვის ორგანოებს. ტყუილად ეშინოდა დ. მუსხელოვს, რომ თუ გაურკვეველი დარჩებოდა საერთო კრების მიერ გადადგომის მიღება-არმიღების ფაქტი, ამით ისარგებლებდნენ ისინი, ვინც უარი თქვეს სამსახურზე და კვლავ დაბრუნდებოდნენ ბანკში. სწორედ ამიტომ იჩქარა თავმჯდომარემ თავისივე შედგენილ ოქმში იმის შეტანა, რაც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მმართველობა თამამად არწმუნებს ფინანსთა სამინისტროს, რომ, როგორც სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა, ისე მმართველობის ის წევრები, რომელთაც 20 მაისს უარი განაცხადეს ბანკში შემდგომ სამსახურზე, რჩებიან თავიანთ გადაწყვეტილებაზე, წავიდნენ ბანკიდან იმ შემთხვევაში, თუ თავადი ი. მაჩაბელი მმართველობის შემადგენლობაში შევა. ხოლო დაეთანხმება თუ არა ამას საერთო კრება, ეს სავსებით სულ ერთია იმ პირებისათვის, რომელთაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს წასვლის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 20 მაისს მორიგი კრების მისია დასრულდა უკანასკნელი საკითხის გადაჭრით, რაც

მდგომარეობდა მმართველობის შემადგენლობიდან ერთმანეთის მიყოლებით გასულ თანამდებობის პირთა არჩევაში, დ. მუსხელოვმა მაინც მისცა თავს უფლება, მოეწვია კრება 21 მაისს. და ისმის კითხვა: რისთვის? ამაზე პასუხს 21 მაისის ოქმი (იხ. დანართი №45) იძლევა. როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, პირველ რიგში, იმი-სთვის, რომ კრების თავმჯდომარემ საჭიროდ ჩათვალა, ეწარმოებინა ერთგვარი მოკვლევა იმასთან დაკავშირე-ბით, მართლაც თქვა თუ არა სამსახურზე უარი მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის ყველა წევრმა და, ამასთანავე, მან საკუთარი თავი მიიჩნია უფლებამოსილად მოეხდინა მმართველობის ფორმირება, მმართველობისა, რომელიც ორი წევრის ამარა დარჩა მას შემდეგ, რაც დანარჩენმა ორმა სამსახურზე უარი თქვა. შემდეგ, 21 მაისის ოქმში მითითებულია, რომ თავმჯდომარემ მოკვლევა აწარმოა თითოეული იმ პირის გამოკითხვით, ვინც უარი თქვა სამსახურზე. აქვე ირკვევა, რომ ბანკში სამსახურზე უარი თქვა პოლკოვნიკმა მამაცოვმაც, რომელმაც მიიღო საარჩევნო ბურთების უმრავლესობა და შესაძლოა შეეცვალა მმართველობის წევრი, ასევე, სამსახურიდან გადამდგარი, უგანათლებულესი თავადი მ. გრუზინსკი.

შემდეგ კრების თავმჯდომარე განმარტავს, რომ თავადი რევაზ ვაჩნაძის არყოფნის გამო მიმართა მეოთხე კანდიდატს, გენერალ-მაიორს, თავად ი. ბარათოვს, „რომელმაც, როგორც ოქმიდან ჩანს, თანახმობა განაცხადა თავისი მოვალეობის შესრულებაზე“. ოქმში ამასთანავე ნათქვამია, რომ „ვინაიდან თავადი ბარათოვის წარდგენისას ზოგიერთი დამსწრეთაგანი ხმამაღლა ყვირის „არ სურს, არ სურს“, კრების თავმჯდომარე შეცდომის თავიდან ასაცილებლად გენერალ-მაიორ ბარათოვს სთხოვს, მიბრძანდეს მასთან და კიდევ ერთხელ დადასტუროს, რომ უარს არ ამბობს და სურს შეასრულოს თავისი მოვალეობანი, რის შემდეგაც კრების თავმჯდომარე მიუთითებს,

დაიკავოს მმართველობის წევრის კუთვნილი ადგილი, რასაც იგი ასრულებს კიდეც“. ასე რომ, კრების თავმჯდომარე ვერ მიხვდა შეძახილების ირონიულ აზრს და ასე საზეიმოდ აღასრულა მმართველობის წევრის სავარძელზე ბარათოვის ასვლის აქამდე გაუგონარი წესი. ხოლო აღნიშნული შეძახილის მთელი ირონია მდგომარეობდა იმაში, რომ სწორედ ამ გენერალ-მაიორიმა ბარათოვმა აქამდე ორჯერ სცადა მმართველობის წევრობა: ერთხელ 1890 წელს გაშავდა 355 ხმით 67-ის წინააღმდეგ, ხოლო მეორედ 1895 წელს- 327 ხმით 139-ის წინააღმდეგ (იხ. დანართი N48). შესაბამისად, არც არის გასაკვირი, რომ კრების თავმჯდომარის მიმართვა და ბარათოვის დადებითი პასუხი კრებას სასაცილოდ მოეჩვენა ამგვარ ვითარებაში, როდესაც თავად ბარათოვს ეძლევა ახალი კენჭისყრის საშუალება და დიდი ხნის ამაოდ ნანატრი ადგილის მიღების შესაძლებლობა. თავმჯდომარის ასეთი ქმედებები კრებაზე კვლავაც ხმაურს იწვევს; ხმაურს, ჩვეულებისამებრ, მოჰყვება შესვენების გამოცხადება და სხდომის განახლება.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე აკეთებს განცხადებს, რომელიც 21 მაისის ოქმში ბრჭყალებითაა მოყვანილი: „ამგვარად, ბატონებო, მმართველობა ორგანიზებულია, ბანკის წესდების &64-ის საფუძველზე, თავადი დ. ავალოვი, არჩევნების შედეგების მიხედვით, იკავებს თავმჯდომარის ადგილს, თავადი ი. მაჩაბელი ცვლის მმართველობის უფროს წევრს, ხოლო კანდიდატები თავადი რევაზ ვაჩნაძე (რომელიც უკვე აღარ არის კანდიდატი, როგორც ზემოთ აღინიშნა) და გენერალ-მაიორი, თავადი ი. ბარათოვი, წესდების &68-ის საფუძველზე, ცვლიან კრების ვადამდე გავარდნილ წევრებს. ასარჩევი გვრჩება მმართველობის ერთი წევრი პოლკოვნიკ მამაცოვის ნაცვლად, მმართველობის წევრობის სამი კანდიდატი, შემფასებელი კომისიის წევრობის ორი კანდიდატი და სამეთვალყურეო კომიტეტის ცხრა წევრი“.

როგორც ამ ტირადიდან ირკვევა, კრების თავმჯდომარემ გადააჭარბა თავის უფლება-მოვალეობებს, პირველ რიგში, იმით, რომ პირადად მოახდინა მმართველობის ფორმირება და მის წევრებად დანიშნა ორი კანდიდატი, რომელთაგან ერთი უკვე აღარ იყო კანდიდატი და მეორე იმით, რომ დანიშნა არჩევნები ყველა ვაკანტური თანამდებობის ჩასანაცვლებლად, გარდა გავარდნილი თავმჯდომარისა და მმართველობის ერთი წევრის თანამდებობებისა, როგორც ეს მართებდა დ. მუსხელოვს თავისივე ლოგიკის მიხედვით. ალბათ, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ყოველგვარი არჩევნების გარეშე, პირადად დაენიშნა მისთვის და ოპოზიციისათვის მისაღები კანდიდატი თავადი ი. ბარათოვის სახით. სხვა ვერაფრით აიხსნება მმართველობის შემადგენლობაში ბარათოვის ასეთი საზეიმო შესვლა, რომელიც მას, 21 მაისის ოქმის ცნობით, დ. მუსხელოვმა მოუწყო და ამ უკანასკნელის განზრახვა – აირჩიოს თავადი ი. ბარათოვი მმართველობის ნამდვილი წევრობის კანდიდატად; აქვე უნდა აღინიშნოს მესამე გარემოებაც: თუკი დავუშვებთ, რომ დ. მუსხელოვმა ვაჩნაძე და ბარათოვი მოიწვია არა როგორც მმართველობის წევრები, არამედ როგორც წესდების მიხედვით, რატომღაც, ვადამდე გავარდნილი მმართველობის წევრების შემცვლელი კანდიდატები, მაშინ ამ შემთხვევაში ისიც უნდა დავუშვათ, რომ, აიღო რა თავის თავზე კრების თავმჯდომარის ვალდებულება, მუსხელოვმა არც კი შეიწუხა თავი, გასცნობოდა ბანკის წესდებას, სადაც ნათქვამია, რომ კანდიდატების მოწვევა მმართველობის იმ წევრების შესაცვლელად, რომლებიც არ იმყოფებიან, ან ვადამდე გავარდნენ, არ ხდება კრების თავმჯდომარის მიერ, ამას აკეთებს მმართველობის თავმჯდომარე ან მისი შემცვლელი პირი; მეოთხე გარემოება: თუ დავუშვებთ, რომ დ. მუსხელოვმა თავადი ვაჩნაძე და თავადი ბარათოვი მმართველობის წევრობის კანდიდატებად მოიწვია და თვითნებურად არ დაუნიშნავს ისინი სრულუ-

ფლებიან წევრებად, მაშინ რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მუსხელოვმა შესთავაზა კრებას ორი კანდიდატის არჩევა, ე.ი. კანდიდატთა ახალი კომპლექტის შედგენა, ან უფრო სწორად, კანდიდატების არჩევა ისევ კანდიდატებად? ცხადია, ამ შემთხვევაში დ. მუსხელოვმა გამოავლინა სრული უცოდინრობა წესდებისა, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება კანდიდატთა რამდენიმე კომპლექტის დადგენა და ყოველგვარ საღ აზრს მოკლებულია კანდიდატობისათვის კანდიდატების არჩევის აუცილებლობა; მეხუთე: დ. მუსხელოვი ბედავს და თვითნებურად, 82-ე პარაგრაფით დადგენილი ყველა წესის დარღვევით, ატარებს სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობის არჩევნებს კრებაზე, რომლის განსახილველ საკითხთა შორის ამ დღემდე, 21 მაისამდე, მინიშნებაც კი არ ყოფილა ამგვარ არჩევნებზე, სანამ ამის შესახებ თავად კრებაზე არ განაცხადა სიტყვიერად დ. მუსხელოვმა.

კრების თავმჯდომარის მიერ ძალაუფლების ასეთმა, მართლაც რომ უმაგალითო, გადაჭარბებამ, მისმა თვითნებობამ, კანონისა და წესრიგისადმი ასეთმა უპატივცემულობამ დიდი პროტესტი, ხმაური და ყვირილი გამოიწვია. თუმცა ამ გამოხდომების ავტორი სრულებით არ შეცბუნებულა. საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით, მმართველობის ჩამოაყალიბების შემდეგ დიდხანს არ უფიქრია და გასცა ბრძანება, დაედგათ კენჭისყრის ყუთები სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობის ასარჩევად. კრებამ, რომელიც აქამდე, მისდა სანაქებოდ, როგორღაც იტანდა დ. მუსხელოვის გამოხდომებს, აქ უკვე ვეღარ მოითმინა. მან არ მისცა ამგვარი უკანონობის ჩადენის უფლება თავის თავმჯდომარეს, წინააღმდეგობა გაუწია მას და გასაქანი არ მისცა, ზეწოლა მოეხდინა. ერთი მხივ, კრების მიერ საკუთარი ღირსების დაცვამ, ხოლო მეორე მხრივ, მისი თავმჯდომარის შეუპოვრობამ, კრების წევრებისათვის ნებისმიერი საშუ-

ალებით მოეხვია თავს საკუთარი სურვილები და უკანონობა, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დ. მუსხელოვის ქმედებებით აღელვებული კრების დასაშოშმინებლად და მის საბოლოოდ დასახურად პოლიციის უფროსის ჩარევა გახდა საჭირო.

დ. მუსხელოვი მის მიერვე შედგენილ და ხელმოწერილ 21 მაისის ოქმში მთელ თვეს გაგრძელებული მორიგი კრების ასეთ სავალალო დასასრულს, რასაკვირველია, არასაკმარისი სიზუსტით გადმოსცემს. თუმცა ამის დადასტურება შეუძლია როგორც 21 მაისის სხდომაზე მყოფ ყველა პირს, ისე ბ-ნ პოლიციის უფროსსაც. სწორედ მის სიმშვიდესა და თავაზიანობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ უფრო არ გამწვავდა ვითარება საკმაოდ ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც მეტისმეტად აგზნებული იყო დ. მუსხელოვის უკანონო და თვითნებური საქციელით, ამგვარი სიმამაცით რომ გადაწყვიტა კრებაზე ზეწოლა.

პოლიციის უფროსის დახმარებით სხდომის დახურვასთან დაკავშირებით თავის შემდგომ ახსნა-განმარტებას ჯერჯერობით წყვეტს მმართველობა. მას მიზნად აქვს დასახული გაარკვიოს ყოველივე, რაც მორიგ საერთო კრებას შეეხება. თუმცა არ აქვს უფლება, უპასუხოდ დატოვოს ერთი კითხვა, რომელმაც თავისთავად იჩინა თავი ამ ახსნა-განმარტების წაკითხვისას: როგორ იტანდა მრავალრიცხოვანი კრება ასეთ თავმჯდომარეს მთელი თვის განმავლობაში? მართლაც, ამ შემთხვევაში კრების მოთმინება გაკვირვებას იწვევს და მხოლოდ მისი წევრების კეთილგონიერებითა და კანონიერების გრძნობით აიხსნება. მმართველობას, რომელმაც დასაწყისშივე დადო პირობა, რომ არაფერს იტყოდა მტკიცებულებების გარეშე, ამ შემთხვევაშიც მოეპოვება ისინი.

8, 9, 10, 12 მაისის ოქმი (იხ. დანართი NN 32, 33, 34 და 35) უკვე მიუთითებს იმ მძიმე გამოცდის პერიოდებზე, რომ-ლებიც სართო კრების მოთმინებას უდგებოდა ხოლმე.

გაზეთ «Кавказ»-ის ანგარიშის მიხედვით, საერთო კრებაზე ჯერ კიდევ 3 მაისს გაისმა შეძახილები: „ძირს თავმჯდომარე“. აღნიშნული ანგარიში, ასევე, მოწმობს, რომ „სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე, უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი, ზოგიერთების ამგვარ მოთხოვნაზე აცხადებს, რომ საერთო კრებას არ აქვს უფლება აირჩიოს ახალი თავმჯდომარე; კრებაზე ყვირიან, რომ ყოველივე ამის შესახებ მთავარმმართებელს უნდა ეცნობოს და რომ საზოგადოება მანამ არ დაიშლება, სანამ ელექტროდენი არ გამოირთვება“.

როგორც გაზეთ «Кавказ»-ის იგივე ანგარიში (11 მაისის N124) მოწმობს, კრების თავმჯდომარის ამგვარმა ქცევებმა ძლიერი ხმაური გამოიწვია და, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა მეორე დღემდე და თავად წავიდა, კრებას მაინც არ სურს დაშლა და ზოგიერთი ხმამაღლა კიცხავს თავმჯდომარეს; თავადი ნ. ჩოლოყაევი სამეთვალყურეო კომიტეტს მიმართავს თხოვნით, მონახოს გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან და იხსნას საერთო კრება სხდომების ამ უაზრო და გაუთავებელი დახურვა-გახსნებისაგან, შესვენებებისაგან და კრების წევრებისადმი იმგვარი მოპყრობისაგან, თითქოს ისინი მოსამზადებელი კლასის გიმნაზიელები იყვნენ. გაისმის მოწონების შეძახილები; ბ-ნი ჭილაევი მიმართავს კრების წევრებს: „ბატონებო, ვთხოვოთ სამეთვალყურეო კომიტეტის წევრებს, დაიკავონ თავიანთი ადგილები და დაიწყონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამჟამინდელი მდგომარეობას და გადავურჩეთ თავმჯდომარეს, რომელიც საერთო კრებას მასხრად იგდებს“. კრება მოწონებას გამოთქვამს. გაისმის აპლოდისმენტები. საერთო კრების წევრთა ნაწილი სცენაზე ადის, სადანაც ხმამაღლა მოითხოვენ, რომ თავმჯდომარემ უარი თქვას თავის მოვალეობებზე. ასე გრძელდება საღამოს 10 საათამდე. ბ-ნი ჭილაევი უხსნის დამსწრე საზოგადოებს,

რომ სამეთვალყურეო კომიტეტი სათათბიროდ გავიდა და სიმშვიდისკენ მოუწოდებს; „საერთო კრება *მყისვე* მშვიდდება, ყველანი წყნარად სხედან თავიანთ ადგილებზე და ელიან თათბირის შედეგებს. $10_{1/2}$საათზე სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კომიტეტმა ვერ მონახა გამოსავალი და რომ შეუძლებელია რაიმეს გაკეთება, ამიტომ სთხოვს საზოგადოებას, დაიშალონ. კრება უსიტყვოდ იშლება“.

გაზეთ «Кавказ»-ის იმავე N124-ის ანგარიშში, ასევე, საუბარია იმის შესახებ, რომ 10 მაისს დებატები უწესრიგოდ წარიმართა და იქვე აღნიშნულია ინციდენტი, რომლის დროსაც თავადმა ა. მუხრანსკიმ თავმჯდომარეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მინდა დავაყენო საკითხი თქვენი აღმატებულების გარიცხვასთან დაკავშირებით“. შემდგომ ანგარიშში ნათქვამია, რომ „მრავალი ხმამაღლა გამოთქვამს მოწონებას და ყვირის: „სწორია,სწორია“, რასაც თავმჯდომარე პასუხობს: „მდივანს ვთხოვ, თავადი მუხრანსკის სიტყვები ოქმში შეიტანოს და აქვე დავძენ, ბატონებო, რომ მთელი წლის განმავლობაში შეგკრებთ და დაგშლით“.

გაზეთ «Кавказ»-ის ანგარიშში გადმოცემული სიტყვების სანდოობაში ეჭვს ვერ შევიტანთ, რამდენადაც იმავეს მოწმობს სხვა გაზეთების ანგარიშებიც, ასევე, ნაწილობრივ კრების ოქმები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამის დადასტურება შეუძლია უამრავ მოწმესაც.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 215 წევრის პროტესტი, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება იმისა, თუ როგორ იკავებდა თავს მოთმინებიდან გამოსული კრება და ამაოდ ეძებდა კანონიერ გზას, რათა თავი დაეღწია იმ უიმედო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ჩავარდა იმის გამო, რომ დ. მუსხელოვმა სავსებით არ იცოდა კრების თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები და ასევე, მისი ზღვარგადასაული თვითნებობის გამო.

გამუდმებით გაღიზიანებული ხალხმრავალი კრების

ამაო ძალისხმევა, მონახოს კანონიერი გამოსავალი სავალალო მდგომარეობიდან, საკუთარი ბედისადმი მორჩილება მაშინ, როდესაც მის მიმართ ნდობით აღჭურვილი პირები ამბობენ, რომ ამ მდგომარეობიდან არ არსებობს კანონიერი გამოსავალი; სამეთვალყურეო კომიტეტის თხოვნისთანავე მუსხელოვის მიერ გამოწვეული ხმაურისა და ყვირილის ჩაწყნარება და მყისიერად სიმშვიდის გამეფება; აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დაშლისაკენ მოწოდებისადმი უსიტყვო მორჩილება მაშინ, როცა ამას დ. მუსხელოვმა მუქარითაც ვერ მიაღწია, რომ აცნობებდა მინისტრს და გამოძიების დანიშვნას მოითხოვდა; ბ-ნი პოლიცმაისტერის ძალაუფლებისადმი პატივისცემა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მის პირველივე მოწოდებაზე მშვიდად დაიშალა დ. მუსხელოვის ქცევებით მეტისმეტად აღელვებული 21 მაისის კრება, მუსხელოვისა, რომელმაც კრების თვალში ყოველგვარი პრესტიჟი და პატივისცემა დაკარგა, ნუთუ ყოველივე ეს არ მოწმობს, რომ საერთო კრება თავის თავმჯდომარეზე გაცილებით მაღლა იდგა და გაცილებით უფრო ტაქტიანი და კეთილგონიერი იყო? დ. მუსხელოვის ამ გაურკვეველმა მუქარამ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი „მთელი წელი შეკრებს და დაშლის კრებას“, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი 10 მაისის სხდომაზე, იმ ადამიანებს შორის, რომელთა მიმართაც ეს მუქარა იყო ნათქვამი, ყველაზე თავშეკავებულიც კი შეიძლება მოთმინებიდან გამოეყვანა, ვინაიდან ეს მათი დაცინვა და მასხრად აგდებაა. კრების წევრებმა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ხვდებოდნენ მათი შეურაცხყოფისა და მასხარად აგდების მთელ სიმწვავეს, მაინც შეძლებისდაგვარად მშვიდად გადაიტანეს ყოველივე ეს. ხშირად კი გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს ხმაურითა და შეძახილებით, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება გამოიწვიოს დ. მუსხელოვის მსგავსმა ქცევებმა და მის მიერ მუდმივად თავმოყვარეობისა და

ღირსების შელახვამ. საკმარისია, ამაზე დავფიქრდეთ, რომ მივხვდეთ საერთო კრების წესიერების, თავშეკავებულობისა და კანონიერების გრძნობის მთელ შინაგან ძალას, საერთო კრებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, უარყოფითი ელფერი შესძინა ამ ხმაურმა და შეძახილებმა ყველაზე მეტად გამაღიზიანებელ და უკმაყოფილების წუთებში.

ასეა თუ ისე, საერთო კრება ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე თავისი თავმჯდომარის გამოხდომებით გაღიზიანებული და მოთმინებადაკარგული, მხოლოდ პროტესტის ხმაურიანი გამოხატვით შემოიფარგლებოდა და სხვა მხრივ ყველანაირად ცდილობდა საკუთარი თავისადმი, წესრიგისა და კანონიერებისადმი პატივისცემა არ დაეკარგა.

ამით ასრულებს მმართველობა იმ მოვლენების აღწერას, რომელთაც ადგილი ჰქონდა მორიგ საერთო კრებაზე 20 აპრილიდან მოყოლებული 21 მაისის ჩათვლით. თუმცა იმისათვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას, აუცილებელია იმის ცოდნაც, რაც ბანკის შესასვლელში მორიგი კრების დახურვის შემდეგ და რიგგარეშე კრების მოწვევამდე მოხდა.

– – – – – – – – – – –

დ. მუსხელოვს არც მორიგი კრების დახურვის შემდეგ შეუწყვეტია კრების თავმჯდომარეობა. მან შინ წაიღო ყველა ოქმი, ბანკის წევრთა სიები, კენჭისყრის ბილეთები, ყველაფერი, რაც საერთო კრების საქმეთწარმოებას შეეხებოდა და თავისთან ჰქონდა კრების საბოლოო დახურვის შემდეგაც კი. სამეთვალყურეო კომიტეტი, ნახა რა, რომ ბანკი რჩება აუცილებელი დოკუმენტების გარეშე, იძულებული გახდა ისინი კრების ყოფილი თავმჯდომარისაგან პოლიციის საშუალებით გამოეთხოვა.

1896 წლის 24 მაისს პოლიციის მიერ შედგენილი ოქმიდან (იხ. დანართი N51) ჩანს, თუ რით ხელმძღვანელობდა დ. მუსხელოვი, როდესაც სამეთვალყურეო კომიტეტს მოთხოვნილი დოკუმენტების გადაცემაზე უარს ეუბნებოდა და ასევე, ადასტურებს მმართველო-

ბის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი ოქმი მუსხელოვის მიერ სახლში იქნა შედგენილი საერთო კრების საბოლოო დახურვის შემდეგ და შესაბამისად, საერთო კრების მიერ ვერ იქნებოდა შემოწმებული და სანდოდ მიჩნეული. ხოლო თუ როგორ იყო შედგენილი ეს ოქმები, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ კრების დახურვის შემდეგ ისინი გადაიწერა და დაიწყო მათი ბანკში გადაგზავნა არა ქრონოლოგიის მიხედვით, როგორც უნდა ყოფილიყო, არამედ არეულად, იმის მიხედვით რომელი მათგანი უფრო შეესატყვისებოდა დ. მუსხელოვის მიზნებს და სურვილებს. ასე, მაგალითად, დ. მუსხელოვმა იჩქარა 29 მაისის კრების ოქმის გაგზავნა ისევ კრების თავმჯდომარის სახელზე დაწერილ 1895 წლის 24 მაისით დათარიღებულ მიმართვასთან ერთად, N4, რომელიც ბანკმა მხოლოდ 27 მაისს მიიღო (იხ. დანართი N52). 1895 წლის 29 მაისს კი იგზავნება 21 მაისის ოქმი N6 (იხ. დანართი N53), ხოლო ამის შემდეგ, 31 მაისის მიმართვასთან ერთად (იხ. დანართი N74) იგზავნება ყველა იმ სხდომის ოქმები, რომლებიც ჩატარდა 20 აპრილიდან 19 მაისამდე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ხდება ცნობილი, 20 აპრილიდან 8 მაისამდე ჩატარებული სხდომების ოქმები უკვე წაკითხული და მოწონებულ იქნა საერთო კრების მიერ, თუმცა არ იქნა დამოწმებული სათანადო პირების ხელმოწერებით. ამასთანავე, დ. მუსხელოვს, რომელმაც ყოველგვარი საჭიროების გარეშე წაიღო შინ ეს ოქმები, არ მოერიდა და 1896 წლის 24 მაისს (იხ. დანართი N51) პოლიციას განუცხადა, რომ მის მიერ გადათეთრების მიზნით შინ წაღებული ყველა ოქმი გადაეცემა ბანკს. და ისმის კითხვა: რას ნიშნავს ეს ყოველივე? მმართველობა, რომელიც ვერ ბედავს ამაზე თავად გასცეს რაიმე პასუხი, განსჯის უფლებას უტოვებს იმათ, ვინც შემსწრეა ოქმების დაკავებასთან დაკავშირებული ამ ცხადი და აშკარა სიცრუის ფაქტის მხილებისა. თუმცა

მმართველობას აქვს უფლება გაუჩნდეს კითხვა: განა ნათელი არ არის, რომ თეთრად გადაწერის საბაბით ოქმების დატოვება სულ სხვა რამეს გვაფიქრებინებს და სულ არ არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ დ. მუსხელოვმა თეთრად გადაიწეროს უკვე თეთრად დაწერილი და ხელმოწერილი ოქმები, რომლებიც არ არის დადასტურებული სათანადო პირთა ხელმოწერებით.

დ. მუსხელოვს, რომელმაც 21 მაისს საკუთარი ძალებით ჩამოაყალიბა მმართველობა, მიუხედავად ამ საკითხზე არსებული წესდებით გათვალისწინებული წესებისა, საერთო კრების დახურვის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბანკის საქმეთა კვლავაც საკუთარი სურვილისამებრ განკარგვა და კრების თავმჯდომარის სახელით მოქმედება, არც კი უფიქრია, შელეოდა ამ წოდებას. ასე, მაგალითად, 1896 წ. 24 მაისს საერთო კრების თავმჯდომარის, დ. მუსხელოვის, სახელით ბანკში შედის მისი შემცვლელის, თავადი დ. ავალოვის, სახელზე გაგზავნილი მიწერილობა N4 (იხ. დანართი N52) იმასთან დაკავშირებით, რომ თავადი ავალოვი „უნდა იქნას აღიარებული მმართველობის თავმჯდომარის მაგივრობის გამწევად და ბანკის საქმეები უნდა წარმართოს მან, ე.ი. თავადმა ავალოვმა, მმართველობის წევრმა თავადმა ი. მაჩაბელმა და მმართველობის წევრობის კანდიდატებმა თავადმა რევაზ ვაჩნაძემ და თავადმა ი. ბარათოვმა“.

დ. მუსხელოვის თვითმპყრობელობისა და თვითნებობის შედეგად მიღებული ამგვარი ვითარების გამო, მმართველობას და სამეთვალყურეო კომიტეტს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დაევიწყებინათ ბანკში სამსახურის გაგრძელებაზე ნათქვამი უარი და დარჩენილიყვნენ თავიანთ თანამდებობებზე მანამ, სანამ კანონიერი გზით არ ჩამოყალიბდებოდა ბანკის მართვის ორგანოთა სრული შემადგენლობა და მას არ გადაბარდებოდა ბანკის ყველა საქმე, ანგარიშები, დოკუმენტები თუ ფასეულობანი. ამიტომ, ჯერ კიდევ 22

მაისს, მმართველობის თავმჯდომარემ მოიწვია უგანათლებულესი თავადი მ. გრუზინსკი, რომელსაც რიგის მიხედვით შემადგენლობის დატოვება მოუწია და 20 მაისს ხელახლა იქნა არჩეული, მმართველობის წევრობის კანდიდატები თავადები ა. ვახვახოვი და დ. ჩელოკაევი, შემფასებელი კომისიის, ასევე, რიგის მიხედვით გავარდნილი და 20 მაისს ხელახლა არჩეული წევრი, რომელმაც ბანკში სამსახურზე ი. მაჩაბლის გამო თქვა უარი. მან დაითანხმა ისინი, ი. მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობაში ყოფნის მიუხედავად, დარჩენილიყვნენ თავიანთ თანამდებობებზე მანამ, სანამ არ აირჩევდნენ ახალ პირებს გამოცხადებული ვაკანსიების დასაკავებლად ან სანამ ყველა ის პირი არ დათანხმდებოდა დაბრუნებაზე, რომელთაც უარი თქვეს ბანკში სამსახურზე, ვიდრე მმართველობისა და შემფასებელ კომისიის მთელი შემადგენლობა კანონიერი გზით არ ჩამოყალიბდებოდა, რაც აღნიშნულიცაა მმართველობის 1896 წლის 23 მაისის ოქმში (იხ. დანართი N54).

რასაკვირველია, თავადმა ი. მაჩაბელმა საჭიროდ არ მიიჩნია ამ ყოველივეს დასთანხმებოდა. ეს არდათანხმება ვერაფერს უზამდა ხელახლა დამყარებულ ვითარებას, თუმცა იგი ამას არ დასჯერდა და იკისრა ბანკის ერთპიროვნული განმკარგავის როლი. თავადმა მაჩაბელმა 22 მაისს გვერდი აუარა ბუხჰალტერიას, კანცელარიას, შემფასებელ კომისიას, მოლარეს და ისე, რომ არც კი მოერიდა დამსწრე გარეშე პირებს, რომლებიც იმ დროს ბანკში იმყოფებოდნენ თავიანთ საქმეზე, განაცხადა, რომ ამ დღიდან მმართველობის კანონიერი შემადგენლობა წარმოდგენილია მაჩაბლის შემცვლელი თავადი ავალოვისა და თავადი ი. ბარათოვის სახით და ამიერიდან მუშაკები, შედეგებზე პასუხისმგებლობის შიშის გამო, არ უნდა ასრულებდნენ განკარგულებებს, რომელთაც იძლევიან მმართველობის თავმჯდომარე, თავადი ჭავჭავაძე, თავადი გრუზინსკი და უკვე არარსებული სამეთვა-

ლყურეო კომიტეტი. დასასრულს, თავადი ი. მაჩაბელი ისე შეიჭრა დ. მუსხელოვის ბედისწერის მაცნის როლში, რომ საკუთარი თავი იმ სამეთვალყურეო კომიტეტის შემცვლელად აღიარა, რომელიც თავადვე გააუქმა და ამ კომიტეტის მდივანს მოსთხოვა კომიტეტის ყველა საქმის მისთვის გადაცემა, მოყოლებული 1891 წლიდან, *რათა არ შეეცვალათ ან არ დაემატებინათ რამე, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი.* ამგვარად, თავადმა ი. მაჩაბელმა, დაადგინა რა, რომ სამეთვალყურეო კომიტეტს არაერთხელ შეუტანია ცვლილიებები და დამატებები საბუთებში და შესაძლოა მომავალშიც მიმართოს ამას, მისცა გასაქანი თავის მიდრეკილებასა და უნარს, თავს დაესხას საზოგადოების ნდობით აღჭურვილ ათი კაცისაგან შემდგარ მთელ კოლექტივს, ბრალდებებითა და ეჭვებით, რომლებიც მხოლოდ მის უბადრუკ ჩვეულებას ეფუძნება, იმსჯელოს სხვებზე საკუთარი თავიდან გამომდინარე. სამეთვალყურეო კომიტეტისა და მმართველობის 1895 წლის 2, 6, და 20 იანვრის გაერთიანებული კრების ოქმებში თავადი მაჩაბლის ქმედებები მიჩნეულია შეუწყნარებლად და ამ მოვლენაში დანახულია მისი მიდრეკილებისა და ჩვეული მანერის ახალ მტკიცებულება. თუ რაოდენ დამონებულია ამ მისწრაფებას თავადი ი. მაჩაბელი, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ, მიუხედავად ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1895 წელს მისთვის ამხანაგურ სასაამართლოზე მიცემული გაფრთხილებისა, იგი მაინც ვერ ძლევს ამ მისწრაფების გავლენას და 1896 წელს უფრო მწვავე ფორმით ავლენს.

ეჭვგარეშეა, სამეთვალყურეო კომიტეტის მდივანი ვერ შეასრულებდა მოთხოვნას თავადი მაჩაბლისათვის საქმეთა გადაცემის თაობაზე და მაჩაბელმა მმართველობის წევრისაგან, თავადი ავალოვისაგან, როგორც თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისაგან, მოითხოვა, შეედგინა ოქმი ამ უარზე. თავადი ი. მაჩაბლის მთელი ეს დონკიხოტობა გადმოცემულია მმართველობის ოქმ-

ში, რომელსაც ბანკის თითქმის ყველა თანამშრომელი აწერს ხელს (იხ. დანართი N64). მაჩაბლის ეს საქციელია მითითებული ახსნა-განმარტების მე-2 გვერდზე დასტურად იმისა, რომ მაჩაბელს ჰერკულესის სვეტების დაპყრობაც კი შეუძლია, როდესაც საქმე მის პირად ინტერესებს ეხება.

როგორც კი ბანკმა კრების ყოფილი თანამშრომლისაგან 20 მაისის ოქმი მიიღო, მეორე დღეს, 28 მაისს, თავადმა ი. მაჩაბელმა თავად ავალოვს, როგორც თავმჯდომარის მაგივრობის გამწევს, წერილობითად განუცხადა, რომ უკანონოდ შემდგარ კოლეგიაში (ე.ი. მმართველობაში) იგი მონაწილეობას ვერ მიიღებდა (იხ. დანართი N55). მიუხედავად ამისა, მმართველობის თავმჯდომარემ მაინც მიიჩნია საჭიროდ 28 მაისს თავად მაჩაბელთან გაეგზავნა უწყება იმავე 28 მაისს საღამოს 8 საათზე მმართველობის მორიგ სხდომაზე მისვლის თაობაზე. თავადმა მაჩაბელმა არ ჩაიბარა უწყება და განაცხადა, რომ არ სურს მიიღოს თავადი ჭავჭავაძის მიერ ხელმოწერილი არავითარი უწყება ან ქაღალდი და რაიმე საერთო ჰქონდეს ამ უკანასკნელთან. მაჩაბლის ამგვარი პასუხი მმართველობის მდივნის მიერ თავად უწყებაზეცეა დამოწმებული (იხ. დანართი N56). მაჩაბლის ამ განცხადებისა და სხდომაზე გამოცხადებაზე უარის თქმის გამო, სხდომამ გადაწყვიტა მაჩაბლის ადგილას მოეწვია კანდიდატი. ამის შესახებ ნათქვამია სხდომის 1896 წლის 28 მაისის დადგენილებაში (იხ. დანართი N57). ამის შემდგომ, იგივე მაჩაბელი 1896 წლის 10 ივნისს წერილობითად უცხადებს იმავე ავალოვს, რომ მისი უარი სულაც არ ნიშნავს, რომ აღარასდროს მიიღებს მმართველობის შემადგენლობაში მონაწილეობას, *უბრალოდ პასუხისმგებლობას იხსნის ყველა იმ დარღვევაზე, რაც შეიძლება დაშვებულ იქნას მმართველობის ახლანდელი შემადგენლობის მიერ და ამავე შემადგენლობაზე საერთო კრების მიერ დაკისრებული მოვალე-*

ობების რაღაც დროის მანძილზე ვერშესრულებაზე გარკვეული გარემოებების გამო (იხ დანართი N58).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. მუსხელოვის მიერ მმართველობის წევრად დანიშნული თავადი ი. ბარათოვი და მის მიერვე შემფასებელი კომისიის წევრად დამტკიცებული კ. ყიფიანი ჯერ 22 მაისს, ხოლო შემდეგ 27 მაისს, მმართველობაში გამოცხადდნენ და მოითხოვდნენ მუსხელოვის მიერ მათთვის მინიჭებულ თანამდებობებზე დაშვებას. თავად ი. ბულანოვს განეცხადა, რომ წესდების 68-ე პარაგრაფის ძალით მას, როგორც მმართველობის წევრობის კანდიდატს, წევრის მოვალეობების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მმართველობის თავმჯდომარე ან მისი მაგივრობის გამწევი მოიწვევს; რაც შეეხება კ. ყიფიანს, რამდენადაც, ბანკში სამსახურზე დაშვების მოითხოვნის მომენტში არ არსებობდა არანაირი ოფიციალური დოკუმენტი მისი არჩევის შესახებ, მისი ეს მოთხოვნა ვერ იქნება შესრულებული. გარდა ამისა, დ. მუსხელოვის მიერ შემოღებული წესის გამო, ბანკის მართვის ორგანოებმა საჭიროდ მიიჩნიეს ჯერჯერობით უწინდელი შემადგენლობით დარჩენილიყვნენ. და რაც მთავარია, თავადი ჩერქეზოვი, როგორც შემფასებელი კომისიის ყოფილი წევრი და 20 მაისს ხმათა უმრავლესობით (856 ხმა 414-ის წინააღმდეგ) ხელახლა არჩეული (ამ არჩევნებში მან აჯობა ბ-ნ ყიფიანს, რომელმაც მიიღო 704 ხმა 566-ის წინააღმდეგ), დასთანხმდა ეკისრა შემფასებელი კომისიის წევრის მოვალეობა მანამ, სანამ არ გაირკვეოდა მართვის ორგანოების კანონიერი გზით ჩამოყალიბების საკითხი. იმის გამო, რომ ერთი და იმავე თანამდებობაზე ბ-ნ ყიფიანთან ერთან კენჭს იყრიდა კიდევ ორი სხვა პირი (მეორე პირი თავადი ტუმანოვია, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა 795 ხმა 475-ის წინააღმდეგ) [მესამეზე არაფერია ნათქვამი. მთარგმნელის შენიშვნა], რომლებმაც ამომრჩეველთა უფრო მეტი ხმა მიიღეს,

ვიდრე ბ-ნმა ყიფიანმა, ამ უკანასკნელის თხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა.

აი, ის მოვლენები, რომლებიც თან სდევდა საერთო კრებას 20 აპრილიდან მოყოლებული 21 მაისის ჩათვლით, ამგვარი იყო 21 მაისის შემდგომ ბანკში არსებული მდგომარეობა.

ვინც ამ მოვლენების მნიშვნელობას მიუკერძოებლად დააკვირდება, უეჭველად მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს ყოველივე მიზნად ისახავდა არსებული მმართველი ორგანოებისადმი ნდობის შერყევას და ბანკის საქმეების თავადი ი. მაჩაბლის, დ. მუსხელოვის და თავადი ნ. ჯამბაკურ-ორბელიანის თანამოაზრეების ხელში ჩაგდებას. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი საქმეების და კერძოდ, ბანკის საქმეთა მართვის ხელში ჩაგდებისაკენ სწრაფვაში არაფერია უჩვეულო და დასაძრახი, როდესაც ეს კეთდება საზოგადოერივი ხასიათის მიზნების, ამოცანებისა და პროგრამების სახელით, რითაც განისაზღვრება კიდეც მსგავსი მისწრაფებებისადმი პატივისცემისა და თანაგრძნობის ხარისხი. ხოლო თუ რამდენად ისახელა თავი ამ მხრივ ე. წ. ოპოზიციამ, ეს უკვე ზემოხსენებული მოვლენების მიუკერძოებელი მკვლევრის საქმეა.

ნებისმიერ შემთხვევაში, დ. მუსხელოვის თვითმპყრობელობის წყალობით ბანკში გამეფებული უწესრიგობა ძალზე საწყენ მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული. ეს უწესრიგობა 21 მაისის შემდეგ დღითიდღე სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. თავადი ი. მაჩაბლის საქციელი, რომლის უფლებასაც იგი თავის თავს აძლევდა ბანკის კედლებში, ამ დაწესებულებას უქადდა ხელმძღვანელისა და განმკარგავის გარეშე დარჩენას, დაქირავებულ თანამშრომელთა სამსახურეობრივი დაქვემდებარების შერყევას და ამით ან საქმეთა ბუნებრივი მსვლელობის საერთოდ ბედის ანაბარა მიტოვებას ან ყველაფრის თავდაყირა დაყენებას. მისმა ერთმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ სამეთვალყურეო კომიტეტი

აღარ არსებობს, ცხადყო, თუ სადამდე შეიძლება დავიდეს პირადი ინტერესებით დაბრმავებული ადამიანი საზოგადოების თვალში ბანკი წარმოაჩინა, როგორც უკონტროლო და უმეთვალყურეო დაწესებულება. ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ უარყოფითად შეიძლება ასახულიყო ეს ბანკის საქმეებზე და ამ დაწესებულებაში არსებული წესრიგისადმი ნდობაზე.

სამწუხაროდ, თავადი მაჩაბლის ქმედებები ბანკის კედლებსაც გასცდა. მან საჭიროდ მიიჩნია, გაზეთ «Кавказ»-ის 1896 წლის 2 ივნისის N141-ში ბეჭდურად აეხსნა, რომ მართვის ორგანოთა ამჟამინდელი შემადგენლობა უკანონოა და თვითნებურად არის ჩამოყალიბებული.

მმართველობის ყოფილი და 20 მაისს ხელახლა არჩეული წევრის ასეთ განცხადებასა და ქმედებებს არ შეიძლება საზოგადოების თვალში უარყოფითი გავლენა არ ექონია იმ დაწესებულების წესრიგისადმი ნდობაზე, რომლის კეთილდღეობაც უშუალო კავშირშია მრავალი ადამიანის ინტერესებთან. ამგვარ ქმედებებსა და განცხადებებს, ბანკის ადმინისტრაციისადმი ნდობის შერყევასთან ერთად, ნებისმიერი სერიოზულად შეიძლება დაეფიქრებინა თავად დაწესებულების მომავალზეც. არ შეიძლებოდა ისეთი მდგომარეობის მოთმენა, რომელიც საზოგადოებას აძლევდა ბანკის ბედთან დაკავშირებული პირადი ინტერესების გამო ღელვის საფუძველს. ამ მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი კანონიერი გამოსავალი არსებობდა: რაც შეიძლება სწრაფად მოეწვიათ საგანგებო კრება და დაეყენებინათ საკითხი იმის თაობაზე, რომ ბანკის წევრებს ეზრუნათ მართვის ორგანოთა სრული შემადგენლობის კანონიერი გზით ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან ბანკში სამსახურზე უარი თქვა სამეთვალყურეო კომიტეტის მთელმა შემადგენლობამ, მმართველობის თავმჯდომარემ და ერთმა წევრმა და შემფასებელი კომისიის ერთმა წევრმა. სამეთვალყურეო კომიტეტმა 28 მაისს გასცა განკარგულება 19 ივნისს

საგანგებო კრების მოწვევის შესახებ, რომელზეც განსახილველი იქნებოდა მხოლოდ არჩევნების საკითხი არსებულ ვაკანსიებზე, რამდენადაც 21 მაისის შემდეგ მართვის ორგანოთა ჩამოყალიბების დაჩქარებასთან დაკავშირებით დამყარებული წესის გამო არ დარჩა დრო მოხსენებებისა და აუცილებელი დასკვნებისათვის სხვადასხვა საკითხისთვის, რომლებიც უნდა გადაეწყვიტა საგანგებო კრებას. განცხადება 19 ივნისს საგანგებო კრების მოწვევის შესახებ წინასწარ გამოქვეყნდა წესდებით მოთხოვნილ გაზეთებში და საგანგებოდ გაეგზავნათ ყველა მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლებს გავრცელებისა და გახმაურებისათვის.

საგანგებო კრების გახსნამდე ბანკის 67 წევრმა, მათ შორის თავადმა ნ. ჯამბაკურ-ორბელიანმაც, წესდების 82-ე პარაგრაფით მოთხოვნილ ვადაში წერილობითი წინადადება შეიტანა საგანგებო კრებაზე გასატანად. წინადადება, რომელიც თარიღდება 1896 წლის 5 ივნისით, მმართველობის მიერ მიღებულ იქნა 11 ივნისს. ბანკის წევრები საგანგებო კრებას სთავაზობენ „აღდგეს მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის ყოფილი წევრების ქმედებებით დარღვეული წესრიგი შემდეგი ზომებით, კერძოდ:

ა) მას შემდეგ, რაც, დადგენილი კენჭისყრის საშუალებით, არჩეული იქნება მმართველობის ახალი წევრი თავადი მ. გრუზინსკის ადგილას, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ჩამოყალიბდეს მმართველობა მმართველობის უფროსი წევრის, თავადი დ. ავალოვისაგან, რომელიც წესდების &64-ის თანახმად, იქნება მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე, მომავალი კენჭისყრით მმართველობის წევრად არჩეული თავადი ი. მაჩაბლისაგან და მმართველობის წევრობის კანდიდატისაგან, რომელიც თავმჯდომარის მოადგილის მიერ იქნა მოწვეული (წესდების &68 თანახმად) 1897 წლის მორიგ კრებაზე მმათველობის თავმჯდომარის

არჩევამდე“.

ბ) არჩეულ იქნას მმართველობის წევრობის სამი კანდიდატი.

გ) არჩეულ იქნას შემფასებელი კომისიის წევრობის სამი კანდიდატი“ (იხ. დანართი N59).

ეს სამი პუნქტი, რომელთაგან პირველს სწორედ თავადი ნ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანი აწერს ხელს, ცხადყოფს, რომ ამ უკანასკნელმა, დანარჩენ 66 პირთან ერთად, უკანონოდ მიიჩნია 21 მაისს დ. მუსხელოვის მიერ ჩამოყალიბებული შემადგენლობა. მეტი სიცხადისათვის, საკმარისია ეს სამი პუნქტი (იხ. დანართი N59) შევადაროთ 21 მაისს ამ საკითხზე შედგენილი ოქმის მითითებას (იხ. დანართი N45). და ისმის კითხვა: თუ დ. მუსხელოვის მიერ ფორმულირებული შემადგენლობა უკანონოა, მაშინ რომელი ლოგიკური თანმიმდევრობით შეიძლება აღიარებულ იქნას კანონიერად მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის ყოფილი შემადგენლობა, რომელიც დაუბრუნდა თავისი მოვალეობების შესრულებას იქამდე, სანამ მართვის ორგანოები არ ჩამოყალიბდება კანონიერი გზით იმავე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ, რომელმაც თვითნებურად ჩაიგდო ძალაუფლება და არ აღასრულა თავისი ვალი, არ დარჩა საკუთარ პოსტზე კანონიერი მოადგილის გამოჩენამდე?

თუმცა, აქ არ არის ადგილი თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ამ უცნაურ ჩვეულებაზე სასაუბროდ, დღეს ერთი ამტკიცოს, ხვალ კი სრულიად საწინააღმდეგო, იმისდა მიხედვით, მოცემულ მომენტში ხელს რა აძლევს. მმართველობას კიდევ არაერთხელ მიეცემა შემთხვევა, მიუთითოს ჯამბაკურ-ორბელიანის ამგვარ ჩვეულებაზე, როდესაც საკუთრივ მისი საჩივრის დეტალურ გარჩევაზე გადავა. მანამდე კი არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი კურიოზული ფაქტი. საგანგებო კრებაზე ზემოაღნიშნული წინადადების წარდგენისას, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, სხვებთან ერთად, ძალისხმევას არ იშურებს

დაარწმუნოს 19 ივნისის საგანგებო კრების წევრები, რომ 21 მაისს დახურული მორიგი კრება „კვლავ გრძელდება და მისი საქმიანობა არ შეწყვეტილა“. ამის დასტურად მიუთითებენ „მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელობაზე“.

მიუხედავად ამ ძალისხმევის აბსურდულობისა, მისი მიზანი მაინც ნათელია: დ. მუსხელოვს შეუნარჩუნოს თავმჯდომარეობის უფლება საგანგებო კრებაზეც, სადაც საჭირო იყო თავმჯდომარის არჩევნების ხელახლა ჩატარება. მთელ ამ მისწრაფებაში – საგანგებო კრებამ საქმეში ჩართოს სრულიად ზედმეტი საკითხი იმის შესახებ, იქნას თუ არა ეს უკანასკნელი აღიარებული მორიგი კრების წინადადებად – განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მეორე ჩვეულება, თავისი დებულებების უტყუარობის დასამტკიცებლად მოიხმოს „მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელობა“, თუმცა არ აკონკრეტებს, ალბათ, იმიტომ, რომ ასეთ მნიშვნელობას მოქმედი კანონმდებლობა სავსებით არ შეიცავს.

ასევე, 11 ივნისს ბანკის წევრთა მეორე ჯგუფს საგანგებო კრებაზე გასატანად შემოაქვს 56 პირის მიერ ხელმოწერილი 7 ივნისით დათარიღებული წინადადება. მასში საუბარია 20 მაისის არჩევნების დროს დაშვებულ სხვადასხვა სახის უზუსტობებზე, ასევე გაზეთ «Кавказ»-ის 2 ივლისის N144-ში დაბეჭდილ თავადი მაჩაბლის წერილზე, ბანკში ამ უკანასკნელის ქმედებებზე 21 მაისის შემდეგ, ასევე, მმართველობის ქმედებებზეც. წინადადებაში აღნიშნულია მორიგი კრების შემდეგ ბანკში გამეფებული უწესრიგობის ფაქტი და ბოლოს მთავრდება ასე: „დაწესებულების ამგვარი შინაგანაწესის გამო, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განსაკუთრებით ვიზრუნოთ ბანკის საქმეების მსვლელობისას წესრიგის დამყარებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასწორად მივიჩნევთ წინა მორიგ კრებაზე ბანკის წევრების-

როგორც მმართველობის, ისე შემფასებელი კომისიის წევრების – სხვადასხვა თანამდებობაზე არჩევას და გთავაზობთ: 1) აღნიშნული არჩევნები მთლიანად ბათილად იქნას აღიარებულ და ხელახლა იქნას არჩეული მმართველობისა და შემფასებელი კომისიის წევრები იმავე თანამდებობებზე; 2) მომავალ რიგგარეშე საერთო კრებას ეცნობოს მმართველობისა და მისი წევრის, თავადი მაჩაბლის, ქმედებების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბანკში მორიგი კრების დახურვის დღიდან მოყოლებული ამ დრომდე; 3) ყველა ამ საკითხის შესახებ მოხსენება განსახილველად და გადასაწყვეტად წარედგინოს საგანგებო კრებას, რომელიც დანიშნულია 19 ივნისს“ (იხ. დანართი N60).

წესდების 82-ე პარაგრაფის მითითებიდან გამომდინარე, წინადადება, რომელსაც ხელს აწერს ბანკის 50 წევრი და წარდგენილია კრების გახსნამდე შვიდი დღით ადრე, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას გატანილი საერთო კრებაზე, მორიგი იქნება იგი თუ რიგგარეშე, მმართველობის და სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნასთან ერთად. ამ წინადადებასთან დაკავშირებით მმართველობამ მისცა თავისი დასკვნა და სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნასთან ერთად წარადგინა საგანგებო კრებაზე განსახილველად და გადასაწყვეტად.

ამათგან 67 წევრის მიერ ხელმოწერილი პირველი წინადადება მმართველობამ 15 ივნისს განიხილა და მის შესახებ დასკვნა წარუდგინა სამეთვალყურეო კომიტეტს, რომელმაც, იხელმძღვანელა რა აღნიშნული დასკვნით, ეს წინადადება რეაგირების გარეშე დატოვა და გადაწყვიტა, ამის თაობაზე ეცნობებინა საგანგებო კრებისათვის (იხ. მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნა, დანართი N61 და N67). მმართველობის მოხსენებაში, რომელიც 56 წევრის მიერ ხელმოწერილ მეორე წინადადებას შეეხება (იხ. დანართი N62), ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებანი: მმართველობის

მიერ წევრთა სიების, საარჩევნო ფურცლების, ბილეთებისა და მინდობილობების შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ 20 მაისს ბურთების საშუალებით კენჭისყრის დროს ხმა მისცა 28 ისეთმა პირმა, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო, არ ჰქონდათ კენჭისყრაში მონაწილეობის არავითარი უფლება. ამ პირების შესახებ ნათქვამია მმართველობის 1896 წლის 17 ივნისის მოხსენებაში (იხ. დანართი N62) და მასზე თანდართულ განსაკუთრებულ სახელობით სიაში (იხ. დანართი N63). აქვეა საუბარი იმ საფუძვლის შესახებაც, რომლის მიხედვითაც მათი არჩევნებში მონაწილეობა უკანონოდ უნდა იქნას აღიარებული. მმართველობის მოხსენება ბანკის 56 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადების ამ მონაკვეთთან დაკავშირებით შემოიფარგლება მხოლოდ 20 მაისის კენჭისყრაში 28 პირის სათანადოდ მონაწილეობის შესახებ ფაქტების მითითებით და თავს იკავებს მათი შეფასებებისაგან. მასში გადმოცემულია მმართველობის დადგენილება: აღნიშნული მოხსენება განსახილველად წარედგინოს საგანგებო კრებას, თანახმად მოსმენილი, ბანკის 56 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადებისა და მასზე თანდართული იმ ფაქტების ნუსხისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1896 წლის 20 მაისის კენჭისყრის დროს. ამ ნუსხას, ასევე, თან ახლავს იმ პირთა სახელობითი სია, რომელთაც ეს ფაქტები უშუალოდ შეეხოთ (იხ. დანართი N63). იმავე 17 ივნისს, ბანკის 56 წევრის წინადადების თანახმად, მმართველობამ, ასევე, შეადგინა მოხსენება ბანკის მმართველობისა და მისი წევრის, თავადი ი. მაჩაბლის, ქმედებებთან დაკავშირებით. ორივე მოხსენება დასკვნისათვის გადაეგზავნა სამეთვალყურეო კომიტეტს.

პირველ მოხსენებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო კომიტეტმა მმართველობის მიერ გადმოცემული მონაცემები სარწმუნოდ მიიჩნია და თავის მხრივ დაადგინა, რომ 20 მაისის კენჭისყრაში კიდევ 25 პირი მონაწ-

ილეობდა მინდობილობებით, რომლებშიც იორამ ბეჟანის ძე ხერხეულიძე ხელს აწერს ხან როგორც მოწმე და ხან როგორც მრწმუნებელი. მისი ხელმოწერები კი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილად, ვინაიდან ბანკის საქმეებში არსებული იორამ ბეჟანის ძე ხერხეულიძის ხელმოწერა სრულიად განსხვავდება ხსენებულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ხელმოწერებისაგან. ამიტომაც მმართველობის მოხსენებაში მითითებულ ხმათა რაოდენობას (28) კიდევ უნდა დაემატოს 25 ხმა, რომელთაც დარღვევით მიიღეს მონაწილეობა 20 მაისის კენჭისყრაში. აქედან გამომდინარე, 20 მაისის არჩევნები უნდა ჩაითვალოს ბათილად და ბანკის 56 დამაარსებლის განცხადების თანახმად, მის ნაცვლად უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები. ასეთი დასკვნა წარადგინა დასამტკიცებლად სამეთვალყურეო კომიტეტმა საგანგებო კრებაზე. ხოლო რაც შეეხება მმართველობის მეორე მოხსენებას, სამეთვალყურეო კომიტეტმა განიხილა ფაქტობრივი მითითებები მმართველობისა და მისი წევრის, თავადი ი. მაჩაბლის, ქმედებებთან დაკავშირებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა 21 მაისის შემდეგ და დაადგინა: თავადი მაჩაბლის ქმედებები აღიარებულ იქნას ძლაუფლების გადამეტებად, რაც აშკარად დაწესებულების საზიანოდაა მიმართული და ამის შესახებ დასკვნა განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს საერთო კრებას. სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნები მმართველობის ორივე მოხსენებასთან დაკავშირებით გადმოცემულია კომიტეტის 1896 წლის 17 ივნისის სხდომათა ოქმში (იხ. დანართი N67).

ამგვარად, 19 ივნისის რიგგარეშე კრებაზე განსახილველ საკითხებს შორის, წესდების &82 ძალით, აუცილებლად უნდა ყოფილიყო როგორც 67, ასევე 56 წევრის მიერ ხელმოწერილი წინადადება, მმართველობის ორი მოხსენება ამ წინადადებებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით და მათ შესახებ მმართველობისა და

სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნები. თავისთავად ცხადია, რომ ეს წინადადებები, რომლებიც მხოლოდ 11 ივნისს შემოვიდა, ე.ი. რიგგარეშე კრების გახსნამდე შვიდი დღით ადრე და განხილულ იქნა მართვის ორგანოების მიერ მხოლოდ 15 და 17 ივნისს, ვერ გამოქვეყნდებოდა გაზეთებში კრების დღემდე ორი კვირით ადრე, როგორც ამას ადგენს წესდების 82-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს ჩვეული წესით წინასწარ აღძრულ და განსახილველად შემოთავაზებულ საქმეთა არსი.

რიგგარეშე კრება დაიწყო 19 ივნისს და დამთავრდა 21 ივნისს. მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა კრე-ბის სხდომებზე, გადმოცემულია 10, 20 და 21 ივნისის ოქმებში (იხ. დანართი NN 68, 69 და 70), ხოლო უფრო დაწვრილებით – ადგილობრივი გაზეთების ანგარიშებ-ში- «Кавказ»-ის 21, 22 ივნისის NN 163, 164 და «Новое Обозрение»-ს 20, 21 და 22 ივნისის NN 4285, 4286 და 4287, რომლებიც ამ ოქმებს ერთვის.

რიგგარეშე კრების ქმედების შედეგები იყო: 1) თავადი მაჩაბლის მიმართ საყვედური მისი ქმედებების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბანკში 21 მაისის შემდგომ; 2) მმართველობის თავმჯდომარისა და წევრების, ასევე სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობის, ქმედებათა შექება, რამდენადაც მათ აღასრულეს საკუთარი ვალი და აგრძელებენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას მანამ, სანამ მართვის ორგანოები კანონიერი გზით არ ჩამოყალიბდება; 3) სამსახურიდან ვადამდე წასული სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობისა და მმართველობის თავმჯდომარის მოწვევა ბანკში მუშაობის გასაგრძელებლად და 4) 20 მაისის არჩევნების ბათილად გამოცხადება და ახალი არჩევნების ჩატარება მმართველობის ორი წევრის, ასევე ყველა დანარჩენი თანამდებობის პირის ასარჩევად, რომელთაც ვადის გასვლის გამო დატოვეს თანამდებობები 1896 წელს.

ყველა, ვინც 20 მაისს იყრიდა კენჭს და ვინც ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა, დასთანხმდა ხელახალ კენჭისყრას. გამონაკლისს წარმოადგენდნენ თავადი ი. მაჩაბელი და დიმ. ყიფიანი, რომელიც კენჭს იყრიდა შემფასებელი კომისიის წევრობაზე. კენჭისყრის შედეგად მმართველობის წევრებად არჩეულ იქნენ უგანათლებულესი თავადი მ. გრუზინსკი (783 მომხ. და 7 მოწინ.) და ქ. მამაცოვი (763 მომხ. და 26 მოწინ.); შემფასებელი კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ თავადები ლ. ჩერქეზოვი (786 მომხ. 4 მოწინ.) და ნ. თუმანოვი (708 მომხ. და 82 მოწინ.). ყველა მათგანისთვის არჩეულ იქნენ სათანადო რაოდენობის კანდიდატები.

ამგვარად, იქიდან გამომდინარე, რომ გადამდგარი პირები რიგგარეშე კრების დაჟინებული მოთხოვნით, დარჩნენ თავიანთ თანამდებობებზე, მმართველობის ამჟამინდელი შემადგენლობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: თავმჯდომარე თავადი ი. ჭავჭავაძე და წევრები: თავადები დ. ავალოვი, მ. გრუზინსკი და პოლკოვნიკი ქ. მამაცოვი. სამეთვალყურეო კომიტეტი კი უწინდელი შემადგენლობით რჩება ვადის გასვლამდე.

– – – – – – – – – – – –

ამ გრძელი, თუმცა აუცილებელი, გამოსვლით ამთავრებს მმართველობა თავისი ახსნა-განმარტების ისტორიულ ნაწილს. მმართველობის აზრით, ეს ნაწილი გამოგვადგება, პირველ რიგში, იმ სამწუხარო მდგომარეობის გასაგებად, რომელშიც თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ადმინისტრაცია იმყოფება 1890 წლიდან იმის გამო, რომ მმართველ ორგანოებს ბანკის საქმეების მიმართ გაუჩნდა, თითქოსდა, შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულება. ამგვარ დამოკიდებულებას კი, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნებით, გამოხატავდა თავადი ი. მაჩაბელი და მთელი მისი ხროვა, რომელიც ოპოზიციის სახელითაა განთქმული. ხოლო, მეორეს მხრივ, ახსნა-განმარტების ეს ნაწ-

ილი იმ მოვლენათა გარკვევაში დაგვეხმარება, რომლებიც თან სდევდა როგორც მორიგ, ისე რიგგარეშე საერთო კრებას.

შემდეგ, მმართველობა საგაგნგებოდ გადადის თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივარზე და ყურადღებას ამახვილებს საჩივრის ავტორის იმ თვითნებობაზე, რომელსაც იგი იჩენს ფაქტების დადგენისას, ფაქტებისა, რომლებიც სრულიად ეწინააღმდეგება წერილობითი დოკუმენტებით დადასტურებულ ფაქტებს. მმართველობამ ზემოთაც არაერთხელ აღნიშნა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის განსაკუთრებული უნარი, არ შერცხვეს იმის მტკიცება, რაც სავსებით უარიყოფა დოკუმენტური მონაცემებით, თუმცა ამით ვერ აღმოფხვრა მსგავსი სახის შემთხვევები. როდესაც საგანგებოდ განვიხილავთ მისი საჩივრის ღირსებას, ამგვარი შემთხვევების ჩამოთვლა აუცილებელია იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, რომ კომპეტენტური პირები სასამართლოზე მის ჩვენებებს ენდონ.

ასე, მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ შემდეგ ფაქტებზე:

ა) ბ-ნი მინისტრის 5 აპრილის დადგენილება N5672 სარევიზიო ანგარიშის ამონაწერთან ერთად, რომელიც მმართველობამ მხოლოდ 16 აპრილს მიიღო, სამეთვალყურეო კომიტეტს გადაეგზავნა 18 აპრილს ნომრით 2350 შემდეგი შინაარსის ქაღალდთან ერთად:

„ბანკის მმართველობას აქვს პატივი, სამეთვალყურეო კომიტეტის განხილვაზე წარადგინოს ბ-ნი ფინანსთა მინისტრის 5 აპრილის გამოხმაურება N5672 გასულ 1895 წელს ჩატარებულ ბანკის სამთავრობო რევიზიასთან დაკავშირებით და ასევე, რევიზიის შესახებ ანგარიშიდან ამონაწერი. ამით ბ-ნი მინისტრი სვამს საკითხს – აღნიშნული ანგარიში განსახილველად წარედგინოს ბანკის წევრთა საერთო კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქ-

ნას ძალზე მოკლე დროში. ბანკის მმართველობა, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ *ბ-ნი მინისტრის მოთხოვნა ახლავე შეიძლება შესრულდეს და რევიზიის შესახებ ანგარიში განხილულ იქნას მომდევნო (20აპრილის) საერთო კრებაზე. რამდენადაც საერთო კრებამ, ამასთანავე, საქმის უკეთ გაცნობის მიზნით, შეიძლება მოისურვოს ანგარიშის რამდენიმე ეგზემპლარი დაბეჭდილი სახით, მათი დაბეჭდვის შესახებ საჭირო ახსნა-განმარტების მოთხოვნის შესაბამისად შესაძლოა სპეციალურად ამ საკითხისთვის დაინიშნოს რიგგარეშე კრება“* (იხ. დანართი N65).

ამ ქაღალდის აზრი ნათელია, თუ, რა თქმა უნდა, ვინმეს არ სურს განზრახ გააბუნდოვანოს ან დაამახინჯოს იგი. მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ბ-ნი მინისტრის მოთხოვნის შესრულება ახლავეა შესაძლებელი, ხოლო ანგარიში განხილულ უნდა იქნას მომდევნო საერთო კრებაზე. ამ მხრივაც გასაგებია სამეთვალყურეო კომიტეტისათვის გადაგზავნილი მმართველობის ქაღალდი და ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის 18 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია: „მოისმინეს სამთავრობო რევიზიის შესახებ ბანკის მმართველობის მოხსენება და, ამასთანავე, ამ რევიზიასთან დაკავშირებული ბ-ნი ფინანსთა მინისტრის 5 აპრილის N5672 წინადადება. დაადგინეს: ეთანხმებიან რა სამთავრობო რევიზიის შესახებ ბანკის მმართველობის მოსაზრებას და ამავე რევიზიასთან დაკავშირებით ბ-ნი ფინანსთა მინისტრის წინადადებას, გადაწყვიტეს, ეს ყოველივე მომდევნო საერთო კრებაზე გაიტანონ განსახილველად (იხ. დანართი N66).

შემდეგ ამ ქაღალდში გადმოცემულია მმართველობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბანკის წევრების მიერ რევიზიის ანგარიშის უკეთ გაცნობის მიზნით, საჭირო იყო მისი დაბეჭდვა. ამის განსახილველად კი შესაძლოა დანიშნულიყო რიგგარეშე კრება. ეს მით

უფრო მოსალოდნელი იყო, ვინაიდან 16-დან 20 აპრილამდე შუალედში, წესდების 82-ე პარაგრაფით მოთხოვნილი მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნების მომზადების მოსწრება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც რევიზიის ანგარიშიდან გამომდინარე წამოიჭრა, ასეთ მოკლე დროში ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. დიდ დროს მოითხოვდა, ასევე, სარევიზიო ანგარიშის დაბეჭდვაც. საჭირო იყო მის ტიპოგრაფიისთვის გადაწერა, დაბეჭდვა, ბროშურებად აკინძვა და ა.შ. მმართველობა 18 აპრილს ვერ ივარაუდებდა იმას, რომ მორიგი საერთო კრების სესია მთელი თვე გაგრძელდებოდა. ამიტომაც, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა სამეთვალყურეო კომიტეტისათვის მიეთითებინა, რომ შესაძლებელი იყო რევიზიის ანგარიშთან დაკავშირებით რიგგარეშე კრების მოწვევა, ხოლო იქამდე მოახლოებული კრებისათვის მოეხსენებინა როგორც ბ-ნი მინისტრის დადგენილება, ისე ამონაწერი რევიზიის შესახებ ანგარიშიდან.

რას უშვრება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მმართველობის ამ ქაღალდის ყველასთვის ნათელ მნიშვნელობას? თავისი საჩივრის მე-2 გვერდზე, ხოლო შემდეგ ამავე საჩივრის ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-16 გვერდზე იგი ირწმუნება, რომ ბ-ნი მინისტრის დადგენილება და რევიზიის ანგარიში სამეთვალყურეო კომიტეტში გადაიგზავნა რიგგარეშე კრებაზე გასატანად.

ეს კიდევ არაფერი: თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი საჩივრის მე-3 გვერდზე სრულიად მოურიდებლად ირწმუნება, რომ მმართველობის უმრავლესობა (რა თქმა უნდა, თავადი ი. მაჩაბლის გამოკლებით) და მასთან ერთად სამეთვალყურეო კომიტეტი, *ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა* საერთო კრების წევრების მიერ მოთხოვნილ როგორც ბ-ნი მინისტრის დადგენილების, ისე რევიზიის ანგარიშის ამონაწერის დაბეჭდვას. ამ დო-

კუმენტების დაბეჭდვის საკითხი 22 აპრილის მორიგ საერთო კრებაზე წამოიჭრა. მანამდე კი, ჯერ კიდევ 18 აპრილს, როგორც ეს ჩანს ამ დღეს გადაგზავნილი ქაღალდიდან N2350, მმართველობამ თავად გამოთქვა სამეთვალყურეო კომიტეტის წინაშე აღნიშნული დოკუმენტების დაბეჭდვის სურვილი. გარდა ამისა, საერთო კრების 22 აპრილის ოქმში (იხ. დანართი N20) მინიშნებაც კი არაა სადმე იმის შესახებ, რომ კრების რომელიმე წევრი, მით უფრო მართვის ორგანოებიდან, ეწინააღმდეგებოდა და თანაც, ჯიუტად, მინისტრის დადგენილებისა და რევიზიის ანგარიშის ამონაწერის დაბეჭდვას. პირიქით, ეს საკითხი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაწყდა კრებაზე მმართველობის ქაღალდში გადმოცემული წინადადების მიხედვით, კერძოდ, წინასწარ იქნას გამოთხოვილი საკრედიტო კანცელარიის ნებართვა დაბეჭდვაზე, რაც შესრულდა კიდეც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ცხადია, რომ სინამდვილე, რომელიც დასტურდება დოკუმენტური მონაცემებით, ერთს ამბობს, ხოლო თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის წარმოსახვა სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი არ სჯერდება ამგვარი ფაქტების გამოგონებას, იგი ჩვეულებისამებრ თავის მოწინააღმდეგეთა გულისთქმასაც ხვდება და ამტკიცებს, რომ მათ, თითქოს, ყოველივე ეს გააკეთეს, იმისათვის, რათა კრებას არ დაეწყო *ბ-ნი მინისტრის დადგენილებისა და სარევიზიო ანგარიშის, როგორც მათი „უმსგავსო“ საქმიანობის მამხილებელი დოკუმენტების, დაწვრილებითი შესწავლა.* იმის გამო, რომ მმართველობა 18 აპრილსს გაგზავნილ ქაღალდში (იხ. დანართი N66) სარევიზიო დოკუმენტების დაბეჭდვის აუცილებლობას ასაბუთებს ბანკის წევრთა სურვილით, უკეთ გაეცნონ როგორც ბ-ნი მინისტრის მითითებას, ისე რევიზიის შესახებ ანგარიშს, თითქოს, აღარ არსებობს საჭიროება იმისა, რომ თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა კვლავ მიმართოს თავის საყვარელ

ჩვეულებას, გამოიცნოს სხვათა გულისთქმა და მით უფრო გააშუქოს ფაქტები, რომლებიც მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია. თუმცა საქმე ამაში როდია.

ძნელად წარმოსადგენია, რომ კრების წევრთა მიერ ბ-ნი მინისტრის მითითებისა და სარევიზიო ანგარიშიდან ამონაწერის დაწვრილებით გაცნობის აუცილებლობა გულწრფელად ჰქონდა გაცნობიერებული თავად ჯამბაკურ-ორბელიანს და ეს არ წარმოადგენდა მის მიერ გზადაგზა წამოსროლილ ცარიელ ფრაზას, რათა მართვის ორგანოებისთვის კიდევ ერთხელ მოეხვია თავს ის, რაც მათ მოვალეობას არ წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯამბაკურ-ორბელიანი თავადვე შეიკავებდა თავს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც აშკარად ამხელს მის მცდელობას, არ მისცეს კრებას საშუალება, რომ ეს უკანასკნელი გაერკვეს ხსენებულ დოკუმენტებში, რაც უმრავლესობისათვის მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. 21 აპრილის კრების ოქმი (იხ. დანართი N19) და კიდევ უფრო ნათლად, გაზეთ «Кавказ»-ის 23 აპრილის N107 ანგარიში, მოწმობს იმას, რომ ჯერ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, ხოლო შემდგომ მასთან ერთად ე. წ. ოპოზიციაც, ეწინააღმდეგებოდა მართვის ორგანოთა მოთხოვნას, წაკითხულიყო ხსენებული დოკუმენტები თავისი საჭირო განმარტებებითურთ, რაც გაცილებით უფრო ეხმარება მსმენელს წაკითხულის ბოლომდე გააზრებაში, ვიდრე ერთი უბრალო წაკითხვა, თუნდაც დაბეჭდილი ეგზემპლარისა, მაშინ, როდესაც მკითხველი სათანადოდ არ არის მომზადებული წაკითხულის გასაგებად. მმართველობის ამ ახსნა-განმარტების წინა ფურცლებიდან, ასევე, სხვა დოკუმენტებიდან, ჩანს, თუ როგორ ჯიუტად ცდილობდნენ მართვის ორგანოები, მიეღწიათ იმისთვის, რომ ფინანსთა სამინისტროს წაეკითხა ხსენებული ქაღალდები თავისი განმარტებებიანად, რასაც მხოლოდ ოპოზიციის წევრები, განსაკუთრებით კი, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ეწინააღმდეგებო-

და. ახლა კი სწორედ ეს ჯამბაკურ-ორბელიანი აძლევს თავს უფლებას, მმართველობასა და სამეთვალყურეო კომიტეტს ბრალი დასდოს კრების წევრთათვის წინააღმდეგობის გაწევის მცდელობაში – არ გაეცნონ დაწვრილებით რევიზიის შესახებ დოკუმენტებს და ამის დასამტკიცებლად მოურიდებლად იმოწმებს მის მიერვე გამოგონილ ფაქტებს.

ბ) მე-5 გვერდზე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ცდილობს დაარწმუნოს ფინანსთა სამინისტრო, რომ მმართველობამ „ისარგებლა მის მიერ მოგროვილი ხმების დროებითი უმრავლესობით და უკუაგდო წინადადება სამინისტროს მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებისა და სამთავრობო რევიზიის ანგარიშის სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ“.

სამთავრობო რევიზიის ანგარიშის სახელმძღვანელოდ მიღება – ეს ფრაზა არც ისე ნათელია და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ამ ფრაზის ავტორი სავსებით არ იცნობს საკითხის იმ ფორმალურ და იურიდიულ მდგომარეობას, რასაც უკავშირდება საკუთრივ ეს ფრაზა. ზოგადად, რევიზიის ანგარიში წარმოადგენს გამოკვლეულ ფაქტთა ერთობლიობას და რევიზიაჩატარებული დაწესებულების წესი, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან ერთად, შესაძლოა შეიცავდეს ძალზე მნიშვნელოვან მითითებებს აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებისა და საქმის მომავალი წარმატებისათვის, იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტია, რომლის მითითებებიც ხელმძღვანელობისათვის სავალდებულო უნდა იყოს. იმისთავის, რომ ამ მითითებებს მიენიჭოს სავალდებულო წესის ძალა, საჭიროა გარკვეული პროცედურა და სათანადო ორგანოს სანქცია. ამ თვალსაზრისით, მიეცა მმართველობის თავმჯდომარეს ამ საკითხთან დაკავშირებით 8 მაისის განმარტება (იხ. დანართი N32). თავად ჯამბაკურ-ორბელიანს არ სურს გაიგოს ეს მარტივი, კანონიერი და ლოგიკური მოთხოვნა და იმ ფაქტში,

რომ არ იქნა სახელმძღვანელოდ მიღებული ბ-ნი რევიზორის ზომები და მითითებები, იგი ხედავს უკანონობას და *მეცნიერების უმარტივესი საწყისებიდან* გადახვევას (იხ. საჩივრის მე-4 გვ.). საინტერესო ისაა, რომ იგი მეცნიერებასა და მის საწყისებს იმოწმებს. ეს მისი ჩვეული მანერაა – აზრის უბადრუკობა დაფაროს ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით.

კიდეც რომ მივიჩნიოთ მმართველობისათვის თავისთავად სავალდებულოდ რევიზიის ანგარიშით შემოთავაზებული ზომები, ან ამ შემთხვევაში სად არის მტკიცებულება იმისა, რომ მმართველობამ უარყო წინადადება, სახელმძღვანელოდ მიეღო სამთავრობო რევიზიის ანგარიში? მორიგი კრების 10 და 11 მაისის ოქმებში (იხ. დანართი NN 34 და 35) მართვის ორგანოთა მიერ შეთავაზებული და საერთო კრების მიერ მიღებული რეზოლუციაგადმოცემულია შემდეგი სიტყვებით: „მხედველობაში იქნას მიღებული ყველა წარდგენილი და განხილული ქაღალდი და ბ-ნმა რევიზორმა რაც შეიძლება მოკლე დროში მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა *ყველა წამოჭრილი საკითხის* გადასაწყვეტად“. ბრალდების როგორ ინკვიზიციურ საშუალებასაც არ უნდა მივმართოთ, შეუძლებელია ამ რეზოლუციაში დავინახოთ ის, რაც სურს, რომ დაინახოს ჯამბაკურ-ორბელიანმა თავისი უნარის წყალობით – გამოიცნოს, რა ხდება სხვათა გულებში.

რაც შეეხება იმას, რომ, თითქოს, მმართველობამ უარყო ოპოზიციის წინადადება მინისტრის მითითების დაუყოვნებლივ შესრულების თაობაზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ საჩივრის ავტორის თამამი გამონაგონია.

ჯერ კიდევ 1896 წლის 26 აპრილს შედგა მმართველობის ჟურნალი, რომელშიც ნათქვამია: „განიხილებოდა თავადი ავალოვის (მმართველობის წევრის) მიერ წამოჭრილი საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შესრულებულიყო ფინანსთა მინისტრის 1896 წლის 5 აპრი-

ლის წინადადება N5672; დაადგინეს: ამ წინადადებაში არსებული ყველა მოთხოვნა შესრულდეს დაუყოვნებლივ, გარდა ერთისა, რომელიც შეეხება სუფთა შემოსავლიანობის კაპიტალიზაციის გზით გირაოთა ღირებულების განსაზღვრის წესის შეცვლას. ეს უკანასკნელი, სათანადო დასკვნით, შეტანილ იქნას ბანკის წევრთა საერთო კრების განხილვაზე“. ამ დადგენილებას ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აწერს ხელს მმართველობის თავმჯდომარე თავადი ჭავჭავძე და მმართველობის წევრები, თავადები: მაჩაბელი, გრუზინსკი და ავალოვი (იხ. დანართი N73).

მორიგი კრების სხდომაზე, 8 მაისს (იხ. დანართი N32) მმართველობის თავმჯდომარემ ამ ჟურნალის დადგენილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბ-ნი მინისტრის წინადადება ეხება მხოლოდ მმართველობას და საერთო კრების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მისთვის იქნება სავალდებულო იმდენად, რამდენადაც ეს გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნების შესაბამისი იქნება, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კრება თუ გადაწყვეტდა, არ შესრულებულიყო ბ-ნი მინისტრის წინადადება, მმართველობა ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა.

ამის შემდგომ, 25 ივნისს მმართველობაში შედგა ჟურნალი, სადაც ნათქვამია: „ იმსჯელეს ფინანსთა მინისტრის 1896 წლის 5 აპრილის N5672 წინადადებასთან დაკავშირებით, – დაადგინეს: 1) რევიზიის ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით მოიქცნენ მორიგი საერთო კრების 1896 წლის 11 მაისის დადგენილების თანახმად; 2) ყველა მამული, რომელსაც ამჟამად ბანკი განკარგავს ზემოთ დაგდენილ ვადაში, დაუყოვნებლივ დაუმტკიცდეს ბანკს, ხოლო შემდეგ გაიყიდოს; 3) სოფლის მამულებიდან მიღებული სუფთა სარგებლის კაპიტალიზაციისა, ასევე ქალაქის მამულებისა და უბრალო ბინების შეკეთების ხარჯების ანარიცხების საკითხი განსახ-

ილველად წარდგენილ იქნას თავისი დასკვნით რიგგარეშე კრებაზე; ამის თაობაზე ეუწყოს ბატონ მინისტრს და საერთო კრებამ სთხოვოს მას, რომ შეფასების ინსტრუქციის აღნიშნული წესით შეცვლამდე ნება მისცეს კრებას, იმოქმედოს არსებული წესების საფუძველზე; 4) არ შეჩერდნენ ბანკის საქმისწარმოების და ანგარიშწარმოების წესის იმ გაუმჯობესებებზე, რომელთაც აღგილი ჰქონდა რევიზიის დროს და ბ-ნი მინისტრის წინადადების მიღებამდე; ასევე, მიღებულ იქნას შემდგომი ზომები ბუხჰალტერიისა და კანცელარიის საქმიანობის მოსაწესრიგებლად; 5) მომავლისთის დაუყოვნებლივ შედგეს სათანადო მიმაგრების აქტები ყველა იმ მამულზე, რომლებსაც ბანკი განკარგავს მეორედ გამართული საჯარო ვაჭრობის შემდეგაც (იხ. დანართი N75).

მმართველობის დადანაშაულება იმაში, რომ თითქოს მან უარყო წინადადება მინისტრის მითითების დაუყოვნებელი შესრულების შესახებ, მაშინ, როცა დოკუმენტური მონაცემები სრულიად საწინააღმდეგოს მოწმობენ, მართლაც რომ გასაოცარ სითამამეს მოითხოვს.

გ) დიდად ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მუდმივად ცდილობს თავადი ი. მაჩაბლის სულ მცირე ნაბიჯიც კი ფინანსთა სამინისტროს წინაშე საგმირო საქმედ და განსაკუთრებული დამსახურებად წარმოაჩინოს. ასე, მაგალითად, თავისი საჩივრის მე-4 გვერდზე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი აღნიშნავს, რომ მმართველობისა (რასაკვირველია, გამონაკლისია თავადი ი. მაჩაბელი) და სამეთვალყურეო კომიტეტის უმრავლესობამ არ შეასრულა მითითებული კაპიტალიზაცია არა 6%-დან, არამედ 7 %-დან. შემდეგ, თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-16 და მე-17 გვერდებზე ჯამბაკურ-ორბელიანი, ალბათ, მმართველობის უმაღლესი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საჩვენებლად და ამ დანაშაულთან ი. მაჩაბლის გმირული მორჩილების შესაპირისპირებლად, აღნიშნავს, რომ „მიუხე-

დავად მმართველობის წევრის, თავადი ი. მაჩაბლისა და ბანკის სხვა წევრების განმარტებისა, დაუყოვნებლივ შესრულებულიყო ბ-ნი მინისტრის მითითება, რომელიც შეეხება უძრავი ქონების სუფთა შემოსავლის კაპიტალიზაციას არანაკლებ 7%-დან (ახსნა-განმარტებისა, რომელიც დამტკიცდა თავადი მაჩაბლის წერილობითი განცხადებით), ბანკის მმართველობის უმრავლესობამ უარი თქვა ამ ზომის აღსრულებაზე და არ ასრულებდა ივნისის თვემდე".

რაც უნდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის თვალსაზრისით, თავადი ი. მაჩაბლის დამსახურება, ეს მაინც არ აძლევს საჩივრის ავტორს იმის უფლებას, რომ აღნიშნავს რა ამ გმირობას, იქვე არ ახსენოს, რომ, როდესაც იგივე ი. მაჩაბელი საკუთარ ნება-სურვილს გამოხატავდა და არა ოპოზიციის ნაკარნახევს, სავსებით სხვა აზრის იყო 7%-დან სუფთა შემოსავლის კაპიტალიზაციაზე. მმართველობის 26 აპრილის დადგენილებაში (იხ. დანართი N73), რომელსაც ი. მაჩაბელი ყოველგვარი შენიშვნის გარეშე აწერს ხელს, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მმართველობამ ბ-ნი მინისტრის 5 აპრილის ყველა მითითება მიიღო დაუყოვნებელ აღსასრულებლად, გარდა სწორედ ამ მოთხოვნისა- მოეხდინა მამულებიდან მიღებული სუფთა შემოსავლის 7%-დან კაპიტალიზაცია. თავადი მაჩაბლისთვის არაა ახალი, უარყოს დღეს ის, რასაც გუშინ ამტკიცებდა და იმისდა მიხედვით იცვალოს აზრი, იმის მიხედვითრა უფრო აძლევს ხელს პირადად მას მოცემულ მომენტში. ამიტომაც სრულიად უსაფუძვლო იქნება დავის საგნად ვაქციოთ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მითითება, რომ თავადმა ი. მაჩაბელმა ამჯერადაც არ უღალატა თავის ჩვეულებას, როდესაც როგორც ოპოზიციის მეთაურმა, უარი თქვა იმაზე, რაც 26 აპრილს აღიარა, როგორც მმართველობის წევრმა.

თავადი ი. მაჩაბლის ასე ხშირად გამოვლენილ გასაო-

ცარ უნარს, ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ჰქონდეს ორი სავსებით ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება, შეუძლებელია ჯამბაკურ-ორბელიანი არ ჩაეგდო არასასიამოვნო მდგომარეობაში, ვინაიდან სწორედ მან აიღო საკუთარ თავზე, დაერწმუნებინა სამინისტრო, ჯერ თავისი საჩივრის მე-2 გვერდზე, შემდეგ კი მისი ასხსნა-განმარტებითი ბარათის მე-16 გვერდზე, რომ, ზოგადად, თავადი ი. მაჩაბლის მოსაზრებები „უდავოდ სწორია“. რაც არ უნდა უანგაროდ სწამდეს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს მაჩაბლის მოსაზრებათა შეუმცდარობისა, ორი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის არსებობამ შეუძლებელია, არ დაგვაეჭვოს საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული მითითების გულწრფელობასა და ჭეშმარიტებაში, ვინაიდან თუ იგი ერთ აზრს სწორად აღიარებს, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ადასტურებს მეორის სიმცდარეს.

4) თავისი საჩივრის მე-6 გვერდზე ჯამბაკურ-ორბელიანი ამტკიცებს, რომ სამეთვალყურეო კომიტეტი, მისი თავმჯდომარის სახით, *გადაჭრით შეეწინააღმდეგა კრების თავმჯდომარის მიერ მოთხოვნილი სიებისა და მინდობილობების შემოწმებას,* დაიჟინა რა, რომ აღნიშნული დოკუმენტების შემოწმება წარმოადგენდა სამეთვალყურეო კომიტეტის *განსაკუთრებულ უფლებას.* მხოლოდ ოთხდღიანი დაჟინებული მოთხოვნისა და იმის შემდეგ, რაც საკრედიტო ნაწილის სპეციალურმა კანცელარიამ კრებაზე განმარტა, რომ ამომრჩეველთა სიებს ადგენს მმართველობა, კრების დაწყებამდე მოწმდება სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ, ხოლო საერთო კრების სხდომის გახსნის შემდეგ საწარმოებლად გადაეცემა კრების თავმჯდომარეს, ამ განმარტებების შემდეგ არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც კომიტეტის წევრთა დახმარებით კიდევ ერთხელ გულდასმით შეამოწმა სიები და მინდობილობები და ა. შ.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის კადნიერი ჩვეულება, შეიჭრას გამონაგონის სფეროში და იქ ეძიოს იმ ბრალდებათა საფუძველი, რომელსაც უყენებს ბანკის მმართველ ორგანოებს, ამ შემთხვევაში გამოიხატა მხოლოდ ფაქტებისა და გარემოებების დამახინჯებაში. მმართველობის ამ ახსნა-განმარტების 21, 22, 29 და 30-ე გვერდებზე დოკუმენტური მონაცემებით დასტურდება, რომ არავის გაუხდია საკამათოდ, ჰქონდა თუ არა საერთო კრებას სიებისა და მინდობილობების შემოწმების უფლება, უბრალოდ, კრების წევრები წინ აღუდგნენ მუსხელოვის მიერ ამ უფლების თვითნებურად მითვისებას; იგი ყველას არწმუნებდა, რომ კრებამ მიანიჭა ამ შემოწმების მოთხოვნის უფლება მაშინ, როცა კრებისგან არ ყოფილა იგი უფლებამოსილი, არ არსებობს ამის დამადასტურებელი არავითარი ცნობა კრების ოქმებში.

თუკი გავითვალისწინებთ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ შეთვისებულ საზოგადოებრივ ეთიკას, სავსებით გასაგები ხდება მისი არც თუ შესაშური ჩვევა – ერთი მიმართულებით წარმართოს ყოველივე. თუმცა ეს არაფერია მის მეორე, ძალზე თამამ ჩვეულებასთან შედარებით – საკუთარი გამონაგონი განამტკიცოს სხვადასხვა მეცნიერის ან რომელიმე კომპეტენტური დაწესებულების მოსაზრების დამოწმებით; მოსაზრებისა, რომელიც, რამდენადაც მმართველობისთვის არის ცნობილი, სინამდვილეში არც კი არსებობს. ასე გაბედულად იქცევა იგი მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც ამტკიცებს, რომ, თითქოს, საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულმა კანცელარიამ განმარტა, რომ სიებისა და მინდობილობების შემოწმება წარმოადგენდა დ. მუსხელოვის ერთპიროვნულ და თვითნებურ მცდელობას და განკარგულებებს მითითებულ დოკუმენტთა შემოწმებასთან დაკავშირებით და სწორედ კრების თავმჯდომარის ასეთ მოქმედებას ეწინააღმდეგებოდა სამეთვალყურეო კომიტეტი. თუმცა, თბილისის საადგილმამულო ბანკის მმართველობაზე

უკეთ არის განსაკუთრებული კომისიისათვის ცნობილი, თუ რამდენად იმსახურებს მოცემულ შემთხვევაში ჯამბაკურ-ორბელიანის ეს დამოწმება ნდობას. მმართველობისათვის კი უცნობია საკრედტო კანცელარიის განმარტება ამასთან დაკავშირებით.

5) თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5 გვერდზე ამტკიცებს, რომ ბანკის მმართველობამ სისტემად გამოაცხადა ისეთი ყოვლად უაზრო ზომა, როგორიცაა უშენ მიწათა ხანძრისგან დაზღვევა. ვის შეიძლება მივაწეროთ ასეთი მონაჩმახი? თუ ამ მონაჩმახის მიზეზი გახდა რევიზორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მიწების ღირებულება აღემატება ამ მიწებზე არსებულ ნაგებობებას, დაზღვევის საწესდებო მოთხოვნა სესხის სრული ოდენობით და ამისთვის ორი წლის ვადიანი გადასახადების თანხის დამატება ნამდვილად უსამართლობა იქნება, მაშინ ეს საკითხი სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ მონაგონი აბსურდი, რომელიც კიდევ ერთი დასტურია მისი განსაკუთრებული უნარისა, არ წარმოადგინოს საკითხი მთელი სიცხადით. საქმის გაბუნდოვანების, გარემოებებისა და გასაშუქებელი საკითხების დამახინჯების ასეთი სისტემატური მცდელობა ვერ აიხსნება მხოლოდ ამგვარი ხელოვნებისადმი უბიწო სიყვარულით.

აქ არ არის დრო იმისა, რომ განვავრცოთ საუბარი ბ-ნი რევიზორის სამართლიანი მითითების საფუძველზე წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საადგილმამულო ბანკის წარმომადგენელთა ყრილობაზე დაისვა გადასაჭრელად და, როგორც ჩანს, ჯერ ისევ ღიად რჩება. თუმცა, თავად ჯამბაკურ-ორბელიანს რომ ესმოდეს ამ საკითხის მთელი მნიშვნელობა და, ამასთანავე, იცოდეს წესდების მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სესხების ნაწილებად დაყოფა – ცალკე მიწის და ცალკე ნაგებობის – მაშინ ბ-ნი რევიზორის მითითე-

ბაშიც ვერ ნახავდა, ამ მხრივ, რაიმე სასაყვედუროს ბანკის მმართველობის მისამართით, ვინაიდან ვიდრე სხვაგვარად მოეპყრობოდე, ჯერ საჭიროა წესდების 38-ე პარაგრაფის შეცვლა ან დამატების შეტანა.

6) ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5 გვერდზე კი, იჭერს რა მმართველობას შეცდომაში, იგი მიმართვას ისეთივე გამონაგონს, როგორსაც წინა შემთხვევაში. მიუთითებს, რომ თავადი ჩელოკაევის მიერ გაცემული სესხი უზრუნველყოფილია ისეთი მამულებით, რომლებიც აშკარად დაგირავებული იყო ყოფილ უწყებაში. ეს შემთხვევა საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული რევიზორისათვის გადაცემული მმართველობის ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-15 გვერდზე (იხ. დანართი N76). მასში წარმოდგენილი მონაცემები მოწმობენ იმის სრულიად საწინააღმდეგოს, რასაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ამტკიცებს ჯამბაკურ-ორბელიანი. ამდენად, ამ უკანასკნელის მითითება, რომ თითქოს სესხი გაცემულია უწყებაში უკვე დაგირავებული მამულის უზრუნველყოფით, მხოლოდ გამონაგონია, რაც მისთვის ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მისთვის დამახასიათებელია.

7) თუ რამდენად ესმის და იცის თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა საკითხი, რომელსაც ეხება, საკმაოდ რელიეფურად წარმოჩინდება მისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5 გვერდზე გამოთქმული რწმუნებით იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობის უმრავლესობამ (გამონაკლისს წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებში შეუმცდარი თავადი ი. მაჩაბელი) დაადგინა ვადამდელი დაფარვის სრულიად უკანონო და შეუძლებელი ხერხი. რევიზორისათვის გადაცემული მმართველობის ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-12 და მე-13 გვერდებზე (იხ. დანართი N76) დაწვრილებით არის ახსნილი, რომ მმართველობის მიერ ვადამდელი დაფარვის ამჟამად გამოყენებადი ხერხი სწორედ ის ხერხია, რომელიც ნიჟეგორ-

ოდი-სამარის ბანკისათვის იყო რეკომენდებული ჯერ კიდევ 1876 წელს, საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებული კანცელარიის მიერ (იხ. განსაკუთრებული კანცელარიის პასუხი ნიჟეგოროდი-სამარის ბანკს, 1876 წლის 29 ნოემბერი, N16296). აქედან გამომდინარე, თავად განსაკუთრებულ კომისიას აქვს მრავალი საფუძველი იმისათვის, რომ შეედავოს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს და ეჭვი შეიტანოს მის რწმუნებაში მმართველობის მიერ მიღებული ვადამდელი დაფარვის ხერხის *უკანონობასა და შეუძლებლობასთან* დაკავშირებით.

8) თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი საჩივრის მე-8 გვერდზე აღნიშნავს, რომ სხდომის გახსნის მეორე დღეს (20 მაისის შემდეგ) კრების თავმჯდომარეს თითქოს სურდა, შესდგომოდა კრების მიერ მოთხოვნილ კენჭისყრას, *თუმცა ეს არ დაუშვეს* სამსახურიდან გადამდგარმა პირებმა (ე.ი. სამეთვალყურეო კომიტეტისა და მმართველობის უმრავლესობამ). ამ ახსნა-განმარტების 36-ე და 37-ე გვერდებზე კენჭისყრის არდაშვებისა და ასევე, საკუთრივ კრების დახურვის საკითხი საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული. თუმცა, ვინაიდან თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა მოისურვა, ამ მხრივაც ჩრდილი მიეყენებინა ბანკის მმართველი ორგანოებისათვის, აქაც აუცილებლად უნდა გადავამოწმოთ მისი სიმართლისაკენ სწრაფვა ისეთი წეილობითი დოკუმენტის საფუძველზე, რომლის საწინააღმდეგოდაც ვერაფერს იტყვის.

21 მაისის ოქმი (იხ. დანართო №45), რომელიც შედგენილი და ხელმოწერილია თავად დ. მუსხელოვის მიერ, ამიტომაც მის სისწორესა და კანონიერებაში ეჭვი არ ეპარება თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, ამ უკანასკნელმა ყველაზე სარწმუნო წყაროდ უნდა აღიაროს მოცემულ შემთხვევაში. ოქმში კი, ჯამბაკურ-ორბელიანის საწინააღმდეგოდ, ამავე საკითხთან დაკავშირებით, ნათქვამია: თავმჯდომარე, რომელმაც ჩამოაყალიბა მმართველობა, მას შემდეგ, რაც წევრთა უმრავლესობამ უარი განაცხ-

ადა ბანკში ი. მაჩაბელთან ერთად მუშაობის გაგრძელებაზე, აცხადებს: „ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ავირჩიოთ მმართველობის ერთი წევრი პოლკოვნიკ მამაცოვის ნაცვლად, მმართველობის წევრობის სამი კანდიდატი, შემფასებელი კომისიის წევრობის ორი კანდიდატი და სამეთვალყურეო კომიტეტის ცხრა წევრი. იწყება წარმოუდგენელი ხმაური, ყვირიან და უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ საბოლოოდ ასეთი კენჭისყრა აყალიბებს ბანკის ყველა ორგანოს“. აღნიშნული თუ სრულიად არ უარყოფს, ყოველ შემთხვევაში, არც ადასტურებს იმას, რის დამტკიცებასაც ჯამბაკურ-ორბელიანი ცდილობს საჩივრის მე-8 გვერდზე. მიუთითებს რა ოქმი კენჭისყრის ყუთების დადგმისა და კენჭისყრის მსურველ პირთა თავიანთ ადგილებზე დასხდომის შესახებ, იქვე აღნიშნავს: „ისინი, ვისაც არ სურთ მოსალოდნელი კენჭისყრა, აგრძელებენ ყვირილს და ჩხუბს. შეუძლებელია რაიმეს გარკვევა“. ამასთან, დასახელდა მხოლოდ ერთი, ისაც არა მმართველი ორგანოების შემადგენლობაში შემავალი, პირი, ვინც პროტესტი გამოთქვა კენჭისყრის წესის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი სრულიად არ შეესაბამებოდა წესდებას. შემდგომ ეს პირი, თითქოს, პირადად თავმჯდომარეს დაესხა თავს, რამაც კრება კიდევ უფრო ააღელვა. ამის გამო, შეუძლებელი ხდება კენჭისყრის გაგრძელება და თავმჯდომარე სხდომას ხურავს. და ისმის კითხვა: ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განა აშკარა გამონაგონს არ წარმოადგენს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნება იმის შესახებ, რომ დ. მუსხელოვს კენჭისყრის ჩატარების საშუალება არ მისცეს მართვის ორგანოების სწორედ მისთვის არასასიამოვნო წევრებმა? ასეთ გარემოებას რომ ჰქონოდა ადგილი, დ. მუსხელოვი, წესრიგის ასეთი მკაცრი დამცველი და მუდმივად ჩასაფრებული, რამეში გამოიჭიროს მმართველობის წევრთა უმრავლესობა და სამეთვალყურეო კომიტეტი, რასაკვირველია, ასეთ ხელ-

საყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა, რათა პირდაპირ აღენიშნა ეს გარემოება იმ მხრივ, რა მხრივაც ასე მოურიდებლად აღნიშნავს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი. ცხადია, რომ ასეთი გარემოება არც ყოფილა და თუკი, მიუხედავად ამგვარი მოწმობისა, ჯამბაკურ-ორბელიანი მაინც საწინააღმდეგოს ირწმუნება, ეს მხოლოდ მის ჩვეულებას უნდა მივაწეროთ, რაც გულისხმობსიმას, რომ ასე უშიშრად იგონებს სიცრუეს, რომელშიც ასევე, ადვილად ამხელენ მას.

მმართველობის მიერ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ამ აშკარა გამონაგონის აღნიშვნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მუსხელოვისათვის კენჭისყრის თვითნებურად და დადგენილი წესის დაცვის გარეშე ჩატარების უფლების არ მიცემას იგი თვლის საძრახის საქციელად და არა – ვალდებულებად. ამიტომაც, პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამაში, გამართლება არ სჭირდებათ. აქ საქმე გვაქვს ისევ და ისევ საჩივრის ავტორის ჩვევასთან – იცრუოს ყოველგვარი მორიდების გარეშე.

9) ჯამბაკურ-ორბელიანი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5 გვერდზე ირწმუნება, რომ „მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის უმრავლესობამ *იჩქარა* ხარჯთაღრიცხვის და თავადაზნაურობისათვის 50 000 მან. გაცემის ნებართვის დამტკიცება, მიმართა რა ამისათვის საერთო სარგებლობის კაპიტალს *მომავალი* მოგების ხარჯზე. ნუთუ შეეძლო ამის დაჩქარება მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის უმრავლესობას მაშინ, როცა ნებისმიერი დაჩქარებაც და შეფერხებაც მთლიანად დამოკიდებული იყო მხოლოდ კრების თავმჯდომარეზე, რომელსაც მსგავს შემთხვევაში კიდეც მიეცა როგორც დაჩქარების, ისე შეფერხების შესაძლებლობა და გამოიყენა კიდეც? კრების ოქმიდან (იხ. დანართი N72) ჩანს, რომ გადაწყდა თავადაზნაურობისათვის 50 ათასის მიცემა საერთო სარგებლობის კაპიტალიდან, რომელიც განსაზღვრულია 80 000 მან. ოდენობით და

აქედან 50 000 მან. გაცემა შეიძლება საერთო სარგებლობის კაპიტალს შეხებოდა მომავალი მოგების ხარჯზე. ამას თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის გამოგონებისადმი მიდრეკილებით თუ ავხსნით, თორემ შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, რომ 50 ნაკლებია 80-ზე. მაგრამ თუ მას სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში, არაფერი უშლიდა ხელს, ამ მხრივ, საკუთარი აზრი გამოეთქვა.

10) ასეთივე აშკარა სიცრუეს წარმოადგენს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის სხვა რწმუნებაც, რომელიც ასევე, საჩივრის მე-8 გვერდზეა გადმოცემული. ამ რწმუნების მიხედვით, თავადი ი. მაჩაბელი მორიგი კრების დახურვის შემდეგ გარიცხულ იქნა მმართველობის შემადგენლობიდან „და ბანკის მიმდინარე საქმეების გაცნობის უფლებაც კი არ მიეცა“.

მმართველობის ამ ახსნა-განმარტების 38-ე გვერდზე წერლობით დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმოცემულია ი. მაჩაბლის მმართველობის შემადგენლობიდან გასვლის ისტორია. როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ფიქრადაც არავის მოსვლია მმართველობის შემადგენლობიდან თავადი მაჩაბელი გაერიცხა. მან თავისი ნებით თქვა უარი, მონაწილეობა მიეღო ბანკის საქმეებში მართვის ორგანოების იმ წევრებთან ერთად, რომლებიც, ბანკში მუშაობაზე უარის თქმის მიუხედავად, თავიანთ თანამდებობებზე რჩებოდნენ მართვის ორგანოთა კანონიერი გზით ჩამოყალიბებამდე. ამასთანავე, თავადი ი. მაჩაბელისათვის არავის შეუშლია ხელი, შესდგომოდა მოვალეობების შესრულებას, პირიქით, მიუხედავად მისი 28 მაისის განცხადებისა (იხ. დანართი N55 და57), სადაც აღნიშნავს, რომ არ სურს მმართველობის არსებულ შემადგენლობაში ყოფნა, კრების თავმჯდომარის სახელით გაგზავნილი სპეციალური უწყებით მოწვეული იქნა მმართველობის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა არ ინება გამოცხადება. მან არ ჩაიბარა უწყება და გამოუცხადა მმართველობის მდივანს, რომ არ მი-

იღებს არავითარი ქაღალდს, რომელსაც თავადი ჭავჭავაძე აწერს ხელს და არ სურს, რაიმე საერთო ჰქონდეს მასთან (იხ. დანართი N56).

ამ ყოველივეს შემდეგ რა შეიძლება ვუწოდოთ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ი. მაჩაბელი მმართველობის შემადგენლობიდან გარიცხეს და *ბანკის მიმდინარე საქმეების გაცნობის საშუალებაც კი არ მისცეს?*

11) თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, ბრალმდებელის როლით გატაცებულმა, საჩივრის იმავე მე-8 გვერდზე კვლავაც არ გაუწია ანგარიში საკუთარ სიტყვებს, გადაწყვიტა ბანკის მმართველი ორგანოების, და არამარტო მათი, დადანაშაულება. იგი ირწმუნებოდა, რომ სამეთვალყურეო კომიტეტმა არ მისცა თავად მაჩაბელს დრო მმართველობის იმ უკანონო ქმედებების გასაჩივრებისათვის, რომელთაც მაჩაბლის მიმართ ჰქონდა ადგილი 21 მაისს და 19 ივნისისთვის მოიწვია რიგგარეშე კრება. თუ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს ჰქონდა დრო იმისათვის, რომ შეეთხზა ასეთი ვრცელი საჩივარი თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათითურთ და წარედგინა იქ, სადაც საჭიროა, ვინ არ მისცემდა საამისოდ დროს თავადი მაჩაბლისათვის ან რა საშუალებით უნდა ექნა ეს? თავად მაჩაბელს საერთოდ რომ არ მოესურვებინა საჩივრის შეტანა, მაშინ სამეთვალყურეო კომიტეტს, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, რამდენ ხანს უნდა ეცადა მაჩაბლის ამ წყალობისათვის და არ მიემართა წინადადებით ბანკის მეპატრონეთათვის, ანუ მისი წევრებისათვის, რომ ეზრუნათ მმართველობის და სამეთვალყურეო კომიტეტის კანონიერი გზით ჩამოყალიბებაზე იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ორი წევრი და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა უარს იტყოდა ბანკში სამსახურზე? დაბოლოს, ვთქვათ, სამეთვალყურე კომიტეტმა დაუშვა შეცდომა და ისე, რომ არ გაარკვია, სურდა თუ არა თავად მაჩაბელს გასაჩივრება,

ნაჩქარევად მოიწვია რიგგარეშე კრება, მაგრამ შეიძლება ვიკითხოთ: აქ რა დროზე შიძლება იყოს საუბარი? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ თავად მაჩაბელს არ მისცემოდა გასაჩივრებისათვის დრო, თუ მას ეს სურდა, ან ვინ დააკავებდა ამ შემთხვევაში, თავად მაჩაბელს? თუ საგანგებო კრების მოწვევა ისეთი აქტია, რომლის შემდეგაც ყოველგვარი საჩივრის შეტანა იკრძალება? ყველა ამ კითხვაზე პასუხი ერთია: ამჯერადაც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მტკიცება იმავე სისულელეთა სფეროს მიეკუთვნება, რომელთა მაგალითები ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ.

12) იმის მაგალითად, თუ რამდენად მერყევია საჩივრის ავტორი თავის მოსაზრებებში, შემდეგი გარემოებაც გამოდგება. თავის საჩივარსა და მასზე თანდართულ ახსნა-განმარტებით ბარათში, ასევე 67 პირის, მათ შორის ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ ხელმოწერილ წინადადებაში (იხ. დანართი N59), ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აზვიადებს იმ გარემოებას, რომ მმართველობის წევრები და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა, რომელთაც 21 მაისს უარი განაცხადეს ბანკში სამსახურზე, 21 მაისს, მორიგი კრების დახურვის შემდეგ, თვითნებურად განაგრძეს მოვალეობების შესრულება. ის, რომ, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, ეს შეუქცევადი გადაწყვეტილება მაშინვე, ე.ი. 20 მაისს, ფიზიკურად შესრულდა და ამით იმათ, ვინც უარი თქვა სამსახურზე, უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დაიტოვა, ამ ყოველივეს დასტურად ავტორი მიუთითებს შემდეგს: მათ უარი თქვეს სამსახურზე და მაშინვე *დაიკავეს აღგილები დანარჩენ წევრებს შორის.* მაშასადამე, იმისათვის, რომ ამ ადამიანთა მიერ მოვალეობების შესრულების თვითნებურად გაგრძელების ბრალდება უფრო გაამწვავოს, ჯამბაკურ-ორბელიანი ამ უმნიშვნელო მოვლენას, რომელიც მოკლებულია არამხოლოდ არსებით, არამედ ფორმალურ აზრსაც, ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშ-

ვნელობას, მიიჩნევს წესად, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება სამსახურს დაუბრუნდნენ ის პირები, რომელთაც მასზე უარი თქვეს. თუმცა, ჯამბაკურ-ორბელიანს ჩვევად რომ არ ჰქონდეს, დაივიწყოს ის, რაც გუშინ თქვა და იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით დღეს სრულიად საწინააღმდეგო თქვას, მაშინ იგი თავადვე გამოიჭერდა საკუთარ თავს ჩვევაში, რომ სხვებს იმაში არწმუნებს, რაშიც თვითონაც არ არის დარწმუნებული. 67 პირის, მათ შორის ჯამბაკურ ორბელიანის მიერ ხელმოწერილი წინადადების მე-3 გვერდზე (იხ. დანართი №59), ეს უკანასკნელი „საზოგადოებრივი დაწესებულების პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ ინტერესებს საპროცესო კანონიერების დაცვაზე მაღლა“ აყენებს და ა.შ. ამდენად, რის საფუძველზე მიუთითებს ასე ხშირად ჯამბაკურ-ორბელიანი საკუთრივ მის მიერვე გამოგონილი წესის დარღვევაზე და წარმოადგენს კი ეს რაიმე მნიშვნელოვან ბრალდებას? თუ ამ წესის დაცვა საპროცესო კანონიერების დაცვაზე მნიშვნელოვანია? თუ როცა ჯამბაკურ-ორბელიანს სჭირდება, თავს უფლებამოსილად მიიჩნევს, შეელიოს საპროცესო კანონიერებას, ხოლო როდესაც ეს სხვას სჭირდება, მაშინ ამ სხვას არ აქვს უფლება, *„საზოგადოებრივი დაწესებულების პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ ინტერესებს“* შესწიროს მსხვერპლად საჩივრის ავტორის მიერ მოგონილი, სრულიად უმნიშვნელო, წესი? თუ მმართველობის მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო წევრთა რაოდენობის გარეშე, ასევე, ასევე სამეთვალყურეო კომიტეტის სახით კანონით დადგენილი საკოტროლო დაწესებულების დატოვება მთლიანი შემადგენლობის გარეშე არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაწესებულების პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ ინტერესთა საკითხს? ამ კითხვებს კვლავაც იმ უდავო დასკვნამდე მივყავართ, რომ მმართველობას, რომელსაც მოეთხოვა ახსნა-განმარტების მიცემა ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით, მოუწ-

ევს ანგარიში გაუწიოს თავის აბდაუბდა ფრაზებში გამოხატულ მოხეტიალე აზრებს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ზემოაღნიშნული წესის დაცვას ან არდაცვას საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ შემთხვევაში არ გააჩნია არავითარი მნიშვნელობა. ყოველივე ეს დამახასიათებელია თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისათვის, იგი მუდმივად ისწრაფვის მმართველ ორგანოთა ოდნავ მოძრაობასაც კი ხაზი გაუსვას, როგორც ბრალდებას.

იმისათვის, რომ მართვის ორგანოებს და მისი ცალკეულ წევრებს ავ განზრახვებში დასდოს ბრალი, ჯამბაკურ-ორბელიანს გამბედაობასთან ერთად, აქვს უნარი, გამოეკიდოს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მხოლოდ უყურადღებობით აიხსნება. ასე, მაგალითად, თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-16 გვერდზე აღნიშნავს, რომ მინისტრის მითითების ნაბეჭდ ეგზემპლარში არ არის ბ-ნი მინისტრის ხელმოწერა და ეს შემთხვევითი გამორჩენა ხელმოწერისა ახსნილია ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ, როგორც განზრახ ჩადენილი საქციელი, *რომლის მიზანიცაა საერთო კრების უმრავლესობის დარწმუნება იმაში, რომ მითითება არ მოდის უშუალოდ მინისტრისგან.* საკუთარი თავის პატივისცემით თავდავიწყებას მიცემული ადამიანი იყენებს სხვების გულებში შეღწევის ამგვარ ხერხს და ამასთან დარწმუნებულია, რომ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დაიჯერებენ ამგვარი ინკვიზიციური ხერხით სიმართლის აღმოჩენას. ეს ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პატივისცემა საღი აზრისადმი, რომელიც გმობს მსგავს ხერხებს.

13) თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი არ თაკილობს ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5 გვერდზე მიმართოს ამავე ინკვიზიციურ ხერხს და თავისებურად განჭვრიტოს სხვისი ზრახვები. ამ გვერდზე, მიაწერს რა მმართველობის ერთ-ერთ წევრს ბანკის საკუთრებაში დარჩენილი ღირებული ქარვასლის, ყოფილი არწრუნის მიმაგრების

საკითხის წამოჭრას, იგი არწმუნებს ფინანსთა სამინისტროს, რომ ეს მმართველობის წევრმა გააკეთა *თბილისის საგაჭრო წრეში პირადი პოპულარობის მოპოვების მიზნით.* ეს სავაჭრო წრე ეძებს იაფ კრედიტს და ამით ხელს უშლის ბანკის საერთო სარგებლობის ამოცანებს, თუმცა ძლიერია, როგორც საარჩევნო ერთეული.

საკმარისია, სულ ცოტა ხნით ყურადღება შევაჩეროთ ამ მონაგონის თითოეულ სიტყვაზე და შემდგომ მთლიანობაში, რათა დავრწმუნდეთ, რამდენად მერყევი აზრებია ამ გასაოცარ არგუმენტაციაში. მისივე აზრით, ფასეულ ქონებას შესაძენად სთავაზობენ ბანკს, ხოლო ბანკი, რომელიც საერთო სარგებლობის ამოცანებს ისახავს, ზრდის ამაზე სახსრებს. თითქოს, რაკი ქ. თბილისის ვაჭართა წრე, როგორც თავად ჯამბაკურ-ორბელიანს მიაჩნია, მტრულად ეკიდება, ბანკის საერთო სარგებლობის ამოცანებს, ბუნებრივია, მტრულად უნდა ეკიდებოდეს, ამ მხრივ, თანხების ნებისმიერ გაზრდასაც.

აქედან მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეიძლება: მმართველობის წევრს, რომელსაც ეკუთვნის ბანკის *ფასეული* ქონების შეძენის შესახებ წინადადება, მხოლოდ მტრული განწყობა შეიძლებოდა გამოეწვია თბილისელ ვაჭრებში. ხოლო ასეთ განწყობაზე საკუთარი პოპულარობის აგება ვინმეს თავისკენ გადაბირების გზით, წინდაუხედავობაზე მეტია. დაბოლოს, რა შუაშია თბილისელი ვაჭრების მიერ იაფიანი კრედიტის ძებნა, როდესაც საუბარია ბანკის *ფასეული* ქონების შეძენაზე? რა კავშირშია ერთი მეორესთან? ან თბილისელი ვაჭარი, რომელიც ეძებს იაფიან კრედიტს, ამით რატომ ეწინააღმდეგება, საჩივრის ავტორის მტკიცებით, ბანკის საერთო სარგებლობის ამოცანებს? ნუთუ ბანკის საერთო სარგებლობის ამოცანა არ გულისხმობს კრედიტის გაიაფებაზე ზრუნვასაც, როდესაც ეს შესაძლებელია მოცემულ დროსა და სივრცეში?

მაგრამ აქ საქმე მხოლოდ იმაში როდია, გამოვააშკარაოთ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ფრაზების უაზრობა, რომლებშიც მხოლოდ და მხოლოდ აზრთა

მერყეობა ჩანს. გვსურს ნათელი მოვფინოთ მის ფანდსაც, რადაც უნდა დაუჯდეს, დაადანაშაულოს ადამიანები ავ განზრახვებში. თუ ჩვენც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ხერხებით ვიმოქმედებთ და ბრალდების დასაბუთების მისეულ ინკვიზიციურ საშუალებას გამოვიყენებთ, მაშინ ყველა თანამოაზრესთან ერთად თავად შეიძლება იქნას მხილებული თბილისელი ვაჭრების წრიდან ამომრჩეველთა გადაბირების მცდელობაში. რაკი ჯამბაკურ-ორბელიანი თბილისის სავაჭრო წრეებში პირადი მიზნებისათვის პოპულარობის მოპოვების სურვილს მიაწერს მის მიერ ისეთი ზომების შეთავაზებას, რომლებიც იწვევს კრედიტის გაიაფებას და ბედავს მხოლოდ ამის საფუძველზე ააგოს მთელი თავისი ბრალდებები, თუ მის მიმართაც გამოვიყენებთ მის მიერვე დადგენილ დასკვნას, მაშინ ჯამბაკურ-ორბელიანს თავად მოუწევს ბრალდებულის სკამზე დაჯდომა და მიჰყვებიან მისთვის ისეთი ძვირფასი ადამიანები, როგორებიც არიან თავადი ი. მაჩაბელი, დ. მუსხელოვი და მათთან ერთად ოპოზიციის მთელი ხროვა. ასე, მაგალითად, 49 წევრმა, დამფუძნებლებმა და მსესხებლებმა, 1896 წლის 11 აპრილს ბანკის მმართველობას მორიგ 20 აპრილის კრებაზე გასატანად, წარუდგინეს წერილობითი წინადადება მისთვის საურავის, პროცენტების შემცირებისა და ა.შ. გზით კრედიტის შემცირების თაობაზე. ამ წინადადებას, სხვათაშორის, ხელს აწერს თავად ნ. ჯამბაკურ-ორბელიანიც და მისი თანამოღვაწე, დ. მუსხელოვიც. მმართველობაში განხილვის შემდეგ უმრავლესობამ სამი ერთის, ი. მაჩაბლის, წინააღმდეგ, დაადგინა აღნიშნული წინადადების უარყოფა (იხ. დანართი N46). თუკი თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის არგუმენტაციითა და ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, იაფიანი კრედიტის მაძიებელ ვაჭართა წრეში კრედიტის გაიაფების შეთავაზების გზით პოპულარობის მოპოვების მცდელობაში ბრალი, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავდოთ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს,

დ. მუსხელოვსა და ი. მაჩაბელს და არა – მმართველობის წევრებს, რომელთაც დათმეს საკუთარი პოპულარობა და უკუაგდეს აღნიშნული წინადადება, არ შეუწყეს ხელი თბილისელ ვაჭრებს იაფიანი კრედიტის ძიებაში. და ისმის კითხვა: ამ ორი მხარიდან რომელს შეიძლება დავწამოთ პოპულარობის ძიება, როცა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კრედიტის გაიაფებას მიიჩნევს სატყუარად? პასუხი ნათელია. თუმცა ჯამბაკურ-ორბელიანიასთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს! რა შუაშია აქ სიცხადე, ლოგიკა, სიმართლე, როდესაც ადამიანები ნებდებიან წყდვიადში მოხეტიალე ურცხვი ბოროტების ანგარიშმიუცემელ სწრაფვას? მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო ის არის, რომ ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-3 და მე-6 გვერდებზე გადმოცემულ პუნქტებში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მმართველობის უმრავლესობას (რა თქმა უნდა, თავადი ი. მაჩაბლის გარდა) კრედიტის გაიაფების საკითხისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს, აქ კი ერთ-ერთ წევრს ბრალდების პუნქტად იგი სწორედ კრედიტის გაიაფების სურვილს უყენებს. და ისმის კითხვა: როდის არის ჯამბაკურ-ორბელიანი გულწრფელი თავის კეთილშობილურ მრისხანებაში? როდის არის იგი მართალი? შემდეგ, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კვლავაც არ უწევს ანგარიშს საკუთარ სიტყვებს და ასკვნის, რომ თბილისის ვაჭართა წრე, ეძებს რა იაფიან კრედიტს, ამით ეწინააღმდეგება ბანკის საერთო სარგებლობის ამოცანებს. თუ ლოგიკისა და არგუმენტირების ამავე ხერხს გამოვიყენებთ ზემოხსენებული წინადადების მიმართაც, რომელიც ნათელყოფს, რომ მისი ავტორი უკვე პირდაპირ ეძებს იაფიან კრედიტს, მაშინ თავად ჯამბაკურ-ორბელიანი, დ. მუსხელოვი და ი. მაჩაბელი თავისთავად გამოდიან ბანკის საერთო სარგებლობის მიზნების მოწინააღმდეგეები. თუმცა ვეჭვობ, თავად ჯამბაკურ-ორბელიანი შეაშფოთოს იმ მდგომარეობამ, რომელშიც, ბრალდების მისი ასეთი ხე-

რხის წყალობით, თავად ხომ ვარდება და ვარდება და თან ითრევს ი. მაჩაბელსა და დ. მუსხელოვსაც, რომელთა გამოც ასე თავგანწირვით იდებს თავს. მაგრამ მმართველობა შორს არის იმ აზრისგან, რომ ზემოაღნიშნული წინადადების ავტორებს მიაწეროს იმაზე მეტი, ვიდრე ამ წინადადებაშია ნათქვამი. მმართველობამ ჯამბაკურ-ორბელიანის ამ სრულიად უაზრო არგუმენტაციასა და ფრაზებზე ამდენი დრო იმის გამო კი არ დაკარგა, რომ ვინმე დაეცვა ცილისწამებებისა და ბრალდებებისაგან, რომელთაც მხოლოდ არასწორად მსჯელობის ჩვევა უდევს საფუძვლად. მმართველობას ესმის, რომ არ ღირს ასეთი უმნიშვნელო ფრაზების გარჩევაზე გარჯა, თუმცა საერთო ფაქტებთან კავშირში ამ წვრილმანებსაც მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ ვისთვის ან რისთვის მოუწია ანგარიშის გაწევა მმართველობას, ე.ი მთელს კოლეგიას, ფინანსთა სამინისტროს წინაშე, მისდა სამწუხაროდ.

ადამიანის ნებისმიერ ქმედებას, როგორი კეთილშობილური ზრახვაც უნდა ედოს მას საფუძვლად, შეიძლება მოეძებნოს ამ ქმედების ჩამდენის მორალური ღირსებისათვის არახელსაყრელი ახსნა. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ფართოდ იყენებს ამ შესაძლებლობას ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას. მის მიერ ამ გზით ეჭვმიტანილი პირები მრავლად ფიგურირებენ ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-5, 14, 15, 19 გვერდებზე და ზოგადად, საჩივრად წოდებულ მთელ ნაღვაწში. ეს პირები მმართველობაზე უფრო იღბლიანები აღმოჩდნენ იმ გაგებით, რომ არავინ აიძულებს ახსნა-განმარტების მიცემას თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. საჩივართან დაკავშირებით. ამგვარად, ინარჩუნებენ ღირსებას და აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ მხოლოდ ზიზღნარევი დუმილით შემოიფარგლონ. მიუხედავად ამისა, თავად ჯამბაკურ-ორბელიანს უნდა სცოდნოდა, და თუ იცოდა, კარგი იქნებოდა, ხსომებოდა, რომ სანამ ვინმეს ღირსებას ხე-

ლყოფს, ადამიანს ამის სერიოზულად აწონ-დაწონილი და თვალსაჩინო საფუძვლები უნდა გააჩნდეს და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ უნარით, რომლის წყალობითაც მას შეუძლია სხვათა სურვილების უხილავ სამყაროში შეჭრა და ადამიანის სინდისისთვის, როგორც თეთრი ფურცლისათვის, იმის მიწერა, რაც მოეპრიანება, ალბათ იმ იმედით, რომ მის ასეთ ჩვევას ხელს არავინ შეუშლის.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრის, განსაკუთრებით კი მასზე დართული ახსნა-განმარტების, გვერდები აჭრელებულია ბანკის საქმეებში მონაწილე პირთა ღირსებაზე თავდასხმებით, სავსეა ცილისმწამებლური ეჭვებით, რომელთაც საფუძვლად უდევს მხოლოდ საჩივრის ავტორის დაუსაბუთებელი გამონათქვამები. ასე, მაგალითად, მან უსაფუძვლო არ არის თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნება იმის თაობაზე, რომ მაზრის უფროსები და ლამის მთელი ადგილობრივი პოლიცია ერთდროულად მოქმედებენ ბანკის მმართველ ორგანოებთან ერთად, რათა ტრიუმფი მიანიჭონ ოპოზიციისათვის მიუღებელ რეჟიმს და თავს იმის უფლებას აძლევენ, რომ ამომრჩევლები კავკასიის ყველა მხრიდან მოასხან? რით შეუძლია ყოველივე ამის დამტკიცება ჯამბაკურ-ორბელიანს? რა მტკიცებულებები შეიძლებ ჰქონდეს მას, ვთქვათ, უგანათლებულესი თავადი პ. გრუზინსკის დასადანაშაულებლად იმაში, რომ იგი არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს? მხოლოდ ის, რომ მისი ძმა მ. გრუზინსკი, მმართველობის წევრია? განა შეიძლება ადგილობრივ პრესას მხოლოდ იმის საფუძველზე წაეყენოს ბრალი ანგარიშებში გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების მიზანმიმართულად დამახინჯებაში, რომ ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი გახლავთ ბანკის მმართველობის წევრი, მეორე ოდესღაც იყო ბანკის ბუხჰალტერი, ხოლო მესამე სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი გახლავთ? აქ მაინც ჰქონდა თავდ ჯამბაკურ-

ორბელიანს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი ეჭვები გაემყარებინა გაზეთის ანგარიშებში არსებული ისეთი ფაქტების დამოწმებით, რომლებიც, მისი აზრით, მიზანმიმართულად არის დამახინჯებული. თუმცა ცხადია, რომ მისი უსაფუძვლო რწმუნებები მცდარია. ხოლო მისი ვარაუდი, რომ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მას სიტყვაზე ენდობიან, ზედმეტად სწორია საიმისოდ, რომ მსგავს შემთხვევებში თავისი თავგამოდება საყოველთაოდ აღიარებული წესით შეზღუდოს, არ შეაწუხოს ადამიანები საკუთარი თავდასხმებით, თუ არ არსებობს საამისოდ შემოწმების აშკარა საფუძველი.

14) შემდეგ: რას ჰგავს ან რომელი საღი აზრით შეიძლება გავამართლოთ ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-9 გვერდზე წარმოდგენილი რწმუნება ჯამბაკურ-ორბელიანისა იმის თაობაზე, რომ კრების თავმჯდომარე ერთპიროვნულად აფუძნებს მეოთხე წევრის თანამდებობას? როგორ შეიძლება ამის მტკიცება თუნდაც იმ წინადადების არსებობის პირობებშიც კი, რომ გამოჩნდა ისეთი თავმჯდომარე, რომელმაც თავი წარმოიდგინა ბანკის ბედის ერთპიროვნულ წარმმართველად. მთელი ეს წარმოუდგენელი სისულელე გამოგონილია მხოლოდ იმისათვის, რომ, რადგანაც არ არსებობს საკმარისი მონაცემები, კვლავ შეაღწიოს ადამიანთა ფიქრის სამყაროში და იმისდა მიხედვით დაასკვნას, რომ ეს გაკეთდა მმართველობის თავმჯდომარის მიერ, რათა „შეესუსტებინა თავადი მაჩაბლის პროტესტი“, ვინაიდან მეოთხე წევრის თანამდებობის შესანაცვლებლად მან აირჩია პიროვნება, *„რომელიც უსიტყვოდ იზიარებს მის ნებისმიერ შეხედულებას და ამით მმართველობის გადაწყვეტილებებში მოიპოვა ხმათა უპირატესობა“.*

ნუთუ შეიძლება, ადამიანთა დასამცირებლად მივმართოთ ამგვარ არგუმენტაციას და ხერხებს? რით შეუ-

ძლია თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, ან ნებისმიერ სხვას, დაამტკიცოს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოქმედ პირებს სწორედ ის ზრახვები ამოძრავებდათ, რომლებსაც იგი მიაწერს და არა ის განზრახვები, რომლებიც მოცემული ვითარებიდან გამომდინარეობს? გარდა ამისა, როგორ მისცა ჯამბაკურ-ორბელიანმა თავს უფლება, დაეწყო იმის მტკიცება, რომ მეოთხე წევრის თანამდებობის შემცვლელი ბრმა იარაღია მმართველობის თავმჯდომარის ხელში, პაიკადაა ქცეული და პიროვნებას აღარ წარმოადგენს? ამას არ სჯერდება ჯამბაკურ-ორბელიანი და თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-10 გვერდზე, კვლავაც სრულიად უსაფუძვლოდ, ირწმუნება, რომ 1894 წ. საერთო კრებაზე მმართველობის თავმჯდომარემ ჩამოაყალიბა *სამეთვალყურეო კომიტეტის მისთვის აუცილებელი შემადგენლობა* იმ ნაბეჭდი სიების მიხედვით, რომლებიც ამომრჩევლებს დაურიგდა და სიიდან ამოიღო სამეთვალყურეო კომიტეტის ყველაზე გამოცდილი და პატივსაცემი წევრი, რ. ჯავროვი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი თავად მაჩაბელს ეთანხმებოდა და არ იწონებდა მმართველობის დადგენილებას საგირავნო ფურცლები ხელზე არგაცემის შესახებ. და ისმის კითხვა: განა ისეთი რა ფიზიკური შესაძლებლობა აქვს ერთ პირს, თუნდაც მმართველობის თავმჯდომარე იყოს იგი, რომ მარტომ ჩამოაყალიბოს სამეთვალყურეო კომიტეტის *მისთვის სასურველი* ათწევრიანი კოლეგია მაშინ, როცა არჩევა მთლიანად დამოკიდებულია თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ხალხმრავალ კრებაზე? როგორ შეიძლება ამ ფაქტის შემოწმება, როდესაც არ არის მითითებული მონაცემები? დავუშვათ, ვიღაცამ, თუნდაც მმართველობის თავმჯდომარემ, შეადგინა სამეთვალყურეო კომიტეტის წევრობის კანდიდატთა სია და დაბეჭდილი სახით დაურიგა ამომრჩევლებს, რა არის ამაში დასაძრახი? ვინაიდან არჩევნებია, ნებისმიერ ამომრჩეველს აქვს უფლება, მიუთი-

თოს თავისი კანდიდატები. ეს ძალზე პრიმიტიული წესია არჩევნების დასაწყისში და ამის არცოდნა ნიშნავს, რომ არაფერი გაგეგება მსგავს საქმეებში. რაც შეეხება ბ-ნი ჯავროვის სიიდან ამოღებას, ნუთუ ეს ისეთი დანაშაულია, რომელიც შეიძლება გამოვფინოთ ოფიციალურ ქაღალდზე, როგორც საბრალდებო პუნქტი? მაგრამ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს სჭირდებოდა ეს ფაქტი, რომ მის საფუძველზე ეჭვქვეშ დაეყენებინა ამ მხრივ მოქმედ პირთა ზრახვების სიწმინდე და ჩრდილი მიეყენებინა მათთვის; მოჰყოლოდა იმის მტკიცებას, რომ ბ-ნი ჯავროვი სიიდან იმის გამო ამოიღეს, რომ მან ერთერთ საკითხში მხარი დაუჭირა თავად მაჩაბელს და არა მმართველობის თავმჯდომარეს. თუმცა იქვე, იმავე მე-10 გვერდზე, ჯამბაკურ-ორბელიანი ამტკიცებს, რომ თავადი ჩელოკაევი, როგორც სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი, ეწინააღმდეგებოდა თავმჯდომარის მოსაზრებებს იმავე საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იგი სიაში მაინც მოხვდა. როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ ჯამბაკურ-ორბელიანი არც ამ შემთხვევაშია მხილებული სიცრუეში. მას კვლავ ეხმარება თავისი უნარი, რომლის მეშვეობითაც მან იცის, რა ხდება ადამიანთა შინაგან სამყაროში და შეუძლია გამოიცნოს მათი ზრახვები. ამჯერადაც ამტკიცებს, რომ თავადი ჩელოკავი მმართველობის თავმჯდომარისათვის ზედმეტად ახლობელი და საჭირო პიროვნებაა საიმისოდ, რომ გაგდებულ იქნას სამეთვალყურეო კომიტეტიდან. ნუთუ შეიძლება ამ გონებრივ ეკვილიბრისტიკას, ლოგიკის ამ მერყეობას ორ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს შორის, ვუწოდოთ არგუმენტაცია მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს ეყო არც თუ შესაშური მოხერხებულობა, ერთი და იმავე საქმის ვითარების ახსნა-განმარტებებისათვის, გამოეცნო და მოეხმო ადამიანის ორი სხვადასხვა განზრახვა იმის მიხედვით, როდის რომელი სჭირდება. მხოლოდ ამას როდი სჯერ-

დება. მას სურს დაარწმუნოს ფინანსთა სამინისტრო, რომ სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი ათწევრიანი შემადგენლობა წარმოადგენს იმ პირთა ერთობლიობას, რომელთაც არ გააჩნიათ არც საკუთარი აზრი, არც საკუთარი მრწამსი და მხოლოდ იმისთვის არიან შემადგენლობაში, რომ მმართველობის თავმჯდომარე ასიამოვნონ. ყოველივე ამას იმიტომ კი არ აღვნიშნავთ, რომ ვინმეს, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ცილისწამებების გამო, თავის მართლება სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, თუ რა მორალით ხელმძღვანელობს ეს უკანასკნელი, როდესაც ამგვარ ხერხებსა და საშუალებებს იყენებს. რას ნიშნავს ეს? რა შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა დადანაშაულების ამგვარ საშუალებას? ცხადია, თუ როგორი პატივისცემით ეკიდება ჯამბაკურ-ორბელიანი იმათ, ვის წინაშეც ასე მასხრად იგდებს პიროვნულ ღირსებას და თან დარწმუნებულია, რომ მოუსმენენ, დაუჯერებენ. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, ამა თუ იმ პიროვნების ქმედებებსა და ღირსებაზე თავისთვის, რაც სურს, ის იფიქროს, მაგრამ ბრალდებისა და განსჯის მიზნით ამ ღირსების ხელყოფისათვის, მორალის თვალსაზრისით, მხოლოდ საკუთარი გამონაგონი და ზმანებანი არ არის საკმარისი. მორალის ამ მოთხოვნაზეა სწორედ დაფუძნებული კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და წესრიგს. ამდენად, ამაოდ უგულებელყოფს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ამ მორალს იმ იმედით, რომ მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც არ გაიხსენებენ მას საჭირო დროს და არ წაუყენებენ ამ მორალის მოთხოვნებს სწორედ მას, როგორც განსაკუთრებული მდგომარეობის მქონე პირს.

მმართველობამ წინა გვერდებზეც არაერთხელ მიუთითა, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მიზანმიმართულად ცრუობდა ისეთი ფაქტების დადგენისას, რომელთა გადამოწმებაც შესაძლებელია და შესაბამისად, ტყუი-

ლის გამომჟღავნების საფრთხეც დიდია. ამ მხრივ თუ უსაზღვროა მისი გამოგონების სითამამე, მაშინ წარმოიდგინეთ, რარიგ ფართო გასაქანს მისცემს თავის წარმოსახვას ადამიანი, როდესაც იგი ბრალდებებს საკუთარ ზმანებათა საფუძველზე აგებს და არა – არსებული მონაცემების საფუძველზე? ამის მაგალითები მრავლადაა როგორც ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივარში, ისე მის ახსნა-განმარტებით ბარათში. მმართველობამ, რომ მოიხმოს ეს მაგალითები, მოუწევს აღნიშნული დოკუმენტების თითქმის მესამედის სიტყვა-სიტყვით გადმოწერა. ამიტომ მმართველობა ამაზე მორალურ პასუხისმგებლობას კვლავაც საჩივრის ავტორს აკისრებს და ზემოაღნიშნულს საკმარისად მიიჩნევს იმისათვის, რომ წარმოდგენა შეექმნას მკითხველს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოყენებული ხერხების და საშუალებების ხასიათზე, იმაზე, თუ რამდენად ღირსეული და დასაშვებია ისინი. ამის შემდეგ კი იგი გადადის საჩივრის ავტორის იმ დებულებათა განხილვაზე, რომელთაც საქმიანი მითითებების ფორმა აქვს.

– – – – – – – – – – –

რიგი ასეთი დებულებებისა სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა ყოველივე იმის გამეორებას, რასაც თავადი ი. მაჩაბელი მიუთითებდა ბ-ნ რევიზორს თავის ე.წ. მოხსენებით ბარათში. ეს ბარათი ამ უკანასკნელს მისი თბილისიდან გასვლის წინა დღეს გადაეცა (იხ. დანართი N77). ეს დებულებები ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-4 გვერდიდან იწყება და მთავრდება а, б, в, д, е, ж, з, и, й პუნქტებში. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელთაც აღნიშნული პუნქტები შეეხება, მმართველობამ უკვე მისცა განმარტება ბ-ნი რევიზორისათვის გადაცემულ თავის ახსნა-განმარტებით ბარათში. ეს ბარათი, ამასთანავე, წარმოდგენილია დანართში №76 და საგირავნო ფურცლების ხელზე არგაცემის შესახებ ბარათში (იხ. დანართი N78). მმართველობა ზედმეტად თვლის ამ ყოველივეს კვლავ გამეორებას თავის ამჟა-

მინდელ ახსნა-განმარტებაში და გადადის სხვა დებულებების განხილვაზე, რომლებიც უშუალოდ იმ მოვლენებისა და წესების განმარტებასა და გაშუქებას შეეხება, რომელთაც ადგილი ჰქონდა მორიგ და რიგგარეშე კრებებზე.

ამ სახის დებულებები თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრის А, Б, В, Г, Д და Е პუნქტებით იწურება. А პუნქტში ნათქვამია, რომ „ერთადერთი მიზეზი (რიგგარეშე კრებაზე მითითებული) 20 მაისის მორიგი კრების არჩევნების ბათილად გამოცხადებისა იყო ბანკის 56 წევრის მიერ ხელმოწერილი სრულიად უსაფუძვლო და გადაუმოწმებელი წინადადება თითქოსდა კენჭისყრაში უკანონოდ მონაწილე 28 პირის შესახებ, რომელთაც არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება“. აქ არც ერთი სიტყვა არ არის მართალი. უპირველეს ყოვლისა, 56 პირის მიერ ხელმოწერილ წინადადებაში (იხ. დანართი N60) ზოგადაა საუბარი არჩევნებზე მომხდარი იმ უზუსტობების შესახებ, რომელთა შემჩნევაც არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ პირს შეეძლო. წინადადებაში არ არის მითითებული არავითარი კონკრეტული შემთხვევა, მათ შორის, არც კენჭისყრაში უკანონოდ მონაწილე 28 პირის შესახებ. თუმცა, თავს არ მოხვია რა ჯამბაკურ-ორბელიანმა ეს მითითება ამ 56 პირს, ვერ მოჰყვებოდა იმის მტკიცებას, რომ ასეთ კონკრეტულ შემთხვევაზე მითითება ვერ მოხერხდებოდა გადამოწმებისა და საქმეთა განხილვის გარეშე, სამეთვალყურეო კომიტეტის სიებისა და მინდობილობების შემოწმების უფლება კი არავის აქვს. ჯამბაკურ-ორბელიანი არ ღალატობს გამოგონების ხერხს და აქედან გამოაქვს დასკვნა, რომელიც გადმოცემულია მისი საჩივრის მე-11 გვერდზე: *„ცხადია, 56 პირის მიერ ხელმოწერილი ეს წინადადება სინამდვილეში, დაფარული სხდომის გახსნამდეა შედგენილი იმ თანამდებობის პირთა წრეში, რომლებიც ბანკში დაბრუნებას ცდილობენ და რომელთაც მმართველობის თავმჯდომარე ხელმძღ-*

ვანელობს“. სწორედ ეს სჭირდებოდა თავად ჯამბაკურორბელიანსაც. თუმცა მას ავიწყდება, რომ ცხადია არა ის, რაშიც სხვების დარწმუნება სურს, არამედ მისი ჩვეულება, თავისივე გამოგონილ ფაქტზე ააგოს მთელი არგუმენტაცია.

ასეთივე ღირსებით გამოირჩევა საჩივრის ავტორის იქვე, მე-11 გვერდზე მოყვანილი სხვა რწმუნებებიც იმის თაობაზე, რომ თითქოს სამეთვალყურეო კომიტეტმა არ დაუშვა რიგგარეშე კრებაზე მოთხოვნილი სიებისა და მინდობილობების, ასევე, იმ მონაცემების შემოწმება, რომლებიც 20 მაისის არჩევნებზე დაშვებულ დარღვევებს შეეხება. თუმცა, 19 ივნისის რიგგარეშე კრების ოქმიდან (იხ. დანართი N68) ირკვევა, რომ სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარემ კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმებისა და განმარტებების შესახებ მოხსენები მომდევნო რიგგარეშე კრებას შესთავაზა „განსაკუთრებული კომისიის წევრთა შორის ისეთი პირის არჩევა, რომელიც მინდობილობებსა და ასევე კრებაზე გამოცხადებულ წევრთა სიებს ხელახლა შემოწმებს“. საერთო კრებამ კი ხმათა უმრავლესობით სამის წინააღმდეგ ამის აუცილებლობა არ აღიარა.

ასევე მოიქცა კრების თავმჯდომარე მისი თავმჯდომარედ არჩევის პირველივე სხდომაზე, 20 ივნისს. საერთო კრებამ ხმათა უმრავლესობით შემოწმება ზედმეტად მიიჩნია, რაც არის კიდეც აღნიშნული 20 ივნისის ოქმში (იხ. დანართი N69). ამავე ოქმში მითითებულია, რომ თავმჯდომარემ შესთავაზა კრებას გადაეწყვიტა, სურდა თუ არა განსაკუთრებული კომისიის არჩევა იმ დარღვევების შესახებ არსებული მონაცემების შესამოწმებლად, რომელთაც ადგილი ჰქონდა იმავე წლის 20 მაისის არჩევნებზე და რომელთა თაობაზეც ნათქვამია მმართველობის მოხსენებასა და სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნაში (იხ. დანართი NN 62,63 და 67). კრების უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება და დაადგინა

სამეთვალყურეო კომიტეტის შემოთავაზებული დასკვნა. ისმის კითხვა: სად არის აქ თუნდაც მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ სამეთვალყურეო კომიტეტმა ან ვინმე სხვამ არ დაუშვა საგანგებო კრებაზე მოთხოვნილი სიების, მინდობილობების ან 20 მაისის არჩევნებზე არსებული დარღვევების შესახებ მონაცემების შემოწმება? მმართველობა ამასაც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის გამონაგონთა სფეროს მიაწერს და გადადის საჩივრის Б პუნქტის განხილვაზე.

Б პუნქტში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ირწმუნება, რომ „ამ 28 ხმის, ვითომ, უკანონობასთან დაკავშირებული განცხადებაც კი არ უნდა განხილულიყო საგანგებო კრებაზე, ვინაიდან ეს ხმები, კენჭისყრამდე ოთხგზის შემოწმების შემდეგ, სხვა დანარჩენ ხმებთან ერთად კანონიერად იქნა აღიარებული საერთო კრებაზე და ამ მხრივ პროტესტიც კი არავის გამოუთქვამს მორიგ კრებაზე“.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, საკმაოდ უხეში, უზუსტობა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, უშვებს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი. საგანგებო კრებაზე საუბარი იყო 20 მაისის არჩევნებში უკანონოდ მიცემულ არა 28, არამედ 58 ხმაზე, როგორც ეს აღნიშნულია სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნაში (იხ. დანართი N67). ხოლო როდესაც არჩევნების შედეგი განისაზღვრება აბსოლუტური უმრავლესობით, ზოგადად და შედარებითი უმრავლესობით, კერძოდ, როცა ერთსა და იმავე თანამდებობაზე კენჭს იყრის რამდენიმე პირი, მაშინ უკანონოდ მიცემულ ხმათა ასეთ რაოდენობას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა კეთილი ნების გამოსავლენად, რაც წარმოადგენს კიდეც ნებისმიერი კენჭისყრისა და არჩევნების უმთავრეს ამოცანას. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიდრეკილებას ილაპარაკოს ფაქტობრივ მონაცემებზე ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდეს რა ხდება სინამდვილეში.

ვთქვათ, გასწორდა ეს შეცდომა და დავუშვით ჭეშ-

მარიტება ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნებისა, რომ სიები და მინდობილობები კენჭისყრის ჩატარებამდე ოთხჯერ შემოწმდა საერთო კრებაზე და კანონიერად იქნა მიჩნეული, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შემდგომში, თუკი შედეგები ოთხგზის შემოწმების მერეც მცდარი აღმოჩნდება, ეს იქცეს კანონად, რომელიც გაამართლებს ისეთი მნიშვნელოვანი აქტის უზუსტობას, როგორიცაა ამომრჩევლების მიერ თავიანთი ინტერესების დამცველ პირთა არჩევა? თავადი მაჩაბელისა (688 ხმა) და პოლკოვნიკ მაცაცოვის (673 ხმა) მიერ მიღებულ ხმებს შორის იმდენად უმნიშვნელო განსხვავებაა, რომ არჩევნებში 53 უკანონო ამომრჩევლის მონაწილეობა კიდევ უფრო საეჭვოს ხდის საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობის თავისუფალი ნება იქნა გამოხატული. არსებობს სანდო მტკიცებულებანი, რომელთა დახმარებითაც ადვილია იმის გარკვევა, თუ რა საშუალებებით შეიძლება ყოფილიყო მოპოვებული ეს 53 ხმა, რომელთა 20 მაისის არჩევნებში მონაწილეობა იქცა საგანგებო კრების დავის საგნად. 1896 წლის 17 ივნისს სამეთვალყურეო კომიტეტის სხდომაზე (იხ. დანართი N67) დგინდება, რომ 20 მაისის არჩევნებში იმ 28 პირის გარდა, რომლებიც მითითებულია მმართველობის მოხსენებაში (იხ. დანართი NN 62 და 63), მონაწილეობდა კიდევ 25 პირი ისეთი მინდობილობებით, რომლებშიც თავადი მაჩაბლის საყოველთაოდ ცნობილი მომხრის მამა, იორამ ბეჟანის ძე ხერხეულიძე, ხელს აწერს ხან როგორც მოწმე და ხან როგორც მრწმუნებელი, ვერ ჩაითვლება სანდოდ. ეს გაირკვა ამავე იორამ ხერხეულიძის ხელმოწერების შედარებით. ისინი მინდობილობებზეც არის და ბანკის საქმეებშიც და სრულიად არ ჰგავს ერთმანეთს. თუ ამ უდავო ფაქტის დამოწმება ვინმეს საეჭვოდ მოეჩვენება, მაშინ მმართველობას მეორე ფაქტის მოხმობაც შეუძლია, რომელიც, მისი აზრით, ამ მხრივ ყოველგვარ ეჭვს გააქარწყლებს. სწორედ ამ

ჯამბაკურ-ორბელიანმა, რომელსაც თავი კანონიერებისა და ზნეობის მკაცრ დამცველად მიაჩნია, მორიგ კრებაზე წარადგინა მინდობილობა, რომელშიც მოწმედ ის პირია დასახელებული, რომლის ხელმოწერაც შემმოწმებელი კომისიის მიერ ერთხმად იქნა აღიარებული ყალბად. აღნიშნული კომისია, ასევე, ერთხმად ადასტურებს, რომ, გარდა ზემოხსენებული მინდობილობისა, მის მიერ დაწუნებული იქნა კიდევ თოთხმეტი სხვა მინდობილობა, რომელთაც იმავე მოწმის ყალბი ხელმოწერა აქვს. აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს თოთხმეტი მინდობილობა თავად ჯამბაკურ-ორბელიანის ხელით არის შედგენილი და მისი, როგორც მეორე მოწმის, მიერვე არის დამოწმებული, როგორც ამას მოითხოვს ბანკში მიღებული წესები. ყოველივე ზემოაღნიშნულს მოწმობს ამ მინდობილობებზე არსებული აშკარა კვალი, რომელთა დანახვა მხოლოდ ორიგინალებშია შესაძლებელი და ასლზე ვერ გადადის. საჭიროების შემთხვევაში ამ დოკუმენტების ორიგინალების ფინანსთა სამინისტროში გადაგზავნა შესაძლებელია. ნუთუ ამის შემდეგ ნათელი არ არის, თუ სად და ვის მიერ შეიძლება დაგროვილიყო ამ გზით ხმები და ვის შეეძლო საკუთარი თავისათვის მიეცა უფლება, ამგვარი საშუალებებისათვის მიემართა? მართალია, წარუმატებელი აღმოჩნდა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მცდელობა, ესარგებლა ყალბი დოკუმენტებით და ხმები მისთვის სასურველ ოდენობამდე გაეზარდა, თუმცა ფაქტია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჯამბაკურ-ორბელიანმა არ ითაკილა და მიმართა მსგავს საშუალებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ხოლო მის რწმუნებას, თითქოს ტ. II ან 11 სამოქ. კან. კრებ. (იხ. საჩივრის მე-11 გვერდი) ადგენს, თითქოს უკანონო ხმების არსებობის შემთხვევაში კი არ უქმნდება კრება ან კენჭისყრა იმ შემთხვევაში, თუ სიები დამტკიცებულია, არამედ ხდება უკანონოდ მიცემული ხმების დაკანონება, შეეძლო მხოლოდ წაეხალისე-

ბინა, მსგავსი რამ კიდევ ეცადა იმ იმედით, რომ რაკი თავადი მაჩაბელი იქნებოდა არჩეული თუნდაც კრების ყალბი შემადგენლობით, ეს ქმედება დაკანონდებოდა. მმართველობამ ვერ მიაგნო, ამგვარ კანონს ვერც II, ვერც მე-11 ტ. სამოქ. კან. კრებ, ამ ტომებში ამაოდ ქექვის მიუხედავად. მაგრამ, ვინაიდან წინა გვერდებზე მოყვანილი მაგალითებიდან მისთვის ცნობილია თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ჩვეულება, დაიმოწმოს მეცნიერების არარსებული საწყისები, კანონები და ავტორიტეტები, ერთგვარი ეჭვით ეკიდება საჩივრის ავტორის რწმუნებას ამგვარი კანონის არსებობის შესახებ. მმართველობის აზრით, ძნელად წარმოსადგენია, ნამდვილად არსებობდეს კანონი, რომელიც იმის გამო, რომ სიები დამტკიცებულია და კენჭისყრა ჩატარებული, დააკანონებს არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ სიაში მითითებული ივანეს მაგივრად ხმას აძლევდა პეტრე (იხ. დანართი №71) ან ისეთი პირი, რომელსაც სიაში აღნიშნული ხმის მქონე მრწმუნებელი ამაზე უფლებამოსილს არ ხდის (იხ. დანართი N67) ან პირები, რომლებიც ორ ამომრჩეველს აძლევდნენ მინდობილობას, ან კიდევ პირები, რომლებიც ხმას ერთი და იმავე საკითხს ორჯერ აძლევდნენ (იხ. დანართი N63). არჩევნები მხოლოდ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისათვის არ არის მოგონილი. იგი ყველგანაა. თუმცა ყველგან და ყოველთვის ექვემდებარება შემოწმებას. შემოწმება კი სხვა რაში შეიძლება გამოიხატოს, თუ არა იმის გარკვევაში, ემსახურება თუ არა ესა თუ ის არჩევანი ამომრჩეველთა და არა – ცრუმაგიერ პირთა ჭეშმარიტ ნებას. სიების დამტკიცება და არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე დოკუმენტების კანონიერად აღიარება ერთი საპროცესო ქმედებაა, ხოლო ფაქტობრივი ხმის მიცემა – მეორე. ამიტომ, უკიდურეს შემთხვევაში, დამტკიცებული სიით შეიძლება გამოაშკარავდეს ფაქტობრივი ხმის მიცემის უზუსტობა, თუმცა ამით შეუძლებელია მისი

გამართლება და მით უფრო – დაკანონება.

შემდეგ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ირწმუნება, რომ 56 პირის მიერ ხელმოწერილი განცხადება 20 მაისის არჩევნების უკანონობის შესახებ არ იქნა განხილული იმიტომ, რომ ამასთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს პროტესტი კრებაზე. თუმცა პროტესტი კრებაზევე გამოითქვა სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ მან კრების თავმჯდომარეს განუცხადა, რომ კომიტეტი ვერ დაუდგება თავდებად კრების თავმჯდომარის მიერ ჩაფიქრებული წესის მიხედვით ჩატარებული არჩევნების სისწორეს, როგორც ამას ხსენებული 56 პირიც მოწმობს თავიანთ განცხადებაში (იხ. დანართი N60). მაგრამ აღნიშნული არ მოხვდა 20 მაისის კრების ოქმში, ვინაიდან იგი მუსხელოვმა შეადგინა თავისთან, სახლში, კრების დახურვის შემდეგ არა უადრეს 24 მაისისა, როგორც ჩანს კიდეც ეს პოლიციის აქტიდან და დ. მუსხელოვის მიერვე თანდართული ქაღალდიდან (იხ. დანართი NN 51 და 52). მმართველობა ამაზე უფრო არასადავო დოკუმენტს ვერ დაიმოწმებს იმის დასამტკიცებლად, რომ სამეთვალყურეო კომიტეტმა ნამდვილად გამოთქვა პროტესტი. თუმცა ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ახალ გამონაგონს მიმართავს და ირწმუნება, რომ რაკი პროტესტს ადგილი არ ჰქონია, საკუთრივ, მორიგ კრებაზე, ამიტომ საგანგებო კრებაზე ვერ იქნებოდა განხილული გაუპროტესტებელი ქმედება, რაც უნდა უკანონო ყოფილიყო იგი.

რომელი საპროცესო სამართლის ან წესის ძალით შეუძლია თავად ჯამბაკურ-ორბელიანს ამ რწმუნების დამტკიცება? ამგვარი წესი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, თუნდაც იმის გამო, რომ ფაქტებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ მის უკანონო ქმედებას, ადგილი ჰქონდა როგორც კრების დროს, ისე მისი დახურვის შემდეგ, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია. გარ-

და ამისა, ნუთუ საქმეთა მფლობელების მიერ ნდობით აღჭურვილ საერთო კრებას, რომელიც კანონით იქნა აღიარებული მათი საქმიანობის ბედის ერთადერთ განმგებლად, პირთა არჩევის თვალსაზრისით, არ აქვს უფლება განიხილოს საკუთარი შეცდომები მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ გააპროტესტა ისინი ჩადენის მომენტში? ნუთუ შეცდომა, რომელმაც, შესაძლოა, ზოგჯერ თავად საწარმოც კი დაღუპოს, შეიძლება დაკანონდეს და მისი გამოსწორება აღარ წარმოადგენდეს საქმეთა მფლობელების საერთო კრების ზრუნვის საგანს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შეცდომა ჩადენის მომენტში ადგილზევე არ იქნა გაპროტესტებული? შეშვენის კი ჯამბაკურ-ორბელიანს, ააგოს თავისი მსჯელობა არარსებული წესის დარღვევაზე მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში იგი, როგორც თავად გამოხატავს, *საზოგადოებრივი დაწესებულების პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ ინტერესს საპროცესო სამართალზე მაღლაც კი აყენებს?* რა არის ეს – ხმამაღალი ნათქვამი თუ მისი რწმუნების ნაყოფი, რომლითაც ვალდებულია იხელმძღვანელოს ყველა მსგავს შემთხვევაში? თუ უკანასკნელია, მაშინ ნუთუ იმ პირთა სწორი თუ არასწორი არჩევის საკითხი, რომელთაც საქმეთა მფლობელები მიანდობენ ბანკის ინტერესებთან უშუალოდ დაკავშირებული საკუთარი ინტერესების დაცვას, იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ღირს მსხვერპლად შევწიროთ არა თუ საპროცესო სამართალი, არამედ ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ გამოგონილი წესიც კი?

ჯამბაკურ-ორბელიანმა თავისივე გამოგონილი ეს *საპროცესო* კანონი მართვის ორგანოებისათვის სავალდებულოდ აღიარა და მისი დარღვევის გამო საკუთარი საჩივრის მე-11 გვერდზე დაადგინა, რომ თავად მსჯელობა 20 მაისს მიცემულ ხმათა უკანონობის შესახებ *პრო-*

ცესუალურად არასწორია და შეიძლება აიხსნას, როგორც ბანკში თვითნებურად დაბრუნებულ პირთა ერთგვარი ხერხი, დააკანონონ თავიანთი დაბრუნება. აი, კაცმა რომ თქვას, რისთვის იყო საჭირო დროული პროტესტისა და საპროცესო სამართლის შესახებ მთელი ეს აბდაუბდა, რომელსაც ჯამბაკურ-ორბელიანი ხლართავს ასეთი მცოდნის სითამამით.

თუმცა, ჯამბაკურ-ორბელიანს რომ სცოდნოდა სამსახურიდან გადამდგარ პირთა ჯანსაღი აზრის კოდექსითა და ზოგადი კანონდებულებით დაკანონებული მოვალეობა იმის შესახებ, რომ ისინი მანამ უნდა დარჩნენ საკუთარ პოსტებზე, სანამ არ გამოჩნდებიან კანონიერად უფლებამოსილი შემცვლელი პირები, მაშინ იგი მიხვდებოდა, რომ მისი ძალისხმევა – დაადანაშაულოს ნებისმიერი იმის სხვადასხვა ხრიკებით დაკანონების მცდელობაში, რაც დიდი ხანია, უკვე დაკანონებულია – სრულიად ამაოა.

B პუნქტში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი პირველივე სიტყვებიდან ადგენს, რომ გარკვეული რაოდენობის ხმათა უკანონობის შესახებ მითითება გამოგონილია ერთადერთი მტკიცედ განსაზღვრული მიზნით, გაბათილდეს 20 მაისის არჩევნები. ეს მიზანი ნათლად ჩანს როგორც 56 პირის მიერ წარდგენილ წინადადებაში, ისე ამ წინადადებასთან დაკავშირებით სამეთვალყურეო კომიტეტის დასკვნაში და ჯამბაკურ-ორბელიანმა ამაოდ დახარჯა ძალები ამერიკის ხელახლა აღმოსაჩენად. თუმცა მას სურს სხვა დაადანაშაულოს მითითების გამოგონებაში. რას ნიშნავს ფაქტზე მითითების გამოგონება? ნუთუ თავად ფაქტი, რომელზეც მიუთითებენ, არ წარმოადგენს მისთვის გამონაგონს? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თითქოს, ჯამბაკურ-ორბელიანს აუცილებლად უნდა მიეჩნია მტკიცებულებები ამგვარი ბრალდებისათვის. მაგრამ ასე არ მოხდა: იგი მოურიდებლად ისვრის ამგვარ ბრალდებებს და შემდეგ ივიწყებს, რომ არსებობს მორ-

ალისა და კანონის მოთხოვნები, რომლებიც გმობს ადამიანებთან მოპყრობის ამ მიუღებელ ხერხს მაშინაც კი, როდესაც ბრალმდებელი თავს იტყუებს საკუთარი შეუმცდარობის ამგვარი რწმენით.

თუმცა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის შეუმცდარობას დიდად საეჭვოს ხდის მმართველობის მოხსენების დანართში (იხ. დანართი N 63) არსებული 28 პირის სახელობითი სია, სადაც მითითებულია 20 მაისის არჩევნებში მათი მონაწილეობის უკანონობის საფუძვლები და მინდობილობებით მიცემული 25 ხმა, რომლებზეც საათანადო ხელმოწერები ყალბადაა მიჩნეული (იხ. დანართი N67). და ვიდრე ეს დოკუმენტური მითითებები არ არის უარყოფილი, საჩივრის ავტორის მიერ ბრალდებულ პირებს შეუძლიათ მშვიდად ადევნონ თვალი მის უძლურ მცდელობებს, ზიანი მიაყენოს მათ თავისი უსაფუძვლო გამონათქვამებით.

„20 მაისს მიცემულ ხმათა უკანონობაზე ამგვარი მითითება, კიდევ უფრო უკანონო იმიტომაა, ამბობს შემდეგ ჯამბაკურ-ორბელიანი, რომ თუ ამ პირთა მონაწილეობის გამო მორიგი კრების არჩევნები ბათილად ცხადდება, მაშინ უნდა გაბათილდეს ამ მორიგი კრების ყველა სხვა დადგენილებაც, ვინაიდან მათი მიღებისასაც იგივე 28 ხმა იყო გადამწყვეტი“. მთელი ეს არგუმენტაცია კვლავაც უსაფუძვლოა. 20 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით მორიგი კრების ყველა სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ნებისმიერი საკითხი წყდებოდა ბანკის იმ წევრთა ხმის მიცემით, რომლებიც პირადად ესწრებოდნენ სხდომას, ყოველგვარი მეორე ხმაზე მინდობილობის გარეშე. ამგვარად, 20 მაისის არჩევნებში მონაწილე ის 25 პირი ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას სხვა საკითხების გადაწყვეტაში. რაც შეეხება მმართველობის მოხსენებაზე დართულ სიაში (იხ. დანართი N 63) აღნიშნულ 28 ხმას, აქ საკითხავია: მონაწილეობდა თუ არა ეს ხმები მორიგი კრების იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელთა

შესახებაც საუბრობს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი? ამის გარკვევა რთულია, ვინაიდან კრების თავმჯდომარის არჩევისა და სარევიზიო ანგარიშის გარდა, ყველა სხვა საკითხი წყდებოდა ადგომა-დაჯდომით. შესაბამისად, მორიგი კრების საქმეებში ვერ დარჩებოდა ვერანაირი კვალი იმის შესახებ, აძლევდა თუ არა ხმას ხსენებული 28 პირი, რომელთა 20 მაისის არჩევნებში მონაწილეობაც აშკარაა კენჭისყრის ფურცლებზე არსებული მათი ხელმოწერებით.

ამგვარად, რის საფუძველზე ირწმუნება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, რომ სწორედ ეს 28 პირი მონაწილეობდა იმ დადგენილებებში, რომელთა შესახებაც თავად საუბრობს? ერთადერთ საფუძველს მისი ვარაუდი წარმოადგენს. სხვა საფუძველი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მოცემულ შემთხვევაში. და ისმის კითხვა: ვარაუდის, განსაკუთრებით კი თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ვარაუდის, საფუძველზე შეიძლება კი ბათილად მივიჩნიოთ დადგენილებები, რომლებიც ოფიციალურად წერილობითი აქტებით დასტურდება, როგორც უმრავლესობის გადაწყვეტილებები? გარდა ამისა, არც დადგენის მომენტში და არც მას შემდეგ არა თუ არავის განუცხადებია პროტესტი ამ კრების დადგენილებების გაბათილებასთან დაკავშირებით, არამედ არც კი მიუთითებია ვინმეს, რომ აღნიშნულ დადგენილებების მიღებაში ეს 28 პირი მონაწილეობდა. ვინაიდან არ არსებობს არავითარი ცნობა იმისა, რომ 20 მაისამდე კრების რომელიმე დადგენილების მიღებაში ეს პირები მონაწილეობდნენ, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნება ამასთან დაკავშირებით, სულ მცირე, უსაფუძვლოა.

Г პუნქტში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ირწმუნება, რომ 56 პირის მიერ ხელმოწერილი ამ წინადადების საგანგებო კრებაზე გატანის წესი სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ ისე არის დადგენილი, რომ დარღვეულია თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის

წესდების ძირითადი დებულებები და ზოგადი *კანონმდებლობის კანონდებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო კრების საქმიანობას.*

ჯერჯერობით განზე ვდებთ ჯამბაკურ-ორბელიანის ამ ძალზე თამამ ჩვევას – განამტკიცოს თავისი დებულებები ზოგადი კანონმდებლობის კანონდებულებათა მოჩვენებითი დამოწმებით და ვიწყებთ მისი არგუმენტაციის გამოკვლევას, რომელიც ემყარება თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების ახსნა-განმარტებას.

ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, ხსენებული წესდების ყველა დებულებისა და 82-ე პარაგრაფის ბოლო ნაწილის მითითების მიხედვით, *ყველა საქმე თუ წინადადება*, რომელიც ხვდება სამეთვალყურეო კომიტეტში *საერთო კრებაზე გასატანად*, ქვეყნდება წესდების მე-4 პარაგრაფში მითითებულ გაზეთებში“... „თუმცა სამეთვალყურეო კომიტეტს მის მიერ იმ წინადადების შეტანის შესახებ, რომელსაც 56 პირი აწერს ხელს, სიტყვა არ დასცდენია არც ერთ გაზეთში“.

წესდების იგივე 82-ე პარაგრაფი ადგენს, რომ წინადადება, რომელსაც ხელს აწერს ბანკის არანაკლებ 50 წევრი, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას გატანილი საერთო კრებაზე განსახილველად იმ შემთხვევაში, თუ წინადადება მომზადებულია კრების დაწყებამდე შვიდი დღით ადრე მაინც. 56 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება, რომლის შესახებაც ჯამბაკურ-ორბელიანი საუბრობს, საგანგებო კრებამდე ზუსტად რვა დღით ადრეა მომზადებულია. შეუძლებელია, საერთო კრების დაწყებამდე რვა დღით ადრე ჩაბარებული წინადადება დაბეჭდილიყო ორი კვირით ადრე, როგორც ამას ამბობს ჯამბაკურ-ორბელიანი. მართალია შემდეგ შესწორება შეაქვს თავის ნათქვამში, თუმცა, შესაძლებლად მიაჩნია ამის გაკეთება, რამენადაც იქვე დასძენს, რომ კიდეც რომ დავუშვათ ამ გარემოების სისწორე-

თითქოს საერთოდ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა იმაში, რომ საგანგებო კრებამდე შვიდი დღით ადრე ჩაბარებული წინადადების დაბეჭდვა ორი კვირით ადრე შეუძლებელია – მაშინაც კი სამეთვალყურეო კომიტეტი ვალდებულია, დაბეჭდოს წინადადება, როგორც საერთო კრების განხილვის საგანი, «Кавказ»-ის 15 ივნისის N157-ში, რომელშიც განთავსებულია კომიტეტის პუბლიკაცია საგანგებო კრების საკითხების შესახებ. შეიძლება ვიკითხოთ, სად არის მითითებული კომიტეტის ვალდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ გაზეთებში გამოაქვეყნოს კრებამდე შვიდი დღით ადრე ჩაბარებული 56 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება? წესდების მიხედვით, ორი კვირით ადრე უნდა გამოცხადდეს საერთო კრების დღე და განსახილველად შეთავაზებული საკითხები. განა ეს იმას ნიშნავს, რომ წესდების ამ წესს ექვემდებარება ისეთი წინადადებაც, რომელიც სამეთვალყურეო კომიტეტისათვის საერთო კრების დაწყებამდე მხოლოდ შვიდი-რვა დღით ადრე ხდება ცნობილი? წესდება საწინააღმდეგოს ვერ დაუშვებდა. შესაბამისად, კრებამდე შვიდი დღით ადრე ჩაბარებული 56 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადების გამოქვეყნების ვალდებულება უნდა დადასტურდეს არა წესდების &82-ის ამ წესის დამოწმებით, როგორც ამას ჯამბაკურ-ორბელიანი ვარაუდობს, არამედ საგანგებოდ ამისათვის განკუთვნილი წესით, თუკი, რა თქმა უნდა, კანონმდებელს, რომელმაც დაამტკიცა წესდება, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც აუცილებლად მიაჩნდა აღნიშნული წინადადების გამოქვეყნება. ასეთი წესი კი არ არსებობს, ალბათ იმიტომ, რომ ვინაიდან 50-ზე მეტი ადამიანი წარადგენს წინადადებას, თავისთავად უკვე გახმაურებულია და ყველასათვის ცნობილი ეს წინადადება. თუ, ყოველივე ამის მიუხედავად მაინც დავუშვებთ, რომ წესდების &82-ის კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა მართვის ორგანოები დაევალდებულებინა, განსახილველ საკითხებს შორის

საერთო კრების გახსნამდე შვიდი დღით ადრე ჩაბარებული წინადადებაც გამოექვეყნებინა, მაშინ იმას მაინც აღარ მიუთითებდა, რომ პუბლიკაცია ამის შესახებ უნდა განთავსდეს წესდების &14-ში დასახელებულ გაზეთებში. ამ გაზეთების რიცხვს მიეკუთვნება «Правительственный Вестник», რომელიც პეტერბურგში გამოიცემა და კანონმდებელს შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ შვიდი დღე ძალზე მოკლე დროა თბილისიდან პეტერბურგში განცხადების მისაწოდებლად და მერე მის დასაბეჭდად. საკმარისიც რომ ყოფილიყო ეს შვიდი დღე საამისოდ, მიზანი, რომელსაც განცხადება ისახავდა, მაინც ვერ იქნებოდა მიღწეული, ვინაიდან იგი გამოქვეყნდებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, კრებამდე ერთი დღით ადრე, ან შესაძლოა კრების გახსნის დღესაც და ისიც პეტერბურგში და რაღა აზრი ექნებოდა? კანონთა განმარტებისას ერთ-ერთი უმარტივესი წესი ის არის, რომ მათში არ შეიძლება ვივარაუდოთ სისულელე. ამ მხრივ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ წესდების &82-ის ზემოაღნიშნული განმარტება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. იგი ნებისმიერ შემთხვევაში თავისებურია.

რაც შეეხება მის მიერ „ზოგადი კანონმდებლობის კანონდებულების“ დამოწმებას, რომელიც თითქოს განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა წარიმართოს საერთო კრებების საქმიანობა, იგი ვერ დასტურდება სინამდვილეში არსებული კანონდებულებით. „ზოგადი კანონმდებლობის კანონდებულებებში“ ვერსად ვერ ნახავთ მითითებას საერთო კრებებზე ბანკის საქმეების წარმართვასთან დაკავშირებით, თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამის დადგენა სპეციალური კანონით ხდება. მაგრამ ჯამბაკურ-ორბელიანმა ამ შემთხვევისათვის თავად შეთხზა *ზოგადი კანონმდებლობის რაღაც კანონდებულება* და საჭიროდ ჩათვალა, თანაც სავსებით კეთილგონივრულად, რომ შემდგომში სრულიად აღარ ეხსენებინა იგი. ეს ნათლად მოწმობს იმას, რომ თავად ჯამბაკურ-ორბე-

ლიანისთვისაც არ არის ცნობილი, არსებობს თუ არა ასეთი კანონდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გაუშვებდა ხელიდან მასზე მითითების შესაძლებლობას. ამდენად, ამ შემთხვევაში მის მიერ ზოგადი კანონმდებლობის კანონდებულებაზე მითითება უნდა მივაწეროთ მის ჩვეულებას, თავისი უბადრუკი მსჯელობების განსამტკიცებლად დაიმოწმოს ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ხოლო ამ საქმეში რომ უჩვეულოდ თამამია იგი, ამის მტკიცებულებანი წინა გვერდებზეც მრავლადაა წარმოდგენილი.

თუმცა ჯამბაკურ-ორბელიანს მოცემულ შემთხვევაში თავადვე არ სჯერა იმის, რაშიც სხვების დარწმუნება სურს წესდებისა და საერთო კანონმდებლობის დამოწმებით. ასე, მაგალითად, თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის 24-ე გვერდზე იგი, საუბრობს რა 67 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადების შესახებ, რომელიც ზემოზსენებული 56 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადების მსგავსად, საგანგებო კრების გახსნამდე რვა დღით ადრე იქნა ჩაბარებულ და არ დაიბეჭდა გაზეთებში განსახილველ საკითხთა შორის, კატეგორიულად და შემდგომი განხილვის გარეშე ადგენს, რომ ეს წინადადება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განხილულიყო საგანგებო კრებაზე. ამას არ სჯერდება ჯამბაკურ-ორბელიანი და ამ განხილვას ვალდებულებად აკისრებს საგანგებო კრებას, ამბობს რა ახსნა-განმარტებითი ბარათის 24-ე გვერდზე, რომ ამ უკანასკნელს „ უნდა განეხილა ბანკის 67 წევრის მიერ წარდგენილი წინადადება“. რატომ? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ წინადადებაზე თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ხელმოწერაა, ხოლო 56 პირის მიერ წარდგენილ წინადადებაზე – არა? ერთიც და მეორეც ხომ ერთნაირ პირობებში იქნა წარდგენილი საგანგებო კრებაზე? მაშ, რატომ არ უნდა განხილულიყო საგანგებო კრებაზე 56 პირის მიერ წარდგენილი, გაზეთებში გამოუქვეყნებელი, წინადადება, ხოლო 67 პირის მიერ

ხელმოწერილი წინადადება, ასევე გამოუქვეყნებელი, კი უნდა განხილულიყო? კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ამაოდ წარმოაჩენს საკუთარ თავს ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისად.

მაგრამ აქ საქმე კვლავაც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის უცნაურ ჩვეულებაშია – იმისდა მიხედვით განმარტოს ერთი და იგივე კანონი, საკუთარი თავის მიმართ იყენებს მას თუ სხვების მიმართ. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ ერთი და იმავე დასკვნის ურთიერთსაწინააღმდეგო აზრით გამოყენების სხვა მაგალითიც არსებობს.

დ. მუსხელოვი საერთო კრების 21 მაისის სხდომაზე მოულოდნელად *პირადად თავისი სახელით* აცხადებს სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობის არჩევნებს და საარჩევნო ყუთსაც კი დგამს. მაგრამ ამგვარი არჩევნების შესახებ არა თუ არაფერი ყოფილა ნახსენები გაზეთებში, არა თუ არავის მიერ არ ყოფილა შეთავაზებული კრებამდე შვიდი დღით ადრე, რომ აღარაფერი ვთქვათ ბანკის 50 წევრზე, არამედ გამოცხადებამდე ერთი საათით ადრეც კი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კი არა მხოლოდ არ უთვლის ამას დანაშაულად დ. მუსხელოვს და არ აღიარებს უკანონოდ მის ასეთ ქმედებას, არამედ პირიქით, ხოტბას ასხამს მუსხელოვს, როგორც კანონის მკაცრ დამცველს და სხვებს სდებს ბრალს დ. მუსხელოვის მართლაც უკანონო ქმედების წინააღმდეგ პროტესტის გამოთქმის გამო. როდის არის თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი გულწრფელი &82-ის ახსნა-განმარტებაში?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყურადღებას არ იმსახურებს საჩივრის მე-13 გვერდზე ჯამბაკურ-ორბელიანის რწმუნება იმის შესახებ, რომ საერთო კრების არჩევნების გაუქმების შესახებ 56 პირის მიერ წარდგენილი წინადადების არ-გამოქვეყნება, თითქოს, წესდების

ძირეულ კანონდებულებათა და ზოგადი კანონების ისეთი დარღვევაა, რომ ყოველგვარ ძალასა და მნიშვნელობას უკარგავს 19-21 ივნისის საგანგებო კრების დადგენილებას. იმისათვის, რომ ამ არ-გამოქვეყნებაში დავინახოთ დარღვევა და თანაც *წესდების ძირეული კანონდებულებებისა* და *ზოგადი კანონებისა*, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამტკიცდეს, რომ ეს ძირეული კანონდებულებები არსებობს, რაც რთული კი არა, არამედ შეუძლებელია, რამდენადაც ისინი არ არსებობს.

Д პუნქტში ჯამბაკურ-ორბელიანი ადგენს, რომ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება საერთოდ არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ბანკის წევრთა კრებას აქვს უფლება, გააუქმოს მეორე საერთო კრების არჩევნები. თუმცა იმავე წესდებაში არც ისაა მითითებული, რომ ერთ საერთო კრებას არ შეუძლია მეორის ქმედებების გაუქმება. ამდენად, წესდებაში მითითების არარსებობა ერთ ან მეორე შემთხვევაში, ვერ გამოდგება საყრდენ პუნქტად იმაზე მსჯელობისას, აქვს თუ არა უფლება ერთ კრებას გააუქმოს მეორის დადგენილება, რადგანაც ამა თუ იმ უფლებისათვის საჭიროა წესდების კატეგორიული მითითება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ არის. ვინაიდან ასეთი მითითება არ არსებობს, ისღა რჩება გასარკვევი: კანონმდებელს, რომელიც არაფერს ამბობს გაუქმების უფლებასთან დაკავშირებით, ამ თავისი დუმილით ის ხომ არ ჰქონდა მხედველობაში, რომ გამოეხატა გაუქმების აკრძალვის სურვილი? ჯანსაღი აზრი გამორიცხავს ამ კითხვაზე დადებით პასუხს. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელს ნდომებოდა საქმეთა მფლობელებისათვის საკუთარი შეცდომების გამოსწორების უფლების წართმევა, შეცდომებისა, რომლებიც მათ როგორღაც გაეპარათ დადგენილებებში. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელს მოეთხოვა საქმის არსი მსხვერპლად შეეწირა ფორმისათვის, რომელიც, როგორც წესი, მხ-

ოლოდ და მხოლოდ ამ არსის შესანარჩუნებლად იქმნება. დასაშვებია კი ეს საერთოდ? ასე რომ, გაუქმების უფლება, მოცემულ შემთხვევაში, თავისთავად უნდა იყოს ნაგულისხმევი.

თუმცა, როგორც ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრის მე-15 გვერდიდან ჩანს, მას მიაჩნია, რომ ერთი კრების მიერ მეორის ქმედების გაუქმების უფლება ვერ დაეფუძნება ვარაუდიდან გამომდინარე გაკეთებულ დასკვნას. ასეთი უფლება სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული წესდებაში. აქ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს სამოქალაქო კანონების მხარდაჭერის იმედი აქვს. თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გაურკვეველია განსახილველი საკითხის იურიდიული ვითარება. ვარაუდზე დაფუძნებული უფლების საკითხი სრულიად სხვაგვარია, როდესაც საქმე შეეხება ცალკეულ პირებს შორის კერძო სამოქალაქო გარიგებას, რომელშიც ერთის უფლება მეორის ვალდებულებაა და იგი აუცილებლად უნდა იქნას დადგენილი გარიგების ხელშეკრულებით. ამის გარეშე იგი, რაც უნდა ივარაუდებოდეს მასში, ნებისმიერ შემთხვევაში უსარგებლოა. მოცემულ შემთხვევაში კი ორმხრივი სამოქალაქო გარიგება არ არსებობს და შესაბამისად, საქმის მფლობელი სარგებლობს ბუნებრივი უფლებით, გამოასწოროს მის მიერვე საკუთარ საქმეში დაშვებული შეცდომა. რაღა თქმა უნდა, ამ წესით გაუქმების დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცალკეულ პირთა უფლებების დარღვევას და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ უქმდება დაზარალებული პირის რაიმე მატერიალური უფლება. ამ შემთხვევაში დაზარალებულ პირს, რომელსაც შეუძლია სასამართლო წესით აღადგინოს თავისი უფლებები, თავისი საჩივრის საფუძვლად გამოადგება არა ის, რომ არ არსებობს ერთი კრების მიერ მეორის დადგენილების გაუქმების უფლება, არამედ ის, რომ არსებობს მისი დარღვეული უფლება.

ამ შემთხვევაში შეუძლებელია სხვა სახის პრეტენ-

ზია არსებობდეს, ვინაიდან მეპატრონეთა ერთი კრების მიერ მეორის დადგენილების გაუქმების უფლება არ ხელყოფს არავის უფლებას და არც არავის აკისრებს არავითარ ვალდებულებას, როგორც ეს ხდება ხოლმე კერძო სამოქალაქო გარიგების დროს და თითოეულის ბუნებრივი უფლებაა, უკეთესობისაკენ წარმართოს თავისი საქმეები. მმართველობის აზრით, ამგვარი უნდა იყოს დამოკიდებულება ერთი კრების მიერ მეორის ქმედებების გაუქმების უფლებისადმი. სხვა შემთხვევაში უნდა დაგვეშვა ის ფაქტი, რომ შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა ერთი კრების მიერ შემთხვევით თუ უყურადღებობის გამო, ყველა შემდგომი კრებებისათვის სავალდებულო გამხდარიყო. თუმცა აქ შეიძლება შეგვედავონ, რომ ამისათვის არსებობს უმაღლესი ინსტანციები, რომლებსაც აქვთ ამ შეცდომის გამოსწორების უფლება, თუკი შეიტყობენ მის შესახებ. საადგილმამულო ბანკების და კერძოდ, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წესდებაში, მსგავს შემთხვევებში არსადაა მითითებული ასეთი ინსტანციები. აქ კარგად ჩანს კანონმდებლის განზრახვა, რომ ზედმეტი ჩარევით ხელი არ შეუშალოს კერძო საწარმოებს, მისცეს მათ ბუნებრივი გზით განვითარების საშუალება და საქმეთა მფლობელებს მიანდოს საამისოდ შიდა წესრიგის მოწყობა.

ერთი კრების მიერ მეორის ქმედებების გაუქმების უფლების შესახებ ზოგადი მსჯელობიდან საგანგებო კრების მიერ 20 მაისის არჩევნების არაღიარების კერძო შემთხვევაზე გადასვლისას, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ამჯერად უკვე სამართლიან დებულებას, რომ საარჩევნო საწყისი წარმოადგენს იმის მთავარ გარანტს, თუ რამდენად სწორად წარიმართება ბანკის საქმიანობა (იხ. მისი საჩივრის მე-17 გვერდი). ცხადია, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც ამ დებულებიდან გამომდინარე ლოგიკას მიჰყვება, უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ საწყისის ნების-

მიერი არასწორი გამოყენება ვერ იქნება *ბანკის საქმიანობის სწორად წარმართვის გარანტი.* თუმცა იგივე ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი საჩივრის მე-15 გვერდზე, იმოწმებს რა კვლავაც სამოქ. კან. კრებ. II ან მე-11 ტომს, ამტკიცებს, რომ *იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდა არჩევნებში პირთა უკანონოდ მონაწილეობა, არჩევნები მაინც ძალაში რჩება.* როგორც ჯამბაკურ-ორბელიანის ამ დებულებიდან ჩანს არჩევნები, რომელიც ჩანაცვლებული პირების მონაწილეობით ჩატარდა, ძალაში რჩება და არავითარ შემთხვევაში არ უქმდება. დავუშვათ ეს ასეა. მაშინ რა ვუყოთ მისი საჩივრის იმავე მე-15 გვერდზე განთავსებულ რწმუნებას იმასთან დაკავშირებით, რომ *არჩევნების შედეგების გაუქმება შესაძლებელია დადგენილი პროტესტის მიხედვით უმაღლესი დაწესებულების მიერ, რომელიც აკონტროლებს საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმიანობის კანონიერად წარმართვას.*

ვინაიდან სრულიად საფუძვლიანად არსებობს იმის საშიშროება, რომ გვისაყვედურონ უაზრო საკითხზე მსჯელობის გაგრძელება, თავს ვანებებთ მთელს ამ აურზაურს და შევჩერდებით და დავუშვებთ საჩივრის ავტორის ბოლო თეზისს იმის შესახებ, რომ არჩევნების შედეგების გაუქმება შესაძლებელია. თუმცა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი გაუქმების მიზეზად არ მიიჩნევს არჩევნებში ხმის მიცემის უფლების არმქონე პირთა მონაწილეობას. და ისმის კითხვა: სხვა რა მიზეზი შეიძლებ იყოს იმაზე უფრო საპატიო არჩევნების გასაუქმებლად, ვიდრე არჩევნებში იმ პირთა მონაწილეობაა, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ? არჩევნების უმთავრესი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოხატოს საქმეთა მფლობელების ნება იმასთან დაკავშირებით, თუ ვის სურთ, ჩააბარონ საკუთარი საწარმო სამართავად და დასაცავად, ვის მიანდობენ, ამ მხრივ, საკუთარ ინტერესებს. სხვა მნიშვნელობა ვერც ექნება საარჩევნო საწყისს,

რომელიც საფუძვლად უდევს კრებითი ერთეულის საწარმოს მართვას. როგორ შეიძლება, ხმის მიცემის უფლების არმქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობა არ ვაღიაროთ საკუთრივ არჩევნების გაუქმების მიზეზად, როგორც ეს თავად ჯამბაკურ-ორბელიანს მიაჩნია? მაშასადამე, აქ თავად საარჩევნო პროცესი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ ფაქტობრივი ხმის მიცემა წყვეტს საკითხს და არა ამომრჩევლები. ეს აბსურდი დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, რომ ჯამბაკურ-ორბელიანი დიდის ამბით იმოწმებს რაღაც მეცნიერების მოჩვენებით საწყისებსა და სამოქ. კან. კრებ. რომელიღაც ტომის ასევე მოჩვენებით კანონდებულებას. საჩივრის ავტორის ამ უცნაური თეზისის შესახებ ზემოთაც იქნა აღნიშნული. ამდენად მმართველობას მიაჩნია, რომ საკმარისზე მეტი ითქვა იმის გასააზრებლად, თუ რამდენად უსაფუძვლოა ეს თეზისი.

განსახილველი დაგვრჩა თავადი ჯამბაკურ ორბელიანის კიდევ ერთი დებულება, რომელიც ნახსენებია მისი საჩივრის Д პუნქტში. ამ დებულების მიხედვით, არჩევნების შედეგენი შეიძლება გაუქმდეს, თუმცა არა თავად იმ დაწესებულების მიერ, რომელიც არჩევნებს ატარებს. მოცემულ შემთხვევაში არჩევნები მორიგი საერთო კრების მიერ ჩატარდა და მის მიერვე, ოღონდ საგანგებო კრების სახელით, ბათილად იქნა ცნობილი. საერთო კრებების განსაკუთრებული კომპეტენციის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არჩევნებს შეეხება, უეჭველია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სხვა პირის ან დაწესებულების ჩარევა კანონით დაუშვებელია. სხვა შემთხვევაში, კანონით წინასწარ იქნებოდა შეთანხმებული ასეთი შეზღუდვა საწარმოს მფლობელთა ბუნებრივი უფლებისა, თავად იზრუნონ და მიხედონ საკუთარ საქმეებს. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში საერთო კრების მიერ საბანკო საქმეებთან დაკავშირებით ჩატარებული არჩევნები არსად არ იქნა წარდგენილი

სანქციისა და დამტკიცებისათვის, არამედ მხოლოდ არჩევის ფაქტის ძალით პირდაპირ და უშუალოდ ხდება მიმართვა შესრულებისათვის. შესაბამისად, აქ არჩევის ფაქტით მტკიცდება კიდეც არჩევნები. საერთო წესი კი ასეთია: დაწესებულებას, რომელსაც აქვს უფლება, დაამტკიცოს რაიმე ქმედება, შეუძლია მისი გაუქმებაც, იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა ის ძირითადი საწყისები, რომლებიც ამა თუ იმ ქმედების, მოცემულ შემთხვევაში კი, არჩევნების, სისწორის გარანტია. ამგვარად, არჩევნები არის არა ინსტანციის საქმე, როგორც ეს საჩივრის ავტორს ჰგონია, არამედ საერთო კრების შინა განაწესისა, ვინაიდან სწორედ საერთო კრება ატარებს არჩევნებს.

ამაოდ ცდილობს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ვინმე დარწმუნებას იმაში, რომ საგანგებო და მორიგი კრებების ფუნქციები ერთმანეთისგან განსხვავდება. ამით მას სურს, როგორმე განამტკიცოს საკუთარი დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ საგანგებო კრების მიერ 20 მაისის არჩევნების გაყალბებულად აღიარება და მის მაგივრად ხელახალი არჩევნების გამოცხადება უკანონობა იყო. კანონის მიხედვით, ამ მხრივ, ეს კრებები არაფრით არ განასხვავება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კანონი ადგენს მორიგი კრების წელიწადში ერთხელ მოწვევის ვალდებულებას, ხოლო საგანგებო კრებისას – მხოლოდ მაშინ, როცა ამის გადაუდებელი აუცილებლობა ჩნდება. ეს ნათლად დასტურდება წესდების &82-ით. აღნიშნული პარაგრაფი ადგენს, რომ საგანგებო კრების მოწვევა შესაძლებელია მინიმუმ 50 პირის განცხადების საფუძველზე, რომელთაც აქვთ საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება. ამგვარი განცხადებით მოთხოვნილი საგანგებო კრების მოწვევის მიზეზად, სხვათაშორის, განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს არჩევნების ბათილად არაღიარება და სანაცვლოდ ხელახალი არჩევნების წარმოება. ასეთი მითითება, უდავოდ, შესაძლებელია. მაგრამ თუკი დავუჯერებთ საჩივრის ავტორის რწმუ-

ნებას არჩევნების საკითხში საგანგებო კრების არაკომპეტენტურობის შესახებ, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ წესდებაში, ამ მხრივ, საგანგებო კრების მოსაწვევად განცხადების უფლების არავითარი შეზღუდვა არ არსებობს? ცხადია, რომ კანონი ამ თვალსაზრისით სავსებით არ განასხვავებს საგანგებო კრებას მორიგისაგან.

წესდების 83-ე პარაგრაფი ადგენს, რომ საერთო კრება (განურჩევლად იმისა, მორიგია იგი თუ საგანგებო) განკარგავს მართვის ორგანოების შემადგენლობაში შემავალი პირების არჩევას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საგანგებო კრების ფუნქცია ამ მხრივ რომ შეზღუდული ყოფილიყო, კანონი ნებისმიერ შემთხვევაში მიუთითებდა ამაზე. მაგრამ კანონი ვერ გაითვალისწინებდა იმ იშვიათ, თუმცა შესაძლო შემთხვევებს, რომელთაც მოიცვეს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, როგორც საერთო კრების მიმდინარეობისას, ისე მისი დამთავრების შემდეგ. კრებაზე, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოესწრო კანონიერი გზით მართვის ორგანოების ფორმირება და იმ პირთა შეცვლა, რომელთაც უარი თქვეს ბანკში სამსახურზე.

მმართველობის აზრით, როდესაც არსებობს მორიგი კრება, კანონით საგანგებო კრების დაშვებას ერთადერთი მიზანი აქვს, ამა თუ იმ კრიზისის დადგომისას საქმეთა მფლობელებს დროულად მიეცეთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა და არ ელოდონ მორიგ კრებას, რომლის მოწვევაც წელიწადში ერთხელ ხდება და ისაც მხოლოდ გარკვეული ვადით.

ხოლო იმაზე მწვავე კრიზისი რაღა უნდა იყოს საკრედიტო დაწესებულებისათვის, რაც 21 მაისის შემდეგ დაუდგა ბანკს? განა ჩვეულებრივია ის, რომ ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ მმართველობის შემადგენლობაში შეიყვანონ მხოლოდ დ. მუსხელოვის ერთპიროვნული განკარგულებით დანიშნული პირები, მაგალითად, თავადი ბებუთოვი, რომელსაც თავადი ჯამ-

ბაკურ-ორბელიანიც გზას ულოცავს თავისი საჩივრის მე-8 გვერდზე? სხვა დროს კი იგივე ჯამბაკურ-ორბელიანი ბებუტოვს მმართველობის შემადგენლობიდან რიცხავს იმის გამო, რომ მან დაარღვია მმართველობის წევრის შესაცვლელად კანდიდატის მოწვევისთვის დადგენილი საწესდებო წესები. ეს დარღვევა იმდენად ცხადი და აშკარა იყო, რომ თავად ჯამბაკურ-ორბელიანმაც კი, რომელიც მუდამ სიმამაცით გამოირჩევა, ამჯერად ამჯობინა კეთილგონიერება გამოეჩინა და გაჩუმებულიყო აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით. ამის დასტურად გამოდგება 67 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება (იხ. დანართი N59), რომელზეც პირველივე ხელმოწერა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისაა. ამ წინადადებაში ნახსენებიც კი არ არის არაფერი თავად ბებუთოვზე, როგორც პირზე, რომელიც მმართველობის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, თითქოს ამის შესახებ არც კი დასმულა საკითხი და თითქოს დ. მუსხელოვი თავად ი. მაჩაბელთან ერთად დაჟინებით არ მოითხოვდა მმართველობის შემადგენლობაში ბებუტოვის შეყვანას როგორც 21 მაისს, ისე მას შემდეგ.

განა დასაშვებია მმართველობის შემადგენლობაში თავადი რ. ვაჩნაძის ჩარიცხვა, პირისა, რომელმაც ამოწურა თავისი საკანდიდატო ვადა და აღარ იქნა ხელახლა არჩეული საერთო კრების მიერ არც მმართველობის წევრად და არც წევრობის კანდიდატად, თუმცა მმართველობის მოქმედ წევრად ერთპიროვნულად დანიშნა დ. მუსხელოვმა, რომელიც, თავადი ჯამბაკურ ორბელიანის რწმუნებით, კანონის მკაცრი დამცველია? ამ დანიშვნის დაკანონება თვით ჯამბაკურ-ორბელიანმაც კი ვერ გაბედა მისთვის ჩვეული *მეცნიერების საწყისებისა* და *სამოქ. კან. კრებ.* დამოწმებით. მიუხედავად დ. მუსხელოვის დიდი სურვილისა, იგი ვერ ბედავს მმართველობის შემადგენლობაში მოიხსენიოს თავადი რ. ვაჩნაძე. ამას ვერ აკეთებს არა მხოლოდ 67 პირის მიერ ხელ-

მოწერილ წინადადებაში, არამედ თავის საჩივარსა და ახსნა-განმარტებით ბარათშიც კი. პირიქით, თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-20 გვერდზე იგი გულმოდგინედ მალავს დ. მუსხელოვის ყველა გადახვევას საწესდებო წესებიდან და მათ შორის, ამ გარემოებასაც და ირწმუნება, რომ თითქოს დ. მუსხელოვმა თავადი რ. ვაჩნაძე აღიარა რიგის მიხედვით კანდიდატთა სიიდან ამორიცხულად და განზრახული ჰქონდა, მის ნაცვლად აერჩია მმართველობის წევრობის ახალი კანდიდატი. ყოველივე ეს მტკნარი სიცრუეა, რის დასტურადაც მმართველობა მიუთითებს როგორც დ. მუსხელოვის მიერ ხელმოწერილ 21 მაისის ოქმზე (იხ. დანართი N45), ასევე, იმავე დ. მუსხელოვის მიერ 24 მაისს ამ ოქმზე თანდართულ ქაღალდზე N4 (იხ.დანართი N52). პირველ მათგანში დ. მუსხელოვი თვითნებურად ადგენს მმართველობის შემადგენლობას, ხოლო მეორეში – იგი მიუთითებს მმართველობის წევრს, თავად ავალოვს, როგორც თავმჯდომარის მაგივრობის გამწევს, რომ მმართველობის წევრად აღიაროს თავადი რ. ვაჩნაძეც.

ნუთუ ბუნებრივია ის, რომ სწორედ თავადმა მაჩაბელმა დაივიწყა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ მისთვის დაკისრებული კანონის მკაცრი დამცველისა და ბანკის საქმეებისადმი შეგნებული და კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველის როლი, რომელის შესრულებაც მის ძლებს აღემატება, მთელი თავისი ძალისხმევა არ დაიშურა იმის მისაღწევად, რომ ეღიარებინათ კანონიერად მმართველობის შემადგენლობა, მუსხელოვის თვითნებური გეგმები, მიუხედავად მათი აშკარა უკანონობისა? თვით ჯამბაკურ-ორბელიანმაც კი, რომელსაც ბრმად სწამს თავადი ი. მაჩაბლის მოსაზრებათა შეუმცდარობისა და რომელიც თამამი და მოურიდებელია ყველაფერში, ამჯერად ვერ გაბედა გაეზიარებინა თავადი მაჩაბლის მოსაზრება. ეს ნათლად ჩანს ზემოხსენებულ 67 პირის მიერ ხელმოწერილ წინადადებაში

(იხ.დანართი N59), სადაც თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ხელმოწერაცაა. ამ წინადადებით 19 ივნისს მოწვეულ საგანგებო კრებას სთავაზობენ გარკვეულ ზომებს იმისათვის, რათა საწესდებო წესით ჩამოყალიბდეს მმართველობის კანონიერი შემადგენლობა. დ. მუსხელოვის მიერ ფორმირებული მმართველობის შემადგენლობა რომ კანონიერად ეღიარებინათ, ასეთ წინადადებაც აღარ იარსებებდა, ვინაიდან აღარ იქნებოდა საჭირო ზომების შეთავაზება იმის ფორმირებისთვის, რაც, თავადი მაჩაბლისა და დ. მუსხელოვის აზრით, უკვე ჩამოყალიბებული და დადგენილი იყო.

ნუთუ ჩვეულებრივია ის, რომ ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, კანონიერების მკაცრმა დამცველმა და ბანკის საქმეებისადმი შეგნებული დამოკიდებულების მქონე თავადმა ი. მაჩაბელმა, წარმოიდგინა რა თავი ბანკის ბედის ერთპიროვნულ განმკარგავად, სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა გაუქმებულად გამოაცხადა და ბანკის დაქირავებული თანამშრომლები დაარწმუნა, არ შეესრულებინათ მმართველობის განკარგულებები იმიტომ, რომ მმართველობის ორი წევრი, რომელთაც უარი თქვეს მუშაობაზე, მოვალეობის გრძნობის გამო განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს მმართველობის უწინდელ შემადგენლობაში ახლის კანონიერი გზით ჩამოყალიბებამდე? ყველაზე მეტად გამაოგნებელი ის არის, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისთვის ი. მაჩაბლის ყველა ეს ქმედება ცნობილია მანამ, სანამ იგი თავის საჩივარს ფინანსთა სამინისტროში ჩააბარებდა. მიუხედავად ამისა, ყოველივე აღნიშნულის გამო სულაც არ აღშფოთებულა მისი კანონიერების გრძნობა. პირიქით, მისი რწმენა, რომ ი.მაჩაბელი თავის ქმედებებში შეუმცდარია, ოდნავადაც არ შერყეულა. სამაგიეროდ, როგორ დაუნდობლად ილაშქრებს იგივე თავადი ჯამბაკურ-

ორბელიანი საგანგებო კრების ქმედების წინააღმდეგ, ვინაიდან, შეამჩნია რა ამ უკანასკნელმა 20 მაისის არჩევნებში 53 უკანონოდ მონაწილე ხმა, გაბედა არჩევნები ბათილად გამოეცხადებინა და ამომრჩეველთა ჭეშმარიტი ნებითა და საკუთრივ, არჩევნებისადმი ნდობის შეურყევობის გამო, გააუქმა იგი. აქ საერთო კრების უფლებებისა და მოვალეობების ზღვარი აშკარა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სადავო მაინცაა, ხოლო თავადი ი. მაჩაბლის ზემოაღნიშნული ქმედებები უდავოდ უკანონოა. როგორ იქცევა ერთ ან მეორე შემთხვევაში თავის დებულებებში შეუმცდარი საჩივრის ავტორი? პირველ შემთხვევაში, როდესაც ქმედების უკანონობა აშკარაა, იგი ასკვნის, რომ მოქმედი პირი შეუმცდარია, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ქმედების კანონიერება-უკანონობის საკითხი სადავოა, ისიც უკიდურეს შემთხვევაში, ჯამბაკურ-ორბელიანი მოქმედ პირს გადაჭრით გმობს. სად არის აქ სიმართლე? სად არის გულწრფელობა, რომელიც უზრუნველყოფს მოღვაწის საზოგადოებრივ ინტერესს? თუმცა, ეს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის თავისებური ლოგიკის საქმეა, რომელსაც, მმართველობა იძულებულია, ანგარიში გაუწიოს.

იმ კრიზისზე მსჯელობის დასასრულს, რომელიც ბანკს 21 მაისის შემდეგ დაუდგა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ შემდეგი. ეს კრიზისი ყველაზე მეტად გაამწვავა იმ გარემოებამ, რომ, ერთი მხრივ, თავადმა ი. მაჩაბელმა არ ისურვა მმართველობის ძველ შემადგენლობაში მონაწილეობის მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველობის ორმა წევრმა და სამეთვალყურეო კომიტეტის მთელმა შემადგენლობამ გადაჭრით თქვეს უარი და ახლაც უარზე არიან განაგრძონ ბანკში მუშაობა, თუ მმართველობის შემადგენლობაში კვლავ შევა თავადი ი. მაჩაბელი.

და ისმის კითხვა: იმ მწვავე კრიზისისაგან თავის დასაღწევად, რომელიც ბანკს დაღუპვით ემუქრება, სხვა რა ზომა შეიძლება ყოფილიყო მიღებული, თუ არა ის,

რომ საგანგებო კრების საშუალებით მიემართათ საქმის მფლობელებისათვის, მოეხსენებინათ მათთვის ყოველივე და შეეთავაზებინათ ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსავლის მონახვა? ამგვარ პირობებში როგორ ბედავს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, გაკიცხოს ისინი, ვინც საჭიროდ მიიჩნიეს საგანგებო კრების მოწვევა და მათთან ერთად კრებაც, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავის მოვალეობად მიიჩნია ბანკის საქმეების სავალალო მდგომარეობის განხილვა და თავისი ძალებისა და შესაძლებლობების მიხედვით წესრიგის დამყარებაზე ზრუნვა, რათა ამით, ასე თუ ისე, ბოლო მოეღო იმ არეულობისათვის, რომელიც 21 მაისის შემდეგ მეფობდა ბანკში დ. მუსხელოვის თვითნებობისა და თავადი ი. მაჩაბლის ქმედებების წყალობით.

რა შეეძლო გაეკეთებინა საგანგებო კრებას ამგვარ ვითარებაში, გარდა იმისა, რაც გააკეთა? ნუთუ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის რჩევას უნდა მიჰყოლოდა და ეთქვა: „ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ჩემი საქმე არ არის საკუთარ საქმეებში წესრიგის დამყარებაზე ზრუნვა; როგორც ჯამბაკურ-ორბელიანი ამბობს თავისი საჩივრის მე-15 გვერდზე, ამისათვის არსებობს *უმაღლესი* დაწესებულება, რომელმაც უნდა მიპატრონოს და იზრუნოს იმ შეცდომების გამოსწორებაზე, რომლებიც დავუშვი მხოლოდ მე რომ მეხება, ისეთ საქმეში“. მაგრამ რომელი სადი აზრით შეიძლება გამართლდეს ასეთი პასუხი?

უმაღლეს ინსტანციას, ასეთად კი წესდებით მიჩნეულია საერთო კრება, რომელიც, წესდების &81 მე-13 პუნქტის მიხედვით, ვალდებულია განიხილოს მმართველობის მიერ 82-ე პარაგრაფის საფუძველზე წარმოდგენილი ყველა საკითხი გამონაკლისის გარეშე და რომელსაც არავითარი კანონი არ ავალდებულებს, სადმე წარმოდგინოს რომელიმე თავისი განკარგულება დასამტკიცებლად, განა შეეძლო ასეთ უმაღლეს ინსტანციას შინაგანაწესით გათვალისწინებულ საქმეებს შორის განსახილველად

არ მიეღო 56 პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება, წარდგენილი მმართველობის მიერ წესდების 82-ე პარაგრაფის მითითებული წესით და არ დაედო მასზე რაიმე დასკვნა და აეხსნა იმით, რომ ეს მისი საქმე არ არის? შესაძლებელია კი ასეთი დასკვნა იმ პირის მხრიდან, ვინც რამდენადმე იცნობს ბანკის წესდებას და რომელიც კანონმდებლის გულმოდგინე და წინდახედულ მზრუნველობას არ იშურებს, რათა საწარმოს მეპატრონეთა შიდა საქმიანობაში ზედმეტი ჩარევით არ შეზღუდოს მათი თავისუფლება.

არჩევნების გაბათილება-არგაბათილების საკითხი, უდავოდ, შინაგანაწესის საქმეა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა. ამდენად, თუ კი აქ ვინმეს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, სწორედ საერთო კრების ამა თუ იმ გადაწყვეტილებისაგან დაზარალებულ პირს. პრეტენზია კი მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, თუ აღდგება დაზარალებულის დარღვეული უფლება, რაც მხოლოდ სასამართლო წესითაა შესაძლებელი და არა ადმინისტრაციული განკარგულებით.

მოცემულ შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროსადმი თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის მიმართვა იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა აღდგეს, თითქოს, საგანგებო კრების მიერ 21 მაისის არჩევნებისას დარღვეული თავადი ი. მაჩაბლის უფლებები და ამ უკანასკნელმა უნდა დაიკავოს ადგილი მმართველობის შემადგენლობაში, სრულიად უადგილო და გაუმართლებელია, ვინაიდან ეს სასამართლო უწყების საქმეა. გარდა ამისა, მსოფლიოში რომელი სასამართლო არ აღიარებს ბათილად არჩევნებს, სადაც მონაწილეობა მიიღო ხმის მიცემის უფლების არ მქონე 53 ამომრჩეველმა? რომელი სასამართლო არ აღიარებს სამართლიანად გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მმართველობა იღებს სამსახურიდან გადამდგარი პირების შეთავაზებას საკუთარი მოვალეობების შესრულების გაგრძელების შესახებ მანამ, სანამ კანონიერად

არ ჩამოყალიბდება მართვის ორგანოთა სათანადო შემადგენლობა? რომელი სასამართლო აღიარებს დ. მუსხელოვის თვითნებობას, რომელმაც თავისი ნება-სურვილისამებრ ჩამოაყალიბა მმართველობა და არაფრად ჩააგდო ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული არავითარი საწესდებო წესი? რომელ სასამართლოს არ გააოგნებს თავადი მაჩაბლის მიერ 21 მაისის შემდეგ ჩადენილი თვითნებური ქმედებები, რომელთა მიზეზითაც შეიძლება ბანკში ყველაფერი თავდაყირა დადგეს? მოქალაქის რომელ სათნოებას იჩენს თავადი ი. მაჩაბელი, როდესაც უკანონო ამომრჩეველთა არჩევანს აღიარებს და ამის მიხედვით ახვევს საკუთარ თავს იმ საზოგადოებას, რომლის 620 წევრიდან დიდმა უმრავლესობამ იგი იმის გამო გაკიცხა, რომ მას, როგორც მმართველობის წევრს, ღირსეულად არ ეჭირა თავი და არ იცოდა სად მთავრდებოდა მისი უფლებები და იწყებოდა მოვალეობები (იხ. დანართი N69)? იმ პირებმა, რომლებიც მასთან ერთად აირჩია 21 მაისის საერთო კრების უკანონო შემადგენლობამ, საკუთარი ღირსების გრძნობიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნიეს არ დასთანხმებოდნენ ამგვარ არჩევას და ყოველგვარი პროტესტის გარეშე მიიღეს წინადადება ხელახალი კენჭისყრის შესახებ, რისი საფუძველიც გახდა ხმის მიცემის უფლების არმქონე 53 პირის მონაწილეობა 21 მაისის არჩევნებში. მათ სურდათ ამგვარად გაერკვიათ ნამდვილი და არა ცრუ ამომრჩევლებისა დამოკიდებულება მათდამი. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ თავადი ი. მაჩაბელი და კონსტ. ყიფიანი, რომლებმაც არ გარისკეს მინდობოდნენ ნამდვილ ამომრჩეველთა შეფასებას და დასჯერდნენ 53 თვითმარქვიას მონაწილეობით ჩატარებულ არჩევნებს. ნუთუ შეეძლო საგანგებო კრებას მოქცეულიყო სხვაგვარად და არა ისე, როგორც მოიქცა?

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა თავადი ჯამბაკურორბელიანის საჩივრის Д პუნქტთან დაკავშირებით, ნაწ-

ილობრივ ეწინააღმდეგება საჩივრის ზოგიერთ იმ დებულებასაც, რომლებიც E პუნქტშია მითითებული. თუმცა ამ უკანასკნელ პუნქტში არის სხვა ისეთი თეზისებიც, რომელთა შესახებაც მმართველობა საჭიროდ მიიჩნევს ახსნა-განმარტების მიცემას. ასე, მაგალითად, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მიუთითებს წესდების 95-ე პარაგრაფზე, რომელშიც ნათქვამია, რომ „*გაუგებრობებს*, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს წესდების შესრულებისას, აგვარებს ფინანსთა სამინისტრო“. ამჯერად, ჯამბაკურ-ორბელიანის ეს მითითება დასტურდება 95-ე პარაგრაფით.

თუმცა, იმისათვის, რომ ეს პარაგრაფი მოცემულ შემთხვევას მივუსადაგოთ, საჭიროა თავად *გაუგებრობის* არსებობა. სად იჩენს ეს გაუგებრობა თავს? იქნებ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ძალა და მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს 53 უკანონოდ მიცემულ ხმას თავად არჩევნების ქმედითად აღიარების საქმეში? მაგრამ ეს გაუგებრობა როდია, რომლის გადასაწყვეტადაც ფინანსთა სამინისტროსთვის მიმართვაა საჭირო, არამედ უბრალო მოუსაზრებლობაა და ისიც მხოლოდ ჯამბაკურ-ორბელიანისათვის. სხვებისათვის იგი მარტივად თავიდანასაცილებელია. ჯამბაკურ-ორბელიანის ახსნა-განმარტების ერთ-ერთ წინა გვერდზე მითითებულია, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა 53 ხმას 20 მაისის კენჭისყრაში. მეტ-ნაკლებად კერძო ხასიათის ამ მითითებაზე აქვე უნდა წამოვაყენოთ უფრო პრინციპული ხასიათის მოსაზრება. მაშინ, როცა არჩევნებში ერთი ხმაც კი გადამწყვეტია, ნუთუ შეიძლება ვინმე დაეჭვდეს იმაში, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს უკანონოდ მიცემულ 53 ხმას წარმოებული კენჭისყრისათვის, რაც უნდა ბევრი ამომრჩეველი მონაწილეობდეს? აქ შეიძლება შეგვედავონ: საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ ფარულ კენჭისყრაში უკანონოდ მონაწილე ამ 53 პირმა მაინდამაინც უმრავლესობას მიანიჭა უპირატესობაო? ამის ცოდნა რომ შეუძლებე-

ლია, სწორედ ამიტომ ვერ ვაღიარებთ მოქმედად ამგვარ კენჭისყრას. თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მარტივად გამოვქვითავდით ამ ხმებს და ამით ყოველგვარ ეჭვსაც ბოლო მოეღებოდა. თანამდებობის პირთა არჩევა კი იმდენად მნიშვნელოვანი აქტია ამომრჩევლების ინტერესთა გამოხატვის თვალსაზრისით, რომ სულ მცირე ეჭვქვეშ თუ დგას მისი სისწორე და ამ ეჭვის აღმოფხვრა ვერ ხერხდება, ეს უკვე საკმარისი საფუძველია, რათა ეს აქტი ბათილად გამოცხადდეს. არჩევნების მნიშვნელობაზე თავადვე საუბრობს ჯამბაკურ-ორბელიანი თავისი საჩივრის მე-17 გვერდზე და ირწმუნება, რომ *იგია ბანკის საქმიანობის სწორად წარმართვის უმთავრესი გარანტია*. თუმცა, სამწუხაროდ, იგი ამ თავის რწმუნებას ივიწყებს მაშინ, როცა მისი გახსენება ხელს არ აძლევს. რამდენადაც არც ეს რწმუნება წარმოადგენს ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ ნათქვამ ცარიელ ფრაზას, არამედ სერიოზულად და გულწრფელად სწამს მისი, შეეძლო კი ამ უკანასკნელს ასე ამხედრებულიყო იმის წინააღმდეგ, ვინც ეცდებოდა, ეჭვქვეშ არ დაეყენებინა არჩევნების სამართლიანად ჩატარება?

თუმცა თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა არა თუ შეძლო ეს, არამედ უფრო შორსაც წავიდა, რათა დაემტკიცებინა, რომ მისი ზემოაღნიშნული რწმუნება მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ფრაზაა, მის ბაგეთაგან წამოსროლილი, უჯერებს რა მკითხველი მას, რომ სარჩევნო საწყისი წარმოადგენს ბანკის საქმიანობის სწორად წარმართვის მთავარ გარანტიას, იქვე მოელის, რომ იგი შემდეგ დაამტკიცებს: ამიტომაც, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა ამ საწყისის განხორციელების სისწორეში არავის შეეპაროს ეჭვი, ხოლო სულ მცირე ეჭვის არსებობის შემთხვევაში კი იგი ბათილად უნდა გამოცხადდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი ექნება ასეთ რწმუნებას? ამის შემდეგ ცხადია, რომ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს სურს, მისი ეს რწმუნება იქცეს ბანკის წევრე-

ბისათვის წამაქეზებელ მიზეზად, რათა განსაკუთრებული სიმკაცრით მოეკიდონ საარჩევნო პროცესს და თვალყური ადევნონ, რომ იგი წარიმართოს სწორი გზით, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული არჩევნების მთავარი მიზანი – გამოხატოს ჭეშმარიტ ამომრჩეველთა ჭეშმარიტი ნება. და რაში შეიძლება ეს განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიხატოს, თუ არა იმაში, რომ ამ პროცესის მსვლელობისას წესიერების სულ მცირე დარღვევის შემთხვევაში მისი შედეგი ბათილად იქნას გამოცხადებული? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ასეც უნდა იყოს ეს ყოველივე. თუმცა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, გადმოსცემს რა ამ თავის ზემოხსენებულ რწმუნებას, იქვე, ზუსტად ერთი სტრიქონის შემდეგ, არა თუ არჩევნების ბათილად აღიარების შესაძლებლობას არ უშვებს, არამედ სრულიად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და ირწმუნება, რომ *„ისეთი პრეცედენტის შექმნა, როგორიცაა მორიგი კრების არჩევნების ნაჩქარევი და უხეშად-უკანონო გაუქმება საგანგებო კრების მიერ*, რომელიც შეიძლება პარტიული ზეწოლით იქნას მოწვეული, ბანკის ცხოვრებაში უდავოდ წარმოშობს მის ღონისძიებათა არამდგრადობას, ბანკის საქმიანობისადმი უნდობლობას, ვეღარ იქნებოდა უზრუნველყოფილი მსესხებელთა ინტერესები“ და ა. შ.

ვინაიდან ჩვენთვის გაუგებარია ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ნაჩქარევი და უხეშად – უკანონო“, გვსურს აზრი მთელს ამ ტირადაში ვპოვოთ, რამდენადაც ძნელი წარმოსადგენია, ადამიანმა, რომელსაც აზრთა გამოხატვის მოთხოვნილება აქვს, შეგნებულად განიზრახოს სისულელის თქმა; უნდა ვიფიქროთ, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი არა მხოლოდ არ უშვებს უკანონოდ ჩატარებული არჩევნების გაუქმების შესაძლებლობას, არამედ სახიფათოდაც კი მიიჩნევს ასეთი პრეცედენტის დაშვებას. იგი სავსებით მართალია, როდესაც გაუქმება, მისი თქმით, „მკაცრად უკანონოდ“ ხორციელდ-

ება. მაგრამ თუკი არჩევნები უქმდება „არამკაცრად და კანონიერად“? ნუთუ მაშინაც იმ საშინელებებს ვიღებთ შედეგად, რომლებითაც ასე გვაშინებს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი? ამაზე ჯამბაკურ-ორბელიანი დადებით პასუხს იძლევა, მიუთითებს რა ამის საფუძვლად იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მორიგი კრების მიერ ჩატარებულ არჩევნებს აუქმებს საგანგებო კრება, რომელიც შეიძლება პარტიული ზეწოლით იქნას მოწვეული. თუმცა საგანგებო კრების მოწვევა, თუნდაც მხოლოდ არჩევნების გაუქმების მიზნით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს არჩევნების გაუქმებას. ამისათვის საჭიროა უტყუარი მტკიცებულებები, რომელთა განხილვასა და მკაცრ შეფასებასაც უნდა მოჰყვეს ესა თუ ის გადაწყვეტილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა იმ პირთა არჩევა, რომელთაც ამომრჩევლები თავიანთი ინტერესების დაცვას მიანდობენ. აქ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის აქვს უფლება განიხილოს და შეაფასოს ეს მტკიცებულებები და მიიღოს გადაწყვეტილება, თავად საზოგადოებას, რომელმაც არჩევნები ჩაატარა თუ რომელიმე დაწესებულება, წყდება სრულიად სხვა მოსაზრებებით და მათ არავითარი საერთო არ აქვს უკვე ჩატარებული არჩევნების ხელშეუხებლობისა და ურყევობის პრინციპულ საკითხთან. აქ საქმე შეეხება იმას, შეიძლება თუ არა გაუქმდეს უკვე ჩატარებული არჩევნები? თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ამაზე პასუხობს, რომ შეიძლება, მაგრამ არა იმ დაწესებულების მიერ, რომელიც არჩევნებს ატარებს.

მმართველობამ ზემოთ უკვე წარმოადგინა თავისი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ, რომლის გარეშეც ვერ დამტკიცდება არჩევნები, არ შეიძლება დაკარგოს მისი გაუქმების უფლება, თუ, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით კანონებში არ არის მითითებული სპეციალური შეზღუდვა, ან უკეთ რომ ვთქვათ, აკრძალვა, ვინაიდან უფლების ნებისმიერი შეზღუდვა

ან აკრძალვა უნდა ხდებოდეს კანონის და არა ცალკეულ პირთა განზრახვების საფუძველზე.

საინტერესოა, რატომ ჰგონია ჯამბაკურ-ორბელიანს, რომ არასწორად ჩატარებული არჩევნების გაუქმება არის სახიფათო პრეცედენტი, რომელიც შეარყევს ღონისძიებათა მდგრადობას, ბანკის საქმიანობისადმი ნდობას და ზიანს მიაყენებს მსესხებელთა ინტერესებს? იგი თავადვე აღნიშნავს თავისი საჩივრის მე-15 გვერდზე, რომ არჩევნების გაუქმების უფლება კანონით აქვს მინიჭებული „თბილისის ორმხრივ სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებას“. ამის შემდეგ როგორღა არწმუნებს ჯამბაკურ-ორბელიანი სამინისტროს, რომ არჩევნების გაუქმებას იმ საშინელებებამდე მივყავართ, რომლებითაც იგი გვაშინებს? ნუთუ კანონმდებელმა ამგვარი წესის დაშვებისას ვერ გათვალა ეს საშიშროებანი, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ ჯამბაკურ-ორბელიანის მოცლილი ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენდნენ, რომელიც ასე მონდომებით მიმართავს გამონაგონს, როდესაც ეს სჭირდება? იქნებ ჯამბაკურ-ორბელიანი ფიქრობს, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში მასზე ნაკლებ წინდახედული იყო ან მასზე ნაკლებად ფლობდა წინასწარ განჭვრეტის უნარს? გარდა ამისა, ნუთუ შეიძლება ვინმეს ჩაუნერგოს საკუთარი ზომების სიმტკიცის რწმენა, თავისი დაწესებულების საქმიანობისადმი ნდობა და მსესხებლების ინტერესთა უზრუნველყოფილობის რწმენა ისეთმა საზოგადოებამ, რომელიც ყურადღებას არ აქცევს არჩევნების სწორად ჩატარებას და საკმარისი სიმკაცრით არ იცავს წესებს, რომლებიც არჩევნების გაყალბებისაგან დაცვის გარანტიაა; საზოგადოებამ, რომელიც აღიარებს არჩევნების შედეგებს ისეთი აშკარა და დამტკიცებული დარღვევების პირობებში, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ იმ ფაქტს, რომ ამ არჩევნებით ამომრჩეველთა კეთილი ნება იქნა გამოხატული; საზოგადოებამ, რომელიც ამგვარი გულგრილობით ეკიდება ისეთ მნიშვნელო-

ვან აქტს, როგორიცაა თანამდებობის პირთა არჩევა? მაშინ რიღასთვის არის საჭირო ამავე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ თავისი ახსნა-განმარტებითი ბარათის მე-2 გვერდზე ამგვარი სიხშირის მოწოდებები იმასთან დაკავშირებით, რომ *ბანკის მფლობელები გულგრილად ეპყრობიან საკუთარ დაწესებულებას, რომ არ არსებობს არავითარი კონტროლი და კრიტიკული მითითებები,* თუკი იგი თავადვე შეუზღუდავს იმავე საჩივრის მე-17 გვერდზე ბანკის მფლობელთა საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ გამოიჩინონ თანაგრძნობა საკუთარი დაწესებულებისადმი, კრიტიკული დამოკიდებულება და კონტროლი ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა არჩევნები?

ეს ყოველივე აიხსნება თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის გასაოცარი უნარით, ბანკის მეპატრონეებს ხან საკუთარი დაწესებულებისადმი თანაგრძნობის გამოჩენაში დასდოს ბრალი, ხან კი – მის არგამოჩენაში, იმის მიხედვით, როდის როგორ სჭირდება.

დასკვნების გამოტანისას ამგვარ თანმიმდევრულობაზე მთელ პასუხისმგებლობას მმართველობა საჩივრის ავტორს აკისრებს და თავის მხრივ მიიჩნევს, რომ არასწორად ჩატარებული არჩევნების გაუქმება, რაც უნდა ხშირი იყოს იგი, კი არ შეარყევს, არამედ პირიქით, გაამყარებს ღონისძიებათა კანონიერებისადმი რწმენას, ბანკის საქმიანობისადმი ნდობას და ყველაზე სანდო ხერხით, და შესაძლოა ერთადერთითაც, უზრუნველყოფს მსესხებელთა ინტერესებს. ამ გაუქმების შესაძლებლობაზეა დაფუძნებული ცალკე პირის შეუზღუდავი უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი ქმედება. ი შვიათად განიხილება ასეთი საქმე გასაჩივრების გარეშე ამა თუ იმ გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. მაგრამ, განა სასამართლო გადაწყვეტილებების ასეთი ხშირი გაუქმება, პირიქით, უფრო არ გაამყარებს მართლმსაჯულების საფუძვლებს? აქ კვლავაც შეიძლება შემოგვედავონ, რომ

ერთი ინსტანციის სასამართლოს არ აქვს საკუთარი გადაწყვეტილების გაუქმების უფლება და ამის გარანტია მართლმსაჯულების საფუძვლების საჭიროებაშია. მოცემულ შემთხვევაში კი ჯამბაკურ-ორბელიანი დავობს ერთი კრების მიერ მეორე ასეთივე კრების გაუქმების უფლების შესახებ. ამის გამო, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისათვის არსებობს კანონი, რომელიც საინსტანციო წესრიგს ამყარებს. ხოლო კრების მიერ საკუთარი არჩევნების გასაუქმებლად კანონით არავითარი ინსტანცია არ არის მითითებული. ამიტომ, ამ შემთხვევაში კრება გვევლინება საკუთარი ბედის ერთადერთ განმგებლად.

თუმცა შეიძლება გვკითხონ: სად არის იმის გარანტია, რომ სწორად იქნება გამოყენებული გაუქმების უფლება ამა თუ იმ კრების მიერ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გვევლინება საკუთარ ქმედებათა მსაჯულად? პირველ რიგში, ამის გარანტიაა ის, რომ იმ პირთა არჩევნები, ვისაც წევრთა კრება საკუთარ ინტერესებს მიანდობს, ცალკეულ პირთა კერძო ინტერესებს არ შეეხება, არამედ წარმოადგენს ცალმხრივ ინტერესთა საგანს ბანკის იმ წევრებისა, რომლებიც საერთო კრებას შეადგენენ და ამდენად არ შეიცავს მიკერძოების საფრთხეს. პირიქით, ყველაფერი მხოლოდ თავად საქმის ინტერესებს ექვემდებარება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. მეორეც, ამის გარანტიას წარმოადგენს ისიც, რომ კანონმდებელს სამართლიანად სწამს ისეთი საარჩევნო ერთეულის კეთილგონიერებისა, როგორიცაა ბანკის წევრთა კრება. ეს უკანასკნელი არ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ უმიზეზოდ ჩირქი მოსცხოს საკუთარ ქმედებებს. დაბოლოს, ამის გარანტიაა ცალკეულ პირთა უფლებების სასამართლო წესით დაცვა, თუ კრების ამა თუ იმ გადაწყვეტილებით, თუნდაც არჩევნების საკითხთან დაკავშირებით, დაირღვა ვინმეს უფლებები.

უკანასკნელი E პუნქტით იწურება ყველა ის დებულება, რომელთა საფუძველზეც ჯამბაკურ-ორბელიანი მოითხოვს მხოლოდ ერთს – თავადი ი. მაჩაბლის აღდგენას მმართველობის შემადგენლობაში. სხვა მიზანი მას არ აქვს, რამდენადაც მისი თხოვნის პირველი პუნქტი სწორედ ესაა, ხოლო დანარჩენი ორი მას ერთვის ყოველგვარი აშკარა საფუძვლისა და აუცილებლობის გარეშე. ასე, მაგალითად, რატომღა მიემართება ფინანსთა სამინისტროს თხოვნის მეორე პუნქტი იმის თაობაზე, რომ კიდევ ერთხელ მიეცეს მითითება, საგანგებო კრებაზე იქნას გატანილი წნადადება სარევიზიო ანგარიშის განხილვის შესახებ, როცა ეს ისედაც უეჭველად შესრულდება. და თუ უკვე არ არის შესრულებული, მხოლოდ იმიტომ, რომ, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრის წყალობით, მმართველობა იძულებული იყო საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებული კანცელარიისმოთხოვნით მთელი ეს დრო, აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მოყოლებული დღემდე, დაეთმო ამ საჩივარზე საკუთარი ახსნა-განმარტების მომზადებისათვის. ხოლო 20 აპრილიდან 21 მაისის ჩათვლით მართვის ორგანოები უკლებლივ ყოველდღე მონაწილეობდნენ მორიგი კრების საქმეებში და მთელ დროს ამას ანდომებდნენ. მერეც, 21 მაისიდან 21 ივნისამდე მართვის ორგანოები მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ უშუალო საქმიანობას და გადართულნი იყვნენ ბანკში გამეფებულ არეულობაზე, რომლის თავიდან ასაცილებლადაც აუცილებელი იყო რაიმე ზომების მიღება. ამ ზომების განხორციელებამდე კი ფხიზლად ყოფნა იყო საჭირო, რათა მოეგერიებინათ თავადი დ. მუსხელოვის, ი. მაჩაბლის, ჯამბაკურ-ორბელიანის და მათნაირების იერიში, რომლებიც ცდილობდნენ თავდაყირა დააყენებინათ ყველაფერი და არაფრად აგდებდნენ დაწესებულების ინტერესებს. ცხადია, არც მმართველობას, არც სამეთვალყურეო კომიტეტს, არ ჰქონდა იმის დრო, რომ ჯერ თავისი მოხსენება მოემზადებინა, ხოლო

შემდეგ დასკვნა ისეთი ვრცელი ნაშრომის შესახებ, როგორიცაა სარევიზიო ანგარიში, რომელიც, მასში განხილული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოითხოვს განსაკუთრებული გულისყურით შესწავლას.

თხოვნის მესამე პუნქტიც არავითარი აუცილებლობით არ არის გამოწვეული და ამდენად, მეორე პუნქტის მსგავსად, მასაც არ აქვს თხოვნის პუნქტის მნიშვნელობა. რაღა საჭიროა, მიღებულ იქნას დაუყოვნებლივ შესრულებისათვის ის, რაც უკვე მიღებულია, რაც თავად ფინანსთა სამინისტროსთვისაც ცნობილია და მმართველობის 26 აპრილისა და 25 ივნისის დადგენილებებიდანაც ჩანს? თუკი მმართველობამ დაადგინა ფინანსთა სამინისტროსთან ეშუამდგომლა ნებართვისათვის, რომ სოფლის მამულების შემოსავლების კაპიტალიზაციის პროცენტთან და ქალაქის ქონების შენახვის ხარჯების შეღავათებთან დაკავშირებით ეხელმძღვანელა შეფასების ინსტრუქციით, რომელიც ჯერ კიდევ არ გაუქმებულა საწესდებო წესით, ეს ყოველივე, მმართველობის აზრით, გაკეთდა თავად საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ, თუ თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა არ ისურვა ამის გაგება, შეეძლო მომდევნო საკითხის განხილვაზე მაინც აღარ გადასულიყო: ნუთუ ბ-ნი ფინანსთა მინისტრი, გასცემს რა ბრძანებას ამა თუ იმ ზომის მიღების თაობაზე, ამით ვინმეს ართმევს უფლებას, რომ უშუამდგომლოს მითითებულ ზომათაგან რომელიმეს გაუქმებას? მაშინ რაღა აზრი აქვს თხოვნის მეორე და მესამე პუნქტს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მმართველობა თავად ჯამბაკურ-ორბელიანს მიანდობს და შეჩერდება ამ უკანასკნელის თხოვნაზე იმასთან დაკავშირებით, რომ *საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულმა კანცელარიამ უშუამდგომლოს მის აღმატებულებასთან, ბ-ნ ფინანსთა მინისტრთან ბანკის წევრთა საგანგებო კრების 19-21*

ივნისის დადგენილებების ყველა იმ ნაწილის გაუქმებას, რომლებიც შეეხება 20 ივნისის მორიგი კრების არჩევნების ბათილად გამოცხადებას, აღნიშნულმა საგანგებო კრებამ, რომელიც ფორმიერბულია ბანკის მმართველობისა და სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ, გასცეს ბრძანება მორიგი საერთო კრების მიერ ჩატარებული არჩევნების ძალაში დატოვების შესახებ და ა.შ.

აქ მმართველობას კვლავაც საქმე აქვს გაურკვეველ და აზრს მოკლებულ ფრაზებთან. ვფიქრობთ, გაუჭირდება საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიას შეასრულოს თხოვნა, რომლის ერთ ნაწილს მეორის უცილობელ უარყოფამდე მივყავართ.

20 მაისის არჩევნების გაუქმებისა და საგანგებო კრების მიერ მართვის ორგანოთა ფორმირების ეს ორი აქტი ერთმანეთთან უშუალო კავშირშია, რომელთაგან ერთი მეორის მიზეზია, ხოლო მეორე პირველის გარდაუვალი შედეგი. ამიტომ, ლოგიკურად,20 მაისის არჩევნების ბათილად გამოცხადების შესახებ დადგენილების გაუქმებას უნდა მოჰყოლოდა საგანგებო კრების მიერ ფორმირებული მართვის ორგანოების ჩამოცილება საქმისაგან. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კი ითხოვს საგანგებო კრების დადგენილების გაუქმებას, თუმცა ძალაში ტოვებს ამავე კრების მიერ ფორმირებულ მმართველობასა და სამეთვალყურეო კომიტეტს, რამდენადაც სურს, რომ სწორედ საგანგებო კრების მიერ ჩამოყალიბებულ ამ ორგანოებს ებრძანოს ამა თუ იმ ქმედების სისრულეში მოყვანა. მაშ, რაღა საჭირო ყოფილა გაუქმების თხოვნა, თუ საგანგებო კრების მიერ ფორმირებული მმართველობა და სამეთვალყურეო კომიტეტი იმდენად ინარჩუნებს ძალას, რომ მათ გარეშე შეუძლებელია რამის გაკეთება?

მმართველობა ვერ ხვდება, მიუხედავად დიდი სურვილისა, განსაკუთრებულმა კანცელარიამ როგორ უნდა წარუდგინოს მის აღმატებულებას, ბ-ნ მინისტრს, გან-

სახილველად თავისი შუამდგომლობა ჯამბაკურ-ორბელიანის თხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მაშინ, როცა საჭირო ხდება ერთი და იმავე საჩივრის ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ნაწილის დაკავშირება? ნუთუ გაუგებარია, რომ მოცემულ შემთხვევაში მთხოვნელმა თავადვე არ იცის, რა უნდა და რას ითხოვს? შეიძლება შეგვედავონ, რომ ამგვარი მითითება მმართველობის მხრიდან მხოლოდ შარის მოდებაა იმის გამო, რომ ადამიანს საკუთარი აზრის გამოხატვა არ შეუძლია ნათლად და გარკვევით, ვინაიდან საჩივარი და მასზე თანდართული ახსნა-განმარტებითი ბარათი მთლიანად იმ აზრს შეიცავს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით საგანგებო კრების დადგენილების გაუქმებას უნდა მოჰყვეს ამავე კრების მიერ ფორმირებული მართვის ორგანოების ჩამოცილებაც. მმართველობა დასაშვებად მიიჩნევს, რომ თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, მიუხედავად მისი ასეთი თამამი და თავდაჯერებული ენამრავლობისა, ვერ შეძლო საკუთარი აზრის ნათლად გადმოცემა. მაგრამ რით აიხსნება იმავე საჩივრის მომდევნო ნაწილი: საგანგებო კრების მიერ ფორმირებლ მმართველობას და სამეთვალყურე კომიტეტს ებრძანოს *„მორიგი კრების მიერ 20 მაისს ჩატარებული არჩევნების ძალაში დატოვება“.*

თუკი სამინისტროს შეუძლია კანონიერი გზის მონახვა 20 მაისის არჩევნების ძალაში დასატოვებლად, რაც ძალზედ საეჭვოა, რაღა საჭიროა ამ ბრძანების გაცემის თხოვნა? თუ სამინისტროს კანონით შეუძლია ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ეს გადაწყვეტილება ხომ ამით უკვე თავისთავად სავალდებულო იქნება ყოველგვარი ბრძანების გარეშე იმის შესახებ, რომ სავალდებულოდ იქნას იგი ნაღიარები? თხოვნის პუნქტის ამ ნაწილიდან ძალზე უცნაურ ვითარებას ვიღებთ. ვთქვათ, ფინანსთა სამინისტრომ მონახა კანონიერი შესაძლებლობა 20 მაისის არჩევნების ძალაში დასატოვე-

ბლად, როგორც ამას თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ითხოვდა. წესით, აღნიშნულ ნაწილში ეს თხოვნა უნდა დამთავრებულიყო. თუმცა არა. თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი კვლავ ითხოვს, ბანკის მმართველ ორგანოებსაც ებრძანოს, რომ მათ, თავის მხრივ, ძალაში დატოვონ ხსენებული არჩევნები, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯამბაკურ-ორბელიანისთვის სამინისტროს გადაწყვეტილებას არ აქვს ძალა მანამ, სანამ მას ბანკის მართვის ორგანოები არ აღიარებენ სავალდებულოდ.

ჯამბაკურ-ორბელიანის თხოვნის ამ ნაწილს აუცილებლად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ მთხოვნელისათვის სამინისტროს მიერ დადგენილ ამგვარ გადაწყვეტილებას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, თუკი არ იქნა სანქცირებული მართვის ორგანოთა მიერ. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის აზრით, პირველს მეორის გარეშე ძალა არ აქვს? ხოლო თუ რამდენად შეესაბამება ყოველივე ეს არსებულ ვითარებას და ზოგადად, ჯანსაღ აზრს, ამის გარჩევას მმართველობა არ მოჰყვება.

თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისადმი პატივისცემიდან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაშიც დამნაშავეა არა მისი ლოგიკის თავისებურება, არამედ ის, რომ მას აზრის გამოსახატავად შესაფერისი სიტყვების მოძებნის უნარი არ გააჩნია. მაგრამ აქ სხვა საკითხიც იჩენს თავს: ჯამბაკურ-ორბელიანი ითხოვს, რომ საგანგებო კრების მიერ ფორმირებულ მმართველობასა და სამეთვალყურეო კომიტეტს ებრძანოს 20 მაისის არჩევნების ძალაში დატოვება. თუმცა ეს ორგანოები 20 მაისის არჩევნების ბათილად აღიარების ძალით არსებობენ მხოლოდ. და ისმის კითხვა: ვთქვათ მართვის ორგანოებმა გასცეს ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ ნათხოვნი ბრძანება, თუკი საერთოდ შესაძლებელია ასეთი რამ, რა უნდა გაკეთდეს ამ შემთხვევაში? ნუთუ თავადი ი. მაჩაბელი უნდა მოიწვიონ მეხუთე წევრად მმართველო-

ბის შემადგენლობაში მაშინ, როცა ოთხივე წევრი ადგილზეა და მეტი არცაა საჭირო? თუ საგანგებო კრების მიერ უკვე მოწვეული ერთ-ერთი წევრი გააგდონ, რათა თავადი მაჩაბლისათვის გათავისუფლდეს ადგილი? როგორ უნდა მოხერხდეს ეს და ვინ ვინ უნდა გააგდოს? ორიდან ერთია: ან საგანგებო კრების მიერ ფორმირებული და ჯერ კიდევ მშივიდობიანად არსებული მმართველობის შემადგენლობა თავის ადგილზე რჩება და ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა 20 მაისის არჩევნების ძალაში დარჩენის საკითხის დასმა და საზრუნავიც აღარაფერია; ან მმართველობის არსებული შემადგენლობა ტოვებს თავის ადგილს, რის შემთხვევაშიც აღარავითარი აზრი არ აქვს ბრძანებით მიმართვას და მისთვის, როგორც მმართველი ორგანოსთვის, ამა თუ იმ ქმედების მოთხოვნას. მას ისღა რჩება, რომ ყოველგვარი ფიქრის გარეშე გავიდეს არენიდან.

თუმცა ამას არც ითხოვს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი. პირიქით, მას სურს სწორედ ამჟამინდელ მმართველობას ებრძანოს 20 მაისის არჩევნების ძალაში დატოვება. ე.ი. იგი აღიარებს მმართველობის არსებულ შემადგენლობას უფლებამოსილ მმართველ ორგანოდ, რამდენადაც არაუფლებამოსილ ორგანოს ვერ ებრძანება აღასრულოს რაიმე ქმედება, როგორც მმართველმა ორგანომ, გარდა მმართველობის დატოვებისა, რასაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ჯამბაკურ-ორბელიანი არ ითხოვს. აქაც შეიძლება დავუშვათ, რომ თავის გულისთქმათა სიღრმესა და სირთულეს ვერ გაართვა თავი თავადმა ჯამბაკურ-ორბელიანმა, ვინაიდან არ ჰყოფნის სიტყვების მარაგი მათ გამოსახატავად. მმართველობა იმასაც უშვებს, რომ თავად ჯამბაკურ ორბელიანს სურდა ამჟამად არსებული და საგანგებო კრების მიერ ფორმირებული მართვის ორგანოების გაყრა. ადვილად წარმოსადგენია მას ასეთი სურვილი გასჩენოდა, განსაკუთრებით კი მმართველობასთან დაკავშირებით. ამიტომაც

მისი გაურკვეველი და ბუნდოვანი თხოვნა უნდა გავიგოთ, როგორც ზემოაღნიშნული სურვილი. თუმცა ამ შემთხვევაში მართლაც სასაცილოდ ჟღერს თხოვნა, რომლის მიხედვითაც წერილობითად უნდა ბრძანებოდა ამავე მართვის ორგანოებს საკუთარი თავის გაგდება, თითქოს ამის მიღწევა მათი დახმარების გარეშე შეუძლებელია, რომელთაც, ასევე, უნდა ებრძანოს ამა თუ იმ კანონიერი ზომების მიღება თვითგანდევნის ასეთი უცნაური წესის განსახორციელებლად.

დაბოლოს, ფორმირებული საგანგებო კრებისათვის იმის თხოვნა, რომ მმართველობასა და სამეთვალყურეო კომიტეტს უბრძანოს ახალი საგანგებო კრების მოწვევა მმართველობის შემადგენლობის შესავსებად, ნიშნავს მმართველობის კანონით მოთხოვნილი სრული შემადგენლობის არარსებობას. თუკი მმართველობა არასრული შემადგენლობითაა წარმოდგენილი, მაშ როგორღა ითხოვს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი მმართველობისათვის ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად მითითების მიცემას? ორიდან ერთია: ან მმართველობა კანონით მოთხოვნილი შემადგენლობით არის წარმოდგენილი, ან – არა. რომელ მათგანზე მოუწევს შეჩერება განსაკუთრებულ კანცელარიას იმ შემთხვევაში, თუ ისურვებს ჯამბაკურ-ორბელიანის თხოვნის დაკმაყოფილებას, გაუგზავნოს მის აღმატებულებას, ბ-ნ მინისტრს, მითითება მმართველობის მისამართითაც? ეს, ალბათ თავად მთხოვნელს უნდა გაეთვალისწინებინა მაშინ, როცა განსაკუთრებულ კანცელარიას მიმართავდა თხოვნით, რომელიც ერთდროულად შეიცავს აზრს როგორც მმართველობის არსებობის, ისე მისი არარსებობის შესახებ.

თუმცა, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საბედნიეროდ, მმართველობას შეუძლია დაადასტუროს დოკუმენტური მონაცემებით (იხ. დანართი NN 69 და 70), რომ საგანგებო კრების მიერ 19-20 ივნისს ფორმირებულია

მმართველობის სრული შემადგენლობა, რომელიც 21 ივნისიდან დღემდე მოქმედებს და არ შეწყვეტს თავისი მოვალეობების შესრულებას იმ დრომდე, სანამ მისი წევრების მუშაობის დადგენილი ვადა არ ამოიწურება, ან ჯამბაკურ-ორბელიანის თხოვნის თანახმად, თავადი ი. მაჩაბელი არ იქნება აღდგენილი ბანკში, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია არსებული კანონების საფუძველზე. მმართველობას აქვს სრული საფუძველი, იგივე განაცხადოს სამეთვალყურეო კომიტეტის ამჟამად მოქმედი შემადგენლობის მიმართაც. ჯერ-ჯერობით 19-20 ივნისს საგანგებო კრების მიერ მოწვეული მმართველობის თავმჯდომარე და წევრები, ასევე, სამეთვალყურეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა, ამ გადაწყვეტილებაზე რჩებიან, ხოლო სხვა დანარჩენი მომავლის საქმეა, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივრის და იმ განსაკუთრებული ყურადღების წყალობით, რომელიც, მართველობის აზრით, გამოიჩინა საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულმა კანცელარიამ მის მიმართ.

– – – – – – – – – – –

მმართველობა ამით ამთავრებს თავის შეძლებისდაგვარ ახსნა-განმარტებას და სულაც არ ფიქრობს, რაიმე თხოვნა დაურთოს. მას სწამს ადამიანების მიუკერძოებლობისა და მათი კანონიერების გრძნობისა და სრულიად ზედმეტად მიაჩნია, უკარნახოს ვინმეს საკუთარი სურვილი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. მმართველობის აზრით, აქ თავისთავად ცხადია ყველაფერი. რა შეიძლება მოვუხერხოთ კალმის ისეთ ნაღვაწს, როგორიცაა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. საჩივარი, მრისხანებისა და ბოროტების ნაყოფი, რომელიც არ კარგავს თავის არსებით მნიშვნელობასა და შინაარს იმის გამო, რომ გარეგნულად საჩივრის სახელს ატარებს? ეს საკითხი, საეჭვოა, თავისთავად გადაიჭრას.

მმართველობა ზიზღნარევი გულგრილობით უგულებელყოფს ყველა ამ უღირს გამოხდომას ცალკეული

პირების წინააღმდეგ, რომელთაც სახელებით და გვარებით მოიხსენიებს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი თავის ე.წ. საჩივარსა და ახსნა-განმარტებით ბარათში და სრულიად ურცხვად, მხოლოდ საკუთარი გამონაგონის საფუძველზე, სდებს მათ ბრალს. ეს ადამიანები თავად დაიცავენ საკუთარ თავებს, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავს ჩათვლის უფლებამოსილად, უშუალოდ მათგან მოითხოვოს ახსნა-განმარტება და პასუხი მანამ, სანამ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანისაგან არ მოითხოვს ბალდების საფუძველს. ხოლო იქამდე, როგორც უკვე ითქვა, მათ შეუძლიათ დამშვიდებული სინდისით ადევნონ თვალყური ჯამბაკურ-ორბელიანის ამაო მცდელობებს შელახოს მათი რეპუტაცია. მათ მშვენივრად იციან, რომ მოწოდება – ადამიანებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ კოლექტივზე, მისცენ ახსნა-განმარტება მხოლოდ იმის გამო, რომ ამა თუ იმ პირს, თუნდაც თავად ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანს, მოეპრიანა, უღირს ზრახვებში დაედო ბრალი მისთვის არასასიამოვნო პირებისათვის და საამისოდ არგუმენტები შეეგროვებინა იმის დანახების საფუძველზე, რაც თავისი არსით განუჭვრეტელი და უხილავია – ნიშნავს იმ წეს-წყობის დაბრუნებას, რაც კაცობრიობამ, საბედნიეროდ, უკვე განვლო. ისინი თავს დაცულად გრძნობენ რუსული კანონმდებლობის ქვეშ, რომელიც კრძალავს მოეთხოვოთ ადამიანებს პასუხი ან ახსნა-განმარტება მხოლოდ იმის გამო, რომ ამა თუ იმ პირს მოესურვა, ყოველგვარი საბაბის გარეშე, დაერღვია ამ ადამიანთა სიმშვიდე მათ შინაგან სამყაროში შეჭრით.

პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება ზედმეტად ძვირფასი უფლებაა საიმისოდ, რომ ამგვარად მოპოვებული არგუმენტების საფუძველზე ხელვყოთ იგი. ჩვენ უბრალოდ სინანულს გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ამ ზოგადსაკაცობრიო უფლებაზე – იყოს დაცული დაუსაბუთებელი ხელყოფისაგან – მოცემულ შემთხვევაში,

უარი მხოლოდ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველობას ეთქვა.

მართალია, ეს ახსნა-განმარტება ვრცელია და მასში ხშირად ვაწყდებით ერთი და იმავე წვრილმანების უნებლიე განმეორებებს, თუმცა ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ფინანსთა სამინისტროს განხილვაზე შექმნილი ის ჭეშმარიტად შეურაცხმყოფელი მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა მმართველობა, რისი მიზეზიც გახდა ახსნა-განმარტების მისაცემად მისი მიწვევა მანამ, სანამ მოთხოვნილი იქნებოდა ბრალმდებლისაგან შესამოწმებლად ხელმისაწვდომი მონაცემები. ამის გამო მთელს კოლეგიას მოუწია სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებით დაკავება. ვის და რისთვის სჭირდება მთელი კოლეგიის დაყენება იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ამტკიცოს შემდეგი: თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, გარდა 46 სუფთა გვერდის გახარჯვისა, კიდევ შეუძლია, არ გაუწიოს ანგარიში საკუთარ სიტყვებს, არც ქმედებებს და არ შეუძლია ზუსტად და გარკვევით ჩამოაყალიბოს თავისი თხოვნა, მიუხედავად მრავალსიტყვაობის საოცარი სურვილისა.

სამწუხაროა, რომ მთელს კოლეგიას ამდენ ხანს მოუწია მისდაუნებურად იმ წვრილმანების, დაუსაბუთებელი თავდასხმების, ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების, მოსაზრებათა აბდაუბდის, აზრს მოკლებული თხოვნის პუნქტების გარკვევაში დაეკარგა დრო, რითაც სავსეა თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის ე.წ. საჩივარი. ამ ნიშნებს, რომლებითაც გამოირჩევა აღნიშნული საჩივარი და მისი ახსნა-განმარტებითი ბარათი და რომლებიც ასე აშკარად თვალშისაცემია, არ აქვს არავითარი საქმიანი მნიშვნელობა და მხოლოდ უძლური ბოროტების გამოვლინების დასტურია. ეს ყოველივე იმისკენ კი არ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომ მმართველობისათვის მოეთხოვათ ახსნა-განმარტება, არამედ მათზე მისი ავტორისათვის უნდა მიეთითებინათ. ამდენად, მმართველობას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ

თავად მოჰყოლოდა ჯამბაკურ-ორბელიანის ამ განზრახვებისა და მცდელობების დაწვრილებით გარკვევას, რათა მათი მთელი ხელოვნური აბდაუბდის გამოაშკარავებით ნათელი მოეფინა იმისთვის, თუ ვისთან და რასთან ჰქონდა, სამწუხაროდ, საქმე მთელს კოლეგიას.

კაცმა რომ თქვას, რაში მდგომარეობს ყოველივე იმის არსი, რაზეც საუბარია ჯამბაკურ ორბელიანის ე.წ. საჩივრის და ახსნა-განმარტებითი ბარათის მთელ ორმოცდაექვს გვერდზე? ეს არის პიროვნების, სამართლიანობის, ლოგიკისა და ჯანსაღი აზრის მოთხოვნების ერთიანად მასხრად აგდება. ეს სხვა არაფერია, თუ არა დამცინავი უარყოფა წესიერებისა და მორალისა, რაც, საკუთარი თავისა და სხვებისადმი პატივისცემიდან გამომდინარე, გვკარნახობს, არ განვსაჯოთ, არ შევარცხვინოთ ადამიანები სერიოზულად აწონ-დაწონილი და გულმოდგინედ გადამოწმებული მონაცემების გარეშე. ეს არის ველური თარეში სიტყვის თავისუფლებისა, რომლის ღირსება და დანიშნულება ბოროტადაა გამოყენებული იმისათვის, რათა დაუსაბუთებლად, მხოლოდ საკუთარ გამონაგონზე დაყრდნობით, შელახონ ბანკის მმართველ ორგანოთა რეპუტაცია; ბანკისა, რომელსაც, ძირითადად, ამ ორგანოებისადმი ხალხის ნდობა ასულდგმულებს. რის გამო აძლევს თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ასე დაუფიქრებლად, დაუსაბუთებლად და უსამართლოდ საკუთარ თავს ამ ყველაფრის უფლებას? მხოლოდ ერთი უბადრუკი ჟინის გამო: დაარწმუნოს ფინანსთა სამინისტრო მმართველობის შემადგენლობიდან ერთი პირის გაგდებისა და მის ადგილას თავადი ი. მაჩაბლის შეყვანის აუცილებლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მეპატრონეების ამის წინააღმდეგნი არიან. ხოლო იმის განსჯა, თუ როგორ უშუამდგომლებს საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებული კანცელარია ამას ბ-ნ ფინანსთა მინისტრთან, მმართველობის საქმე არ არის. მაგრამ ნუთუ ჯამბაკურ-ორბელიანი აღიარებს, რომ ამი-

სათვის საკმარისია არაფრის გამო ხოტბის შესხმა და ასევე, არაფრის გამო შერცხვენა ადამიანებისა, როგორც ამას თავის საჩივარსა და ახსნა-განმარტებით ბარათში აკეთებს? საქმიანი ხასიათის მოჩვენებითი დასკვნები, რომლებიც ამ დოკუმენტებში მთელი ორმოცდაექვსი გვერდიდან მხოლოდ შვიდ-რვა გვერდს იკავებს, ასევე, აზრს მოკლებული თხოვნის პუნქტები, ადგილზევე შეიძლება სათანადოდ შეფასებულიყო მმართველობის მიერ, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. ისევ და ისევ სინანული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ თავადი ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივარი გაიგზავნა და ადგილზევე არ გაეცა სათანადო პასუხი, რასაც მოჰყვა მიმოწერის გაჩაღება. ეს კი დაკავშირებული იყო ზედმეტი დროისა და ძალისხმევის დაკარგვასთან, რისი გამოყენებაც მმართველობას შეეძლო თავის პირდაპირი და უშუალო მოვალეობების შესასრულებლად, თუნდაც საგანგებო კრებაზე გასატანი მოხსენების მოსამზადებლად ისეთ მნიშვნელოვან და სერიოზულ საქმესთან დაკავშირებით, როგორიცაა სარევიზიო ანგარიში.

მმართველობის ამ ახსნა-განმარტებას თან ახლავს 1896 წელს ჩატარებული მორიგი და საგანგებო კრებების დადგენილებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც, საერთო ჯამში, 78 ნომერ დანართს და რამდენიმე ადგილობრივი გაზეთის 6 ნომერს შეადგენს.

[დეკემბერი 1896 წ.]

სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები თავადაზნაურობიდან. თავადი ი. გ. ჭავჭავაძე

ამომრჩევლებში მოხვედრისთვისაც კი მთელი ბრძოლის გადატანა მომიწია. მე მომხრე ვარ, მით უფრო იმ კავკასიური საშინელებების შემდეგ, რომლებიც ახლაც გრძელდება, რომ ფართო თვითმმართველობა იყოს კავკასიაში, ზოგადად და საქართველოში, კერძოდ. თუმცა ეს თვითმმართველობა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

ქართველი და ზოგადად, კავკასიელი თავადაზნაურობა ყოველთვის მიესალმება ნებისმიერი სახის დათმობას აგრარულ საკითხში, თუკი მიწის იძულებითი გასხვისება მსხვილი სახალხო მოძრაობის საქმედ იქნება მიჩნეული.

მაგრამ ძველ კავკასიელ თავადაზნაურთა ამ პატიოსან აზრს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

დაიწყეს ლაპარაკი ფედერაციაზე, იმაზე, რომ ეს აზრი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა რუსეთის დანაწევრების სურვილს და ა. შ.

და მხოლოდ ჩემი ამხანაგის, ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაუროს წარმომადგენლის, თავადი ვ. მიქელაძის მხურვალე, დამაჯერებელმა გამოსვლამ გადაარჩინა ის ყოველივე საუკეთესო, რისი რეალურად განხორციელებაც სურდათ კავკასიელ თავადაზნაურებს, ერთიანი დაუნაწევრებელი რუსეთის ერთგულ პატრიოტებს.

თავადი მიქელაძის თქმით, რუსეთის გადარჩენა ფედერაციისაგან მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის გაფართოებას შეეძლო, და არა ადმინისტრაციულ პოლიტიკას, რამაც მიიყვანა კიდეც ამ დანაწევრებამდე. საქართველო მოუთმენლად ელოდება, როდის გახდება რუსეთი ერთიანი და მძლავრი სახელმწიფო. მას კი უწინდელ თვითნებობას და მის შედეგს – დანაწევრებას – სთავაზობენ.

ამის შემდეგ მე და თავადი მიქელაძე პეტერბურგში ვიმყოფებოდით.

მე გახლავართ სახელმწიფო რეფორმირების საბჭოს წევრი და ამ თვალსაზრისის დასაცავად ძალისხმევას არ დავიშურებ.

ხოლო, რა გამოვა აქედან... ეს არც თუ ისე შორეული მომავლის საკითხია.

[1906 წ. 9 აპრილი]

თავადი ი. ჭავჭავაძის სიტყვა სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომაზე

ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია მე-5 მუხლი, ხოლო სავსებით უადგილო – იმის შეხსენება, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრებმა უნდა შეასრულონ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობები. ეს უნდა იდოს თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაში, იმათ ცნობიერებაში, ვინც სახელმწიფო საბჭოს წევრობა ვიკისრეთ და წევრებისათვის განკარგულებაში ამის შეხსენება უხერხულია. ამდენად, ეს წინადადება აუცილებლად უნდა იქნას ამოღებული. რაც შეეხება მე-6 მუხლს, მას კიდევ აქვს რაღაც პრაქტიკული აზრი. რა თქმა უნდა, სახელმწიფო საბჭოს წევრმა თავისი არყოფნის გამო ახსნა-განმარტება უნდა მისცეს, თუმცა არა – ყოველ ჯერზე და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. რა საჭიროა, ჩემი ყოველი გაცდენა სხდომისა ვაცნობო თავმჯდომარეს ან სახელმწიფო მდივანს? რას მოგვცემს ეს? რა სარგებლობის მომტანი იქნება? ამის დაშვება არ შეიძლება. სხვა საქმეა, თუ ამას განვაპირობებთ წევრთა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით არყოფნით, როგორც ეს საფრანგეთის სენატის განკარგულებაშია. იქ ნათქვამია, რომ თუ სენატორი (ეს იგივე სახელმწიფო საბჭოს წევრია) ზედიზედ ექვსჯერ არ გამოცხადდება, იგი ჩაითვლება საბჭოდან გარიცხულად, ან გავა უნებართვო შვებულებაში. მე ვაცხადებ, რომ ამოღებული უნდა იქნას განკარგულების მეექვსე მუხლი, ვინაიდან მსგავსი რეგლამენტაცია შეუძლებელია. თუკი სასურველია, რომ ჩვენ საბჭოს სხდომებს აკურატულად დავესწროთ, მაშინ 2-ჯერ ან 3-ჯერ

ზედიზედ გაცდენის შემთხვევაში, თუ ეს საჭიროდ იქნება მიჩნეული, უნდა იქნას მოთხოვნილი ახსნა-განმარტება. მე ამ მუხლს სრულიად ამოვიღებდი განკარგულებიდან. მეორეს კი დავეთანხმებოდი, თუკი...

თავმჯდომარე. ნება მიბოძეთ გთხოვოთ, ჩამოაყალიბოთ, რაში მდგომარეობს თქვენი შესწორება.

თავადი ჭავჭავაძე. ჩემი შესწორება გულისხმობს იმას, რომ სრულიად იქნას ამოღებული ეს უხერხული, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, მე-5 მუხლი... ხოლო მეექვსე მუხლს დაემატოს: „თუ სახელმწიფო საბჭოს წევრს არ შეუძლია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით დაესწროს სხდომებს, მაშინ იგი ასე და ასე...“.

თავადი ჭავჭავაძე. უპირველეს ყოვლისა, ბოდიშს მოვიხდი კრების წინაშე იმის გამო, რომ, შესაძლოა, ნაწილობრივ იმის გამეორება მომიწიოს, რაც აქ უკვე ითქვა, ვინაიდან სადაც მე ვზივარ, ხმა არც ისე კარგად ისმის. ამიტომ, არ ვიცი, რა თქვეს ჩემს წინ გამოსულმა ორატორებმა. კომისიის მოხსენებიდან ჩანს, რომ მან თავის ნაშრომებს საფუძვლად დაუდო სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების მე-60 მუხლი, რომელიც საბჭოს უფლებამოსილს ხდის, დეტალურად განსაზღვროს საქმეთა მართვის შინაგანაწესი განსაკუთრებული განკარგულებით. ამასთან, კომისია სრულიად სამართლიანად შეჩერდა იმ აზრზე, რომ დაადგინოს ისეთი წესები, რომელთაც ახალი არაფერი შემოაქვთ და შიდა საკითხების სფეროს არ სცდებიან, თუმცა, ამავე დროს, ემსახურებიან უკვე მოქმედ კანონთა შევსებას და განვითარებას. კომისიას, ათანხმებდა რა განკარგულების წესებს არსებულ კანონებთან, ამასთანავე, მიზნად ჰქონდა, ამ წესებს პრაქტიკული სარგებელიც მოეტანა. ვასრულებ რა დაკისრებულ ამოცანას, კომისიის მიერ დადგენილი ამ დებულებებიდან გამომდინარე, გადავდივარ განკარგულების პროექტის მე-4 მუხლზე. ეს მუხლი ავითარებს სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების მე-6 მუხლს, რომ-

ლის თანახმადაც საბჭოში გამოცხადება ეკრძალებათ დეპუტაციებს, ასევე სიტყვიერი ან წერილობითი განცხადების ან თხოვნის წარდგენა. სავსებით გასაგებია, რომ როდესაც კანონმდებლები ცდილობდნენ, არ დაეშვათ სხვადასხვა განცხადებისა თუ თხოვნის სახელმწიფო საბჭოში შეტანა პირდაპირი ან წერილობითი გზით, ამით სურდათ დაეცვათ საკუთარი სიმშვიდე და ჰქონოდათ მოვალეობების თავისუფლად შესრულების შესაძლებლობა. კომისიამ მოინდომა განკარგულებაში დაემატებინა სახელმწიფო საბჭოს დაწესებულება, მაგრამ ეს დამატება წარმოადგენს არა კანონის აზრის განვითარებას, არამედ – სახელმწიფო საბჭოსა და ხალხს შორის ყოველგვარი ურთიერთობის შეზღუდვას. ვგონებ, არ იყო საჭირო ამგვარი შეზღუდვის შემოღება, ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს; თვით კომისიამაც კი სხვა ვერაფერი მოტივი ვერ მოძებნა, გარდა იმისა, რომ სურდა დაეცვა პირები, რომლებიც თავმჯდომარეობდნენ საბჭოს, ასევე, მისი წევრები იმ შუამდგომლობისა და შევიწროვებისაგან, რაც გულისხმობს მათი საშუალებით სახელმწიფო საბჭოში თხოვნებისა თუ განცხადებების წარდგენას. ეს, გარკვეულწილად, ვიწრო ბიუროკრატიული რეჟიმის საძულველ დასაწყისს გვაგონებს, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო პირები და დაწესებულებები ხალხისათვის არსებობენ, ხოლო ხალხი – ამ დაწესებულებებისათვის. იმაზე ზრუნვა, რომ თავმჯდომარეები და საბჭოს წევრები არ შეწუხდნენ და ამ მიზნით განკარგულებაში ისეთი წესების შეტანა, რომლებიც ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს, მიმართონ უმაღლეს დაწესებულებებს საკუთარი უფლებების და ინტერესების დასაცავად, სწორად არ მიმაჩნია.

მე-4 მუხლი, გარდა იმისა, რომ დაბრკოლებაა საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების მეშვეობით ხალხთან მისასვლელ გზაზე, ამასთანავე, მიუწვდომელს ხდის ცნობათა პირველწყაროს, რომელთა მოპოვებაც საბჭოს შეუ-

ძლია პირველი, და არა გარეშე, პირებისაგან. მხოლოდ ამ ცნობების საფუძველზე შეუძლია სახელმწიფო საბჭოს, რომ მინისტრსა და ცალკეული ნაწილების მთავარმართებლებს სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების 44-ე მუხლის ძალით, წარუდგინოს მოთხოვნა იმ შემთხვევაში, თუ მათი ან მათი საქვეუწყებო პირებისა თუ დაწესებულებების არაკანონზომიერი ქმედებებით ვინმეს უფლება დაირღვა. მართლაც, გაუგებარია, როგორ განხორციელდება სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების 44-ე მუხლი სათანადოდ და ყველა აუცილებელ შემთხვევაში, თუკი მოქალაქეები დაკარგავენ სახელმწიფო საბჭოსათვის განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის უფლებას თავმჯდომარის ან საბჭოს წევრების საშუალებით მაინც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ კომისიას, განკარგულების მიხედვით, არ აქვს უფლება შემზღუდველი ზომების იმ არეალის გაფართოებისა, რომელიც ნათლად არის განსაზღვრული სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების-მე-6 მუხლში, გთავაზობთ მე-4 მუხლის მთლიანად ამოღებას დადგენილებიდან.

[1906 წ. 22 ივნისამდე]

ს ა ვ ა რ ა უ დ ო
საქალაქო სესხების კონვერსიასთან დაკავშირებით

სწრაფი სესხების კონვერსიის დამცველებმა იმის მაგივრად, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკითხის გადაწყვეტისას არსებულ სახელმწიფო კანონებს დაყრდნობოდნენ, სამეცნიერო ტრაქტატების დამოწმებას მოჰყვნენ და დაავიწყდათ, რომ საქმე შეეხებოდა არა თეორიულ სამეცნიერო ამოცანებს, არამედ კონვერსიის პრაქტიკულ მნიშვნელობას. აქ საინტერესოა არა ის, თუ რას ამბობენ მეცნიერები, არამედ ის, თუ რა წერია მოქმედ კანონებში.

პატივცემული ბ-ნი მ. თამამშევი, იმოწმებს რა სენატის გადაწყვეტილებას (გვ. 2051 ტ. X, ნაწ. I, ბოროვიკოვსკის გამომც.), მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილების მიხედვით, უვადო სესხის გადახდის ან მოთხოვნამდე გადახდის ვადა დგება მაშინ, როცა ამას მოისურვებს კრედიტორი და არა – მოვალე; ხოლო თუ კრედიტორმა არასდროს მოინდომა ეს, შესაბამისად, მოვალე ვერასდროს გათავისუფლდება ვალისგან. თუმცა თამამშევს მხედველობიდან გამორჩა ის, რომ ამ გადაწყვეტილებაში საუბარია მხოლოდ უვადო ვალდებულებების მქონე კრედიტორთა, და არა მოვალეთა უფლებების შესახებ და განმარტავს, რომ კრედიტორისათვის ვალის გადახდის ვადა დგება მაშინ, როცა ამას თავად კრედიტორი მოისურვებს. მაგრამ ამით, მსესხებელი სულაც არ კარგავს უვადო ვალდებულების უფლებას ვალი დაფაროს

მაშინ, როცა ამას მოისურვებს. სწორედ ამიტომაც არსებობს უვადო ვალდებულებები. მათი მეშვეობით კრედიტორს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალის გადახდა, ხოლო მოვალემ – მისი დაბრუნება. მაგრამ, ამჟამად დავა მიდის ვადიანი და არა უვადო ვალდებულებების მქონე ქალაქის სესხების კონვერსიის შესახებ. მათ შორის კი ძალზე დიდი განსხვავებაა.

თუკი ვადიანი სესხების შესახებ არსებულ ჩვენს კანონებს მივყვებით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ვადიანი სასესხო ვალდებულებების შემთხვევაში არავითარი კონვერსია არ არის შესაძლებელი, თუ ვადამდელი დაფარვის უფლება არაა მოპოვებული და ამასთანავე, თუ ასეთ სესხებზე არ გვაქვს კრედიტორის თანხმობა. პირებმაც და დაწესებულებებმაც, რომელთათვისაც ჩვენი კანონები ცნობილია, საჭიროდ მიიჩნიეს მოეპოვებინათ ვადიანი სესხების ვადამდე დაფარვის უფლება. ამის მაგალითად რუსეთის საადგილმამულო ბანკები გამოდგება.

საადგილმამულო ბანკების ნორმალურმა წესდებამ 36-ე და 61*-ე პარაგრაფებში ამ ბანკებს და მათ მსესხებლებს მიანიჭა სესხების ვადამდე დაფარვის უფლება. ეს უფლება კი ბანკებს, როგორც თავისთვის, ისე მსესხებლებისათვის უნდა მოეპოვებინათ საკანონმდებლო წესით, არა რაიმე გაუგებრობით ან უყურადღებობით, არამედ – მისი კანონიერი აუცილებლობის ძალით. ვექსილის შესახებ წესდებაში, ტ. XI, ნაწ. II, გვ. 610 პირდაპირ არის ნათქვამი: „ვადამდე არც გადამხდელია ვალდებული გადაიხადოს და არც თამასუქის მფლობელია ვალდებული მიიღოს გადასახადი თამასუქით“. 1877 წლის 28 მარტის კანონდებულების შესახებ 215-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ვადიანი ვალდებულებების სესხის ნებისმიერ დროს გადახდა მსესხებლებს შეუძლიათ მხოლოდ „იმ სესხების შემთხვევაში, რომელთა მიხედვი-

*თბილისის სათავადაზ.საადგ. ბანკის წესდებაში &&31 და 58, ხოლო ქუთაისის – 34 და 59.

თაც კაპიტალის მოხმარებისათვის განსაზღვრული ანაზღაურება აღემატება დაკანონებულ სარგებელს“ და თანაც ეს გადახდა შესაძლებელია „სესხის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ, ამასთანავე, გამსესხებელი ამის შესახებ, სულ მცირე, სამი თვით ადრე უნდა იქნას წერილობითად გაფრთხილებული“. ასეთი დადგენილება არსებობს არა მხოლოდ რუსულ კანონებში, არამედ სხვაგანაც.

ასე, მაგალითად, ფრანგულ კანონებში ვკითხულობთ:

„თამასუქის მფლობელი არ არის ვალდებული მიიღოს ფულადი გადასახადი თამასუქით დადგენილ ვადამდე ადრე“ (Cod de com. Liv. J tit VIII art, 146).

ამის შემდეგ ცხადია, რომ თუ ვადიანი სესხების ვადამდე კონვერსია კრედიტორების გარეშე სურთ, ამისათვის აუცილებელია, სესხის ვადამდელი დაფარვის უფლება კანონიერი გზით იქნას მოპოვებული.

[1892წ. 24 დეკემბრამდე]

სარჩევი

თბილისის გუბერნიიის მიწათმფლობელთა მიწებზე დასახლებული გლეხების საადგილმამულო მოწყობის შესახებ ადგილობრივი დებულების წინასწარი პროექტის პარაგრაფის კრიტიკული შეფასებები .....9.
სანოტარო დებულების 168-ე მუხლი და მისი გამოყენება თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ .....60.
რისთვის და რატომ (პასუხი „ მიწის კრედიტის პრაქტიკის“ ავტორს) .....79.
თბილისის საადგილმამულო ბანკის წარმომადგენლის, ი. გ. ჭავჭავაძის ცალკე მოსაზრება მიწის ქონებათა შეფასებისათვის მაქსიმალური ნორმის დადგენის საკითხთან დაკავშირებით .....106.
თბილისის ბანკის წარმომადგენლის თავად ი. გ. ჭავჭავაძის ცალკე მოსაზრება შედავათების დაშვების საკითხთან დაკავშირებით .....113.
წერილი ქ. ვლადიკავკაზში ქართველი ბავშვებისათვის გასახსნელ სასწავლებელში სავარაუდო საგნების კურსის სწავლების მეთოდების შესახებ .....120.
ცალკეული სოფლის საზოგადოების საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების ნორმული წესები 121
საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების მიზანი .....121.
საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოების სახსრები და საშუალებები.....121.
საერთო სარგებლობის კაპიტალის წარმოებისათვის მარცვლეულის მოსაკრებლის წესი.....123.
მარცვლეულის შენახვის წესის შესახებ მის ფულად კაპიტალად გადაქცევამდე .....125.
მარცვლეულით წარმოდგენილი საერთო სარგებლობის კაპიტალის შესახებ .....126.
საერთო სარგებლის ფულადი კაპიტალი .....127.

საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალის შენახვის წესი ..... 129.
საჭიროებანი, რომლებსაც შეიძლება მოხმარდეს სოფლის საზოგადოების საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალი ..... 130.
საჭიროებების განსაზღვრის წესი ..... 131.
საერთო სარგებლობის ფულადი კაპიტალის საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის გაცემის წესი ... 131.
საწყობების რევიზიის შესახებ ..... 133.
გლეხთა საქმეების საგუბერნიო საკრებულოს უწყების საქმიანობის საკითხები ..... 133.
გაზეთი „კავკაზი“ და მისი „სახელდახელო შენიშვნები კონვერსიის შესახებ ..... 136.
ასეა განა? ..... 146.
ახსნა-განმარტებითი ბარათი თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მიერ მსესხებელთათვის საგირავნო ფურცლების ხელზე გაუცემლობის შესახებ ..... 151.
მის მაღალკეთილშობილებას ბატონ ევსტათი ევსტათის ძე დობეცკის, რომელმაც რევიზია ჩაუტარა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს, ამავე ბანკის მმართველობის წევრთა ახსნა-განმარტებითი ბარათი ..... 184.
ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილების საგანგებო კანცელარიაში თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მმართველობის ახსნა-განმარტება თავად ჯამბაკურ-ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით ..... 257.
სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები თავადაზნაურობიდან. თავადი ი. გ. ჭავჭავაძე ..... 479.
თავადი ი. ჭავჭავაძის სიტყვა სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომაზე 481
სავარაუდო ..... 485.
საქალაქო სესხების კონვერსიასთან დაკავშირებით ..... 485.

ИЛЬЯ ГРИГОРЬЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ
ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ
В 20-И ТОМАХ

ТОМ XVI (2)

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

2018

ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com